

თენგიზ ლილუაშვილი

სამოქალაქო საპროცესო
სამართალი

II გამოცემა

თბილისი
2005

წიგნი იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამარ-
თლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით.

რედაქტორი: პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ლია მოსეშვილი

ყველა უფლება დაცულია

© თენგიზ ლილუაშვილი

© გამომცემლობა ჯისიაი 2005

ISBN 99940-17-65-9

წიგნი გათვალისწინებულია იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, დოქტორანტებისათვის, მაგისტრატებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

წიგნი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული მოსამართლეების, ადუოკატების და სხვა პრაქტიკოს იურისტების, აგრეთვე სამოსამართლო სწავლების ცენტრის მსმენელთა მიერ.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის პარკული გამოცემიდან (1992 წელი) საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამ მეორე გამოცემის ასეთ დაგვიანებას აქვს ობიექტური მიზეზები, რომლებიც ძირითადად საქართველოს სამართლებრივი და სასამართლო რეფორმების მომზადებითა და კატარებით აიხსნება.

1997 წელს ამოქმედდა საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც არსებითად განსწავვება საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, თუქცა მოქცა რიგი ნორმებისა და ინტიტუტებისა, რომლებმაც გაუქლეს დროის გამოცდას და რაც მთავარია პასუხობენ დღევანდელ შეცვლილ სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მოთხოვნებს, შენარჩუნებულია ახალ კოდექსში.

მეორე გამოცემის დაგვიანება განპირობებულია აგრეთვე ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანერგვისა და მოსამართლეთა კადრების სწავლებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოების მომზადების აუცილებლობით. ამ მიმართულებით მომზადდა და რამდენჯერმე გამოიცა სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო (1999-2004 წ.წ.), სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში (2002 წელი), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (2004 წელი), (თანაავტორობით), ახელაცა სამოქალაქო პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო (2005 წელი) და სხვა.

ცხადია, რომ იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტობა სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს ამ გამოცემებით. მიუხედავად ამისა, საქირო იყო სტუდენტთა სწავლების თავისებურებათა გათვალისწინებით მომზადებული სახელმძღვანელოს გამოცემა.

ამ წიგნში, რომელიც შეიქლება გამოყენებული იქნეს როგორც სახელმძღვანელო იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, გაშუქებულია ჩვენს მიერვე შემუშავებული პროგრამის მიხედვით სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა ძირითადი საკითხი. ამასთან, შესასწავლი საკითხების ათვისების გადვილების მიხნით წიგნი გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაკვეთი პირველი ზოგადი საკითხები

თავი I

სამოქალაქო მართლმსაჯულება

§1. პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში 1997 წელს გატარებულ სასამართლო რეფორმას	21
I. პროფესიული სასამართლო	21
II. მოსამართლეთა კვალიფიციურობა და კომპეტენტურობა	23
III. მოსამართლეთა სპეციალიზაცია	26
IV. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა	27
V. მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის იდეალური მოდელი: რატომ ვერ შევთავაზეთ იგი	29
VI. სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა. კასაცია როგორც საბოლოო ინსტანცია	34
VII. კასაციის მხოლოდ ერთ სასამართლოში კონცენტრირების პრინციპი	35
§2. სამოქალაქო მართლმსაჯულების ორგანოები	37
I. სასამართლო ხელისუფლება. მართლმსაჯულების რაობა	37
II. პირველი ინსტანციის სასამართლოები	39
III. მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოები	40
IV. მესამე ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოები	41
§3. მოსამართლე	42
§4. მოსამართლის აპარატი	46
I. მოსამართლის თანამემწე	46
II. სხდომის მდივანი	49
§5. ადვოკატი	50
§6. სასამართლო აღმასრულებელი	51

თავი II

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება.....	53
I. სასამართლო და სამოქალაქო საპროცესო სამართალი	53
II. სამოქალაქო საპროცესო სამართალი და მისი ამოცანები	55
III. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი და სისტემა	58
IV. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სამართლის სხვა დარგებთან	59
V. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები	62
VI. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის მოქმედება დროში და სივრცეში	65
§2. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა	67
I. ცნება	67
II. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის წარმოშობის პირობები და შინაარსი	70

თავი III

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები

§1. პრინციპების ცნება და კლასიფიკაცია	73
I. დისპოზიციურობის პრინციპი	77
II. შეჯიბრებითობის პრინციპი	83
1. შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპის თანაფარდობა	83
2. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსი	85
3. სასამართლოს ინიციატივისა და აქტიურობის ფარგლები	86
III. მხარეთა თანასწორობის პრინციპი	89
IV. საქმის განხილვის დაჩქარებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები	91
V. საქვეყნობის პრინციპი	97
VI. სახელმწიფო ენის პრინციპი	100
VII. ზეპირობის პრინციპი და მისი წერილობით ფორმასთან შეხამება	101
VIII. უშუალობის პრინციპი	104

თავი IV

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის (სამართალწარმოების) სუბიექტები

§1. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა	108
I. სამართლის სუბიექტები ზოგადად	108
II. სამოქალაქო პროცესის სუბიექტები	109
§2. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა	111
I. ცნება	111
II. შეზღუდული ქმედუნარიანობა	112
III. მცირეწლოვანები და ქმედუნარონი	113
§3. მხარეები სამოქალაქო პროცესში	114
§4. არასათანადო მხარე და მისი შეცვლის წესი	117
§5. საპროცესო თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის სახეები და მიზნები	122
I. ცნება	122
II. სავალდებულო თანამონაწილეობა	123
III. არასავალდებულო თანამონაწილეობა	124
§6. მესამე პირები	126
I. ცნება და სახეები	126
II. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით	127
III. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე	130
1. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის სამართლებრივი საფუძველი	130
2. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის წესი	135
3. სასამართლოს განჩინება მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ	136
4. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საპროცესო უფლებები	137
§7. საპროცესო უფლებამონაცვლეობა	137
I. უფლებამონაცვლეობის ცნება და საფუძველები	137
II. საპროცესო უფლებამონაცვლეობის დაშვების წესი	139
III. საქმის წარმოების შეჩერება და განახლება	140

IV. უფლებამონაცვლის საპროცესო უფლებები	142
§8. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები	143
I. მხარეთა უფლებები	143
II. მხარეთა მოვალეობები	144

თავი V

სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯალობა

§1. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება	148
§2. განსჯალობის ცნება	151
§3. განსჯალობის სახეები	152
I. გვარობითი განსჯალობა	152
II. ტერიტორიული განსჯალობა	152
III. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია	160
§4. საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან მეორეში	160
§5. განსჯალობის წესების დარღვევის შედეგები	162

თავი VI

საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

§1. სასამართლო წარმომადგენლობის ცნება და სახეები	164
§2. ნებაყოფლობითი (ხელშეკრულებითი) წარმომადგენლობა	166
I. სასამართლოს უარი პირის წარმომადგენლად დაშვებაზე	168
§3. იურიდიული პირის წარმომადგენლობა	169
§4. წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები	170
I. წარმომადგენლის მიერ სხვა ადვოკატის ან თანაშემწის დახმარების გამოყენება	172
II. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება	172
§5. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა	175
I. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ	175
II. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა თვით წარმომადგენლის მიერ	176
III. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა მხარეთა ნების გარეშე	177

§6. კანონიერი წარმომადგენლები	177
§7. საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი)	180
I. საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა ქმედუნარო მოპასუხისათვის	180
II. საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა ქმედუნარო მოსარჩელისათვის	181
III. საპროცესო წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები	182

თავი VII

ვადები სამოქალაქო პროცესში

§1. საპროცესო ვადების მნიშვნელობა და სახეები	183
§2. საპროცესო ვადების გამოთვლა და დამთავრება	186
§3. საპროცესო ვადის შეჩერება, გაგრძელება და აღდგენა	189
§4. საპროცესო ვადის გასვლის შედეგი	191

თავი VIII

პროცესის ხარჯები

§1. პროცესის ხარჯების ცნება და შინაარსი	193
§2. სახელმწიფო ბაჟი	194
1. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საფუძველები	195
2. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა	195
3. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი	196
§3. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები	197
§4. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება	199
§5. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება, განაწილვა და მათი ოდენობის შემცირება	201
§6. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის	201

თავი IX

სასამართლო მტკიცებულება

§1. ფაქტების დამტკიცების აუცილებლობა. სასამართლო მტკიცების ცნება	204
§2. მტკიცების საგანი	209
I. მტკიცების საგნის ცნება და განსაზღვრის კრიტერიუმი	209

II. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ დამტკიცებას	216
§3. ფაქტების მითითების ტვირთი	220
§4. ფაქტების დამტკიცების ტვირთი	223
§5. დამტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა	225
I. დამტკიცების ტვირთის სუბიექტები	225
II. დამტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა	226
§6. დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლები. პრეზუმმნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში	228
§7. მტკიცებულების ცნება სამოქალაქო პროცესში	234
§8. მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნილობა	237
§9. მტკიცებულებათა შეფასება	239
§10. მტკიცებულებათა სახეები	242
I. მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტება. ფაქტის აღიარება	242
II. წერილობითი მტკიცებულება	246
III. მოწმის ჩვენება	249
IV. ნივთიერი მტკიცებულება	255
V. ექსპერტის დასკვნა	257
§11. ადგილზე დათვალიერება	263
§12. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა	266

**ნაკვეთი მეორე
სასარჩელო წარმოება**

**თავი X
სარჩელი**

§1. სარჩელის ცნება	270
I. სარჩელი როგორც საპროცესო სამართლის ინსტიტუტი	270
II. სარჩელის ელემენტები	271
1. სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა	271
2. სარჩელის საგანი	272
3. სარჩელის საფუძველი	275
4. სარჩელის შეცვლა	276
§2. სარჩელის სახეები (სარჩელების საპროცესო სამართლებრივი კლასიფიკაცია)	279
I. მიკუთვნებითი სარჩელები	280

II.	ალიარებითი სარჩელები	282
III.	გარდაქმნითი სარჩელები	285
§3.	სარჩელის უფლება. სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები	288
§4.	სარჩელის ფორმა და შინაარსი	295
I.	სარჩელის ფორმა	295
II.	სარჩელის შინაარსი	296
III.	სარჩელის ხარვეზის ცნება და შევსების წესი	298
IV.	სარჩელის უმოძრაოდ დატოვება	299
§5.	სარჩელის უზრუნველყოფა	299
I.	ცნება	299
II.	განცხადების შინაარსი	300
III.	უზრუნველყოფის ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცების ტვირთი	300
IV.	ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა	302
V.	განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ	302
VI.	სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (მოპასუხის ინტერესების დაცვა)	303

თავი XI
მოკასუხის სარჩელისაგან თავდაცვის
საშუალებები

§1.	თავდაცვის საშუალებათა სახეები	306
I.	სარჩელის უარყოფა (არცნობა)	306
II.	პროცესუალური შესაგებელი	307
III.	მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი	309
IV.	მოსარჩელის საპასუხო შესაგებელი	313
V.	შესაგებლის ფორმა	314
VI.	შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები	316
§2.	შეგებებული სარჩელი	316
I.	შესაგებელი თუ შეგებებული სარჩელი: დაცვის საშუალებათა არჩევა	316
II.	შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები	317
III.	შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა	319
IV.	შეგებებული სარჩელის მიღება და განხილვა	320

თავი XII
საქმის წინასწარი მომზადება ზეპირი
განხილვისათვის

§1. სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება, როგორც საქმის წარმოების პირველი ეტაპი და მისი მნიშვნელობა	323
§2. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის მომზადების მიზნით	325
I. მოპასუხისაგან წერილობითი შესაგებლის გამოთხოვა	325
II. სარჩელისა და შესაგებლის საფუძველში მითითებული ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება. მტკიცების საგნის განსაზღვრა	326
III. მტკიცებულებათა შეგროვება	328
IV. საქმეში მონაწილე პირთა განსაზღვრა	328
V. მოსამზადებელი სხდომა	330
VI. სასამართლოს მთავარი სხდომის (ზეპირი განხილვის) დანიშვნა	331
§3. შეტყობინება და დაბარება	333

თავი XIII
საქმის არსებითად განხილვა სასამართლოს
მთავარ სხდომაზე

§1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა და წესი	336
I. სასამართლოს მთავარი სხდომის ცნება და მნიშვნელობა	336
II. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობის გარკვევა	337
III. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. მოსამართლის მოხსენება საქმის არსის შესახებ	339
IV. მტკიცებულებათა გამოკვლევა	342
V. მხარეთა პაექრობა. სასამართლოს ხელმძღვანელობა მხარეთა შეჯიბრებისადმი	343
VI. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა	345
VII. სასამართლოს დადგენილებათა სახეები	347
§2. საქმის განხილვის გადაღება	347
I. ცნება და დასაშვებობა	347
II. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის განხილვის გადაღების შემთხვევაში	349

§3. საქმის წარმოების შეჩერება	350
§4. საოჯახო საქმეების განხილვის თავისებურებანი	354
§5. რეკეტული ქონების ჩამორთმევის თაობაზე აღძრული სარჩევების განხილვის თავისებურებანი	356

თავი XIV

სასამართლო გადაწყვეტილება

§1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები	358
I. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და მნიშვნელობა	358
II. გადაწყვეტილების სახეები	360
III. გადაწყვეტილების შინაარსი	364
IV. გადაწყვეტილების ნაკლი და მისი გასწორების წესი	370
1. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება	371
2. დამატებითი გადაწყვეტილება	372
3. გადაწყვეტილების განმარტება	374
§2. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა	375
I. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება. ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა	375
II. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები	378
III. გადაწყვეტილების დროითი ფარგლები	381
IV. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები	382
V. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა	386
§3. სასამართლო განჩინება	388
I. განჩინების მიღება	388
II. განჩინების მიღების წესი	388
III. განჩინების შინაარსი და კანონიერი ძალა	390

თავი XV

დაუსწრებელი წარმოება

§1. დაუსწრებელი წარმოების ცნება და მნიშვნელობა	392
§2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წინაპირობები	394
I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და საფუძველი	394

II.	დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წინაპირობები	395
III.	დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო	398
IV.	დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო	399
V.	ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები	402
§3.	დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება	403
I.	საჩივრის შინაარსი	403
II.	საჩივრის დასაშვებობის შემოწმება	404
III.	საჩივრის დასაბუთებულობის ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების შემოწმება	405
IV.	მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების წესი	407

თავი XVI

საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

§1.	საქმის დამთავრების ფორმები	409
I.	საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და შედეგი	409
II.	სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და შედეგი	412

ნაკვეთი მესამე

გამარტივებული წარმოება

თავი XVII

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის განხილვის გარეშე

§1.	თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის თავისებურებანი	415
I.	განსჯადობა	415
II.	თამასუქის შესახებ სარჩელების წარმოებაში მიღების წინაპირობები	416
III.	საქმის განხილვის გამარტივებული წესი	417

თავი XVIII
დავალიანების გადახდვინების შესახებ
საქმის განხილვის გამარტივებული წესი
(გადახდის ბრძანების მიღება)

§1. დავალიანების გადახდვინების გამარტივებული წესით განხილვის მიზანი და საფუძვლები	420
I. მიზანი	420
II. დასაშვებობა	420
III. გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების შინაარსი	421
§2. გადახდის ბრძანება	424
I. გადახდის ბრძანების შინაარსი	424
II. გადახდის ბრძანების გადაცემა მოპასუხისათვის	425
III. გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის განხილვა საერთო სასარჩელო წესით	425

თავი XIX
ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის
განხილვის გამარტივებული წესი

§1. განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე	427
§2. სასამართლოს ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ	428

ნაკვეთი მეოთხე
უდავო წარმოება

თავი XX
უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები

§1. უდავო წარმოების ცნება	430
§2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა	431
I. იურიდიული ფაქტის დადგენის წინაპირობები	435
II. სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ	436
§3. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება	438

§4. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება	441
I. საფუძველი	441
II. საქმის განხილვაში მონაწილე პირები	443
III. მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა	444
IV. შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმება და მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება	445
§5. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და სოფელს ფასიან ქალაქზე უფლებებს აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)	446
§6. ქონების უპატრონოდ ცნობა	449
§7. შვილად აყვანა	451

ნაკვეთი მესამე
სასამართლო გადაწყვეტილებათა ბასაჩივრება

თავი XXI
აკველაცია

§1. აკველაციის არსისა და მნიშვნელობის შესახებ. სააკველაციო სასამართლოს ქართული მოდელი	455
§2. საქმის წარმოება სააკველაციო სასამართლოში	459
I. სააკველაციო საჩივრის ობიექტი, ანუ სასამართლოს რომელ დადგენილებაზე შეიძლება სააკველაციო საჩივრის შეტანა	459
II. სააკველაციო საჩივრის უფლების სუბიექტი, ანუ ვის შეუძლია სააკველაციო საჩივრის შეტანა	461
III. სააკველაციო საჩივრის დასაბუთება	462
IV. სააკველაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები	464
V. სააკველაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შედეგები	468
§3. შეგებებული სააკველაციო საჩივარი	469
I. შეგებებული სააკველაციო საჩივრის ცნება და სახეები	469
II. შეგებებული სააკველაციო საჩივრის დასაშვებობა	471
III. შეგებებული სააკველაციო საჩივრის სახეები	471
§4. საქმის განხილვა სააკველაციო სასამართლოში	472
I. საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის	472
II. საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე	474

1.	საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის წესი	474
2.	ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის წინაპირობები სააპელაციო სასამართლოში	475
III.	გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები და სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება	479
IV.	საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა	481
V.	დაუსწრებელი წარმოება აპელაციაში	484
§5.	სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება	485
I.	გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანის საფუძვლები	485
II.	სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება	486

თავი XXII კასაცია

§1.	კასაციის იურიდიული ბუნება და მიზანი. კასაციის ქართული მოდელი	491
I.	კასაციის იურიდიული ბუნება	491
II.	კასაციის მიზანი	493
§2.	საკასაციო საჩივარი	495
I.	საკასაციო საჩივრის ობიექტები და სუბიექტები	495
II.	საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წინაპირობები	498
1.	საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები	498
2.	საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები	502
3.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის წინაპირობები	509
III.	შეგებებული საკასაციო საჩივარი	510
§3.	საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში	513
I.	საკასაციო საჩივრის შემოტანის შედეგები	513
II.	გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები	517
1.	საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა	517
2.	სამართლის ნორმების დარღვევის შემოწმების ფარგლები	519
III.	საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება	521
1.	გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგები	521

2. საკასაციო სასამართლოს შემხებლობა ფაქტებთან.
 საქმის ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა
 გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმებისათვის 522

თავი XXIII
კერძო საჩივარი

- §1. კერძო საჩივრის ცნება, ობიექტი და სუბიექტები 530
- I. ცნება 530
- II. კერძო საჩივრის ობიექტი, სუბიექტი და დასაშვებობის
 წინაპირობები 531
- §2. კერძო საჩივრის განხილვის თავისებურებანი 534
- I. კერძო საჩივრის განხილვა გასაჩივრებული განჩინების
 გამოძტანი სასამართლოს მიერ 534
- II. კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომი სასამართლოს
 მიერ. კერძო საჩივრის შეტანის შედეგები 535

თავი XXIV
საქმის წარმოების განახლება

- §1. საქმის წარმოების განახლების ობიექტი და სახეები 539
- I. განახლების ობიექტი 539
- II. საქმის წარმოების განახლების სახეები და საფუძველი 540
- III. განსჯადობა 543
- §2. განცხადების დასაშვებობა 546
- I. განცხადების შინაარსი 546
- II. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების
 დასაშვებობის შემოწმება 548
- III. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების
 საფუძვლიანობის შემოწმება 549

ნაკვეთი პირველი

ზოგადი საკითხები

თავი I

სამოქალაქო მართლმსაჯულება

§1. პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში 1997 წელს გატარებულ სასამართლო რეფორმას

1997 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. ეს კანონი არის სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი, რომლის პროექტი შემუშავდა სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

სასამართლო რეფორმის კომისიას უნდა გადაეწყვიტა მრავალი საკითხი და მათ შორის განესაზღვრა პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა სასამართლო რეფორმას საქართველოში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ ფუნდამენტური ხასიათის პრინციპს, რომელსაც დაეფუძნა სასამართლო რეფორმა, რომლებზეც აიგო სასამართლო სისტემა საქართველოში.

საგანგებოდ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: 2005 წელს სასამართლო სისტემაში გატარებულმა ზოგიერთმა ცვლილებამ არამართო არ გადაუხვია ამ პრინციპებიდან, არამედ კიდევ უფრო გამოიკვეთა მათი განუხრელად დაცვის აუცილებლობა.

I. პროფესიული სასამართლო

კანონი საერთო სასამართლოების შესახებ ამკვიდრებს პროფესიულ სასამართლოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოები საქმეებს განიხილავენ მსაჯულების გარეშე ერთი ან ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით. ეს არსებითი ხასიათის ნოველაა, რომლის შემუშავებას წინ უსწრებდა, ჯერ-ერთი, ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და რომელმაც გვიჩვენა კონკრეტულ საქმეთა განხილვაში მსაჯულთა ფორმალური მონაწილეობის არნახული

მსსწრ. აკს. აერეოკე თითქმის გადაულახავი სიძნელები, რასაც მოსამართლეები აწვდებიან მსაჯულთა მოწვევისა და მათი მონაწილეობით სასამართლო კოლეგიის ფორმირების დროს და მეორე – საზღვარგარეთის იმ ქვეყნების ვაკოცდალება. სადაც მსაჯულთა და მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დღესაც მოქმედებს, მაგრამ მათი მონაწილეობით საქმეთა განხილვის კოეფიციენტი არ აღემატება 2-დან 5 პროცენტს.

რას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და რით განსხვავდება იგი ჩვენში ადრე მოქმედ სახალხო მსაჯულთა სასამართლოსაგან?

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ისე როგორც სახალხო მსაჯულთა სასამართლო, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა.

სახალხო მსაჯულების მონაწილეობით საქმეთა განხილვა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაინერგა, წარმოადგენს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გერმანიაში წარმოშობილ და გარკვეული კატეგორიის საქმეებზე იქ დღესაც მოქმედ შეფენების სასამართლოს სახესხვაობას. ისე როგორც შეფენები, ჩვენში მოქმედი მსაჯულები პროფესიულ მოსამართლესთან ერთად ქმნიდნენ განუყოფელ კოლეგიას: მათ აქვთ თანაბარი უფლებები და მონაწილეობენ არამარტო ბრალისა და სასჯელის საკითხების ერთობლივად გადაწყვეტაში, არამედ საქმის განხილვის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხის გადაწყვეტაში, ერთად გადიან სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მისი ფუნდამენტური მახასიათებელი, რომლის გარეშე სასამართლო ვერ ჩაითვლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდ – ესაა ფუნქციების გამიჯვნა ნაფიც მსაჯულთა და პროფესიულ მოსამართლეთა შორის: ნაფიცი მსაჯულები პროფესიულ მოსამართლისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე წვევტენ ფაქტის საკითხს, ხოლო იურიდიულ საკითხს, უფრო ზუსტად, ნაფიც მსაჯულთა მიერ დადგენილ ფაქტებს, იურიდიულ შეფასებას აძლევენ ერთპიროვნულად პროფესიული მოსამართლე. თუ მსაჯულებს და მოსამართლეს შორის ფუნქციები არაა გამიჯნული და საქმის განხილვის პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს ერთობლივად წვევტენ მსაჯულები და მოსამართლე – ასეთ სასამართლოს არ შეიძლება ვუწოდოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა, ვთქვათ ექვსამდე, თორმეტამდე ან უფრო მეტად, ვერასდროს ვერ მოგცემს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, თუ არ მოხდება ფუნქციების გამიჯვნა ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეს შორის. ეს იგივე სახალხო მსაჯულების სასამართლო იქნება ერთიანი და

განუყოფელი კოლეგიის შენარჩუნებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში უბრალოდ კოლეგია გაფართოვდება.¹

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არამართო ღირსებების, არამედ მისი ისეთი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მხედველობაში მიღებით, რომლებზეც მიუთითებენ იმ ქვეყნების იურისტები, სადაც ასეთი სასამართლოები მოქმედებენ, აგრეთვე იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც ჩვენი ხალხი ამ ეტაპზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა – კომისიამ უპირატესობა მიანიჭა სამოქალაქო საქმეებზე პროფესიულ მოსამართლეთა სასამართლოს შემოღებას. მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვა შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ როგორც გამონაკლისი, ზოგიერთი სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის დროს.

II. მოსამართლეთა კვალიფიციურობა და კომპეტენტურობა

ცნობილია, რომ ყველაზე იდეალური სასამართლო სისტემაც ვერ მოგვეცემს სასურველ ეფექტს, თუ სასამართლო კორპუსი არაა დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით. ამის შესახებ მითითებებს შეიცავს მრავალი საერთაშორისო აქტი და მათ შორის ევროპის საბჭოს რეკომენდაცია №12 (94) 12 და მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია. აღნიშნული რეკომენდაციის განმარტებით შემორანდუმში კერძოდ ნათქვამია: „იმის საგარანტიოდ, რომ კანონი სწორად იქნება გამოყენებული სრულიადაც არ კმარა, რომ მოსამართლედ შერჩევის დროს კანდიდატს ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია. მოსამართლეებმა უნდა გაიარონ შესაფერისი მომზადება როგორც თანამდებობაზე გამწესებამდე, ისე მის შემდეგ – მთელი კარიერის განმავლობაში“.²

საქართველოს ახალი სასამართლო სისტემა ორიენტირებულია სწორედ მოსამართლის მაღალ კვალიფიციურობაზე და კომპეტენტურობაზე, მის მაღალ კულტურაზე და განათლებულობაზე. ჩვენი კანონები სასამართლო რეფორმის სფეროში ეფუძნებიან იმ დებულებას, რომ მხოლოდ მაღალპროფესიულ, მაღალგანათლებულ მოსამართლეს შეიძლება მიენდოს მართლმსაჯულების აღსრულება.

¹ დაწერილებით იხ. თ.ლილუაშვილი, გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? ჟურნ. „სამართალი“, 1992, №5, გვ. 2.

² მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები. თბ. 2001, გვ. 24.

როგორ და რა გზით ავამაღლოთ მოსამართლის კვალიფიკაცია, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მოსამართლის მაღალი თანამდებობა დაიჭიროს მხოლოდ მაღალკვალიფიციურმა პიროვნებამ?

აი კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება ნებისმიერი სხვა ქვეყნის წინაშეც იდგა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირობებში ამ პრობლემას და მის გადაჭრის გზებს გააჩნია თავისებურებანი, რომლის გაუთვალისწინებლობას შეიძლება მოყვეს მართლმსაჯულების პარალიზება. ეს თავისებურება მთლიანად განპირობებულია იმ ახალი სამართლებრივი სივრცით, რომელშიაც ჩვენ შევედით.

საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დრომდე ჩვენ ეცხოვრობდით სულ სხვა სამართლებრივ სისტემაში, რომელიც ცნობილი იყო სოციალისტური სამართლებრივი სისტემის სახელწოდებით, ამჟამად კი საქართველოში შემუშავდა, მიღებულია და მოქმედებენ ახალი კანონები, რომლებიც ეფუძნებიან საბჭოთა სოციალისტური სამართლებრივი სისტემისაგან არსებითად განსხვავებულ სხვა სამართლებრივ სისტემას. დღეს შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: ჩვენ უკვე აღარ ვეკუთვნივთ სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ოჯახს. ჩვენ უკვე ვეკუთვნივთ სამართლებრივ სისტემას, რომელიც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის სახელწოდებითაა ცნობილი.

მაგრამ სამართლებრივ სფეროში ამ რადიკალურმა და სასიკეთო ცვლილებებმა თავის მხრივ წარმოშვა სერიოზული და ურთულესი კოლიზია ერთის მხრივ ახალ სამართლებრივ სისტემასა და მეორეს მხრივ იურისტთა პროფესიული განათლების ხასიათსა და შინაარსს შორის: ბევრი მაშინდელი მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი აღიზარდა სოციალისტური სამართლის პრინციპებზე და ნორმებზე, ხოლო დღეს უკვე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ სულ სხვა სამართლებრივ სივრცეში, სულ სხვა სამართლებრივ სისტემაში, რომლის პრინციპები და ნორმები მათ არ შეუსწავლიათ, არადა მათ წინ უდევთ საქმეები, თანაც დიდი რაოდენობით და რთული საქმეები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სწორედ ამ ახალი კანონმდებლობის შესაბამისად.

უფრო მეტიც, მათ სასამართლო პროცესებიც ახლებურად უნდა ჩაატარონ. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო სასამართლო წარმოება, სამოქალაქო პროცესი აგებულია არა სამიხედრო, ანუ არა ინკვიზიციურ, არამედ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც ამ პრინციპებზეა აგებული.

აი, მხოლოდ ზოგიერთი პრობლემა, ზოგიერთი ისეთი ფაქტორი, რომლებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მიღებული მხედველობაში, რათა სწორად

აგვეგო ჩვენს ქვეყანაში მოსამართლეთა სწავლება, მოსამართლეთა მომზადება და გადამზადება.

ვფიქრობ ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ყველა ეს პრობლემა და ფაქტორი დანახული იქნა ჯერ კიდევ 1996 წელს, როდესაც მართალია მიღებული იყო ზოგიერთი ახალი კანონი (მაგალითად კანონი მეწარმეთა შესახებ), მაგრამ კერძო და საჯარო სამართლის ზოგიერთი ფუნდამენტური კანონი, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ და სხვა მხოლოდ პროექტების სახით არსებობდნენ.

იმისათვის, რომ დაეხმარებოდით მოსამართლეებს ახალი კანონმდებლობის შესწავლაში, აგრეთვე ამ ახალი კანონმდებლობის ბაზაზე საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაში მიღებულ იქნა, მე ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება – შექმნილიყო საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სადაც ახალი კანონმდებლობის ბაზაზე სწავლებას გაივლიან მოსამართლეები, მოსამართლეების თანაშემწეები, და მოსამართლეობის პრეტენდენტები.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სასამართლო რეფორმის პირველ ეტაპზე საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს, სხვა ქვეყნების ანალოგიური სასწავლო ცენტრებისაგან განსხვავებით ორმაგი დატვირთვა ექნებოდა: მან თავის მსმენელებს უნდა ასწავლოს არამარტო კანონმდებლობის სწორად გამოყენების, სასამართლო პროცესების ჩატარების, სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღებისა და ფორმირების ხელოვნება, არამედ უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ძველისაგან არსებითად განსხვავებული ახალი კანონმდებლობა, რომელიც მათ არ უსწავლიათ უნივერსიტეტში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იუსტიციის სასწავლო ცენტრს დაეცისრა ფუნქცია, რომელსაც ჩვეულებრივ ვითარებაში ასრულებს უნივერსიტეტი. ეს არ იყო სასურველი, მაგრამ ეს იყო ჩვენ პირობებში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რადგან სხვა უფრო მისაღები გზა მოსამართლეთა ცოდნაში სამართლებრივი რეფორმით გამოწვეული ხარვეზის შესავსებად არ არსებობდა.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ამჟამად? ვითარება ამჟამად შეიცვალა, სასამართლო რეფორმა ძირითადად დასრულდა, სასამართლოები დაკომპლექტდა მოსამართლეებით, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო და საკონკურსო გამოცდები. მოსამართლეთა მომზადებისა და გადამზადების სფეროში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელიც ახალ ამოცანებს სახავს სამოსამართლო სწავლების წინაშე. მოსამართლეთა კანდიდატების მომზადება, აგრეთვე

მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება უნდა განთავისუფლდეს იმ ფორმებისაგან, რომლებიც საუნივერსიტეტო განათლებისათვისაა დამახასიათებელი. მათი სწავლების ფორმები და მეთოდები მთლიანად უნდა ემსახურებოდეს ერთ მთავარ მიზანს: კვალიფიციურად დაეუფლონ მოსამართლის ხელოვნებას, წარმატებულად განახორციელონ თავიანთი პროფესიული მოვალეობა.

III. მოსამართლეთა სპეციალიზაცია

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება დღითი დღე ფართოვდება და მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. ეს ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია: სამართლის მეშვეობით რეგულირდება ისეთი სფეროები, რომლებიც წინათ სხვა სოციალური ნორმებით წესრიგდებოდა.

ამას ისიც ემატება, რომ სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების ზეგავლენით წარმოიშობა ახალი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც აგრეთვე სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ. ასეთი ვითარება ობიექტურად წარმოშობს სასამართლოს სპეციალიზაციის აუცილებლობას. საქმე ისაა, რომ შეუძლებელია მოვთხოვოთ ერთ რომელიმე მოსამართლეს ყველა იმ ნორმების ცოდნა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სფეროებს არეგულირებენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი შეიქნა სპეციალიზაცია. არსებობდა სპეციალიზაციის ორი ვარიანტი: ერთი – სპეციალიზებული სასამართლოების შემოღება, როგორცაა მაგალითად, შრომის სასამართლო, საჟინანსო სასამართლო, ადმინისტრაციული სასამართლო, სოციალური საკითხების სასამართლო და ა.შ. ე.ი. სასამართლოები, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეებს და, მეორე – მოსამართლეთა სპეციალიზაცია, ე.ი. სასამართლო განიხილავს მის განსჯად ყველა საქმეს (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, შრომის და ა.შ. საქმეებს), მაგრამ ამა თუ იმ კატეგორიის საქმეს, მაგალითად შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებს, საოჯახო საქმეებს, ადმინისტრაციულ საქმეებს და ა.შ. განიხილავს ამ სასამართლოს ის მოსამართლე, რომელიც დასპეციალებულია ასეთ საქმეების განხილვაში.

უპირატესობა ჩვენი პირობების გათვალისწინებით მიენიჭა მეორე ვარიანტს – მოსამართლეთა სპეციალიზაციას. კანონმდებელმაც ეს ვარიანტი მიიღო. სასამართლო რეფორმის პირველ ეტაპზე კანონი ითვალისწინებს პირ-

ველი ინსტანციის დონეზე მოსამართლეთა სპეციალიზაციის მხოლოდ ორ სფეროს – სამოქალაქო სამართალს და სისხლის სამართალს. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე, რომელიც დასპეციალებულია სამოქალაქო საქმეების განხილვაში, აღარ გაარჩევს სისხლის სამართლის საქმეებს და პირიქით. ასეთი ფართო მასშტაბის სპეციალიზაცია, ცხადია, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, მაგრამ კანონი შეიცავს ერთ მნიშვნელოვან დებულებას: სასამართლოებში სადაც ორზე მეტი მოსამართლეა შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლი). ასეთი სპეციალიზაცია გათვალისწინებულია არამარტო პირველი ინსტანციის, არამედ ზემდგომი სასამართლო ინსტანციების დონეზეც, რაც უზრუნველყოფს იმ კონკრეტულ საქმეთა ზუსტ სამართლებრივ ანალიზს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გართულებული სამართლებრივ ურთიერთობიდან გამომდინარეობენ.

მიგვაჩნია, რომ მოსამართლეთა სპეციალიზაცია, ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით, არამარტო ობიექტური აუცილებლობით ნაკარნახევი, არამედ დიდი პერსპექტივის მქონე მიმართულებაა, რომლის კიდევ უფრო დახვეწა და განვითარება დიდ სარგებლობას მოუტანს მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების საქმეს, სასამართლოს ავტორიტეტის ამაღლებას.

IV. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა

რეფორმამდელი სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების პარალიზებაში, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, სრულიად გარკვეული როლი შეასრულა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების უქონლობამ, მისმა სრულმა დამოკიდებულობამ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.³ არადა, მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანო სასამართლო, აუცილებლად უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთა გარეშე მისი საქმიანობა ვერ ჩაითვლება მართლმსაჯულებად. ამ მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი – ესაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ეს დიდი ზანია ცნობილი და, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია. ამ პრინციპის რეალიზაციის, ანუ მისი რეალურად დამკვიდრების მიზნით შემუშავდა და საკანონმდებლო წესით განმტკიცდა ისეთი იურიდიული

³ თ. ლილუაშვილი. სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. ჟურნ. „სამართალი“, 1992, №3, გვ. 2-8.

მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და რომლებიც წარმატებულად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში.

გარდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა გათვალისწინებული იქნა აგრეთვე გაეროს 1985 წლის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები, აგრეთვე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია №R(94)12 „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ“.

პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნდამენტურმა პრინციპებმა თავისი ასახვა პოვეს საქართველოს კონსტიტუციაში. კერძოდ, კონსტიტუციით განსაზღვრულია სასამართლოს ადგილი ხელისუფლების მექანიზმში. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპებზე დაყრდნობით. ამის შესაბამისად, კონსტიტუციამ დაამკვიდრა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან (82-ე მუხლი). გაეროსა და ევროპის საბჭოს ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს კონსტიტუციამ, აგრეთვე მის საფუძველზე შემუშავებულმა სხვა კანონებმა, როგორცაა საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, „საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი“ – იურიდიულად განამტკიცეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ისეთი ფუნდამენტური გარანტიები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების აქტების სავალდებულობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ამ აქტების გადასინჯვის დაუშვებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ანუ მათი გაუქმების, შეცვლის თუ შეჩერების დაუშვებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, საქმეთა განხილვა მხოლოდ მიუკერძოებელი სასამართლოს (მოსამართლის) მიერ, მართლმსაჯულების განხორციელება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც უზრუნველყოფს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას, მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის, თუ ორგანიზაციის წევრობასთან და ა.შ.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბების ინტერესები მოითხოვენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, შემუშავდა და საკანონმდებლო წესით განმტკიცდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და გაეროსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ რეკომენდირებული პრინციპები, რომლებმაც უნდა შეუქმნას თვით მოსამართლეებს დამოუკიდებლობის განწყობა, ხოლო აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს აღუკვეთოს შესაძლებლობა გაატაროს მათ მიმართ რაიმე არამართლზომიერი ღონისძიება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად განმტკიცებულია ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, როგორცაა მოსამართლის დანიშვნა გარკვეული კანონით გათვალისწინებული ვადით, მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან ვადამდე განთავისუფლების აკრძალვა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და საფუძვლებით, მოსამართლის პროფესიული კარიერის, მისი კანდიდატურის შერჩევის, მოსამართლის დაწინაურებისა და წახალისების რაციონალური სისტემის დამკვიდრება, მოსამართლედ პირის შერჩევის დროს ისეთი ობიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, როგორცაა კვალიფიკაცია, პატიოსნება, უნარიანობა და ა.შ. მოსამართლისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ, მოსამართლის ხელშეუხებლობა, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედების ან მის საქმიანობაში ჩარევის, ზეწოლის ან მუქარის აკრძალვა, რაც ხელს შეუშლის მას მიიღოს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება, ასეთი ზემოქმედების დასჯად ქმედებად გამოცხადება და ა.შ.

V. რატომ ვერ შევთავაზეთ მოსამართლეთა დანიშვნის იდეალური მოდელი

1. მოსამართლეთა დანიშვნის იდეალურ მოდელად ითვლება ის მოდელი, რომელიც რეკომენდირებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებული რეკომენდაციებით, აგრეთვე, ამავე მინისტრთა კომიტეტის 1998 წელს დამტკიცებული „მოსამართლეთა სტატუსის ევროპული ქარტიით.“⁴ ამ მოდელის არსი შემდეგში მდგომარეობს:

⁴ იხ. წიგნი „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები. თბ. 2001 წელი. გვ. 9 და 32.

პირველი – ყველა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მოსამართლის პროფესიულ კარიერას, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს. მოსამართლის შერჩევა უნდა ემყარებოდეს კანდიდატის ღირსებებს, რომელიც მის კვალიფიკაციას, პატიოსნებას, უნარიანობას და ეფექტიანობას შეეხება.

მეორე – ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეთა შერჩევისა და დაწინაურების შესახებ „დამოუკიდებელი უნდა იყოს ხელისუფლებისა და აღმინისტრაციისაგან. ამ დამოუკიდებლობის მისაღწევად, კანონმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წევრები არჩეულ იქნან სასამართლო ხელისუფლების მიერ და ამ ორგანომ თვითონ შეიმუშაოს თავისი საპროცედურო წესები“.

ასეთია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის პირველი პრინციპის მოთხოვნები.

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით და მის აღსასრულებლად ევროპის საბჭომ დაამტკიცა „მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია“, რომლის 1.3 პუნქტის თანახმად:

„შერჩევის, სამსახურში მიღების, დანიშვნის, დაწინაურებისა და მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე თითოეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს ჩარევას, რომლის შემადგენლობის ნახევარი მაინც მისი თანასწორების მიერ არის არჩეული, რაც სასამართლო ხელისუფლების ფართო წარმომადგენლობას უზრუნველყოფს“.

მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტიის განმარტებით შემორანდუმში აღნიშნულია, რომ:

„წამოიჭრა დამოუკიდებელი ორგანოს წევრთა შემადგენლობის საკითხი. ქარტია პირობად აყენებს, რომ ამ ორგანოს წევრთა სულ ცოტა ნახევარს მაინც მათივე თანასწორთა მიერ არჩეული მოსამართლეები უნდა შეადგენდნენ. ეს ნიშნავს ერთი მხრივ, რომ არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ მოსამართლეები უმცირესობაში იყვნენ, ხოლო მეორე მხრივ, არც ის არის სავალდებულო, რომ ისინი უმრავლესობას ქმნიდნენ. ევროპულ ქვეყნებში სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომებისა და დებატების შედეგად, იმპლავრა აზრმა, რომ დამოუკიდებელ ორგანოში მოსამართლეთა მინიმუმ 50%-იან წარმომადგენლობას შესწევს უნარი უზრუნველყოს დაცვის მაღალი გარანტიები... ქარტია ადგენს, რომ

დამოუკიდებელი ორგანოს წევრი მოსამართლეები არჩეული უნდა იქნან მათი თანასწორების მიერ, რამდენადაც მათი თანაარსი „დამოუკიდებლობა“ გამორიცხავს მისი წევრების არჩევასა თუ დანიშვნას პოლიტიკური ორგანოს მიერ, რომელიც მიეკუთვნება აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ხელისუფლებას. ამგვარი პროცედურით მოსამართლეების დანიშნისას გაჩნდებოდა პარტიულ-პოლიტიკური მიკერძოების რისკი“.

ამრიგად, გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წელს დაბტკიცებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ რეკომენდაციის და მოსამართლეთა სტატუსის ევროპული ქარტიის შესაბამისად – მოსამართლეთა დანიშნისა და დაწინაურების იდეალურ მოდელად ითვლება:

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომლის შემადგენლობის ნახევარს (50%-ს) მაინც შეადგენენ მოსამართლეები, რომლებიც არჩეული არიან მათივე თანასწორთა, ე.ი. მოსამართლეთა კორპუსის მიერ.

შეეძლო თუ არა საქართველოში სასამართლო რეფორმის კომისიას ამ მოდელის გადმოღება?

არა, არ შეეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო რომ საქართველოს უკლებლივ ყველა მოსამართლეს უნდა შესწყვეტოდა უფლებამოსილება, ხოლო რეფორმირებულ სასამართლო სისტემის ახალ რგოლებში (საფეხურებში) მოსამართლის კანდიდატების შერჩევა და დანიშვნა შეიძლებოდა მხოლოდ სრულიად ახალი წესების დაცვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსამართლეთა კანდიდატების წამოყენებას და დანიშვნას ვერ მივანდობდით იმ მოსამართლეებს, რომლებსაც ჯერ თვითონაც არ ჰქონდათ ჩაბარებული სამოსამართლო (საკვალიფიკაციო) გამოცდები, არ ჰქონდათ გავლილი კონკურსი და არ იყვნენ დანიშნული მოსამართლეებად კანონით დადგენილი წესით.

აუცილებელი შეიქმნა სხვა მოდელის შექმნა.

ამ „სხვა მოდელის“ შექმნისას მხედველობაში იყო მისაღები და აუცილებლად გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ სასამართლო რეფორმა მოითხოვდა არამარტო მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და დანიშნის ახალ წესებს, არამედ მათი მომზადებისა და შემდგომ გადამზადების, მათთვის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების ორგანიზაციის, კონკურსის ჩატარების

წესებისა და უამრავი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების აუცილებლობას. ამ „სხვა მოდელზე“ მუშაობის დროს სასამართლო რეფორმის კომისიას დიდი დახმარება გაუწია გაეროსა და ევროპის საბჭოს ზემოთ დასახელებულმა კონვენციებმა, რეკომენდაციებმა და ქარტიამ. კერძოდ, ევროპის საბჭოს ზემოთ დასახელებული რეკომენდაციის (№R(94)12) I პრინციპის „გ“ პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით იქ სადაც კონსტიტუცია, სხვა კანონმდებლობა ანდა სამართლებრივი ტრადიციები საშუალებას იძლევა მოსამართლე ინიშნებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, იმის გარანტია მაინც უნდა არსებობდეს, რომ დანიშნვის პროცედურა გამჭვირვალე და პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყოს და რომ არჩევანზე არაფერი აზღენდეს გავლენას გარდა ზემოთ დასახელებული ობიექტური კრიტერიუმებისა. ეს არის შემდეგი გარანტიები:

- I. სპეციალური დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანოს არსებობა, რომლის რჩევასაც, ხელისუფლება, როგორც წესი, გაითვალისწინებს;
- II. ინდივიდის უფლება, გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე.
- III. ხელისუფლება, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, უნდა უზრუნველყოფდეს არასათანადო და დაუშვებელი ზეგავლენის თავიდან აცილებას⁵.

ფაქტიურად იგივე მოთხოვნებს შეიცავს ზემოთ დასახელებული „მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია“, რომელიც დამტკიცებული იქნა მოგვიანებით, 1998 წლის 8-10 ივლისს.

გაეროსა და ევროპის საბჭოთა ზემოთ დასახელებულ კონვენციებისა და რეკომენდაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით თავდაპირველად შევიმუშავეთ და განსახილველად გამოვაქვეყნეთ „სასამართლო რეფორმის კონცეფცია“⁶, რომელშიც დასაბუთებული იყო მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს შექმნის აუცილებლობა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, კერძოდ ამავე 1993 წელს გამოქვეყნდა კანონის პროექტი „მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ“.

⁵ იხ. ევროპის საბჭოთა მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია (№R(94)12). წიგნი „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები“. თბ. 2001, გვ. 11.

⁶ თ.ლილეუაშვილი. სასამართლო რეფორმის კონცეფცია. იხ. ჟურნ. „სამართალი“. 1993 წელი, №1-2, გვ.20-28.

ამ პროექტში კერძოდ ნათქვამია, რომ „სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლება, სასამართლო კორპუსის დაკომპლექტება ღირსეული ადამიანებით...“ ამ მიზნის რეალიზაციისათვის უნდა შექმნილიყო „მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო“ რომლის შემადგენლობაში შევლენ სამართლის დარგის წამყვანი მეცნიერები, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები თორმეტი კაცის შემადგენლობით.“⁷

სხვადასხვა ამოცანებთან ერთად, მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოს ამ პროექტით ეკისრებოდა მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა, მათი მომზადება, სამართლის იმ დარგების შერჩევა და სასწავლო მეთოდური ლიტერატურის შემუშავება, რომელთა მიხედვით უნდა გაიარონ სწავლება მოსამართლეთა კანდიდატებმა და ა.შ.

ამ კანონის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ მუშაობა კვლავ გაგრძელდა მისი საბოლოოდ დახვეწის მიზნით, ხოლო 1997 წელს საქართველოს მთავრობას წარედგინა საქართველოს კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის განხილვისა და მოწონების შემდეგ ეს პროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

მართალია, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტში განხილვის შედეგად ამ პროექტმა განიცადა გარკვეული ცვლილება, მაგრამ მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის, მათი მომზადებისა და დანიშვნის საკითხებში უცვლელი დარჩა. კერძოდ, ამ პროექტის თანახმად იუსტიციის საბჭო⁸ შემუშავებს წინადადებებს საქართველოს პრეზიდენტისათვის ქვეყანაში სასამართლო რეფორმის გატარებისათვის „მოსამართლეთა კორპუსის მაღალკვალიფიციური და ღირსეული ადამიანებით შევსების, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე“. ამ პროექტით განისაზღვრა ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება

⁷ თ.ლილუაშვილი. მართლმსაჯულების (იუსტიციის) უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ“. ჟურნ. „სამართალი“ 1993, №3-4. გვ.27.

ჟურნ. „სამართლის“ ამავე ნომერში გამოქვეყნდა ჩვენს მიერ შემუშავებული პირველი პროექტი „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლების სტატუსისა და მოწყობის შესახებ“.

⁸ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ მართლმსაჯულების საბჭოს ნაცვლად ამ საბჭოს ეწოდოს „იუსტიციის საბჭო“.

მოსამართლედ დასანიშნ პირს. მოსამართლეთა დანიშვნის წესი კი ასეთია: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო რაიონის (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

ჩვენი პროექტის მიხედვით, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული ორი მოსამართლე, გენერალური პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები, საქართველოს პარლამენტის ორი წევრი; იუსტიციის საბჭოს ორ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსამართლეთა მონაწილეობა იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში, არც ამ კანონპროექტის მიღების დროს და არც მის შემდეგ გაზიარებული არ იქნა, თუმცა ამჟამად უკვე არსებობს გაცილებით უფრო უკეთესი პირობები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ იუსტიციის საბჭოში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი რაოდენობით მოსამართლე.

პროექტით განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც წაყენება მოსამართლედ დასანიშნ პირს, რომელთა შორის აღსანიშნავია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება. შეიქმნა აგრეთვე იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სადაც სწავლება შეუძლია გაიაროს ნებისმიერმა პირმა, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევის დროს მთლიანად უზრუნველყოფილია გამჭვირვალობა. განსაზღვრულია აგრეთვე ობიექტური კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს იუსტიციის საბჭომ მოსამართლეთა შერჩევის დროს.⁹

VI. სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა.

კასაცია როგორც საბოლოო ინსტანცია

საბჭოთა სასამართლო სისტემა მორგებული იყო სახელმწიფო მართვის იმ რეჟიმზე, რომელიც ავტორიტარული რეჟიმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ სასამართლო სისტემას ჰქონდა ორი არსებითი ნაკლი: ერთი – არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოები, რომლებსაც შეეძლო შეემოწმებინა

⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 46-52. „ნორმატიული აქტები საერთო სასამართლოების შესახებ“. თბ. 2002 წ. გვ. 14.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიულად და, მეორე – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები შეიძლება გადასინჯულიყო საქართველოსა და სსრ კავშირის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი თანამდებობის პირთა პროტესტის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებები შეიძლება გადასინჯულიყო ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ფარგლებში, ხოლო, აქედან გამომდინარე, მხარეთა სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპი მთლიანად იგნორირებული იყო. საქმე ისაა, რომ ასეთი სასამართლო სისტემის დროს პროცესი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, რადგან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საქმის დასრულებას, რადგან მოსალოდნელია პროკურატურის, ან უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი თანამდებობის პირთა პროტესტი, რომელსაც განიხილავდა საზედამხედველო ინსტანციის სასამართლო და საქმეზე ყველა გადაწყვეტილების განჩინების გაუქმება და საქმის თავიდან განხილვა და გადაწყვეტა. ამ უაღრესად არასასურველი და ყოველად გაუმართლებელი ვითარების აღმოფხვრის მიზნით შემოღებული იქნა სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა; საბოლოოდ მივიღეთ ჩვენი სასამართლო რეფორმის ნამდვილ მშვენიერად აღიარებული სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა, სადაც კასაცია გვევლინება როგორც საბოლოო ინსტანცია, რის შესახებაც უფრო დავწერილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.

VII. კასაციის მხოლოდ ერთ სასამართლოში კონცენტრირების პრინციპი

სრულიად ახლებურად და, ჩვენი აზრით, ძალიან გონივრულად განისაზღვრა სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი და ფარგლები: პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები რომლებიც არ შესულან კანონიერ ძალაში, შეიძლება გასაჩივრდნენ სააპელაციო სასამართლოში, ხოლო საოლქო სასამართლოების შესაბამის კოლეგიათა გადაწყვეტილებები საკასაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო სასამართლოში, ხოლო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და მათი გასაჩივრება აღარ დაიშვება.

როგორც ვხედავთ, სასამართლო სისტემა და სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი ისეა ჩამოყალიბებული, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიეღოს ბოლო საქმეთა დაუსრულებელ მოძრაობას სასამართლო ინსტანციებში, ამ საქმეთა დაუმთავრებლობას.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საკასაციო სასამართლო, როგორც საბოლოო ინსტანცია, შეცდომებს არ დაუშვებს და, ამიტომ, საჭირო აღარაა მისი გასაჩივრება?

სასამართლო სისტემისა და ინსტანციურობის შემუშავების დროს მხედველობაში იყო მიღებული ის, რომ საკასაციო სასამართლოს შეიძლება მოუვიდეს შეცდომა. მაგრამ, აგრეთვე შეცდომა შეიძლება დაუშვას თუ შემოღებული იქნება მე-4, მე-5 და ა.შ. ინსტანციის სასამართლოები. ასეთიანი ლოგიკით სასამართლო ინსტანციების ჩამოყალიბებას ხატოვნად უწოდეს „პროცესის უკვდავება“. ამიტომ, ამ ლოგიკით სასამართლო ინსტანციების ჩამოყალიბებაზე უარი თქვეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში – დიდი სამართლებრივი და სასამართლო რეფორმების გატარების ეპოქაში. მაგრამ, ვიმეორებ, უარი იმიტომ კი არ თქვეს, რომ საბოლოო ინსტანციად ჩამოყალიბებული სასამართლო (კასაცია, რევიზია) შეცდომებს არ დაუშვებს. რათქმაუნდა არა! როგორც ჩანს სასამართლო სისტემის აგების დროს, ისე როგორც ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სხვა სფეროში, რომელიმე გონივრულად მიგნებულ ზღვარზე, შეცდომის დაშვების ალბათობა ხელოვნურად უნდა გამოვრიცხოთ, რადგან სასამართლო ინსტანციების რაოდენობათა ზრდა არცერთი თვალსაზრისით მისაღები არაა.

აქედან გამომდინარე, ორიენტაცია აღებული იქნა არა ინსტანციურობის გაზრდისაკენ, არამედ მართლმსაჯულების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ისეთი პრინციპებით აღჭურვისაკენ, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საქმის სწორად გადაწყვეტა, შეცდომების დაშვების ალბათობის მინიმუმამდე შემცირება. ეს პრინციპები ჩამოყალიბდა საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის საპროცესო კოდექსებში.

ორიენტაცია აღებული იქნა აგრეთვე იქითკენ, რომ ქვეყანაში ყოფილიყო მხოლოდ ერთი საკასაციო სასამართლო.

რითი იყო განპირობებული ასეთი ორიენტაცია?

როგორც ეს ნაჩვენებია იქნება ამ წიგნის XXII თავში, კასაციას აქვს არამართი ინდივიდუალური ინტერესების, ანუ კასატორის უფლების დაცვის, არამედ საჯარო ინტერესის, ანუ სამართლის განვითარებისა და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზანიც.

ამ მიზნების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი საკასაციო სასამართლო, ამ საკასაციო სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებ-

რივი თვალსაზრისი (შეფასება) სავალდებულო იქნება იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად და საკასაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას (კოლეგიას) უფლება არ ექნება გადაუხვიოს ადრე სხვა საქმეზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას („თითიშეზღუდვის პრინციპი“).

თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოში რამდენიმე საკასაციო სასამართლოს არსებობის პირობებში – ეს აბსოლუტურად შეუძლებელი და განუხორციელებელი იქნებოდა.

§2. სამოქალაქო მართლმსაჯულების ორგანოები

I. სასამართლო ხელისუფლება. მართლმსაჯულების რაობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. ამ პრინციპის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს სასამართლო ხელისუფლებას, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ხელისუფლებას.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს ყველა საქმის განხილვა-გადაწყვეტა წარმოებს სასამართლოს (მოსამართლის) შეხედულებით. მოსამართლეები, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას, ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. ამასთან ერთად, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება რომელიმე საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოს, აგრეთვე თანამდებობის პირის გავლენაში მოექცეს.

საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მთელი თავისი არსით მიმართულია არა მხოლოდ სასამართლოებისადმი, არამედ აგრეთვე ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირისადმი, რომლებსაც ეკრძალებათ სასამართლოს საქმეებში ჩარევა, სასამართლოზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა. ასეთი ჩარევისა თუ ზეგავლენისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას.

საქართველოს კონსტიტუციით სასამართლოები გამოცხადებულია აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთ სხვა ორგანოს არ შეუძლია სასამართლო ხელისუფლების განხორ-

ციელმა, სულ ერთია ხელისუფლების რომელ განშტოებას – საკანონმდებლო თუ აღმასრულებელს – განეკუთვნება ეს ორგანო.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. ამავე კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი „მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, მათი სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით“.

მართლმსაჯულების ფორმით სასამართლოს საქმიანობის განხორციელება განსხვავდება ყოველგვარი სხვა საქმიანობისაგან იმით, რომ სასამართლომ განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის კანონით წინასწარ დადგენილი წესით. საქმეთა განხილვა ამ წესების უგულებელყოფით, ან ამ წესებიდან არსებითი გადახვევით, აღარ იქნება მართლმსაჯულება და სასამართლოს ასეთი საქმიანობა აღარაფრით იქნება განსხვავებული სხვა სახისა და სხვა ორგანოების საქმიანობისაგან.

ამასთან ერთად, მართლმსაჯულების განხორციელების წესი ზუსტად და ამომწურავადაა განსაზღვრული კანონით, კერძოდ: დასაშვებია მხოლოდ ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულება და იმ წესით, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილია კანონით ზუსტად განსაზღვრული მტკიცების საშუალებებით, მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე, საქმის წარმოება წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით, პირს, რომელიც თვლის, რომ მის მიმართ გამოტანილია დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, უფლება აქვს გაასაჩივროს იგი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულების შემოწმების მიზნით შექმნილია სპეციალურ ორგანოთა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა მწყობრი სისტემა და სხვა.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა განისაზღვრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომლის მიხედვით იგი ასე გამოიყურებოდა:

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები
2. საოლქო სასამართლოები
3. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოები
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო

ამ სასამართლოების სტრუქტურა და უფლებამოსილება განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით.

სასამართლო სისტემის ყველა რგოლში საქმეთა განხილვის (სამართალწარმოების) წესი განსაზღვრულია შესაბამისი საპროცესო კოდექსით, როგორცაა სამოქალაქო საპროცესო, სისხლის საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსები, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ნორმატიული აქტით, რომელიც აწესრიგებს ცალკეული კატეგორიის საქმეთა სასამართლოში განხილვას, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც ამ საქმეებს ახასიათებთ.

II. პირველი ინსტანციის სასამართლოები

1997 წლის სასამართლო რეფორმის მიხედვით სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოებია: ა) რაიონული (საქალაქო) სასამართლოები; ბ) საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია; გ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია.

ამჟამად, პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ასეთი წესი შეიცვალა. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2005 წლის 23 ივნისის კანონით რაიონული (საქალაქო) სასამართლოები განიხილავენ ყველა კატეგორიის საქმეებს პირველი ინსტანციით, მათ შორის საქმეებს, რომლებიც იყო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსა და საოლქო სასამართლოების კოლეგიების განსჯადი. ამ კოლეგიებმა კი შეწყვიტეს არსებობა.

გარდა ამისა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც განიხილავს კანონით განსაზღვრული ზოგიერთი მცირემნიშვნელობის საქმეებს. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას განსაზღვრავს სსკ მე-14 მუხლი. ამავე კოდექსის მე-15 მუხლის 1^ლ ნაწილის მიხედვით სარჩელები მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე „შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის ადგილსამყოფლის მიხედვით“.

რაიონული სასამართლო იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით რაიონში, აგრეთვე ისეთ ქალაქში, რომელიც არ შედის არცერთ რაიონში და არ გააჩნია რაიონული დაყოფა, აგრეთვე ქალაქის რაიონში, ე.ი. ისეთი ქალაქის რაიონში, რომელსაც გააჩნია რაიონული დაყოფა. მაგალითად,

ქ. ქუთაისის არ გააჩნია რაიონული დაყოფა. ამიტომ, აქ შექმნილია ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რომელიც თავისი უფლებამოსილებით და განსჯადობით არაფრით არ განსხვავდება რაიონული სასამართლოსაგან. რაც შეეხება ქ. თბილისს, მას აქვს რაიონული დაყოფა და ამ რაიონული დაყოფის მიხედვით შექმნილი იყო რაიონული სასამართლოები.

ამჟამად რაიონული და საქალაქო სასამართლოების შექმნის ასეთი წესი ნაწილობრივ შეიცვალა, კერძოდ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის №213-ე ბრძანებულებით მოსამართლეთა სპეციალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრებით. მოსამართლეთა სპეციალიზაციის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, როგორცაა სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.¹⁰

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სწორედ ამ ტერიტორიის ფარგლებში განისაზღვრება რაიონული სასამართლოების განსჯადობა.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, განიხილავენ საქმეებს ერთი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მოსამართლეთა სპეციალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე ამკვიდრებს წესს, რომლის თანახმად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც არანაკლებ ორი მოსამართლეა ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, ხოლო თუ ამ სასამართლოებში ორზე მეტი მოსამართლეა, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.

III. მეორე (სააპელაციო) ინსტანციის სასამართლოები

საქართველოს ორგანული კანონით საერთო სასამართლოების შესახებ“ საოლქო სასამართლოში იქმნება „სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა“ (მე-20 მუხლი), რომელიც არის სააპელაციო სასამართლო. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში ასევე იქმნება „სამო-

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის №213-ე ბრძანებულება.

ქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა“, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. ამის შესახებ მითითებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის პირველ ნაწილში და 32-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელთა თანახმად საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ზემოთ დასახელებული პალატები საქმეებს განიხილავენ სააპელაციო წესით.

საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პალატები სააპელაციო წესით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებს.

საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პალატები, როგორც სააპელაციო სასამართლოები, საქმეებს განიხილავენ სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით.

2005 წლის 23 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილებებით ეს სასამართლოები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ 1 ნომბრამდე. ამის შემდეგ უნდა შეიქმნას სააპელაციო სასამართლოები.

IV. მესამე ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემას, საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ სისტემის ერთ-ერთი რგოლია. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად კი უზენაეს სასამართლოში იქმნება სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, რომელიც, ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო. უზენაესი სასამართლოს პალატა საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, როგორც საკასაციო სასამართლო საკასაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე და განჩინებებზე შემოტანილ საკასაციო საჩივრებს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს აგრეთვე დიდი პალატა, რომელიც არის საკასაციო სასამართლო და შედგება 12 მოსამართლისაგან. დიდმა პალატამ საქმეები შეიძლება განიხილოს 9 მოსამართლის შემადგენლობით.

ამასთან ერთად, უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას საქმე განსახილველად შეიძლება გადასცეს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ,

რომელიც განიხილავს საქმეს საკასაციო საჩივრის საფუძველზე. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმის განმხილველმა საკასაციო პალატამ თავისი მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად შეიძლება გადასცეს დიდ პალატას შემდეგ შემთხვევებში: „ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას; გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას“.

ამრიგად, საკასაციო საჩივრის აღრესატი არ შეიძლება იყოს დიდი პალატა, ანუ საკასაციო საჩივარი არ შეიძლება დაიწეროს დიდი პალატის სახელზე. დიდ პალატას საქმე შეიძლება გადასცეს განსახილველად სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატამ, რომელსაც უნდა განეხილა საკასაციო საჩივარი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი და კანონით განსაზღვრული საფუძველების გამო მას საჭიროდ მიაჩნია ეს საჩივარი განიხილოს დიდმა პალატამ, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

ასეთია მოკლედ სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოს სისტემა, რომელთა ფუნქციონირების პრინციპების შესახებ დაწვრილებით გვექნება საუბარი ამ ნაშრომის მომდევნო თავებში.

§3 მოსამართლე

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“. თავის მხრივ, სასამართლოები, უფრო ზუსტად, საქართველოს სასამართლო სისტემის ყველა რგოლი – შედგება მოსამართლეებისაგან, რომლებსაც მინდობილი აქვთ კანონით დადგენილი წესით სასამართლო ხელისუფლების განხორციელება.

ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის ეფექტიანად და წარმატებულად შესრულების მიზნით მოსამართლეს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები. კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე მისი შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან დათხოვნის პირობები და წესი.

1. მოთხოვნები, რომელიც წაეყენება მოსამართლეს. პირველი და ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაეყენება მოსამართლეს – ესაა მოქალაქეობა. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაყენება მოსამართლეს მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება (საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლი).

როგორც აღენიშნეთ, ასეთია საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები. ამასთან ერთად, მოსამართლეს წაყენება სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც კონსტიტუციური მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ და მათ დაკონკრეტებას წარმოადგენენ. მაგალითად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის თანახმად მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული მოთხოვნებისა „ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა. მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლეთი პირი, აგრეთვე პირი, რომელიც განთავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საფუძვლით (46-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი. მოსამართლის კანდიდატს, რომელიც პასუხობს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს და მათ შორის ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები, შეუძლია შეიტანოს განცხადება მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. მათი თანამდებობაზე წარდგენა ხდება კონკურსის წესით. ამ კონკურსში გამარჯვებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებს – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს ერთობლივი წარდგინებით.

რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებს, მათ ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წარდგინებითა და საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

განსხვავებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების წესი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ყველა სხვა რეგოლის სასამართლოს მოსამართლედ დასანიშნი

პირი. ამასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა. ამ გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

ამვე ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეებს, ირჩევს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით.

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ არის თუ არა მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის საქართველოს კანონმდებლობით დამკვიდრებული წესი ოპტიმალური და პასუხობს თუ არა ეს წესი თანამედროვე მოთხოვნებს.

დამატებით აქ შეიძლება მოკლედ ითქვას შემდეგი:

ევროპაში ჩვენ ვერ შევხვდებით ორ ისეთ ქვეყანასაც კი, სადაც ერთნაირად ხდებოდა მოსამართლის თანამდებობის დაკავება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ რეკომენდაციებში, რომლის თანახმად „ევროსაბჭოს ბევრ ქვეყანაში შემოღებულია სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში მთავრობის, პარლამენტის ან სახელმწიფო მეთაურის მონაწილეობას. რეკომენდაცია არ მოითხოვს დადგენილი სისტემების შეცვლას, თუ კი ისინი ათეული წლების ან საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდნენ და პოზიტიურ გამოცდილებას ქმნიდნენ. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეები ოფიციალურად ინიშნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, აუცილებლად არის მიჩნეული რაიმე ისეთი სისტემის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა გამჭვირვალე და პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყოს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს გარანტირებულია სპეციალური, დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანოს შექმნით, რომელიც რჩევას აძლევს მთავრობას, პარლამენტს ან სახელმწიფო მეთაურს, რომელსაც როგორც წესი ითვალისწინებენ. ეს გარანტირებულია აგრეთვე მოსამართლეობის კანდიდატისათვის გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემით. სხვა ქვეყნები ირჩევენ სისტემას, რომელიც გულისხმობს ფართო კონსულტაციებს სასამართლო ხელისუფლებასთან, თუმცა ოფიციალურ გადაწყვეტილებას აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს“.¹¹

¹¹ იხ. „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები“ თბილისი, 2001, გვ. 21

ევროსაბჭოს მიერ დამკვიდრებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების თანახმად, იქ სადაც კონსტიტუცია, სხვა კანონმდებლობა, ანდა სამართლებრივი ტრადიციები საშუალებას იძლევა მოსამართლე ინიშნებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, იმის გარანტია მაინც უნდა არსებობდეს, რომ დანიშვნის პროცედურა გამჭვირვალე და პრაქტიკულად დამოუკიდებელი იყოს და რომ არჩევანზე არაფერი ახდენდეს გავლენას გარდა ობიექტური კრიტერიუმებისა¹².

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოში ისეთ ორგანოდ, რომელსაც ევალება წინადადებების შემუშავება მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა თანამდებობიდან განთავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და სხვა ამოცანების განსახორციელებლად – გვევლინება იუსტიციის საბჭო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სათაბირო ორგანოა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა მხედველობაში მიღებით წარმოებს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა. ეს კრიტერიუმებია საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ფიზიკური მდგომარეობა, („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 ნაწ.).

მოსამართლის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მისი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების ან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის დაუშვებლობა. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში“. კონსტიტუციის ამ მუხლით დამკვიდრებული დანაწესის დაკონკრეტების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლი შეიცავს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს. მხოლოდ ამ საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. ამ კანონით განსაზღვრულია აგრეთვე საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში დასაშვებია მოსამართლის სხვა სასამართლო თანამდებობაზე გამწესება, ან მისი ჩამოცილება საქმის განხილვისაგან (54-55-ე მუხლები).¹³

¹² იხ. დასახელებული წიგნის გვ. 11

¹³ „მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტის“ მე-3.4 პუნქტის თანახმად „დაუ-

მოსამართლის სტატუსისა და მისი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 52-ე მუხლით დამკვიდრებული მოსამართლის ხელშეუხებლობის პრინციპი. ამ მუხლის თანახმად მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა – საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან საქართველოს პარლამენტს. თუ ისინი არ მისცემენ თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

§4. მოსამართლის აპარატი

I. მოსამართლის თანაშემწე

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის ზემოთ დასახელებული რეკომენდაციის III პრინციპის თანახმად, სათანადო სამუშაო პირობების შექმნით, მოსამართლეებს საშუალება უნდა მიეცეთ იმუშაონ ეფექტიანად. ამისათვის შემოთავაზებულია რამდენიმე ღონისძიება, რომელთა შორის დასახელებულია მოსამართლის შესაფერისი დამხმარე შტატითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ამ პრინციპის კომენტატორები აღნიშნავენ, რომ „მოსამართლეებს შესაძლებლობა ექნებათ უფრო ეფექტიანად იმუშაონ და დროულად წარმართონ საქმეები, თუ სასამართლოში უზრუნველყოფილია შესაფერისი დამხმარე შტატი და აღჭურვილობა“.¹⁴

შეგებლია სასამართლოში გამწესებული მოსამართლე, მისი თანხმობის, მისი თავისუფალი ნების გარეშე დანიშნული ან გადაყვანილი იქნეს სხვა სასამართლოში დაწინაურების გზითაც კი (ხაზგასმა ჩვენია - თ.ლ). ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ გადაყვანა დადგენილია დისციპლინური სანქციით, გამოწვეულია კანონის საფუძველზე განხორციელებული სასამართლო სისტემის ცვლილებით, ანდა უკავშირდება მეზობელი სასამართლოს დახმარების აუცილებლობას“.

¹⁴ დასახელებული წიგნის გვ. 13 და 25.

სწორედ ამ მოსაზრებისა და რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად შემოღებული იქნა მოსამართლის თანაშემწის შტატი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „მოსამართლის თანაშემწედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და როგორც წესი გავლილი აქვს სამთვინიან სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე აღვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ანდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საოლქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა“.

მოსამართლის თანაშემწეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე. მისი ფუნქციები განსაზღვრულია საერთო სასამართლოების შესახებ კანონით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით.

ორგანული კანონის 73-ე მუხლის თანახმად „მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს, მათ განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომის განსახილველად, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს“.

მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება ეკისრებათ მათ სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესების შესახებ დებულებით.¹⁵ ამ დებულების მე-20 მუხლის თანახმად მოსამართლის თანაშემწე მოსამართლის დავალებით ამზადებს სასამართლო გადაწყვეტილებათა პროექტებს, უზრუნველყოფს ნიეთიერ მტკიცებულებათა დაცვა-შენახვას, ამზადებს საპროცესო დოკუმენტების ასლებს და გადასცემს მათ სამართალწარმოების მონაწილეებს, აწვდის მოსამართლეებს საჭირო ლიტერატურას და მასალებს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების ასლს გადასცემს დაინტერესებულ მხარეს და ა.შ. (იხ. ამ დებულების 19-21-ე მუხლები).

აღნიშნული დებულების მიხედვით, მოსამართლის თანაშემწემ თუ მას დაევალება საქმის წინასწარი მომზადება სსკ მე-200 მუხლის შესაბამისად, უნდა შეასრულოს ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც საქმის მომზადებისათვისაა საჭირო და აუცილებელი. მაგალითად, თანაშემწემ, რომელსაც

¹⁵ ნორმატიული აქტები საერთო სასამართლოების შესახებ. თბ. 2002. გვ. 218.

დაევალა საქმის მომზადება, შეიძლება შეადგინოს განჩინება მოპასუხისათვის სარჩელის ასლისა და მასზე დართული დოკუმენტების გადაგზავნის შესახებ, დაუნიშნოს მას ვადა ამ სარჩელზე თავისი წერილობითი შესაგებლის წარმოდგენის შესახებ, რომელშიც მოპასუხემ უნდა გასცეს პასუხი ყველა იმ საკითხზე, რომლებიც განსაზღვრულია კანონით (სსკ 101-ე მუხლი, „დებულების“ 75-ე მუხლი).

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მოპასუხის წერილობითი შესაგებელი, თანაშემწეს შეუძლია შეადგინოს განჩინება მოპასუხის შესაგებლის მოსარჩელისათვის გადაგზავნის შესახებ. მას შეუძლია დაევალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები.

თუ თანაშემწის მოსაზრებით არსებობს სსკ 205-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები მას შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რომელიც შეიძლება ჩაატაროს მოსამართლემ, მაგრამ მისი დავალებით იგი შეიძლება ჩაატაროს უშუალოდ თანაშემწემაც. მოსამზადებელი სხდომა ხომ საქმის მომზადების მიზნით განხორციელებული მოქმედებაა და, მამასადამე, შედის მომზადების ცნების შინაარსში. აქედან გამომდინარე, თანაშემწეს უნდა შეეძლოს შეასრულოს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება და მათ შორის მორიგოს მხარეები და მიიღოს განჩინება ამ მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან კიდევ, შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო თუ მოპასუხემ ცნო სარჩელი — გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

თანაშემწე მართლაც დიდ დახმარებას გაუწევს სასამართლოს, თუ იგი მომზადების სტადიაზე სამართლებრივ შეფასებას მისცემს იმ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას და მოპასუხე — თავის შესაგებელს. მას უნდა მიეცეს აგრეთვე შესაძლებლობა შეადგინოს ამ საქმეზე გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც ცხადია, გაეცნობა მოსამართლე. თანაშემწემ, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის მომზადება, სსკ 103-ე მუხლის თანახმად, შეიძლება წინადადება მისცეს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მხარეთა შუამდგომლობით, ეს მტკიცებულებები სხვადასხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან, თუ მხარეებმა ეს თვითონ ვერ მოახერხეს, გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი, ექსპერტის დანიშვნის საკითხი, განსაზღვროს მხარეებთან ერთად იმ საკითხთა წრე, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა და ა.შ.

თანაშემწეს მართლაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოსამართლისათვის, თუ იგი გამონთავისუფლდება სხვა ისეთი დავალებების შესრულებისაგან,

რომლებიც წარმატებით შეუძლია შეასრულოს სასამართლო აპარატის ნებისმიერ თანამშრომელს და არ მოითხოვს უმაღლეს იურიდიულ განათლებას.

თანაშემწის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები გაბნეულია სხვადასხვა კანონებში და ქვეკანონურ აქტებში. თანაშემწის თანამდებობა თავიდანვე იქნა შემოღებული იმ მიზნით, რათა დაეხმაროს მოსამართლეს საქმის სასამართლო განხილვისათვის წინასწარი მომზადებისა და მისი დროულად და არსებითად სწორად გადაწყვეტაში, ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობის უზრუნველყოფაში. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს თანაშემწის შესახებ ერთიანი კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავს თანაშემწის საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებას, მის ამოცანებს და საქმიანობის წესს.

II. სხდომის მდივანი

როგორც აღვნიშნეთ, მოსამართლის აპარატი შედგება მოსამართლის თანაშემწისა და სხდომის მდივნისაგან.

სსკ 287-ე მუხლის თანახმად სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ, აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები – ოქმის შედგენა სავალდებულოა.

ამავე კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ოქმს ადგენს მდივანი თვით სასამართლო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს“. ოქმს ხელს აწერს მოსამართლე და მდივანი.

გარდა ოქმის შედგენისა, სასამართლო სხდომის მდივანს ევალება შეამოწმოს მხარეებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა გამოცხადება, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები კანონით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. ყოველივე ამის შესახებ სასამართლო სხდომის მდივანმა უნდა მოახსენოს სასამართლოს.

სასამართლო სხდომის მდივანს ეკისრება აგრეთვე მოვალეობა სწორად ასახოს ოქმში სასამართლოს (მოსამართლის) ცალკეული მოქმედება, აგრეთვე სხდომის მონაწილეთა მოქმედებების შინაარსი, მათი განცხადებები, შუამდგომლობები, ჩვენებები, ახსნა-განმარტებანი. დააფიქსიროს ოქმში პროცესში მონაწილეთა როგორც შეკითხვა, ისე ამ შეკითხვაზე პასუხი.

სასამართლო სხდომის მდივანს ევალება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩააკეროს საქმეში საცნობარო ფურცელი, განჩინებები, მიმოწერის მასალები

და ა.შ. ყველა წერილობითი მასალა, რომლებიც გამოვეზავნა მოსამართლეს ან თანამემწეს, მას შემდეგ რაც გაეცნობა ადრესატი, უნდა გადაეცეს მდივანს საქმეში ჩასაკერებლად.¹⁶

სასამართლო სხდომის მდივანს, „დებულების“ 23-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, უფლება აქვს ოქმის მომზადებისას გამოიყენოს მაგნიტოფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნიკური საშუალებები, რომელთა ჩანაწერები ოქმს თან ერთვის. ეს ჩანაწერები „გადატანილი უნდა იქნეს ოქმში“.

სასამართლოს აპარატი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 72-ე მუხლის თანახმად მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქმედებენ სასამართლო აპარატები.

იმის მიხედვით, თუ სასამართლო სისტემის რომელი რგოლის აპარატზეა საუბარი, ამ აპარატის სტრუქტურა და შემადგენლობა სხვადასხვანაირია (იხ. „დებულების“ მე-7-8-ე მუხლები).

სასამართლო აპარატის თანამშრომლები არიან სახელმწიფო მოსამსახურეები და მათზე ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობა.

§5. ადვოკატი

სსკ 93-ე მუხლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

წარმომადგენლად სასამართლოში შეიძლება გამოვიდეს ადვოკატი. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

¹⁶ დაწერილებით იხ. „დებულება“ სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმის წარმოების წესის შესახებ (თავი VIII). „ნორმატიული აქტები საერთო სასამართლოების შესახებ“. თბ. 2002, გვ. 229.

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას ანუ ე.წ. ადვოკატის პროცესს: მხარეს შეუძლია ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში თვითონ პირადად აწარმოოს საქმე, ან კიდევ, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ნებისმიერ ინსტანციაში აიყვანოს წარმომადგენელი (ადვოკატი) ან კიდევ, მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთან (წარმომადგენელთან) ერთად საქმის განხილვაში.

ადვოკატს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: (ა) ადვოკატი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი (ბ) რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება კანონით დადგენილი წესით, (გ) დადებული აქვს ადვოკატის ფიცი და (დ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის შრომის სტაჟი.

ადვოკატი მოწოდებულია იურიდიული რჩევა-დარიგება მისცეს პირს, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა, გამოვიდეს სასამართლოში მხარის წარმომადგენლად და აწარმოოს საქმე. სამოქალაქო პროცესში მისი მონაწილეობის საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს „კანონი ადვოკატთა შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

§6. სასამართლო აღმასრულებელი

საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, რომ „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“.

კონსტიტუციის ეს დებულება დაკონკრეტებულია „საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-4 მუხლით, რომლის თანახმად სასამართლო აქტები, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება, სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების წესსა და პირობებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოების შესახებ“.

რაც შეეხება სასამართლო აღმასრულებელს, მის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „კანონი სააღსრულებო წარმოების შესახებ“.

ამ კანონის თანახმად აღმასრულებლის თანამდებობა კონკურსის წესით შეიძლება დაიკავოს იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქემ, რომელიც გამოცდას ჩააბარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას.

სასამართლო აღმასრულებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააღსრულებო სამსახურის უფროსი. თანამდებობაზე დანიშნვისას მას ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა და განესაზღვრება სამოქმედო ტერიტორია.

აღმასრულებლის სტატუსს ანუ მის სამართლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი, რომლის თანახმად „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა“.

სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების მიზნით სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსო და, საერთოდ, მოვალის ქონება. თუ მოვალე არ დაუშვებს სასამართლო აღმასრულებელს განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს პოლიცია.

„სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობაზე დანიშნვის, მისი თანამდებობიდან განთავისუფლების პირობებსა და საფუძვლებს. ეს კანონი ითვალისწინებს აგრეთვე სხვა გარანტიებს. მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სასამართლო აღმასრულებლის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 10 წლის ხელფასის ოდენობით, თუ აღმასრულებელი დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მას მიეცემა კომპენსაცია ბიუჯეტიდან 1-დან 5 წლამდე ხელფასის ოდენობით და ა.შ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება
სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება

I. სასამართლო და სამოქალაქო საპროცესო სამართალი

1. საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების აუცილებლობა. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ადამიანთა საზოგადოებას არ შეუძლია წინსვლა და განვითარება ქცევის გარკვეული წესების არსებობისა და ამ წესების განუზრელად დაცვის გარეშე. მართლაც, ცალკეულ ადამიანს, ხოლო აქედან გამომდინარე, ურთიერთობებს ამ ადამიანებს შორის აქვთ სხვადასხვა მიზანი და ინტერესები. ბუნებრივია, რომ ადამიანთა ქცევის მოწესრიგებისა და ამ ქცევის შედეგების შეთანხმებულობის გარეშე წარმოიშობა ნამდვილი ქაოსი, შეიქმნება საოცრად კონფლიქტური სიტუაცია და სრული ანარქია, ხოლო წარმოშობილი კონფლიქტი ყოველთვის ფიზიკურად ძლიერის სასარგებლოდ გადაწყდება.

ცხადია, ასეთ პირობებში ადამიანთა საზოგადოებას არსებობა და განვითარება არ შეუძლია. სწორედ ამიტომ, ადამიანების ქცევის რეგულირების აუცილებლობა წარმოიშობა საზოგადოების ადრეულ საფეხურზე; პირველყოფილ საზოგადოებაშიც კი ადამიანების ქცევა წესრიგდებოდა ადათებითა და ზნე-ჩვეულებებით, ხოლო განვითარების რამდენადაც უფრო მაღალ საფეხურს აღწევს საზოგადოება, იმდენად უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ საზოგადოების წევრთა საქმიანობის მოწესრიგება.

ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანების ქცევას, ადამიანებს შორის ურთიერთობებს, წარმოადგენენ სოციალურ ნორმებს. სოციალური ნორმების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენენ სამართლებრივი ნორმები.

2. უფლების დაცვის აუცილებლობა. საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის სამართალი იყენებს სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გარკვეული უფლებების მინიჭება და მათზე გარკვეული მოვალეობების დაკისრება. მაგრამ, ზოგჯერ მოვალეობა არ სრულდება და უფლება ირღვევა ან მის განხორციელებას ვინმე უქმნის ისეთ დაბრკოლებას, რომ კანონით მინი-

ჭებული ამ სიკეთით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის წარმოიშობა კონფლიქტი (დავა), რაც ყოველთვის ქმნის უფლების დროებით განუსაზღვრელობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ კონფლიქტურ ვითარებაში მოვალეობა არ სრულდება და უფლება ვერ ხორციელდება, სამართლით რეგულირებული ურთიერთობა აღარ ვითარდება სასურველი მიმართულებით, ირლვევა სამართლის ნორმებით განსაზღვრული წესრიგი. ბუნებრივია, რომ რამდენადაც დიდხანს გრძელდება დავა, იმდენად უფრო მძიმეა მისი მავნე შედეგები. ამიტომ, პირებს შორის წამოჭრილი დავის (კონფლიქტის) დროულად და სამართლიანად გადაწყვეტით დაინტერესებული უნდა იყოს არამარტო მხარეები, არამედ სახელმწიფოც.

3. სასამართლოს შექმნის აუცილებლობა. სასამართლოს შექმნის აუცილებლობა ისტორიულად განპირობებული იყო მართლწესრიგის განმტკიცებით, სამართალდარღვევის აღმოფხვრით, მხარეთა შორის წამოჭრილი კონფლიქტის გადაწყვეტით.

ფართოდაა ცნობილი და აღიარებული სასამართლოს მოკლე, მაგრამ არსებითად ყოვლის მომცველი დახასიათება: სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის საყრდენია. იგი შეიქმნა და არსებობს იმისათვის, რომ უზრუნველყოს კანონის ბატონობა, დააფუძნოს სამართლიანობა, დაამყაროს მშვიდობა საზოგადოების წევრებს შორის, განუმტკიცოს მათ ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენა. ასეთი რწმენის გარეშე კი გარდაუვალია ღირებულებათა სრული გაუფასურება, საზოგადოების თანდათანობითი, მაგრამ შეუჩერებელი სვლა ზნეობრივი გადაგვარებისაკენ, ეკონომიკური ცხოვრების მოშლა.

მაგრამ, ამ მიზნების რეალიზაციისათვის სასამართლოს მხოლოდ შექმნა და მისი გამოცხადება სასამართლო ხელისუფლების განმხორციელებელ ორგანოდ, ცხადია არ კმარა. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ აღჭურვოს სასამართლო ორგანიზაციულად და ფუნქციონალურად ისეთი სამართლებრივი მექანიზმებით და საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ეფექტიან და წარმატებულ საქმიანობას.

სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოების პრინციპებსა და წესებს – უწოდებენ სამოქალაქო საპროცესო სამართალს.

II. სამოქალაქო საპროცესო სამართალი და მისი ამოცანები

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. კონსტიტუციის ამ დებულების შესაბამისად 82-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“.

ამრიგად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით, სასამართლო ხელისუფლების განმხორციელებელ ერთადერთ ორგანოდ გვევლინება სასამართლო, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლო.

ამასთან ერთად, საერთო სასამართლოები სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ მართლმსაჯულების ფორმით. თავის მხრივ, მართლმსაჯულების ფორმას, ანუ სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი.

რა არის სამოქალაქო საპროცესო სამართალი?

ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. აქ დამატებით შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

იმის მიხედვით, თუ როგორია რეგულირების საგანი, ანუ იმის მიხედვით, თუ რას არეგულირებს ნორმების ესა თუ ის ერთობლიობა, სამართალი იყოფა სამართლის ცალკეულ დარგებად. სამართლის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგია სამოქალაქო საპროცესო სამართალი. ამიტომ მას ახასიათებს ის ნიშან-თვისება, რომელიც ახასიათებს სამართალს საერთოდ. აქედან გამომდინარე, თუ სამართალს განვსაზღვრავთ როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილ და შესასრულებლად სავალდებულო ნორმების (ქცევის წესების) ერთობლიობას, მაშინ სამოქალაქო საპროცესო სამართალიც უნდა განვსაზღვროთ როგორც ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს.

ამასთან ერთად, შეიძლება შემოვიფარგლოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი კონკრეტული განმარტებით, რომელიც უშუალოდ და უფრო ნათლად გამოხატავს მის ფუნქციას. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო საპროცესო სამართალი — ესაა ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების წარმოების წესებს სასამართლოში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ასეთი განმარტება მთლიანად შეესაბამება და გამოძღინარეობს სსკ-ის პირველი მუხლიდან, რომლის თანახმად „საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით“.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოს – სასამართლოს საქმიანობას, მის მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესებს, განეკუთვნება საჯარო სამართლის სფეროს.¹⁷

აქ გარკვეული გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გახდეს ერთი გარემოება: სამოქალაქო საპროცესო სამართალი აწესრიგებს სამოქალაქო და სხვა კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების (საქმეების) განხილვას სასამართლოში. ამიტომ, რატომ უნდა მივაკუთვნოთ საჯარო სამართალს ის, რაც ემსახურება კერძო სამართლით მინიჭებული უფლებების დაცვას?

კითხვა საეხებით კანონზომიერია. მაგრამ ამ კითხვაზე შეიძლება ასე ეუბასუხოთ:

ცალკეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უფლების დარღვევა ან ამ უფლებით სარგებლობისათვის დაბრკოლების შექმნა იწვევს უფლების დაცვის აუცილებლობას. თავის მხრივ, უფლების დარღვევით ირღვევა მართლწესრიგი – სამართლით რეგულირებული ურთიერთობა აღარ ვითარდება სასურველი მიმართულებით. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამოქალაქო – სამართლებრივ წყობას, საზოგადოებრივ მართლწესრიგს. თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია მართლწესრიგის შენარჩუნებით, სამოქალაქო-სამართლებრივი წყობის სიმტკიცით, ვერ მიანდობს თავისი მოქალაქეების თუ იურიდიული პირების სამართლებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს მხოლოდ კერძო სამედიატორო სასამართლოებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დავები კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან არიან წარმოშობილი. ამიტომ, სახელმწიფო ქმნის სასამართლოს, რომელსაც მინდობილი აქვს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განშტოების – სასამართლო ხელისუფლების გატარება. ამასთან ერთად, ყოველი სახელმწიფო

¹⁷ მაგალითად, რუსულ, გერმანულ, ავსტრიულ სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის საჯარო სამართლის დარგი. იხ. И. Е. Энгельмань. Курс гражданского судопроизводства. 1912 г. стр. 12. W.Kallwass. Privatrecht. Köln 1996, s 17.

O. Jauernig. Zivilprozessrecht. 25 Auflage, 2003, s. 7.

ცილობს აღჭურვოს სასამართლო ისეთი სამართლებრივი მექანიზმებით თუ საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ცალკეულ პირთა შორის წამოჭრილი სამართლებრივი დავის გადაწყვეტით მათი დარღვეული უფლებების დაცვით (ინდივიდუალური ინტერესების დაცვა) სახელმწიფო იცავს საზოგადოებრივ მართლწესრიგს, ემსახურება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, ამყარებს მშვიდობას საზოგადოების წევრებს შორის და ქმნის უფლების ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენას (საჯარო ინტერესების დაცვა).

სწორედ ამ გარემოებებითაა განპირობებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნები და ამოცანები: მან უნდა დაამკვიდროს სამათალწარმოების ისეთი პრინციპები და წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ინდივიდუალური ინტერესების, ანუ კონკრეტულ პირთა შორის წამოჭრილი სამართლებრივი დავის დაცვასა და გადაწყვეტას, ისე საჯარო ინტერესების, ანუ სამართლებრივი მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვასა და აღდგენას.

ამ გარემოებებითაა განპირობებული აგრეთვე სასამართლოში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმების – სამოქალაქო საპროცესო სამართლის საჯარო სამართლებრივი ხასიათი, რაც არსებითად განასხვავებს მას იმ ნორმებისაგან, რომლებიც კერძო არბიტრაჟის ანუ სამედიატორო სასამართლოს საქმიანობას აწესრიგებენ, რომლებიც კერძო სამართალს განეკუთვნებიან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს და ეს მეტად მნიშვნელოვანია: სამოქალაქო საპროცესო სამართალი მხედველობაში იღებს და სრულად უწევს ანგარიშს კერძო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და დებულებებს.

მაგალითად, მხარეებს სამოქალაქო პროცესში უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მაგრამ შეუძლიათ არ მიმართონ მას, ანუ ითმინონ თავიანთი უფლების დარღვევა, ისინი თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, შეუძლიათ უარი თქვან უკვე აღძრულ სარჩელზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, აღძრას შეგებებული სარჩელი, სასამართლოს უფლება არ აქვს გასცილდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ სარჩელი, გაადიდონ ან შეამცირონ თავიანთი მოთხოვნის ფარგლები და ა.შ.

მაგრამ, ყოველივე ეს, რაც განპირობებულია სამოქალაქო თუ კერძო სამართლის სხვა რომელიმე დარგის პრინციპებით, ვერ გააქარწყლებენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის საჯარო ხასიათს.

III. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი და სისტემა

1. სამართლის ამა თუ იმ დარგის საგანი არის ის, რასაც ეს დარგი არეგულირებს. მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად „ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლის, როგორც ნორმათა ერთობლიობის რეგულირების საგანი ყოფილა ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. იგივე ითქმის სამართლის სხვა დარგებზეც, რომლებსაც რეგულირების თავისი საგანი აქვთ.

სამოქალაქო საპროცესო სამართალსაც რეგულირების თავისი საგანი აქვს, ასეთი საგანია: სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშევა სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვა-გადაწყვეტასთან დაკავშირებით.¹⁸

2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა არის ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებული ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია იმ ურთიერთობათა თავისებურებებით და ხასიათით, რომლებსაც ეს ნორმები არეგულირებენ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები დაყოფილია სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან ისეთი ნორმები, რომლებსაც პროცესის ყველა სტადიისათვის აქვთ მნიშვნელობა და მათ ეწოდებათ ზოგადი დებულებები. მეორე ჯგუფში შედიან ისეთი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საქმეების წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოებში, მესამე ჯგუფში შედიან ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესებს, კერძოდ საქმეების წარმოებას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში, აგრეთვე კერძო საჩივრის დასაშვებობისა და განხილვის წესებს. ამავე ნაწილში შედის ნორმები, რომლებიც საქმის წარმოების განახლების წესებს არეგულირებენ.

ამ წიგნში ჩვენ არ ვეხებით არც სააღსრულებო წარმოებას და არც უფლების დაცვის სხვა (არასასამართლო) ფორმებს, როგორცაა მაგალითად,

¹⁸ ისე როგორც კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა, ჩვენც ცნობას „სამოქალაქო საქმე“ ფართო გაგებით ვხმარობთ, რომელიც არამარტო საკუთრივ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან, არამედ სამეწარმეო, შრომითი და კერძო სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვის გამოა აღბრუნებული.

კერძო არბიტრაჟში, ანუ სამედიატორო სასამართლოში საქმეთა განხილვის წესები. საქმე ისაა, რომ სააღსრულებო წარმოების შესახებ მიღებული იქნა სპეციალური კანონი „სააღსრულებო წარმოების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად „სააღსრულებო სამსახური წარმოადგენს სააღსრულებო დაწესებულებას და შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.“¹⁹

რაც შეეხება სამოქალაქო უფლებათა დაცვის არასასამართლო ფორმებს (კერძო არბიტრაჟი, ნოტარიატი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია და სხვა), ისინი სავსებით გასაგები მიზეზების გამო არსებითად განსხვავდებიან სასამართლოში საქმეთა წარმოების ფორმებისაგან. უფლების დაცვის ასეთი ფორმები, ცხადია, არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართალს.

IV. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სამართლის სხვა დარგებთან

1. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, წარმოადგენს საქართველოს სამართლის ერთიანი სისტემის ორგანულ ნაწილს და, აქედან გამომდინარე, მას არ შეიძლება არ ჰქონდეს კავშირი და რაიმე დამოკიდებულება ამ ერთიანი სისტემის სამართლის სხვა დარგებთან.

¹⁹ დისკუსია საკითხზე, განეკუთვნება თუ არა აღსრულება სასამართლო წარმოების სტადიას განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა რუსეთში მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ცალკე კანონები „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ და „სასამართლო პრისტავების შესახებ“ (იხ. *Настольная книга судебного пристава - исполнителя, Справочно - методическое пособие*. М. 2000, стр. 82.

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს წარმოების დამოუკიდებელ სახეს და შეისწავლება სააღსრულებო წარმოების მექანიზმების მიერ. იხ. *А.Г.Давтян. Гражданское процессуальное право Германии*. М.2000, стр.8.

როგორც ჩანს, ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ის, რომ გერმანელი ავტორების მიერ დაწერილ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოებში, ზოგიერთი იშვიათი გამოწვევის გარდა, სააღსრულებო წარმოება არ განიხილება. ყოველივე ეს ხელს არ უშლის როგორც სააღსრულებო წარმოებას, ისე უფლების დაცვის არასასამართლო (არა სამოქალაქო საპროცესო) ფორმების განხილვას წიგნში, რომელიც ეძღვნება სამოქალაქო საპროცესო სამართალს, ოღონდ იმის აუცილებელი აღნიშვნით, რომ სააღსრულებო წარმოება, წარმოების დამოუკიდებელი სახეა, ხოლო უფლების დაცვის არასასამართლო ფორმები არსებითად განსხვავდებიან სასამართლო ფორმებისაგან.

ყველაზე უფრო მეტად ასეთი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება სამოქალაქო საპროცესო სამართალს აქვს სამოქალაქო მატერიალურ სამართალთან, აგრეთვე სამართლის იმ დარგებთან, რომლის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობიდან წარმოშობილი დაგები განიხილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით (სამეწარმეო, შრომითი, საგაეოტრებო, ნაწილობრივ ადმინისტრაციული საქმეები).

სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსებობა წარმოუდგენელი და შეუძლებელიც კი არის იმ მატერიალური სამართლის გარეშე, რომლის მიერ რეგულირებული ურთიერთობიდან წარმოშობილი დაგების განხილვის წესებს განსაზღვრავს იგი. ამიტომ, დამოკიდებულება საპროცესო სამართალსა და მატერიალურ სამართალს შორის გარკვეულწილად არის ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულება.

საქმე ისაა, რომ თუ სამოქალაქო სამართალწარმოება, როგორც მატერიალურ სამართლებრივი უფლების დაცვის ფორმა, ემსახურება ამ უფლების დაცვას, მაშინ ეს დასაცავი მატერიალური უფლება ყოფილა საპროცესო ფორმის შინაარსი. თავის მხრივ, ფორმა უნდა მოერგოს შინაარსს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვის ფორმა ისე უნდა შემუშავდეს, რომ მან უზრუნველყოს უფლების დაცვა.²⁰

²⁰ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ განიხილავენ საპროცესო ფორმის საკითხს და მიუთითებენ ერთი და იგივე ან ერთგვაროვანი უფლებების დაცვის განსხვავებულ საპროცესო ფორმებზე, როგორც დადებით და საესებით მისაღებ მდგომარეობაზე. ამასთან ერთად, აღიარებენ, რომ უფლების დაცვის სამოქალაქო საპროცესო (სასამართლო) ფორმა, ყველა სხვა ფორმასთან შედარებით (როგორცაა სამედიატორო, კერძო საარბიტრაჟო და სხვა არასასამართლო ფორმები), უზრუნველყოფს უფლების უკეთ დაცვას. ეს სწორია, მაგრამ აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რასაც სამწუხაროდ არ აკეთებენ: თუ უფლების დაცვის ყველა სხვა ფორმასთან და ორგანოსთან შედარებით საპროცესო (სასამართლო) ფორმა უფლების დაცვის ყველაზე მეტ გარანტიას შეიცავს, მაშინ ყველა ეს „სხვა ფორმები და ორგანოები“ უნდა გაუქმდეს და დარჩეს მხოლოდ ის, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების დაცვას, ე.ი. სამოქალაქო საპროცესო ფორმა.

უფლების დაცვის არასასამართლო ფორმები და ორგანოები მაგალითად, სამედიატორო სასამართლო ანუ კერძო არბიტრაჟი შეიძლება შეეინარჩუნოთ და კიდევ უფრო გაეაფართოვოთ ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: თუ ისინი იარსებებენ როგორც დავის წინასწარი და არასაბოლოოდ გადაწყვეტის უფლებამოსილებით, ხოლო მოდავე მხარეს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასასინჯად.

დაწერილებით იხ. თ. ლილუაშვილი. „სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართალი არსებობს იმისათვის, რომ მოემსახუროს მატერიალური სამართლის დარგებს, უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმართვა იმ მიმართულებით, რაც მატერიალური სამართლითაა განსაზღვრული, თუ ეს ურთიერთობები რატომღაც აღარ ვითარდება მატერიალური სამართლით დასახული გზით.²¹

2. ისე, როგორც ყოველგვარი ფორმა საერთოდ, სამოქალაქო საპროცესო ფორმაც ხასიათდება გარკვეული ელასტიურობითა და მოქნილობით, რისი წყალობითაც მას შეუძლია მოემსახუროს სხვადასხვა შინაარსს, ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვისას, გარდა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებისა, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები და პრინციპები.

3. სამოქალაქო საპროცესო სამართალს სამართლის სხვა დარგებთანაც აქვს გარკვეული კავშირი.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო სამართალი დაკავშირებულია სისხლის საპროცესო სამართალთან. ეს კავშირი მათ შორის განპირობებულია იმით, რომ ორივე აწესრიგებს სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. ამიტომ, სამართლის ამ ორ დარგს ბევრი საერთო ინსტიტუტი და პრინციპი აქვთ, განსაკუთრებით მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასების სფეროში, რაც განპირობებულია იმით, რომ ფაქტების შემეცნების

და სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ზოგიერთი საკითხი (რუსულ ენაზე) კრებული : „Гражданско - правовая норма и формы ее применения“ Изд-во „Мечниереба“ 1982. стр. 116-117.

²¹ მატერიალური სამართლისა და საპროცესო სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს შეეხნენ ცნობილი გერმანელი პროცესუალისტები ლ. როზენბერგი, კ. შვაბი, პ. გოთვალდი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო სამართალი წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს და იძლევა შესაძლებლობას შეიძინო უფლებები, მაგრამ არაფერს არ აკეთებს მათ განსახორციელებლად და უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი, ამის საპირისპიროდ, არის სამართლებრივი დაცვის ფორმა. Rosenberg /Schwab/, Gottwald. Zivilprozessrecht. 15 auflago, München, 1993. s.5.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სამსახურებრივ როლზე მიუთითებს აგრეთვე ეოლფგანგ გრუნსკი, რომლის მიხედვით სამოქალაქო პროცესი - ესაა კანონით განსაზღვრულ პრინციპებზე დაფუძნებული წარმოება, რომელიც ემსახურება კერძო უფლებების განხორციელებას სასამართლო გადაწყვეტილების საშუალებით და ამის გარდა სამართლებრივი მშვიდობის დაცვას და აღდგენას.

Dr. iur. Wolfgang Grunsky. Zivilprozessrecht. 2003, s.5.

მეტწიერულად დამუშავებული და იურიდიულად განმტკიცებული მეთოდები არ შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ, განსხვავება სამოქალაქო და სისხლის საპროცესო სამართალს შორის მუდამ დარჩება, რადგან მუდამ დარჩება განსხვავება სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალს შორის, რომლებითაც დეტერმინირებულია პროცესის შესაბამისი დარგები.

V. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები

სამართლის თეორიაში განასხვავებენ სამართლის წყაროს სოციოლოგიური გაგებით, რომელშიც ესმით რეალური სინამდვილის ფაქტები, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი და სამართლის წყარო იურიდიული გაგებით, რომელშიც ესმით კანონმდებლობა, იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა, სასამართლო პრაქტიკა.

სამართლის თეორიაში სამართლის წყაროს უწოდებენ აგრეთვე იმ ფორმებს, რომლებშიაც თავის გამოხატულებას პოულობს სამართლებრივი ნორმები.²² თუ სამართლის წყაროს ამ ვიწრო გაგებით ვიხელოვდებით, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ისეთი ფორმები, რომლებშიც გამოიხატება სამოქალაქო საპროცესო ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების გამოხატულების ფორმებად კი გვევლინება ნორმატიული აქტები, როგორცაა კანონები, დადგენილებები, განკარგულებები და ა.შ. აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავენ სამოქალაქო საპროცესო ნორმებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ საერთო სასამართლოებმა გარკვეული პირობების არსებობისას.

ყველა იმ ნორმატიული აქტის, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ამომწურავი ჩამოთვლა, რომელშიაც თავის ასახვას პოულობს ან მომავალში შეიძლება იპოვოს სამოქალაქო საპროცესო ნორმამ, არამართო რთულია, არამედ პრაქტიკულად მოკლებულია მნიშვნელობას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ დრო და დრო ეს ნორმატიული აქტები იცვლებიან ან საერთოდ უქმდებიან.

აქედან გამომდინარე, აქ მიზანშეწონილია მიუთითოთ მხოლოდ იმ ძირითად ნორმატიულ წყაროებზე, რომლებშიც აისახება სამოქალაქო საპროცესო სამართლის შინაარსის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

²² გიორგი ზუბუა. სამართლის თეორია. თბ. 2004, გვ. 130.

1. საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია და, ბუნებრივია, იგი წარმოადგენს კანონმდებლობის განვითარების იურიდიულ ბაზას. საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს და, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე (42-ე მუხლი). კონსტიტუციით განმტკიცებულია სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის, აგრეთვე სამართალწარმოების ზოგიერთი ძირითადი ორგანიზაციული და ფუნქციონალური პრინციპები (82-ე-92-ე მუხლები). ამ პრინციპებმა შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება განიცადეს სხვა საკანონმდებლო აქტებში.

2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. ეს კანონი განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემასა და ორგანიზაციას, აგრეთვე მოსამართლის სამართლებრივ მდგომარეობას. საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებების შემდგომი განვითარებისა და დაკონკრეტების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი შეიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალწარმოების ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ პრინციპებს.

3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა, რომელიც განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს, უზენაესი სასამართლოს სტრუქტურას და უფლებამოსილებას და ა.შ.

4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. ეს კოდექსი არის კოდიფიცირებული ნორმატიული აქტი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამართალწარმოების ზოგად პრინციპებს, სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას, პროცესის მონაწილეთა უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას, სასამართლო მტკიცებულებათა გამოყენების წესებს, საქმეთა წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას და ა.შ.

5. სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისა და გადაწყვე-

ტის საპროცესო წესებს. სწორედ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსითაა დამკვიდრებული წესი, რომლის თანახმად „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არაა დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები“.

6. სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. ამ კანონის ცალკეული ნორმები, აგრეთვე მისი II თავი (მე-8-20-ე მუხლები) და IX თავი (57-ე-73-ე მუხლები) მთლიანად ეძღვნება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას და სხვა საპროცესო წესებს, როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოები განიხილავენ საქმეებს უცხოური ელემენტით, ანუ როცა საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია.

7. სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს კანონი გაკოტრების შესახებ. გაკოტრების საქმეებს სასამართლოები განიხილავენ არამართო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, არამედ გაკოტრების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაკოტრების საქმეთა განხილვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

8. ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ისე იშვიათად სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება მატერიალურ სამართლებრივი კანონი; მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც საპროცესო სამართლებრივი ხასიათისაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით“. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ეს იმას ნიშნავს, რომ უძრავი ნივთის შეძენის ფაქტის დადასტურებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულება. საპროცესო ნორმებს შეიცავს აგრეთვე საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და სხვა მატერიალურ სამართლებრივი კანონები.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ სხვადასხვა საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები არ შეესაბამებიან ან ეწინააღმდეგებიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებსა და პრინციპებს, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, რადგან იგი წარმოადგენს საეციალურ კანონს, რომელიც აწესრიგებს სამოქალაქო საქმეთა განხილვას სასამართლოში.

VI. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმის მოქმედება დროში და სივრცეში

1. სსკ პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეულ საპროცესო მოქმედების შესრულების, ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

ამრიგად, სსკ პირველი მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში. ამ მუხლით დამკვიდრებულია პრინციპი რომლის თანახმად სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება იმ საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების თუ გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს. იგივე პრინციპი დამკვიდრებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების 435-ე მუხლით.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

მაგალითი 1: სარჩელი მიღებულია წარმოებაში მოსამართლის განჩინებით 10 მაისს. 15 მაისს მიღებული იქნა ახალი კანონი, რომელიც განსხვავებულ პირობებს ითვალისწინებს სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის. ამ ახალ კანონს არ აქვს უკუქცევითი ძალა. ამიტომ, სარჩელი უნდა დარჩეს წარმოებაში მიღებულად, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონით იგი შეიძლება არ ყოფილიყო მიღებული წარმოებაში.

მაგალითი 2: საქმის მომზადების მიზნით შესრულებული იქნა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები: მხარემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, დაინიშნა ექსპერტიზა, მოხდა ადვილზე დათვალიერება და ა.შ.

ამასობაში მიღებული იქნა ახალი კანონი, რომელიც სხვა თანმიმდევრობითა და სხვა წესით არეგულირებს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულებას. მიუხედავად ამისა, უკვე შესრულებული საპროცესო მოქმედებები ითვლება შესრულებულად, ე.ი. ვერ ჩაითვლება კანონის დარღვევით შესრულებულად. რაც შეეხება სხვა საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც ჯერ არ შესრულებულა, ისინი უნდა შესრულდეს ახალი კანონის მიხედვით, რადგან ძველი, რომელიც ამ ახალმა კანონმა შეცვალა, აღარ არსებობს (გაუქმებულია).

გაცილებით უფრო რთულია საკითხი, როდესაც ახალი კანონით იცვლება საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა. ასეთ შემთხვევებში უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი კრიტერიუმით: აუარესებს, თუ აუმჯობესებს ახალი ვადის დადგენა იმ მხარის მდგომარეობას, რომელმაც საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს და ამის მიხედვით გადაწყვეტილთ საკითხი.

მაგალითი 3: იმ დროს როდესაც მხარეს გადაეცა სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების ვადა იყო ერთი თვე, ამ ვადის ათვლა იწყებოდა გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ახალმა კანონმა შეცვალა გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა 14 დღით, მაგრამ უცვლელი დატოვა ამ ვადის ათვლის წესი, ანუ ვადის ათვლა კვლავ იწყება გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. მხარეს უნდა მიეცეს უფლება შეასრულოს საპროცესო მოქმედება, ანუ გაასაჩივროს გადაწყვეტილება ძველი კანონის მიხედვით, ანუ ერთ თვეში მისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი კანონის ამოქმედებამ²³ შეიძლება გააუარესოს მისი მდგომარეობა, რაც დაუშვებელია.

მაგალითი 4: ძველი კანონით გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იყო 14 დღე ამ გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემიდან ჯერ კიდევ არ იყო გასული 14 დღე, როდესაც მიღებული იქნა ახალი კანონი, რომლის მიხედვით გასაჩივრების ვადა გახდა ერთი თვე. მხარეს უნდა მიეცეს უფლება ისარგებლოს ამ ერთთვიანი ვადით, თუმცა ვადის ათვლა უნდა დაიწყოს არა ახალი კანონის მიღებიდან, არამედ გადაწყვეტილების გადაცემიდან. მაგრამ, თუ გადაწყვეტილების გადაცემიდან გავიდა 14 დღე, მხარეს კი არ გაუსაჩივრებია იგი ამ ვადაში, ხოლო ახალი კანონი, რომელმაც დააწესა გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, მიღებულ იქნა (ამოქმედდა) ამ 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ (ვთქვათ მე-16 დღეს) მხარეს აღარ უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან მან ახალი კანონის მიღებამდე დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

²³ საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონი ყოველთვის უფრო გონივრულად აწესრიგებს საპროცესო მოქმედების შესრულებას და, მამასადამე, უკეთ უზრუნველყოფს უფლების დაცვას.

ამრიგად, სარჩელის აღძვრა მოხდა და საქმის წარმოება გაიხსნა ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონის ამოქმედებამდე, ხოლო შემდეგ მიღებულ იქნა ახალი კანონი (კოდექსი), სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის წარმოების გახსნა-განხილვა დაიწყო ძველი კანონის მოქმედების პირობებში.

ასეთ შემთხვევაში ძველი კანონის პირობებში შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ითვლება მართლზომიერად შესრულებულად და ამ მოქმედების განმეორებით შესრულება ახალი კანონით დადგენილი წესით – დაუშვებელია. ხოლო, ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულება არა ძველი, არამედ ამ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად საპროცესო კანონმდებლობა, მათ შორის, ცხადია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას განეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოქმედება სივრცეში ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს ერთიანი სასამართლო სისტემის ყველა სასამართლო და ყველა მოსამართლე ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კანონმდებლობით.

§2. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა

I. ცნება

სასამართლოში სარჩელით (განცხადებით) მიმართვის, ამ სარჩელის წარმოებაში მიღებისა და მისი განხილვა-გადაწყვეტის პროცესში წარმოიშობა სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები ერთის მხრივ – იმ პირებს შორის რომლებმაც მიმართეს სასამართლოს განცხადებით (სარჩელით) აგრეთვე, რომლებიც მონაწილეობენ პროცესში სხვადასხვა სტატუსით და მეორე მხრივ – სასამართლოს შორის, რომელმაც მიიღო სარჩელი წარმოებაში და რომელმაც უნდა განიხილოს საქმე. საქმის განხილვაში მონაწილე პირებსა და სასამართლოს წარმომეშვებათ საპროცესო უფლებები და მოვალეობები, რომლებიც შეადგენენ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის შინაარსს.

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა – საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც სამოქალაქო საპროცესო ნორმებით რეგულირდება. აქედან გა-

მომდინარე, საპროცესო ურთიერთობას, როგორც სამართლებრივ ურთიერთობას, ახასიათებს მთელი რიგი ისეთი თვისებებისა რომლებიც ახასიათებთ სამართლებრივ ურთიერთობებს საერთოდ. მაგალითად, ისე როგორც ყველა სხვა სახის მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობა საერთოდ, საპროცესო ურთიერთობაც წარმოიშობა მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლებრივი ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

მაგალითად: იმისათვის, რომ წარმოიშვას ნასყიდობის, იჯარის, სესხის, ქირაუნობის და ა.შ. მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობა საჭიროა შესაბამისი ხელშეკრულების (ნასყიდობის, იჯარის, სესხის, ქირაუნობის) დადება კანონით გათვალისწინებული წესით.

იმისათვის, რომ წარმოიშვას სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა საჭიროა სასამართლოსათვის მიმართვა სარჩელით (განცხადებით) დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით სასამართლოში მიმართვა სარჩელით (განცხადებით) არის იურიდიული ფაქტი, რადგან მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უკავშირებს გარკვეულ შედეგს – სარჩელის (განცხადების) განსახილველად წარმოებაში მიღებას.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა – ესაა სამოქალაქო საპროცესო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა კანონით დადგენილი წესით სასამართლოში სარჩელით (განცხადებით) მიმართვისა და მისი სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების საფუძველზე, ერთის მხრივ, სასამართლოსა და მეორეს მხრივ, მხარეებსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის.

ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობას გააჩნია თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებს მას სხვა არასაპროცესო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობებისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად²⁴ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებანი ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

²⁴ სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ცნობილია სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ რამდენიმე შეხედულება.

პირველი შეხედულების თანახმად სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა სასამართლოსა და მოსარჩელეს შორის, სასამართლოსა და მოპასუხეს შორის. მხარეებს

1. საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სავალდებულო მონაწილეა სასამართლო. მასასადამე საპროცესო ურთიერთობა არ შეიძლება წარმოიშვას მხარეებს შორის, კერძოდ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, მხარეებსა და მესამე პირებს შორის, მხარეებსა და მოწმეებს შორის, მოწმეებსა და ექსპერტებს შორის.

2. რადგან სასამართლო არის სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სავალდებულო მონაწილე, ასეთი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სასამართლოსა და მოსარჩელეს შორის, სასამართლოსა და მოპასუხეს შორის, სასამართლოსა და ექსპერტს შორის და ა.შ.

არ არის გამორიცხული, რომ ექსპერტის დასკვნა მხარემ თვითონ წარმოადგინოს სასამართლოზე, რომელიც ამ მხარის წინადადებით და მასთან შეთანხმებით შეადგინა სპეციალური ცოდნით აღჭურვილმა პირმა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მყარდება ურთიერთობა ერთის მხრივ, მხარესა და მეორეს მხრივ, ექსპერტს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა არის არა საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით გათვალისწინებული დავალების მატერიალური ურთიერთობა.

3. მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს როგორც ფაქტობრივი ურთიერთობა. როგორც წესი, ფაქტობრივი მატერი-

– მოსარჩელესა და მოპასუხეს აქვთ მხოლოდ უფლებები, ხოლო სასამართლოს მხოლოდ მოვალეობები.

ამ შეხედულების ავტორია ცნობილი გერმანელი მეცნიერი ოსკარ ბიულოვი, რომელმაც პირველმა დეტალურად დაამუშავა სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის პრობლემები (Oskar Bülow. Die Lehre von den Prozesseinreden und Prozessvoraussetzungen. 1868).

მეორე შეხედულების თანახმად სასამართლოს აქვს არამარტო მოვალეობები, არამედ უფლებებიც. არსებობს აგრეთვე შეხულება, რომლის თანახმად სასამართლო და მხარეები დაკავშირებულია ერთმანეთთან ურთიერთუფლებებითა და მოვალეობებით.

ბოლოს, გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად უფლება-მოვალეობებით ერთმანეთის მიმართ აღჭურვილია მხოლოდ მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე, რაც შეეხება სასამართლოს, მას არ გააჩნია რაიმე დამოუკიდებელი ინტერესი პროცესში, არ არის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი და როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო დგას მხარეთა ზემოთ, მათზე მაღლა.

ამრიგად, საპროცესო ურთიერთობების სუბიექტებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ გამოთქმულია ობიექტურად და ლოგიკურად ყველა შესაძლებელი შეხედულება. მაგრამ, ყველაზე უფრო გაერკვლებულია და, შეიძლება ითქვას, გაბატონებულია შეხედულება, რომელიც პირველად დაასაბუთა ზემოდ დასახელებულმა მეცნიერმა ოსკარ ბიულოვმა. (დაწერილებითი ანალიზი ამ შეხედულებების შესახებ იხ. E.B. Backovskij. Курс гражданского процесса. Том. I. 1913, стр 682).

აღსანიშნავია ურთიერთობები არანაირ იურიდიულ უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს, მაგრამ ზოგჯერ ასეთ ფაქტობრივ ურთიერთობებს სამართალი უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. მაგალითად, ფაქტობრივ ქორწინებაში ანუ დაუქორწინებელ მშობლებისაგან შვილის წარმოშობა შეიძლება დადგინდეს სამოქალაქო მატერიალური კოდექსის 1190-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. აგრეთვე, თუ პირი ფაქტობრივად ფლობდა მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში, მაშინ იგი მოიპოვებს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას (სამოქ. კოდ. 165-ე მუხლით).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებით მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობებისა, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა არ შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი ურთიერთობის სახით, იგი შეიძლება ყოველთვის არსებობდეს მხოლოდ იურიდიული ურთიერთობის სახით.

II. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის პირობები და შინაარსი

1. საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობები. საპროცესო ურთიერთობა — ესაა სამართლებრივი ურთიერთობა, ამიტომ მისი წარმოშობისათვის საჭიროა ისეთივე პირობები, როგორც ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ურთიერთობისათვის საერთოდ.

ასეთი წინაპირობებია:

1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმა. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის შესაბამისი ნორმის საფუძველზე, იმ პირობით, თუ საპროცესო სამართლის ნორმა ითვალისწინებს ასეთი ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობას.

2. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა. უფლებაუნარიანობის გარეშე პირი არ შეიძლება გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი საერთოდ. სამოქალაქო პროცესშიც ეს საკითხი ასე დგას: საპროცესო უფლებაუნარიანობის გარეშე პირი ვერ გახდება საპროცესო ურთიერთობის მონაწილე, ეს განსაკუთრებით ეხება იურიდიულ პირებს, რომელთა უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მათი ქმედუნარიანობის წარმოშობასთან ერთად. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებიდან (დაწვრილებით იხ. თავი IV) განსხვავებით უფლებაუნარიანობისა, ქმედუნარიანობა არ წარმოადგენს ფიზიკური პირისათვის საპროცესო ურთიერთობაში მონაწილე-

ობის წინაპირობას. ქმედუნარიანი შეიძლება გახდნენ ურთიერთობის სუბიექტები, მაგრამ თვითონ უშუალოდ ვერ განახორციელებენ თავიანთ საპროცესო უფლებებს. ამას მათი წარმომადგენლები გააკეთებენ.

3. იურიდიული ფაქტები, იურიდიული ფაქტების გარეშე არ შეიძლება წარმოიშვას არც მატერიალური და არც საპროცესო ურთიერთობა. როგორც წესი, საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის საჭიროა ფაქტების ერთობლიობა.

მაგალითად: ა-ნის მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში, არის იურიდიული ფაქტი, მაგრამ საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის საჭიროა, რომ სასამართლომ მიიღოს ეს სარჩელი წარმოებაში ან არ მიიღოს იგი თავისი განჩინებით. მოსამართლის მოქმედება ანუ მის მიერ სარჩელის მიღება, თუ არ მიღება, იურიდიული ფაქტია, რომელიც მოსარჩელის მოქმედებასთან ერთად (მის მიერ სარჩელის შეტანა) წარმოშობს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობას.

იმისათვის, რომ წარმოშობილმა საპროცესო ურთიერთობამ მაშინვე არ შეწყვიტოს არსებობა და განვითარდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული თანმიმდევრულობითა და წესით საჭიროა სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების (სარჩელის უფლების) ყველა წინაპირობის არსებობა (იხ. თავი X §3).

2. სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის შინაარსი. ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობის შინაარსს ზოგადად, შეადგენს ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მათი შინაარსიც განისაზღვრება იმ პირთა უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებიც ამ ურთიერთობაში მონაწილეობენ. იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად საპროცესო ურთიერთობის შინაარსს შეადგენს არა უფლებები და მოვალეობები, არამედ ამ ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებები.

მოქმედება შეიძლება შესრულდეს ან უფლების ძალით, ან მოვალეობის ძალით. მოქმედება, რომელიც არც უფლებისა და არც მოვალეობის ძალით არ სრულდება – არამართლზომიერი მოქმედებაა.

²⁵

სარჩელის უმოძრაოდ დატოვება, ან მის მიღებაზე უარისთქმა, მიუხედავად ლოგიკური შეუსაბამობისა, მაინც შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლად, რადგან მოსარჩელეს ეძლევა უფლება გაასაჩივროს სასამართლოს ასეთი მოქმედება. მაგრამ, თუ სასამართლოს განჩინება ძალაში დარჩება, მაშინ ურთიერთობაც შეწყდება, სწორედ ამაზე ითქმის „დაბადებაც ვერ მოასწრო, რომ არსებობა შეწყვიტა“.

ამიტომ, მოქმედების განხილვა როგორც საპროცესო ურთიერთობის შინაარსი, არ იქნება შეცდომა, მაგრამ უფრო ზუსტი და სამართლებრივი ურთიერთობის ბუნების განმსაზღვრელი იქნება ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც არ შეიძლება არსებობდნენ იურიდიული ურთიერთობის გარეშე, ისე როგორც ასეთი ურთიერთობაც არ შეიძლება არსებობდეს უფლებამოვალეობების გარეშე.

საპროცესო ურთიერთობა, ისე როგორც ყოველგვარი სხვა სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოადგენს უფლებებისა და მოვალეობების, უფრო ზუსტად, სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების არსებობისა და რეალიზაციის ფორმას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებს და სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებია პირები, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებული უფლებებით და შეასრულონ საპროცესო მოვალეობები. ასეთ პირთა კატეგორიას, ზოგადად, განეკუთვნებიან საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე უცხოელი მოქალაქეები და იურიდიული პირები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს, ასეთ სუბიექტებად გვევლინება ისეთი პირები, რომლებმაც დაამყარეს საპროცესო ურთიერთობა სასამართლოსთან, მაგალითად, მიმართეს სასამართლოს სარჩელით (განცხადებით) დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტი გახდება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტი იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოავლენს ნებას და მიმართავს სასამართლოს თხოვნით (კანონით დადგენილი წესით) დაიცვას მისი დარღვეული უფლება. (დაწვრილებით იხ. თავი IV).

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები

§1 პრინციპების ცნება და კლასიფიკაცია

პრინციპი ლათინური სიტყვა და ნიშნავს დასაწყისს, დასაბამს. ამ ტერმინს ხმარობენ რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, სახელმძღვანელო იდეის, აგრეთვე ქცევის ძირითადი წესის აღმნიშვნელად.²⁶

ამ ტერმინს იყენებენ როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და პრაქტიკული მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები, ისე როგორც სამართლის პრინციპები საერთოდ, განსხვავდება მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ლოგიკის და სხვა) პრინციპებისაგან არამართო თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, არამედ იმითაც, რომ სამართლის პრინციპები ყოველთვის განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპი, შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ ისეთ დებულებას ან ისეთ იდეას, რომელიც სამართლის ნორმითაა განმტკიცებული და გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპი ეწოდება ისეთ სახელმძღვანელო დებულებას, ისეთ ძირითად იდეას, რომელიც განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით და რომელზეც აგებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი მთლიანად.²⁷

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნების ამ განმარტებიდან უკვე ნათლად ჩანს მისი ერთი მნიშვნელობა: რახან საპროცესო სამართალი, საქმის წარმოება სასამართლოში, აგებულია გარკვეული პრინციპების საფუძველზე, კანონმდებელი ვალდებულია აზარში გაუწიოს ამას, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შეაქვს ესა თუ ის ცვლილება და დამატება.

²⁶ იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 333.

²⁷ პროცესის პრინციპის ცნება, მისი ეტიმოლოგიური შინაარსიდან გამომდინარე თითქმის ერთგვარონადაა გაგებული სხვადასხვა ქვეყნის პროცესუალისტიკის მიერ. იხ. советский гражданский процес под ред. М. К. Треушниковой М. 1989 г. стр. 24. O. Jauernig. Zivilprozessrecht. München 1993 s. 73 Lücke. Zivilprozessrecht. Verlag C.H. Beck. 1999, s. 4-5.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. თუ პროცესი აგებულია ამ პრინციპებზე, მაშინ სასამართლოს ინიციატივის ფარგლებიც შეზღუდულია: მას უფლება არ აქვს თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ანუ იმ ფაქტების წრე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ განსაზღვრავს და ვერ გამოითხოვს მტკიცებულებებს, ვერ გასცილდება მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. ყოველივე ეს მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, მათი უფლებამოსილებაა. მაგრამ, თუ პროცესი აგებულია სამძებრო (ინკვიზიციურ) პრინციპზე, მაშინ სასამართლოს შეუძლია თვითონ შეიტანოს მტკიცების საგანში ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, თვითონ, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და ა.შ.

ამრიგად, პროცესის პრინციპების მნიშვნელობა, პირველ რიგში, ვლინდება საკანონმდებლო საქმიანობის დონეზე, სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დროს. კანონმდებელს, ცხადია, შეუძლია დაადგინოს გარკვეული გამონაკლისი (შეზღუდვა, გადახვევა) პრინციპიდან, მაგრამ ეს მან საგანგებოდ უნდა დაასაბუთოს, სამოქალაქო პროცესში ვერ შევხვდებით ისეთ პრინციპს რომლიდანაც არ იყოს გაკეთებული გამონაკლისები (შეზღუდვები), მაგრამ ეს შეზღუდვები კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ შეუძლია თვითონ დაადგინოს შეზღუდვები, გადაუხვიოს პრინციპის მოთხოვნებს.

პროცესის პრინციპების მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება.

პროცესის პრინციპები განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს პროცესის პრინციპის უგულვებლყოფა ან დარღვევა (მაგალითად, საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე, როცა ამის საფუძველი არ არსებობდა და არ იყო ამის შესახებ სასამართლოს განჩინება), ან გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რომელიც იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას.

ამრიგად, პროცესის პრინციპის მეორე მნიშვნელობა ვლინდება სამართალშეფარდებითი საქმიანობის დონეზე: სასამართლო ვალდებულია კონკრეტულ საქმეთა განხილვის დროს განუხრებლად დაიცვას საპროცესო სამართლებრივი პრინციპების მოთხოვნები.

ბოლოს, პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც სასამართლო იძულებულია გამოიყენოს სამართლის ანალოგია. სამართლის ანალოგიის გამოყენების დროს სასამართლო გვევლინება არამართო როგორც სამართალშემფარდებელი, არამედ როგორც სამართალშემოქმედებითი ორგანო, რომელიც სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით აყალიბებს ქცევის წესს კონკრეტული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

პრინციპების კლასიფიკაცია. იურიდიულ ლიტერატურაში ალბათ ვერ ვიპოვით ორ ავტორს, რომლებიც ერთნაირად განსაზღვრავენ პრინციპების რაოდენობას: ზოგი ასახელებს ხუთს, ზოგი ექვს, ზოგი რვას, ხოლო ზოგიც სამს, თუ საკითხი ეხება სპეციფიურ დარგობრივ და არა დარგთაშორისო პრინციპებს²⁸.

არ არსებობს აგრეთვე პრინციპების ერთგვაროვანი კლასიფიკაცია. იმის მიხედვით თუ რომელი კრიტერიუმებით (ნიშნებით) ხელმძღვანელობენ – კლასიფიკაციაც სხვადასხვანაირია. მაგალითად, თუ პრინციპებს დავყოფთ იმის მიხედვით სადაა ეს პრინციპი ჩამოყალიბებული – რომელ საკანონმდებლო აქტში, მაშინ პრინციპები შეიძლება დავყოთ კონსტიტუციურ და დარგობრივ პრინციპებად, ე.ი. პრინციპებად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

პრინციპების ამ ნიშნით დაჯგუფება არავითარ დავას არ იწვევს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ასეთნაირმა დაჯგუფებამ არ შეგვიქმნას მცდარი წარმოდგენა.

საქმე ისაა, რომ პრინციპების კონსტიტუციურ და არაკონსტიტუციურად (დარგობრივად) დაყოფა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არაკონსტიტუციური პრინციპები უფრო დაბალი რანგის პრინციპებია და, რომ, ეს პრინციპები შეიძლება არც კი განვახორციელოთ. რა თქმა უნდა არა! მთავარია, რომ პრინციპი კანონში იყოს ასახული, კანონით იყოს განმტკიცებული, ხოლო მისი განუზრელად გატარების თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ კანონშია იგი ასახული. ძირითადი ანუ კონსტიტუციის და არაძირითადი კანონის ყველა მოთხოვნა ერთნაირად სავალდებულოა შესასრულებლად. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სახელმწიფოს ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) – ესაა ბაზა შემდგომი საკანონმდებლო საქმიანობისა იმის

²⁸ იხ. В.М. Семенов. Конституционные принципы гражданского судопроизводства. М. 1982, стр. 110

Rosenberg /schwab / Gottwald, Zivilprozessrecht. 15.Auflage. 1993. s. 422.

სრული გათვალისწინებით, რომ ყველა კანონი უნდა შესაბამებოდეს კონსტიტუციას.

როგორც აღვნიშნეთ, პრინციპებს აჯგუფებენ იმის მიხედვით დარგობრივია ისინი, თუ დარგთაშორისი. მართლაც, ზოგიერთი პრინციპი მაგალითად, საქმის განხილვის საჯაროობა, უშუალობა, ზეპირობა და ა.შ. მოქმედებს სისხლის პროცესშიც, მაგრამ არის პრინციპები, რომლებიც მხოლოდ სამოქალაქო პროცესისათვისაა დამახასიათებელი.

ბოლოს ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომლის თანახმად პროცესის პრინციპები უნდა დაჯგუფდეს მათი დანიშნულების მიხედვით, ე.ი. იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ პრინციპები. ამის შესაბამისად, თუ პრინციპი სასამართლოს ორგანიზაციის საკითხებს ეხება, ასეთი პრინციპები უნდა გავაერთიანოთ ერთ ჯგუფად და ვუწოდოთ მათ მართლმსაჯულების ორგანიზაციული, ან სამოქალაქო სამართალწარმოების ორგანიზაციული პრინციპები, ხოლო, თუ პრინციპი კონკრეტული საქმის განხილვის დროს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას აწესრიგებს, ასეთი პრინციპები შეიძლება გავაერთიანოთ და ვუწოდოთ მათ სასამართლოწარმოების (სამართალწარმოების) ფუნქციონალური პრინციპები.

პრინციპების ასეთი წესით დაჯგუფებას ჩვენც მხარს ვუჭერდით²⁹ და დღესაც ვიზიარებთ, რადგან უფრო გამოკვეთილია ამ პრინციპების დანიშნულება და როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ სამოქალაქო პროცესში.

მთელ რიგ ორგანიზაციულ პრინციპებს, როგორცაა მაგალითად, სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობა, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება და სხვა ჩვენ უკვე განვიხილეთ ამ ნაშრომის პირველ თავში.

აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც სასამართლოსა და მხარეების მიერ თავიანთი ფუნქციისა და უფლებამოსილებების წესს არეგულირებენ და რის გამოც მათ ფუნქციონალური პრინციპები უწოდეს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პრინციპები იმავდროულად სამართალწარმოების ორგანიზაციის ანა თუ იმ ასპექტსაც შეიძლება ეხებოდეს.

²⁹ თ. ლილუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გ-ბა „მეცნიერება“, თბ. 1992, გვ.16

I. დისპოზიციურობის პრინციპი

აღრე მოქმედი (1964 წლის) სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა სპეციალურ მუხლს დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ, თუმცა მხარეებს მინიჭებული ჰქონდათ მთელი რიგი უფლებებისა, რომლებიც მხოლოდ დისპოზიციურობის პრინციპით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული. მაგალითად, მხარეებს შეეძლოთ უარი ეთქვა სარჩელზე, ეცნოთ (ელიარებიანთ) სარჩელი, ან კიდევ, საქმე დაემთავრებინათ მორიგებით. ყოველივე ეს დისპოზიციურობის გამოვლინებაა, მაგრამ ამასთან ერთად, 1964 წლის სსკ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან არ დაამტკიცოს მხარეთა მორიგება, თუ მათი ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს, არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს (34-ე მუხლი).

სასამართლოს ასეთ ჩარევას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში იმით ხსნიდნენ, რომ სასამართლოს ევალება იყოს აქტიური და დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, გამოიტანოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამაში ხელდავდნენ დისპოზიციურობის სოციალისტური პრინციპის ძირეულ განსხვავებას დისპოზიციურობის ბურჟუაზიული პრინციპისაგან.³⁰

ფაქტიურად ეს ნიშნავდა მხარეთა მიერ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებების თავისუფლად განკარგვის თუ მთლიანად უგულებელყოფას არა, მის სერიოზულად და მნიშვნელოვნად შეზღუდვას.

დისპოზიციურობის პრინციპს სპეციალური მუხლი ეძღვნება ამჟამად მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ამ კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, რომელსაც „დისპოზიციურობის პრინციპი“ ეწოდება „მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში. სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი“.

ამრიგად, დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის სრული ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავიანთი არამართო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები.

³⁰ Советский гражданский процесс. под ред. М.К. Треушникова. М. 1989. стр. 38.

დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ამ პრინციპითაა გამსჭვალული მისი ყოველი ნორმა.

რა კონკრეტული გარემოებებითაა განპირობებული ამ პრინციპის შემოღება სამოქალაქო პროცესში და როგორია მისი შინაარსი?

არსებობს უფლების ცნების შინაარსის სხვადასხვანაირი განმარტება, მაგრამ ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული განმარტება ასეთია: უფლება – ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი (დასაშვები) ქცევის ზომა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი. ეს აგრეთვე იმასაც ნიშნავს, რომ უფლების გამოყენება არაა ვალდებულება. უფლების გამოყენება რომ ვალდებულება იყოს, მაშინ იგი უფლება კი არა, ვალდებულება იქნებოდა, რომლის შესრულებლობას კანონი ყოველთვის უკავშირებს გარკვეულ შედეგს და რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ძალით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ვალდებულება (უფლების საპირისპიროდ) – არის პირის სავალდებულო ქცევის ზომა, რომლის შესრულება კანონითაა გარანტირებული.

ამრიგად, სამოქალაქო უფლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია. ამასთან, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი სიკეთე. სამოქალაქო კანონმდებლობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას (სკ მე-7 და მე-9 მუხლები). პირს (ფიზიკურს, თუ იურიდიულს) შეუძლია ისარგებლოს ამ სიკეთით, გაასხვისოს თავისი უფლება, ან საერთოდ უარი თქვას მასზე. ნების ავტონომია, რომელზეც აგებულია კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც აღვნიშნეთ, თავის უშუალო ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო პროცესზე. ეს ზეგავლენა ძირითადად შემდეგში ვლინდება:

1. თუ პირს შეუძლია განკარგოს თავისი მატერიალურ სამართლებრივი უფლება ისე, როგორც ეს მას მიაჩნია მიზანშეწონილად, მაშინ მას შეუძლია ითმინოს ან არ ითმინოს ამ უფლების დარღვევა სხვა პირის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ არავის არ აქვს უფლება აიძულოს პირი, რათა მან მიიღოს ზომები თავისი დარღვეული (სადავო) უფლების დასაცავად.

ამ მდგომარეობითაა განპირობებული სსკ მე-2 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად „საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის გაცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის წარმოებას სასამართლოში იწყებენ მხარეები (სსკ მე-3 მუხლი).

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა მოპასუხე ბ-ანისაგან ზიანის ანაზღაურება გ-ანის სასარგებლოდ 5000 ლარის ოდენობით, რაც მან მიაყენა მისი ახლო ნათესავის გ-ანის ქონებას. სასამართლომ დააქყოფილა სარჩელი. მოპასუხე ბ-ანიმ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ სსკ მე-3 მუხლის თანახმად „მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ“. დაზარალებულ მხარეს გ-ანის თვითონ არ შემოუტანია სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ და არ მოუთხოვია მოპასუხე ბ-ანისაგან მისი ანაზღაურება. მოსარჩელე ა-ნი არც დაზარალებულია და მას არც ჰქონდა უფლებამოსილება სხვისი უფლების დასაცავად აღეძრა სარჩელი. ამიტომ, სასამართლოს არ უნდა მიეღო ეს სარჩელი და არ უნდა განეხილა იგი.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება სსკ მე-3 მუხლით დამკვიდრებული დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევის გამო.

მხარეებს შეუძლიათ მიანდონ საქმის წარმოება სასამართლოში სხვა პირებს, კერძოდ წარმომადგენლებს (ადვოკატებს), მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არაფერს არ ნიშნავს. სსკ-სი ითვალისწინებს მხარის საპროცესო უფლებას აწარმოოს საქმე სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელი ამ შემთხვევაში მოქმედებს ამ უფლების მატარებელი პირის (მარწმუნებლის) ნების საფუძველზე, რომლის დასაცავადაც მიმართეს სასამართლოს.

2. პირს შეუძლია უფლების დამრღვევისაგან მოითხოვოს ანაზღაურება იმ ზომით და ოდენობით, რამდენსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ და მიზანშეწონილად.

ამ პრინციპიდან გამომდინარე საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს შემდეგ დანაწესს:

დარღვეული უფლების სუბიექტები თვითონვე „განსაზღვრავენ დავის საგანს“, ანუ მოთხოვნის შინაარსს (სსკ მე-3 მუხლი). ისინი ვალდებულია მიუთითონ თავიანთ სარჩელში (განცხადებაში) იმაზე, თუ რა მოთხოვნას აყენებენ მოპასუხის მიმართ, ანუ რას მოითხოვენ მოპასუხისაგან (სსკ 178-ე მუხლი). მოსარჩელეს ეძლევა აგრეთვე უფლება შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, ე.ი. მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი, გაადიდოს ან შეამციროს მოთხოვნის ოდენობა (სსკ 83-ე მუხლი).

გაცილებით უფრო მეტი კატეგორიულობით გამოირჩევა სსკ 248-ე მუხლი, რომლის თანახმად „სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი

გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა“.

მაგალითად: *გ-ანიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით, რაც გამოჩვეული იყო მისი ქონების დაზიანებით მოპასუხის მიერ. მოპასუხის შუამდგომლობით სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა მიყენებული ზიანის ნაძლევი ოდენობის (ფულად გამოხატულებაში) განსაზღვრისათვის. ექსპერტმა სასამართლოს წარუდგინა დასკვნა იმის შესახებ, რომ მიყენებული ზიანი შეადგენს იმაზე მეტს, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე, კერძოდ 15000 ლარს. სასამართლო დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დააკისრა 15 000 ლარის გადახდა მოსარჩელისათვის.*

მოპასუხემ ამ გადაწყვეტილებაზე შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელიც დაასაბუთა იმით, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა მიეკუთვნებინა მოსარჩელისათვის იმაზე მეტი, ვიდრე იგი მოითხოვდა, მით უმეტეს, მას არ გაუდიდება თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სსკ მე-3 და 248-ე მუხლებზე დაყრდნობით გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკისრა მოპასუხეს 10000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

მაგრამ, შეეძლო თუ არა სასამართლოს მიეკუთვნებინა მოსარჩელისათვის იმაზე ნაკლები, ვიდრე იგი მოითხოვდა?

რა თქმა უნდა შეეძლო, თუ ექსპერტის დასკვნით ან საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურდებოდა, რომ ზიანის ოდენობა განისაზღვრება არა 10 000 ლარით, არამედ, ვთქვათ 5000 ლარით.

3. ნების ავტონომიის შინაარსი და, აქედან გამომდინარე, გარიგების თავისუფლება მატერიალურ სამართალში, მოიცავს პირის სრულ შესაძლებლობას დადოს ნებისმიერი გარიგება: „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“ (სკ 50-ე მუხლი).

თუ გარიგება ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია და პირს შეუძლია დადოს ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული გარიგებები, მაშინ ეს შესაძლებლობა მას არ შეიძლება წაერთვას მის მიერ აღძრული სარჩელის სასამართლოში განხილვის დროსაც.

აქედან გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის დანაწესი, რომლის თანახმად მოსარჩელეს, რომელმაც გარკვეული მოთხოვნა წაუყენა მოპასუხეს, შეუძლია შეუთანხმდეს (მოურიგდეს) მას. მოდავე მხარეთა მორიგება საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, რომელიც გულისხმობს ამ მხარეთა ნებას ურთიერთდათმობის გზით მიაღწიონ შეთანხმებას, იმავდროულად წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

4. ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს მხარეთა სრული თავისუფლება მოსარჩელემ უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე, ხოლო მოპასუხემ ცნოს (აღიაროს) სარჩელი (სსკ მე-3 მუხლი).

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმას უკავშირდება სერიოზული საპროცესო სამართლებრივი შედეგები, კერძოდ საქმის წარმოების შეწყვეტა (სსკ 272-ე მუხლი).

სარჩელზე უარის თქმა – ესაა მატერიალურ სამართლებრივი განკარგვის აქტი საპროცესო სამართლებრივი შედეგით.

მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა აგრეთვე უფლების განკარგვის აქტია, რომელსაც უკავშირდება საპროცესო შედეგი – სარჩელის დაკმაყოფილება.

5. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს აგრეთვე მხარეთა საპროცესო უფლება გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილებები ან შეურიგდნენ ამ გადაწყვეტილებას, ცნონ იგი, მოითხოვონ მისი აღსრულება ან უარი თქვან მის აღსრულებაზე და ა.შ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ დისპოზიციურობის პრინციპს აქვს საზღვრები: ის რისი უფლებაც მხარეს არ აქვს პროცესის გარეთ, პროცესის ფარგლებს იქეთ, მას ასეთი უფლება არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც.

მაგალითად: ბანკმა „კრედიტმა“ აღძრა სარჩელი ს-ძის წინააღმდეგ, რომელმაც არ დაუბრუნა ბანკს აღებული სესხი 50000 ლარის ოდენობით და მოითხოვა იპოთეკით დატვირთული სახლის იძულებით გაყიდვა აუქციონზე და ამ სახლიდან მოპასუხისა, მისი მეუღლის და ოჯახის სხვა წევრების გამოსახლება.

მოპასუხე ს-ძემ ცნო სარჩელი. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხის მეუღლემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ ჯერ – ერთი, ის არ იყო ჩაბმული პროცესში როგორც თანამოპასუხე და მეორეც, მოპასუხე ს-ძეს არ ჰქონდა მთელი სახლის იპოთეკით დატვირთვის უფლება მისი წინასწარი თანხმობის გარეშე, რადგან

ამ სახლას ნახევარი, როგორც ქორწინების დროს შეძენილი, ეკუთვნის პირადად მას. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს არ ჰქონდა აგრეთვე უფლება ეცნო სარჩელი მთლიანად, რადგან მას არ შეუძლია განკარგოს უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნის.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ შეუძლია თუ არა საზოგადოების (საწარმოს) დირექტორს (პარტნიორს) ცნოს ნებისმიერი სარჩელი. დირექტორი, როგორც ცნობილია უფლებამოსილია საზოგადოების სახელით მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში სპეციალური რწმუნებულების გარეშე. ამასთან ერთად, მთელი რიგი მოქმედების შესრულებისათვის დირექტორებს (სასამართლო პროცესების გარეშე) ჭირდებათ სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების თანხმობა. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 55-9-ე მუხლის თანახმად მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება, უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა და ა.შ. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლოში მიმდინარეობს დავა, ვთქვათ, სააქციო საზოგადოების კუთვნილი ამა თუ იმ უძრავი ქონების (ნაგებობის, მიწის ნაკვეთის) იჯარის შესახებ, დირექტორს, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებას სასამართლოში, არ შეუძლია ცნოს იჯარის ხელშეკრულების არსებობა, თუ მას არ გააჩნია სპეციალური უფლებამოსილება ამის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დირექტორებს ან კანონით ან წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პირს (პარტნიორს) უფლება აქვს შეასრულოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედება ყოველგვარი სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, მაგრამ ის, რისი უფლებაც მას არ აქვს საზოგადოების ამა თუ იმ ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, მას ეს უფლება არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლო პროცესზეც, თუ ამისათვის მას არ გააჩნია ამ ორგანოს სპეციალური უფლებამოსილება.

სხვისი უფლების, მათ შორის საერთო უფლების, აგრეთვე ისეთი უფლების განკარგვის აკრძალვა, რისთვისაც სხვა პირის ან ორგანოს თანხმობაა საჭირო, არ ნიშნავს დისპოზიციურობის პრინციპის შეზღუდვას.

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებებით.

II. შეჯიბრებითობის პრინციპი

1. შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპების თანაფარდობა

ბოლო დრომდე, უფრო ზუსტად საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპი. ამ პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1932 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სამძებრო პრინციპს უპირისპირდება შეჯიბრებითობის პრინციპი. ამიტომ, დღეს მოქმედი კოდექსის პროექტზე მუშაობის დროს ჩვენს წინაშე მთელი სიმძაფრით იდგა საკითხი: შევინარჩუნოთ სამძებრო პრინციპი და მასზე ავაგოთ ახალი საპროცესო კოდექსი, თუ უარი ვთქვათ ამ პრინციპზე და პროცესი ავაგოთ შეჯიბრებითობაზე.

არჩევანის გაკეთება არ იყო ჩვენთვის ძნელი, რადგან შეგვეძლო ძალიან ფართო სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, პრაქტიკისა, რომელიც სამძებრო პრინციპზე აგებულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენებას ეყარებოდა.

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი ასეთ მოთხოვნას შეიცავდა: „სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებს და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი“ (მე-11 მუხლი).

ამავე კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად „თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის, სასამართლო მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებას აძლევს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები ან კრებს მათ თავისი ინიციატივით“.

ამ პრინციპის მოქმედების პირობებში გამოიკვეთა რიგი უარყოფითი ტენდენციებისა, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ა) ძალიან შესუსტდა მხარეთა აქტივობა: ისინი დიდად აღარ ზრუნავდნენ იმ ფაქტების სრულად და ამომწურავად მითითებაზე, რომლებიც ასაბუთებენ მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს („სულ ერთია ამ ფაქტების ზუსტი და სრული განსაზღვრა სასამართლოს ევალეა“). ისინი არ იჩენდნენ აქტიურობას მტკიცებულებათა მოძიებასა და სასამართლოსათვის წარდგენაზე („სულერთია სასამართლოს ევალეა მათი მოძიება და შეგროვება“); ბ) საქმის განხილვის უზომოდ გაჭიანურება, რადგან სასამართლო ვერ უმკლავდებოდა მისთვის უკიდურესად

მძიმე მოვალეობის შესრულებას მოეძია, გამოეთხოვა და შეემოწმებინა მტკიცებულებები. შემთხვევითი არ იყო ამიტომ საკანონმდებლო წინადადების წაპოყენება, რომელსაც ყავდა მხარდამჭერები და რომელიც მოითხოვდა სამოქალაქო პროცესში წინასწარი გამოძიების მსგავსი ორგანოს შექმნას; გ) სასამართლო გადაწყვეტილებათა ხშირი გაუქმება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ მოტივით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება.³¹ საქმეზე მხარეთა ნამდვილი უფლებებისა და მოვალეობების დაუდგენლობის მიზეზად სახელდებოდა ის, რომ სასამართლომ არ მოიძია და არ გამოითხოვა მტკიცებულებები, არ განსაზღვრა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების წრე (მტკიცების საგანი), საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად და ა.შ. ფაქტიურად მართლმსაჯულების განხორციელება დამოკიდებული იყო არაკეთილსინდისიერი მხარის ნებასურვილზე: თუ იგი ინებებდა და გამოცხადდებოდა, სასამართლო განიხილავდა საქმეს და გამოიტანდა გადაწყვეტილებას, თუ არადა – სასამართლო ვერ გადაწყვეტდა საქმეს, ხოლო თუ ბოლოს და ბოლოს მაინც განიხილავდა და გამოიტანდა გადაწყვეტილებას, მას როგორც წესი, აუცილებლად გააუქმებდა ზემდგომი სასამართლო.

საჭირო იყო ამ უაღრესად არასასურველი და მახინჯი პრაქტიკიდან თავის დაღწევა. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა თუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას აეაგებდით შეჯიბრებითობის საწყისებზე, სამძებრო პრინციპის წინასწარ ზუსტად განსაზღვრული ელემენტების შეზავებით.

მაშასადამე, არა სამძებრო პრინციპი შეჯიბრებითობის შეზავებით, არამედ შეჯიბრებითობის პრინციპი სამძებრო ელემენტების შეზავებით.³²

ასეც მოვიქცეთ.

³¹ სამძებრო პრინციპის მოქმედების პირობებში არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი დაწერილებით გაშუქებულია: თ.ლილუაშვილი. „სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში“. კრებული „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ. გ-ბა „მეცნიერება“ 1977 წ. გვ. 104-127.

³² ცნობილი გერმანელი პროცესუალისტი ლ.როზენბერგი, რ.შვაბი და გოთვალდი აღნიშნავენ, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არაა ისეთი ღოგმა, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდა. მხარეებს შეიძლება აღმოუჩინოს დახმარება სასამართლომ საქმის გარემოების გასარკვევად საჭირო მტკიცებულებათა წარდგენაში. Rosenberg, Schwab, Gottwald, Zivilprozessrecht, 1993. s. 123

2. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსი

შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად დამკვიდრებულია საქართველოს კონსტიტუციით, რისი წყალობითაც ამ პრინციპმა სახელმწიფოებრივ სამართლებრივი, ანუ კონსტიტუციური მნიშვნელობა შეიძინა. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილს თანახმად „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

კონსტიტუციით დამკვიდრებული ამ პრინციპის დაკონკრეტებას წარმოადგენს სსკ მე-4 მუხლი, რომლის თანახმად „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“ შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა კპოვა სსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის გარკვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ამ მუხლების ანალიზის საფუძველზე. ამ მუხლების ანალიზი კი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს.

2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს.

3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსკ 178-ე მუხლში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს „გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“, აგრეთვე სსკ 201-ე მუხლში, რომლის თანახმად თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს მან უნდა მიუთითოს „რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ“.

4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 178-ე მუხლში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს „მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს“ (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე. სსკ 201-ე მუხლში, რომლის თანახმად მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს „რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები“, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსკ 102-ე მუხლში, რომლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

3. სასამართლოს ინიციატივისა და აქტიურობის ფარგლები

რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში? ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები ჩვენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“.

რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები?

1. პირველ რიგში მიზანშეწონილია შევხვთ საკითხს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მტკიცების საგანს, ანუ იმ ფაქტების წრეს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, განსაზღვრავენ თვითონ მხარეები (სსკ მე-4 მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, შეიძლება საფუძველად დაედოს გადაწყვეტილებას.

იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ?

არა, არ შეუძლია!

სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსკ 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსკ 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 128-ე მუხლში, რომლის თანახმად „სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები იურიდიულად ვერ ასაბუთებენ მათ მოთხოვნებს და, მაშასადამე, არ აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლოს შეუძლია შესაბამისი განმარტება მისცეს მხარეებს ამის თაობაზე, რომლებმაც თვითონ უნდა შეძლონ შესაბამის ფაქტებზე მითითება. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა სსკ 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ „მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მათ შეუძლიათ წამოაყენონ ახალი მოსაზრებები და მიუთითონ ახალ გარემოებებზე“.

ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან სესხის სახით მიცემული ვალის 10 000 ლარის დაბრუნება. მოასუხებ (ბ-ანიმ) არ ცნო სარჩელი და თავის წერილობით შესაგებულში და მოსამზადებელ სხდომაზე მიცემულ ზეპირ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ეს ვალი გასტურებულია მის მიერ მოსარჩელის შეკვეთით სხვადასხვა ხასიათის სამუშაოების შესრულებით. სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელზე იმ მოტივით, რომ გასულია სკ 129-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. მოსარჩელემ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ სასამართლომ დაარღვია შეეცდობითობის პრინციპი, რადგან გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ფაქტი, რომელზეც არ მიუთითებია მოასუხეს და რომელზეც არ უმსჯელია მხარეებს.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაში მართლაც დარღვეულია შეჯიბრებითობის პრინციპი.

ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს საოჯახო საქმეების განხილვის დროს. სსკ 354-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ“.

ის რაც დასაშვებია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, დაუშვებელია სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვისას.

2. გაცილებით უფრო აქტიურ როლს ასრულებს სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში. აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია „თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ამკვიდრებს ორ მთავარ იდეას: ა) საქმის გარემოებათა, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების (მტკიცების საგნის) გასარკვევად სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა; ბ) სასამართლოს ინიციატივის ფარგლები არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს შეჯიბრებითობის პრინციპის არამართლზომიერი შეზღუდვა ან დარღვევა. სასამართლოს ინიციატივის ფარგლები განსაზღვრულია კანონით, რაც უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის, მისი მდიდარი შინაარსის სრულყოფილად რეალიზაციას.

როგორია სასამართლოს ინიციატივის კანონით განსაზღვრული ფარგლები?

პირველი – თუ სასამართლოს შეხედულებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია ან ვერ პასუხობენ მტკიცებულებათა განკუთვნილობის თუ დასაშვებობის მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები (სსკ 103-ე მუხლი).

მეორე – მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, მაგრამ თუ მათ, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ვერ შეძლეს საჭირო მტკიცებულებათა პირადად მიღება და მათი სასამართლოში წარდგენა იმის გამო, რომ პირი, რომელმაც ეს მტკიცებულება უნდა გასცეს, უარს ამბობს მხარისათვის მის გადაცემაზე, მაშინ ამ მხარის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს ეს მტკიცებულება ამ პირისაგან სსკ-ით დადგენილი წესით (სსკ 134-ე, 136-ე, 154-ე, 156-ე და 203-ე მუხლები).

მესამე – სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მოახდინოს ადგილზე დათვალიერება იმ წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულებებისა, რომელთა სასამართლოში წარდგენა მათი მოცულობის თუ ოდენობის გამო ძნელია ან შეუძლებელია.

მეოთხე – სასამართლოს შეუძლია საქმის მომზადების წესით ან საქმის ზეპირი განხილვის დროს თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საჭიროა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოების დადგენა, რომელიც საპროცესო ცოდნას მოითხოვს (სსკ 162-ე, 203-ე მუხლები).

ასეთია მხარეთა შეჯიბრებაში სასამართლოს ინიციატივისა და მისი აქტიური როლის ფარგლები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, რის გამოც უზრუნველყოფილია შეჯიბრებითობის მტკიცედ და განუხრელად გატარება, მისი დარღვევის თავიდან აცილება.

III. მხარეთა თანასწორობის პრინციპი

როგორც აღვნიშნეთ, ეს პრინციპი, შეჯიბრებითობის პრინციპთან ერთად აღიარებულია კონსტიტუციის 85-ე მუხლით. ეს არაა შემთხვევითი: მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა რომ არ იყოს ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი.

რას ნიშნავს მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო პროცესში?

მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსკ მე-4 მუხლში რომლის თანახმად „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და-ასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები“.

მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით.

მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია გადაუგზავნოს მოპასუხეს ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტის ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს

სასამართლოს თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსარჩელის თავდასხმისაგან, ანუ სარჩელისაგან, მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებებს, როგორცაა შესაგებელი და შეგებებული სარჩელი.

ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნობას და ა.შ.

ართანაბარ მდგომარეობაში აყენებს სასამართლო მხარეებს როდესაც მოპასუხე მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შესახებ იგებს მხოლოდ სასამართლო უწყებით, რომლითაც მას ატყობინებენ სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ არ გაუგზავნა ბ-ანის ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები და არ გამოითხოვა მისგან წერილობითი შესაგებელი, მოპასუხეს არ შეატყობინა აგრეთვე მოსამზადებელი სხდომის შესახებ. დანიშნა მთავარი სხდომა, რომელზეც გამოცხადდა მოპასუხე, მაგრამ მან მოითხოვა სხდომის სხვა დროისათვის გადადება, რათა გაეცნოს საქმის მასალებს, აიყვანოს წარმომადგენელი, წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები და, საერთოდ, მოემზადოს სარჩელისაგან თავდაცვისათვის.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო უარს ეუბნება მხარეს მიიღოს მისგან მტკიცებულება, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების უტყუარობის გაქარწყლებისაკენ იმ მოტივით, რომ ამ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს არ ართმევს უფლებას მხარეს წარმოუდგინოს სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების სიყალბის თუ არასარწმუნობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც აგრეთვე უნდა შეფასდეს სასამართლოს შინაგანი რწმენით.³³

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დამკვიდრებული საპროცესო სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს „თანასწორ

მხარეებს აქვთ ერთნაირი უფლება გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, მათ აგრეთვე უფლება აქვთ უარი თქვან გასაჩივრებაზე. აღსანიშნავია, რომ მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპი გამოკვეთილია წესში, რომლის თანახმად თუ ერთერთმა მხარემ უარი თქვა გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მაშინ მხარეს, რომელმაც უარი თქვა გასაჩივრებაზე, შეუძლია მიუხედავად ამისა, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

როგორც აღვნიშნეთ, მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპით გამსჭვალულია პროცესის თითქმის ყველა ინსტიტუტი და ნორმა. ამიტომ, ამ პრინციპის დეტალური გაშუქება მოითხოვს ყველა ამ ნორმისა და ინსტიტუტის ანალიზს, რასაც ეძღვნება ამ წიგნის მომდევნო თავები.

აქ მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ თანასწორობის პროცესუალური პრინციპი ორგანულადაა დაკავშირებული შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომლის სრულად, თანმიმდევრულად და სამართლიანად გატარება შეუძლებელი იქნებოდა მხარეთა თანასწორობის გარეშე. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმები თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ სსკ 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით – წარმოადგენს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს (გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს).

IV. საქმის განხილვის დაჩქარებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები

1. საქმის განხილვის დაჩქარება. ამ სახელმძღვანელოს VII თავში განხილულია დროის ფაქტორის მნიშვნელობა სამართალში საერთოდ და სამოქალაქო პროცესში კერძოდ. აღვნიშნეთ, რომ საპროცესო ვადა – ესაა დროის

(თანაბარ) საშუალებათა“ პრინციპსაც ანუ მხარეთა თანასწორობას პროცესუალური თვალსაზრისით. ამ პრინციპის დარღვევა დაფიქსირდა საქმეებში, როდესაც ერთ-ერთ მხარეს უარი ეთქვა საქმის მასალების გაცნობაზე, უარი ეთქვა სასამართლოს მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა განხილვაზე, როდესაც სასამართლოებმა განიხილეს მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ა.შ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური. თბილისი, 2000 წ. გვ. 65-67.

გარკვეული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. აღენიშნეთ ისიც, რომ დროის ფაქტორის ანუ ვადების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში უშუალოდ უკავშირდება სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების მიზნებსა და ამოცანებს.

საქმის განხილვის ვადებს განსაზღვრავს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა, მაგრამ ამ ვადების განსაზღვრისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მიმართავს საქმის განხილვის დღეებით, კვირეუბით ან თვეებით განსაზღვრის მეთოდს და უშუალოდ კანონშია მითითებული თუ რამდენ დღეში, კვირაში თუ თვეში უნდა იქნეს გადაწყვეტილი საქმე. მაგალითად, საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს ორი თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

ამასთან ერთად, მთელი რიგი ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსები (მაგალითად, გერმანიის და ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები), თუმცა შეიცავენ საპროცესო მოქმედებათა შესრულების ვადებს, მაგრამ არ შეიცავენ საქმის განხილვის ვადებს.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ იმ ქვეყნებში სადაც არაა კანონით განსაზღვრული, თუ რა ვადაში უნდა იქნეს განხილული საქმე, ამ საქმის განხილვა შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს?

ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ: იქ სადაც კანონი არ შეიცავს საქმეთა განხილვის კონკრეტულ ვადებს, საქმეები განხილული უნდა იქნან გონივრულ ვადებში. ამის შესახებ არაერთგზის იყო მითითებული ევროპის საბჭოს კონვენციებში და რეკომენდაციებში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად „ყველას აქვს მინიჭებული უფლება თავისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვისა გონივრულ ვადაში“ ამავე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წელს დამტკიცებულ რეკომენდაციის №R(94)12 მიხედვით „კანონმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად რომ, სულ მცირე, დაცული იქნეს კონვენციით გათვალისწინებულ სათანადო პროცედურის მოთხოვნები, მაგალითად საქმე განხილული უნდა იქნეს გონივრულ ვადაში“³⁴.

როგორც ვხედავთ, იქ სადაც კანონით არაა განსაზღვრული საქმეთა განხილვის კალენდარული ვადები, უნდა იხელმძღვანელონ „გონივრული ვა-

³⁴ იხ. „მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები“. თბ. 2001 წელი, გვ. 15.

დებით“. ჩვენი ქვეყნისათვის ასეთ გონიერულ ვადას შეადგენს 2 თვე, ხოლო რთულ საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 5 თვემდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არა მარტო განსაზღვრავს საქმეთა განხილვის ვადებს, არამედ ქმნის საქმის განხილვის ისეთ მოდელს, აყალიბებს სამოქალაქო საქმის წარმოების ისეთ წესებსა და მექანიზმებს, რომლებმაც, იმ პირობით, თუ ისინი სწორად იქნებიან გაგებული და გამოყენებული, უნდა უზრუნველყონ საქმეთა დროულად, ე.ი. კანონით განსაზღვრულ ვადებში განხილვა და გადაწყვეტა.

საქმის განხილვის დაჩქარებისა და საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოქმედება იწყება ჯერ კიდევ სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების მომენტიდან. კერძოდ, თუ შემოტანილ სარჩელს აქვს ხარვეზი, სასამართლომ უარი კი არ უნდა თქვას მის მიღებაზე, არამედ უნდა მისცეს დრო (დაუნიშნოს ვადა) მოსარჩელეს გამოასწოროს ხარვეზი. თუ ამ დროში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, სასამართლოს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია დატოვოს სარჩელი უმობრად და დაუბრუნოს იგი მოსარჩელეს (სსკ მე-185-ე მუხლი).

საქმეთა დროულად, ანუ კანონით დადგენილ ვადებში განხილვას ემსახურება საქმის წინასწარი მომზადების ინსტიტუტი. კერძოდ, სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე მოსამართლემ ამ სარჩელის ასლი და მასზე თანდართული საბუთის ასლები უნდა გადაუგზავნოს მოპასუხეს და დაუნიშნოს მას ვადა ამ სარჩელზე მისი პასუხის (შესაგებლის) წერილობითი ფორმით წარმოდგენისათვის (სსკ 201-ე მუხლი). ამ მოქმედების მოპასუხის მიერ დანიშნულ ვადაში შესრულება უზრუნველყოფილია სსკ 206-ე მუხლით, რომლის მიხედვით, თუ იგი არ შეასრულებს სასამართლოს მიერ მითითებულ მოქმედებას და არ წარუდგენს მას წერილობით გაფორმებულ შესაგებელს, მას ერთმევა უფლება შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე უნდა შესრულდეს ისეთი საპროცესო მოქმედებები, როგორიცაა შეგებებული სარჩელის აღძვრა, მტკიცებულებების წარმოდგენა, ადგილზე დათვალიერება, მესამე პირების საქმეში ჩაბმა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

საქმის დროულად განხილვას ემსახურება ვადები, რომლებიც მხარეთა მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებისთვისაა გათვალისწინებული.

მაგალითად, თუ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დროს მხარე აღძრავს სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობებს, როგორიცაა მოწმეთა გამოძახება, სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა, შეგებებული სარჩელის აღძვრა, საქმეში მესამე პირების ჩართვა და ა.შ. სასამართლოს შეუძლია უარი

უთხრას მას ამ შუამდგომლობების დაქმნაზე თუ ისინი „საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე“ (სსკ 215-ე მუხლი).

მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, მაგრამ თუ ასეთი შეცვლის საკითხი მან დააყენა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, მაშინ ასეთი შეცვლისათვის საჭიროა მოპასუხის თანხმობა. (სსკ 83-ე მუხლის მე-3 ნაწ.)

საქმის დროულად განხილვას ემსახურება სსკ 380-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლოში შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, მაგრამ სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს მათ, თუ მხარეს შეეძლო წარედგინა ისინი ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში და „თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას“.

პროცესის დაჩქარებისა და საქმის დროულად (სწრაფად) განხილვის პრინციპი თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს აგრეთვე იმ არახელსაყრელ შედეგებში, რომლებიც ემუქრებათ მხარეებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების კანონით ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში შეუსრულებლობისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სსკ 206-ე მუხლი, რომლის თანახმად მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ სასამართლოს მითითება საქმის მომზადების სტადიაზე. წერილობითი მასალების თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. სსკ 216-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო დაავალებს მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. „თუ მხარე თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს დაგვიანებით წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ გამოუძახოს მოწმეს და ა.შ. სსკ 219-ე მუხლის თანახმად მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებ არ ყოფილა განცხადებული საქმის მომზადების სტადიაზე. მაგრამ სასამართლო გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.

საქმის განხილვის დაჩქარებისა და დროულად გადაწყვეტის პრინციპი თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სსკ-ის მთელ რიგ ინსტიტუტებში და ნორმებში, რომელთა შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ქვემოთ, როცა ამ ინსტიტუტების გამუქებას შეუდგებით.

2. პროცესუალური ეკონომიის პრინციპი. ეკონომია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დაზოგვას, მომჭირნეობას³⁵, მათ შორის დროისა და ფულადი სახსრების მომჭირნედ ხარჯვას.

ეკონომიას მიმართავენ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და მათ შორის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ცხადია, ეკონომიის მოთხოვნებს ანგარიშს უწევენ სამოქალაქო პროცესშიც. ეკონომიის პრინციპმა თავისი პირდაპირი გამოხატულება ვერ ჰპოვა კანონმდებლობაში, მაგრამ ამ პრინციპის მოთხოვნებით გაჯერებულია სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა ნორმა და ინსტიტუტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ეკონომიის პრინციპის ზემოქმედებას სხვადასხვა მიმართულებით განიცდის.

ერთი ასეთი, შეიძლება ითქვას ძირითადი და ფუნდამენტური მიმართულება – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, მისი ცალკეული ნორმებისა და ინსტიტუტების აგება ისე, რომ სამართალწარმოების მიზანი – საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტა, მიღწეულ იქნეს დროისა და საპროცესო საშუალებების, მათ შორის ფულადი სახსრების, რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით.

მეორე და ასევე ძირითადი მიმართულება – ესაა საპროცესო მოქმედებების შესრულება როგორც სასამართლოს, ისე მხარეების მიერ კანონით ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში. კანონმდებელი ამ ვადებს ისე განსაზღვრავს, რომ შესაძლებელი იყოს საპროცესო მოქმედების შესრულება. არც მეტი და არც ნაკლები, მაგრამ, როცა ვადების განსაზღვრა მინდობილი აქვს სასამართლოს, მანაც იგივე კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს.

პროცესუალური ეკონომიის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა მაგალითად სამართალწარმოების დაყოფა ორ დიდ ეტაპად (სტადიად) – საქმის წინასწარი მომზადების სტადიად და საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე ზეპირად განხილვის სტადიად. რა თქმა უნდა, რომ არ იყოს საქმის წინასწარი მომზადების სტადია, მაინც შესაძლებელი იქნებოდა საქმის სწორად გადაწყვეტა. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა სასამართლოს

³⁵ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბ. 1986, გვ. 217-218

მთავარი სხდომების დაუსრულებლად გადადება მხარეთა სხვადასხვა შუამდგომლობების (ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის, ექსპერტიზის დანიშვნის, ადგილზე დათვალიერების ჩატარების, მესამე პირების ჩაბმის, შეგებებული სარჩელის მიღების შესახებ და ა.შ.) განხილვისა და დაკმაყოფილების გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ არა საქმის წინასწარი მომზადების ინსტიტუტი, სულ სხვაგვარად უნდა აგებულიყო სასამართლოს მთავარი სხდომების წარმართვისა და ჩატარების წესები, საქმეთა განხილვის გადადების საფუძვლები და სხვა.

პროცესუალური ეკონომიის პრინციპის უშუალო ზემოქმედებითაა შემოღებული შეგებებული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა და მისი ძირითად სარჩელთან ერთად განხილვის დასაშვებობა (სსკ 188-ე მუხლი).

პროცესუალური ეკონომიის პრინციპის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებითაა შემუშავებული ერთ სარჩელში რამდენიმე მოთხოვნის გაერთიანების შესახებ, ანუ სარჩელების ობიექტური გაერთიანებისა და, აგრეთვე, რამდენიმე მოსარჩელის მიერ რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა, ანუ სარჩელების სუბიექტური გაერთიანება (სსკ 182-ე მუხლი).

პროცესუალური ეკონომიის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა აგრეთვე წესი, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია (სსკ 182-ე მუხლი).

პროცესუალური ეკონომიის უშუალო ზემოქმედებითაა ჩამოყალიბებული არასათანადო მხარის შეცვლის წესები. კერძოდ, თუ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, სასამართლოს შეუძლია მისი შეცვლა სათანადო მოსარჩელით, ანუ იმ პირით, რომელსაც ასეთი მოთხოვნის უფლება აქვს. იგივე წესი მოქმედებს არასათანადო მოპასუხის შეცვლის დროსაც (სსკ 84-85-ე მუხლები).

კანონმდებელი ზრუნავს არამართო იმაზე, რომ ყველგან, სადაც ეს მიზანშეწონილია, გათვალისწინოს საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოთხოვნები, არამედ იმაზეც, რომ ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებული წესები განუხრელად გატარდეს. მაგალითად, სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე „ცნობს საქმეს საკმაოდ მომზადებულად“ (სსკ 207-ე მუხლი). საპროცესო მოქმედებების დროულად შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებს სსკ-ის ცალკეული ინსტიტუტები – დაწყებული პირველ ინსტანციაში საქმეთა

განხილვით და დამთავრებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებით.

V. საქვეყნობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სსკ მე-9 მუხლმა დაამკვიდრა საქმის განხილვის საქვეყნობის პრინციპი.

საქვეყნობის პრინციპი – ესაა კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოს ღია სხდომებზე მხარეებისა და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა დასწრებით.

საქვეყნობის პრინციპის ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს მისი მოქმედების სფერო: საქვეყნობის პრინციპის მოქმედების სფეროა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელზეც განიხილება კონკრეტული სამოქალაქო საქმე. აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნაც: საქვეყნობის პრინციპი არ მოქმედებს საქმის წინასწარი მომზადების, ან სხვა მიზნით შესრულებულ ცალკეულ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. მაგალითად, საქვეყნობის პრინციპი არ მოქმედებს სასამართლოს მიერ სარჩელის უმოძრაოდ დატოვების, სარჩელის წარმოებაში მიღების ან ასეთ მიღებაზე უარისთქმის, შეგებებული სარჩელის მიღების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობის და ა.შ. საკითხების განხილვა-გადაწყვეტისას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საქვეყნობის პრინციპს მხოლოდ მხარეებისათვის, ანუ საქვეყნობის პრინციპს ვიწრო გაგებით და საქვეყნობის პრინციპს როგორც მხარეებისათვის, ისე ყველა მსურველისათვის, ანუ საქვეყნობის პრინციპს ფართო გაგებით.³⁶

საქვეყნობის პრინციპში მხარეებისათვის ანუ ვიწრო გაგებით, გულისხმობენ მხარეთა უფლებას გაეცნონ საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებაში. მაგალითად, სსკ 83-ე მუხლის თანახმად მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, მათ აგრეთვე უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა შემოწმებაში და გამოკვლევაში და ა.შ. სსკ 121-ე მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ ეცნობებათ მხარეებს და მათ

³⁶ Baur /Grunsky. Zivilprozessrecht. 9 auflage, Luchterhand 1997, s. 43.

Lüke. Zivilprozessrecht. München 1999. s.25.

წარმომადგენლებს, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ საპროცესო მოქმედების შესრულებაში და ა.შ.

ჩვენი აზრით, მხარეებისათვის საქვეყნობის პრინციპის, ანუ ვიწრო გაგებით საქვეყნობის პრინციპის, შინაარსის ასეთი გაგებისათვის არ არსებობს საფუძველი. ის, რა შინაარსსაც ამ პრინციპში აქსოვენ, სინამდვილეში წარმოადგენს მხარეთა, ანუ იურიდიულად დაინტერესებულ პირთა, მონაწილეობით საქმეთა განხილვის აუცილებლობიდან და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

ამრიგად, არსებობს საქვეყნობის პრინციპი მხოლოდ ფართო გაგებით, რომლის მოქმედება ვრცელდება, ერთის მხრივ, სასამართლოს მთავარ სხდომებზე და, მეორეს მხრივ – მხარეებზე და ფართო საზოგადოებრიობაზე, რომლებსაც აქვთ სურვილი დაესწონ სსამართლო სხდომებს, მოუსმინონ სასამართლოს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

დასაშვებია თუ არა სასამართლოს სხდომებზე კინო და ფოტო გადაღებები?

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სასამართლოს სხდომებზე კინო და ფოტო გადაღებების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერის „აკრძალვა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული განჩინებებით. ასეთი აკრძალვა შეიძლება განხორციელდეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით“.

როგორც ვხედავთ, დასახელებული კანონის მე-12 მუხლი ეფუძნება პრინციპს: ის რაც აკრძალული არაა – ნებადართულია. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე ფოტო და კინო გადაღებები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება – ნებადართულია საქმის განმხილველი სასამართლოს სპეციალური ნებართვის გარეშე. ყოველივე ეს აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სასამართლოს განჩინება ასეთი აკრძალვის შესახებ. ცხადია, რომ განჩინება აკრძალვის შესახებ უნდა იყოს მოტივირებული.³⁷

ცხადია, რომ კინო და ფოტო გადაღებების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება შედის სამართალწარმოების საქვეყნობის პრინციპის შინაარსში.

საქვეყნობის პრინციპს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

სასამართლოს მთავარი სხდომების ჩატარება არამართო მხარეთა მონაწილეობით, არამედ საზოგადოების დაინტერესებულ წევრთა თანდასწრებით, აგრეთვე ამ სხდომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით პრესის, რადიოს

³⁷ კინო და ფოტო გადაღებების, აგრეთვე აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთების აკრძალვის ყველაზე გავრცელებულ მოტივად გვხვდება სასამართლოს ნორმალური მსვლელობისათვის ხელის შეშლა.

ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებრიობისათვის, რომლებიც არ ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს – წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისადმი საზოგადოების კონტროლის ერთ-ერთ ფორმას.

სასამართლო პროცესების ჩატარება საზოგადოებრიობის თანდასწრებით აკისრებს სასამართლოს მოვალეობას კიდევ უფრო სრულყოფილად მოემზადოს საქმის განხილვისათვის, სასამართლო სხდომების ჩატარებისათვის, სასამართლო სხდომები უნდა იყოს ნიმუში წესრიგისა და დისციპლინის,ორ დაპირისპირებულ მხარეთა შორის პაექრობის ეთიკისა და კულტურის სხვა ნორმების დაცვით წარმართვისა.

მხოლოდ სასამართლო პროცესების ჩატარებას სამოქალაქო საპროცესო ნორმებით დადგენილი წესითა და სხვა სოციალური ნორმების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით შეუძლია ჩამოუყალიბოს ნდობა საზოგადოებას თავის სასამართლოს მიმართ.

ბოლოს, საქვეყნობის პრინციპს აქვს გარკვეული მნიშვნელობა საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების, მათი კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისითაც. აქ საზოგადოება იგებს არამარტო იმის შესახებ, თუ როგორია კანონის მოთხოვნები, არამედ იმისაც, რომ ამ მოთხოვნების დარღვევას არ შეიძლება არ მოყვეს სერიოზული არახელსაყრელი შედეგები მისი დამრღვევისათვის. საქვეყნობის (საჯაროობის) პრინციპის დარღვევა წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სსკ 394-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და უნდა გაუქმდეს თუ „გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები“.

საჯაროობის (საქვეყნობის) პრინციპი დარღვეულად ითვლება მაშინ, როდესაც სასამართლოს არ მიუღია განჩინება და არ დაუდგენია საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა, მაგრამ საზოგადოებრიობის იმ ნაწილს, რომელსაც სურდა სხდომაზე დასწრება, არ უშვებდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში.

2. კანონმდებლობა ითვალისწინებს საქვეყნობის პრინციპის შეზღუდვის შესაძლებლობას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისად ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ დახურული სასამართლო სხდომა შეიძლება გაიმართოს ასეთი მიმოწერისა და ჩანაწერის საიდუმლოების დაცვის მიზნით, თუ შესაბამისი მხარე შუამდგომლობს ამის შესახებ.

სსკ მე-9 მუხლის თანახმად საქმე დახურულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებისათვის. სსკ 350-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განცხადება შეილად აყვანის შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს დახურულ სასამართლო სხდომაზე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა, თუ ეს აუცილებელია მხარეთა ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელების თავიდან აცილებისათვის.

საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სასამართლოს შეუძლია დახუროს სხდომა მთლიანად ან ნაწილობრივ. სასამართლოს ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

რაც შეეხება სასამართლოს განჩინებას მხარის შუამდგომლობით სხდომის დახურვაზე უარის თქმის შესახებ, ასეთი განჩინების გამოტანას კანონი არ ითვალისწინებს. ბუნებრივია, არც მისი გასაჩივრების შესაძლებლობაა კანონით გათვალისწინებული. მაგრამ, თუ ასეთი განჩინება იქნება გამოტანილი, მასზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

3. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლისა და საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

ამ მუხლების აზრი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მიღებული საქმის დახურულ სხდომებზე განხილვის შედეგად, ყოველთვის უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ. სასამართლოს გადაწყვეტილება დახურულ სხდომაზე უნდა გამოცხადდეს, თუ მისი საჯაროდ გამოცხადებით საქვეყნოდ გახდება ცნობილი ყოველივე, რის გამოც საქმის განხილვა დაიხურა, აგრეთვე, როცა ამას კანონი ითვალისწინებს (სსკ 351-ე მუხლი).

VI. სახელმწიფო ენის პრინციპი

ეს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული პრინციპია, რომლის თანახმად სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“.

ამასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მათ არ იციან ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლმა გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეს მოთხოვნა და დაადგინა, რომ „თარჯიმნის მომსახურება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე“.

ამრიგად, სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირს თარჯიმნის მეშვეობით შეუძლია სრულად განახორციელოს ყველა ის უფლება, რაც მას აქვს მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

აღსანიშნავია ისიც, რომ თარჯიმნის ფუნქცია არ შეიძლება შეითავსოს მოსამართლემ, სხდომის მდივანმა, ან საქმეში მონაწილე რომელიმე სხვა პირმა.

სასამართლომ უნდა განუმარტოს სასამართლო ენის არმცოდნე მხარეს მისი უფლებები, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, რომლის ხარჯებს აანაზღაურებს სახელმწიფო.

VII. ზეპირობის პრინციპი და მისი წერილობით ფორმასთან შეხამება

ნებისმიერი მოსაზრება, შეხედულება, პოზიცია, დასკვნა, შთაბეჭდილება, წინადადება, გადაწყვეტილება და ა.შ. შეიძლება გადმოიცეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

მამასაღამე, ზეპირობა (ზოგჯერ მას ზეპირსიტყვიერებასაც უწოდებენ) და წერილობითობა აზრის გადმოცემის ფორმებია. რომელი ფორმა იქნება გამოყენებული – დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს აზრის გადმოცემა.

რაც შეეხება სამართალწარმოებას, კერძოდ კი სამოქალაქო საქმეთა წარმოებას სასამართლოში, ისტორიულად სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, გაბატონებული იყო ზეპირი ფორმა, რაც უნდა აიხსნას წერა-კითხვის გაუერცელებლობით, უფრო ზუსტად მისი ძლიერ შეზღუდულად გავრცელებით. მაგრამ, მთავარი აქ ისაა, რომ სამართალწარმოებაში წმინდა ზეპირი ფორმის გამოყენებას გააჩნდა სერიოზული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელი იყო მხოლოდ წერილობით ფორმასთან შეხამებით ან მასთან კომბინაციით.³⁸

³⁸ წმინდა ზეპირი ფორმის ან წმინდა წერილობითი ფორმის ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ დაწერილებით შეიძლება გაეცნოთ; E. B. Васковскии, Курс гражданского процессуального права. 1914, стр. 430-448

Arens. Mundlichkeitsprinzip und Prozesbeschleunigung im Zivilprozess, 1977. s.10.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავების დროს მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაეყრდნობოდა ზეპირობის პრინციპს ოღონდ წერილობით ფორმასთან მისი ფართო შეხამებით.

კონკრეტულად ზეპირი და წერილობითი ფორმების შეხამება შემდეგში გამოიხატება:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საქმის სასამართლოში წარმოება შეიძლება ორ დიდ ეტაპად (სტადიად) დაყვით: ა) საქმის წინასწარი მომზადება სასამართლო განხილვისათვის და ბ) საქმის განხილვა სასამართლოს მთვარ სხდომაზე.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადება არის სავალდებულო, ანუ საქმის მომზადება უნდა გაიაროს ყველა საქმემ.

2. საქმის წინასწარი მომზადების ეტაპზე უპირატესად გამოიყენება წერილობითი ფორმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ მხარეთა წერილობითი დოკუმენტებით შეჯიბრება. ამ ეტაპზე მხარეები ერთმანეთს არ ხედებიან სასამართლოში და არც სასამართლოსთან მათი შეხვედრა არ ხდება, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა სასამართლოს საჭიროდ მიჩნია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა (საქმის მომზადების შესახებ იხ. თავი XII).

ჩვენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სარჩელი შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა პასუხობდეს კანონის ყველა სხვა მოთხოვნას (სსკ 177-ე-178-ე მუხლები).

3. სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე იწყება საქმის მომზადების ეტაპი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტის ასლები უნდა გადაუგზავნოს მოპასუხეს, დაუნიშნოს მას ვადა წერილობით გასცეს პასუხი სასამართლოს მიერ მის წინაშე დასმულ ყველა საკითხზე, რომელთა შესახებ მითითებულია სსკ 201-ე მუხლში, გადაუგზავნოს მოსარჩელეს მოპასუხისაგან მიღებული წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მხარეებს (წერილობითი ფორმით) წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა მასალა, თუ არსებობს მხარეთა წერილობითი თხოვნა, გამოითხოვოს მტკიცებულებები სხვადასხვა პირებისაგან და ა.შ.

სხვა სიტყვებით, საქმის წარმოების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, როგორცაა საქმის განხილვისათვის წინასწარი მომზადება, სასამართლოს (მოსამართლეს) პირადი კონტაქტი მხარეებთან არ აქვს: ყველაფერი წარმოებს მიმოწერის საშუალებით – წერილობითი ფორმით.

4. ერთ-ერთი შემთხვევა, როცა მოსამართლეს უხდება შეხვედრა მხარეებთან ამ ეტაპზე, ესაა მოსამზადებელი სხდომა, რომელსაც ნიშნავს სასამართლო მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სსკ 205-ე მუხლი). აგრეთვე თუ მომზადების მიზნით სასამართლოს მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედება მოითხოვს მხარეთა მონაწილეობას (მაგალითად, ადგილზე დათვალიერება).

5. ბოლოს, საქმის წინასწარი მომზადების ეტაპზე წერილობითი ფორმის უპირატეს გამოყენებაზე მიუთითებს სსკ 206-ე მუხლი, რომლის თანახმად მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მითითებები. წერილობითი მასალების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს, ანუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ზეპირი განხილვის დროს.

განჩინება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მას შემდეგ, როცა იგი ცნობს საქმეს საკმაოდ მომზადებულად (სსკ 207-ე მუხლი).

აი, ამ განჩინების მიღებიდან იწყება საქმის წარმოების ახალი ეტაპი – საქმის ღია სასამართლო სხდომაზე საჯაროდ განხილვის ეტაპი, სადაც „გაბატონებული“ მდგომარეობა უჭირავს ზეპირობის პრინციპს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქედან იწყება მხარეთა ზეპირი შეჯიბრების ეტაპი, რის შესახებაც კანონშიც არის მითითება: სსკ 207-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვის დღეს სასამართლო ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მოემზადონ „ზეპირი შეჯიბრებისათვის“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე გამოირიცხება წერილობითი მასალების წარმოდგენა. რა თქმა უნდა არა! წერილობითი მიმოწერა და წერილობითი მასალების წარმოდგენა ამ ეტაპზეც დასაშვებია კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას. მაგალითად, თუ არსებობს საპატიო მიზეზი (სსკ 215-ე მუხლი) რის გამოც იგი არ იყო თავის დროზე წარდგენილი, მაგრამ, წერილობით ფორმას ამ ეტაპზე „დაქვემდებარებული“ მდგომარეობა უჭირავს.

ზეპირ ფორმაზე, როგორც ზეპირობის პრინციპზე, რომელზეც აგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, უტყუარად მიუთითებს ის, რომ მხარეთა წერილობითი ფორმით წარმოდგენილ მასალებს მნიშვნელობა ენიჭებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები გამოცხადდებიან მთავარ სხდომაზე და მონაწილეობას მიიღებენ პაექრობაში, ზეპირ შეჯიბრებაში.

თუ რომელიმე მხარე არ გამოცხადდება მთავარ სხდომაზე და არ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში სასამართლო მის წინააღმდეგ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას (სსკ 229-ე და 230-ე მუხლები), ხოლო, თუ არცერთი მხარე არ გამოცხადდება – სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსკ 231-ე მუხლი).

ამრიგად, ერთ-ერთი მხარის ან ორივე მხარის მთავარ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის, ან თუმცა გამოცხადებისა, მაგრამ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში (სსკ 232-ე მუხლი). სასამართლოს არ გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეში არსებული წერილობითი მასალების მიხედვით.

წერილობით მასალებს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარე მონაწილეობს მათ განხილვაში, როდესაც ის მხარს უჭერს ან უარყოფს საქმეში არსებულ წერილობით თუ სხვა მასალებს.

ყოველივე ეს უტყუარად მიუთითებს ზეპირობის პრინციპის უპირატესობაზე მის საპირისპირო წერილობით ფორმასთან შედარებით, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენება ჩვენს პროცესშიც.

ბოლოს, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ ითქვას მხარეთა ზეპირი განცხადებების, შესაგებლის, შეპასუხების, შუამდგომლობების და ა.შ. წერილობითი დამაგრების შესახებ, რაც ძირითადად ოქმის საშუალებით ხდება (სსკ 287-291-ე მუხლები). როგორც ეს აღიარებულია, ზეპირი განცხადებების თუ მოსაზრებების ასეთი წერილობითი დამაგრება არ შედის წერილობითი პრინციპის ცნების შინაარსში, მაგრამ ასეთი დამაგრება უცილებელია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა შემოწმებისათვის ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ.

VIII. უშუალობის პრინციპი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საქმის წინასწარ მომზადებას ახდენს ის სასამართლო (მოსამართლე), რომელმაც მიიღო სარჩელი (განცხადება) წარმოებაში (სსკ 184-ე და მე-200 მუხლები). მტკიცებულებათა შეგროვებას შემოწმებას და შეფასებას ახდენს სასამართლო, რომელსაც გადაეცა საქმე განსახილველად (სსკ 103-105-ე მუხლები). სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტების მოწმეთა ჩვენების, ექსპერტთა მოსმენისა და მხარეთა პაექრობის დამთავრების შემდეგ, სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად (სსკ 226-ე მუხლი). გადაწყვეტილების გამოტანისას საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) აფასებს

მტკიცებულებებს, განსაზღვრავს რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული (სსკ 244-ე მუხლი).

ამრიგად, უშუალოდ პრინციპის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილება საქმეზე შეუძლია გამოიტანოს იმ სასამართლომ, რომელმაც უშუალოდ გამოიკვლია, შეამოწმა და შეაფასა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დამტკიცებულად ჩათვალა ამ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

უშუალოდ პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე მისი განუხრელად გატარების ერთ-ერთი პირობაა მოსამართლეთა უცვლელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქმის წარმოების პროცესში და მით უფრო საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე ამა თუ იმ მიზეზის გამო ხდება მოსამართლის შეცვლა სხვა მოსამართლით, უშუალოდ პრინციპს ექმნება დაბრკოლება. მოსამართლის შეცვლა კი ზოგჯერ აუცილებელია, როდესაც იგი დაავადდება და საჭიროებს მკურნალობას, როდესაც მხარეებმა მას განუცხადეს აცილება ან თვითონ განაცხადა თვითაცილება, როდესაც იგი კანონით გათვალისწინებული საფუძვლით ჩამოაცილეს საქმის განხილვას და ა.შ.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ორი შესაძლებლობა (გზა) ერთი – მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა საფუძვლით ხდება ეს, საქმის განხილვა უნდა დაიწყოს თავიდან. გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს საქმის მომზადების სტადია. აქ ახალ მოსამართლეს შეუძლია გააგრძელოს საქმის მომზადება.

მეორე – მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა თუ რა საფუძვლით ხდება ეს, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა გრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მოხდა შეცვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა, მოწმეთა დაკითხვა, ექსპერტის მოსმენა და სხვა განმეორებით შეიძლება აღარ განხორციელდეს და შეცვლილ მოსამართლეს შეუძლია მათ მოსაზრებებსა და ჩვენებებს, აგრეთვე, საქმეში არსებულ სხვა მასალებს გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის მეშვეობით, სადაც გადმოცემულია მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის განმარტებები, აგრეთვე საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

ცხადია, რომ ერთპიროვნულად საქმის გამჩვევ ახალ მოსამართლეს, ან კოლეგიურ სასამართლოს მხარეთა მოტივირებული შუამდგომლობის ან თვითონ ახალი მოსამართლის ინიციატივით შეუძლია განმეორებით შეასრულოს

ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, (მაგალითად, ხელმეორედ დაკითხოს მოწმე) თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ჩვენმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა აირჩია ეს მეორე გზა: მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში საქმის თავიდან განხილვის დაწყება და შესრულებულ საპროცესო მოქმედებათა განმეორებით შესრულება ანუ განმეორებით მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა, მოწმეთა განმეორებით დაკითხვა, განმეორებით ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ. საჭირო არაა, თუ ამის აუცილებლობას თვითონ შეცვლილი მოსამართლე ან კოლეგიურად საქმის განმხილველი სასამართლო ვერ ხედავს.


თქმა არ უნდა, ეს არის უშუალოდ პრინციპიდან გადახვევა, მაგრამ ეს არის გონივრული გადახვევა, რასაც არც ისე იშვიათად მიმართავენ კანონმდებელი. მაგალითად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეგროვილი ყველა მასალა „გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს“ (სსკ 116-ე მუხლი), სასამართლოს დაეალოებით შეიძლება მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება სხვა სასამართლომ მოახდინოს (სსკ 107-ე მუხლი), სხვა სასამართლოს შეიძლება დაეალოს მოწმის დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებში უშუალოდ საქმის განმხილველი სასამართლო არ აღიქვამს მტკიცებულებას (მოწმის ჩვენებას, ნივთიერ მტკიცებულებას), მას ეგზავნება მხოლოდ სათანადო ოქმით დამაგრებული ჩვენებები, თუ სხვა სასამართლოს მიერ უშუალოდ აღქმული და შემოწმებული მტკიცებულებების შედეგები.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არის გონივრული გადახვევები, გამოწვეული იმით, რომ მტკიცებულებათა შეგროვება სასამართლოში საქმის აღძვრის შემდეგ შეიძლება შეუძლებელი გახდეს ან იმის გამო, რომ მოწმე მძიმედაა დაავადებული, ან იმის გამო, რომ ნივთიერმა მტკიცებულებებმა შეიძლება მოგვიანებით დაკარგონ მტკიცებულებითი მნიშვნელობა (მაგალითად, მალფუჭადი ნივთები) ან იმის გამო, რომ მტკიცებულებათა საქმის განმხილველ სასამართლოში წარმოდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან (მაგალითად უნდა დაკითხოს მოწმე, რომელიც შორეულ ქვეყანაში ცხოვრობს და მოღვაწეობს) და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს პრინციპი, რომლისგანაც გადახვევას არ ითვალისწინებდეს კანონი.

უშუალოდ პრინციპთან დაკავშირებით კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, უშუალოდ პრინციპიდან გადახვევა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისა და მიღების ეტაპზე: გადაწყვეტილება უნდა ჩამო-

აყალიბონ და მას ხელი უნდა მოაწერონ იმ მოსამართლეებმა (ან მოსამართლემ თუ საქმეს ერთპიროვნულად იხილავდა მოსამართლე), რომლებიც მონაწილეობდნენ ბოლო სასამართლო სხდომაზე. მას შემდეგ, რაც სასამართლომ საქმის განხილვა დამთავრებულად ჩათვალა და გავიდა გადაწყვეტილების გამოსატანად, მოსამართლის შეცვლა დაუშვებელია.



ასეთია მოკლედ სამოქალაქო პროცესის (სამოქალაქო სამართალწარმოების) ძირითადი პრინციპები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება არც მათი ოდენობის, არც მათი კლასიფიკაციის, არც მათი შინაარსის და არც მათი დალაგების შესახებ. მართლაც, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მრავალ პროგრესულ და გონივრულ იდეას და დებულებას ეფუძნება და მათი პრინციპად გამოცხადება არ იქნება შეცდომა, თუმცა ასეთ პირობებში პრინციპების ჩამონათვალი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს.

ჩვენ იმ მრავალრიცხოვანი პრინციპებიდან, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩამოყალიბებულია კანონში, შევეჩეთ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც ჩვენი აზრით წამყვან როლს ასრულებენ სამართალწარმოებაში.

**სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის
(სამართალწარმოების) სუბიექტები**

§1. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა

I. სამართლის სუბიექტები ზოგადად

სამართლის სუბიექტებად გვევლინება პირები, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებზეც ვრცელდება სამართალი საერთოდ, ანუ რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. ეს არის ზოგადი უფლებაუნარიანობის შინაარსი, რომლის თანახმად საქართველოს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს მინიჭებული აქვს იურიდიული შესაძლებლობა ისარგებლოს კანონით გათვალისწინებულ ყველა უფლებით. ასეთი უნარით, ე.ი. უნარით, ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული უფლებები, აღჭურვილია ყველა ფიზიკური პირი დაბადებიდან და ყველა იურიდიული პირი – მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მაგრამ ასეთი ზოგადსამართლებრივი უფლებაუნარიანობით აღჭურვილნი არიან არამარტო საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ „უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს“ (21-ე მუხლი). ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს ისევე ამ კანონის 21-ე მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით ვერ ისარგებლებენ იმ ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელ ქვეყანაშიც მოქმედებს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების შემზღუდავი ნორმები.³⁹ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, კერძოდ მის 47-ე მუხლს, რომლის შესაბამისად საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ თანაბარი

³⁹ დაწერილებით იხ. თ.ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი. გ.ბა „ჯისიი“, თბ. 2004, გვ. 51

უფლებები და მოვალეობები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

უცხოელებად საქართველოში ითვლებიან პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი. მოქალაქეობის არმქონე პირებად ითვლებიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან არც საქართველოს მოქალაქეები და არც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ.⁴⁰

რაც შეეხება კონკრეტულად უნარს, გქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე უნარს, შეიძინო და განკარგო შენი მოქმედებით ეს უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა), ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის (სკ) მე-11-12 და 25-ე მუხლებით.

II. სამოქალაქო პროცესის სუბიექტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ უფლება ირღვევა, ან მის განხორციელებას ვინმე ისეთ დაბრკოლებას უქმნის, რომ კანონით მინიჭებული ამ სიკეთით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ასეთ პირობებში წარმოიშობა უფლების დაცვის აუცილებლობა, ხოლო ასეთი დაცვის ყველაზე ეფექტიანი საშუალება – ესაა სასამართლო. შეუძლიათ თუ არა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიმართონ სასამართლოს თავიანთი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად და, მაშასადამე, გახდნენ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის (სამართალწარმოების) სუბიექტები?

ეს არის არა სამოქალაქო მატერიალური, არამედ სამოქალაქო პროცესუალური უფლებაუნარიანობის საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა“. ამ მუხლის ასეთი დანაწესი უკვე შეიცავს საპროცესო უფლებაუნარიანობის ელემენტებს, მაგრამ სრულყოფილად იგი ჩამოყალიბებულია სსკ მე-80 მუხლში, რომლის თანახმად „საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა)“.

⁴⁰ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს 1993 წლის კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – ესაა პირის უნარი, ანუ მისი იურიდიულად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები.

ასეთი უნარით აღჭურვილია ყველა პირი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მატერიალურ სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები (სკ მე-11 მუხლი).

როგორც მატერიალური, ისე სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილნი არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, მაგრამ მათი უფლებაუნარიანობის შინაარსი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე-ცალკე განვიხილოთ ამ პირთა უფლებაუნარიანობის შინაარსი.

ა) ფიზიკური პირები. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა, ე.ი. უნარი ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. აქედან გამომდინარე, ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმოშობის დრო ზოგჯერ შეიძლება არ დაემთხვეს სამოქალაქო მატერიალური უფლებაუნარიანობის წარმოშობის დროს. მაგალითად, სკ მე-11 მუხლის თანახმად უფლებაუნარიანობა, მართალია, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, მაგრამ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები, რაც დაკავშირებულია მემკვიდრეობასთან, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ დაბადების მომენტიდან.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმოშობის და განვითარების თვალსაზრისით რაიმე ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს. ასეთი შეზღუდვები არ არსებობს აგრეთვე ფიზიკური პირის ფსიქიკური მდგომარეობის თვალსაზრისით: სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილია ყველა ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი სულით ავადმყოფობის თუ ჭკუასუსტობისა, მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა ეს პირი სასამართლოს მიერ ასეთად.

სხვა საკითხია შეუძლიათ თუ არა მცირეწლოვნებს, არასრულწლოვნებს, სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნიანად, ან ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებს თვითონვე, ანუ თავისი მოქმედებით განახორციელონ თავიანთი საპროცესო უფლებები. ეს არის სამოქალაქო საპროცესო ქმედუნიანობის საკითხი და ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ (იხ. §2).

ბ) იურიდიული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. ფიზიკური პირების მსგავსად, იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ

სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 79-ე მუხლის პირველ ნაწილში.

ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული პირები აღჭურვილი არიან სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობით, ე.ი. უნარით ჰქონდეთ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები.

იურიდიული პირის ასეთი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან (სსკ მე-90 მუხლის მე-3 ნაწილი და სკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ამრიგად, ფიზიკური და იურიდიული პირები წარმოადგენენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებს, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ უფლებებით, რომლებიც დამკვიდრებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

სსკ 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები“.

ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: „ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, შეიძლება აღიჭურვონ სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობით, ე.ი. უნარით იქონიონ საპროცესო უფლებები და მოვალეობები. მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. (იხ. გვ. 85-ე).

§2. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა

I. ცნება

როგორც აღვნიშნეთ, უფლებაუნარიანობა – ესაა იურიდიული შესაძლებლობა, გქონდეს (ისარგებლო) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლებსაც, განსხვავებით მატერიალურ სამართლებრივი უფლებებისა, უწოდებენ სამოქალაქო საპროცესო უფლებებს.

მაგრამ, რომ ისარგებლო ამ უფლებებით უნდა გამოიყენო უფლებაუნარიანობით გათვალისწინებული შესაძლებლობა, ანუ მიმართო სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად. სსკ მე-2 მუხლის თანახმად „საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“.

შეუძლია თუ არა საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილ ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ: ყველა უფლებაუნარიან პირს არ შეუძლია თვითონ უშუალოდ მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას რომ ასეთი პირის დარღვეული უფლება დაუცველი დარჩება. მათ უფლებებს იცავენ კანონიერი წარმომადგენლები. ისე როგორც მატერიალურ სამართალში, საპროცესო სამართალშიც მოქმედებს ქმედუნარიანობის ინსტიტუტი. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ფიზიკური პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები (მაგალითად, დადოს გარიგებები), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ (სკ მე-12 მუხლი).

იგივე წესი მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც: სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილ ყველა ფიზიკურ პირს შეუძლია თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები (საპროცესო ქმედუნარიანობა) – სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ. რაც შეეხება იურიდიულ პირებს – მათი ქმედუნარიანობის წარმოშობის მომენტი მთლიანად ემთხვევა მათივე საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იურიდიულ პირს რეგისტრაციის მომენტიდან შეუძლია თავისი მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

სკ მე-12 მუხლის თანახმად სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელმაც იქორწინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

ამრიგად, სრულწლოვანები, 18 წლის ასაკამდე დაქორწინებული პირები და იურიდიული პირები სარგებლობენ სრული ქმედუნარიანობით.

II. შეზღუდული ქმედუნარიანობა

ფიზიკური პირები 7-დან 18 წლამდე ითვლებიან არასრულწლოვნებად. ისინი სარგებლობენ შეზღუდული ქმედუნარიანობით: მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც მინიჭებული აქვთ უფლება თვითონ დამოუკიდებლად განკარგონ თავიანთი ქონება, დადონ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები, ან თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს გადაცემული აქვს საწარმოს დამოუკი-

დებლად გაძლიერდა უფლება და ამ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებში მას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გარიგებები (სკ 65-ე მუხლი).

შუზღუდულ ქმედუნარიანად შეიძლება სასამართლო წესით იქნეს აღიარებული სრულწლოვანი პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს. შუზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირსაც არ გააჩნია საპროცესო ქმედუნარიანობა, ე.ი. ვერ მიმართავს სასამართლოს სარჩელით უფლების დაცვის შესახებ.

ცხადია, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი უფლებები დაუცველია. რა თქმა უნდა არა. არასრულწლოვანთა და სასამართლოს მიერ შუზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირთა უფლებებსა და ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, როგორცაა მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები.

III. მცირეწლოვნები და ქმედუნარიანი

თავისებური საპროცესო მდგომარეობა უჭირავთ მცირეწლოვნებს და სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს (სსკ 326-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საპროცესო ქმედუნარიანობის თვალსაზრისით ისინი გათანაბრებულნი არიან – მათ არ გააჩნიათ საპროცესო ქმედუნარიანობა. ამიტომ, მათ უფლებებს სასამართლოში იცავენ მხოლოდ მათი კანონიერი წარმომადგენლები, როგორცაა მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები.

მაგრამ, თუ მათ არ ყავთ კანონიერი წარმომადგენელი?

სამოქალაქო მატერიალური, თუ სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობის აზრისა და შინაარსის მიხედვით მცირეწლოვანს და ქმედუნარო პირს (ასეთად კი მიიჩნევა პირი, რომელიც სასამართლოს მიერაა აღიარებული ქმედუნაროდ) უნდა ყავდეს კანონიერი წარმომადგენელი. მაგრამ, კანონმდებელი არ გამოიციხავს იმასაც, რომ ასეთ პირებს შეიძლება არ ყავდეთ კანონიერი წარმომადგენელი. სწორად ასეთი შესაძლებლობითაა განპირობებული სსკ 82-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად თუ სარჩელი შეტანილია ქმედუნარო მხარის წინააღმდეგ, ან ქმედუნარო მხარის მიერ, რომლებსაც არ ყავთ კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს გარკვეული პირობების არსებობისას შეუძლია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი).

თუ როგორია საპროცესო წარმომადგენლის სასამართლოს მიერ დანიშვნის პირობები, აგრეთვე, შეიძლება თუ არა საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა ისეთ პირობებში, როცა პირი თუმცა ანგარიშს ვერ უწევს თავის მოქმედებას,

მაგრამ ვერ კიდევ არაა აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ – დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ (იხ. თავი VI §7).

§3. მხარეები სამოქალაქო პროცესში

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას პქონდეს საპროცესო უფლებები, კერძოდ აღძრას სარჩელი სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას თვითონ უშუალოდ მმართოს სასამართლოს სარჩელით, თვითონ უშუალოდ დაიცვას თავი სარჩელისაგან, ე.ი. აწარმოოს საქმე პირადად, ან მიანდოს საქმის წარმოება წარმომადგენელს.

სასამართლოსათვის პირის მიმართვა სარჩელით, რათა მან დაიცვას მისი დარღვეული ან სადავო უფლება, წარმოადგენს ამ პირის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის რეალიზაციას, მის კონკრეტულ გამოვლინებას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, თუმცა ხშირად იყენებს „მხარის“ ცნებას, მაგრამ არ განსაზღვრავს ამ ცნების შინაარსს.

პირველად ეს ცნება გამოყენებულია სსკ მე-3 მუხლში, რომლის თანახმად „მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში“ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. აქვე, ამავე მუხლში მითითებულია, რომ „მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი“.

სსკ 79-ე მუხლის თანახმად სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. „მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები“. ეს მუხლი გულისხმობს როგორც განმცხადებლებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული ინტერესი დაადასტურონ სასამართლოს მეშვეობით რაიმე, მაგალითად, იურიდიული ფაქტი (იხ. თავი XX) ისე მოდავე მხარეებს სასარჩელო წარმოების დროს. უდავო წარმოების დროს ყოველთვის გვყავს ერთი მხარე – განმცხადებელი. სასარჩელო წარმოების დროს პირიქით: ყოველთვის გვყავს ორი, თავისი ინტერესებით ურთიერთდაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე.

ინტერესთა დაპირისპირებულობა შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ მოსარჩელე კანონით დაშვებული და გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით ცდილობს მიიღოს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, ანუ სასამართლომ დააკმაყოფილოს მისი სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხე

პირიქით – ცდილობს, რათა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მხარეები სამოქალაქო პროცესში ეწოდება იმ პირებს, რომელთა სახელით მიმდინარეობს საქმე და რომელთა შორის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს.

მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა სასარჩელო წარმოების კონსტიტუციური ნიშანია: თუ ასეთი დაპირისპირებულობა არ არსებობს, ან თუ არსებობდა, მაგრამ შემდეგ შეწყდა, სასარჩელო წარმოებაც უნდა შეწყდეს. დაუშვებელია, მაგალითად, მოსარჩელისა და მოპასუხის როლების შეთავსება ერთ პირში, ისე როგორც შეუძლებელია კრედიტორისა და მოვალის შეთავსება. მაგალითად, სსკ 452-ე მუხლის თანახმად „ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება“.

სამოქალაქო პროცესში ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მოსარჩელემ აღძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი ქონებიდან წილის გამოყოფა. სასამართლოში საქმის წარმოების დროს მოპასუხე გარდაიცვალა და მთელი მისი ქონება მემკვიდრეობით მიიღო მოსარჩელემ.⁴¹ შეიძლება მოხდეს პირიქითაც, გარდაიცვალა მოსარჩელე და მისი ქონება მემკვიდრეობით მიიღო მოპასუხემ. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში პროცესის გაგრძელება სრული უაზრობა იქნებოდა, რადგან წარმოუდგენელია ელავო შენ თავს და ასეთი „დავის“ გადაწყვეტა მოსთხოვო სასამართლოს.

ამრიგად, სასარჩელო წარმოების განმსაზღვრელია მოდავე მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა და არა მათი სიმრავლე. შეიძლება მოსარჩელის მხარეზე იყო რამდენიმე პირი, ხოლო მოპასუხის მხარეზე რამდენიმე პირი, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის, მხარე მაინც რჩება ორი: ერთი – რომელიც აყენებს გარკვეულ მოთხოვნას მოპასუხეების მიმართ და, მეორე – რომელიც არ ცნობს ამ მოთხოვნას (მოპასუხე მხარე).

მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად. აქედან გამომდინარე მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი სხვა პირის უფლების დასაცავად. ამიტომ, მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლებების დასაცავად.

მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლება. მოსარჩელემ უნდა დაასახელოს მოპასუხე –

⁴¹ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გვ. 89.

ეს მისი მოვალეობაა (სსკ 178-ე მუხლის პუნქტი „დ“). სხვა საკითხია, მართლა უნდა აგოს თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულმა პირმა პასუხი, ე.ი. მართლა არის თუ არა ეს პირი ის, ვინც დაარღვია მოსარჩელის უფლება. ეს გაირკვევა პროცესის ბოლოს – სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგრამ თავდაპირველად მოსარჩელის მიერ მოპასუხის დასახელება არის საჭირო და აუცილებელი, რათა სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი.

მხარეებად სასამართლოში – მოსარჩელედ და მოპასუხედ, შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. ეს დავას არ იწვევს, მაგრამ შეიძლება თუ არა მხარეებად (მოსარჩელედ და მოპასუხედ) მოგვევლინონ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები შეიძლება გამოვიდნენ სამოქალაქო პროცესში მხარეებად, ოღონდ ერთი პირობით – თუ ამას ითვალისწინებს, უშვებს კანონი ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის მიმართ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სასამართლოში და სასამართლოს გარეშე ურთიერთობებში თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

იგივე შეიძლება ითქვას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.5-ე მუხლის მეორე ნაწილის შესახებ, რომლის თანახმად „თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც“.

ღიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს იმ საწარმოებისა და საზოგადოებების მდგომარეობა, რომლებიც ადრე იყვნენ რეგისტრირებული, მაგრამ შემდგომ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გაეელოთ რეგისტრაცია, ხოლო თუ კანონით დათქმულ ვადაში ისინი არ გაივლიან რეგისტრაციას, მაშინ მათი რეგისტრაცია გაუქმებულად ითვლება. რეგისტრაციის გაუქმება კი ნიშნავს იმას, რომ ეს საწარმო (საზოგადოება) აღარაა იურიდიული პირი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ საწარმოს (საზოგადოების) მიმართ არ შეიძლება აღიდრას სარჩელი, ან ეს საწარმო თვითონ იყოს მოსარჩელე?

არა, არ ნიშნავს!

საქმე ისაა, რომ ასეთ საწარმოებს (საზოგადოებებს) არ შეიძლება არ ჰქონდეთ მრავალგვარი იურიდიული კავშირები სამართლის სხვა სუბიექტებთან. ამ კავშირ-ურთიერთობების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ხასიათის დავები, რომლებიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ამიტომ ისინი შეიძლება მოგვევლინონ მხარეებად პროცესში, თუმცა აღარ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიულ პირებად, რადგან არ გაუვლიათ ხელახალი რეგისტრაცია. სხვა საკითხია, რომ ასეთი ორგანიზაციებისა და მათი წევრების პასუხისმგებლობა განსხვავდება იმ იურიდიული პირების პასუხისმგებლობისაგან, რომლებიც მხოლოდ თავისი ქონებით აგებენ პასუხს მაგრამ, მიუხედავად ამისა მხარეებად პროცესში ისინი შეიძლება გამოვიდნენ.⁴²

§4. არასათანადო მხარე და მისი შეცვლის წესი

სამოქალაქო უფლების შესახებ დავის გამო საქმის სასამართლოში აღძვრის საწყის ეტაპზე, სასამართლოსთვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი და არც შეიძლება იყოს ცნობილი, რომ მოსარჩელე ნამდვილად ფლობს იმ უფლებას, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, რომ ეს უფლება ნამდვილად დარღვეულია ან სადავოდაა გამხდარი და, ამიტომ, საჭიროებს დაცვას და, რომ მოპასუხე, ე.ი. პირი, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე როგორც უფლების დამრღვევი, მართლაც ის პირია, რომელმაც ნამდვილად დაარღვია მოსარჩელის უფლება.

⁴² იურიდიულ ლიტერატურაში, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ აქტიურ და პასიურ უფლებაუნარიანობას. აქტიური უფლებაუნარიანობა – ესაა უნარი იყო მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში. პასიური უფლებაუნარიანობა – ესაა უნარი იყო მხოლოდ მოპასუხე და დაიცვა თავი სარჩელისაგან, მაგრამ არ შეიძლება იყო მოსარჩელე. ე.ი. პასიური უფლებაუნარიანობით აღჭურვილი ორგანიზაციის (გაერთიანების) წინააღმდეგ შეიძლება აღიძვრას სარჩელი, მაგრამ ასეთ ორგანიზაციას თვითონ არ შეუძლია აღძვრას სარჩელი. მხედველობაშია ისეთი ორგანიზაციები (გაერთიანებები), რომლებიც არაა იურიდიული პირი.

Baur/Grunsky - Zivilprozessrecht. s.74.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსკ-ით ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, შეიძლება გამოვიდნენ პროცესში მხარეებად (მოსარჩელეებად და მოპასუხეებად) მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკამ გააფართოვა ასეთი ორგანიზაციების მონაწილეობა პროცესში. მაგალითად, მოპასუხეებად ხშირად გვევლინება საბინაო ამხანაგობები.

ეს არის ისეთი საკითხები, რომლებიც სასამართლომ უნდა გაარკვიოს არა სარჩელის მიღების წინ, არამედ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებით.

კანონით დადგენილი წესის დაცვით სარჩელის სასამართლოში აღძვრა და მოპასუხისადმი სრულიად გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წამოყენება, უკვე ქმნის ვარაუდს, რომ როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე წარმოადგენენ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს. ეს ვარაუდი არის სავსებით საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი, ცხადია თუ არსებობს სარჩელის წარმოებაში მიღების სხვა წინაპირობები (სსკ 186-ე მუხლი).

ამასთან ერთად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ზოგჯერ კი საქმის არსებითად განხილვის პროცესში ირკვევა, რომ მოსარჩელე არაა ის პირი, რომელსაც ეკუთვნის სადავო უფლება, ან კიდევ, მოპასუხე არაა ის პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე.

მაგალითი 1. ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ 4000 ლარის დაბრუნების შესახებ, რომელიც მას სესხად ქონდა აღებული და რომლის დაბრუნების ვადა უკვე მოვიდა, მაგრამ ნებაყოფლობით არ აბრუნებს. სასამართლომ მიიღო სარჩელი განსახილველად. ამ საქმის მომზადების სტადიაზე გაირკვა, რომ მოპასუხე არ უარყოფს, რომ სესხი აღნიშნული ოდენობით მართლაც მიიღო, მაგრამ არა მოსარჩელე ა-ნისაგან, არამედ მისი შვილისაგან, რომელმაც ზეპირი შეთანხმებით განუყადა მას ამ სესხის დაბრუნების ვადა.

ამრიგად, გასესხებული თანხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის უფლება აქვს არა მოსარჩელე ა-ნის, არამედ მის შვილს, რადგან იგი არის სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. აქედან გამომდინარე, ა-ნი არაა სათანადო მოსარჩელე.

მაგალითი 2. ოჯახის ერთ-ერთმა უფროსმა წევრმა გ-ანიმ შეიტანა სარჩელი მოპასუხე დ-ონის მიმართ ბინიდან გამოსახლებისა და ამ ბინის გამოთავისუფლების შესახებ. სასამართლომ მიიღო ეს სარჩელი წარმოებაში. საქმის მომზადების სტადიაზე გაირკვა, რომ ბინის ქირავნობის ხელშეკრულება დამჭირავებელს დადებული აქვს ოჯახის სხვა წევრებთან, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ამ ბინის შესაკუთრედ.

ამრიგად, მოსარჩელე გ-ანი არაა სათანადო მოსარჩელე, რადგან იგი არაა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის, კერძოდ, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მონაწილე.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ასეთ შემთხვევაში? არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ორი გზა: ერთი – სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ყოველთვის, როცა მოსარჩელეს არ აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო თუ შეცდომით მიიღებს ასეთი არასათანადო მოსარჩელისაგან სარჩელს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რომ მას არ აქვს მოთხოვნის უფლება – შეწყვიტოს საქმის წარმოება. მეორე – სასამართლომ მიიღოს სარჩელი წარმოებაში და თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელეს არ აქვს მოთხოვნის უფლება, ე.ი. არასათანადოა, შეცვალოს იგი სათანადოთი, თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე ცხადია, ვის შეიძლება ჰქონდეს ამ მოთხოვნის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობა წავიდა ამ მეორე გზით. ამასთან ერთად განსაზღვრა არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის წესიც, რის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

ზოგჯერ კანონი თვითონ მიუთითებს თუ ვინ შეიძლება იყოს სათანადო მოსარჩელი. მაგალითად, მშვილებლის მეზობელმა აღძრა სარჩელი სასამართლოში შეილად აყვანის გაუქმების შესახებ იმ მოტივით, რომ მშვილებელი სასტიკად ეპყრობა თავის ნაშვილებს და, რომ, ასეთი შეილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

ამ შემთხვევაში მოსარჩელი არაა სათანადო, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1268-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ცალკეული პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შეილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს, ამის შესახებ აცნობებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, რომელიც წყვეტს შეილად აყვანის გაუქმების თაობაზე მოთხოვნის წარდგენის საკითხს“.

ამრიგად, მშვილებლის მეზობელი, რომელმაც აღძრა სარჩელი სასამართლოში შეილად აყვანის გაუქმების თაობაზე, არ არის სათანადო მოსარჩელი.

იგივე ვითარება შეიძლება შეიქმნას მოპასუხის მიმართაც.

მაგალითად: ვინიმ აღძრა სარჩელი თ-ანის მიმართ მანქანის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მანქანის დაზიანება გამოწვეული იყო იმით, რომ მოპასუხე თ-ანის ბინის ფანჯრიდან გადმოაგდეს მძიმე საგანი, რომელიც დაეცა ეზოში დაყენებულ მანქანას, რამაც მთლიანად ჩამტვრია მისი საზურავი და მინები. სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, საქმის განხილვის პროცესში გამოირკვა რომ ოთახი, რომლის ფანჯრიდანაც გადმოაგდეს მძიმე საგანი უჭირავს დამჭირავებელ ლ-ასის. სამოქ. კოდექსის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ზიანი მიყენებულია

შნობადან საგნის გადადებით „ქასუხს ავებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი“.

ამრიგად, ბინის შესაკუთრე თ-ანი, რომლის წინააღმდეგაც აღ-
ძრულია სარჩელი. არაა სათანადო მოპასუხე. სათანადო მოპასუხეა
ლ-ასი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი.

როგორც აღვნიშნეთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს არასათანადო მხარის შეცვლის შესაძლებლობას (არა სავალდებულობას). ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია, თუ ის ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, შეცვალოს არასათანადო მხარე სათანადო მხარით, მაგრამ მას შეუძლია ასეთი შეცვლა არ განახორციელოს და თავისი გადაწყვეტილებით უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ აღმოჩნდება, რომ იგი არასათანადოა, ან თუ აღმოჩნდება, რომ მის მიერ დასახელებული მოპასუხე არასათანადოა.

ამასთან ერთად, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ იკვლევს სპეციალურად თუ ვის შეიძლება ჰქონდეს აღძრული მოთხოვნის უფლება, ან ვის წინააღმდეგ შეიძლება წაყენებული იქნეს ეს მოთხოვნა. ამის შესახებ ინფორმაცია თვითონ საქმის მასალებიდან ან კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს. თუ ამ საქმის მასალებიდან და კანონიდან ნათლად და გარკვევით ჩანს თუ რომელი მხარეა სათანადო და რომელი არა, მაშინ პროცესის ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს არასათანადო მხარე სათანადო მხარით.

შეცვლის წესი კი ასეთია: არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლისათვის საჭიროა ამ არასათანადო მოსარჩელის თანხმობა. ასეთი თანხმობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ არასათანადო მოსარჩელის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგან მან ფაქტიურად უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე. თუ სათანადო მოსარჩელე თანახმაა შეცვალოს საქმიდან გასული არასათანადო მოსარჩელე, ანუ დაიკავოს მისი ადგილი, საქმის განხილვა გაგრძელდება ამ სათანადო მოსარჩელის მიმართ, მაგრამ თუ იგი არაა თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, მაშინ საქმის წარმოება აღარ გაგრძელდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო მოსარჩელე არაა თანახმა შეიცვალოს სათანადოთი, ხოლო სათანადო მოსარჩელე თანახმაა ჩაებას საქმეში, მაშინ სათანადო მოსარჩელე შეიძლება ჩაებას საქმეში შესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით (იხ. §ნ, II). არასათანადო მოსარჩელეს სასამართლო უარს ეტყვის თავისი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან

მას არ აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის სარჩელს დააკმაყოფილებს საერთო საფუძველზე.

გაცილებით უფრო მარტივად წყდება საკითხი, როდესაც სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ. მოპასუხის დასახელების უფლებამოსილება და მოვალეობაც ეკისრება მოსარჩელეს. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ შეცვლის მოსარჩელის მიერ დასახელებულ მოპასუხეს სხვა მოპასუხით. ასეთი შეცვლისათვის აუცილებელია მოსარჩელის თანხმობა. თუ მოსარჩელე არაა თანახმა არასათანადო მოპასუხის სათანადო შეცვლაზე, მაშინ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას და უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ამ მოპასუხის მიმართ. მაგრამ თუ მოსარჩელე ასეთი შეცვლის მომხრეა, მაშინ თავდაპირველი მოპასუხე გადის საქმიდან, ხოლო საქმე განიხილება სათანადო მოპასუხის მიმართ.

იმისათვის, რომ არასათანადო მოპასუხე შეიცვალოს სათანადოთი, ამ სათანადო მოპასუხის თანხმობა არაა საჭირო.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილად უნდა ვცნოთ არასათანადო მხარის შეცვლა სათანადოთი საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე. თუ ასეთი შეცვლის საკითხი წამოიჭრება საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე, რაც ყოველთვის დაკავშირებული იქნება ამ საქმის განხილვის გადადებასთან, ახალი მტკიცებულებების შეგროვებასთან და საბოლოო ანგარიშში საქმის განხილვის უზომოდ გაჭიანურებასთან, შეიძლება უფრო მისაღები და მიზანშეწონილი იყოს საქმის განხილვის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით, ხოლო თუ არასათანადო მოსარჩელე უარს ამბობს მის მიერ არასწორად აღძრულ სარჩელზე – საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანით. მით უფრო დაუშვებლად უნდა ვცნოთ არასათანადო მხარის შეცვლა ზემდგომ სასამართლოში, კერძოდ აპელაციაში ან კასაციაში. ზემდგომი სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით.

თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა არასათანადო მოსარჩელის სარჩელი ან არასათანადო მოპასუხის მიმართ, ასეთი გადაწყვეტილება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად და იგი უნდა გაუქმდეს. ზემდგომი სასამართლო არ იკვლევს ვის ექნებოდა მოთხოვნის უფლება, ან ვის წინააღმდეგ შეიძლებოდა ასეთი მოთხოვნის წაყენება, ხოლო რაც შეეხება სათანადო მოსარჩელეს, მას ყოველთვის შეუძლია აღძრას სარჩელი, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის და აღძრას იგი სათანადო მოპასუხის წინააღმდეგ ყოველგვარი „შეცვლისა“ და „სხვისი“ ადგილის დაკავების გარეშე.

§5. საპროცესო თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის სახეები და მიზნები

I. ცნება

ერთ საქმეში მოსარჩელის მხარეზე, მოპასუხის მხარეზე, ან ორივე მხარეზე ერთდროულად რამდენიმე პირის მონაწილეობას საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება.

მოსარჩელის მხარეზე მონაწილე პირებს თანამოსარჩევეებს, ხოლო მოპასუხის მხარეზე მონაწილე პირებს თანამოპასუხეებს უწოდებენ. ცხადია, რომ ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესებს, მაგრამ ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეთა ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელის მხარის თანამონაწილეების ინტერესები ყოველთვის უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოპასუხის მხარის თანამონაწილეების ინტერესებს, მაგრამ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარის თანამონაწილეთა ინტერესი ერთმანეთს არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს. თანამონაწილეობის ასეთი ხასიათი და შინაარსი განასხვავებს მას დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირებისაგან, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. ასეთი მესამე პირი აცხადებს თავის მოთხოვნას სწორედ იმ საგანზე, რომელზეც დავობენ მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე.

თანამონაწილეობის საფუძვლებს განსაზღვრავს სსკ 89-ე მუხლი, რომლის თანახმად თანამონაწილეობა დასაშვებია, თუ: ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან; გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, სასამართლო სხდომების რაოდენობის შემცირება, ერთმანეთის შეუსაბამო გადაწყვეტილებათა გამოტანის თავიდან აცილება, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამ მიზნით თანამონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მომზადების სტადიაზე. კერძოდ, სსკ 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაში არის რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარეები მონაწილეობენ, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით

გაერთიანოს ეს საქმეები ცალკე წარმოებად, თუ ამას მოყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს მოსამართლეც (სასამართლოც) იმ თვალსაზრისით, რომ ურჩიოს მხარეს დათანხმდეს ასეთ გაერთიანებაზე.

– თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატური (არა აუცილებელი).

II. სავალდებულო თანამონაწილეობა

თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა. მაგალითად, სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (სსკ 26-ე მუხლი) და საერთო საკუთრების უფლების ერთ-ერთმა მონაწილემ მოითხოვა წილის 'გამოყოფა'. საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს ყველა მესაკუთრე: ყოველთვის, როცა დავა ეხება საზიარო საგანს, საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს საზიარო უფლების ყველა მესაკუთრე; თუ საქმე ეხება ბინიდან გამოსახლებას (ბინის გათავისუფლებას), მაშინ ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნან ამ სადავო ბინაში მცხოვრები ყველა პირი და ა.შ.

სავალდებულო თანამონაწილეობისას, თუ ყველა თანამონაწილე არ იქნება ჩაბმული საქმეში და სასამართლო ისე გამოიტანს გადაწყვეტილებას, მაშინ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდება, რადგან მისი კანონიერი ძალა ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საქმეში. ამიტომ, თუ სარჩელი არაა აღძრული საერთო უფლების ყველა თანამონაწილის ან საერთო ვალდებულების მქონე ყველა პირის მიმართ, მაშინ სასამართლომ უნდა ჩააბას ისინი საქმეში თავისი ინიციატივით.

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სასამართლოს სავალდებულო თანამონაწილეობის დროს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როდესაც არ გამოცხადდა არცერთი თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), ან გამოცხადდა არა ყველა, არამედ ერთ-ერთი მათგანი.

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას (სსკ 229-ე და 230-ე მუხლები).

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ-ერთი თანამონაწილე, ვთქვათ თანამოსარჩელე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით.

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას, თუ ყველა თანამონაწილეს გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

თუ არცერთი მხარე, ე. ი. არცერთი თანამოსარჩელე და არცერთი თანამოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლოს შეუძლია სარჩელი განუხილველად დატოვოს (სსკ 231-ე მუხლი).

III. არასავალდებულო თანამონაწილეობა

არასავალდებულო (ფაკულტატური) თანამონაწილეობა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ „სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან“, ან კიდევ იმით, რომ „სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (სსკ 86-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).

მაგალითად, თუ პირის ქონებას ზიანი მიაყენა რამდენიმე პირმა, დაზარალებულს შეუძლია სარჩელი აღძრას როგორც ცალკეული ზიანის მიმყენებლის, ისე ყველას მიმართ ერთად. ასევე, თითოეულ მუშა-მოსამსახურეს შეუძლია ცალ-ცალკე აღძრას სარჩელი ადმინისტრაციის მიმართ ზელფასის მიღების თაობაზე, მაგრამ მათ შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი ერთგვაროვანი მოთხოვნები ერთ სარჩელში.

თანამონაწილეობა ასეთ შემთხვევებში გამართლებულია საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის ინტერესებით, აგრეთვე, საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოთხოვნებით. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მიზანი შეიძლება ვერ იქნეს რეალიზებული. მაშინ სასამართლოს შეუძლია რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა (სსკ 182-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

თანამონაწილეობისაგან უნდა განვასხვაოთ რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. თანამონაწილეობა – ეს არის სარჩელების სუბიექტური გაერთიანება, ხოლო რამდენიმე მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება ერთსა და იმავე მოპასუხის მიმართ – სარჩელების ობიექტური გაერთიანება. სასამართლოს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა.

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი შეუძლია თუ არა სასამართლოს არასავალდებულო (ფაკულტატიური) თანამონაწილეობის დროს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ არ გამოცხადდა არცერთი ან გამოცხადდა მხოლოდ ერთ-ერთი თანამონაწილე.

ასეთი თანამონაწილეობის დროს, თუ არ გამოცხადდა ერთ მხარეზე მონაწილე არცერთი თანამონაწილე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა გამოუცხადებელ მხარეთა საწინააღმდეგოდ (სსკ 229-230-ე მუხლები). მაგრამ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ მხარეზე მონაწილე მხოლოდ ერთი ან მხოლოდ ზოგიერთი, მაშინ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოცხადებული თანამონაწილის მიმართ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელ თანამონაწილეთა მიმართ.

არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს თითოეულ თანამონაწილეს შეეძლო აღედრა დამოუკიდებელი სარჩელი ცალკე აღებული მოპასუხის მიმართ. აქედან გამომდინარე, არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში გამოუცხადებლობას უნდა მოყვეს ის შედეგი, რასაც კანონი უკავშირებს მხარის გამოუცხადებლობას საერთოდ.

სსკ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

თითოეული თანამონაწილის პროცესში დამოუკიდებლად გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ მის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას არ შეუძლია რაიმე ზიანი მიაყენოს სხვა თანამონაწილეს ან ზეგავლენა მოახდინოს სხვა თანამონაწილეებზე. მაგალითად, ერთი თანამონაწილის მიერ სარჩელზე უარის თქმა, ან სარჩელის ცნობა არ ნიშნავს სარჩელზე უარის თქმას ან სარჩელის ცნობას სხვა თანამონაწილეების მიერ.

სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ მოსარჩელის მიმართ, რომელმაც უარი თქვა სარჩელზე და სხვების მიმართ გააგრძელებს საქმის განხილვას. ასევე სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს იმ მოპასუხის მიმართ, რომელმაც ცნო სარჩელი, ხოლო სხვების მიმართ გააგრძელებს საქმის განხილვას.

თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება სასამართლოში ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილე ორ ფუნქციას ასრულებს: ის არის მხარე, რომელიც იცავს თავის უფლებებს და, იმედროულად ის არის წარმომადგენელი სხვა თანამონაწილეებისა. ამ ორი ფუნქციის (მხარე, წარმომადგენელი) შეთავსება დასაშვებია მხოლოდ თანამონაწილეობის დროს.

საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის აუცილებლად უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 9 ნ-ე მუხლი). მაგალითად, მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი.

თანამონაწილეს, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება სხვა თანამონაწილეების მიერ, თავის მხრივ, არ ეკრძალება აიყვანოს ადვოკატი.

თანამონაწილეები (თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები) არიან მხარეები, რომლებიც იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. ამიტომ, ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რა უფლებებიც აქვთ მხარეებს.

წნ. მესამე პირები

I. ცნება და სახეები

სასარჩელო წარმოების დროს ყოველთვის გეყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. განსაზღვრულია აგრეთვე დავის საგანი, ე.ი. ის, რის გამოც ეს ორი მხარე უპირისპირდება ერთმანეთს, ვერ შეთანხმებულან ერთმანეთთან და ამიტომ იძულებული გამხდარან მიემართათ სასამართლოსთვის, რათა მან გადაჭრას წამოჭრილი დავა. ზოგჯერ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, ან კიდევ ორივე მხარეზე რამდენიმე პირი (თანამონაწილეები – თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები) გამოდის. მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს არ ცვლის, რადგან ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე რჩება. ადგილი აქვს მხოლოდ მხარეთა რაოდენობრივ ზრდას: მოსარჩელის მხარეზე გამოდის ერთი კი არა, არამედ რამდენიმე პირი, ხოლო მოპასუხის მხარეზე – ასევე რამდენიმე პირი. ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე კი რჩება.

მაგრამ ზოგჯერ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი რთულდება იმით, რომ ამ პროცესში შემოდის პირი, რომლის ინტერესები არ ემთხვევა არც მოსარჩელის და არც მოპასუხის ინტერესებს. იგი ებმება პროცესში თავის უფლების დასაცავად.

ამრიგად, მესამე პირი – ეს ისეთი პირია, რომელიც შემოდის მხარეთა მიერ უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებიც არამართო არ ემთხვევა, არამედ პირიქით, ეწინააღმდეგება კიდევ მხარეების (მოსარჩელის, მოპასუხის) ინტერესებს. სწორედ ამიტომ, ისინი არ შეიძლება ჩაებან პროცესში თანამონაწილეებად,

რომლის დროს ერთ მხარეზე მონაწილე პირების (მაგალითად, თანამოსარჩე-
ლეების) ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.

თავისი ხასიათითა და შინაარსით მესამე პირთა ინტერესები შეიძლება
განსხვავებული იყოს. ამ განსხვავებული ინტერესების მიხედვით მოხდა
მესამე პირების დაყოფა ორ სახედ: მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ
დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, ე.ი. იმ საგანზე, რომელზეც უკვე
აღძრულია დავა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სასამართლოში და
მესამე პირები რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის
საგანზე, მაგრამ სურთ დაიცვან თავიანთი სხვა, იურიდიულად ანგარიშგასაწვეი,
ინტერესი.

II. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც გაიგებს, რომ სასა-
მართლოში მიმდინარეობს დავა მხარეთა, ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს
შორის და აქვს თავისი ინტერესები ამ დავის საგნის მიმართ, შეუძლია ეს
ინტერესები დაიცვას ორი გზით: ერთი – შეიტანოს თავისი სარჩელი სასა-
მართლოში სანამ იგი მიიღებდეს გადაწყვეტილებას და განაცხადოს თავისი
დამოუკიდებელი მოთხოვნა ამ დავის საგნის მიმართ მთლიანად ან ნაწილობრივ,
ან, მეორე – დაელოდოს რანაირ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო და
შემდეგ აღძრას სარჩელი იმ მხარის წინააღმდეგ, რომელსაც სასამართლომ
მიაკუთვნა დავის საგანი ან რომლის სასარგებლოთაც მან გამოიტანა გადა-
წყვეტილება.

მაგალითად, სასამართლოში აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი, რომლითაც
მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან გარკვეული ნივთის გადაცემას იმ
საფუძველით, რომ იგი არის ამ ნივთის მესაკუთრე. გაიგო რა ასეთი სარჩელის
აღძვრის შესახებ სხვა პირმა, რომელიც ფიქრობს, რომ ამ სადავო ნივთის
მესაკუთრე თვითონაა, შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით და
განაცხადოს თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე ან მის ნაწილზე,
ან კიდევ, დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და, იმის მიხედვით
თუ ვის სასარგებლოდ იქნება გამოტანილი ეს გადაწყვეტილება, აღძრას მის
წინააღმდეგ სარჩელი საერთო წესით.

არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია თვითონ დაინტერესებულ პირზე, ამ
მხრივ რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს: მას ვერავინ აიძულებს
აღძრას სარჩელი და განაცხადოს დამოუკიდებელი მოთხოვნა სასამართლოში
მიმდინარე დავის საგანზე და მას ვერავინ ეტყვის უარს სარჩელის მიღებაზე

და განხილვაზე იმ მოტივით, რატომ თავის დროზე, ე.ი. სასამართლოს მიერ ამ დავის საგნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებამდე, არ განაცხადა თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა ამ საგნის მიმართ.

სარჩელის აღძვრა, მათ შორის მესამე პირის მიერ სასამართლოში მიმდინარე დავის საგანზე თავისი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრა, არის უფლება და არა მოვალეობა, ეს ფუნდამენტური უფლება დამკვიდრებულია სსკ მე-2 და 88-ე მუხლებით.

მაგრამ, თუ დაინტერესებულმა პირმა გადაწყვიტა განაცხადოს დამოუკიდებელი მოთხოვნა სასამართლოში სხვა პირთა მიერ აღძრულ დავის საგანზე, მაშინ ეს მას შეუძლია გააკეთოს სსკ 88-ე მუხლის ძალით. ამ მუხლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ასეთ პირებს ეწოდება მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს მესამე პირის სარჩელი თავდაპირველ სარჩელთან ერთად და გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ ორი სარჩელის მიმართ ერთობლივად, ამისათვის საჭიროა გარკვეული პირობები. ასეთი პირობებია:

ა) დაინტერესებულმა პირმა, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, უნდა მიმართოს სასამართლოს წერილობით ჩამოყალიბებული სარჩელით. ზეპირი ან სხვა რაიმე ფორმით დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენება დავის საგანზე დაუშვებელია.

ბ) მესამე პირის სარჩელი – ესაა სარჩელი და იგი უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას რასაც ითვალისწინებს კანონი საერთოდ სარჩელების მიმართ. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ განსჯადობის წესები: მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით დავის საგანზე, იმ სასამართლოში, სადაც ეს დავა განიხილება;

გ) მესამე პირის სარჩელი მიმართული უნდა იყოს უშუალოდ დავის საგანზე ან მის ნაწილზე. სხვა საგანზე, რა გინდ ახლო კავშირშიც არ უნდა იყოს იგი დავის საგანთან, მესამე პირის სარჩელი დაუშვებელია;

დ) მესამე პირის სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლამდე.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. სწორედ ასეთი განჩინების მიღების

შემდეგ მოიპოვებს პირი „დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის“ საპროცესო მდგომარეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არ არსებობს სასამართლოს განჩინება დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, მაშინ არც არსებობს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, არსებობს საქმეში ასეთი მესამე პირის სარჩელი თუ არა.

მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მოიპოვებს ყველა იმ უფლებას, რაც კანონითაა მისთვის გათვალისწინებული, არა მის მიერ სარჩელის აღძვრის, არამედ სასამართლოს მიერ ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების მიღების მომენტიდან.

ცხადია, რომ თუ მესამე პირის სარჩელი ხარვეზიანია, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლომ უნდა დაუნიშნოს მას ვადა ამ ხარვეზის შესავსებად საერთო წესით (იხ. თავი X §4), თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლო ამ სარჩელს უმოდრაოდ დატოვებს და დაუბრუნებს მესამე პირს. მესამე პირის სარჩელი უნდა პასუხობდეს აგრეთვე ყველა იმ წინაპირობას, რომლებიც სარჩელის წარმოებაში მიღებისთვისაა გათვალისწინებული კანონით (სსკ 186-ე მუხლი).

სასამართლოს განჩინება მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ არ გასაჩივრდება. სასამართლოს განჩინებაზე მესამე პირის სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ ან მის მიღებაზე უარისთქმის შესახებ, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 185-ე და 187-ე მუხლები).

სასამართლო პრაქტიკამ წამოჭრა საკითხი: შეიძლება თუ არა მესამე პირმა დაეის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით აღძრას სარჩელი სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში?

ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სააპელაციო სასამართლო განიხილავს საჩივარს გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ იქ აღძრულ სარჩელებზე და არა თვითონ ამ სარჩელებს. მესამე პირის სარჩელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ჩვეულებრივი სარჩელი და ასეთი სარჩელით სააპელაციო სასამართლოში (მით უმეტეს კასაციაში) მიმართვა დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა ვერ შეძლო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმართვა ამ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მას სრული შესაძლებლობა აქვს აღძრას სასამართლოში სარჩელი საერთო წესით.

მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით იგივე მოსარჩელებზეა და ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რა უფლებებითაც სარგებლობენ მოსარჩელები (მხარეები) საერთოდ.

III. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საქმეთა განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად აბამენ ისეთ პირებს, როგორცაა სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოები, ქალაქის მერია, გამგეობები, სხვადასხვა ინსპექციები, ნოტარიუსები (განსაკუთრებით თუ საკითხი ეხება ხელშეკრულების ბათილად ცნობას) და ა.შ. ხშირად გაუგებარია და არაა მოტივირებული სასამართლოების მიერ, თუ რომელი მხარის დასახმარებლად ჩაებნენ ისინი პროცესში, რა მოსაზრებით ან რომელი კანონით ხელმძღვანელობდა სასამართლო, როცა გამოიტანა განჩინება მათი საქმეში ჩაბმის შესახებ და სხვა.

ასეთი პრაქტიკა არ შეესაბამება კანონს, იწვევს არამართო საქმეთა განხილვის უზომოდ გაჭიანურებას, ზედმეტი მასალების შეგროვებას, ადამიანების მოცდენას, არამედ ხშირად სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გამოტანას.

როგორია კანონი და როგორი უნდა იყოს მისი გამოყენების პრაქტიკა?

1. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის სამართლებრივი საფუძველი

სსკ 89-ე მუხლის თანახმად „ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო“.

ამრიგად, პირის დაინტერესება ჩაერთოს საქმეში მესამე პირად სრულებით არაა საკმარისი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს განცხადებით მესამე პირად საქმეში მისი ჩართვის შესახებ, ვერ იქნება ჩართული მესამე პირად საქმეში. პირის სუბიექტური დაინტერესება – საკმარისი არაა.

იმისათვის რომ პირის შუამდგომლობა (განცხადება) საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ დააკმაყოფილოს სასამართლომ, ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ გავლენა უნდა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სწორად ე.ი. კანონის შესაბამისად, გადაწყვიტოს პირის მესამე პირად დაშვების საკითხი, სასამართლომ ზუსტად და ნათლად უნდა გაარკვიოს რა გავლენას მოახდენს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება იმ პირის ერთ-ერთი მხარის მიმართ უფლებებზე და მოვალეობებზე, რომელიც მესამე პირად საქმეში ჩართვას მოითხოვს.⁴³

ამ საკითხის გადაწყვეტის (გარკვევის) დროს სასამართლომ კვლავ უნდა მიმართოს კანონს. საქმე ისაა, რომ საკითხი ეხება პირის უფლებებსა და მოვალეობებს ერთ-ერთი მხარის მიმართ. უფლებები და მოვალეობები წმინდა იურიდიული კატეგორიებია და მათი წარმოშობა, შეცვლა თუ შეწყვეტა მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი.

საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ სამოქალაქო კოდექსის 703-706-ე მუხლების ანალიზს. 703-ე მუხლის თანახმად ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო, ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა. იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის გამგზავნი მიმართავს სასამართლოს სარჩელით ერთ-ერთი გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაშინ მოპასუხეს, ე.ი. გადამზიდველს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა საქმეში ჩაბმული იქნეს მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, სხვა მომდევნო გადამზიდველი. ასეთი შუამდგომლობით სასამართლოს შეიძლება მიმართოს უშუალოდ ამ მომდევნო გადამზიდველმაც. ცხადია, რომ ვინც არ უნდა მიმართოს სასამართლოს მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ, შუამდგომლობა (განცხადება) ამის თაობაზე მოტივირებული უნდა იყოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოტივირება შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის

⁴³ საეხებით სწორად მიუთითებს ქ. გაბელაია, რომ ყველა იმ პირის მესამე პირად საქმეში ჩართვა, ვისაც ამის სუბიექტური ინტერესი აქვს, გამოიწვევს ქაოსს პრაქტიკაში და საბოლოო ანგარიშში მხარეთა უფლებების შელახვას. იხ. თ. ლილუაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 2003, გვ. 256. ჩვენნი მხრივ დაუმატებლად, რომ ტენდენცია ქაოსისკენ პრაქტიკაში მართლაც შეიმჩნევა მესამე პირთა ჩაბმის დროს.

704-ე და 706-ე მუხლების საფუძველზე. 704-ე მუხლის თანახმად გადა-
მზიდველს, რომელმაც აანაზღაურა ზიანი გარკვეული პირობების არსებობისას
აქვს უკუმოთხოვნის უფლება სხვა გადამზიდველის მიმართ.

ამასთან ერთად, ამ სხვა გადამზიდველს, რომლის მიმართ აღძრულია
უკუმოთხოვნის შესახებ სარჩელი (რეგრესული სარჩელი), უფლება არ აქვს
სადავო გახადოს, რომ მოსარჩელემ, ე.ი. გადამზიდველმა, რომელმაც უკვე
აანაზღაურა ზიანი სასამართლო გადაწყვეტილების ძალით, უსაფუძვლოდ
გადაიხადა თანხა, თუ ეს გადამზიდველი სათანადოდ იყო გაფრთხილებული
სასამართლო პროცესის შესახებ და შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის
პროცესში ჩაბმას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როდესაც გადაწყვე-
ტილებას ამ საქმეზე შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მის უფლება-მოვალეობაზე
ერთ-ერთი მხარის მიმართ.

სასამართლო გადაწყვეტილების პრედიკციული (წინასწარგადამწყვეტი)
ძალა სხვა სარჩელების განხილვისას განისაზღვრება იმის მიხედვით ჩაბმული
იყო თუ არა მესამე პირი საქმის განხილვაში. ამიტომ, დამოუკიდებელი
მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმით დაინტერესებული უნდა
იყოს როგორც უშუალოდ მხარე, ისე მის მხარეზე მონაწილე მესამე პირი.

უკუმოთხოვნის ანუ რეგრესული მოთხოვნის წაყენების საშიშროება მარ-
თალია არის მესამე პირისათვის პროცესში ჩაბმის ძირითადი, მაგრამ არა
ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი.

მაგალითად, პრაქტიკა დასაშვებად თვლის მესამე პირად იმ ბავშვის მშობლის
საქმეში ჩაბმას, რომელიც ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე
იღებს ალიმენტს. თუ ალიმენტის გადამხდელის მიმართ აღძრული იქნება
სარჩელი სხვა ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის ალიმენტის გადახ-
დევნების შესახებ, მაშინ ამ სარჩელის განხილვაში შეიძლება მესამე პირად
ჩაებას იმ ბავშვის მშობელი, რომელიც უკვე იღებს ალიმენტს, რადგან სხვა
ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის ალიმენტის გადახდევნების დაკის-
რებამ შეიძლება გამოიწვიოს პირველი გადაწყვეტილებით განსაზღვრული
ალიმენტის ოდენობის შემცირება.

მესამე პირების საქმეში ჩაბმის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ
184-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ეს მუხლი ემყარება პრინციპს, რომლის თანახმად
თუ სასამართლოს მიერ არაა გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის
ღონისძიებები, მხარეებს არ ერთმეკათ უფლება გაეყიდონ, გააჩუქონ დავის
საგანი ან დათმონ მოთხოვნა. მაგრამ, სადავო საგნის ასეთი გასხვისების პი-

რობებშიც, მხარედ რჩება ის პირი, ვინც გაასხვისა დავის საგანი, ე.ი. პირი ვინც იქნებოდა მხარედ პროცესში სადავო საგნის გასხვივება რომ არ მოეხდინა.

სადავო საგნის შემქმნს, ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, შეუძლია ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: თუ მოწინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე. ასეთი თანხმობის უქონლობის შემთხვევაში, სადავო საგნის შემქმნს შეუძლია ჩაებას პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. ცხადია, რომ მესამე პირად პროცესში ჩაბმის მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ დაეხმაროს მხარეს საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება დაევალოს დავის საგნის მოგებული მხარისათვის ან იმ მხარისათვის დაბრუნება, რომლისაგანაც იგი შეიძინა.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირები განსხვავდებიან თანამონაწილეებისაგან. თანამონაწილეების პროცესში მონაწილეობის საფუძველები, როგორც ზემოთ დავინახეთ, ისეთია, რომ ისინი ყოველთვის უპირისპირდებიან მოწინააღმდეგე მხარეს: თანამოსარჩელები უპირისპირდებიან თანამოპასუხეებს და პირიქით. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ისინი მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობაშია მხოლოდ იმ პირთან, რომლის მხარეზეც გამოდიან პროცესში და არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა მოწინააღმდეგე მხარესთან მათ არ აკავშირებთ. პირიქით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ეხმარება და ყოველნაირად ცდილობს, რათა პროცესი მოიგოს იმ მხარემ, რომლის მხარეზეც იგი გამოდის პროცესში, მაგრამ, თუ მისმა მხარემ პროცესი წააგო, მაშინ შეიძლება მოხდეს, რომ მესამე პირი დაუპირისპირდეს სწორედ იმას, ვის მხარეზეც გამოდიოდა პროცესში. მაგალითად, რეგრესულ (უკუმოთხოვნის) სარჩელებში მესამე პირები ყოველთვის უპირისპირდებიან რეგრესული სარჩელების აღმძვრელ მოსარჩელებს, რომელთა მხარეზე ისინი გამოდიოდნენ საქმეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გააკეთოთო დასკვნა: დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის სამართლებრივი საფუძველია ზეგავლენა, რომელიც შეიძლება იქონიოს ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ ასეთი მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით არ წარმოადგენს მესამე პირის საქმეში ჩაბმის სამართლებრივ საფუძველს?

არა, არ ნიშნავს!

რუსეთის 1866 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების 663-ე მუხლის თანახმად „მესამე პირს, რომლის ინტერესი დამოკიდებულია ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაზე“, შეუძლია ამ თავისი სურვილის მიხედვით განაცხადოს თავისი მონაწილეობის შესახებ მოსარჩელის, ან მოპასუხის მხარეზე.

გერმანიის სსკ 60-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც „იურიდიულადაა დაინტერესებული ერთ-ერთი მხარის გამარჯვებაში, შეუძლია შეუერთდეს ამ მხარეს მისი მხარდაჭერის მიზნით“. განცხადებაში ასეთმა პირმა „უნდა მიუთითოს სამართლებრივ ინტერესზე, რის გამოც ჩაერთვის პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (70-ე მუხლი).

ავსტრიის სსკ მე-17 მუხლის თანახმად „პირი, რომლის სამართლებრივი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ რომელიმე მხარემ მოიგოს პროცესი... შეუძლია ჩაებას საქმეში როგორც ამ მხარის დამხმარე“. ამავე კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, „თუ გადაწყვეტილებას შეიძლება პრეიუდიციული ძალა ჰქონდეს მესამე პირის მიმართ, მას შეუძლია ჩაერთოს საქმეში მესამე პირად“.

როგორც ვხედავთ, აქ მითითებული ქვეყნების საპროცესო კოდექსების მიხედვით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვის სამართლებრივი საფუძველი – ესაა იურიდიული ინტერესი ანუ დაინტერესება, რომ მხარემ მოიგოს პროცესი.

უფრო დეტალურად იურიდიული ინტერესი განხილული იქნება ქვემოთ, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ იურიდიული ინტერესი შეფასებითი მსჯელობაა. ამიტომ, იგი განეკუთვნება არა გნოსეოლოგიის (შემეცნების) სფეროს, არამედ აქსიოლოგიის (ღირებულების, შეფასების) სფეროს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის „დადგენა-დადასტურება“ მტკიცებულებების მეშვეობით, მათ შორის უშუალო (გრძნობის ორგანოებით) აღქმის გზით – შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა მესამე პირის საქმეში ჩაბმის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც უფრო გასაგები და მისაღები იქნებოდა როგორც მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის.

ამრიგად, იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც აუცილებელია, მაგრამ იგი არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

იურიდიული ინტერესის არსებობის განმსაზღვრელ ამ კრიტერიუმის გამოყენება არ უნდა იწვევდეს რაიმე გართულებას. მოსამართლეს თავისი იურიდიული ცოდნის საფუძველზე თავისუფლად შეუძლია განჭვრიტოს თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მისმა გადაწყვეტილებამ იმ პირის უფლებამოვალეობებზე, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე საქმეში მესამე პირად ჩართვას.

2. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის წესი

სამოქალაქო საქმის განხილვაში მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმული იქნეს თვით ამ მესამე პირის განცხადებით (შუამდგომლობით), აგრეთვე მხარის ინიციატივით. სასამართლოს ინიციატივით მესამე პირის საქმეში ჩაბმას სსკ-სი არ ითვალისწინებსა.

მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მესამე პირად საქმეში ჩაბმას სასამართლოს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ასეთი მიმართვის ერთადერთი ფორმა შეიძლება იყოს წერილობითი განცხადება, რადგან ზეპირი ფორმით ასეთი განცხადების გაკეთება გამორიცხულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს პირი არ არის პროცესის მონაწილე და იგი ასეთ ზეპირ განცხადებას ვერ გააკეთებს. თავისთავად ცხადია, რომ განცხადება მესამე პირად დაშვებაზე უნდა იყოს მოტივირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი იურიდიული ინტერესი, რა გავლენას მოახდენს მის უფლებამოვალეობებზე იმ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელში ჩაბმასაც ის მოითხოვს (სსკ 89-ე მუხლი).

რაც შეეხება მხარეებს მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი განცხადებით. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ფორმით მიმართავენ სასამართლოს, განცხადება ყოველთვის უნდა იყოს მოტივირებული, ზეპირი ფორმით გაკეთებული მოტივირებული განცხადება შეიტანება სხდომის ოქმში (სსკ 90-ე მუხლი).

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკითხი, თუ პროცესის რომელ სტადიაზე (ეტაპზე) დაიშვება განცხადება მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ. ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას ასეთი განცხადებით მიმართონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე,

პრაქტიკულად სასამართლოს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად გასვლამდე. ამასთან ერთად, კანონმდებლობა ებრძვის საქმის განხილვის ვაჭიანურების მიზნით მესამე პირის საქმეში ჩაბმის ინსტიტუტის გამოყენებას. ბრძოლის მექანიზმი ასეთია: ვერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო ავალებს მხარეებს აცნობონ თუ „ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად“ (სსკ 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტი). საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი სასამართლო პროცესში მესამე პირების დაშვების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მხარეები შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის შესახებ სასამართლო სხდომებზე და მას შემდეგ, რაც უკვე გავიდა რამდენიმე თვე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან. სასამართლო მთავარ სხდომაზე და ისიც ასე დაგვიანებით სასამართლოსათვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იყო საპატიო მიზეზი ამისათვის (სსკ 215-ე მუხლი). ამ თვალსაზრისით შედარებით უფრო ნაკლები მოთხოვნები წაყენება თვითონ მესამე პირს, რომელმაც შეიძლება გვიან გაიგო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

3. სასამართლოს განჩინება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ

მესამე პირის საქმეში ჩაბმის საკითხს სასამართლო გადაწყვეტს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინება კი შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს: თუ განცხადება მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ შემოტანილია ამ საქმის მომზადების სტადიაზე, მაშინ ეს განცხადება გადაეგზავნება მხარეს (მხარეებს), რომელსაც დაენიშნება ვადა ამ საკითხზე მისი წერილობითი მოსაზრების წარმოდგენისათვის. ამ ვადაში წერილობითი მოსაზრების წარმოუდგენლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას. თუ განცხადება შემოტანილია სასამართლო სხდომაზე, მაშინ მხარეთა მოსაზრებების მოსმენა ამავე სხდომაზე ხდება.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს აგრეთვე, თუ ვის მხარეზე ხდება მესამე პირის საქმეში ჩაბმა და კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი იურიდიული ინტერესი (რა გავლენა შეუძლია იქონიოს ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე).

ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

რაც შეეხება სასამართლოს განჩინებას მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ, ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 90-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საპროცესო უფლებები

მესამე პირს მინიჭებული აქვს ყველა ის საპროცესო უფლება, რაც აუცილებელია მისი ინტერესების დასაცავად. მათ აქვთ იგივე უფლებები, რაც მხარეებს, გარდა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებებისა, როგორცაა გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება (სსკ 91-ე მუხლი). ასეთ მესამე პირს არ შეუძლია აგრეთვე გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით (სსკ 364-ე და 391-ე მუხლები), შეიტანოს კერძო საჩივარი (სსკ 414-ე მუხლი), გარდა განჩინებისა, რომლითაც უარი ეთქვა პირს განცხადებაზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ.

§7. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

I. უფლებამონაცვლეობის ცნება და საფუძვლები

სამოქალაქო უფლება ან მოვალეობა შეიძლება ერთი პირიდან მეორეზე გადავიდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება თუ მოვალეობა სასამართლოს განხილვის საგანია, წარმოიშობა საპროცესო უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სადავო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობიდან გადის ერთ-ერთი მხარე და არა მაშინ, როდესაც საქმიდან გადის ესა თუ ის მხარე (მაგალითად, არასათანადო მხარე გავიდა საქმიდან და მის ნაცვლად შემოვიდა სათანადო მხარე).

ამრიგად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა – ესაა მხარეების და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა.

როგორც ვხედავთ, საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად ეფუძნება უფლებამონაცვლეობას მატერიალურ სამართალში.

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები (ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლის შემთხვევები) მითითებულია სსკ 92-ე მუხლში. ასეთი საფუძვლებია:

ა) მოქალაქის გარდაცვალება. მაგალითად, სკ 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით.

ბ) იურიდიული პირის რეორგანიზაცია. იურიდიული პირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლითა და სკ-ის 39-ე მუხლით (უნივერსალური უფლებამონაცვლეობა).

გ) მოთხოვნის დათმობა. გათვალისწინებულია სკ 199-ე მუხლით, რომლის თანახმად, გარკვეული პირობების არსებობისას მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს ის პირი, რომელსაც მოთხოვნა დაუთმეს (სინგულარული უფლებამონაცვლეობა) შესაბამისად, საპროცესო უფლებამონაცვლის ადგილს, ნაცვლად თავდაპირველი მფლობელ-მოსარჩლისა, დაიკავებს პირი, რომელსაც ამ თავდაპირველმა მფლობელ-მოსარჩლემ დაუთმო მოთხოვნა.

დ) ვალის გადაცემა. ვალის გადაცემა (გადაკისრება) გათვალისწინებულია სკ 203-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც. ასეთ შემთხვევაში პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ვალი, დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თავდაპირველი მოვალე გვევლინება საქმეში მოპასუხედ, ვალის გადაკისრების შემთხვევაში მის საპროცესო უფლებამონაცვლედ მოგვევლინება პირი, რომელსაც გადაეცა (გადაეკისრა) ვალი.

უფლებამონაცვლეობა განსხვავდება პროცესში არასათანადო მხარის შეცვლისაგან: არასათანადო მხარე – ეს ისეთი პირია, რომელიც არ არის სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. ამიტომ, მას არა აქვს მოთხოვნის უფლება, აგრეთვე მან არ უნდა აგოს პასუხი მის მიმართ აღძრულ მოთხოვნაზე. უფლებამონაცვლეობის დროს კი პირიქით ხდება: თავდაპირველი მხარე იყო სათანადო მხარე, რადგან იგი იყო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და მხოლოდ იმის შედეგად, რომ მისი ადგილი ამ სამართლებრივ ურთიერთობაში დაიკავა (კანონით დადგენილი საფუძვლებითა

და წესით) სხვა პირმა, შესაბამისად, ეს სხვა პირი იკავებს მის ადგილს სამოქალაქო სამართალწარმოებაში (საპროცესო უფლებამონაცვლეობა).

საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

მაგალითად: ანიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით ბ-ანის წინააღმდეგ მისი ქონების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხე ბ-ანი გარდაიცვალა. სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება სსკ 379-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენამდე (სსკ 281-ე მუხლი).

თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ უნდა შეწყდეს.

მაგალითად: ანიმ მიმართა სასამართლო სარჩელით ბ-ანის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენის შესახებ. საქმის წარმოების პროცესში ა-ნი გარდაიცვალა. სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან სადავო შრომით სამართლებრივ ურთიერთობას დასაშვებად არ მიაჩნია სამუშაო ადგილის თუ თანამდებობის მემკვიდრეობით მიღება (უფლებამონაცვლეობა).

საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, თუ გარდაიცვალა ის პირი ვისთვისაც მოითხოვდნენ აღიშენტს, რადგან აღიშენტის გადახდევინების უფლების გადასვლა სხვა პირზე დაუშვებელია. ასევე, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, თუ გარდაიცვალა ისეთი მოვალე, რომლის პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ვალდებულების შესრულება, ან კიდევ, თუ გარდაიცვალა კრედიტორი, რომლისთვისაც პირადად იყო გათვალისწინებული შესრულება (სკ 453-ე მუხლი).

II. საპროცესო უფლებამონაცვლეობის დაშვების წესი

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობაში ანუ სადავო მატერიალურ სამართლებრივი უფლების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე, არ წარმოადგენს

პროცესუალური უფლებამონაცვლეობის სავალდებულო საბაბს. ისე როგორც სარჩელის აღძვრა სასამართლოში, უფლებამონაცვლეობა პროცესშიც მხარეთა ნებასურვილზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, როცა საქმე ეხება პროცესიდან ამა თუ იმ მიზეზით გასულ მოსარჩელის უფლებამონაცვლეს, კერძოდ, დაიკავოს თუ არა მან პროცესიდან გასული მოსარჩელის ადგილი – ეს მთლიანად დამოკიდებულია თვითონ უფლებამონაცვლეზე, ზოლო, როცა საქმე ეხება პროცესიდან გასული მოპასუხის უფლებამონაცვლეს, მაშინ ჩაებას თუ არა ეს უფლებამონაცვლე პროცესში მოპასუხედ, დამოკიდებულია არა ამ უფლებამონაცვლეზე, არამედ მოსარჩელის ნებასურვილზე. ასეთი წესი მთლიანად ეფუძნება იმ ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად, როგორც სარჩელის აღძვრის, ისე მოპასუხის დასახელების უფლებამოსილება მთლიანად ეკუთვნის მოსარჩელეს.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კერძოდ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. ცხადია, რომ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია როგორც პირველ, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

III. საქმის წარმოების შეჩერება და განახლება

თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანამდე (საქმის პირველ, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს), მაშინ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება (სსკ 279-ე მუხლის „ა“ პუნქტი), რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამ განჩინებაში სასამართლომ უნდა მიუთითოს, რომ საქმის წარმოება შეჩერებულია უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ უფლებამონაცვლის დადგენით ყოველთვის ვერ მოხდება შეჩერებული საქმის განახლება.

კერძოდ, თუ საკითხი შეეხება მოსარჩელის უფლებამონაცვლეს, მაშინ მან უნდა მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში როგორც მოსარჩელის უფლებამონაცვლე. მანვე უნდა წარუდგინოს სასამართლოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (სამკვიდრო მოწმობა, მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, ვალის გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება, იურიდიული პირის რეორგანიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა. შ).

– თუ საკითხი შეეხება მოპასუხეს, მაშინ მოსარჩელემ ან თვითონ მოპასუხის

უფლებამონაცვლემ უნდა მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განცხადებით. მათ სასამართლოს უნდა წარუდგინონ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთები. თუ მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხის უფლებამონაცვლე უარყოფს თავის უფლებამონაცვლეობას, მან ეს უარყოფა უნდა დაადასტუროს.

– აპელანტის თუ კასატორის უფლებამონაცვლის დასახელებით და შერეული სააპელაციო თუ საკასაციო წარმოების განახლებით შეიძლება დაინტერესებული იყოს მოწინააღმდეგე (სააპელაციო თუ საკასაციო მოპასუხე) მხარეც. მაგალითად, მოსარჩელემ მოიგო პროცესი და მას მიეკუთვნა ის სიკეთე, რასაც მოითხოვდა (რაიმე ნივთი, ფულადი თანხა, ბინაში შესახლება და ა. შ.). მოპასუხემ შეიტანა სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი, მაგრამ სანამ სასამართლო ამ საჩივარს განიხილავდა, აპელანტი (კასატორი) გარდაიცვალა. იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში საჩივარი არის ფაქტობრივად და იურიდიულად სრულიად უპერსპექტივო, აპელანტის (კასატორის) უფლებამონაცვლე საერთოდ არ არის დაინტერესებული განახლდეს საქმის განხილვა. ის მხოლოდ ცდილობს, რომ გაჭინურდეს ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა. მოწინააღმდეგე მხარე კი პირიქით – დაინტერესებულია ამ საქმის განხილვითა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით. ამიტომ, აპელანტის თუ კასატორის მოწინააღმდეგე მხარე თვითონ ატყობინებს სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს, რომ მან განაახლოს შერეული სააპელაციო (საკასაციო) წარმოება, ვინაიდან უკვე გამოვლინდა უფლებამონაცვლე.

– თუ უფლებამონაცვლედ გვევლინება რამდენიმე პირი, მაშინ ყოველი მათგანი უნდა იქნენ საქმეში ჩაბმული.

– უფლებამონაცვლის დადგენის შემდეგ, სასამართლომ უნდა განაახლოს საქმე, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება, უნდა აცნობოს უფლებამონაცვლეს საქმის განხილვის შესახებ და მიუთითოს იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მოყვეს მის გამოუცხადებლობას.

– შერეული საქმის განახლების შემდეგ, საქმის განხილვა თავიდან არ დაიწყება, არამედ გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც შერერდა მისი წარმოება.

– გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზე, მაგრამ თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ – აღსრულების სტადიაზე, მაშინ ეს საკითხი შეიძლება მოგვარდეს გადაწყვეტილების განმარტების წესით (სსკ 262-ე მუხლი).

სასამართლოს განჩინებაზე უფლებამონაცვლების დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლოს განჩინებაზე უფლებამონაცვლის დადგენის გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

IV. უფლებამონაცვლის საპროცესო უფლებები

უფლებამონაცვლეს, თუ იგი დაშვებული იქნება პროცესში, აქვს აბსოლუტურად ყველა ის საპროცესო უფლება, რაც ჰქონდა მის წინამორბედს. ამასთან ერთად, უფლებამონაცვლისათვის სავალდებულოა ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც შესრულებული იყო მის დაშვებამდე იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა მისი წინამორბედისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეს არ შეუძლია მოითხოვოს იმ საპროცესო მოქმედების ხელმეორედ (განმეორებით) შესრულება, რომელიც მისმა წინამორბედმა შეასრულა. მაგალითად, მას არ შეუძლია მოითხოვოს მოწმეთა განმეორებით გამოძახება და დაკითხვა, საპროცესო ვადების თავიდან ათვლა, თუ ეს ვადა გაშვებული იყო ჯერ კიდევ წინამორბედის სიცოცხლეში ან იურიდიული პირის რეორგანიზაციამდე. მაგალითად, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ე.ი. წინამორბედის სიცოცხლეში, მაშინ უფლებამონაცვლეს არ შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება. მაგრამ, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, უფლებამონაცვლეს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება (განჩინება).

წინამორბედის მიერ შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ითვლება შესრულებულად უფლებამონაცვლის მიერ. მაგალითად, წინამორბედმა შეცვალა სარჩელის საგანი და ნაცვლად მოპასუხის ბინიდან გამოსახლებისა, მოითხოვა მისგან ბინის ქირის გადახდა. უფლებამონაცვლე ვერ იტყვის უარს სარჩელის ასეთ შეცვლაზე. მაგრამ, თუ წინამორბედს კანონის თანახმად შეუძლია უარი თქვას მის მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებაზე, მაშინ ასეთივე უფლება აქვს უფლებამონაცვლესაც. მაგალითად, უფლებამონაცვლეს შეუძლია უარი თქვას წინამორბედის მიერ შეტანილ სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე, რადგან მის წინამორბედსაც ჰქონდა ასეთივე უფლება (სსკ 378-ე მუხლი).

§8. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები

I. მხარეთა უფლებები

ცნებას „მხარე“ ჩვენ აქ ვიყენებთ ფართო გაგებით და ამ ცნებაში ვგულისხმობთ არამარტო მოსარჩელეს და მოპასუხეს, არამედ აგრეთვე თანამონაწილებს, ანუ თანამოსარჩელებს და თანამოპასუხეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლებს. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ისინი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ სარგებლობენ მხოლოდ იმ საპროცესო უფლებით, რაც აუცილებელია მათი ინტერესების დასაცავად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი აღჭურვილია ფართო საპროცესო უფლებებით, რაც საჭიროა მათი მატერიალურ სამართლებრივი ინტერესების, მოთხოვნების, თუ შესაგებლის დაცვისათვის. ამასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. კონსტიტუციის ამ დანაწესის შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად „მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით“.

იმის მიხედვით, თუ რომელი კონკრეტული ინტერესის რეალიზაციას ემსახურება, მხარეთა საპროცესო უფლებები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ.

ერთი ჯგუფი საპროცესო უფლებებისა მიმართულია მხარეთა მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი უფლებების განკარგვის უზრუნველყოფისაკენ. ამ მიზნით მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ სარჩელის საგანი (მოთხოვნა) ან საფუძველი, გააღიღონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, დააზუსტონ და დააკონკრეტონ სარჩელში (შესაგებელში) მითითებული გარემოებები, მოითხოვონ ერთი ნივთის ნაცვლად სხვა ნივთის მიკუთვნება, ანდა ამ ნივთის ღირებულება (სსკ 83-ე მუხლი), დაამთავრონ საქმე მორიგებით, მოსარჩელემ უარი თქვას თავის სარჩელზე, ხოლო მოპასუხემ ცნოს სარჩელი (სსკ მე-3 მუხლი).

მეორე ჯგუფი მხარეთა საპროცესო უფლებებისა მთლიანად ემსახურება მხარეთა აღჭურვას დაცვის საპროცესო საშუალებებით. ასეთ საშუალებებად გვევლინება მხარეთა უფლება გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში,

განაცხადონ სასამართლოს წინაშე სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ახსნა-განმარტება, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები და ა.შ.

მესამე ჯგუფი საპროცესო უფლებებისა მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების უზრუნველყოფისაკენ. ამ მიზნით მხარეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები სააპელაციო, საკასაციო, აგრეთვე კერძო საჩივრის შეტანის წესით, მიუთითონ თავიანთ საჩივრებში თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა (განჩინებათა) უსწორობა (სსკ 83-ე მუხლი). მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე მოითხოვონ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განახლება თუ არსებობს ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძვლები (სსკ 421-ე მუხლი).

რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილ მხარეთა საპროცესო უფლებები არაა ამომწურავი. მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩელის უზრუნველყოფა, აწარმოონ საქმე პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, აღძრან შეგებებული სარჩელი, შეიტანოს შეგებებული სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი, განაცხადონ უარი ან უკან გაითხოვონ საჩივარი და ა.შ.

აქ ჩამოთვლილი უფლებები – ესაა მხარეთა ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ტრადიციული საპროცესო უფლებები.

II. მხარეთა საპროცესო მოვალეობები

ეკისრებათ თუ არა მხარეებს საპროცესო მოვალეობები?

ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება.

ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად უფლებებთან ერთად მხარეებს ეკისრებათ საპროცესო მოვალეობები, როგორცაა მაგალითად მხარეთა მოვალეობა მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით, მხარეთა მოვალეობა დაამტკიცონ მათ მიერ მითითებული ფაქტები, მხარეთა მოვალეობა კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი საპროცესო უფლებები და ა.შ. მხარეთა საპროცესო მოვალეობების არსებობას იმით ასაბუთებენ, რომ ასეთი მოვალეობის შეუსრულებლობას ყოველთვის უკავშირდება არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც მასზე დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა. მაგალითად, თუ მხარემ არ დაამტკიცა

ან ვერ დაამტკიცა ფაქტიური გარემოება, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას (შესაგებელს), მას დაეკისრება ამ ფაქტის დაუმტკიცებულობის არახელსაყრელი შედეგები ანუ სასამართლო გამოიტანს მისთვის არახელსაყრელ (წამგებიან) გადაწყვეტილებას.⁴⁴

თანამედროვე რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. მ.ა. გურვიჩი იზიარებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხარეებს იურიდიული მოვალეობა პროცესში არ ეკისრებათ, რადგან საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ასეთი მოვალეობის დარღვევისათვის სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.⁴⁵

ყველაზე უფრო დეტალურად საკითხი მხარეთა საპროცესო მოვალეობების არსებობა-არარსებობის შესახებ განხილული იყო გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი გერმანელი პროცესუალისტიები ო. ბიულოვი, რ. შმიდტი და სხვები აღნიშნავდნენ, რომ მხარეებს სამოქალაქო პროცესში არ ეკისრებათ იურიდიული მოვალეობები არც სასამართლოს წინაშე და არც ერთმანეთის მიმართ. ისინი არაა ვალდებული გამოცხადდნენ სასამართლოში, უარყონ მოწინააღმდეგე მხარის განცხადებები და მოსაზრებები, აღიარონ ფაქტები თუ მოთხოვნები, წარმოადგინონ ფაქტები და მტკიცებულებები, განაცხადონ შუამდგომლობები და ა.შ. რა თქმა უნდა, მხარის უმოქმედება გამოიწვევს მისთვის არახელსაყრელ შედეგებს, მაგრამ, თუ ამის გამო ამბობენ მოქმედების შესრულების მოვალეობის შესახებ, მხედველობაში შეიძლება გვექონდეს მხოლოდ მოვალეობა თავისი თავის მიმართ, ანუ მოქმედების შესრულების აუცილებლობა (და არა მოვალეობა), თუ შენ გინდა მიიღო ამ მოქმედებიდან გამომდინარე გამორჩენა (სარგებელი).⁴⁶

უფლება და მოვალეობა განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. უფლება ყოველთვის შეხამებულია მოვალეობასთან: არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე და მოვალეობა უფლების გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ

⁴⁴ შეხედულებას, რომლის თანახმად მხარეებს ეკისრებათ საპროცესო მოვალეობები ვიზიარებდით ჩვენც. იხ. თ. ლილუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 1992, გვ. 35-36.

ეს შეხედულება ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე თანამედროვე რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. Гражданское процессуальное право. учебник. изд-во „проспект“, М. 2004, стр. 81.

⁴⁵ Курс Советского Гражданского процессуального права. Том. III. М. 1981, стр. 231.

⁴⁶ იხ. Е. В. Васъковскій. Курс Гражданского процесса. Том. I. 1913, стр. 630-631.

თუ ვინმე არ ასრულებს თავის მოვალეობას, ამით იგი არღვევს ვილაციის უფლებას. თუ მოვალეობის შეუსრულებლობით არავის უფლება არ ირღვევა, ასეთი „მოვალეობა“ იურიდიული თვალსაზრისით, არც შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვალეობა.

თუ მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ არ შეიძლება არ გვაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთი მოვალეობა მართლაც არ არსებობს, რადგან როდესაც მხარე (სულერთია მოსარჩელე იქნება ეს, თუ მოპასუხე) არ ასრულებს საპროცესო მოვალეობას, იგი ამით არავის უფლებას არ არღვევს. სწორედ ამიტომ, არც არსებობს იურიდიული მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შეიძლებოდა საპროცესო მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენების საშუალებით.

აქედან გამომდინარე, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით მხარეთა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შეასრულონ მხარეებმა, არ განეკუთვნებიან იურიდიულ ვალდებულებათა კატეგორიას.

ამასთან ერთად, არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს ერთმა გარემოებამ: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ საპროცესო მოქმედებებს, რომელთა შესრულების თუ შეუსრულებლობის მხოლოდ მხარეთა უფლებების სფეროზე გადატანა ნამდვილად სერიოზულ ეჭვებს იწვევს. მაგალითად, სასამართლომ დაუნიშნა მოსარჩელეს ვადა სარჩელის ხარვეზის შესავსებად. თუ მოსარჩელე ამ ვადაში ხარვეზს არ შეავსებს, სასამართლო დატოვებს სარჩელს განუხილველად. არის თუ არა ხარვეზის შევსება მხარის უფლება, თუ იგი მისი მოვალეობაა? თუ მოსარჩელე ან ორივე მხარე არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია განუხილველად დატოვოს სარჩელი (სსკ 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). არის, თუ არა სასამართლო სხდომაზე გამოცხადება მხარის უფლება, თუ იგი მოვალეობაა? თუ მხარემ ვერ დაამტკიცა გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას (შესაგებელს), სასამართლო გამოიტანს მისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებას. არის, თუ არა ფაქტების დამტკიცების ტვირთი მხარის უფლება, თუ იგი მხარის მოვალეობაა? და ა.შ.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მართლაც ითვალისწინებს ისეთ მოქმედებებს, რომელთა შეუსრულებლობა მხარის მიერ იწვევს მისთვის არახელსაყრელ შედეგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ნათლად გამოკვეთილ და ზუსტად განსაზღვრულ მუქარას, რაც შეიძლება დადგეს მოქმედების შეუსრულებლობისათვის.

ამასთან ერთად, არის ისეთი საპროცესო მოქმედებებიც, რომელთა შეუსრულებლობას საპროცესო კანონი არ უკავშირებს ასეთ კონკრეტულად გამოხატულ არახელსაყრელი შედეგების დადგომას. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს, მათ შეუძლიათ გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები და ა.შ. მაგრამ, თუ მხარეები არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობებით (უფლებებით), კანონი არ ითვალისწინებს ამისათვის რაიმე კონკრეტულ სანქციებს, თუმცა ზოგადად სავსებით შესაძლებელია ასეთ უმოქმედობას მოყვეს არასასურველი შედეგები, კერძოდ, თუ არ გაასაჩივრებ გადაწყვეტილებას, ამით შეიძლება დაკარგო შენთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გაუქმების შანსი, თუ არ გაეცნობი საქმის მასალებს, შეიძლება მხედველობიდან გაუშვა და გამოგრჩეს თავდაცვისათვის მნიშვნელოვანი საშუალება.

როგორც ვხედავთ, თვით მხარეთა მიერ განხორციელებული საპროცესო უფლებები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ ზოგ შემთხვევაში უფლების განუხორციელებლობას უკავშირდება სრულიად გარკვეული და კონკრეტულად განსაზღვრული შედეგი, ხოლო ზოგჯერ ასეთი კონკრეტული შედეგი არაა განსაზღვრული კანონით.

მიუხედავად ამისა, არცერთ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ვალდებულებასთან, რომლის დროს ვალდებული პირი მოვალეა შეასრულოს რაიმე მოქმედება მეორე (სხვა) უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ. საპროცესო ურთიერთობებში მხარე ასრულებს მოქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს მისთვის არახელსაყრელი შედეგი, მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა. უფრო მეტიც, მხარეებს შორის პროცესში, ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საპროცესო ურთიერთობა საერთოდ არ წარმოიშობა.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეიძლება ვილაპარაკოთ მხარის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების აუცილებლობაზე და არა ვალდებულებაზე. იმიტომ როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მხარემ უნდა შეასოს სარჩელის ან საჩივრის ხარვეზი, მხარემ უნდა წარმოადგინოს წერილობითი შესაგებელი, მხარე უნდა გამოცხადდეს სასამართლოში, ან როცა ვამბობთ, რომ მხარე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, მხარე მოვალეა აცნობოს სასამართლოს თავისი ადგილსამყოფელი, მხარე მოვალეა წარმოადგინოს მტკიცებულება და ა.შ. სინამდვილეში მხედველობაშია არა ვალდებულება, არამედ საპროცესო მოქმედების თავისივე ინტერესებისათვის შესრულების აუცილებლობა.

სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა

§1. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებული შინაარსის ცნებებს: უწყებრივ ქვემდებარეობას, ანუ სასამართლო საქვეუწყებობას და განსჯადობას (სსკ მე-11 და მე-13-ე მუხლები).

რას ნიშნავს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა?

ნებისმიერი ორგანო, რომელიც არსებობს ან შეიქმნება ამა თუ იმ სახელმწიფოში, ვალდებულია იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების (იურისდიქციის) ფარგლებში და ვერ გასცდება ამ ფარგლებს. როგორც კი რომელიმე ორგანო გასცილდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, იგი იჭრება სხვა ორგანოს კომპეტენციაში, ე.ი. იღებს თავის თავზე ისეთი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილებას, რომელიც მას კი არა, სხვა ორგანოს აქვს მიკუთვნებული. სახელმწიფოში არსებულ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ ერთი იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხდეს ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვა-გადაწყვეტა, რაც ნამდვილად ქაოსურ ვითარებას შექმნიდა ქვეყანაში და, მეორე, იმ თვალსაზრისით, რომ ზუსტად უნდა ვიცოდეთ რომელ კონკრეტულ ორგანოს რა კონკრეტული საკითხის გადაჭრისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომაც, რომ არცერთ ორგანოს ან თანამდებობის პირს უფლება არ აქვს გასცდეს თავის კომპეტენციას, გადაამეტოს თავის უფლებამოსილებას. სახელმწიფოში არსებული ყოველი ორგანოს უფლებამოსილება (კომპეტენცია) განისაზღვრება ამ ორგანოსათვის შემუშავებული კანონით, წესდებით, დებულებით ან სხვა ნორმატიული აქტით. აქედან გამომდინარე, უწყებრივი ქვემდებარეობა, ანუ საქვეუწყებობა შეიძლება განემარტოთ, როგორც იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა და ფარგლები, რომელიც კანონით აქვს განსაზღვრული ამა თუ იმ ორგანოს.

ცხადია, რომ სასამართლოს, ისე როგორც სხვა ორგანოს, ზუსტად აქვს განსაზღვრული უფლებამოსილებათა ფარგლები და იგი არ შეიძლება გასცდეს ამ ფარგლებს. მაგალითად, საქართველოს კანონების საქართველოს კონსტი-

ტუციასთან შესაბამისობის საკითხს, სახელმწიფო ორგანოებს შორის დავას კომპეტენციის თაობაზე, დავას რეფერენდუმის თუ არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ და ა.შ. გადაწყვეტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე.⁴⁷ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად „საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა (სასამართლო საქვეუწყებობა) კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომლის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.⁴⁸

ვფიქრობთ, საჭირო და მიზანშეწონილი იქნება აღინიშნოს, რომ საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საერთო სასამართლოების უფლებამოსილების (საქვეუწყებობის) ფარგლები ძლიერ იყო შეზღუდული. იურიდიულ ლიტერატურაში ასეთი ვითარება უარყოფითად იყო შეფასებული. საქმე ისაა, რომ იმ პირობებშიც, რომელშიც ეს კოდექსი მოქმედებდა, სასამართლო მაინც რჩებოდა პირის დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის ყველაზე უფრო მომარჯვებულ ფორმად და, რომ უფლების დაცვის ყველაზე მეტ გარანტიებს სწორედ სამართალწარმოების წესები შეიცავდნენ.

აქედან გამომდინარე, ფართოდ განიხილებოდა საკითხი სასამართლოების უფლებამოსილებათა გაფართოების შესახებ. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ კრიტერიუმში უნდა იყოს ერთი: ყოველ დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, თუ ეს უფლება სამართლით რეგულირებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.⁴⁹

⁴⁷ საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მუხლი 19. იხ. კრებული „კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და სასამართლო პრაქტიკა“, თბ. 2001, გვ.60.

⁴⁸ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით უწყებრივი ქვემდებარეობა – ესაა იმ საქმეების წრე, ან კიდევ, იმ საქმეთა თვისება, რომლებიც განეკუთვნება, სასამართლო ორგანოებს, ან რომელთა მიხედვით ხდება ამ ორგანოებისათვის განსახილველად გადაცემა. იხ. ა. კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2003, გვ. 253. შ. ქურდაძე. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თ. 2005, გვ. 243.

⁴⁹ იხ. თ. ლილუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გ-ბა „მეცნიერება“ თბ. 1992, გვ. 85-86.

ეს მოსაზრება გაიზიარა კანონმდებელმა. საქართველოს ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განუსაზღვრელად აფართოვებს სასამართლოს იურისდიქციას, მის უფლებამოსილებას. ამ კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავს სანიმუშო ჩამონათვალს იმ ურთიერთობებისას, რომლებიდანაც წარმოშობილ დავებს განიხილავს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საერთო სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, უდავო წარმოების საქმეებს, დავებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საერთო სასამართლოების უფლებამოსილება ანუ მათი უწყებრივი ქვემდებარეობის ფარგლები არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის საქმეებით. საერთო სასამართლოები განიხილავენ აგრეთვე დავებს „იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან“ (ასკ მე-2 მუხლი). ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების განხილვისას სასამართლო ხელმძღვანელობს, როგორც ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით (ასკ), ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (ასკ პირველი მუხლი).

სსკ 186-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, ხოლო თუ სასამართლო შეცდა და მან მიიღო არასაქვეუწყებო საქმე, რაც ამ საქმის განხილვის პროცესში გამოიკვეთა, მაშინ მან უნდა შეწყვიტოს საქმე. სსკ 272-ე მუხლის თანახმად სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ „საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის“.

როგორც ვხედავთ, ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად და შეუცდომლად განსაზღვროს ექვემდებარება თუ არა უწყებრივად საქმე სასამართლოს – ესაა კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა. ამიტომ, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისათვის კრიტერიუმების კვლევას, როგორც ამას ზოგჯერ ვხვდებით ლიტერატურაში, შეიძლება პქონდეს მნიშვნელობა საკანონმდებლო ორგანოსათვის, მაგრამ არა სასამართლოსათვის.

უწყებრივი ქვემდებარეობა სასამართლომ უნდა შეამოწმოს თავისი ინიციატივით. სასამართლოს მიერ არასაქვეუწყებო საქმის განხილვა და გადაწყვეტა

წარმოადგენს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ (უდავო) საფუძველს (სსსკ 394-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

§2. განსჯადობის ცნება

როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა გვაძლევს საშუალებას პასუხი გავცეთ კითხვაზე: განეკუთვნება თუ არა საქმე სასამართლო ორგანოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში (იურისდიქციაში). თუ ეს საკითხი დადებითად იქნება გადაწყვეტილი წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს უწყებრივად სასამართლო ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ეს საქმე.

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე ინსტიტუტი, რომელსაც განსჯადობა ეწოდება.

განსჯადობა აწესრიგებს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით. მაგალითად, სარჩელი საკუთრების უფლების, ვინდიკაციური სარჩელი, ანუ სარჩელი სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, სარჩელები კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ მისი მფლობელობის განხორციელებაში ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, ქონების გაყოფის შესახებ და ა.შ. უწყებრივად სასამართლო ორგანოების განხილვას ექვემდებარება. მაგრამ, რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს სარჩელები? ამაზე პასუხს შეიცავენ სსკ მე-13-24-ე მუხლები. კერძოდ, ამ კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად სარჩელი საკუთრების უფლების ქონების გაყოფის, განაწილებისა და ფლობასთან დაკავშირებით, თუ ღვა ეხება უძრავ ნივთებს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ამ სადავო ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამრიგად, განსჯადობა – ესაა სასამართლო ორგანოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით განაწილება ცალკეული სასამართლოების მიხედვით, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს.

პრაქტიკული დასკვნა, რომელიც განსჯადობის ცნების შინაარსიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ, ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე უნდა გაარკვიოს არამართო უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი, არამედ საკითხი, არის თუ არა ეს სარჩელი მისი განსჯადი, ე.ი. განეკუთვნება თუ არა მისი განხილვა სწორედ ამ სასამართლოს კომპეტენციას.

§3. განსჯადობის სახეები

I. გვარუბითი განსჯადობა

იმ ფაქტიური გარემოებების მიხედვით, რომლებიც საფუძვლად უდევს განსჯადობას კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს გვარუბით ანუ საგნობრივ და ტერიტორიალურ განსჯადობას. I. გვარუბითი (საგნობრივი) განსჯადობა – ესაა საქმეთა განაწილება ამ საქმეთა გვარუბის ანუ საგნის მიხედვით სხვადასხვა დონის (სახის) სასამართლოებს შორის. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელექტუალურ დავებს აგრეთვე დავებს, რომელთა საგნის ღირებულება 500,000 ლარს აღემატებოდა, განიხილავდნენ ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო სასამართლოების სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიები.

ამჟამად ეს კოლეგიები გაუქმებულია. ყველა სახის ქონებრივ და არაქონებრივ დავებს განიხილავდნენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ამასთან ერთად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე. მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავდნენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს, უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს, შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, აგრეთვე საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს გარდა კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი გამონაკლისებისა. (სსკ მე-14 მუხლი).

II. ტერიტორიული განსჯადობა

ესაა საქმეთა განაწილება ერთი დონის (სახის) სასამართლოებს შორის იმ ტერიტორიის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება ამ სასამართლოს საქმიანობა (კომპეტენცია). მაგალითად, თითოეული რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებით. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 აპრილის №154 ბრძანებულებით და ა.შ.⁵⁰

⁵⁰ იხ. „ნორმატიული აქტები საერთო სასამართლოების შესახებ“. თბ. 2002. გვ. 170

ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში კანონი განასხვავებს საერთო განსჯადობას, განსაკუთრებულ განსჯადობას, ხელშეკრულებით განსჯადობას, ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე საქმის განსჯადობას, ნივთობრივ განსჯადობას, ოჯახური დაეების განსჯადობას.

განვიხილოთ განსჯადობის თითოეული სახე ცალ-ცალკე.

1. საერთო განსჯადობა. ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს განსაზღვრავს სსკ მე-15 მუხლი. განსჯადობის ამ საერთო წესის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა დადგენილი. გამონაკლისებს ამ საერთო წესიდან ადგენენ სსკ მე-16-24-ე მუხლები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საერთო განსჯადობის დედააზრი მდგომარეობს შემდეგში:

სარჩელი უნდა წარედგინოს იმ რაიონულ, თუ საქალაქო სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზე მოპასუხეს აქვს საცხოვრებელი ადგილი. იგივე წესი ვრცელდება იურიდიულ პირზე, რომლის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზე მას აქვს ადგილსამყოფელი.

ფიზიკურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ რამდენიმე საცხოვრებელი ბინა თუ სახლი, ხოლო აქედან გამომდინარე, რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ შეიძლება წამოიჭრას საკითხი: რომელი ადგილი ითვლება მოპასუხის საცხოვრებელ ადგილად?

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი“. ამჟამად საქართველოში ჩაწერის ნაცვლად შემოღებულია რეგისტრაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური პირის მიმართ სარჩელი აღიძვრება სასამართლოში მოპასუხის სარეგისტრაციო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო არ ახდენს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის დადგენას. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მითითების მოვალეობა ეკისრება თვითონ მოსარჩელეს (იხ. 178-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). სარჩელი შეიძლება აღიძვრას არასრულწლოვანების მიმართაც. „არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი“ (სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწ.). ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელები არასრულწლოვანების მიმართ

უნდა აღიძრას სასამართლოში კანონიერი წარმომადგენლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუნდაც არასრულწლოვანები სხვაგან ცხოვრობდნენ. რაც შეეხება არაქმედუნარიანად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებულ პირებს, სარჩელები შეიძლება აღიძრას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაც შეეხება ისეთ პირებს, რომლებიც იხდიან სასჯელს ან იმყოფებიან საგამოძიებო იზოლაციაში, სარჩელები მათ მიმართ აღიძვრის მათი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.

არ არის გამორიცხული, რომ მოპასუხეს არ ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ „საცხოვრებელი ადგილი“ და „ადგილსამყოფელი“. საცხოვრებელ ადგილად მიჩნეული უნდა იქნეს მოპასუხის რეგისტრაციის ადგილი, მაგრამ თუ ასეთი ადგილი ცნობილი არაა, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. მხედველობაშია არა მისი მოკლევადიანი ყოფნა ამა თუ იმ ადგილას, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროით მისი ყოფნა ამ ადგილას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებით, ხანგრძლივი მიეღინებით, მკურნალობით და ა.შ. საკითხი, თუ დროის რა მონაკვეთია საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს სარჩელი და განიხილოს იგი, დამოკიდებულია თვით სასამართლოს მიხედულებაზე.

არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით საქმის წარმოების გახსნის შემდეგ მოპასუხემ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ეს ვერ გახდება განსჯადობის შეცვლისა და სხვა სასამართლოსათვის ამ საქმის გადაცემის საფუძველი (სსკ 22-ე მუხლი). ამასთან ერთად, მხარე ვალდებულია აცნობოს სასამართლოს თავისი მისამართის შეცვლის შესახებ. თუ არ აცნობებს, სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება ძველ მისამართზე ჩაბარებულად ჩაითვლება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით (სსკ 76-ე მუხლი).

როგორც აღვნიშნეთ სარჩელები იურიდიული პირების მიმართ სასამართლოს წარედგინება ამ იურიდიული პირების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასარჩელო წარმოების გვერდით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესრიგებს უდავო წარმოებას და გამარტივებულ წარმოებას. უდავო წარმოების წესით, სასამართლო განიხილავს საქმეებს საერთო წესით (სსკ 311-ე მუხლი). ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს გამოწვევებს ამ საერთო წესიდან. მაგალითად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო განცხადება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად

ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ 322-ე მუხლი).

2. განსაკუთრებული განსჯადობა. გავრცელებული და ერთხმად აღიარებული შეხედულების თანახმად, განსაკუთრებული განსჯადობა – ეს ისეთი განსჯადობაა, რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე სასამართლოში და კრძალავს სხვა სასამართლოში მისი აღძვრის შესაძლებლობას. განსაკუთრებული განსჯადობის წესებს ითვალისწინებს სსკ მე-16 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სკ მე-16 მუხლის პირველი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს მოსარჩელის ინტერესებს – უადვილებს მას საქმის წარმოებას სასამართლოში, როცა აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის მიმართ. რამდენიმე მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრა კი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, მოსარჩელის ქონებას ან ჯანმრთელობას ერთად მიაყენა ზიანი რამდენიმე პირმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში მოსარჩელეს შეუძლია აირჩიოს სასამართლო ერთ ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განსჯადობა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავდება ალტერნატიული განსჯადობისაგან. ალტერნატიული განსჯადობის დროს მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, მისი ადგილმდებარეობის ან მისი ქონების მდებარეობის მიხედვით, ხოლო განსჯადობა მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უფლებას აძლევს მოსარჩელეს აირჩიოს სასამართლო მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც არ ცვლის ტერიტორიული განსჯადობის ზოგად პრინციპს.

სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებითი ურთიერთობის არსით. მაგალითად, ნაგებობის რემონტის

ვალდებულების შესრულების ადგილი იქნება ის ადგილი, სადაც ეს ნაგებობა მდებარეობს. თუ შესრულების ადგილი არც თვითონ ხელშეკრულებიდან და არც მისი შესრულების არსიდან არ გამოძინარეობს, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ადგილი ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში, იქნება ის ადგილი, სადაც ეს საგანი იმყოფებოდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – ის ადგილი, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი).⁵¹ მაგალითად, აგარის შაქრის საწარმოს წარმომადგენლობამ დადო ხელშეკრულება ქ. ფოთში შაქრის გარკვეული რაოდენობის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულებითი ვალდებულების შესრულების ადგილად, თუ ეს არ არის განსაზღვრული თვითონ ხელშეკრულებაში, უნდა ჩაითვალოს ადგილი, სადაც მდებარეობს აგარის შაქრის საწარმო, ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელი უნდა აღიძრას იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს მოვალე საწარმო, ანუ აგარის შაქრის საწარმო.

სსკ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას იურიდიული პირის ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. იურიდიული პირის ფილიალი განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ და ახორციელებს იმ იურიდიული პირის ფუნქციებს, რომლის ქვედანაყოფიც ის არის (სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლი). იმისათვის, რომ სარჩელი აღიძრას იურიდიული პირის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით, სავალდებულოა ერთი პირობა: სარჩელი უნდა გამომდინარეობდეს იურიდიული პირის ფილიალის (და არა თვითონ იურიდიული პირის) საქმიანობიდან.

ნებისმიერი სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეობიდან, წარედგინება სასამართლოს იმ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ცხოვრობდა მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე. სსკ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას იმ შემთხვევაშიც, როცა მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქე იყო და გარდაცვალების მომენტიდან იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ასეთ შემთხვევაში კანონი უშვებს ალტერნატიულ განსჯადობას: სარჩელი შეიძლება აღიძრას სასამართლოში მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

⁵¹ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ. 1999, გვ. 46-47.

როგორც ვხედავთ, სსკ მე-16 მუხლის შინაარსი (ამ მუხლს ეწოდება „განსაკუთრებული განსჯადობა“) ვერ პასუხობს მთლიანად განსაკუთრებული განსჯადობის ცნების ტრადიციულ და აღიარებულ შინაარსს, რომლის მიხედვით განსჯადობა განსაკუთრებულია, თუ კანონი უშეებს სარჩელის აღძვრას მხოლოდ ერთ რომელიმე სასამართლოში. ასეთი განსჯადობის ნიმუშად გამოდგება მაგალითად „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი, რომლის თანახმად „თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ, იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძვრას სარჩელი“. ამრიგად, სარჩელები ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ შეიძლება აღიძვრას მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ხდება აღსრულება.

3. ნიეთობრივი განსჯადობა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს ნიეთობრივი განსჯადობა – ესაა განსჯადობა ნიეთების ადგილსამყოფელის მიხედვით. მაგალითად, სარჩელები საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებით, თუ დაევა ეხება უძრავ ნიეთებს – შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნიეთების ადგილსამყოფელის მიხედვით (სსკ მე-18 მუხლი). ნიეთობრივი განსჯადობის წესით, ე.ი. ნიეთების ადგილსამყოფელის მიხედვით, შეიძლება აღიძვრას სარჩელი უძრავი ნიეთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, მაგალითად სარჩელი სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნიეთის გამოთხოვის შესახებ, სარჩელი მესაკუთრის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესახებ, სარჩელი უძრავი ნიეთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების შესახებ და ა.შ.

4. ქონებრივი განსჯადობა. სარჩელი მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელის მიმართ შეიძლება აღიძვრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი საქართველოში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნიეთით, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძვრას ამ ნიეთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მოთხოვნის „რაიმე ნიეთით უზრუნველყოფაში“ (სსკ მე-17 მუხლი), იგულისხმება მატერიალურ სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები, მაგალითად, გირაო, იპოთეკა, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა და შესაბამისად, სარჩელის აღძვრა ასეთი მოპასუხის ყადაღადადებული ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქმე ისაა, რომ სსკ 192-ე მუხლი ითვალისწინებს გადაუდებელ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის შესაძლებლობას სარჩელის აღძვრამდე.

5. ხელშეკრულებითი განსჯადობა. ხელშეკრულებითი განსჯადობა – ესაა განსჯადობა მხარეთა შეთანხმებით. ასეთი ხელშეკრულებითი განსჯადობა გათვალისწინებულია სსკ 21-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად თუ კანონით არაა დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე შეთანხმების ფორმასაც: შეთანხმება განსჯადობის შესახებ უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

ამასთან ერთად, განსჯადობის ორი სახის შეცვლა არ შეიძლება მხარეთა შეთანხმებით. ესაა გვარობითი (საგნობრივი) და განსაკუთრებული განსჯადობა.

მხარეთა შეთანხმება წერილობით შეიძლება ჩამოყალიბდეს ან თვითონ მხარეთა მიერ წერილობით გარიგებაში (მაგალითად, წერილობით გაფორმებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში), ან სპეციალურად განსჯადობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში. თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმების შესაბამისად საქმე განიხილა სასამართლომ, მაშინ მხარეს ერთმევა უფლება დაასაბუთოს თავისი საჩივარი ზემდგომ სასამართლოში განსჯადობის დარღვევის მოტივით და მოითხოვოს გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება იმ მოტივით, რომ საქმე არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილა.

6. ოჯახური დავების განსჯადობა. ასეთი ხასიათის დავების განსჯადობას ეძღვნება სსკ-ის სპეციალური მუხლი, რომლის თანახმად სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე სარჩელი ქორწინების არსებობის თუ არარსებობის შესახებ – შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს არ გააჩნიათ ასეთი ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას გავეცნობით დავინახავთ, რომ არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში. სსკ მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ მოპასუხეს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, კანონი უფლებას აძლევს მოსარჩელეს გადაუხვიოს საერთო განსჯადობის წესებს და შეიტანოს სარჩელი არა მოპასუხის, არამედ

თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საერთო განსჯადობის წესიდან ასეთ გადახვევების დაშვება ზოგჯერ გამოწვეულია მოსარჩელისათვის შეღავათიანი პირობების შექმნით, ბავშვის ინტერესებით, სხვა რაიონში ან ქალაქში გამგზავრების სიძნელეებით და ა.შ.

სწორედ ამ მოსაზრებებითაა ნაკარნახევი სსკ მე-19 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული წესი, რომლის თანახმად, თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში სარჩელი მამობის დადგენის შესახებ, ალიმენტის გადახდევინების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფლება აღძრას სარჩელი თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არ ართმევს უფლებას მოსარჩელეს აღძრას სარჩელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. ალტერნატიული განსჯადობა. ალტერნატიული განსჯადობა – ესაა მოსარჩელის არჩევით სარჩელის აღძერის შესაძლებლობა ორ ან მეტ სასამართლოდან ერთ-ერთში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ალტერნატიული განსჯადობა – ესაა განსჯადობა მოსარჩელის არჩევით.

მოსარჩელის უფლება აირჩიოს სასამართლო, დამკვიდრებულია სსკ მე-20 მუხლში, რომლის თანახმად „სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს“. ამ მუხლის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს არჩევანის უფლება, როდესაც კანონის თანახმად საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია. მაგალითად, სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ისე იმ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის მამობის დადგენის შესახებ სარჩელით მიმართავენ სასამართლოს. ასევე სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ა.შ.

ალტერნატიული განსჯადობის დროს საჭირო არაა მოწინააღმდეგე მხარესთან (მოპასუხესთან) წინასწარი შეთანხმება. ამით იგი განსხვავდება მხარეთა შეთანხმებით განსჯადობისაგან, რომლის დროს მხარეები ერთმანეთთან შეთანხმებით ირჩევენ ისეთ სასამართლოს, რომლის განსჯადი ეს საქმე საერთოდ არაა.

III. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

სსკ მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები.

საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის (განსჯადობის) შემთხვევებს, აგრეთვე საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (მე-8-20-ე მუხლები).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ იცნობს მხოლოდ ერთ ცნებას – კომპეტენციას, ანუ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას.

საერთაშორისო კერძო სამართლის ეს ინსტიტუტი თავისი დანიშნულებითა და შინაარსით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც საქართველოს სსკ-ში განსჯადობას უწოდებს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშტაბებშია: განსჯადობა მოწოდებულია განსაზღვროს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეებიდან საქართველოს რომელმა (ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის და ა.შ.) სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. იგივე ფუნქციას ასრულებს „საერთაშორისო კომპეტენცია“, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმე ანუ საერთაშორისო დავა რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს.

ეს საკითხები განეკუთვნება საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალს და ამიტომ დაწვრილებით მათზე აქ არ შეეჩერებით.⁵²

§4. საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან მეორეში

სსკ 23-ე მუხლი ითვალისწინებს საქმის გადაცემას ერთი სასამართლოდან მეორე (სხვა) სასამართლოში მხოლოდ ორ შემთხვევაში: ერთი – თუ მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილი წინათ არ იყო ცნობილი მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და

⁵² დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი. მეორე გამოცემა, თბ. 2004, გვ. 125.

მეორე – ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

პირველ შემთხვევას მხედველობაში აქვს ისეთი ვითარება, როდესაც თავდაპირველად არ იყო ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი და ამიტომ სარჩელი აღიძრა მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს სსკ მე-15 მუხლის მეორე ნაწილი, მაგრამ შემდეგ, როდესაც მოპასუხისათვის ცნობილი გახდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი სასამართლოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოითხოვა საქმის გადაცემა სასამართლოსათვის თავისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ცხადია, რომ სასამართლომ უნდა დააკაყოფილოს ეს მოთხოვნა, მაგრამ თუ მოსარჩელე არ მოითხოვს საქმის გადაცემას – სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რაც ვერ გახდება ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის რომ სასამართლომ საქმე გადასცეს სხვა სასამართლოს მოპასუხის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საჭიროა თვითონ ამ მოპასუხის თხოვნა ამის შესახებ.

მეორე შემთხვევას, როდესაც საქმე ერთი სასამართლოდან მეორეს გადაეცემა, მხედველობაში აქვს ისეთი ვითარება, როდესაც რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

სამოქალაქო საქმის განხილვა აცილებული მოსამართლის მონაწილეობით დაუშვებელია, ხოლო თუ მაინც მოხდება ეს იმის გამო, რომ ამ სასამართლოში არაა სხვა ისეთი მოსამართლე, რომელიც შეცვლიდა მას, ეს უნდა შეფასდეს როგორც საქმის განხილვა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსკ 394-ე მუხლი). ამიტომ, ასეთ შემთხვევებში საქმე უნდა გადაეცეს სხვა სასამართლოს. საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის საფუძველს ითვალისწინებს აგრეთვე სსკ 21-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად თუ არ არის ერთმნიშვნელოვნად დადგენილი განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა.

ერთი სასამართლოს მიერ საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის წესს ითვალისწინებს სსკ 23-ე მუხლი, რომლის თანახმად თუ გადასაცემი საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით. ყველა სხვა შემთხვევაში საკითხს იმის შესახებ თუ რომელ სასამართლოს გადაეცეს საქმე – გადაწყვეტს თვითონ სასამართლო, კერძოდ:

ა) თუ საქმის სხვა სასამართლოში გადაცემა ხდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაშინ თვითონ ამ სასამართლოს (მოსამართლეს) გამოაქვს განჩინება ამის შესახებ; ბ) თუ საქმის გადაცემა ხდება მოსამართლის (მოსამართლეების) აცილების გამო და მისი სხვა მოსამართლით შეცვლა შეუძლებელია, მაშინ განჩინება ასეთი გადაცემის შესახებ გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს.

სასამართლოს განჩინება საქმის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაცემის შესახებ არ გასაჩივრდება, მაგრამ სასამართლოს განჩინება ასეთ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

§5. განსჯადობის წესების დარღვევის შედეგები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სარჩელი (განცხადება) აღიძრას იმ სასამართლოში, რომლის განსჯადიც ეს საქმეა, ე.ი. განსჯადობის წესების დაცვით. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 186-ე მუხლში. ამ მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს თუ „საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არაა“.

პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ თუ სარჩელის მიღებაზე უარისთქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი არაა ამ სასამართლოს განსჯადი, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ (სსკ 187-ე მუხლი).

სარჩელის მიღებაზე უარისთქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

იბადება კითხვა, როგორც უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც მან მიიღო სარჩელი წარმოებაში და მხოლოდ ამის შემდეგ, ანუ საქმის მომზადების სტადიაზე, ან ამ საქმის არსებითად განხილვის დროს გაირკვა, რომ სარჩელი არაა ამ სასამართლოს განსჯადი.

პასუხს ამ კითხვაზე შეიცავს სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე არაა წინააღმდეგი, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამასთან ერთად, ეს მუხლი მოითხოვს, რომ მოპასუხე წარმოდგენილი იყოს ადვოკატით, მაგრამ თუ მას არ ჰყავს ადვოკატი, მაშინ სასამართლომ უნდა განუმარტოს მოპასუხეს, რომ არაგანსჯადობის მოტივით გადა-

წყვეტილების გასაჩივრება არ იქნება გაზიარებული ზემდგომი სასამართლოს მიერ თუ ის არ გამოიყენებს თავის უფლებას განაცხადოს პროტესტი არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე წინააღმდეგია საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსკ 275-ე მუხლის ანალოგიით), და თავის განჩინებაში ამის შესახებ მიუთითებს თუ რომელ სასამართლოს შეუძლია მიმართოს მოსარჩელემ.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არ ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას. განსჯადობის შემოწმებას ზემდგომი სასამართლო მოახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ იქნება მოპასუხის მოთხოვნა. ამასთან ერთად, ასეთი მოთხოვნის საფუძველზე განსჯადობის შემოწმებას ზემდგომი სასამართლო მოახდენს ორიდან ერთ-ერთი პირობის არსებობისას: ა) თუ მოპასუხემ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას წამოაყენა არაგანსჯადობის შესახებ მოთხოვნა და სასამართლომ იგი არ დააკმაყოფილა ან ბ) მოპასუხეს ასეთი მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წამოუყენებია საპატიო მიზეზის გამო (სსსკ 377-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, თუ მოპასუხე არ აპროტესტებს არაგანსჯადობას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს ეს ღუმილით გამოხატულ თანხმობად და ამ მოტივით არ გააუქმოს გადაწყვეტილება.

სასამართლო წარმომადგენლის მეშვეობით

§1. სასამართლო წარმომადგენლობის ცნება და სახეები

1. დასაშვებობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ანუ წარმომადგენლის გარეშე (სსკ 93-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების სავალდებულობას არც რომელიმე კატეგორიის საქმეებზე და არც რომელიმე ინსტანციის სასამართლოში, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთი ქვეყნის სამართალწარმოებაში.⁵³

მხარის დავალდებულება (იძულება), რათა მან აიყვანოს ადვოკატი (წარმომადგენელი) და სასამართლოს უფლება უარი უთხრას მას საქმის წარმოებაზე თუ ასეთი წარმომადგენელი არ ჰყავს – იქნებოდა დისპოზიციურობის პრინციპის უხეში დარღვევა, რომლის თანახმად მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას მიმართონ სასამართლოს უფლების დაცვისათვის და თვითონვე ირჩევენ ამ უფლების დაცვის ფორმებსაც. ასეთი იძულება იქნებოდა აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დამკვიდრებული უფლების დარღვევა, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დაცვის უფლება“ გარანტირებულია.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს“.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ისე როგორც დარღვეული ან სადავო უფლების დაცვისათვის სასამართლოში მიმართვა არის ფიზიკურ

⁵³ მაგ. გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის კანონმდებლობით მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ სამოქალაქო საქმეები სასამართლოში მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით. გამო-
ნაკლისია დაშვებული მხოლოდ ყველაზე დაბალი რგოლის სასამართლოებში და ისიც
მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე.

W. Zeiss. Zivilprozessrecht. Tubingen. 1997 s. 61-62. Gerard Couchez. Procedure civile.
Dalloz. 1996, P 95

და იურიდიულ პირთა უფლება და არა მოვალეობა, ასევე დაიცვა თავი, მიანდო შენი უფლების დაცვა სხვა პირს, აწარმოო სასამართლოში საქმე ამ სხვა პირთა მეშვეობით – არის უფლება და არა მოვალეობა.

ყოველივე ამას შეიძლება დაუმატოთ ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთ სახესხვაობას განეკუთვნება მხარის (მარწმუნებლის) მიერ წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა, შეიძლება დაიდოს მხოლოდ ამ გარიგების მონაწილე მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე.⁵⁴

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობით მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, მაგრამ თუ მათ ეს საჭიროდ მიაჩნიათ შეუძლიათ საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ცნება. სასამართლო წარმომადგენლობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის დამოუკიდებელი და უადრესად მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესების დაცვის მეტად მტკიცე და ეფექტიან გარანტიას. მისი უმთავრესი ამოცანაა მხარეებისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა, მხარეთა უფლებებისა და ურთიერთობების დადგენაში და გარკვევაში ხელისშეწყობა მათი საპროცესო უფლებების სრულყოფილად და მიზანდასახულად განხორციელება.

სასამართლო წარმომადგენლობა – ესაა პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით.

⁵⁴ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, წარმომადგენლობით ურთიერთობაში უნდა განეასხვავოთ ე.წ. გარეგანი ურთიერთობა, რომელიც მყარდება წარმომადგენელსა და სასამართლოს შორის და რომელიც არის საპროცესო სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა და შინაგანი ურთიერთობა, რომელიც მყარდება წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის და რეგულირდება მატერიალურ სამართლებრივი ნორმებით. იხ. Гражданский процесс. Под ред. В. А. Мусина, М. А. Чечуиной М. 1998, стр. 96. შ. ქურდაძე დას. ნაშრომი, გვ. 206. ასეთი შეხედულება გავრცელებულია აგრეთვე გერმანულ და ავსტრიულ იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. Fasching, H.W. Lehrbuch des Osterreichischen zivilprozessrechts. 2 Auflage. Wien, 1990. ს. 212.

სასამართლო წარმომადგენლობითი ურთიერთობის დაყოფა საპროცესო და მატერიალურ ანუ გარეგან და შინაგან ურთიერთობებად მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი საპროცესო სამართლის ინსტიტუტი თუ ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ არამარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება როგორც სასარჩელო, ისე უდავო (განსაკუთრებულ და გამარტივებული წესით საქმეთა წარმოების), აგრეთვე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის დროს.

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით სასამართლო წარმომადგენლობას ყოფენ შემდეგ სახეებად:

- ა) ნებაყოფლობითი, ანუ ხელშეკრულებითი წარმომადგენლობა;
- ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობა;
- გ) კანონიერი წარმომადგენლობა.

§2. ნებაყოფლობითი (ხელშეკრულებითი) წარმომადგენლობა

როგორც ეს თვითონ სახელწოდებიდანაც ჩანს, ნებაყოფლობითი წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა ნების საფუძველზე (სკ 709-ე მუხლი).⁵⁵

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ პროცესში ნებაყოფლობით წარმომადგენლებად აგრეთვე იმ პირთა წრეს, რომლებიც ასეთ წარმომადგენლებად არ შეიძლება გამოვიდნენ.

ნებაყოფლობით (ხელშეკრულებით) წარმომადგენლებად შეიძლება გამოვიდნენ:

- ა) ადვოკატები. ადვოკატებად იწოდებიან პირები, რომლებიც გაწვერიანებული არიან ადვოკატთა ასოციაციაში, შეყვანილი არიან ადვოკატთა ერთიან სიაში, დადებული აქვთ ფიცი აღმასრულებელი საბჭოს წინაშე და მიღებული აქვთ საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი).

⁵⁵ სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი დავალების ხელშეკრულების მონაწილეებს უწოდებს რწმუნებულს, რაც იგივეა, რასაც საპროცესო კოდექსი უწოდებს საპროცესო წარმომადგენელს და მარწმუნებულს. ცხადია, რომ ასეთი ტერმინოლოგიური განსხვავება, რაც სამოქალაქო პროცესის თავისებურებითაა განპირობებული, არაფერს არ ცვლის.

ბ) ორგანიზაციების წარმომადგენლები. ორგანიზაციების წარმომადგენლებად შეუძლიათ გამოვიდნენ და ხშირად გამოდიან კიდევ იურისკონსულტები ან სხვა თანამდებობის პირები. ორგანიზაციის ასეთ თანამშრომლებს, რომლებიც არ არიან აღჭურვილი კანონით ან წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, სჭირდებათ მინდობილობა, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ან ორგანოს მიერ (სსკ 96-ე მუხლი).

რაც შეეხება თანამდებობის პირებს, რომლებიც კანონით ან წესდებით აღჭურვილი არიან სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, მათ არ სჭირდებათ მინდობილობა, რის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

გ) თანამონაწილე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერთ საქმეში მოსარჩელის მხარეზე, მოპასუხის მხარეზე და ორივე მხარეზე ერთდროულად შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე პირი (სსკ 86-ე მუხლი). თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით.

დ) ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი. ფიზიკური და იურიდიული პირის წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი. ქმედუნარიანად ითვლება ყოველი სრულწლოვანი პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა აღიარებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქმედუნაროდ (სსკ 322-ე და 326-ე მუხლები). გარდა ქმედუნარიანობისა, აქ რაიმე სხვა მოთხოვნები გათვალისწინებული არაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოითხოვება უმაღლესი იურიდიული განათლებაც კი, რაც ასე აუცილებელია მარწმუნებლის უფლების წარმატებულად დაცვისათვის, მისთვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, სსკ შეიცავს იმ პირთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში. ასეთი პირებია მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენლისა და მოსამართლის, წარმომადგენლისა და პროკურორის, აგრეთვე, წარმომადგენლისა და გამომძიებლის ფუნქციების შეთავსება არ შეიძლება (სსსკ 95-ე მუხლი). კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქ ჩამოთვლილი პირები, შეიძლება როგორც გამონაკლისი, გამოვიდნენ წარმომადგენლებად. კერძოდ, მოსამართლე შეიძლება გამოვიდეს თავის სასამართლოს წარმომადგენლად, როცა ეს სასამართლო პროცესში გამოდის მხარედ, ასევე, პროკურორი ან გამომძიებელი შეიძლება გამოვიდეს

თავისი პროკურატურის ან მომკვლევო ორგანოს წარმომადგენლად, როცა ეს პროკურატურა, ან მომკვლევო ორგანო გამოდის პროცესში მხარედ, აგრეთვე, როდესაც ეს პირები პროცესში გამოდიან მშობლებად, მეურვეებად, მზრუნველებად, ე.ი. კანონიერ წარმომადგენლებად.

მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის წარმომადგენლად არდაშეების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

I. სასამართლოს უარი პირის წარმომადგენლად დაშვებაზე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს არაკვალიფიციური წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობისაგან თავის დაზღვევის ერთ მეტად მნიშვნელოვან მექანიზმს: სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას პირი, რომელიც არაა ადვოკატი, წარმომადგენლად, თუ მიაჩნია, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მონაცემები წარმოადგინოს მხარე და სათანადოდ დაიცვას მისი უფლებები (სსსკ 97-ე მუხლი). ეს წესი ემსახურება მხარის უფლების რეალურად დაცვის ინტერესებს. თუ სასამართლოსათვის აშკარაა, რომ მხარის მიერ წარმომადგენლად შერჩეული პირი ვერ დაიცავს მის უფლებებს, მას უფლება აქვს უარი თქვას ამ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე.

სასამართლოს მხრივ ასეთი უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ წარმომადგენელს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სასამართლოში საქმის წარმოებისათვის, ან კიდევ იმით, რომ იგი კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, გამოყვანილია ადვოკატთა ერთიანი სიიდან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გამო ან იმის გამო, რომ იგი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 და მე-14 მუხლებით და სხვ.

უარისთქმა წარმომადგენლად პირის დაშვებაზე სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ისეთი პირის მიმართ, რომელიც არაა ადვოკატი, რადგან ივარაუდება, რომ ადვოკატებს გააჩნიათ საკმარისი მონაცემები აწარმოონ საქმე სასამართლოში და დაიცვან მხარის უფლებები.

პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარისთქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ასეთი განჩინება სასამართლომ შეიძლება მიიღოს მაშინვე, როგორც კი მას წარედგინება პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე. ასეთი განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეტყობინების გარეშე, ხოლო თუ ასეთი განჩინება მიღებულია სასამართლო სხდომაზე, მაშინ იგი შეიძლება აისახოს სხდომის ოქმში. ცხადია, რომ ასეთი განჩინების შესახებ

უნდა ეცნობოს მხარეს, ვისი უფლებამოსილებითაც გამოდიოდა გადაყენებული წარმომადგენელი, აგრეთვე თვით გადაყენებული წარმომადგენელიც.

ამავე განჩინებით მხარეს უნდა განემარტოს, რომ მას შეუძლია თვითონ აწარმოოს საქმე, ან მიანდოს საქმის წარმოება სხვა წარმომადგენელს, რისთვისაც სასამართლო უნიშნავს მას ვადას და აფრთხილებს, რომ თუ ამ ვადაში არ იქნება მის მიერ შერჩეული სხვა წარმომადგენელი, სასამართლო გააგრძელებს საქმის განხილვას.

სსკ 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლოს განჩინებაზე პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარისთქმის შესახებ, კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვებოდა. სსკ 97-ე მუხლის ამ დანაწესის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს განჩინება პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარისთქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.⁵⁶

§3. იურიდიული პირის წარმომადგენლობა

ნებაყოფლობითი ანუ ხელშეკრულებითი წარმომადგენლობისაგან უნდა განეასხვავოთ იურიდიული პირის იმ ხელმძღვანელის წარმომადგენლობა სასამართლოში, რომელიც შესაბამისი კანონით, წესდებით თუ დებულებით აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.

მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 563-ე მუხლის თანახმად „სააქციო საზოგადოებას სასამართლოში წარმომადგენენ დირექტორები“, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მხარედ სასამართლოში გვევლინება სააქციო საზოგადოება, მაშინ მის დირექტორს არ სჭირდება სპეციალური მინდობილობა. საკმარისია მან სასამართლოს წარუდგინოს მისი დირექტორობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ იურიდიულ პირს ჰყავს არა ერთი, არამედ რამდენიმე დირექტორი ან ხელმძღვანელი, რომლებიც აღჭურვილნი არიან ერთნაირი და თანაბარი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და მათ შორის არაა გამიჯნული უფლებამოსილება, მაშინ ისინი ვალდებული არიან გასცენ სპეციალური უფლებამოსილება ერთ-ერთ მათგანზე, თუ სურთ, რომ

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში ამ ერთ-ერთმა მათგანმა გასწიოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირის წესდების თანახმად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილია ერთ-ერთი რომელიმე ხელმძღვანელი პირი (ერთ-ერთი პარტნიორი, ერთ-ერთი დირექტორი, როცა რამდენიმე დირექტორია), სასამართლოს უნდა წარუდგინონ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირის უფლებამოსილებას სასამართლოში წარმომადგენლობაზე. ასეთ დოკუმენტად შეიძლება გამოდგეს წესდება ან ამონაწერი წესებიდან. არ არის გამორიცხული, რომ არც კანონიდან და არც წესებიდან არ ჩანდეს ნათლად და გარკვევით თუ რომელი კონკრეტული თანამდებობის პირი სარგებლობს სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირის ნებისმიერმა თანამდებობის პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ამ იურიდიული პირის მართვის ორგანოს (საერთო კრების, დირექტორატის) მინდობილობა.

§4. წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები

1. უფლებები, რომლებიც ავტომატურად ენიჭება წარმომადგენელს. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ზოგჯერ უფრო მიზანშეწონილია ამომწურავად ჩამოთვალო ის უფლებები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეთ სამართლებრივი და მათ შორის, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს. ზოგჯერ კი პირიქით, უფრო მიზანშეწონილია ჩამოითვალოს უფლებები, რომლებიც არ შეიძლება ჰქონდეთ მხარეებს. კანონმდებელი ხშირად მიმართავს რეგულირების ამ ხერხებს. როცა კანონი შეიცავს უფლებების ამომწურავად ჩამონათვალს, იგულისხმება, რომ მხარეს სხვა უფლებები არ გააჩნია, მაგრამ, როცა კანონმდებელი ჩამოთვლის, თუ რომელი უფლებებით არ შეუძლია ისარგებლოს მხარემ, მაშინ იგულისხმება, რომ ყველა სხვა საპროცესო უფლებით მას შეუძლია ისარგებლოს.⁵⁷

წარმომადგენლის მიმართ კანონმდებელი მიმართავს ამ მეორე ხერხს: ჩამოთვლის იმ უფლებებს, რომლებიც არ შეიძლება ჰქონდეს ნებაყოფლობით (ხელშეკრულებით) წარმომადგენელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სხვა

⁵⁷ ცხადია, კანონმდებელი ზოგჯერ მიმართავს ამ ორი ხერხის შეხამებულად გამოყენებას. ან კიდევ შემოიფარგლება უფლებათა მხოლოდ არაამომწურავი (სანიმუშო) ჩამოთვლით. მაგრამ ეს უდავოდ საინტერესო პრობლემა არაა ჩვენი განხილვის საგანი.

საპროცესო უფლებით, რომელიც გააჩნია მის მარწმუნებელს, ანუ პირს, რომელსაც იგი წარმოადგენს, მას შეუძლია ისარგებლოს.

ამრიგად, წარმომადგენლობა ავტომატურად, ე.ი. სპეციალური მითითების გარეშე, უფლებას ანიჭებს წარმომადგენელს შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, მაგრამ მას არ აქვს უფლება უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გადასცეს საქმე განსახილველად კერძო არბიტრაჟს (სამედიატორო სასამართლოს), გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი იძულებითი აღსრულებისათვის, მიიღოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონება ან ფული. ყველა აქ ჩამოთვლილი უფლება უშუალოდ უკავშირდება და გამომდინარეობს მარწმუნებლის მატერიალურ სამართლებრივი უფლების განკარგვიდან (დისპოზიციურობის პრინციპიდან) და, ამიტომ, კანონმდებელი მოითხოვს, რომ თუ მარწმუნებელი რომელიმე ამ უფლებას ანიჭებს წარმომადგენელს, მან ამის შესახებ სპეციალურად უნდა აღნიშნოს მის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

აქედან გამომდინარე, თუ წარმომადგენელმა შეასრულა ისეთი საპროცესო მოქმედება, რომელიც სპეციალურ მინდობილობას მოითხოვს, რომელიც მას არ გააჩნია, მაშინ ასეთი მოქმედება არავითარ შედეგს არ წარმოშობს. მაგალითად, წარმომადგენელმა ცნო სარჩელი, ან უარი თქვა სარჩელზე, ან კიდევ საქმე დაამთავრა მორიგებით და ა.შ. ასეთი მოქმედება არ წარმოშობს რაიმე შედეგს, ხოლო თუ სასამართლომ დაუკავშირა მას ასეთი შედეგი, სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) უსათუოდ უნდა გაუქმდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნით. პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევა, როდესაც წარმომადგენელი სააპელაციო ან საკასაციო წესით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, თუმცა მინდობილობაში არაა მითითებული მისი ასეთი უფლებამოსილების შესახებ. ასეთი საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დატოვოს შესაბამისმა ზემდგომმა სასამართლომ, თუ მას არ მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად. ცხადია, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი არ იქნება განხილული.

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, უფლებების განკარგვის ასეთი მნიშვნელობის გამო სასამართლოს ევალება ზედმიწევნით ყურადღებით შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები, რომლებიც სპეციალურ მინდობილობაშია ჩამოყალიბებული.

I. წარმომადგენლის მიერ სხვა ადვოკატის ან თანაშემწის დახმარების გამოყენება

სსკ 98-ე მუხლის მეორე ნაწილი უფლებას ანიჭებს წარმომადგენელს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან თანაშემწეს.

ამ უფლების განხორციელების მიზნით, წარმომადგენელმა აუცილებლად უნდა მისცეს მინდობილობა სხვა ადვოკატს იმ საპროცესო მოქმედებაზე მითითებით, რომელიც მან უნდა შეასრულოს. ასეთი მოქმედება იქნება საფუძველი სასამართლოსათვის, რათა დაუშვას იგი აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. კანონში ლაპარაკია ცალკეულ საპროცესო მოქმედებაზე და არა საქმის წარმოებაზე მთლიანად. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენელს შეუძლია მიანდოს სხვა ადვოკატს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება გონივრულ ფარგლებში და ამისათვის შესაბამისი საფუძვლის არსებობისას (მაგალითად, ავადმყოფობა, მივლინება, სხვა საქმეზე გადაუდებელი საპროცესო მოქმედების შესრულება და ა.შ.).

რაც შეეხება ადვოკატის თანაშემწეს, ასეთი თანამდებობა მართალია შემოღებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, მაგრამ იგი არ დაიშვება სამართალწარმოებაში. მას შეუძლია მხოლოდ ადვოკატის დავალებით და მის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვით გაეცნოს საქმის მასალებს.

სამაგიეროდ „ადვოკატთა შესახებ“ კანონით შემოღებული იქნა ადვოკატის სტაჟიორის თანამდებობა, რომელსაც შეუძლია შესაბამისი ადვოკატის დავალებით განახორციელოს მისი უფლებამოსილებები.⁵⁸

II. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

წარმომადგენელი ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ყველა იმ საპროცესო საშუალებების თუ მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც მარწმუნებლის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ წარმომადგენლის მიერ ამ საპროცესო საშუალებების გამოუყენებლობა, ან კიდევ, მის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის თუ არასათანადოდ შესრულების უარყოფითი შედეგები მხოლოდ მარწმუნებელს დაეკისრება და არა წარმო-

⁵⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, თბ. 2003, მუხლი მე-16

მადგენელს. აქედან გამომდინარე, ცხადია უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური წარმომადგენლის შერჩევას, რაც მთლიანად მარწმუნებელზეა დამოკიდებული. სასამართლოს ამ შერჩევაში რაიმე როლის შესრულება არ შეუძლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სსკ 97-ე მუხლით გათვალისწინებულ წესს, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის (გარდა ადვოკატისა), წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი მონაცემები დაიცვას მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით გასაგები უნდა იყოს კანონის კატეგორიული მოთხოვნა წარმომადგენლის ზუსტად დადგენილი წესით გაფორმების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება არაა გაფორმებული ამ წესის დაცვით, სასამართლო არ დაუშვებს მას წარმომადგენლად.

კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. ადვოკატის მიმართ იგივე წესს ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი, რომლის თანახმად „ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადვოკატი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, სასამართლოს წარუდგენს მინდობილობას როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მინდობილობა სხვა არაფერია თუ არა დავალების ხელშეკრულება (სკ 709-ე მუხლი).

ამრიგად, პირველი და ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა – ესაა სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლის სასამართლოში წარდგენის მოვალეობა ეკისრება ყველას, რომლებიც მარწმუნებლებთან ხელშეკრულებით (შეთანხმებით) საწყისებზე გამოდიან სასამართლოში. მხოლოდ ადვოკატებთან მიმართებაში ეს მინდობილობა შეიძლება შეცვალოს ორდერმა.

როგორც აღვნიშნეთ, წარმომადგენლის მიერ სასამართლოში წარსადგენი მინდობილობა უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ, იგი უნდა იყოს სათანადო წესით გაფორმებული და დამოწმებული. ამასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს თუ რომელი პირობების არსებობისას და რომელ ორგანოს შეუძლია დაამოწმოს ასეთი მინდობილობა.

მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, აგრეთვე, სტაციონალური სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, ან კიდევ, შესაბამისი სამხედრო

ნაწილის მიერ. თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გაცემს. რაც შეეხება პირს, რომელიც საპატიმროში იმყოფება, მის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია. მინდობილობის დამოწმების ასეთი წესი, უწინარეს ყოვლისა, მარწმუნებელთა ინტერესებითაა განპირობებული – უადვილებს მათ მინდობილობის დამოწმების პროცედურას, მაგრამ ყველა მათგანს სრული უფლება აქვს გვერდი აუაროს ასეთ წესს და დაამოწმოს მინდობილობა სანოტარო წესით.

ორგანიზაციის სახელით გაცემულ მინდობილობებს გაცემს და დაამოწმებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ თუ იურიდიული პირის წესდების თანახმად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილია ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, მას შეუძლია გამოვიდეს წარმომადგენლად სასამართლოში მინდობილობის გარეშე. ასეთმა ხელმძღვანელმა პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ამონაწერი წესდებიდან, რომლითაც დასტურდება მისი სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კანონით ან წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირისა და ამ იურიდიული პირის თანამშრომლის წარმომადგენლობა სასამართლოში.

საქმე ისაა, რომ იურიდიული პირის (ორგანიზაციის) უფლებების დასაცავად სასამართლოში ხშირად გამოდიან ამ ორგანიზაციის იურისკონსულტები და სხვა თანამშრომლები. მათ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მინდობილობა ამ ორგანიზაციის სახელით, რომელსაც გაცემს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირი, ხოლო თუ ასეთი არაა, მაშინ კოლეგიური ორგანო, რომელიც ასეთი უფლებითაა აღჭურვილი კანონით ან წესდებით.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას მხოლოდ ფიცის დადების შემდეგ. მაგრამ, იმისათვის, რომ ის გამოვიდეს სასამართლოში წარმომადგენლად, მან ასევე უნდა გააფორმოს მინდობილობა წარმომადგენელთან (კლიენტთან), ხოლო სასამართლოში წარადგინოს ორი დოკუმენტი: ა) საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა და ბ) წარმომადგენლის (კლიენტის) მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი“ („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი).

ყველა სხვა პირი, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს ადვოკატის სტატუსი, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობა, დამოწმებული იმ წესით, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ასეთია როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ისე საქართველოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის აზრი და შინაარსი ამ საკითხში.

§5. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა

I. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ

ისე როგორც მარწმუნებლის უფლება აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით, მას ასეთივე უფლება აქვს შეუწყვიტოს მარწმუნებელს უფლებამოსილება. სსკ 99-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება. მარწმუნებელს არ ევალება იმის მოტივირება (დასაბუთება), თუ რატომ შეუწყვიტა მან უფლებამოსილება წარმომადგენელს. ერთადერთი, რაც მარწმუნებელს ასეთ შემთხვევაში ევალება – ესაა წერილობით აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს და წარმომადგენელს. იმ მომენტიდან, როცა სასამართლოს წერილობით ეცნობა წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ სასამართლო აღარ დაუშვებს მას საპროცესო მოქმედებათა შესრულებაზე.

თუ ასეთი განცხადება მხარემ გააკეთა საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს, მაშინ ეს განცხადება შეიტანება სხდომის ოქმში, რაზეც ხელი უნდა მოაწეროს განმცხადებელმა.

ამრიგად, წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება, როცა მხარე წერილობით მიმართავს სასამართლოს, ან, როცა ასეთი განცხადება გაკეთდება სასამართლოს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე.

აღნიშნულ უფლებას მხარე ვერ გამოიყენებს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მიუთითებს, რომ მხარის ინიციატივით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა ვერ გახდება საქმის წარმოების შეჩერების თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველი, ე.ი. საქმის წარმოება და განხილვა უნდა გაგრძელდეს და სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა შეჩერების

თუ გადადების შესახებ (თუ ასეთი შუამდგომლობა აღიძერის). თუ მას სურს აიყვანოს სხვა წარმომადგენელი, დროულად და ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე უნდა გააკეთოს ეს.

მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა (ისე როგორც საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით) არის მხარის სრული უფლება და სასამართლომ ყოველთვის უნდა დააკმაყოფილოს მისი ასეთი განცხადება. წარმომადგენელს არ აქვს უფლება გააპროტესტოს მარწმუნებლის ასეთი მოქმედება.

II. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა თვით წარმომადგენლის მიერ

ისე, როგორც მარწმუნებელს, წარმომადგენელსაც უფლება აქვს ცალმხრივად და მოტივირების გარეშე მიმართოს სასამართლოს და მარწმუნებელს წერილობითი განცხადებით თავის უფლებამოსილებაზე უარისთქმის შესახებ. ასეთი უარი მას შეუძლია განაცხადოს სასამართლოს სხდომაზეც, რაც შეიტანება სხდომის ოქმში.

– თავის უფლებამოსილებაზე უარისთქმის შესახებ განცხადების შეტანა, ან სასამართლოს მოსამზადებელ თუ მთავარ სხდომაზე ასეთი განცხადების გაკეთება ჯერ კიდევ არ ნიშნავს უფლებამოსილების შეწყვეტას. მართალია, ასეთი განცხადება ყოველთვის უნდა დააკმაყოფილოს სასამართლომ, რადგან არ შეიძლება ვაიმულოთ პირი გასწიოს წარმომადგენლობა, მაგრამ დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა – ნიშნავს სასამართლო. დროს სასამართლო ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მარწმუნებელმა თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან აიყვანოს ახალი წარმომადგენელი (სსკ მე-100 მუხლი).

განსხვავებით ისეთი შემთხვევისა, როცა მარწმუნებელი ამბობს უარს წარმომადგენელზე, რაც ვერ გახდება საქმის განხილვის გადადების საფუძველი, თუ უფლებამოსილებაზე უარისთქმა კეთდება წარმომადგენლის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, შეიძლება საჭირო გახდეს ამ სხდომის გადადება იმ დროით, რაც საჭირო იქნება ახალი წარმომადგენლის აყვანისათვის, თუ ამის სურვილს გამოთქვამს მარწმუნებელი. თუ ამ დროის მანძილზე მარწმუნებელი არ აიყვანს ახალ წარმომადგენელს, სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს, რომ მარწმუნებელი თვითონ პირადად აწარმოებს საქმეს წარმომადგენლის გარეშე და განიხილოს საქმე საერთო წესით.

III. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა მხარეთა ნების გარეშე

ზემოთ მითითებული შემთხვევები ისეთია, როდესაც წარმომადგენლობითი ურთიერთობის შეწყვეტა ხდება მხარეთა ნებით, მაგრამ ამ ურთიერთობის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მათი ნების გარეშეც.

ერთ ასეთ შემთხვევაზე ზემოთ გვქონდა საუბარი, კერძოდ, როდესაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყდება.

სხვა შემთხვევა – ესაა მხარეთა გარდაცვალება. ცნობილია, რომ სკ 453-ე მუხლის თანახმად ვალდებულება შეწყდება ურთიერთობის მონაწილე მხარეთა გარდაცვალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გარდაიცვალა წარმომადგენელი, მისი არამართო საპროცესო უფლებამოსილება, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულება გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულებით – შეწყდება. ცხადია, რომ მარწმუნებელს შეუძლია მოსთხოვოს წარმომადგენლის უფლებამონაცვლევებს მის მიერ გადახდილი ჰონორარის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაიცვალა მარწმუნებელი (ან მოხდა იურიდიული პირის ლიკვიდაცია) და უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია, მაშინ შეწყდება საქმის წარმოება (სსსკ 272-ე მუხლის „ე“ პუნქტი) და, ცხადია, მასთან ერთად წარმომადგენლის უფლებამოსილებაც. მაგრამ, თუ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, მაშინ საქმის წარმოება შეჩერდება (სსსკ 279-ე მუხლის „ა“ პუნქტი). საქმის წარმოების შეჩერებასთან ერთად შეჩერდება ყველა საპროცესო მოქმედების შესრულება და მათ შორის წარმომადგენლის საპროცესო მოქმედებებიც ამ საქმეზე.

შეჩერებული საქმის განახლებასთან ერთად განახლდება საქმის განხილვაც (სსკ 283-ე მუხლი). თუ უფლებამონაცვლე ისურვებს და გამოხატავს ამ სურვილს თავისი განცხადებით ან ღუმლით, წარმომადგენელი გააგრძელებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, მაგრამ უფლებამონაცვლეს შეუძლია უარი თქვას ამ წარმომადგენელზე და აიყვანოს სხვა წარმომადგენელი.

§6. კანონიერი წარმომადგენლები

1. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია საპროცესო უფლებათუარსიანობით, ე.ი. უნარით ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვა-

ლევობები. მაგრამ ყველა პირს არ გააჩნია უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში თავისი უფლებები, მათ შორის დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს, ე.ი. ყველა პირს არ გააჩნია საპროცესო ქმედუნარიანობა. ასეთ პირთა კატეგორიას განეკუთვნებიან ქმედუნარო მოქალაქეები და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქეები (სსსკ 81-ე მუხლი), რომელთა შესახებ საუბარი გვექონდა ზემოთ.

იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გამოვიდეს სასამართლოში ასეთი პირების წარმომადგენლებად, იზრუნა თვითონ კანონმდებელმა. სწორედ ამიტომ ეწოდება ასეთ წარმომადგენლებს კანონიერი (კანონისმიერი) წარმომადგენლები. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ სსკ 101-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად „ქმედუნარო მოქალაქის აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლები ითვალისწინებენ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას და პირის გამოცხადებას გარდაცვლილად. ამის შესაბამისად, სსკ 317-ე-321-ე მუხლები განსაზღვრავენ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის წესებს.

იბადება კითხვა: ვინ შეიძლება გამოვიდეს სასამართლოში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქის, ან კიდევ, იმ მემკვიდრის წარმომადგენლად, რომელსაც უნდა მიეღო გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის ქონება?

პასუხს ამ კითხვაზე შეიცავს სსკ 101-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები: საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქე, მის წარმომადგენლად მონაწილეობს პირი, რომელსაც გადაეცა სამართავად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება. ხოლო საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გარდაცვლილის ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მემკვიდრე, თუ მემკვიდრეობა არავის არ მიუღია, მაშინ ასეთი მემკვიდრის წარმომადგენლად გამოდის სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი.

ამრიგად, კანონიერი წარმომადგენლების წრეს და მათი პროცესში მონაწილეობის პირობებს განსაზღვრავს უშუალოდ თვითონ კანონი.

2. კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობს პროცესში არა ხელშეკრულების, არამედ კანონის ძალით. აქედან გამომდინარე, ცხადია, კანონიერი

წარმომადგენლების უფლებამოსილების დადასტურებისათვის, განსხვავებით ნებაყოფლობით (ხელშეკრულებით) წარმომადგენლობისაგან, რაიმე სპეციალურად გაფორმებული მინდობილობის წარმოდგენა არც საჭიროა და არც დასაშვებია. კანონიერმა წარმომადგენლებმა სასამართლოს უნდა წარმოუდგინონ იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ისინი არიან კანონიერი წარმომადგენლები, კერძოდ, პასპორტი ან სხვა ისეთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც არის ჩანაწერი შეილების შესახებ, შეილად აყვანის მოწმობა, მეურვეობის თუ მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება უგზო-უკვლოდ დაკარგულის ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონების სამართავად გადაცემა, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის დედის, ხოლო, თუ ასეთი ბავშვის მამობა დადგენილია სასამართლოს წესით, მაშინ ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც შეიძლება იყოს მოქალაქეობის რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან სხვა ოფიციალური ცნობა.

3. კანონიერი წარმომადგენლები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით. კანონიერი წარმომადგენლობა ავტომატურად (სპეციალური უფლებამოსილების გარეშე), ანიჭებს მათ უფლებას შეასრულონ ყველა საპროცესო მოქმედება, რომელთა შესრულების უფლება აქვთ წარმომდგენთ, მათ შორის ისარგებლონ განმკარგულებითი უფლებებით, როგორცაა სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარისთქმა, საქმის მორიგებით დამთავრება, გადაწყვეტილების გასაჩივრება და სხვა.

ამასთან ერთად, კანონი შეიცავს შეზღუდვებსაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არ აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, თხოვებას, სამეურვეო და სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებაზე უარის თქმას და ა.შ. ამ თვალსაზრისით, რიგ შეზღუდვებს შეიცავს სკ 1296-ე – 1297-ე მუხლები.

აქ მითითებული მუხლების ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლომ არ უნდა მიიღოს მეურვისა და მზრუნველის მიერ სარჩელზე უარისთქმა, სარჩელის ცნობა, თუ საქმის მორიგებით დამთავრება, თუ არ არის ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი თანხმობა, გამოხატული წერილობითი ფორმით.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებს გარეთ, რაც ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანი პირების ინტერესების დაცვისათვისაა გათვალისწინებული, კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ შესარულონ ყველა საპროცესო მოქმედება, რომელთა შესრულების უფლება აქვთ მათ წარმომდგენთ.

4. კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ საქმის წარმოება სასამართლოში მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს მათ უფლებას თვითონაც მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში, სსკ 101-ე მუხლის მე-5 ნაწილში მართალია მითითებულია ადვოკატზე, მაგრამ ამ მუხლის დანაწესი უნდა გავიგოთ ფართოდ და აღვნიშნოთ, რომ მათ შეუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ არამარტო ადვოკატს, არამედ ნებისმიერ პირს, რომელიც შეიძლება გამოვიდეს პროცესში წარმომადგენლად (სსკ 94-ე მუხლი).

§7. საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი)

I. საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა ქმედუნარო მოპასუხისათვის

საპროცესო წარმომადგენელი (მზრუნველი) საქართველოს საპროცესო სამართლის სრულიად ახალი ინსტიტუტია. მისი შემოღების მიზანია ისეთი ქმედუნარო მხარის უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფა, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზით არ ყავს კანონიერი წარმომადგენელი.

საპროცესო წარმომადგენლის (მზრუნველის) დანიშვნასა და მისი პროცესში მონაწილეობის წესს ითვალისწინებს სსკ 82-ე მუხლი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.

სსკ 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სარჩელი შეტანილია ქმედუნარო მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არ ყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დაუნიშნავს მას საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს, თუ მისი განუხილველობა ზიანით ემუქრება მოსარჩელეს.

ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ დაუნიშნოს ქმედუნარო მხარეს საპროცესო წარმომადგენელი (საპროცესო მზრუნველი) და განიხილოს საქმე, საჭიროა სამი პირობის ერთდროულად არსებობა. ერთი პირობა – პირი უნდა იყოს ქმედუნარო. ქმედუნაროდ ითვლება პირი 7-დან 18 წლამდე ასაკისა, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, აგრეთვე ქმედუნაროდ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული სრულწლოვანი

პირი. მეორე პირობა – უნდა იყოს მოსარჩელის შუამდგომლობა მოპასუხისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ, რადგან მას არ ყავს კანონიერი წარმომადგენელი. მესამე პირობა – ამ საქმის განუხილველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსარჩელეს.

თუ ყველა ეს პირობა არსებობს, სასამართლო დაუნიშნავს ქმედუენარო მოპასუხეს საპროცესო წარმომადგენელს (მზრუნველს), რათა დაცული იქნეს მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საპროცესო წარმომადგენელი დაენიშნოს ისეთ პირს, რომელიც სრულწლოვანია, არაა აღიარებული სასამართლოს მიერ, როგორც ქმედუენარო, ე.ი. იურიდიულად ქმედუენარიანია, მაგრამ ამკარად ვერ უწყევს ანგარიშს თავის მოქმედებას ფსიქიკური მდგომარეობის ან ჭკუასუსტობის გამო, ე.ი. ფაქტიურად ქმედუენაროა. ასეთ პირს შეიძლება დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი მისი მშობლის, სრულწლოვანი შვილის, მეუღლის სახით ან თუ ასეთი არ ყავს სხვა ისეთი პირის სახით, რომელსაც შეუძლია დაიცვას ამ ფაქტიურად ქმედუენარო პირის ინტერესები სასამართლოში.

რაც შეეხება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება მისი მშობელი. საპროცესო წარმომადგენელი მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაენიშნოს, როცა არ ყავს მშობელი.

მოპასუხისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. თუ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის პირობები არ არსებობს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მის დანიშვნაზე უარისთქმისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სსკ 275-ე მუხლის ანალოგიით, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

II. საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა ქმედუენარო მოსარჩელისათვის

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლომ არაქმედუენარიანი მხარისაგან საერთოდ არ უნდა მიიღოს სარჩელი (სსსკ 186-ე მუხლის „ვ“ პუნქტზე). მაგრამ, თუ ასეთი პირის მიერ შემოტანილი სარჩელი მიიღო სასამართლომ, მას შეუძლია დატოვოს იგი განუხილველად, თუ სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (სსსკ 275-ე მუხლის „ა“ პუნქტი).

ამრიგად, სასამართლოს შეუძლია განიხილოს ქმედუენარო პირის მიერ აღძრული სარჩელი თუ არსებობს ზემოთ აღნიშნული პირობები და სასამარ-

თლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ პირობების გათვალისწინებით განიხილოს სარჩელი.

მაგალითად, პირმა, რომელმაც აღძრა სარჩელი სამკვიდრო ქონებიდან კონკრეტული წილის გამოყოფის შესახებ არ აღმოჩნდა სრულწლოვანი და მამასადამე, ქმედუნარიანი. კანონიერი წარმომადგენელი მას არ გააჩნია, ხოლო სარჩელის განუხილველად დატოვება ზიანით ემუქრება არამარტო ამ არასრულწლოვან მოსარჩელეს, არამედ, საკვებით შესაძლებელია, მოპასუხესაც. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა.

არასრულწლოვანი მოსარჩელის მიმართ საკითხი შედარებით უფრო მარტივად შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც მოსარჩელე სრულწლოვანია, არაა აღიარებული სასამართლოს მიერ არც ქმედუნაროდ და არც შეზღუდულ ქმედუნარიანად, ე.ი. იურიდიულად ქმედუნარიანია, მაგრამ ფაქტიურად აშკარად ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას, ანუ ფაქტიურად ქმედუნაროა. ასეთ პირს შეიძლება დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი მისი მშობლის, სრულწლოვანი შეილის, მეუღლის სახით, ან თუ ასეთი არ ყავს ნებისმიერი სხვა პირის სახით, რომელსაც შეუძლია დაიცვას ამ ფაქტიურად ქმედუნარო პირის ინტერესები. საპროცესო წარმომადგენელს, ისე როგორც კანონიერ წარმომადგენელს, შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით.

მოსარჩელისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა; მოსარჩელისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნაზე უარისთქმის შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სსსკ 275-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 276-ე მუხლი).

III. საპროცესო წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები

საპროცესო წარმომადგენელს (მზრუნველს) აქვს იგივე უფლებები, რაც მეურვეებსა და მზრუნველებს საერთოდ, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობის აღნიშვნით: მათი განმკარგულებელი მოქმედებები, როგორცაა სარჩელის ცნობა, სარჩელის აღიარება, საქმის მორიგებით დამთავრება თვითონ სასამართლომ უნდა შეამოწმოს ხომ არ არღვევს კანონს ან ქმედუნარო პირის ინტერესებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება).

ვადები სამოქალაქო პროცესში

§1. საპროცესო ვადების მნიშვნელობა და სახეები

1. მნიშვნელობა. დროის ფაქტორი ყოველთვის ასრულებდა ერთ-ერთ მთავარ როლს პირთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში. სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები ყოველთვის არსებობენ დროში. უფრო მეტიც, დროის გასვლას კანონი ზოგჯერ უკავშირებს უფლების წარმოშობას, ხოლო ზოგჯერ კი პირიქით – უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას. მაგალითად, სკ 403-ე მუხლის თანახმად „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი“. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუ მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

დროის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვის შესაძლებლობის დაშვების თვალსაზრისითაც. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ხანდაზმულობის ინსტიტუტი სამოქალაქო მატერიალურ სამართალში, რომელიც ცნობილია სასარჩელო ხანდაზმულობის ან მოთხოვნის ხანდაზმულობის სახელწოდებით. ამ ხანდაზმულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ პირი კარგავს ამ მოთხოვნის იძულებით სასამართლო წესით რეალიზაციის უფლებას (სკ 128-129-ე მუხლები).

დროის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს სამოქალაქო საპროცესო სამართალში: საქმის განხილვასთან დაკავშირებით აუცილებელი საპროცესო მოქმედებები შეიძლება შეასრულოს მხარეებმა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

რა არის საპროცესო ვადა?

საპროცესო ვადა არის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

ვადების მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში უშუალოდ უკავშირდება სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების (სამართალწარმოების) მიზნებსა და ამოცანებს. სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია არამართო იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს სარჩელით (განცხადებით), არამედ ამ უფლებების დროულად და გონივრულ ვადებში დაცვა.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ამ „გონივრული“ ვადის ფარგლები. სსკ 59-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს ორი თვისა, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ეს მუხლი ითვალისწინებს ზოგიერთი კატეგორიის საქმეების მიმართ კიდევ უფრო მოკლე ვადებს.

საპროცესო ვადის ერთ-ერთი და მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით სასამართლომ ზემოქმედება მოახდინოს მხარეებზე, რათა მათ დანიშნულ ვადაში შეასრულონ საპროცესო მოქმედება. მაგალითად, სსკ 185-ე მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში არ შეავსებს სარჩელის ხარვეზს „სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და მოსარჩელეს დაუბრუნებს“. უფრო მეტიც, რომ არ იყოს ვადები შეუძლებელი იქნებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როცა შემოიღო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მოგებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მისი იძულებით აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: რომ არ იყოს განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც მოდავე მხარეებმა უნდა შეასრულონ ესა თუ ის საპროცესო მოქმედება – სამოქალაქო საქმის განხილვა საერთოდ ვერასდროს ვერ დამთავრდებოდა, უფლების დაცვა საერთოდ ვერ განხორციელდებოდა, სამართალწარმოებაში დამკვიდრდებოდა ქაოსი და თვითნებობა, მართლმსაჯულების განხორციელება მთლიანად იქნებოდა დამოკიდებული იმ მხარის ნება-სურვილზე, რომლის ინტერესებში არ შედის საქმის დროულად განხილვა.

2. სახეები. იმის მიხედვით, თუ პროცესის რომელი სუბიექტისთვისაა საპროცესო ვადა გათვალისწინებული, ერთმანეთისაგან განასხვავებენ:

ა) საპროცესო ვადებს, რომლებიც სასამართლოს საქმიანობისათვისაა გათვალისწინებული, ე.ი. ვადებს, რომელთა განმავლობაში სასამართლომ უნდა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, მაგალითად, სამოქალაქო საქმე

სასამართლომ უნდა განიხილოს 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული საქმეები – 5 თვეში (სსსკ 59-ე მუხლი), მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღეში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ (სსსკ 183-ე მუხლი), დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია 14 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დამთავრდა საქმის განხილვა (სსკ 257-ე მუხლი) და ა.შ.

ბ) საპროცესო ვადები, რომლებიც მხარეებისთვის, საქმეში მონაწილე სხვა პირებისთვის, ხოლო ზოგჯერ საქმეში არ მონაწილე პირებისთვისაცაა გათვალისწინებული, მაგალითად, სსკ 155-ე მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულებები ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, რომლებთანაც ასეთი მტკიცებულებები ინახება, უნდა წარუდგინონ სასამართლოს დანიშნულ ვადაში. იგივე მოვალეობას ითვალისწინებს აგრეთვე სსკ 136-ე მუხლი წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის შემთხვევაში და სხვ. აღნიშნული ფიზიკური თუ იურიდიული პირები, მართალია არ არიან პროცესის მონაწილეები, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ სასამართლოს მოთხოვნა ამავე სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში.

იმის მიხედვით, თუ ვის მიერაა განსაზღვრული საპროცესო მოქმედების ვადა, ერთმანეთისაგან განასხვავებენ კანონიერ და სასამართლოსმიერ ვადებს.

ა) კანონისმიერი ვადები კანონითაა განსაზღვრული და საპროცესო მოქმედება ამ ვადაში უნდა შესრულდეს. მაგალითად, კერძო საჩივრის შეტანა, სსკ 416-ე მუხლის თანახმად, შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. კანონით ზოგჯერ გათვალისწინებულია კერძო საჩივრის შეტანის შემცირებული ვადაც. მაგალითად, სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. კანონით განსაზღვრულია სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის ვადები (სსსკ 369-ე და 397-ე მუხლები) და ა.შ.

კანონისმიერი ვადების კატეგორიას განეკუთვნება ვადები, რომლებიც განსაზღვრება არა რაიმე თარიღზე მითითებით, არამედ იმ გარემოებაზე მითითებით, რომლის დადგომამდე ან დადგომის შემდეგაც უნდა შესრულდეს მოქმედება. მაგალითად, მოპასუხეს უფლება აქვს აღძრას შეგებებული სარჩელი საქმის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე (სსსკ 188-ე მუხლი). „ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი, სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე, თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას“ (სსკ 188-ე მუხლის მე-2 ნაწ.) ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს საქმისწარმოება „ექსპერტიზის დამთავრებამდე“ (სსსკ 281-ე მუხლის „ბ“ პუნქტი) და ა.შ.

ბ) სასამართლოსმიერი ვადები – ესაა ვადები, რომლებიც სასამართლოს მიერაა განსაზღვრული. სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის ვადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვადა არაა დადგენილი კანონით. მაგალითად, სსკ 201-ე მუხლის თანახმად სასამართლო გადაუგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და სხვა საბუთების ასლებს, დაუნიშნავს მას ვადას წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი სარჩელი ხარვეზიანია, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შევსების შესახებ, რისთვისაც დაუნიშნავს მოსარჩელეს ვადას (სსკ 185-ე მუხლი). სსკ 216-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს დღეს ახალი სასამართლო სხდომისათვის“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში „სასამართლო დაავალებს მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები“ და ა.შ.

§2. საპროცესო ვადის გამოთვლა და დამთავრება

1. საპროცესო ვადის გამოთვლა. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს:

ა) ზუსტი კალენდარული თარიღით. მაგალითად, თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გადაუღოს მხარეს სასამართლო ხარჯების გადახდა, მაშინ სასამართლომ თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს ზუსტი კალენდარული თარიღი (მაგალითად, 2004 წლის 5 სექტემბრამდე), როდემდეც მას გადაეღოს ამ ხარჯების გადახდა.

ბ) იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც უნდა დადგეს. მაგალითად, თუ საქმის წარმოება შეჩერებულია იმის გამო, რომ ჯერ უნდა გადაწყდეს სხვა საქმე, რომელიც სხვა სასამართლოში განიხილება, მაშინ ამ საქმის წარმოება შეიძლება განახლდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა კანონიერ ძალაში შევა ამ სხვა სასამართლოს გადაწყვეტილება.

გ) დროის მონაკვეთით. მაგალითად, განცხადების შეტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

სსკ მე-60 მუხლი განსაზღვრავს, თუ საიდან, ანუ რა დროიდან უნდა დაიწყოს საპროცესო ვადის გამოთვლა, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა

აქვს. მაგალითად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა არის 12 დღე. მაგრამ საიდან დაიწყება ამ 12 დღიანი ვადის გამოთვლა?

ამ 12 დღიანი ვადის დასაწყისია განჩინების გადაცემის მომენტი, ხოლო თუ ამ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, მაშინ ვადის დასაწყისია მისი გამოცხადების მომენტი (416-ე მუხლი). ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კერძო საჩივრის შეტანის 12 დღიანი ვადის გამოთვლა უნდა დაიწყოს შესაბამისად განჩინების გადაცემის მეორე (შემდგომი) დღიდან, ან ამ განჩინების გამოცხადების მეორე დღიდან. ე.ი. თუ განჩინება გადაეცა მხარეს 10 ნოემბერს, ამ განჩინების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება 11 ნოემბრიდან და დამთავრდება 22 ნოემბერს. ამ წესით უნდა მოხდეს ვადების გამოთვლა, როცა ეს ვადები განისაზღვრება წლებით, თვეებით ან დღეებით.

2. საპროცესო ვადის დამთავრება. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა კანონით ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, იწვევს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულებაზე უფლების დაკარგვას. ამიტომ, ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად ცოდნას, თუ საიდან იწყება ვადის ათვლა და მისი დამთავრება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს წლებით და თვეებით გამოსათვლელი ვადის დამთავრების ერთიან წესს. კერძოდ, წლებით გამოსათვლელი ვადა მთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. მაგალითად, სსკ 426-ე მუხლის თანახმად გაცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2000 წლის 1 სექტემბერს, მაშინ ზუთწლიანი ვადის ათვლა, სსკ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაიწყება 2 სექტემბრიდან და დამთავრდება 2005 წლის 2 სექტემბერს.

იგივე წესი მოქმედებს თვეებით გამოსათვლელი ვადის მიმართაც, კერძოდ, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში, ხოლო თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არ აქვს მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

მაგალითად: სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის ათვლა იწყება მხარისათვის

გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, თუ მხარეს გადაწყვეტილება გადაეცა 10 მაისს, მაშინ მისი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა მთავრდება 11 ივნისს, რადგან სსკ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თვეებით გამოსათვლელი ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის (ამ შემთხვევაში 10 მაისი) შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. დასაწყისი, როგორც აღვნიშნეთ განსაზღვრულია გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან, ერთთვიანი ვადის ათვლა კი დაიწყება შემდგომი ანუ ამ დასაწყისი თარიღის მეორე დღიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც თვეობით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არ აქვს მაშინ ვადა გასულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

მაგალითად: გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა იწყება ამ გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემის მომენტიდან. თუ ვადის ათვლა დაიწყო 30 იანვარს, მაშინ ვადა გასულად ჩაითვლება 28 თებერვალს, რადგან ამ თვეს შესაბამისი რიცხვი არ აქვს.

ვადის უკანასკნელი დღე გასულად ჩაითვლება ამ ბოლო დღის 24 საათის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საპროცესო მოქმედება შესრულდა საპროცესო ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე, საპროცესო მოქმედება ვადაში შესრულებულად ითვლება.

მაგალითად: სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა ფოსტას ვადის უკანასკნელი დღის 24 საათზე. საჩივარი ითვლება ვადაში შეტანილად.

საპროცესო ვადის დენა განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ არასამუშაო დღეებისა თუ დღესასწაულების გამოკლება არ ხდება. გარდა ამისა, თუ ვადა იწყება არასამუშაო დღეს, ვადის დენაც ამ დღიდან იწყება, მაგრამ, თუ ვადა ვადის არასამუშაო დღეს, მაშინ ვადის დამთავრების დღედ ითვლება ამ არასამუშაო, თუ სადღესასწაულო დღის შემდგომი მომდევნო სამუშაო დღე.

მაგალითად: თუ საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის დამთავრების დღე ვადის 2005 წლის 28 ნოემბერს, რომელიც არის არასამუშაო დღე – კვირა, მაშინ ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება არა 28 ნოემბერი, არამედ მისი მომდევნო სამუშაო დღე – 29 ნოემბერს (ორშაბათი).

§3 საპროცესო ვადის შეჩერება, გაგრძელება და აღდგენა

1. საპროცესო ვადის შეჩერება. საპროცესო ვადის შეჩერება უშუალოდაა დაკავშირებული და მთლიანად დამოკიდებულია საქმის წარმოების შეჩერებასთან. თუ შეჩერდება საქმის წარმოება, შეჩერდება საპროცესო ვადის ღენაც. საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძველებით. მაგალითად, სსკ 279-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას. თუ ამ მუხლის საფუძველზე სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, მაშინ შეჩერდება დაუმთავრებელი საპროცესო ვადის ღენაც, მაგრამ ამ ვადის ღენა შეჩერდება არა იმ დღიდან, როცა სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, არამედ იმ დღიდან, როცა წარმოიშვა წარმოების შეჩერების საფუძველი.

როდის განახლდება საპროცესო ვადის ღენა?

საპროცესო ვადის ღენა კვლავ დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, როცა წარმოიშობა (აღდგება, შეიცვლება) გარემოება, რომელიც საფუძველად დაედო წარმოების შეჩერებას. მაგალითად, სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება იმის გამო, რომ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში. როგორც კი ეს მხარე დაბრუნდება მივლინებიდან, საპროცესო ვადის ღენა დაიწყება, მაგრამ სასამართლომ უნდა მიიღოს განჩინება შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ. ასევე, თუ საქმის წარმოება შეჩერებული იყო იმის გამო, რომ დაინიშნა ექსპერტიზა ან მხარე იმყოფება შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში, მაშინ საპროცესო ვადის ღენა დაიწყება როგორც კი მიღებული იქნება ექსპერტის დასკვნა ან მოპასუხე დაბრუნდება შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილიდან. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ. სწორედ ამ განჩინების გამოტანის დღიდან განახლდება საპროცესო ვადის ღენაც.

ამრიგად, საპროცესო ვადის ღენა შეჩერდა იმ დროიდან, როცა წარმოიშვა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი და არა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინების მიღებიდან, ხოლო საპროცესო ვადის ღენა განახლდება არა იმ დროიდან, როცა უკვე აღარ არსებობს საფუძველი, რის გამოც შეჩერდა წარმოება, არამედ იმ დროიდან, როცა სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

2. საპროცესო ვადის გაგრძელება და აღდგენა. კანონით დადგენილი, ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ისპობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს, ან საქმის მონაწილე სხვა პირს აღარ შეუძლია საპროცესო მოქმედების შესრულება.

ამასთან ერთად, კანონი უშვებს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელების, ხოლო კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას.

სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია როგორც დაინტერესებული მხარის თხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც. მხარის შუამდგომლობა საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს, კერძოდ მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც, საპროცესო მოქმედების შესრულება ვერ ხერხდება დანიშნულ ვადაში.

საპროცესო ვადის გაგრძელების ან ასეთ გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. თუ ასეთი განჩინება არ არსებობს ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს გაგრძელებულად. სასამართლო განჩინებაზე საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ, ან ასეთ გაგრძელებაზე უარისთქმის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

როგორც აღვნიშნეთ, თუ საპროცესო ვადა კანონითაა დადგენილი, მაშინ დასაშვებია ამ ვადის აღდგენა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული აკრძალვებისა. კანონით დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით (სსკ 65-ე მუხლი).⁵⁹

კანონისმიერი საპროცესო ვადის აღდგენა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია. კანონისმიერი ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს შეიძლება მიმართონ მხარეებმა. განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საპროცესო მოქმედების ვადაზე

⁵⁹ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადების მიმართ სსკ იყენებს ტერმინს „ვადის გაგრძელება“. ხოლო კანონისმიერი საპროცესო ვადების მიმართ – „ვადის აღდგენა“. მართალია, ვადის გაგრძელების, თუ ვადის აღდგენის შემთხვევაში ვაღწევთ ერთსა და იგივე შედეგს – საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის გადაწვევას უფრო შორს, მაგრამ ასეთ ტერმინოლოგიურ განსხვავებას აქვს გარკვეული საფუძველი: სასამართლო არაა კანონმდებელი და იგი ვერ შეცვლის კანონმდებლის მიერ დანიშნულ ვადას, მას შეუძლია მხოლოდ აღადგინოს ეს ვადა.

შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები. მაგალითად, თუ მხარე მიუთითებს ისეთ მიზეზზე, როგორცაა ავადმყოფობა ან მივლინება, მან უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი შესაბამისი ცნობები. საპროცესო ვადის გაშვების საპატიო მიზეზის დამტკიცების ტვირთი (მოვალეობა) მთლიანად ეკისრება განმცხადებელს, ე.ი. პირს, რომელმაც მოითხოვა კანონისმიერი ვადის აღდგენა.

კანონისმიერი ვადის აღდგენის შემთხვევაში სასამართლო არ ნიშნავს ახალ ვადას საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის. სწორედ ამიტომ კანონისმიერი ვადის აღდგენის შესახებ განცხადებასთან ერთად, როცა ეს ვადა გაშვებულია, მხარეს ევალება შეასრულოს ეს საპროცესო მოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ვერ განიხილავს განცხადებას კანონისმიერი ვადის აღდგენის შესახებ, თუ ამ განცხადებასთან ერთად არ სრულდება შესაბამისი საპროცესო მოქმედება.

გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგენაზე უარისთქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

§4. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

საპროცესო ვადების არსებობას შეიძლება ქონდეს აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადების გასვლას მოყვება გარკვეული შედეგი. ასეთ შედეგს ითვალისწინებს სსკ 63-ე მუხლი, რომლის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება, ასეთია შედეგი, რომელსაც კანონი უკავშირებს ვადის გაშვებას.

ამასთან ერთად, საპროცესო ვადის გაშვების შედეგების განხილვისას არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ შემდეგი: ვადები დადგენილია არამარტო მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც. ვადები შეიძლება დაუდგინოს სასამართლომ საქმეში არ მონაწილე სხვა პირებსაც. მაგალითად, წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებები შეიძლება ინახებოდეს ისეთ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, რომლებიც არ მონაწილეობენ საქმის განხილვაში. სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ისინი ამ პირებისაგან, რისთვისაც დაუნიშნავს მათ ვადას.

საპროცესო ვადის გაშვების შედეგები სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, თუ ვინ გაუშვა ეს ვადა. მაგალითად, თუ სასამართლომ გაუშვა სამოქალაქო საქმის განხილვის ვადა, იგი მაინც ვალდებულია განიხილოს საქმე, თუ სასამართლომ მისთვის სარჩელის გადაცემიდან 5 დღის განმავლობაში არ გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, იგი ითვლება მიღებულად და უნდა განიხილოს მან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლოს მიერ ამა თუ იმ მოქმედების კანონით დადგენილ ვადაში ან, საერთოდ, გონივრულ ვადაში, შეუსრულებლობა განიხილება როგორც სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა, რომელიც შეუძლია გაასაჩივროს მხარემ და რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური ღეენის აღძვრა.

თუ პირმა, ვისთანაც ინახება წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ წარმოადგინა ისინი, ეს პირი მაინც ვალდებულია წარმოადგინოს ეს მტკიცებულებები (სსკ 136-ე და 156-ე მუხლები).

რაც შეეხება მხარეებს, თუ ისინი დადგენილ ვადაში არ შეასრულებენ საპროცესო მოქმედებას, მაშინ კარგავენ ამ მოქმედების შესრულების უფლებას. ცხადია, მხედველობაშია ისეთი ვითარება, როცა სასამართლომ არ გააგრძელა (არ აღადგინა) გასული საპროცესო ვადა კანონით დადგენილი წესით.

პროცესის ხარჯები

§1. პროცესის ხარჯების ცნება და შინაარსი

სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. ამ ხარჯების უდიდეს ნაწილს თვითონ სახელმწიფო კისრულობს: დაწყებული მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მუშაკთა ხელფასებითა და დამთავრებული მათი სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით. უფრო მეტიც, ზოგიერთ ისეთ ხარჯს, რაც დაკავშირებულია უშუალოდ კონკრეტული საქმის განხილვასთან, სახელმწიფო კისრულობს მაგალითად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის თანახმად სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა მიეჩინება თარჯიმანი. „თარჯიმნის მომსახურება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე“. სსკ 47-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია გაათავისუფლოს იგი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ასეთი პოზიცია პირდაპირ გამოდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დამკვიდრებული პრინციპებიდან.

ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თვითონ სასამართლო ხარჯების მცირე მოცულობისაა და მხარეებს არ უნდა წარმოეშვათ რამდენადმე სერიოზული სიძნელე მისი გადახდის დროს. ასეთი ვითარება კიდევ უფრო განამტკიცებს საერთაშორისო პაქტებითა და კონვენციებით განმტკიცებულ პრინციპს, რომლის თანახმად სასამართლოში მიმართვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პირისათვის.⁶⁰

⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დამკვიდრებული დებულება, რომლის თანახმად ყველა პირს აქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის უფლება, ანუ „სასამართლოს უფლება“, მოიცავს მის უფლებას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზეც.

პროცესის ხარჯები ორი სახისაა: ა) სასამართლო ხარჯები და ბ) სასამართლოს გარეშე ხარჯები.

სასამართლო ხარჯების წრე ამომწურავადაა განსაზღვრული კანონით და ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ბაჟი, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისათვის მისაცემი ხარჯები, თარჯიმნად მოწვეული პირისათვის მისაცემი თანხები, ადგილობრივ დათვალეობაზე გაწეული ხარჯები, მოპასუხის მოძებნის ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, ადვოკატისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილი თანხები (სსკ 37-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

რაც შეეხება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასეთი ხარჯების წრე არაა განსაზღვრული ამომწურავად. კანონი შეიცავს მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს, როგორცაა ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები და სხვა.

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები – ესაა ხარჯები, რომლებიც გადახდილი უნდა იქნეს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში (მოწმეები, ექსპერტი, სპეციალისტი). განსხვავება სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ბაჟი – ესაა სავალდებულო გადასახადი სასამართლოში საქმის განხილვისათვის, რაც წინასწარაა განსაზღვრული კანონით, ხოლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები – ესაა ხარჯები, რომლებიც უნდა აუნაზღაურონ იმ პირებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს.

რაც შეეხება სასამართლოს გარეშე ხარჯებს, მათი ოდენობა განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული დანახარჯებით. ამიტომ, დაინტერესებულმა მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტიურად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვერ შეძლებს დააკისროს შესაბამის მხარეს ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.

§2. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟის ცნების ზოგად განმარტებას შეიცავს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი, რომლის თანახმად სახელმწიფო ბაჟი – ესაა საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ

მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

სახელმწიფო ბაჟის ამ ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში შეიძლება შემდეგნაირად განუმარტოთ: სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში – ესაა მხარეების მესამე პირების (დამოუკიდებელი მოთხოვნით), განმცხადებლების შენატანები, რასაც ისინი იხდიან სასამართლოში საქმის განხილვისათვის კანონით განსაზღვრული ოდენობით და წესით.

1. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საფუძვლები

სსკ 38-ე მუხლი შეიცავს იმ მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებისთვისაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება: ა) სარჩელებზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ; ბ) შეგებებულ სარჩელზე; გ) მესამე პირის სარჩელზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე; დ) განცხადებაზე უდავო წარმოების წესით საქმეთა აღძვრის შესახებ; ე) სარჩელზე სახელმწიფო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ; ვ) სააპელაციო საჩივარზე; ზ) საკასაციო საჩივარზე; თ) კერძო საჩივარზე.

სახელმწიფო ბაჟი წინასწარ შეაქვს მოსარჩელეს (მოძივანს), სასამართლოს უფლება არ აქვს განიხილოს სარჩელი, (საჩივრის) თუ ბაჟი არ არის გადახდილი (სსკ 185-ე, 368-ე მუხლები). სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე, თუ ის გაათავისუფლებს მხარეს ბაჟის გადახდისაგან ან გადაუღებს (გაუნაწილვადებს) მას ბაჟის გადახდას.

2. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

არსებობს სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრის ორი მეთოდი: მარტივი და პროპორციული. მარტივი მეთოდის გამოყენების დროს კანონმდებელი წინასწარ განსაზღვრავს მის ოდენობას ლარებით ან თეთრით. პროპორციული მეთოდის გამოყენების დროს კანონმდებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს იმ თანხების მოცულობის პროცენტულად, რომელსაც შეადგენს სარჩელის, განცხადების თუ საჩივრის ფასი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, როგორც წესი, მიმართავს პროპორციულ მეთოდს და ადგენს შემდეგს: სარჩელებზე და განცხადებებზე, გარდა განცხადებისა გადახდის ბრძანების მიღების შესახებ, სადავო საგნის ღირებულების 2,5

პროცენტს, ხოლო განცხადებაზე დავალიანების ამოღების შესახებ ბრძანების მიღების თაობაზე – 1,5 პროცენტს, სააქლაციო საჩივრისათვის სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტს, საკასაციო საჩივრისათვის სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტს, ხოლო კერძო საჩივრისათვის – დავის საგნის ღირებულების 1,5 პროცენტს.

3. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი

დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ თავის სარჩელში უნდა მიუთითოს დავის საგნის ფასზე. ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით (სსკ მე-40 მუხლი) იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ შეასრულებს ამ მოვალეობას. ე.ი. არ მიუთითებს დავის საგნის ფასზე, მაშინ სასამართლოს შეუძლია დატოვოს სარჩელი უმოძრაოდ (185-ე მუხლი).

მოსამართლეს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკითხი სარჩელის მიღების შესახებ, უფლება აქვს შეამოწმოს შეესაბამება თუ არა მოსარჩლის მიერ მითითებული სარჩელის ფასი მის ნამდვილ ღირებულებას. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე რომ მოსარჩლის მიერ მითითებული ფასი არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, მაშინ ეს ფასი თვითონ მოსამართლემ უნდა განსაზღვროს. თუ დავის საგნის (სადავო ქონების) ნამდვილი ღირებულების განსაზღვრა მოსამართლისთვისაც ძნელია, მას შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი (სსკ 204-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უშვებს ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნის გაერთიანებას (სსკ 82-ე მუხლი). ეს სხვადასხვა მოთხოვნები ცალ-ცალკე კი არ უნდა შეფასდეს, არამედ უნდა განისაზღვროს გაერთიანებული მოთხოვნების ანუ შეჯამებული მოთხოვნების ფასი, რის შედეგად მივიღებთ ამ მოთხოვნების საერთო ფასს.

ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში შემოსულია რამდენიმე ერთგვაროვანი საქმე და სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო მათი გაერთიანება ერთ წარმოებად (სსკ 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ასეთ შემთხვევაში გაერთიანებული სარჩელების შეფასება ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

გაცილებით უფრო რთულია არაქონებრივი დავების საგნის ღირებულების განსაზღვრა. ასეთი სირთულე გამოწვეულია ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ. პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, შესამოწმებელ და

შესაფასებელ მტკიცებულებათა რაოდენობა, შესასრულებელ საპროცესო მოქმედებათა ხასიათი და შინაარსი, საქმეში მონაწილე პირთა რაოდენობა (სიმრავლე) და ა.შ.

სარჩელი შეიძლება მიმართული იყოს როგორც არაქონებრივი, ისე მისგან წარმოშობილი ქონებრივი უფლებების დაცვისაკენ. ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს არაქონებრივი დავათა ღირებულება და ქონებრივი დავის ღირებულება. საბოლოოდ კი დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება მათ შორის უფრო მაღალი საგნის ღირებულებით, ე.ი. შეჯამება არაქონებრივი დავისა და ქონებრივი დავების საგნის ღირებულებისა არ ზდება.

მაგალითად, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის შესახებ არაქონებრივი დავის საგანი, იმის გამო, რომ დაკავშირებულია მრავალწერილობით თუ ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მოწმეთა დაკითხვებთან, სპეციალისტის მიწვევასთან და ა.შ. სასამართლომ შეაფასა 10 000 ლარით, ხოლო ამ არაქონებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ქონებრივი დავა თვითონ მოსარჩელემ განსაზღვრა 5 000 ლარით. დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 10 000 ლარით, რადგან არაქონებრივი დავის საგნის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ქონებრივისა.

§3. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები

საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს განეკუთვნება მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისათვის მისაცემი თანხები, თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები, ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები და ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, სახელმწიფო ბაჟთან ერთად შეადგენს მათ ერთობლიობაში სასამართლო ხარჯებს.

ხარჯები, რომლებიც უნდა მიეკუთვნებოდეს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს, გათვალისწინებულია კანონით. ყველა ამ პირს, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაეხმარონ სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, ეკუთვნით ანაზღაურება მგზავრობისათვის, საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისათვის და კვებისათვის (დღიური თანხა), იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია ამ მიზნებისათვის შესაბამისი ტარიფებით ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის. გარდა ამისა, ექსპერტები, თარჯიმნები და სპეციალისტები დამატებით იღებენ გასამრჯელოს სასამართლოს დავალებით შესრულებული

სამუშაოსათვის იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია მათსა და სასამართლოს შორის დადებული შეთანხმებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა „როდესაც აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში“. (სსკ 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

45-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ზოგად კრიტერიუმს, რომლის საფუძველზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ გასამრჯელოს ოდენობა, რომელიც უნდა მიეცეს ექსპერტს, სპეციალისტს თუ თარჯიმანს.

ფაქტურად ეს კრიტერიუმები მოითხოვს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებას, მასალები, რომლებიც უნდა გააანალიზოს ექსპერტმა ან თარჯიმნოს თარჯიმანმა, საბოლოო ანგარიშში კი დრო, რომელიც მათ დასჭირდებათ დავალების შესასრულებლად.

მოწმებელ გამოსამახებელ პირებს უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი სამუშაო ადგილზე, მაგრამ თუ ისინი არ არიან შრომით ურთიერთობაში, ანუ უმუშევრები არიან, მაშინ მათ ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების იმ მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით, რაც დადგენილია ოფიციალურად მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რაც შეეხება ადგილზე დათვალიერებას, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ამ ხარჯების ოდენობა და დააკისროს მისი გადახდა ერთ-ერთ ან ორივე მხარეს, იმის მიხედვით თუ ვისი ინიციატივით წარმოებს დათვალიერება (სსსკ 126-ე მუხლი).

როგორც აღვნიშნეთ, მოპასუხის მოძებნის ხარჯები განეკუთვნება საქმის განხილვისათვის დაკავშირებული ხარჯების კატეგორიას. მოპასუხის ძიება შინაგან საქმეთა ორგანოების მეშვეობით, დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს სსკ 356^ბ-ე მუხლი, თუ გამოცხადდა რეკეტორის (მისი ოჯახის წევრის და ა.შ.) ძებნა, როცა აღძრულია რეკეტული ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმე. ამას ითვალისწინებს, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ კანონი. ამ კანონის 30-ე მუხლის თანახმად საქმეებზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ, სხეულის დასახიჩრებით ან სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩინალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ. ასეთი განჩინების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საქმეებზე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ

და ეს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ან სასამართლომ დაადგინა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება.

მოვალის ძებნის ხარჯები თავდაპირველად ბიუჯეტის სახსრებიდან ანაზღაურდება, მაგრამ შემდგომში ამ ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება თვითონ მხარეებს. ხარჯების ოდენობის განსაზღვრისათვის სასამართლომ უნდა მოითხოვოს შინაგან საქმეთა ორგანოების ანგარიში ამ დანახარჯების შესახებ.

გადაწყვეტილებათა აღსრულებაც დაკავშირებულია ვარკვეულ ხარჯებთან, ეს ხარჯები გათვალისწინებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 39-ე მუხლით, რომლის თანახმად, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება 1. იმ პირებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, რომელთა მოწვევაც აუცილებელი იყო კარების ან საცავის განსნისათვის (აქ მხედველობაშია სპეციალისტის მოწვევა); 2. ნივთების შესანახად გადასახდელი თანხები; 3. ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საჯარო ვაჭრობის გამოცხადებისას; 4. ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა მოვალის დაკავებით; 5. აუქციონის ჩატარების ხარჯები. აღსრულების ხარჯები ეკისრება მოვალეს. ისინი ამოღებული უნდა იქნენ აღსასრულებელ პრეტენზიასთან ერთად.

§4. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება

1. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა განთავისუფლება შეიძლება მოხდეს კანონის ძალით და სასამართლოს მიერ. მაგრამ არც კანონს და არც სასამართლოს არ შეუძლია მხარე გაათავისუფლოს ისეთი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომელიც მეორე მხარეს უნდა აუნაზღაურდეს. გადახდისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხებისაგან. ასეთი თანხების კატეგორიას, როგორც წესი, განეკუთვნება სახელმწიფო ბაჟი.

სსკ 46-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე და ა.შ. სსკ 46-ე მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი; სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლების სხვა შემთხვევებს ითვალისწინებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი, რომლის თანახმად სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელები სარჩელებზე საავტორო უფლებების შესახებ, სოციალური

დაზღვევის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე, საბიუჯეტო დაწესებულებები სარჩელებზე ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკი – ყველა სარჩელზე და ა.შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ მხარეები განთავისუფლებულები არიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან განთავისუფლებული ისეთი ხარჯებისაგან, რომლებიც მათ უნდა გადაიხადონ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ.

2. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს სასამართლოს მიერაც (სსკ 47-ე მუხლი).

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. იურიდიული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება, განაწილვადება, მათი ოდენობის შემცირება (სსკ 47-ე მუხლის პირველი ნაწილი). ფიზიკური პირის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების გაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორი გარემოება. პირველი – მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა, რის გამოც მას არ აქვს საშუალება გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები. ამ გარემოების დადასტურების ტვირთი ეკისრება თვითონ ამ ფიზიკურ პირს და მეორე – განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ისეთი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. ამიტომ, მხარე არ შეიძლება განთავისუფლდეს ისეთი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომლებიც მან ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს.

სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მხარის განთავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ასეთი ხარჯების გადახდისაგან. ეს მეორე მხარე ვალდებულია გაიღოს ყველა ის ხარჯი, რასაც ის გაიღებდა, რომ ერთ-ერთი მხარე არ ყოფილიყო განთავისუფლებული ხარჯების გადახდისაგან.

მაგალითად: სასამართლომ გაათავისუფლა მოსარჩელე ბაჟის გადახდისაგან, მაგრამ მოსარჩელემ მოიგო პროცესი და ის კიდევ რომ არ ყოფილიყო განთავისუფლებული ბაჟის გადახდისაგან და გადაეხადა ეს ბაჟი, სასამართლოს არამართო ამ ბაჟის, არამედ პროცესის მთელი ხარჯების გადახდა უნდა დაეკისრებინა მოპასუხესათვის, რადგან სასამართლო ხარჯების გადახდა საბოლოო ანგარიშში

უნდა დაეკისროს წაგებულ მხარეს. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი ბაჟი და მის მიერ გაწეული სხვა ხარჯებიც, თუ ამას პქონდა ადგილი, მაგრამ, თუ იგი განთავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან და გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი ამ ბაჟის გადახდა დაეკისრება მოპასუხეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

§5. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება, განაწილვალება და მათი ოდენობის შემცირება

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების გვერდით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების გადახდის გადადებას, განაწილვადებას, ე.ი. ამ ხარჯების ეტაპობრივად (ნაწილ-ნაწილ) გადახდას და შემცირებას. თავისთავად ცხადია, რომ სასამართლოს შეუძლია ერთდროულად შეამციროს ხარჯების ოდენობა და გადაუღოს კიდევ ან გაუნაწილვადოს ამ შემცირებული ხარჯების გადახდა. თითოეული ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ერთი კრიტერიუმით – მხარეთა ქონებრივი მდგომარეობით.

სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება ყოველთვის არაა დამოკიდებული სასამართლოს მიხედულებაზე. არსებობს კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია შეამციროს სასამართლო ხარჯების ოდენობა. კერძოდ, სსკ 49-ე მუხლის თანახმად სასამართლო ხარჯების ოდენობა განახევრდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მოპასუხემ ცნო სარჩელი, მხარეები მორიგდნენ, გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

§6. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელემ მოიგო პროცესი სახელმწიფო ბაჟის (აგრეთვე სხვა ხარჯების) გადახდა დაეკისრება მოპასუხეს, თუმცა

მოსარჩელეს ბაჟი არ გადაუხდია, რადგან იგი განთავისუფლებული იყო მისი გადახდისაგან. მაგრამ თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ე.ი. მოპასუხემ მოიგო პროცესი, მაშინ მოპასუხეს ვერ დაეკისრება ბაჟის გადახდა. მისი გადახდა ვერც მოსარჩელეს დაეკისრება, რადგან იგი განთავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან. რაც შეეხება სხვა ხარჯებს, რომლებიც მოპასუხის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი, მათი გადახდა მოსარჩელეს დაეკისრება.

ცხადია, რომ მხარეთა შორის ხარჯების განაწილება, ერთი მხარის მიერ გაწეული ხარჯების მეორე მხარეზე გადაკისრება უნდა მოხდეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დააკმაყოფილა ან უარი უთხრა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება სასამართლო ხარჯების განაწილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისა და მხარეთა მორიგების შემთხვევაში.

სარჩელზე უარისთქმა შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ყველა შემთხვევაში ასეთი უარის შედეგად მოპასუხეს არ ეკისრება იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მოსარჩელემ გასწია. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება – ესაა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარისთქმა იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ. მაგრამ აქ აუცილებელია ერთი პირობა; მოსარჩელის თხოვნა, რომ ეს ხარჯები და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს მოპასუხეს. თუ ასეთი თხოვნა არ არსებობს, სასამართლო თავისი ინიციატივით ამას ვერ გააკეთებს.

მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ერთმანეთში შეთანხმდნენ სასამართლო ხარჯების განაწილების წესზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის. თუ მხარეები არ შეთანხმებულან, მაშინ სასამართლომ თვითონ თავისი ინიციატივით უნდა გაანაწილოს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

სარჩელზე უარისთქმისა თუ მხარეთა მორიგების გამო სასამართლოს გამოაქვს განჩინება (272-ე და 273-ე მუხლები), რომელშიაც უნდა ჩაიწეროს, თუ რომელ მხარეს რა ხარჯები და რა ოდენობით უნდა დაეკისროს.

არ არის გამორიცხული, რომ მხარემ მიმართოს სასამართლოს ხარჯების განაწილების შესახებ მას შემდეგ, როცა სასამართლომ უკვე გამოიტანა განჩინება, რომელშიც არაფერია ნათქვამი ხარჯების განაწილების თაობაზე. მაშინ სხვა გზა არაა, სასამართლომ სსკ 261-ე მუხლის ანალოგიით უნდა

გამოიტანოს დამატებითი განჩინება და განსაზღვროს თუ რომელმა მხარემ რა ხარჯები უნდა გასწიოს.

სსკ 53-ე მუხლი განსაზღვრავს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, როცა გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც ასეთი ხარჯები გასწია. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს წესი, რომლის თანახმად, თუ სარჩელი მთლიანად კი არა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯები დაეკისრება მეორე მხარეს იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

წარმომადგენელში იგულისხმება არა მარტო ადვოკატები, არამედ პირები, რომლებიც შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე (94-ე მუხლი) ახორციელებენ წარმომადგენლობას. აქ უწინარეს ყოვლისა, მხედველობაშია, საქართველოში ფართოდ გავრცელებული იურიდიული ფირმების თანამშრომლები, აგრეთვე პირები, რომლებიც ასეთ ფირმებში არ ირიცხებიან, მაგრამ მინდობილობით და გარკვეული საზღაურით წარმომადგენლად გამოდიან სასამართლოში.

კანონი განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს: დავის საგნის ღირებულების 4% (სსკ 47 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს თვითონ შეუძლია თავისი შეხედულებით – გონიერულ ფარგლებში, განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრის ასეთი წესი ქმნის ამ ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც საბოლოო ანგარიშში იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

ნებისმიერი განჩინება, გამოტანილი სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებულ საკითხებზე, გარდა ისეთი საკითხებისა, რომლებიც პროცესის ბოლოს – სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გადაწყდეს, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. თუ ხარჯების განაწილება გადაწყვეტილებითაა განსაზღვრული, მაშინ მხარეებს შეუძლიათ ეს გაასაჩივრონ ამ გადაწყვეტილებასთან ერთად.

სასამართლო მტკიცებულებათა ძირითადი
საკითხები

§1. ფაქტების დამტკიცების აუცილებლობა.
სასამართლო მტკიცების ცნება.⁶¹

ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. მაგალითად, აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შესახებ. ცხადია, უნდა დამტკიცდეს ხელშეკრულების დადების ფაქტი, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კონკრეტული ვალდებულის შინაარსი (ხასიათი), ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა და მისი

⁶¹ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში, მტკიცებულებათა თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გაშუქების დროს ფართოდ გამოიყენება ტერმინები და ცნებები, რომლებიც ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობენ, რომლებიც ასეთივე სახით შენარჩუნებულია თანამედროვე ევროპულ და, მათ შორის ქართულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში. ეს ტერმინებია: მტკიცებულება (доказательство, Beweis); მტკიცება ანუ სასამართლო მტკიცება (доказывание, Beweisführung); მტკიცების საგანი ანუ დამტკიცების საგანი (предмет доказывания, Beweisgegenstand); მტკიცების საშუალება (средство доказывания, beweismittel); მითითების ტვირთი (время утверждения, Behauptungslast), ზოგჯერ ამ ცნების აღსანიშნავად იყენებენ ლათინურ ტერმინს; Onus proferendi; მტკიცების (დამტკიცების) ტვირთი (время доказывания, beweislast), ზოგჯერ ამ ცნების აღსანიშნავად იყენებენ ლათინურ ტერმინს: Onus probandi.

ამ ტერმინებით ვისარგებლებთ ჩვენც მტკიცებულების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გაშუქებისას.

იხ. იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი). შემდგენელები გ. ჟვანია, დ. ფურცელაძე, პ. ჭავჭავაძე, თ. წერეთელი. მთავარი რედაქტორი თ. წერეთელი. თბილისი, 1963 წელი.

ნებაყოფლობით შეუსრულებლობა. თუ სარჩელი აღძრულია ზიანის ანაზღაურების შესახებ, საჭიროა დადგინდეს ზიანის მიყენების ფაქტი, ზიანის ოდენობა, ზიანის მიმყენებლის ვინაობა, ანუ მიზეზობრივი კავშირი ზიანის მიმყენებლის მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი.

ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით. ამ თვალსაზრისით სასამართლო მტკიცება შემეცნების ერთ-ერთი სახესხვაობაა, რადგან იგი ხორციელდება საერთო გნოსეოლოგიურ კანონზომიერებათა შესაბამისად. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული დებულება, რომლის თანახმად სასამართლოში საქმეთა განხილვისას უნდა იქნეს დადგენილი ფაქტიური გარემოებები, ემყარება იმ დებულებას, რომ ადამიანის ცნობიერებას სინამდვილის შეცნობის უნარი გააჩნია.

ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. კანონმდებლობით კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვანადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მაგალითად, მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვანადობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მას თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ამასთან ერთად, ფაქტების დადგენა, მათი შემეცნება, როგორც სწორად მიუთითებს კ. ბაქრაძე, შეიძლება ორგვარი იყოს: უშუალო და შუალობითი. უშუალო ცოდნა დაკავშირებულია შეგრძნებასთან, აღქმებთან, იმასთან, რასაც

ჩვენ ვხედავთ, ვისმენტ, ვცნოსავთ, შევეხებით და ა.შ. ასეთია ჩვენი ცოდნა, მაგალითად, იმის შესახებ, რომ „ღღეს კარგი დარია“, „ჰაერში აგდებული ქვა ჩამოვარდა“, „აქტრე პავლეს გვერდით ზის“ და სხვ. უშუალო ცოდნა ეყრდნობა ცოცხალ განჭვრეტას, რომელიც გვაძლევს ცოდნას სინამდვილის მოვლენების გარეგანი, ზედაპირული თვისების შესახებ.⁶²

მაგრამ, როცა ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, გარემოების დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია, მაშინ მიმართავენ ე.წ. შუალობით შემეცნებას, რომლის დროს ჯერ წინასწარ ვადგენთ გარკვეულ გარემოებებს, ხოლო შემდეგ მათი მეშვეობით ჩვენთვის საინტერესო სხვა გარემოებებს.

სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს (ე.წ. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძნობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გამუაღებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ გარემოებათა დადგენის წესს. ამასთან, კანონმდებელი მთელ რიგ სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, მხედველობაში იღებს თვით დასადგენი გარემოების ზასიათს და მისი შემეცნების ფორმების თავისებურებას. მაგალითად, თუ დასადგენ გარემოებას ადგილი აქვს ამჟამად, ანუ სასამართლოში საქმის განხილვის მომენტში და, ამასთან ერთად, მისი გრძნობადი აღქმა შესაძლებელია, პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ფაქტის ასეთი გზით დადგენის შესაძლებლობას და წესს. კერძოდ, სსკ 120-ე მუხლი ითვალისწინებს ადგილზე დათვალიერებას, რომელსაც აწარმოებს საქმის განმხილველი სასამართლო. ადგილზე დათვალიერების შედეგები შეიტანება ოქმში, რომელსაც შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან დამოწმებული გეგმები, ნახაზები, სურათები და სხვა. სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გრძნობადი აღქმის გზით დადგენის დასაშვებობა შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ ასეთი აღქმისას საჭირო არ არის ლოგიკური, აზრობრივი პროცესების ჩარევა, რადგან ემპირიულ საფეხურზე ხდება. ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია. ეს ფაქტი ერთნაირად აღიქმება როგორც სასამართლოს მიერ, ისე ადგილზე

⁶² კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თ. ბ. 1955, გვ. 16

დათვალიერებაში მონაწილე პირების მიერ, რის გამოც მათ არ შეიძლება დაებადოთ ეჭვი აღქმის ადეკვატურობაში აღსაქმელ საგანთან. როგორც სწორად მიუთითებს დ. უზნაძე, არასდროს ადამიანის ფსიქიკა ისე ახლოს არ დგას სინამდვილესთან, როგორც აღქმის შემთხვევაში, აქ სინამდვილე პირდაპირ მოქმედებს ჩვენზე და აღქმამ მისი მაქსიმალურად უშუალო ასახვა უნდა მოგვცეს.⁶³

ამასთან ერთად, ცნობილია ისიც, რომ გრძნობადი აღქმის შესაძლებლობები შეზღუდულია, რომელიც ძირითადად განპირობებულია თვით გრძნობის ორგანოების ბუნებრივი შესაძლებლობებით. მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია გავიგონოთ ძლიერი მაგრამ ჩვენგან გარკვეული მანძილით დაშორებული ხმა. შეზღუდულია აგრეთვე მხედველობითი აღქმა და ა.შ. ადამიანი, მართალია შეზღუდულია თავისი გრძნობის ორგანოების ფიზიოლოგიური საზღვრებით – წერს კ. მეგრელიძე – მაგრამ ამის გამო სავსებით არ არის შეზღუდული თავის შემეცნებაში. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ის აფართოებს თავის აღქმას და შემეცნებას დაუსრულებლად, ბუნებრივი შესაძლებლობების ფარგლებს იქით.⁶⁴

შეუძლია თუ არა სასამართლოს გამოიყენოს უშუალო აღქმის დროს ტექნიკური შესაძლებლობები (მოწყობილობები)? ამ საკითხზე საუბარი გვექნება ქვემოთ. აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სწორედ უშუალო აღქმის შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო შემეცნების მთავარი გზა აზროვნებაა, რაც სინამდვილის გაშუალებულ ასახვას წარმოადგენს.

სასამართლო მტკიცება, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის პროცესი, სწორედ გაშუალებული ასახვაა სინამდვილისა.

სასამართლო წარმოებაში არა მარტო უშუალო შემეცნება, არამედ მტკიცების პროცესი როგორც გაშუალებული შემეცნება საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსკ 102-ე მუხლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“. როგორც ვხედავთ, კანონი განსაზღვრავს თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე თუ რომელ მხარეს ეკისრება მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოში, რომელი ფაქტები არ საჭიროებენ დაამტკიცებას,

⁶³ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ. 1940. გვ. 463.

⁶⁴ კ. მეგრელიძე. აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები. თბ. 1965 წ. გვ. 218.

მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლო (საპროცესო) მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, თუ ვინ არის სასამართლო მტკიცების სუბიექტი. სასამართლო მტკიცების სუბიექტებად სამოქალაქო პროცესში გვევლინებიან მხარეები, ანუ მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თანამონაწილეები, ანუ თანამოსარჩელები და თანამოპასუხეები.

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს აგრეთვე, თუ რა შინაარსისაა სასამართლო მტკიცება. მისი შინაარსი მთლიანად ამოიწურება საქმიანობით, რომლის მიზანია მტკიცებულებათა შეგროვება, სასამართლოში წარდგენა, შემოწმება (გამოკვლევა) და შეფასება. მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა ევალუა მხარეებს, ისინი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით შეიძლება გამოითხოვოს სასამართლომაც, მაგრამ მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობისა და სარწმუნოების თვალსაზრისით შეუძლია მხოლოდ საქმის განმხილველ სასამართლოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების სუბიექტი მოწოდებულია შეასრულოს ფუნქცია, რომელიც მისთვისაა განსაზღვრული კანონით.

ბოლოს, ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ მტკიცების მიზნით შესრულებული საქმიანობა მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით: მტკიცებულებათა წარმოდგენა, შეგროვება და შემოწმება, ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე მტკიცებულებათა შეფასების მხოლოდ ზოგად წესს რადგან შეფასება ეფუძნება აზროვნების ობიექტურ კანონებს, რომლებსაც სწავლობს ლოგიკა და რომლებიც არ საჭიროებენ სამართლებრივ რეგულირებას.⁶⁵

⁶⁵ აზროვნების ობიექტური კანონები, ისე როგორც ყოველგვარი სხვა ობიექტური კანონი საერთოდ, არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე. იურიდიული კანონი კი პირიქით გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს და მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე. ამასთან ერთად, სამართალს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მხოლოდ ადამიანის ნებაზე და შეგნებაზე, მაგრამ მას არ შეუძლია შეცვალოს, გარდაქმნას გააუქმოს ობიექტური კანონები. პირიქით, სამართალი

§2. მტკიცების საგანი

I. მტკიცების საგნის ცნება და განსაზღვრის კრიტერიუმი

სასამართლო მტკიცება, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს სასამართლოსა და მხარეთა საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. მაშასადამე, იმისათვის, რომ განახორციელო მტკიცებულებითი საქმიანობა წინასწარ უნდა იცოდე რომელი ფაქტების დადგენა-დამტკიცების მიზნით ახორციელებ ამ საქმიანობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია დამტკიცო თუ არ იცი რა უნდა დამტკიცო. ის, რისი დამტკიცება – დადასტურების მიზნითაც ხორციელდება მტკიცებითი საქმიანობა არის მტკიცების საგანი.

ამ საკითხის კიდევ უფრო ნათელსაყოფად შეიძლება შედარებისათვის მივმართოთ ფორმალური ლოგიკის ანალოგიურ ინსტიტუტს, რომელსაც დასაბუთების (მტკიცების) თეზისს უწოდებენ. დასაბუთების ცნების არსიდან ჩანს, რომ დასაბუთება გულისხმობს გარკვეულ მსჯელობას, რომლის გამართლება არის საჭირო, შეუძლებელია დასაბუთების წარმოება, თუ წინასწარ არ ვიცით ის მსჯელობა, რომლის დასაბუთება გვინდა. აი ეს დასაბუთებელი დებულება არის დასაბუთების თეზისი, რომლის გამართლება არის საჭირო. ამ თეზისის ჭეშმარიტობის თუ მცდარობის გამოკვლევა წარმოადგენს ყოველი დასაბუთების მიზანს.⁶⁶

კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვა და გადაწყვეტა ყოველთვის დაკავშირებულია ისეთი ფაქტების დადგენის აუცილებლობასთან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავიანთი ხასიათითა და შინაარსით, ისე იმ შედეგებით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი. მაგალითად, ჯერ კიდევ სარჩელის მიღების დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს ისეთი გარემოებების არსებობა ან არარსებობა, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი შედეგი, როგორიცაა მაგალითად სარჩელის უმოძრაოდ დატოვება, სარჩელის მიღება განსახილველად (დასაშვებობა), სარჩელის განუხილველად დატოვება და ა.შ. ასეთი ფაქტების დადგენაზე არაა დამოკიდებული საქმის არსებითად სწორად განხილვა და

უნდა შემუშავდეს ამ ობიექტური ეკონომიკური თუ სხვა კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით. დაწერილებით იხ. თ. ლილუაშვილი. სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა. გ-ბა „მეცნიერება“, 1985.

⁶⁶ კ. ბაქრაძე. ლოგიკა, თბილისი, 1953, გვ. 447-448.

სწორად გადაწყვეტა. ისინი მხოლოდ სამოქალაქო საქმის განხილვის, სამოქალაქო პროცესის აღმოცენებისა და განვითარების წინაპირობებია, რომლებსაც სარჩელის უფლების წინაპირობებსაც უწოდებენ. მაგალითად, სასამართლომ ჯერ კიდევ სასარჩელო განცხადების მიღების დროს უნდა დაადგინოს ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლო ორგანოების განხილვას (საქვეუწყებობა), ხომ არ ყოფილა იგივე სარჩელი განხილული და გადაწყვეტილი ადრე, არის თუ არა ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი, ქმედუნარიანია თუ არა განცხადების შემომტანი პირი. სსკ 180-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება მიიღოს სასამართლომ განსახილველად, თუ მოსარჩელეს აქვს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებს კანონი უკავშირებს მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივ შედეგს, კერძოდ სარჩელის მიღებას განსახილველად, თუ არსებობს ამისათვის კანონით გათვალისწინებული ყველა პირობა, ან სარჩელის მიღებაზე უარისთქმას, თუ ასეთი პირობები არ არსებობს.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადებითად იქნება გადაწყვეტილი სარჩელის დასაშვებობის საკითხი და იგი მიღებული იქნება წარმოებაში სასამართლოს მიერ, წამოიჭრება მეორე საკითხი – რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს არსებითად სწორად გადაწყვეტოს საქმე, გამოიტანოს სწორი გადაწყვეტილება.

ეს ფაქტები, შეიძლება ითქვას, სხვა სიბრტყეზე მდებარე ფაქტებია, რომლებსაც უკავშირდება სხვა ხასიათისა და შინაარსის შედეგები; ესენია მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები, რადგან მათ უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის, ან მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებულად ცნობა და დაკმაყოფილება, ან ასეთ დასაბუთებულობაზე და დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმის მიხედვით დამტკიცდა თუ არა ამ მოთხოვნის (შესაგებლის) საფუძველში მითითებული ფაქტები.⁶⁷

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტებისა, სამოქალაქო პროცესში საჭიროა დადგინდეს და დადასტურდეს აგრეთვე მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის

⁶⁷ მოპასუხის შესაგებელი შეიძლება იყოს პროცესუალურ სამართლებრივი ხასიათის, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ არ აღმოცენდეს და არ განვითარდეს პროცესი. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი, რომელიც მიმართულია მოსარჩელის მატერიალური მოთხოვნის გაქარწყლებისაკენ. (დაწერილებით იხ. თავი XI, §1).

მქონე ფაქტების, ანუ მთავარი, საძიებელი ფაქტების არსებობა-არარსებობის დამტკიცება. ამ ფაქტებს სხვანაირად მტკიცებულებით ფაქტებს (მტკიცებულებებს) უწოდებენ. მაგალითად, მოწმე ადასტურებს, რომ იგი ესწრებოდა მოპასუხის მიერ სესხის ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, რომ მოსარჩელემ მისი თანდასწრებით მიუთვალა და გადასცა მოპასუხეს 1000 ლარი, რომ მან დაინახა თუ როგორ დაეჯახა მოპასუხის ავტომანქანა ქუჩაში დაყენებულ მოსარჩელის მანქანას და დაამსხვრია იგი და ა.შ. ყველა ამ და სხვაგვარ ფაქტებს აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რომლებიც ადასტურებენ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, როგორცაა სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სესხის სახით გარკვეული ოდენობის თანხის გადაცემის ფაქტი, ზიანის მიყენების ფაქტი და ა.შ.

მაგრამ, სანამ მტკიცებულებითი მნიშვნელობის ფაქტები იქნებოდეს გამოყენებული მთავარი (საძიებელი) ფაქტების დასადგენად, ისინი ჯერ თვითონ უნდა იქნან დადგენილი მტკიცების საშუალებებით, როგორცაა მოწმის ჩვენება, წერილობითი მტკიცებულება, ექსპერტის დასკვნა და ა.შ.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნან სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ფაქტები, როგორცაა:

1. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარისთქმა);

2. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა);

3. მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

პირველი, რომელზეც უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, მდგომარეობს იმაში, რომ ამ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის ფაქტების ერთმანეთში არევა, რასაც სამწუსხაროდ ადგილი აქვს არამართო სასამართლო პრაქტიკაში, არამედ საქართველოს სამოქალაქო პროცესის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურაში, ყოვლად დაუშვებელია და შეიძლება მძიმე პრაქტიკული შეცდომების საბაბი გახდეს.

არ შეიძლება მაგალითად მტკიცებულებები ან მტკიცებითი ფაქტები ვუწოდოთ ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნას, ანუ სარჩელის საფუძვლის ფაქტებს, აგრეთვე, შესაგებლის დასაბუთების მიზნით

მითითებულ ფაქტებს. საქმე ისაა, რომ მტკიცებულებით ფაქტებს, მტკიცებულებებს, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით მათი უტყუარობის (სარწმუნობის) თვალსაზრისით. რაც შეეხება სარჩელის (შესაგებლის) საფუძვლის ფაქტებს, ანუ მთავარ საძიებელ ფაქტებს, მათ სასამართლო აფასებს არა შინაგანი რწმენით, არამედ კანონის (მატერიალურ სამართლებრივი ნორმის) საფუძველზე. ამ მთავარი ფაქტების ასეთნაირ შეფასებას სამართლებრივ შეფასებასაც უწოდებენ. მათი შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით უეჭველად გადააქცეულა მოსამართლეს არამართო სამართალშემაფარდებელ, არამედ სამართალშემოქმედ პირად, რაც ჩვენი კანონმდებლობით და მისი გამოყენების პრაქტიკით ყოველად დაუშვებელია.

მეორე – რასაც აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება, მდგომარეობს იმაში, რომ ამ სხვადასხვა ხასიათის ფაქტების გაერთიანება ერთი საპროცესო კატეგორიის ქვეშ, რომელსაც მტკიცების საგანი ეწოდება – პრაქტიკულად მიზანშეუწონელია, საქმე ისაა, რომ თუ მტკიცების საგნის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ იმას, რაც უნდა გაირკვეს და დადასტურდეს პროცესში საერთოდ, მაშინ ცხადია მტკიცების საგანში შევა ყველა ის ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა დადგენისა და გამოკვლევის აუცილებლობაც წარმოიშობა საქმეთა განხილვის დროს. ასეთ ვითარებაში მტკიცების საგნის წინასწარ ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელი იქნება, რადგან არავინ არ შეიძლება იცოდეს რომელი მტკიცებულებითი ფაქტის დადასტურების, ან რომელი პროცესუალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტის გარკვევის აუცილებლობა წარმოიშობა საქმის განხილვის ამა თუ იმ სტადიაზე. ასეთ ვითარებაში მტკიცების საგანი, როგორც პროცესის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, კარგავს ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას: იგი ელარ შეასრულებს მისთვის ჩვეულ ორიენტირის როლს, რომელიც მიმართულებას აძლევს სასამართლოს, თუ საით უნდა წარმართოს თავისი გამოკვლევა.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით.

იბადება პრაქტიკული კითხვა: რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას?

სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის

მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელესათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა ითქვას მოპასუხის მატერიალურ სამართლებრივ შესაგებელზე. ვინ უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა?

ამ საკითხზე დაწვრილებით საუბარი გვექნება მომდევნო პარაგრაფში, რომელიც ეხება ფაქტების მითითების ტვირთს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხარეებს აქვთ სრული უფლება მიუთითონ ნებისმიერ ფაქტებზე, რომლებიც მათი აზრით ასაბუთებენ მოთხოვნას (შესაგებელს). ამ თვალსაზრისით ისინი არაფრით შეზღუდულნი არ არიან.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შედის თუ არა მხარეთა მიერ დასახელებული ყველა ფაქტი მტკიცების საგანში და მაშასადამე, სასამართლომ უნდა მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს ყველა ამ ფაქტის დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი მტკიცებულება?

ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. მხარეთა თავისუფლება თვითონ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, არ ზღუდავს და ვერც შეზღუდავს სასამართლოს არ შეიტანოს მტკიცების საგანში ისეთი ფაქტები, რომლებზეც მართალია მიუთითებენ მხარეები, მაგრამ სინამდვილეში არანაირი მნიშვნელობა მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთებისათვის არ აქვს. უფრო მეტიც, მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სამართლებრივი შეფასების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო არამარტო უფლებამოსილია, არამედ მოვალეცაა მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს მისცეს სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეუძლიათ ამ ფაქტებს მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთება იურიდიულად.

ამრიგად, არაა გამორიცხული მხარეებმა თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასაბუთებისათვის მიუთითონ ისეთ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებსაც სინამდვილეში არანაირი მნიშვნელობა მათი დასაბუთებისათვის არ გააჩნიათ.

მაგალითად: *ა-ნომ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა მოპასუხე ბ-ანისგან სეხის სახით მიცემული თანხის – 10000 ლარის უკან*

დაბრუნება. ამ მოთხოვნას ა-ნი ასაბუთებს იმით, რომ ასესხა ბ-ანის აღნიშნული თანხა გარკვეული დროით, უკვე დადგა ეს დრო, მაგრამ მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა მოპასუხე არ ასრულებს თავის ვალდებულებას – არ აბრუნებს სესხს უკან. ამასთან ერთად, ა-ნიმ მიუთითა, რომ იგი ჩაეარდნილია მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, რის დასადასტურებლადაც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე გამოუძახოს და დაკითხოს მის მიერ დასახელებული მოწმეები.

ცხადია, სასამართლომ არ უნდა შეიტანოს მტკიცების საგანში და მასსადავმ, არ უნდა გამოუძახოს და დაკითხოს მოწმეებს იმ ფაქტის დასადასტურებლად რომ მოსარჩელე ა-ნი მართლა იმყოფება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. საქმე ისაა, რომ ვალდებულების შესრულება არაა დამოკიდებული კრედიტორის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ვალდებულება უნდა შესრულდეს თუ იგი ნამდვილად არსებობს, მიუხედავად კრედიტორის ეკონომიკური მდგომარეობისა. ამიტომ, ამ ფაქტის დადგენას არ აქვს მნიშვნელობა ამ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაეაკეთოთ დასკვნა: სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ აქვთ მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნებს – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

როგორც ვხედავთ, მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატა რომ მიუთითეს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ვერ დაასაბუთებენ იურიდიულად მოთხოვნას (შესაგებელს), შეუძლია და უნდა გამოასწოროს სასამართლომ: მტკიცების საგანში მან უნდა შეიტანოს მხარეთა მიერ მითითებული მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც სამართლებრივად ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს).

ცხადია, რომ თუ სასამართლომ მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს ვერ მისცა სწორი იურიდიული შეფასება, ამას შეიძლება მოჰყვეს არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

მართლაც, სასამართლოს მიერ ფაქტის არასწორი იურიდიული შეფასება, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ სასამართლომ სამართლებრივი მნიშვნელობა

მიანიჭა ფაქტს, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს საქმისათვის მნიშვნელობა (სამართლებრივად უმნიშვნელო ფაქტი). ან კიდევ, სასამართლომ სამართლებრივი მნიშვნელობა არ მიანიჭა მხარეთა მიერ წამოყენებულ ისეთ ფაქტს, რომელსაც სინამდვილეში აქვს მნიშვნელობა გადაწყვეტილებისათვის.

ორივე სახის შეცდომის შემთხვევაში მოსალოდნელია მხოლოდ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მაგრამ, თუ გადაწყვეტილება მაინც აღმოჩნდა სწორი, ეს შეიძლება ბედნიერ შემთხვევას მიეწეროს: არც იურიდიული მეცნიერება და არც იურიდიული პრაქტიკა არ შეიძლება იყოს შემთხვევითობის მომხრე.⁶⁸

მეორე ხასიათის შეცდომა, რომელიც შეიძლება დაუშვან მხარეებმა შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტიურ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმისათვის, სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

მხარეთა მიერ დაშვებულ ამ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსკ მე-4 მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, — ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა,

⁶⁸ აღნიშნული შეცდომების თავიდან აცილებას ბევრად შეუწყობს ხელს რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პ. ბოელინგისა და ლ. ჭანტურიას ზემოთ დასახელებულ წიგნში. ეს წიგნი გვთავაზობს ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებულ მეთოდებს, თუ როგორ უნდა დალაგდეს და დამუშავდეს მხარეების მიერ მითითებული ფაქტები, რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რათა მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს ისინი სასამართლომ. როგორ და რა წესით უნდა შეაფასოს სასამართლომ ფაქტები, შეადგინოს სამართლებრივი დასკვნა და ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილების პროექტი და ა.შ. პ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, დასახ. წიგნი, გვ. 3-84.

რომლის გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ მითითებული ფაქტებიდან რომელს შეუძლია დაასაბუთოს ეს მოთხოვნები და შესაგებელი.

II. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ დამტკიცებას

მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, სასამართლომ ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა გამოყოს ისეთი ფაქტები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ასეთი ფაქტები შედიან მტკიცების საგანში და, მაშასადამე მხოლოდ მათ მიმართ უნდა შეგროვდეს მტკიცებულებები. მაგრამ, მტკიცების საგნის განსაზღვრის მიმართ სასამართლოს საქმიანობა ამით არ მთავრდება. მან სამართლებრივად მნიშვნელოვანი და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებიდან უნდა გამიჯნოს ისეთები, რომლებიც კანონის თანახმად არ საჭიროებენ დამტკიცებას. ასეთი ფაქტების კატეგორიას მიეკუთვნება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და პრეიდიციულად დადგენილი ფაქტები (სსსკ 106-ე მუხლი).

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც სასამართლო ასეთად მიიჩნევს (სსსკ 106-ე მუხლის „ა“ პუნქტი). იმისათვის, რომ ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად იქნეს მიჩნეული არაა აუცილებელი, რომ ამ ფაქტის შესახებ მთელმა კაცობრიობამ იცოდეს. ფაქტის შესახებ შეიძლება ცნობილ იყოს რესპუბლიკის ან ქალაქის თუ რაიონის მასშტაბით. მთავარია, რომ ამ ფაქტის შესახებ იცოდეს არამარტო საქმის განმხილველმა სასამართლომ, არამედ ადამიანთა ფართო წრემ;

თუ ფაქტის შესახებ ცნობილია მხოლოდ რაიონის (ქალაქის) მასშტაბით სასამართლომ უნდა მიუთითოს ამის შესახებ გადაწყვეტილებაში, რათა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ შეძლოს ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების სისწორის შემოწმება.

ბ) პრეიდიციალურად დადგენილია ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ ამ საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობენ.⁶⁹

პრეიდიციალურად დადგენილი ფაქტები უკავშირდება როგორც სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, ისე სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, ოღონდ პრეიდიციულობის ფარგლები განსხვავებულია. კერძოდ, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღარ

⁶⁹ პრეიდიცია (preiudicium) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინასწარ გადაწყვეტას.

საჭიროებენ დამტკიცებას თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. მაგრამ რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს, მისი პრედიციულობა მთლიანად ამოიწურება ორი ფაქტით: ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი (მაგალითად, ზიანის მიყენებას) და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება პირმა, რომლის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივ შედეგების შესახებ საქმეს იხილავს სასამართლო (მაგალითად, ამ პირის მიერ ზიანის ანაზღაურებას).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სსკ-სი მხოლოდ ამ ორი ფაქტის მიმართ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ისინი არ საჭიროებენ დამტკიცებას. რაც შეეხება უდავო ფაქტებს და პრეზუმფციებს, ამ ფაქტების მიმართ კოდექსი არ შეიცავს ასეთივე მითითებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტები საჭიროებენ დამტკიცებას.

გ) უდავო ფაქტები. იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად მტკიცების საგანში შედიან მხოლოდ სადავო ფაქტები, ანუ ფაქტები, რომლებზეც მხარეები დავობენ.⁷⁰

უდავო ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა შესახებ მხარეები არ დავობენ. მაგრამ თუ მხარე არ დავობს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებული ფაქტის არსებობა – არარსებობის შესახებ, მაშასადამე იგი აღიარებს ამ ფაქტს (მაგალითად, ხელშეკრულების დადების ფაქტს). საქართველოს სსკ-სი ეფუძნება კონცეფციას, რომლის თანახმად ფაქტის აღიარება არის ერთ-ერთი მტკიცებულება, რის გამოც იგი მოთავსებულია სსკ-ის იმ კარში, რომელიც ეძღვნება „სასამართლო მტკიცებულებებს“. ფაქტის აღიარება როგორც მტკიცებულება, არსებითად განსხვავდება სარჩელის აღიარებისაგან (სსკ მე-3 მუხლი). სარჩელის აღიარება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელიც თავის მხრივ მატერიალური სამართლის ფუნდამენტური პრიციპის – პირადი ავტონომიის ანარეკლია, მისი მსგავსი როლის შემსრულებელია პროცესში: მხარეები თითონვე განკარგავენ თავიანთ უფლებებს, თვითონ იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, თვითონვე შეუძლიათ მორიგდნენ, უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი და ა.შ. (სსკ მე-3 მუხლი).

რაც შეეხება ფაქტის აღიარებას, ის არ შეიძლება განვიხილოთ როგორც უფლების თავისუფლად განკარგვის აქტი. ფაქტის აღიარება შეიძლება ემყარებოდეს მხარის რწმენას ამ ფაქტის არსებობის შესახებ. ამით შეიძლება

⁷⁰ W. Lüke. Zivilprozessrecht. München, 1999. s. 209 X. Шак. Международное гражданское процессуальное право. Перевод с немецкого. М. 2001, стр. 324.

იყოს განპირობებული სსკ 133-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეს შეუძლია გააქარწყლოს (უკუაგდოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ. მაგრამ მთავარი აქ ისიცაა, რომ მხარემ შეიძლება აღიაროს ფაქტი (მაგალითად, ხელშეკრულების დადების ფაქტი), მაგრამ არ აღიაროს სარჩელი.

ამრიგად, უდავო ფაქტები – ესენი ფაქტის (და არა სარჩელის) აღიარების ერთ-ერთი სახესხვაობაა. უდავო ფაქტებს უკავშირდება აბსოლუტურად ისეთივე შედეგები, როგორც მხარის მიერ ფაქტის აღიარებას. ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზეპირ ან წერილობით გამოთქმულ აღიარებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში დუმილით გამოთქმულ აღიარებასთან („დუმილი თანხმობის ნიშანია“). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკაში თითქმის ვერ შევხვდებით შემთხვევას, როცა მხარე მხოლოდ დუმილით შემოიფარგლოს და ზეპირად არ განაცხადოს, რომ იგი არ უარყოფს ამა თუ იმ ფაქტს (მაგალითად, ხელშეკრულების დადებას, ზიანის მიყენებას, ნივთის მიღებას და ა.შ.), მაგრამ სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამო არ ცნობს სასარჩელო მოთხოვნას.

ამრიგად, საქართველოს სსკ-ის შესაბამისადაც არ უნდა შეგროვდეს მტკიცებულებები უდავო ფაქტების მიმართ, რადგან ისინი, ისე როგორც ზეპირად თუ წერილობით განცხადებული აღიარება, ითვლებიან დადგენილად (დამტკიცებულად) და სწორედ ამის გამო აღარ საჭიროებენ დამატებითი მტკიცებულებების შეგროვებას.

დ) პრეზუმფციები. იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა აგრეთვე გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ე.წ. პრეზიუმირებული, ანუ ნაყარადევი ფაქტები.

პრეზუმფციების არსისა და მნიშვნელობის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი:

ა) პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. ასეთი ვარაუდი კი, თავის მხრივ, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც წინასწარ ცნობილია ან უნდა დადგინდეს. მაგალითად, მოძრავ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ფაქტი წარმოშობს საკუთრების ვარაუდს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მფლობელი ივარაუდება შესაკუთრედ. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, თუ რა თქმა უნდა ასეთი რეგისტრაცია დადასტურდება, წარმოშობს საკუთრების ვარაუდს. ასევე თუ დადასტურდება, რომ მოსარჩელის ქონება დააზიანა

მოპასუხებ, წარმოიშობა ამ ფაქტის საფუძველზე ვარაუდი, რომ მოპასუხეს მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში და ა.შ. ამ ვარაუდების გასაქარწყლებლად მოწინააღმდეგე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ სადავო ნივთის მესაკუთრე არის არა ის პირი, ვის სასარგებლოთაც მოქმედებს ვარაუდი, არამედ თვითონ, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში და ა.შ.

აბსოლუტურად იგივე წესებს ემორჩილება მხარეთა შორის მტკიცებების ტვირთის განაწილება, რომლის მიხედვით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ნაწილი ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ და ამიტომ ისინი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო თუ მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მაშინ წარმოიშობა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის ვარაუდი მის სასარგებლოდ და, ამიტომ მათ გასაქარწყლებლად მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს გარკვეული ფაქტები.

ყოველივე ეს მხოლოდ იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცებების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცებების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა. მაგალითად, სსკ 158-ე მუხლის თანახმად „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. საკუთრების ამ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ვინმე აღძრავს სარჩელს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ (სკ 172-ე მუხლი), მაშინ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის ამ სადავო ნივთის მესაკუთრე, რადგან მოპასუხე, ე.ი. პირი, რომელიც ფაქტიურად ფლობს ნივთს, ამ ფაქტიური მფლობელობის საფუძველზე ივარაუდება, რომ არის სადავო ნივთის მესაკუთრე და მას არ სჭირდება, ამიტომ, დაამტკიცოს, რომ ნამდვილად არის მესაკუთრე. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს რომ იგი არის სადავო ნივთის მესაკუთრე, მაშინ მოპასუხეს (ფაქტიურ მფლობელს) შეუძლია, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა, დაამტკიცოს, რომ ამ სადავო ნივთს ფლობს მართლზომიერად (სსკ 162-ე მუხლი).

ამრიგად, პრეზუმფციების ანუ პრეზიუმირებული (ნავარაუდები) ფაქტების მიკუთვნება ისეთი ფაქტებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ დამტკიცებას – არასწორია (იხ. §6).

§3. ფაქტების მითითების ტვირთი (onus proferendi)

ამ საკითხს ნაწილობრივ უკვე შევეხეთ, როდესაც ვიხილავდით მტკიცების საგნის საკითხს. აქ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ შემდეგი საკითხები: 1. არის თუ არა ფაქტების მითითების ტვირთი მოვალეობა, თუ ეს არის მხოლოდ უფლება, რომელიც მხარეს შეუძლია არ შეასრულოს; 2. ვის ეკისრება ფაქტების მითითების ტვირთი, ანუ პროცესის რომელი მონაწილეა ფაქტების მითითების ტვირთის სუბიექტები 3. რა იურიდიული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ფაქტებზე მითითების ტვირთის შეუსრულებლობას?

1. არის თუ არა ფაქტების მითითების ტვირთი მოვალეობა. ამ საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებულ ზოგიერთ დებულებას: ამ კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად მოსარჩელემ თავის სასარჩელო განცხადებაში უნდა მიუთითოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, აგრეთვე მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

ამ მუხლის ანალიზი საეხებით საკმარისია იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა: ფაქტების მითითების ტვირთი, რომელიც მხარეებს ეკისრებოდათ, გათვალისწინებული იყო საქართველოს 1964 წლის კოდექსითაც.

ამასთან ერთად, 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად „სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეიტანოს მტკიცების საგანში ისეთი გარემოებებიც, რომლებზეც მხარეები რატომღაც არ მიუთითებენ, მაგრამ ასაბუთებენ (ამართლებენ) მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს და ამიტომ, აქეთ მნიშვნელობა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის. სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ და განუხრელად ატარებდა ამ მოთხოვნებს.

ასეთ პირობებში, ცხადია, საეხებით სწორი იყო ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი, საბჭოთა სამოქალაქო პროცესში არ არსებობდა.⁷¹

⁷¹ თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 1992 წ. გვ. 126.

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. ამ პრინციპის შესაბამისად „მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებები უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“ (სსკ მე-4 მუხლი).

სავსებით ცხადია, რომ მხარეებმა თვითონვე უნდა მიუთითონ, თუ რომელი ფაქტების საფუძველზე აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს, თუ შესაგებელს. ეს წესი შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. მაგრამ შეიძლება თუ არა ფაქტების მითითების ტვირთი განვიხილოთ როგორც მოვალეობა?

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ფაქტების მითითების ტვირთი გულისხმობს, რომ მხარე უფლებამოსილია გამოხატოს თავისი მოსაზრება განსაზღვრულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ მას სურს თავისი უფლებების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ იძულება არ გამოიყენება, თუმცა იგი წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამ მოვალეობებს, რომელთა შესრულება იძულებით არ ხდება, ე.ი. სავალდებულო არ არის, მაგრამ მათი უგულებელყოფა ხშირად მოვალეობის სუბიექტს არახელსაყრელ პირობებში აყენებს, უწოდებენ ფაქულტატურ მოვალეობებს. საპროცესო სამართალში ამგვარ ფაქულტატურ მოვალეობებს განეკუთვნება მითითების ტვირთი.⁷²

სავსებით სწორად მიუთითებენ ავტორები, რომ კანონმდებლობა მართლაც არ ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს თუ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით შეიძლებოდა გვეიძულებინა მხარე მიეთითებინა ფაქტებზე თავის მოთხოვნის დასაბუთება-გამართლების მიზნით. ასეთი იძულება გამორიცხულია, მაგრამ არ არის გამორიცხული და, პირიქით, იგულისხმება, რომ თუ მხარე არ იაქტიურებს და არ მიუთითებს ფაქტებზე თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით, მან შეიძლება წააგოს პროცესი. პროცესის წაგების საშიშროება, მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის საშიშროება უბიძგებს მხარეს, აიძულებს მას იყოს აქტიური, მიუთითოს ყველა იმ ფაქტიურ გარემოებაზე რომლებიც ფაქტობრივად და იურიდიულად გაამართლებენ მის მოთხოვნას (შესაგებელს).

⁷² ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. თბ. 2003 წ. გვ. 30-31.

ამრიგად, იურიდიული ვალდებულება ამ ცნების კლასიკური და ტრადიციული გაგებით, აქ ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობას შეიძლება მოყვეს არახელსაყრელი შედეგი ამ მოვალე სუბიექტისათვის, აქ ნამდვილად გვაქვს.

მტკიცების საგანი ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე განისაზღვრება იმ ფაქტებით, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები. თუ რომელი ფაქტები დაუღონ საფუძვლად თავიანთ მოთხოვნებს – განსაზღვრავენ თვითონ მხარეები. მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყველა იმ ფაქტის მიმართ, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, გამოთხოვილი უნდა იქნეს მტკიცებულება, ანუ ყველა ამ ფაქტის მიმართ წარდგენილი მტკიცებულება უნდა მიიღოს თუ არა სასამართლომ და შეაფასოს იგი?

მხარეები, სსკ მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, თუ მხარის მიერ მითითებული ფაქტი ან ფაქტები ვერ ამართლებენ, ან ვერ ასაბუთებენ იურიდიულად მოთხოვნას (შესაგებელს), სასამართლომ არც უნდა შეიტანოს ასეთი ფაქტი მტკიცების საგანში და არც უნდა მიიღოს ამ ფაქტის დასადასტურებლად მტკიცებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ფაქტების მითითების ტვირთი შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ პირობით, თუ მხარეები თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით უთითებენ სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებზე. არის თუ არა მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები სამართლებრივად მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო, წყვეტს სასამართლო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 170) მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების არასწორ იურიდიულ შეფასებას შეიძლება მძიმე შეცდომა მოყვეს. ფაქტის არასწორი იურიდიული შეფასება შეიძლება შემდეგში გამოიხატოს: სასამართლომ სამართლებრივი მნიშვნელობა მიანიჭა ფაქტს, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს ამ საქმისათვის მნიშვნელობა, ან კიდევ, სასამართლომ სამართლებრივი მნიშვნელობა არ მიანიჭა მხარეთა მიერ მითითებულ ისეთ ფაქტს, რომელსაც სინამდვილეში აქვს მნიშვნელობა ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

§4. ფაქტების დამტკიცების ტვირთი (onus probandi)

1. დამტკიცების ტვირთის ცნება. მტკიცების საგანს მჭიდროდ უკავშირდება მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – დამტკიცების ტვირთი. ეს გასაგებია: მას შემდეგ, რაც სასამართლომ განსაზღვრა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების წრე, გამოყო ამ წრიდან ფაქტები, რომლებზეც არ დაუბინ (აღიარებენ) მხარეები, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და პრეიდიციულად დადგენილი ფაქტები, ე.ი. მას შემდეგ, რაც სასამართლომ განსაზღვრა დასამტკიცებელ გარემოებათა წრე ანუ მტკიცების საგანი მის წინაშე წამოიჭრება სხვა საკითხები, კერძოდ: რა წესით უნდა დამტკიცდეს მტკიცების საგანში შემავალი სადავო ფაქტები? რომელ მხარეს ეკისრება მათი დამტკიცების ტვირთი? რა მოქმედება უნდა შეასრულოს მხარემ დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განსაზღვრის შემდეგ? და ა.შ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ის რაც ითქვა ზემოთ ფაქტების მითითების ტვირთზე როგორც ფაქტობრივ მოვალეობაზე – მთლიანად ეხება და განეკუთვნება დამტკიცების ტვირთსაც, ანუ დამტკიცების ტვირთიც არის მხარის მოვალეობა შეასრულოს გარკვეული მოქმედება.

სანქცია ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის მდგომარეობს იმაში, რომ მხარეს, რომელმაც ეს მოვალეობა არ შეასრულა, დაეკისრება ფაქტის დაუმტკიცებლობის მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი შედეგი: უარის თქმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი, ან სარჩელის დაკმაყოფილება, თუ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა სარჩელის წინააღმდეგ მის მიერ მითითებული შესაგებლის საფუძველი.

მაგრამ, კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) სუბიექტმა, რათა მას არ დაეკისროს ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგი?

პირველი, რაც უნდა გააკეთოს მხარემ დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად – ესაა მტკიცებულებათა წარმოდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება.

მაგრამ, მტკიცებულების წარმოდგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მხარემ უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა და მას აღარ ემუქრება ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები. საქმე ისაა, რომ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ჯერ ერთი, უნდა პასუხობდეს მტკიცებულებათა განკუთვნილობისა და დასაშვებობის კანონით გათვალისწინებული პრინციპების

მოთხოვნებს. თუ ამ მოთხოვნებს პასუხობს სასამართლო მიიღებს ამ მტკიცებულებებს. მეორეც, წარმოდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემობასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. საკითხი იმის შესახებ შეასრულა თუ არა მხარემ მასზე დაკისრებული დამტკიცების მოვალეობა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ, რადგან სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, აქედან გამომდინარე, ფაქტი დამტკიცებულად (დადგენილად) ჩაითვლება, თუ სასამართლო ჩათვლის მას ასეთად, თუ სასამართლო დარწმუნდება ამ ფაქტის არსებობაში. სასამართლოსათვის ასეთი რწმენის შექმნა იმ პირთა მოვალეობაა, რომლებსაც დამტკიცების მოვალეობა ეკისრებათ. გამოდის, რომ მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: დამტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა.⁷³

⁷³ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ობიექტურ და სუბიექტურ დამტკიცების ტვირთს. ობიექტური დამტკიცების ტვირთი განსაზღვრავს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ეს ტვირთი და, მაშასადამე, რომელ მხარეს დაეკისრება არახელსაყრელი შედეგი, თუ ვერ დამტკიცდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი, სუბიექტური დამტკიცების ტვირთი კი განსაზღვრავს რომელ მხარეს ეკისრება მტკიცებულების წარდგენის მოვალეობა. L. Rosenberg, / Schwab / Gottwald/, დასახ. ნაშრომი, გვ. 670. Хаймо шак დასახ. ნაშრომი, გვ. 329-332.

ჩვენი აზრით, ობიექტური და სუბიექტური დამტკიცების ტვირთის გამოიჯენისათვის არ არსებობს საკმაო საფუძველი. მტკიცებულება ფაქტის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს იმ მხარემ, რომელსაც ეკისრება ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფაქტი შეიძლება დადასტურდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებითაც. სასამართლო ცხადია, გამოიყენებს ნებისმიერ მტკიცებულებას, რომლებიც წარმოდგენილია სასამართლოში. მაგრამ, ეს არ ცვლის დამტკიცების ტვირთის იურიდიულ ბუნებას.

§5. დამტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა

I. დამტკიცების ტვირთის სუბიექტები

სამოქალაქო საქმის განხილვაში მონაწილეობენ მოსამართლეები, მხარეები, მესამე პირები, თანამონაწილეები (თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები). წარმოადგენენ თუ არა ისინი დამტკიცების ტვირთის სუბიექტებს, ანუ ეკისრებათ თუ არა მათ მტკიცების საგანში შემავალი სადავო ფაქტების დამტკიცების მოვალეობა?

სასამართლოს (მოსამართლის) შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი მოვალეა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით მიიღოს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, შეამოწმოს და შეაფასოს იგი. მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება წარმოადგენს მტკიცებულებით საქმიანობას და შედიან სასამართლო მტკიცების ცნების შინაარსში. აქედან გამომდინარე, სასამართლო არის მტკიცების, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტი.

მაგრამ სასამართლო არ არის და არც შეიძლება იყოს დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) სუბიექტი. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, ცხადია, არ ვრცელდება თვითონ სასამართლოზე. მასსადამე, სასამართლოზე არ შეიძლება გავრცელდეს ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი მატერიალურ სამართლებრივი შედეგები. სასამართლოს წინაშე ფაქტის დამტკიცების არც აუცილებლობა და არც ამ აუცილებლობით განპირობებული მოვალეობა არ არსებობს.⁷⁴

დამტკიცების ტვირთის სუბიექტები შეიძლება იყვნენ საქმეში მონაწილე ის პირები, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები, ანუ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. ასეთი პირებია უწინარეს ყოვლისა, მხარეები და თანამონაწილეები, კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხე, თანამოსარჩელე, თანამოპასუხე. დამტკიცების ტვირთის სუბიექტებია აგრეთვე მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რადგან, თუ იგი ვერ დაეხმარება მხარეს მოიგოს პროცესი, შემდგომში მის წინააღმდეგ აღძრულ რეგრესული სარჩელის განხილვის დროს მას უფლება აღარ ექნება დაამტკიცოს ფაქტები, რომელთა დაუმტკიცებლობის გამო იმ მხარემ, რომლის

⁷⁴ სამხებრო პრინციპზე აგებულ სამოქალაქო პროცესში სასამართლოს ზოგჯერ განიხილავდნენ როგორც დამტკიცების ტვირთის სუბიექტს.

მხარდასაჭერადაც მონაწილეობდა მესამე პირი პროცესში, წააგო ეს პროცესი.

რაც შეეხება კანონიერ წარმომადგენლებს, როგორცაა მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები, ისინი მოწოდებულნი არიან დაიცვან სასამართლოს მიერ ქმედუნარიოდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული პირების, აგრეთვე მცირეწლოვანებისა და არასრულწლოვანების უფლებები. ამიტომ, ისინი წარმოადგენენ დამტკიცების ტვირთის სუბიექტებს. იგივე უნდა ითქვას იმ პირზე, რომელსაც სამართავად გადაეცა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება, აგრეთვე სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი, როცა მემკვიდრეობა არ მიუღია გარდაცვლილი ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მემკვიდრეს (სსკ 101-ე მუხლი).

რაც შეეხება ნებაყოფლობით წარმომადგენლებს, ისინი ასრულებენ საპროცესო მოქმედებას მარწმუნებლის სახელითა და ინტერესებისათვის. დამტკიცების ტვირთის სუბიექტები სწორედ ეს მარწმუნებლებია და არა მათი წარმომადგენლები.

II. მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართლის პროცესში არ არის წინასწარი მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები. ამიტომ, დამტკიცების ტვირთის დაკისრება საქმეში მონაწილე ერთ რომელიმე პირზე არ იქნებოდა მიზანშეწონილი არც ფაქტის დადგენისა და არც სამართლიანობის თვალსაზრისით. ვერც მოსარჩელე, ვერც მოპასუხე და ვერც თვით სასამართლოც კი, ცალკე აღებული ვერ შეძლებს ყველა იმ გარემოების დამტკიცებას, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნება სამოქალაქო საქმის სწორად გადაწყვეტა. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლის პროცესში ოდითგანვე წარმოებს დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება.

ამ მოსაზრებას ეფუძნება სსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო პროცესში, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო მეორე ნაწილი – მოპასუხემ.

ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების ძალით ერთი მხარე, რომელმაც სრულიად გარკვეული ფაქტები უნდა დაამტკიცოს თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მეორე მხარემ უნდა დაამტკიცოს. ეს

იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომლებიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს.

ამრიგად მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არამართო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო პროცესში.

იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად დამტკიცების ტვირთი მნიშვნელობას იძენს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა-დამტკიცება. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულების საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა ფაქტი დამტკიცებულად. მაგრამ, როდესაც ფაქტი ვერ იქნა დამტკიცებული, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრებოდა ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი და ისე გამოითანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.⁷⁵

აქ ჩამოყალიბებულ მოსაზრებაში არაფერი არაა მცდარი, მაგრამ, არაა სრულად განსაზღვრული დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების მნიშვნელობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვექონდა საუბარი და აქ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტი სტიმულს აძლევს მხარეთა აქტიურობას მოიძიონ და წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები იმ ფაქტების დასამტკიცებლად (დასადგენად) რომელთა დამტკიცების მოვალეობა მათ ეკისრება. ასეთია დამტკიცების ტვირთის განაწილების საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არამართო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარა წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას წარმოუდგინონ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები, დამტკიცონ შესაბამისი ფაქტები.

⁷⁵ J. ბოლინგი, ლ. ჭანტურია. დასახ. ნაშრომი, გვ 63.

§6. დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლები. პრეზუმფციის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში

დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების მნიშვნელობიდან გამომდინარე სავესებით ცხადია, რომ შეცდომას ამ ტვირთის განაწილებაში, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამტკიცების ტვირთის დაკისრებას იმ მხარეზე, რომელსაც სინამდვილეში არ ეკისრება მისი დამტკიცება, შეიძლება მოყვეს არასწორი და უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად განაწილების ასეთი მნიშვნელობით შეიძლება აიხსნას ნაშრომების სიმრავლე, რომლებიც ამ პრობლემას ეძღვნება. წამოყენებული იქნა მრავალი თეორია, საფუძვლები, კრიტერიუმი, რომელთა მომარჯვებით, როგორც ამას მათი ავტორები გვთავაზობენ, შეიძლებოდა დამტკიცების ტვირთის სწორად განაწილება მხარეთა შორის.⁷⁶

დამტკიცების ტვირთის პრობლემა არაა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრობლემა. ეს პრობლემა დგას, მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესშიც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლით დამკვიდრებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ პრეზუმფციიდან გამომდინარე „არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“ (მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პროცესუალური მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება დამტკიცების ტვირთის დაკისრებით: რახან ყოველი ადამიანი იგულისხმება უდანაშაულოდ, მაშინ ის, ვინც მას დებს ბრალს დანაშაულის ჩადენაში, მოვალეა დაამტკიცოს ეს ბრალეულობა. ეს სავესებით გასაგები და ცხადია: პირი, რომელსაც დებენ ბრალს დანაშაულის ჩადენაში, ისედაც იგულისხმება როგორც არაბრალეული და უდანაშაულო, მას არ სჭირდება ამტკიცოს ის, რაც ისედაც, ე.ი. დამტკიცების გარეშე, იგულისხმება (ითვლება, ივარაუდება).

⁷⁶ იხ. თ. ლილუაშვილი. მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში (რუსულ ენაზე). თბ. 1957 წელი

პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალშიც მოქმედებენ, მაგრამ აქ არ გვაქვს წინასწარი გამოძიების ორგანოები და არ გვეყავს ბრალმდებელი და ბრალდებული. ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა პრეზუმფციების გამოყენების თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში.

ისე როგორც სისხლის სამართლის პროცესში, სამოქალაქო პროცესშიც, პრეზუმფციების პროცესუალური მნიშვნელობა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებით ამოიწურება. თავისებურება სისხლის სამართლის პროცესთან შედარებით განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო პროცესში არის ორი თავისი ინტერესებით ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე და არ არის არც ბრალმდებელი და არც ბრალდებული, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოები.

ამიტომ, ბუნებრივია, ნაწილი მტკიცების საგანში შემაჯავლი სადავო ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ნაწილი კი მოპასუხის სასარგებლოდ. ფაქტები, რომლებიც ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ (რაც იმასაც ნიშნავს, რომ მოპასუხე თავისუფალია ამ ფაქტების დაამტკიცებისაგან), ხოლო ფაქტები, რომლებიც ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ (რაც იმასაც ნიშნავს, რომ მოსარჩელე თავისუფალია ამ ფაქტების დაამტკიცებისაგან).

ახსოვლუტურად იმავე წესებს ემორჩილება მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილება. ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ნაწილი ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ და, ამიტომ, ისინი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო თუ მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მაშინ წარმოიშობა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის ვარაუდი მის სასარგებლოდ და ამიტომ, მათ გასაქარწყლებლად (უარსაყოფად) მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს გარკვეული ფაქტები.

ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამტკიცებისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების წესს. ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან განთავისუფლება წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ ამ ტვირთის განაწილების შედეგს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს დამტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და მტკიცების ტვირთის გამოხატვის სხვა ფორმებს შორის, რომლებსაც იცნობს მატერიალური სა-

მართალი, პრეზუმფციები ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმაა.⁷⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია ისიც, რომ პრეზუმფციები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გამონაკლისი დამტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების საერთო წესიდან, როგორც ამას გვთავაზობს ფართოდ გავრცელებული და გაბატონებული შეხედულება. ასეთი შეხედულება არამარტო მცდარია, არამედ დიდ უხერხულობასაც ქმნის: გამოდის, რომ სამოქალაქო მატერიალური სამართალი და საერთოდ კერძო სამართალი, მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რომ ჩამოაყალიბოს გამონაკლისები დამტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესიდან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო სამართალმა არ იცის პრეზუმფციების, ანუ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. რიგ შემთხვევაში კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე თუ რომელი ფაქტების არსებობის საფუძველზე, ან რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგჯერ კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, თუ რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაადგინოს.

ასეთი ვითარება გვიკარნახებს გავარკვიოთ თუ რა მოსაზრებით შეიძლება ეხელმძღვანელა კანონმდებელს იმ შემთხვევაში, როდესაც აყალიბებდა პრეზუმფციებს, ანუ განსაზღვრავდა რომელმა მხარემ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტი უნდა დაამტკიცოს.

იმ ნორმების ანალიზი, რომლებიც შეიცავენ პრეზუმფციებს, ანუ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების წესებს, საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ კანონმდებელი ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს.

⁷⁷ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა იცნობს დამტკიცების ტვირთის გამოხატვის სხვა ფორმებსაც, მაგალითად, სკ 1012-ე მუხლის თანახმად, „უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს“. იმალება კითხვა: რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს დაზარალებულმა? ფაქტები, რომლებიც იწვევენ პროდუქციის მწარმოებლის პასუხისმგებლობას, თუ ფაქტები, რომლებიც ათავისუფლებენ მას ასეთი პასუხისმგებლობისაგან? (სკ 1009-ე მუხლი). ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა სკ 1009-ე და 1011-ე მუხლების ანალიზი. პრეზუმფციების დროს ასეთი რთული ანალიზი საჭირო არაა.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნება ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცება-დადასტურება და რომელი მხარისათვის მისი დამტკიცება საერთოდ შეუძლებელი იქნება.

აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას მტკიცების საგანში შემაჯავალი ფაქტის დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. მაგალითად, დამტკიცოს ხელშეკრულებითი ურთიერთობის წარმოშობის ფაქტი (ვთქვათ, სესხის მიცემის ფაქტი), გაცილებით უფრო ადვილია მოსარჩელისათვის (გაშესხებლისათვის), ვიდრე მოპასუხისათვის დამტკიცოს, რომ ხელშეკრულებითი ურთიერთობის წარმოშობის ფაქტს ადვილი არ ჰქონია. მაგრამ იმის დამტკიცება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა (ვთქვათ, დააბრუნა სესხი), გაცილებით უფრო ადვილია თვით მოპასუხისათვის, ვიდრე მოსარჩელისათვის იმის დამტკიცება, რომ მოპასუხეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (მაგალითად არ დაუბრუნებია ვალი).

ხელშეკრულებით ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებლობით გამოწვეულ სარჩელებში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, ანუ მას ეკისრება დამტკიცების ტვირთი იმ ფაქტებისა, რომ ასეთი ურთიერთობა არსებობს, დადგა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დრო, ხოლო თუ მოპასუხე არ ცნობს ასეთი ურთიერთობის წარმოშობას, მან უნდა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებიც კანონის თანახმად აბრკოლებენ ურთიერთობის წარმოშობას (მაგალითად, გარიგება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს (სკ 54-ე მუხლი) ან კიდევ, იგი დადებულია ნებართვის გარეშე, როცა კანონი ასეთ ნებართვას მოითხოვს (სკ 59-ე მუხლი და ა.შ.). შეიძლება მოპასუხემ არ უარყოს და არ გაილაშქროს ხელშეკრულებითი ურთიერთობის წარმოშობის წინააღმდეგ, მაგრამ წამოაყენოს შესაგებელი, რომ მოსარჩელის მიერ მისთვის გადაცემული ნივთი არ არის ნივთობრივად უნაკლო (სკ 487-ე მუხლი). ნივთის ნივთობრივად ნაკლოვანების ფაქტის დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

სხვა შემთხვევებში კანონმდებელი ხელმძღვანელობს საზოგადოების რეალური სინამდვილისა და რეალური ურთიერთობის განზოგადებული დასკვნებით, სინამდვილის მუდმივად განმეორებადი ფაქტებით. შესაბამისად კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს თუ რომელი ფაქტების არსებობისას შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა სხვა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ. მაგალითად, სკ 1007-ე მუხლის თანახმად სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას

პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს საერთო საფუძვლებით. „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“. როგორც ვხედავთ, პირმა, რომელიც მიმართავს სასამართლოს ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უნდა დაამტკიცოს მისი ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და სამედიცინო დაწესებულების მოქმედებას შორის და ზიანის ოდენობა. ეს პირი, ე.ი. მოსარჩელე, არაა ვალდებული დაამტკიცოს, რომ სამედიცინო დაწესებულებას მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში, რადგან მისი ბრალი ივარაუდება, მაგრამ კანონი უშვებს შესაძლებლობას ამ ვარაუდის გაქარწყლებისათვის და აძლევს შესაძლებლობას სამედიცინო დაწესებულებას (მოპასუხეს) დაამტკიცოს თავისი არაბრალებლობა. თუ მოპასუხე დაამტკიცებს თავის არაბრალებლობას, იგი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თუ მოპასუხე – სამედიცინო დაწესებულება, ვერ დაამტკიცებს თავის არაბრალებლობას, მაშინ ამოქმედდება ბრალის პრეზუმფცია (ვარაუდი) და სამედიცინო დაწესებულებას დაეკისრება ზიანის ანაზღაურება.

ამრიგად, მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის ვარაუდის შესახებ, ხოლო იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომლებიც ასეთ ვარაუდს გააქარწყლებენ – დაკისრებული აქვს მოპასუხეს. საბოლოო ანგარიშში კი ასეთი მდგომარეობა იქმნება: მტკიცების საგნის, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების წრიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო მეორე ნაწილი – მოპასუხემ. მაგრამ ასეთ მდგომარეობას ვიღებთ საბოლოო ანგარიშში. ისე კი ფაქტების დამტკიცებას იწყებს მოსარჩელე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მოპასუხეზე გადადის დამტკიცების ტვირთი. მაგალითად ვინდიკაციური სარჩელის განხილვის დროს, ე.ი. როდესაც აღძრულია სარჩელი სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, მოპასუხეს წინასწარ არაფრის დამტკიცება არ სჭირდება, პირიქით, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის სადავო ნივთის მესაკუთრე, რადგან „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი (მოპასუხე – თ.ლ.) არის მისი მესაკუთრე“ (სკ 158-ე მუხლი). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე – ვინდიკატორი დაამტკიცებს, რომ იგი არის სადავო ნივთის მესაკუთრე და ამით გააქარწყლებს ზემოთ დასახელებულ

ვარაუდს, მაშინ მოპასუხეზე გადადის მისი შესაგებლის ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცების ტვირთი. კერძოდ, თუ მას სურს, რომ თავიდან აიცილოს ნივთის უკან დაბრუნება, უნდა დაამტკიცოს, რომ მას აქვს ამ ნივთის ფლობის კანონიერი უფლება.

როგორც ვხედავთ, მოპასუხის სასარგებლოდ ვარაუდი წარმოიშვა ფაქტების ყოველგვარი წინასწარი დამტკიცების გარეშე, რის გამოც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარკვეული ფაქტები, ხოლო თუ მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მაშინ წარმოიშობა ვარაუდი სხვა ფაქტის (ფაქტების) არსებობის (არარსებობის) შესახებ და მათი დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილია დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის შესახებ, განსაზღვრულია კანონით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისას მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის ზუსტ, შეუცდომელ და ერთგვაროვან განაწილებას, იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ თავიდან ავიცილოთ არაერთგვაროვნება დამტკიცების ტვირთის განაწილების დროს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტის დადგენის მიზნით სასამართლოსთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა ეს მტკიცებულება, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოველთვის, როცა მტკიცებულებას წარმოუდგენს სასამართლოს არა ის მხარე, რომელსაც მისი წარმოდგენა არ ევალებოდა, დამტკიცების ტვირთი ამ მხარეზე გადადის. რა თქმა უნდა არა. სასამართლოს მიერ მტკიცებულების გამოთხოვა ან მისი მიღება ისეთი მხარისაგან, რომელსაც ასეთი ფაქტის დამტკიცების მოვალეობა არ ეკისრება, არ ათავისუფლებს შესაბამის მხარეს მოვალეობისაგან დაამტკიცოს ფაქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცებულებათა გამოთხოვა ან მათი სასამართლოში წარდგენა არა იმ მხარისგან, ვისაც მათი წარმოდგენა არ ეკისრება, მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილებაში არაფერს არ ცვლის, ფაქტის დამტკიცების მოვალეობა მაინც ეკისრება იმ მხარეს, ვისაც კანონის თანახმად ეკისრება ეს.

ერთადერთ გამონაკლის ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს სსკ 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 157-ე მუხლი, რომელთა თანახმად თუ წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ან თუ ამ მტკიცებულებათა

წარდგენაზე უარს სასამართლო არასაკატიოდ მიიჩნევს, მას შეუძლია აღნიშნულ მტკიცებულებათა გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი მოვალეობა გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული მტკიცებულების წარდგენაზე.

აქ მითითებულ შემთხვევაში ფაქტის დამტკიცების ტვირთი გადადის იმ მხარიდან, რომელსაც ევალებოდა მისი დამტკიცება, მეორე მხარეზე. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები დაეკისრება არა იმ მხარეს, რომელსაც ეკისრებოდა მისი დამტკიცების მოვალეობა, არამედ მოწინააღმდეგე მხარეს. დამტკიცების ტვირთის ასეთი გადასვლის მიზანია მტკიცებულებათა წარდგენის უზრუნველყოფა იმ მხარისაგან, რომელთანაც ინახება წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება, მაგრამ მისთვის არაა ხელსაყრელი მათი სასამართლოში წარდგენა, რადგან ფაქტი, რომელსაც ეს მტკიცებულებები ადასტურებენ მოწინააღმდეგე მხარისათვის არის სარგებლობის მომტანი.

§7. მტკიცებულების ცნება სამოქალაქო პროცესში

როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტული საქმის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლომ წინასწარ უნდა დაადგინოს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. ეს ფაქტები, წარსულის ფაქტებია, ე.ი. ისეთი ფაქტებია, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში და ამიტომ უშუალო აღქმის გზით მათი დადგენა შეუძლებელია, გარდა ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისისა. რადგან საქმე გვაქვს ისეთ ფაქტთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, შეიძლება ასეთ ფაქტებს ისტორიული ფაქტები ვუწოდოთ, მათი დადგენა ისე, როგორც ადგილი ჰქონდათ წარსულში, შესაძლებელია მხოლოდ მტკიცებულებების მეშვეობით, მტკიცებულებების გამოყენებით.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავაელოთ ზოგიერთი პარალელი, კერძოდ, სასამართლო არ არის ერთადერთი ორგანო, სადაც მტკიცებულებებს იყენებენ. მტკიცებულებებს იყენებენ ყველგან, სადაც საჭიროა წარსულის რაიმე ფაქტის დადგენა, მათ შორის მეცნიერული კვლევის დროს და, აგრეთვე, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჯერ ერთი, მიზნებია სხვადასხვა. მეცნიერები ფაქტს ადგენენ რაიმე თეორიის შესამოწმებლად ან რაიმე კანონზომიერების გასარკვევად და

შესამუშავებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ფაქტს ვადგენთ რაიმე ცხოვრებისეული საკითხის გადასაწყვეტად და ა.შ. სასამართლო კი ფაქტს ადგენს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის, კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის. მეორეც, განსხვავება ისიცაა, რომ სასამართლო მტკიცებულებებს იყენებს კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით, მაშინ, როდესაც მეცნიერი თვითონ ირჩევს ფაქტის დადგენის მეთოდს, ხოლო ყოფაცხოვრებაში თვითონ მოქალაქე განსაზღვრავს მისთვის საინტერესო ფაქტების დადგენის წესებსაც და გზებსაც.

მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების, გამოკვლევისა და შეფასების საპროცესო ფორმა ანუ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესი, როგორც ჩანს განაპირობებს იმას, რომ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს სასამართლო მტკიცებულებებს უწოდებენ.

რა არის სასამართლო მტკიცებულება?

საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი შეიცავდა მტკიცებულებათა ლეგალურ განმარტებას. ამ მუხლის თანახმად მტკიცებულებებია ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე სასამართლო დაადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს. ეს მონაცემები დადგინდება მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებით, რომლებსაც კანონი უწოდებს არა მტკიცებულებებს, არამედ მტკიცების საშუალებებს.

ამრიგად, 1964 წლის სსკ 51-ე მუხლი მტკიცებულებებს უწოდებდა ფაქტიურ მონაცემებს, ხოლო რითაც ამ მონაცემების დადგენა შეიძლებოდა – მტკიცების საშუალებებს.

მიუხედავად, მტკიცებულებათა ლეგალური ანუ კანონისმიერი განმარტებისა, იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის ყველა ავტორი, რომელიც ამ პრობლემას ეხებოდა, ცდილობდა თავისი ორიგინალური, ან, ყოველ შემთხვევაში რალაციტ სხეებისგან განსხვავებული განმარტება შემოეთავაზებინა.

ამასთან ერთად, კანონმდებლის მსგავსად ყველა ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავდა ფაქტობრივ მონაცემებს და მტკიცების საშუალებებს.

ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ასეთი გამიჯვნა დაუსუბებელია, ან ყოველ შემთხვევაში ეს მხოლოდ გარკვეული პირობით შეიძლება.

საქმე ისაა, რომ ფაქტობრივი მონაცემები (ცნობები, ინფორმაციები), მტკიცებულებად შეიძლება იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მეშვეობით შეიძლება ჩვენთვის საინტერესო სხვა ფაქტის დადგენა. ამ თვალსაზრისით

ისინი მტკიცების საშუალებებია. მეორეს მხრივ, ის რაც მტკიცების საშუალებად იწოდება (მაგალითად, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა და ა.შ.). სინამდვილეში სხვა არაფერია თუ არა მტკიცებულება. აქედან გამომდინარე, ვაკეთებდით დასკვნას, რომ მართალია კანონი (1964 წლის სსკ 51-ე მუხლი) მხარეთა ახსნა-განმარტებას, მოწმის ჩვენებას, ექსპერტის დასკვნას და ა.შ. უწოდებს არა მტკიცებულებას, არამედ მტკიცების საშუალებას, მაგრამ ესენი სხვა არაფერია თუ არა მტკიცებულებები. განა შეიძლება იმის თქმა, რომ მტკიცებულებები არაა მტკიცების საშუალებები, ხოლო მტკიცების საშუალებები არაა მტკიცებულებები?

აქედან გამომდინარე, ვაკეთებდით დასკვნას, რომ მტკიცებულებები და მტკიცების საშუალებები იდენტური ცნებებია და ერთმანეთისაგან მათი გამიჯვნას შეიძლება სერიოზული გაუგებრობა მოჰყვეს.⁷⁸

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აღარ მიჯნავს ერთმანეთისაგან ფაქტობრივ მონაცემებს, როგორც მტკიცებულებებს და მტკიცების საშუალებებს, როგორცაა მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებებია კანონით განსაზღვრული მტკიცების საშუალებები, რომელთა გამოყენებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტიური გარემოებები.

კანონი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა ანუ მტკიცების საშუალებათა სახეებს, ესენია: მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი მტკიცებულება, ნივთიერი მტკიცებულება, ექსპერტის დასკვნა (სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მხარეებს შეუძლიათ წარუდგინონ სასამართლოს მხოლოდ აქ ჩამოთვლილი მტკიცებულება, ხოლო სასამართლოს არ შეუძლია გამოითხოვოს, მიიღოს ან შეამოწმოს და შეაფასოს სხვა სახის მტკიცებულება. უფრო მეტიც, ზოგჯერ კანონმა შეიძლება არ დაუშვას აქ ჩამოთვლილი რომელიმე მტკიცებულება ამა თუ იმ ფაქტის დადგენის მიზნით.

⁷⁸

ჩენი მოხსენება დაბეჭდილია: „Новое в гражданском и в гражданско – процессуальном законодательстве.....“ Труды научной сессии ВЮН. Москва 1962 г. стр. 190-192. იხ. აგრეთვე: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 1992 წ. გვ. 137-138.

§8. მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა

1. დასაშვებობა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება დასაშვებია და მხარეს შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს ისინი თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის დამტკიცების მიზნით. ასეთია დასაშვებობის პროცესუალური პრინციპი, აზრი და შინაარსი.

მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომლის თანახმად საქმის გარემოებანი, ანუ ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მხარეთა მოთხოვნას (შესაგებელს) და „რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით“.

მაგალითად, სკ 183-ე მუხლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შეძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე, უძრავი ნივთის შეძენის ფაქტის დადასტურებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულება. ამავე კოდექსის 593-ე მუხლის თანახმად, მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. „თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით“. აქედან გამომდინარე, მხარე, რომელიც მიუთითებს, რომ ხელშეკრულება დადებულია გარკვეული ვადით, მან უნდა წარუდგინოს სასამართლოს წერილობითი ხელშეკრულება. სხვა სახის მტკიცებულებებით ამ ფაქტის დადასტურება დაუშვებელია.

2. განკუთვნადობა. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპი მოწოდებულია თავიდან აგვაცილოს საქმეების გადატვირთვა ისეთი მასალებით, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისათვის არ აქვთ. საქმეში ისეთი მტკიცებულებების თუ სხვა მასალების შეტანა, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, იქნებოდა არამართო დროის უნაყოფო ხარჯვა, არამედ ძლიერ გაართულებდა გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის შემოწმებას ზემდგომი სასამართლოების მიერ.

მტკიცებულებათა განკუთვნადობის პრინციპი დამკვიდრებულია სსკ 104-ე მუხლით, რომლის თანახმად „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მიიღოს მხოლოდ ისეთი

მტკიცებულება. რომელიც ეხება საქმეს, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოება.

მტკიცებულებათა განკუთვნადობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა წესი, რომლის თანახმად წერილობითი საბუთის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს თუ რომელი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით (134-ე მუხლის მე-3 ნაწილი), იგივე წესია ჩამოყალიბებული სხვა სახის მტკიცებულებათა მიმართ (140-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მტკიცებულებათა განკუთვნადობა და მტკიცებულებათა უტყუარობა (სარწმუნობა). მტკიცებულებათა განკუთვნადობა უზრუნველყოფს საჭირო და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების შეგროვებას, ზედმეტი და გამოუსადეგარი მტკიცებულებების შეგროვებაზე და შემოწმებაზე დროის ფუჭად ხარჯვის თავიდან აცილებას: განკუთვნადია მხოლოდ ისეთი მტკიცებულება, რომელიც მიმართულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადასტურებისაკენ. სხვა საკითხია, რომ განკუთვნადი და სწორად მიღებული მტკიცებულება შემდგომში შემოწმებისა და შეფასების შედეგად არ აღმოჩნდა უტყუარი და სარწმუნო. ასეთ მტკიცებულებებს სასამართლო ვერ დაეყრდნობა არა იმიტომ, რომ ისინი არაა განკუთვნადი, არამედ იმიტომ, რომ ისინი არაა სარწმუნო და უტყუარი.

სასამართლოს შეუძლია ამოიღოს საქმიდან შეცდომით მიღებული არაგანკუთვნადი მტკიცებულება, მაგრამ ის ვერ ამოიღებს საქმიდან ისეთ მტკიცებულებას, რომელიც განკუთვნადია, მაგრამ არაა სარწმუნო.

მტკიცებულებათა, თუ სხვა მასალათა მიღებაზე, გამოთხოვაზე ან შეცდომით მიღებული მტკიცებულებების საქმიდან ამოღების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ფაქტზე, რომლის დასადასტურებლადაც ისინი იყო წარმოდგენილი, მაგრამ რომელიც სინამდვილეში არაა მიმართული ამ ფაქტის დადასტურებისაკენ. მაგალითად, სასამართლომ არ მიიღო ან საქმიდან ამოიღო მრავალრიცხოვანი ცნობები, რეკომენდაციები, დახასიათებები, რომლებიც მართალია დადებითად ახასიათებენ მხარის პიროვნებას, მაგრამ არაავითარი მნიშვნელობა არ აქვთ ვთქვათ, იმ საკითხის გადაწყვეტისათვის დააკისროს თუ არა ამ მხარეს ვალის გადახდა, ზიანის ანაზღაურება მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, რის შესახებაც მიმდინარეობს დავა სასამართლოში.

§9. მტკიცებულებათა შეფასება

მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მას შემდეგ, რაც შეგროვილია მტკიცებულებები, საჭიროა მათი შემოწმება და შეფასება.

ვინ შეიძლება იყოს მტკიცებულებათა შეფასების სუბიექტი, ანუ ვის შეუძლია შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები?

მტკიცებულებათა შეფასების აუცილებლობა წამოიჭრება მას შემდეგ, როდესაც სასამართლო ამ მტკიცებულებათა განკუთვანდობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით მიიღებს (დაუშვებს) წარმოდგენილ მტკიცებულებას. მტკიცებულებათა დაშვებისა და მათი მიღების საკითხს წყვეტს მხოლოდ სასამართლო.

მას შემდეგ, როდესაც სასამართლომ დაუშვა მტკიცებულება და დაურთო იგი საქმეს, საჭიროა ამ მტკიცებულების შეფასება. მაგრამ, სანამ უშუალოდ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმზე შევჩერდებოდეთ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ პრაქტიკული თვალსაზრისით ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე: სსკ 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია ერთმანეთის მიმართ რაიმე უპირატესობა. მაგალითად, ექსპერტის დასკვნას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, მაგალითად მოწმის ჩვენებასთან შედარებით (რასაც, სამწუხაროდ პრაქტიკაში ზოგჯერ აქვს ადგილი), წერილობით მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა ნივთიერ მტკიცებულებებთან შედარებით და ა.შ.⁷⁹

საქართველოს სსკ-სი აგებულია მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპზე, რომლის თანახმად მხარეთა მიერ წარმოდგენილი და სასამართლოს მიერ შეგროვილი მტკიცებულებების ძალა და უტყუარობა განისაზღვრება უშუალოდ სასამართლოს მიერ.

მტკიცებულებათა სარწმუნობის, თუ არასარწმუნობის, უტყუარობის თუ სიყალბის შესახებ თავიანთი მოსაზრება შეიძლება გამოთქვან მხარეებმა და

⁷⁹ მტკიცებულებათა ფორმალური შეფასების ეპოქა, როცა ამა თუ იმ მტკიცებულების მტკიცებითი ძალა და მნიშვნელობა განისაზღვრებოდა არა მოსამართლის მიერ, არამედ კანონით (მაგალითად ორი და მეტი მოწმის ჩვენება უფრო სანდოა, ვიდრე ერთისა, არისტოკრატიის ჩვენება უფრო სანდოა, ვიდრე გლეხისა და ა.შ.) დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.

პროცესის სხვა მონაწილეებმა. მათ მოსაზრებას უდავოდ აქვს მნიშვნელობა მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულყოფილად შეფასებისათვის. მაგრამ, მტკიცებულებებს საბოლოოდ აფასებს სასამართლო, რაც იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთი სუბიექტი არის სასამართლო.

როგორ და რა წესით აფასებს მტკიცებულებებს სასამართლო?

საქართველოს 1964 წლის სსკ 53-ე მუხლის თანახმად „სასამართლო ხელმძღვანელობს რა კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით, აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით“.

როგორც ვხედავთ, მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელებს კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით. ეს არამარტო ზღუდავდა მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპს, არამედ გარკვეულ წინასწარშემუშავებულ და სავალდებულო მიმართულებას აძლევდა სასამართლოს, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მის შინაგან რწმენაზე, კერძოდ უტყუარად და სარწმუნოდ მიეჩნია მტკიცებულება (გამომდინარე სოციალისტური მართლშეგნებიდან), რომელიც სინამდვილეში არ იყო ასეთი.

ამიტომ, სავსებით სამართლიანად კანონმდებელმა არ გაიზიარა მტკიცებულებათა შეფასების ასეთი შეზღუდვა და 1997 წლის სსკ-ი აღარ შეიცავს ამ დებულებას.

სსკ 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით. ამრიგად, შინაგანი რწმენა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედებისაგან, წარმოადგენს სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს. ცხადია, რომ შინაგანი რწმენა არ ნიშნავს თვითნებობას. თვითნებობა და კერძოდ კი სასამართლოს თვითნებობა, წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს მოკლებულ, დაუსაბუთებელ და გაუმართლებელ პოზიციას, რომელიც თვით სასამართლოს პირად სიმპათიებსა და სურვილებს ემყარება. სასამართლოს შინაგანი რწმენა – ეს შეფასების შინაგანი, სუბიექტური კრიტერიუმი, რომელიც ყოველთვის უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ობიექტურ მონაცემებს, ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული ამ ობიექტური მონაცემებით ანუ იმით, თუ საიდან და როგორ ჩამოუყალიბდა სასამართლოს ასეთი შინაგანი რწმენა მტკიცებულების უტყუარობის თუ მისი სიყალბის შესახებ. აქ შეიძლება საჭირო იყოს კვლავ გავიმეოროთ, რომ მტკიცებულებათა შეფასების პროცესში სასამართლოს შინაგანი რწმენა ვლინდება სასამართლოს თავისუფლებაში შეაფასოს ისინი რაიმე ფორმალური ნიშნების გარეშე და რომ მტკიცებულებათა

შეფასების დროს იგი არაა შეზღუდული რაიმე გარეგანი ძალებით და კანონით დაწესებული შეზღუდვებით.

ამასთან ერთად, მტკიცებულებათა შეფასება, ისე როგორც ყოველგვარი შეფასება, წარმოადგენს აზრობრივ პროცესს და ასეთი შეფასების დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ლოგიკის კანონებით, რომელიც გვასწავლის სწორად აზროვნებას. სწორად აზროვნების ლოგიკური კანონების სამართლებრივი მოწესრიგება (რეგულირება) არც შესაძლებელია და არც დასაშვები: ობიექტური კანონები იმიტომ არიან ობიექტური, რომ ისინი ყოველგვარი სუბიექტური ჩარევისა და, მითუმეტეს, სამართლებრივი მოწესრიგება-რეგულირების გარეშე მოქმედებენ.

ამასთან ერთად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებათა შეფასების ზოგად წესებს, რომლებსაც საპროცესო წესები შეიძლება ეუწოდოთ. ეს წესები შემდეგში მდგომარეობს:

1. მტკიცებულებებს აფასებს უშუალოდ საქმის განხილველი სასამართლო. პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც იხილავს საქმეს, ვალდებულია უშუალოდ გამოიკვილოს მტკიცებულებები. თუ საქმის ზეპირი განხილვის დროს მოხდა მოსამართლის აცილება, რის გამოც საქმის განხილვა გადაიდო, მაშინ ამ საქმის განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს (სსკ 216-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საქმეში არსებული მტკიცებულებების შესახებ, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულება წარმოდგენილი იქნა მხარის მიერ და იგი მიღებული იქნა სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის დროს, მაშინ მისი შინაარსი უნდა გამოქვეყნდეს ამ სხდომაზე, ან იგი უნდა წარედგინოს მხარეებს გასაცნობად (დასათვალისწინებლად).

3. მხარეებს უფლება აქვთ შეკითხვები მისცენ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, აგრეთვე ერთმანეთს.

4. მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს მათ ერთობლიობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება სასამართლო დაკმაყოფილდეს მტკიცებულებათა იზოლირებულად შეფასებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია იზოლირებულად შეფასება, რათა გაარკვიოს ხომ არ არის საჭირო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, მაგრამ საბოლოო შეფასების დროს მტკიცებულებები მათ ერთობლიობაში უნდა შეფასდეს.

5. თუ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ მათ შორის არსებობს წინააღმდეგობა, სასამართლო ვალდებულია ახსნას, რითაა განპირობებული ასეთი წინააღმდეგობის არსებობა.

6. მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს სრული მიუკერძოებლობა მტკიცებულებათა შემოწმება-შეფასების დროს.

ასეთია მოკლედ მტკიცებულებათა სასამართლოს მიერ შეფასების ძირითადი წესები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ მტკიცებულებათა შეფასების საპროცესო წესები.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასება არ ნიშნავს სრულიად უანგარიშგებო დასკვნების უფლებას, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებებზე, რის გამოც, ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები არასარწმუნოდ.

კანონის ასეთ დანაწესს აქვს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ზემდგომ ინსტანციის სასამართლოს, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობა, რაც შეუძლებელი იქნება, თუ გადაწყვეტილებაში არ იქნება მითითებული რა მოსაზრებით გაიზიარა საქმის პირველი ინსტანციით განმზილველმა სასამართლომ ესა თუ ის მტკიცებულება, ან რატომ უარყო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულება.

§ 10. მტკიცებულებათა სახეები

I. მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტება. ფაქტის აღიარება

1. მხარის ახსნა-განმარტება როგორც მტკიცებულება. მხარე – ესა პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა. ამიტომ, მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებას თვლის მტკიცებულებად, მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან საშუალებად (სსსკ 102-ე მუხლი).

ამავე დროს, მხარეები და მესამე პირები საქმის შედეგით დაინტერესებული პირებია. ამ გარემოებამ კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მათი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მაგრამ, ასეთი ვითარება მხარეთა ახსნა-განმარტებას კი არ ართმევს მტკიცებულებით ძალას და მნიშვნელობას,

არამედ ავალებს სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასოს მხარის ჩვენება. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მაგალითად, მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ მან შეასრულა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, მართალია არის მტკიცებულება, მაგრამ არასაკმარისი მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით.

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოთხოვნის ჩამოყალიბებას დაზუსტებას, თუ დაკონკრეტებას ემსახურება და ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის ფაქტიურ გარემოებას შეეხება. მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება – წერილობით თუ ზეპირი ფორმით, მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ახსნა-განმარტების იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს მითითებას ფაქტების შესახებ.

აქედან გამომდინარე, სასამართლოებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით ახსნა-განმარტებას საქმის ფაქტიური გარემოებების შესახებ აძლევს არა უშუალოდ მხარე, რომელიც ესწრება საქმის განხილვას, არამედ მისი წარმომადგენელი არ შეესაბამება კანონს. წარმომადგენელს ფართო საპროცესო უფლებები აქვს. მას შეუძლია გააანალიზოს საქმის მასალები, გამოთქვას თავისი მოსაზრებები საქმეში არსებული მტკიცებულებების უტყუარობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი და ა.შ. მაგრამ მას არ შეუძლია შეითავსოს მხარის როგორც მტკიცებულების წყაროს ფუნქცია, ისე როგორც არ შეუძლია შეითავსოს მოწმის ან ექსპერტის ფუნქცია. უფრო მეტიც, იგი არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე, ისეთი გარემოების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (სსკ 141-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკმაო სისრულით განსაზღვრავს მხარეებისაგან ახსნა-განმარტების მიღების წესებს, მათ შორის მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის, აგრეთვე მოსამართლის მიერ მხარისათვის შეკითხვების მიცემის წესებს (სსკ 127-ე, 128-ე მუხლები). ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა კრძალავს ახსნა-განმარტების მიღებას ისეთი პირებისაგან, რომლებსაც თავისი ფიზიკური ან

ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები, აგრეთვე სასულიერო პირისაგან ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდეს აღსარების დროს, აგრეთვე თანამდებობის პირისაგან, ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებ საიდუმლოების დაცვა მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის (სსკ 129-ე მუხლი).

2. ფაქტის აღიარება. ფაქტის აღიარება – ესაა მხარეთა ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახესხვაობა, მტკიცებულება, რომელსაც ზოგჯერ მტკიცებულებათა მეფესაც კი უწოდებდნენ. აღიარების, როგორც მტკიცებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მტკიცებულებით ხდება ისეთი ფაქტის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. მაშასადამე, ფაქტს, რომელიც უნდა დაედასტურებინა ერთ მხარეს, ადასტურებს მოწინააღმდეგე მხარე. სწორედ ამიტომ, აღიარება როგორც მტკიცებულება ითვლება უტყუარ მტკიცებულებად, რადგან იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ამლიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც ამკვიდრებს წესს, რომლის თანახმად ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას (სსკ 131-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარე თავის აღიარებას გარკვეულ დათქმას უკეთებს, მაგალითად, მხარე აღიარებს, რომ მართლაც ისესხა გარკვეული თანხა მოსარჩელისაგან, მაგრამ გადაუხადა კიდევ ეს თანხა. აქ მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდაა, კერძოდ რომ მართლაც აიღო სესხი მოსარჩელისაგან, არის აღიარება, რადგან იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ; რაც შეეხება ახსნა-განმარტების იმ ნაწილს, რომელიც თავის სასარგებლოდაა გაკეთებული, კერძოდ, რომ დაუბრუნა ნასესხები თანხა მოსარჩელეს, იგი არაა აღიარება, რადგან გაკეთებულია ამლიარებლის სასარგებლოდ. ამ ფაქტს სჭირდება დადასტურება სხვა მტკიცებულებებით.⁸⁰

⁸⁰ ფაქტის აღიარება უნდა განვასხვავოთ სარჩელის აღიარებისაგან. სარჩელის აღიარება ესაა მხარის მიერ თავისი მატერიალურ სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტი. სარჩელის აღიარების დროს მხარე ცნობს სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერებას და ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება აღარაა საჭირო. სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს აღიარების ფორმას. აღიარება მხარეს შეუძლია გააკეთოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ზეპირი ფორმით მხარის აღიარება შეიძლება გაკეთდეს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე, ამ სხდომის ოქმში აუცილებელი შეტანით.

მხარეს, რომელმაც აღიარა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის ფაქტი (გარემოება), უფლება აქვს შემდგომ გააქარწყლოს (უარყოს) ეს აღიარება ოღონდ კანონი განსაზღვრავს ამისათვის აუცილებელ პირობებს. ეს პირობებია: ა) აღიარების გაქარწყლება დასაშვებია გადაწყვეტილების გამოტანამდე. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლო, ბუნებრივია, ვეღარც განიხილავს აღიარების გაქარწყლების საკითხს და ვეღარც შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში აღარ შეიძლება აღიარების გაქარწყლების საკითხი დაისვას. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე იქნება დაყენებული მხარის მიერ და მან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ დასვა ეს საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე. ბ) მხარემ, რომელიც მოითხოვს მის მიერ გაკეთებული აღიარების გაქარწყლებას, უნდა დაამტკიცოს (დამტკიცების ტვირთი) შემდეგი ფაქტები: 1) აღიარება იყო შეცდომის შედეგი; მაგალითად, გამნათხოვრებელმა აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. მოპასუხემ (მონათხოვრემ) აღიარა, რომ მან მართლა ინათხოვრა სადავო ნივთი, მაგრამ უკალოდ და ამიტომ არაა ვალდებული დაუბრუნოს იგი მოსარჩელეს. შემდეგ მოპასუხემ დააზუსტა, რომ ფაქტის ასეთი აღიარება იყო შეცდომა, რადგან მან ნივთი საჩუქრად მიიღო და არა ნათხოვრობით. შეცდომა გამოწვეული იყო მისი იურიდიული გაუნათლებლობით. 2) მას დაემუქრა მოწინააღმდეგე მხარე სამსახურიდან დათხოვნით ან მის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელებით, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას (ფსიქიკური ზემოქმედება); 3) ან კიდევ, მას სცემეს და დაემუქრნენ ფიზიკური განადგურებით (ფიზიკური ზემოქმედება).

ამრიგად, ფაქტის აღიარება უნდა გამოხატავდეს ამლიარებლის თავისუფალ ნებას და თუ ამლიარებელი დაამტკიცებს, რომ ასეთი ნება სინამდვილეში გამორიცხული იყო – აღიარება გაქარწყლდება.

II. წერილობითი მტკიცებულება

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ წერილობითი მტკიცებულებები, სხვა სახის მტკიცებულებებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო პროცესში, კონკრეტულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი ფაქტის დადგენა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების გამოყენებით.

სსკ 134-ე მუხლის თანახმად წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. წერილობითი მტკიცებულების ამ განსაზღვრებაში სწორადაა მითითებული იმის შესახებ, რომ იგი უნდა შეიცავდეს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. მაგრამ, ასეთივე ცნობებს შეიცავენ სხვა მტკიცებულებებიც, როგორცაა ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა. მიუხედავად ამისა, წერილობითი მტკიცებულება განსხვავდება ნივთიერი მტკიცებულებისაგან იმით, რომ წერილობითი მტკიცებულება წერილობითი ნიშნების გამოყენებით შეიცავს ცნობებს დასამტკიცებელ ანუ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ, ხოლო ნივთიერი მტკიცებულება ასეთ ცნობებს შეიცავს თავისი თვისებით ან ხარისხით. წერილობითი ნიშნების გამოყენებით შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ ექსპერტის დასკვნაც. მიუხედავად ამისა, ექსპერტის დასკვნა არ წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებას, რადგან იგი შედგენილია სასამართლოს მიერ დანიშნული და სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ. რაც შეეხება წერილობით მტკიცებულებას იგი, როგორც წესი, შედგენილია სასამართლოში საქმის წარმოების განსნამდგ და, მაშასადამე, სასამართლოს მითითების გარეშე, ხოლო წერილობითი მტკიცებულების ავტორთან სასამართლოს საპროცესო სამართლით მოწესრიგებული რაიმე ურთიერთობა არ აქვს.

ამრიგად, წერილობითი მტკიცებულებები ისეთი საგნებია, რომლებშიც წერილობითი თუ სხვა ამგვარი ნიშნების საშუალებით ჩამოყალიბებულია აზრები თუ იდეები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. აზრები შეიძლება გადმოცემული იყოს არამართო წერილობითი ნიშნებით, არამედ ციფრებით, სანოტო ნიშნებით, შიფრებით, სტენოგრაფიული ნიშნებით და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცებულება რომ წერილობითს მივაკუთვნოთ, ჯერ-ერთი, მთავარია შინაარსობრივი მხარე: იგი თავისი შინაარსით (და არა თვისებით ან ხარისხით) უნდა გვაწვდიდეს საჭირო ცნობებს და მეორე, ამ ცნობებს უნდა ვიღებდეთ წაკითხვით (ამოკითხვით).

თავისი შინაარსის მიხედვით წერილობით მტკიცებულებებს ყოფენ განმკარგულებელ და შემატყობინებელ (ცნობების მომწოდებელ) წერილობით მტკიცებულებებად. განმკარგულებელ წერილობით მტკიცებულებად მიჩნეულია ისეთი დოკუმენტები, რომლებშიაც გამოხატულია ნებითი აქტი, მიმართული იურიდიული ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ (მაგალითად, გარიგება, ადმინისტრაციის ბრძანება და ა.შ.). შემტყობინებელ წერილობით მტკიცებულებად მიჩნეულია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც მხოლოდ ადასტურებენ ამა თუ იმ ფაქტს, როგორცაა მაგალითად, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ პირადი ხასიათის წერილი, რომელიც ადასტურებს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ისეთ ფაქტს, როგორცაა რაიმე ვალდებულების არსებობა, მაგალითად, სესხის ფაქტს. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის დედას სასამართლოში მიაქვს ბავშვის ფაქტიური მამის წერილები, რომლებშიც იგი აღიარებს ამ ბავშვის მამობას და ა.შ.

თავისი ფორმის მიხედვით განასხვავებენ უბრალო ანუ მარტივ და კვალიფიციურ წერილობით მტკიცებულებებს. კვალიფიციური წერილობითი მტკიცებულებები შეიცავენ ფაქტის ოფიციალურ დადასტურებას. მაგალითად, ნოტარიალურად გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება. სკ 183-ე მუხლის თანახმად უძრავი ნივთის შეძენა უნდა მოხდეს სანოტარო წესით დამოწმებული საბუთით. ეს იმას ნიშნავს, რომ უძრავი ნივთის შეძენის დასადასტურებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ ნოტარიალურად დამოწმებული საბუთი. უბრალო (მარტივი) წერილობითი დოკუმენტები არ საჭიროებენ ასეთ დამოწმებას. საკმარისია, რომ დოკუმენტი ან მასზე ხელმოწერა შედგენილი იყოს ან ხელს აწერდეს მხარე. მაგალითად, სკ 69-ე მუხლის თანახმად მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

წარმოშობის ხერხის ანუ წყაროს ხასიათის მიხედვით განასხვავებენ დედან (ორიგინალ) დოკუმენტებსა და ამ დოკუმენტების პირებს ანუ ასლებს. ისეთ პირობებში, როდესაც ტექნიკის განვითარებამ მიაღწია არნახულ მასშტაბებს და დოკუმენტის გაყალბება თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წერილობითი საბუთების დედნის სახით წარდგენა სასამართლოში, რასაც მოითხოვს სსკ 135-ე მუხლი. მხარე შეიძლება განთავისუფლდეს დედანი საბუთის წარდგენისაგან

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა შეუძლებელია იმის გამო, რომ იგი განადგურდა ხანძრის გამო ან სხვა რაიმე სტიქიური უბედურების შედეგად და სხვა.

სუბიექტების მიხედვით განასხვავებენ ოფიციალურ და არაოფიციალურ წერილობით საბუთებს. ოფიციალურია ისეთი საბუთები, რომლებიც შედგენილია სახელმწიფო ორგანიზაციების, საჯარო იურიდიული პირების თუ შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ, აგრეთვე კერძო იურიდიული პირებისა და მათი თანამდებობის პირების მიერ. არაოფიციალურია წერილობითი საბუთები გაცემული ფიზიკური პირების მიერ.

წერილობით მტკიცებულებას სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. მათ შეუძლიათ სთხოვონ სასამართლოს იმ წერილობითი საბუთების გამოთხოვა, რომელთა მიღება თვითონ ვერ შეძლეს. იურიდიული პირები თუ მოქალაქეები ვალდებული არიან მიაწოდონ სასამართლოს გამოთხოვილი წერილობითი მასალები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იურიდიული პირის შესაბამისი თანამდებობის პირი, ვისი ბრალითაც არ მოხდა სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი საბუთის გადმოგზავნა, ან ფიზიკური პირი, შეიძლება დაჯარიმდეს, რაც არ ათავისუფლებს მათ ამ წერილობითი საბუთების წარდგენისაგან (სსკ 136-ე მუხლი).

დანტერესებულ მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ წერილობითი საბუთი ყალბია. ასეთ შემთხვევაში, მხარეს, რომელმაც იგი წარმოადგინა შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ სადავო საბუთის მტკიცებულებებიდან ამორიცხვის შესახებ. თუ მოწინააღმდეგე მხარე წინააღმდეგია ასეთი ამორიცხვის, მაშინ სასამართლომ უნდა შეამოწმოს საბუთის ნამდვილობა, რისთვისაც შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. მაგალითად, მოსარჩელემ წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ მეორე მხარემ განაცხადა, რომ ყალბია და მისი სახელით ხელმოწერა ამ ხელშეკრულებაზე სინამდვილეში არ ეკუთვნის მას. ამ ფაქტის დასადასტურებლად სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. თუ დამტკიცდება, რომ ხელშეკრულება ყალბია, სასამართლო ამორიცხავს მას საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ ხელშეკრულებას ექსპერტის დასკვნასთან ერთად გადასცემს საგამომიებო ორგანოებს (სსკ 137-ე მუხლი).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მტკიცებულების სახით სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტის სიყალბის საკითხის განხილვა, რაც მიმართულია ამ დოკუმენტის მტკიცებულებითი მნიშვნელობის გაქარწყლებისაკენ და სარჩელები დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, რომელთა განხილვის

შედგად სასამართლოს გამოაქვს არა განჩინება, არამედ გადაწყვეტილება (სსკ 180-ე მუხლი).

სასამართლოში წარდგენილი დედანი საბუთები გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება დაუბრუნდეს (თუ ამას მოითხოვს) მისი წარმდგენ პირს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია გადაიღოს ასლები, დაამოწმოს მოსამართლემ და შეინახოს სასამართლოში.

III. მოწმის ჩვენება

1. მოწმის ჩვენების ცნება. მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მტკიცებულებაა სამოქალაქო პროცესში. მოწმის მეშვეობით დასტურდება მრავალი ფაქტი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა.

კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, მოწმეს შემდეგი მოთხოვნები წაეყენება:

ა) მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. ამიტომ, მოწმის დაბარების შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი მთავალა მიუთითოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურება შეუძლია მოწმეს. თუ აღმოჩნდება, რომ ფაქტებს, რომელთა დადასტურებისთვის მხარე შუამდგომლობს მოწმის გამოძახებაზე, არ აქვთ საქმისათვის მნიშვნელობა სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მის გამოძახებაზე და დაკითხვაზე (სსკ 140-ე მუხლი).

ბ) მოწმედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შესწევს უნარი სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება (სსკ 141-ე მუხლის პირველი ნაწილი).

გ) მოწმედ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით. აქ მხედველობაშია იურიდიული ინტერესი ანუ ისეთი ინტერესი, რომელიც გააჩნია მოსარჩელეს და მოპასუხეს, რომლებისთვისაც საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია გარკვეული სარგებლობის მოტანა. თუ პირს აქვს იურიდიული ინტერესი, ის უნდა ჩაებას პროცესში როგორც ერთ-ერთი მხარე (თანამოსარჩელე, თანამოპასუხე) ან მესამე პირი. სხვა საკითხია, როდესაც მოწმე დაინტერესებულია შედეგით მხარეების მიმართ მეგობრული, ნათესაური თუ სხვა დამოკიდებულების გამო. ასეთი არაიურიდიული დაინტერესება არ ართმევს პირს უფლებას დაკითხული იქნეს მოწმედ. მისი ასეთი ინტერესი გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ჩვენების შეფასების დროს.

ამრიგად, მოწმე სამოქალაქო პროცესში სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების შესახებ ჩვენების მისაღებად გამოძახებული პირია, რომელსაც შესწევს უნარი სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება.

რამდენადაც მოწმე თვითონ უშუალოდ აღიქვამს ფაქტებს, იგი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა პირით. ამასთან ერთად, მოწმემ შეიძლება მისცეს ჩვენება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა შესახებ უშუალოდ კი არა, არამედ სხვებისგან გაიგო. ასეთ შემთხვევაში მოწმემ უნდა მიუთითოს თუ ვისგან მიიღო ცნობები. მოწმის ჩვენება, რომლის წყარო ცნობილი არ არის, მტკიცებულებად ვერ გამოდგება.

ამრიგად, მოწმის ჩვენება – ესაა სასამართლოში მოწმედ გამოძახებული და კანონით განსაზღვრული წესით დაკითხულ იურიდიულად დაუინტერესებელი პირის ცნობები საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

2. ჩვენების მიცემაზე უარისთქმის უფლება. კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ როგორც მოწმე. ცხადია, რომ თუ ასეთი პირები გამოძახებული იქნებიან, მათ შეუძლიათ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე.

ასეთი პირების კატეგორიას განეკუთვნებიან:

ა) პირი, რომელსაც არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო; ასეთი პირი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ არც შეიძლება გამოძახებული იქნეს მოწმედ, მაგრამ თუ იგი გამოძახებული იყო, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მისგან ჩვენება;

ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდეს აღსარების დროს; რაც შეეხება სხვა გარემოებებს, მათ შესახებ სასულიერო პირი შეიძლება დაიკითხოს;

გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებზე და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას (სსსკ 141-ე მუხლი).

თუ აქ ჩამოთვლილი პირები გამოძახებული იქნებიან მოწმეებად ზემოთ მითითებულ გარემოებებზე ჩვენების მისაცემად, მათ შეუძლიათ უარი თქვან ასეთი ჩვენების მიცემაზე.

ამასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე ნებისმიერი ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ. ასეთ პირთა კატეგორიას განეკუთვნებიან:

ა) მხარეთა მეუღლეები; ბ) ახლო ნათესავები (შვილები, შვილიშვილები, ძმები, დები, ძმობლები, შვილებლები, შვილობილები, მზრუნველები, მეურვეები, ბებიები, ბაბუები); გ) პირები, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პუნქტში მითითებული პირები სხვა ფაქტების შესახებ შეიძლება დაიკითხონ (სსკ 142-ე მუხლი).

აქ ჩამოთვლილ პირებს უფლება აქვთ არ მისცენ ჩვენება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს გამოიწვევს მის ან ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს. მაგალითად, ახლო ნათესავ მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმის შესახებ, რომ ხანძარი გამოწვეული იყო მისი მშობლის უხეში გაუფრთხილებლობით, რასაც მოყვა მოსარჩელის ქონების განადგურება.

კანონი შეიცავს ისეთი შემთხვევის ამომწურავ ჩამონათვალს, როდესაც თუმცა არსებობს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, მაგრამ პირი მაინც ვალდებულია მისცეს ჩვენება. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა ა) თუ საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ. მაგალითად, დასამოწმებელია აქტი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე არის ყრუ-მუნჯი, ბრმა, წერა-კითხვის არმცოდნე (იხ. „სანოტარო მოქმედებათა წესის შესახებ“ ინსტრუქცია, მე-20 მუხლი); ბ) საჭიროა გაირკვეს ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები; გ) თუ პირი ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი. მაგალითად, სკ 103-ე მუხლის თანახმად გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. როცა გარიგებას დებს წარმომადგენელი დავალების (მინდობილობის) საფუძველზე, მაშინ ეს წარმომადგენელი, კიდევ რომ სარგებლობდეს ჩვენების მიცემაზე უარისთქმის უფლებით, მაინც ვალდებულია მისცეს ჩვენება ამ გარიგების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჩვენების მიცემაზე უარისთქმის უფლების დამტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელიც ასეთ უფლებაზე აკეთებს განცხადებას. მაგალითად, თუ მოწმედ დასახელებული პირი აცხადებს, რომ იგი რომელიმე მხარის ახლო ნათესავია, უნდა წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.

მოწმეს, როგორც საპროცესო ურთიერთობის მონაწილეს, აქვს უფლებები და მოვალეობები.

მოწმის უფლებებია: მისცეს ჩვენება შშობლიურ ენაზე, მიიღოს სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები, დღიური თანხა, შეუნარჩუნდეთ საშუალო ხელფასი, ხოლო თუ ისინი არ არიან შრომით ურთიერთობაში, მაშინ მათ ჩვეულებრივი საქმიანობიდან მოცდენისათვის ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით (სსკ 45-ე მუხლი).

მოწმის მოვალეობებია: ა) გამოცხადდეს სასამართლოში დანიშნულ დროს და ბ) მისცეს სწორი ჩვენება. ამ მოვალეობათა შესრულება უზრუნველყოფილია არამატო სამოქალაქო საპროცესო სანქციით, როგორცაა დაჯარიმება 10 ლარით ან იძულებით (პოლიციის ორგანოების მეშვეობით) მოყვანა, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარისთქმისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე, 371-ე მუხლები).

3. მოწმის დაკითხვის წესი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოწმეთა დაკითხვის წესს, რომელიც შემუშავებულია ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით.

ეს წესი ზოგადად შემდეგში მდგომარეობს:

ა) ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. მოწმეები, რომლებსაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ უნდა იყვნენ სასამართლო სხდომის დარბაზში, ხოლო დაკითხული მოწმეები რჩებიან დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე (სსკ 148-ე მუხლის პირველი ნაწილი);

მოწმეთა დაკითხვის ასეთ წესს შეიძლება ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ არ მოახდინონ გავლენა ერთმანეთზე ჩვენების მიცემისას, ხოლო დაკითხული მოწმის სხდომის დარბაზში ყოფნას შეიძლება ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მისი განმეორებით დაკითხვა ან სხვა მოწმებთან დაპირისპირება (სსკ 149-ე მუხლი).

ბ) დაკითხვის დაწყების წინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოწმის პიროვნება. ეს აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ იცოდეს სასამართლომ და მხარეებმა ვის დაკითხვას აპირებენ, არამედ შეიმუშაოს ამ მოწმის დაკითხვის ტაქტიკა. კერძოდ, მოწმის დამოკიდებულების გარკვევას მხარეებთან (მეგობრობა, ერთობლივად რაიმე საქმიანობის წარმართვა და ა.შ.), აქვს მნიშვნელობა სასამართლოს მიერ მისი ჩვენების შეფასების დროს;

გ) მოწმეს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა თავისუფალი თხრობით გადმოსცეს ყველაფერი, რაც მან იცის საქმის გარემოებების შესახებ. მხოლოდ

მას შემდეგ, როცა მოწმე თავისუფალი თხრობით გადმოსცემს იმას რაც იცის, ამის შემდეგ შეიძლება მიეცეს მას შეკითხვები.

შეკითხვების მიცემის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავისუფალი თხრობით გადმოცემული ჩვენება, როგორც წესი, არაა ყოველთვის სრული. ამ ხარვეზის შეესებას ემსახურება შეკითხვების მიცემა.⁸¹

სასამართლომ განუხრელად უნდა დაიცვას შეკითხვების მიცემის კანონით დადგენილი რიგითობა, რომლის მიხედვით პირველად შეკითხვას აძლევს მხარე, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს მოწმე, ან ამ მხარის წარმომადგენელი. ამის შემდეგ სასამართლოს ნებართვით შეკითხვა შეიძლება მისცეს საქმის მონაწილე სხვა პირებმა.

შეკითხვების მიცემის რიგითობა არ ვრცელდება სასამართლოზე; მოსამართლეს შეუძლია შეკითხვა მისცეს დაკითხვის ყველა მომენტში. მას შეუძლია აგრეთვე მოხსნას ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც არ ემსახურება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების გარკვევას, ან, თუ შეკითხვა შთამაგონებელ ზეგავლენას ახდენს მოწმეზე, რაც ფსიქოლოგიური მექანიზმების მონაცემებით დაუშვებელია.

ე) მოწმე უნდა დაიკითხოს სასამართლოს მთავარ სხდომაზე (სსკ 147-ე მუხლი).

გამონაკლისი ამ წესიდან, ე.ი. მოწმის დაკითხვა მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, დასაშვებია, თუ ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში, ან კიდევ, დასაკითხია მრავალი მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოცხადება ღიდ ხარჯებს მოითხოვს.

მოწმის დაკითხვა მისი ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა მოხდეს მხარეთა შეტყობინებით და იმ წესების დაცვით, რაც კანონითაა განსაზღვრული.

ე) მოწმის დაკითხვა შეიძლება მოხდეს სასამართლო დავალების წესითაც (სსკ 107-108-ე მუხლები). ეს იმას ნიშნავს, რომ მოწმე, რომელიც სხვა ქალაქში, რაიონში ან სხვა ქვეყანაში ცხოვრობს (მუშაობს), შეიძლება სასამართლოს დავალებით დაიკითხოს იმ სასამართლოს მიერ, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია. მოწმის დაკითხვის ოქმი უნდა გადაეგზავნოს იმ სასამართლოს, რომლის დავალებითაც დაიკითხა მოწმე.⁸²

⁸¹ იხ. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 323-328.

⁸² „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლი. აგრეთვე, მინსკის კონვენცია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ (მე-6 მუხლი).

თ) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთ მნიშვნელოვან სიახლეს: მოწმის მიერ ფიცის დადებას (სსკ 153-ე მუხლი).

იმისათვის, რომ მოწმეს მიეცეს ფიცის დადების შესაძლებლობა ორი გარემოების ერთდროულად არსებობა აუცილებელია: ერთი – მოწმის ჩვენებას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტი მნიშვნელობა დაეის გადაწყვეტისათვის. მაგალითად, მოწმის ჩვენებაზე დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მეორე – თუ ფიცის დადებას სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის. მაგალითად, მოწმის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მისი თანდასწრებით მოპასუხემ მიუთვალა სესხად აღებული თანხა მოსარჩელეს, აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა საქმისათვის. ამიტომ, თუ სასამართლოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ მოწმეს შეიძლება მოსთხოვოს ფიცის დადება.

ფსიქოლოგიის მეცნიერების მონაცემებით თვითონ ფაქტი პირის მოწმის სახით სასამართლოში გამოძახებისა შთამაგონებელ ზეგავლენას ახდენს ამ პირზე. მით უმეტეს ასეთი ზეგავლენა ძლიერდება, როცა მოწმეს აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ, როცა მას ღმერთის წინაშე აფიცებენ, არ არის გამორიცხული ასეთმა პირმა საერთოდ განაცხადოს, რომ არაფერი საქმის გარემოებების შესახებ არ იცის და ამიტომ ვერც მისცემს მათ შესახებ რაიმე ჩვენებას. ამიტომ, ფიცის დადების მომენტი, თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის, უნდა მოხდეს მხოლოდ ჩვენების მიცემის შემდეგ და იმ წესით, როგორც ეს სსკ 153-ე მუხლის მე-5 ნაწილშია ჩამოყალიბებული.

რელიგიური, თუ არარელიგიური ფიცის დადება, ან კიდევ თავისი რწმენის გამო, ფიცის დადებაზე უარისქმა არ ათავისუფლებს სასამართლოს შეაფასოს მოწმის ჩვენება თავისი შინაგანი რწმენით. ფიცით დადასტურებული მოწმის ჩვენება სასამართლომ შეიძლება სარწმუნოდ მიიჩნიოს. სწორედ ამ მოსაზრებით შეიძლებოდა ეხელმძღვანელა კანონმდებელს, როცა სსკ 153-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიუთითა იმის შესახებ, რომ სასამართლომ აუხსნას მოწმეს ფიცის დადების წინ „წინასწარ განზრახულად დაფიცების გზით ყალბი ჩვენების მიცემით გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ამრიგად, კანონმდებელი არ გამორიცხავს ყალბი ჩვენების ფიცის მეშვეობით დადასტურების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს მოწმის ჩვენება მისი უტყუარობის თვალსაზრისით ყველა შემთხვევაში, გამონაკლისის გარეშე.

ასეთია მოწმის დაკითხვისა და მისგან ჩვენების მიღების ძირითადი წესები. ამ წესების დაცვა აუცილებელია, რათა მოწმის ჩვენებას მიეცეს მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

IV. ნივთიერი მტკიცებულება

1. ცნება. სსკ 154-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ნივთიერი მტკიცებულებების კანონისმიერ (ლეგალურ) განმარტებას: ნივთიერი მტკიცებულებებია ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებებით ან არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

ამ განმარტებით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა განსხვავება, რომელიც არსებობს ნივთიერ მტკიცებულებასა და წერილობით მტკიცებულებას შორის. წერილობითია ყოველი საგანი, რომელიც მასზე გამოხატული ნიშნებით და მათი ამოკითხვის საშუალებით შეიცავს ცნობებს ფაქტების შესახებ, ხოლო ნივთიერია საგნები, რომლებიც თავისი თვისებით, ხარისხით, მდებარეობით და ა.შ. გვაწვდის ასეთ ცნობებს. მაგალითად, რომელიმე წერილობითი დოკუმენტი შეიძლება წერილობითი კი არაა, არამედ ნივთიერი მტკიცებულება იყოს, თუ გვიანტერესებს ამ დოკუმენტის არა შინაარსი, არამედ მისი თვისება, კერძოდ ის, რომ იგი გაყალბებულია (ყალბია ბლანკი, შტამპი, ბეჭედი მასზე, ამოშლილია (გადაფხეკილია) ხელმოწერა და ა.შ. ამ შემთხვევაში ეს დოკუმენტი იქნება ნივთიერი მტკიცებულება. ზოგჯერ ნივთიერი მტკიცებულება ცნობებს გვაწვდის თავისი ხარისხით, მაგალითად, როდესაც სადავოა შესყიდული (გადაცემული) ნივთის ხარისხი (სკ 488-ე მუხლი).

ნივთიერ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. მხარემ შეიძლება სთხოვოს სასამართლოს თვითონ გამოითხოვოს ნივთიერი მტკიცებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან უშუალოდ ვერ შეძლო მისი მიღება იმ პირისაგან, რომელთანაც ეს მტკიცებულება ინახება. მხარე, რომელიც სთხოვს სასამართლოს მიიღოს მისგან ნივთიერი მტკიცებულება ან გამოითხოვოს იგი, ვალდებულია მიუთითოს თუ საქმისათვის მნიშვნელობის რომელი გარემოების დადასტურება შეიძლება ამ მტკიცებულებით. იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებას (ფაქტს), რომლის დასადასტურებლადაც მხარე შუამდგომლობს ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე ან მიღებაზე, არ აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლომ უარი უნდა უთხრას ამ მხარეს მის მიღებაზე და გამოთხოვაზე.

ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია გადაუგზავნოს სასამართლოს მის მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ამავე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ამ ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია სანქციით, როგორცაა და-

ჯარიმება პირველად 10 ლარით. დაჯარიმება შეიძლება მოქალაქის, ან იმ თანამდებობის პირის, ვისი ბრალითაც არ გადაიგზავნა ნივთიერი მტკიცებულება. თუ ნივთიერი მტკიცებულება განმეორებით დაჯარიმების შემდეგაც არ იქნება გადაგზავნილი, მაშინ სასამართლო ამოიღებს მათ პოლიციის მეშვეობით ან მოახდენს მათ დათვალიერებას ადგილზე (სსკ 159-ე მუხლი).

სულ სხვა ხასიათის შედეგებს იწვევს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულების წარუდგენლობა მხარის მიერ. თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე რომელიც არ უარყოფს, რომ ეს მტკიცებულება მის ხელთაა, მაშინ სასამართლოს შეუძლია ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე.

ნივთიერ მტკიცებულებებს, ისე როგორც ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ მან დაათვალიეროს ეს მტკიცებულებები. თუ ისინი, მათი მოცულობის გამო ვერ იქნებიან წარმოდგენილი სასამართლოში, მაშინ სასამართლომ ისინი უნდა დაათვალიეროს ადგილზე. ადგილზე დათვალიერებას სასამართლო აწარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცხადია, რომ მხარეებს შეუძლიათ არამართო დაათვალიერონ წარმოდგენილი ნივთიერი მტკიცებულებები, არამედ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მათ შესახებ, რაც დაეხმარება სასამართლოს ამ მტკიცებულებების შეფასებაში.

მხარეებს შეუძლიათ სთხოვონ სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა ამ მიზნით შეუძლია სასამართლოსაც თავისი ინიციატივით.

ნივთიერი მტკიცებულება ინახება საქმეში ან სასამართლოს შესანახ კამერაში, ხოლო თუ მათი სასამართლოში მიტანა შეუძლებელია, მაშინ ისინი ინახება ადგილზე. ასეთ შემთხვევაში ისინი დაწვრილებით უნდა აღიწეროს და მიღებული იქნეს ზომები მათი უცვლელად შენახვისათვის. თუ შენახვა შეუძლებელია სასამართლო მოახდენს მათ რეალიზაციას და შემოსულ თანხას ჩარიცხავს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

ნივთები, რომლებიც წარმოდგენილი იყო როგორც მტკიცებულებები, დაუბრუნდება მის წარმომდგენ პირს, ან იმ მხარეს, რომელსაც სასამართლომ მიაკუთვნა უფლება ამ ნივთზე.

როგორც წესი, ნივთიერი მტკიცებულებების დაბრუნება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. ცხადია, მხედველობაშია ისეთი ნივთები, რომლებიც შეიძლება იყოს მოქალაქეთა მფლობელობაში. თუ ისეთი ნივთებია, რომლებიც არ შეიძლება იყოს მათ მფლობელობაში, ან შეიძლება, მაგრამ ამისათვის სპეციალური ნებართვაა საჭირო, მაშინ ეს ნივთები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს. მაგალითად, თუ ნივთიერი მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იყო სანადირო თოფი, რომლის სპეციალური ნებართვა მხარეს არ გააჩნდა, იგი გადაეცემა პოლიციის ორგანოებს.

როგორც გამონაკლისი, ნივთები შეიძლება დაუბრუნდეს მის წარმომდგენ პირს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: ერთი – თუ არის ნივთიერი მტკიცებულებების მფლობელის ან წარმომადგენლის შუამდგომლობა და მეორე – თუ სასამართლოს აზრით ნივთების დაბრუნება არ ეწინააღმდეგება საქმის განხილვის ინტერესებს. ხელს არ შეუშლის საქმის სწორად გადაწყვეტას.

V. ექსპერტის დასკვნა

1. სპეციალური ცოდნის რაობა. სასამართლო შემეცნების პროცესში, კერძოდ, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის დროს შეიძლება შეგვხვდეს ისეთი ფაქტები, რომელთა დამტკიცება და დადასტურება ჩვეულებრივი მეთოდებითა და ცნობილი საშუალებებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროზე. ამ ზეგავლენის გარეშე არ დარჩენილა სასამართლო შემეცნებაც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა სასამართლო შემეცნებაზე სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა სასამართლო პრაქტიკაში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტიური გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებათა დაფიქსირების მიზნით.

არსებობს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების მართლმსაჯულების მიზნებისათვის გამოყენების სხვადასხვა ფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასამართლო ექსპერტიზას. სსკ 162-ე მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის

განმარტება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა.

რა არის სპეციალური ცოდნა?

კანონი, რომელიც უშვებს სპეციალური ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას, არ განსაზღვრავს ამ ცნების შინაარსს.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ცოდნა, რომელიც სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება, არ შეიძლება სპეციალურ ცოდნას მიეკუთვნოთ. ამავე დროს, ყოველი ცოდნა, რომელიც სამართლებრივს არ განეკუთვნება, არის სპეციალური ცოდნა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, ან ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას სასამართლოს უფლება აქვს ისარგებლოს არა მარტო თავისი პროფესიული გამოცდილებით, არამედ ადამიანების ემპირიული დაკვირვების საფუძველზე შემუშავებული და საყოველთაოდ ცნობილი განზოგადებებით, აგრეთვე იმ წესებითა და ნორმებით, რომლებიც შემუშავდა ცხოვრების მიერ და რომლებიც ასახავენ ჩვენი საზოგადოების მორალურ შეხედულებებსა და რწმენას. სოციალური თანაცხოვრებისა და მორალის მოთხოვნები არ წარმოადგენენ სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ მათ აქვთ მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობისა და მათი მონაწილეთა შეფასებისათვის. აქ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ სკ 54-ე მუხლის თანახმად გარიგება ბათილია არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ან როდესაც იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, არამედ, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.

თავისთავად ცხადია, რომ სოციალური თანაცხოვრების მორალის ან სხვა სოციალური ნორმების ცოდნა არ მიეკუთვნება სპეციალური ცოდნის სფეროს. მოსამართლეებმა, როგორც თავისი საზოგადოების წევრებმა, უნდა იცოდნენ ეს ნორმები და კარგადაც უნდა ერკვეოდნენ მასში. ექსპერტიზის დანიშვნა ასეთ საკითხებზე, მაგალითად, ხომ არ ეწინააღმდეგება გარიგება ზნეობის ნორმებს, დაუშვებელია.

სამოქალაქო პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით სპეციალური ცოდნა – ეს ისეთი ცოდნაა, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნის, ადამიანების ემპირიული დაკვირვების შედეგად შემუშავებულ საყოველთაოდ ცნობილ განზოგადებებისა და იმ წესებისა და ნორმების ფარგლებს, რომლებიც ასახავენ საზოგადოების მორალურ თუ სხვა შეხედულებას და რწმენას.

2. ექსპერტიზის დანიშვნა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპერტიზა შეიძლება დანიშნოს როგორც მხარეთა თხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით.

ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს საქმის მომზადების სტადიაზე (სსკ 103-ე მუხლის „ა“ პუნქტი). მოგვიანებით, ე.ი. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, როცა უკვე დანიშნულია სასამართლო მთავარი სხდომა, სასამართლო დანიშნავს ექსპერტიზას, თუ მისი დროულად დანიშვნა ვერ მოხერხდა საპატიო მიზეზის გამო. დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის, ან საქმის წარმოების რომელ სტადიაზე ინიშნება ექსპერტიზა, სასამართლო ყოველთვის ატყობინებს მხარეებს, რათა მათ შეძლონ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ექსპერტად შერჩეული პირისა და იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა. ცხადია, რომ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ექსპერტიზის დანიშვნას.

სასამართლო განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგი შინაარსის მითითებებს:

- ა) სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებას, რომელსაც მიენდო ექსპერტის გამოყოფა და ექსპერტიზის ჩატარება;
- ბ) ექსპერტად დანიშნული პირის ვინაობას, თუ ექსპერტიზა ტარდება არასპეციალურ სასამართლო საექსპერტო დაწესებულებაში;
- გ) იმ ფაქტების ზუსტ და სრულ ჩამონათვალს, რომელთა არსებობის, თუ არარსებობის შესახებ საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა;
- დ) იმ მასალების ჩამონათვალს, რომლებიც წარედგინა ექსპერტს გამო-სარკვევად.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტიზის ჩატარება მიწოდებული აქვს სპეციალურ სასამართლო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტს, სასამართლო უგზავნის თავის განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ამ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც, თავის მხრივ ექსპერტიზის ჩატარებას მიანდობს ამ დაწესებულების ერთ-ერთ ან რამდენიმე ექსპერტს. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი განუმარტავს ექსპერტს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს (სსკ 168-ე მუხლი). მას შემდეგ, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა თუ ვის მიენდო ექსპერტიზის ჩატარება, მას შეუძლია განაცხადოს აცილება ამ ექსპერტის მიმართ. აცილების საკითხს განიხილავს სასამართლო (სსკ 34-ე მუხლი).

მას შემდეგ, რაც სპეციალურმა საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტიზის ჩატარება მიანდო მის ერთ-ერთ თანამშრომელს (ექსპერტს), საპროცესო ურთიერთობა მყარდება სასამართლოსა და ამ ექსპერტს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ექსპერტს სურს მიიღოს დამატებითი მასალები ექსპერტიზის ჩატარებისათვის ან სხვა ნებისმიერ საკითხზე, მან უნდა მიმართოს

უშუალოდ სასამართლოს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ექსპერტიზას ატარებს არა იურიდიული პირი – სპეციალური საექსპერტო დაწესებულება, არამედ ექსპერტი – ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია ექსპერტიზის ჩატარებისათვის და მიუკერძოებელი და სწორი დასკვნის მიცემისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზა არ ტარდება სპეციალური საექსპერტო დაწესებულების მიერ, მაშინ პირს ექსპერტად ნიშნავს უშუალოდ სასამართლო, რომელიც გადასცემს მას საჭირო მასალებს, განუმარტავს უფლება-მოვალეობებს და აფრთხილებს პასუხისმგებლობის შესახებ დასკვნის მიცემაზე უარისთქმის თუ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის (სსკ 167-ე მუხლი).

სსკ 163-ე და 164-ე მუხლების თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს. რამდენიმე ექსპერტის დანიშვნის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსათვის საინტერესო საკითხის გასარკვევად საჭიროა სპეციალური ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ცოდნის სხვადასხვა სფეროებში. ასეთ ექსპერტიზას კომპლექსურ ექსპერტიზას უწოდებენ.

ექსპერტის დასკვნის უტყუარობის, მისი ობიექტურობისა და სისწორის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპერტის მიერ ფიცის დადებას. ფიცის დადება შეიძლება მოხდეს ექსპერტიზის ჩატარებამდე ან მის შემდეგ. დროს, თუ როდის მოხდეს ფიცის დადება განსაზღვრავს სასამართლო. ზოგადად, ფიცის შინაარსს განსაზღვრავს კანონი (სსკ 175-ე მუხლი). ამ კანონის თანახმად ფიცის შინაარსი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: „ფიცავ ჩავატარე (ან ჩავატარო) ექსპერტიზა ჩემი ცოდნისა და სინდისის შესაბამისად“.

სპეციალური სასამართლო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტებს შეიძლება მიცემული ჰქონდეთ საერთო ფიცი, რის გამოც, აღარაა საჭირო ყოველი ცალკეული ექსპერტიზის ჩატარებისას დადონ ფიცი.

თუ ექსპერტი უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მოსამართლე მიმართავს ექსპერტს „ადასტურებთ თუ არა სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომ თქვენ მიეცით დასკვნა ჩვენი ცოდნისა და რწმენის მიხედვით“. ექსპერტი პასუხობს „დიახ ვადასტურებ“.

3. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალების შეგროვება. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს სასამართლოს წარუდგენენ

მხარეები. ამ მასალების გამოთხოვა შეუძლია აგრეთვე სასამართლოსაც თავისი ინიციატივით. ექსპერტს უფლება არ აქვს თვითონ შეაგროვოს ასეთი მასალები. ექსპერტს შეუძლია მხოლოდ სთხოვოს სასამართლოს დამატებითი მასალების წარდგენა. ექსპერტმა შეიძლება მიიღოს მისთვის საჭირო მასალები მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. თავისი ინიციატივით ექსპერტს უფლება არ აქვს შეაგროვოს ასეთი მასალები.

სსკ 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს ერთ მეტად მნიშვნელოვან სახელეს: თუ ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭიროა მოწმის ჩვენება, სასამართლოს შეუძლია გამოუძახოს და დაკითხოს იგი ექსპერტის თანდასწრებით. ამ წესით დაკითხული მოწმე არ თავისუფლდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისაგან და ზეპირ განხილვაზე განმეორებით დაკითხვისაგან.

4. ექსპერტის დასკვნა და მისი შეფასება სასამართლოს მიერ. სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელიც ექსპერტად დანიშნა სასამართლომ, ატარებს გამოკვლევას (ექსპერტიზას) იმ საკითხების გარკვევის მიზნით, რომლებიც აინტერესებს სასამართლოს. გამოკვლევის შედეგები აისახება ექსპერტის დასკვნაში, რომელიც უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და ამ ფორმით შედგენილი დასკვნა წარედგინება სასამართლოს (სსკ 170-ე მუხლი).

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით, ექსპერტის დასკვნა – ესაა მტკიცების დამოუკიდებელი საშუალება, რომელიც შედგენილია სასამართლოს მიერ ექსპერტად დანიშნული სპეციალისტის მიერ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული გამოკვლევის შედეგად.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, ექსპერტის დასკვნად, როგორც დამოუკიდებელი სახის მტკიცების საშუალება, ვერ მივიჩნევთ დასკვნებს, რომლებიც თვითონ მხარეების უშუალო დავალებით შეადგინა შესაბამისმა სპეციალისტებმა, ან კიდევ, უწყებრივი ექსპერტების დასკვნებს, რომლებიც შედგენილია მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო. ყველა ასეთი დასკვნა შეიძლება მიიღოს სასამართლომ როგორც წერილობითი მტკიცებულება და შეაფასოს როგორც ასეთი.

ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს კატეგორიული – როცა ექსპერტი, ერთმნიშვნელოვნად (ცალსახად) პასუხობს მის წინაშე დასმულ საკითხებზე, სავარაუდო – როცა ექსპერტი არ გამორიცხავს საკითხის სხვანაირად გადაწყვეტის შესაძლებლობას და. ბოლოს, საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ.

ექსპერტის დასკვნის შეფასება იწყება ექსპერტის დასკვნის შემოწმებით. მხარეები და მათი წარმომადგენლები ექსპერტის დასკვნის შემოწმების მიზნით ჯერ მას აღარებენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. ასეთი შედარების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება და რა თანაფარდობაშია ექსპერტის დასკვნა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. თუ ექსპერტის დასკვნა უპირისპირდება სხვა მტკიცებულებებს, განსაკუთრებით კი ისეთ მტკიცებულებებს, რომლის უტყუარობა არ უნდა იწვევდეს ეჭვს, მაშინ უკვე წამოიჭრება მრავალი საკითხი, რომელიც შეიძლება გაირკვეს ექსპერტისათვის შეკითხვების მიცემით. ექსპერტის წინაშე შეიძლება დაისვას კითხვები მისი დასკვნის განმარტების შესახებ და იმის თაობაზე თუ რა მეთოდის გამოყენებით გააკეთა მან ასეთი დასკვნა. შეკითხვების მიცემის კანონით განსაზღვრული რიგითობა (სსკ 171-ე მუხლი), უნდა დაიცვას სასამართლომ.

ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცების საშუალებას (მტკიცებულებას). მაშასადამე, იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, მაგრამ ვიდრე ამ მიზნით იქნებოდეს გამოყენებული, ექსპერტის დასკვნა უნდა შეაფასოს სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენით (სსკ 105-ე მუხლი).

ექსპერტის დასკვნის სისწორისა და დასაბუთებულობის მნიშვნელოვანი გარანტიაა ექსპერტის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო ფორმის (წესის) დაცვა. ამიტომ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ხომ არ იყო ეს ფორმა დარღვეული.

ექსპერტის დასკვნის სისწორის მნიშვნელოვანი გარანტიაა ექსპერტის მეცნიერული კომპეტენტურობა. ამიტომ სასამართლომ კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმოს მისი კომპეტენტურობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნის უარყოფის საბაბი შეიძლება გახდეს საპროცესო ფორმის არა ყოველგვარი დარღვევა, არამედ მისი ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ექსპერტის დასკვნის სისწორეზე და დასაბუთებულობაზე. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ დასკვნა შეადგინა ექსპერტმა, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან არაკომპეტენტურმა პირმა, რომელსაც არ გააჩნია სათანადო სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, ან კიდევ, ექსპერტმა გამოიკვლია არასათანადო და უხარისხო ობიექტი და ა.შ. მაშინ ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სწორი და დასაბუთებული.

ექსპერტის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო ფორმის (წესის) დაცვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ექსპერტის დასკვნა დასაბუთებულია.

ექსპერტის დასკვნის შეფასებისათვის სასამართლომ უნდა შეაფასოს ის წინამძღვრები, ფაქტობრივი და მეცნიერული მონაცემები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დასკვნას.

ასეთი შეფასება საკმაოდ რთულია მოსამართლისათვის, ვინაიდან იგი არაა აღჭურვილი იმ სპეციალური ცოდნით, რომლითაც აღჭურვილია შესაფასებელი დასკვნის ავტორი – ექსპერტი.

ამიტომ, თუ ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს და ამ წინააღმდეგობის მოხსნა სასამართლოს (მოსამართლეს) არ ძალუძს, მაშინ მას შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა (სსკ 173-ე მუხლი).

განმეორებითი ექსპერტიზა, რომლის ჩატარება უნდა მიენდოს სხვა ექსპერტს, შეიძლება დანიშნოს ორ შემთხვევაში: ერთი – როცა სასამართლოს აზრით ექსპერტის დასკვნა არაა დასაბუთებული და მეორე – როცა ექსპერტების დასკვნები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დასკვნა მინდობილი ჰქონდა რამდენიმე ექსპერტს, რომლებიც არ ეთანხმებიან ერთმანეთს და ამიტომ შეადგინეს ცალ-ცალკე დასკვნები, ან კიდევ, მიღებული იქნა განმეორებით დანიშნული ექსპერტის დასკვნა, რომელიც ეწინააღმდეგება პირველადი ექსპერტის დასკვნას.

ამრიგად, განმეორებითი ექსპერტიზა წარმოადგენს ექსპერტის დასკვნის შემოწმებისა და შეფასების ერთ-ერთ საშუალებას.

§11. ადგილზე დათვალიერება

ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ადგილზე დათვალიერება მოთავსებული იყო მეთექვსმეტე თავში „სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლოში“ (186-ე მუხლი). ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით ადგილზე დათვალიერებას ეძღვნება ცალკე თავი და იგი მოთავსებულია მესამე კარში, რომელიც სასამართლო მტკიცებულებებს ეხება.

ადგილზე დათვალიერების მომწესრიგებელი ნორმების ასეთი განლაგება არაა შემთხვევითი: 1997 წლის სსკ-ი მტკიცებულებათა დათვალიერებას და მათ შორის ამ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერებას უშუალოდ სასამართლოს მიერ განიხილავს ორი მნიშვნელობით, როგორც მტკიცებულებათა შემოწმების (გამოკვლევის) საშუალებას და როგორც სასამართლოს მიერ

უშუალო შეშეცნების გზით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.⁸³

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, დათვალიერების ბუნება და მიზანი არ იცვლება იმის მიხედვით თუ სად ტარდება ეს დათვალიერება – სასამართლოში, თუ დასათვალიერებელი ობიექტის სამყოფელ ადგილზე.

ადგილზე დათვალიერება შეიძლება საჭირო გახდეს, როდესაც ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში შეუძლებელია. მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის შეუძლებლობა ან სიძნელე შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ნათესების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ცხადია, რომ მიწის ნაკვეთის სასამართლოში წარდგენა შეუძლებელია, ან კიდევ, თუ დასადგენია დიდი ოდენობით ტვირთის დაზიანების ფაქტი, რომელთა წარდგენა სასამართლოში ძნელია ან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადგილზე დათვალიერება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილზე დათვალიერების არამარტო შესაძლებლობას, არამედ განსაზღვრავს ასეთი დათვალიერების წესებსაც.

კერძოდ, ადგილზე დათვალიერება შეიძლება მოხდეს, როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით.

მხარეთა შუამდგომლობა (განცხადება) ადგილზე დათვალიერების შესახებ მოტივირებული უნდა იყოს, ე.ი. მასში მითითებული უნდა იყოს, თუ რა მიზეზითაა განპირობებული ადგილზე დათვალიერების აუცილებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის აზრის მიხედვით ადგილზე დათვალიერება უნდა მოხდეს საქმის მომზადების სტადიაზე (სსკ 203-ე მუხლის „ე“ პუნქტი). მხარეთა მიერ დაგვიანებით აღძრული შუამდგომლობები ადგილზე დათვალიერების შესახებ სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს, თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც, დროულად არ იქნა აღძრული ასეთი შუამდგომლობა (სსკ 215-ე მუხლი).

ადგილზე დათვალიერების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, დამოუკიდებლად იმისა, მხარეთა შუამდგომლობით, თუ სასამართლოს ინიციატივით ხდება ეს.

⁸³ ზემოთ (თავი IX §11) ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ანუ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს არამარტო მტკიცებულებების გამოყენებით, არამედ ამ ფაქტებისა და გარემოებების უშუალო შეშეცნების გზითაც.

ადგილზე დათვალიერების შესახებ ეცნობებათ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებსაც შეუძლიათ მოსამართლის ყურადღება მიაქციონ დასათვალიერებელი ნივთების თუ წერილობითი მასალების ამა თუ იმ თვისებაზე, ნიშნებზე, ხარისხზე და სხვა. მიუხედავად მათი დათვალიერებაში მონაწილეობის ასეთი მნიშვნელობისა, თუ ისინი არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროს, ეს ხელს ვერ შეუშლის დათვალიერებას.

ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლომ შეიძლება გამოუძახოს მოწმეებსაც, თუ მათ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ სასამართლოს დათვალიერების სრულყოფილად ჩატარებაში.

სასამართლოს განჩინებაზე ადგილზე დათვალიერების შესახებ არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ განჩინებაზე ადგილზე დათვალიერებაზე უარისთქმის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ადგილზე დათვალიერებას, როგორც წესი, ატარებს ერთპიროვნულად მოსამართლე, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური შემადგენლობა იხილავს, მაშინ იგი შეიძლება ჩაატაროს შემადგენლობის ერთ-ერთმა მოსამართლემ, ამ სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

ადგილზე დათვალიერებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სპეციალისტმა, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება. სპეციალისტი უნდა განვახსნავთ ექსპერტისაგან. სპეციალისტი არ ატარებს გამოკვლევას, არ წერს დასკვნას, მისი მთავარი ფუნქციაა დახმარება აღმოუჩინოს მოსამართლეს, მიაპყროს მისი ყურადღება ამა თუ იმ გარემოებაზე, შეადგინოს ნახაზები, მოახდინოს ფოტო გადაღებები, ურჩიოს სასამართლოს, რომ მან დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ. მისი რჩევები და კონსულტაციები შეიტანება დათვალიერების ოქმში, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს.⁸⁴ თუ ადგილზე დათვალიერებას აწარმოებს კოლეგიური სასამართლოს მთელი შემადგენლობა, მაშინ ეს შემადგენლობა იწვევს სპეციალისტს, მაგრამ თუ დათვალიერებას ატარებს ერთპიროვნულად მოსამართლე მაშინ ეს მოსამართლე იღებს განჩინებას სპეციალისტის მოწვევის შესახებ.

⁸⁴ დათვალიერებაში მონაწილე სპეციალისტის ასეთი ფუნქციის გამო, ჩვენს პროცესში არ წამოიჭრება საკითხი წარმოადგენს თუ არა დათვალიერება, რომელშიც ექსპერტი მონაწილეობს მოსამართლესთან ერთად. იმავდროულად ექსპერტისა, თუ ეს მინც დათვალიერებაა, როგორც ეს საკითხი მიღებულია გერმანულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში. იხ. O. Jauernig. Zivilprozessrecht. München 1993 s. 195.

როგორ აღვნიშნეთ, ჩვენს პროცესში დათვალიერებაში მონაწილეობს არა ექსპერტი, არამედ სპეციალისტი, რომელსაც არ გააჩნია ექსპერტის ფუნქცია. უფრო მეტიც, თუ მას საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ურჩიოს მოსამართლეს დანიშნოს ექსპერტიზა.

დათვალიერების დროს ოქმის შედგენა სავალდებულოა და იგი უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (სსკ 125-ე მუხლი). დათვალიერების ოქმი არის მტკიცების საშუალება, რომელიც ემყარება მოსამართლის მაღალ ავტორიტეტს. ცხადია, რომ ოქმი სრულყოფილად უნდა შედგეს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასში დათვალიერების შედეგების ზუსტად, ნათლად და ამომწურავად ასახვას. დათვალიერების შედეგებში იგულისხმება ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ამ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის და რომლებიც დადასტურებულად ჩათვალა სასამართლომ დათვალიერების საფუძველზე.

თუ დათვალიერება დაკავშირებულია ხარჯებთან, ეს ხარჯები უნდა დაფაროს იმ მხარემ, ვისი თხოვნითაც ხდება დათვალიერება, მაგრამ თუ იგი სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ამ ხარჯებს ორივე მხარე იხდის.

§12. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

1. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ცნება და მიზანი. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საფუძველი მითითებულია კანონში: ყოველთვის, როცა არსებობს საშიშროება, რომ საჭირო მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელი იქნება, დინტერესებულ პირს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა (სსკ 109-ე მუხლი).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, როგორცაა მაგალითად, მოწმის ავადმყოფობა, მისი ხანგრძლივად წასვლა მივლინებაში, სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასვლა, ნივთიერ მტკიცებულებათა მალფუჭადობა და ა.შ.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა განეასხვავოთ სარჩელის უზრუნველყოფისაგან. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მომავალი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (191-ე მუხლი). მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის უზრუნველყოფა.

ამრიგად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა – ესაა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ასრულებს სასამართლო ან ერთპიროვნულად მოსამართლე იმ მიზნით, რათა კანონით დადგენილი წესით დაამაგროს მტკიცებულებები სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დროს მათი გამოყენებისათვის.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის აღძვრის შემდეგ და სასამართლოში საქმის აღძვრამდეც.

თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა წარმოებს სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ, მაშინ ასეთი უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს საქმის მომზადების სტადიაზე. დაინტერესებულმა მხარემ შეიძლება სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მომზადების სტადიაზე. არაა გამორიცხული, რომ ეს საკითხი დაისვას მთავარ სხდომაზეც საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დროს, სასამართლო ისედაც ვალდებულია შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები. (სსკ III-ე მუხლი), მაგრამ ასეთ შემთხვევაში მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მომზადების სტადიაზე მას არ ჰქონდა საშუალება უზრუნველყოფის საკითხი დაეყენებინა, ე.ი. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხის დაუყენებლობა საპატიო მიზეზით იყო განპირობებული (სსკ 215-ე მუხლი).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფას სასამართლოში საქმის აღძვრამდე ახდენს იმ რაიონის ან ოლქის მოსამართლე, რომლის ტერიტორიაზე უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით (მაგალითად მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და ა.შ.).

სარჩელის აღძვრის შემდეგ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შეკრებილი მასალები გადაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს.

2. განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ყველა იმ მონაცემისა, რომელსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ნებისმიერი განცხადება (შუამდგომლობა), განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გაკეთებული, მოტივირებული უნდა იყოს, რათა სასამართლოს შეეძლოს გადაწყვიტოს უზრუნველსაყოფი მტკიცებულების დასაშვებობისა და განკუთვანადობის საკითხი (სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 104-ე მუხლი).

განმცხადებელმა კერძოდ, უნდა მიუთითოს:

ა) არა მარტო მტკიცებულებაზე, რომლის უზრუნველყოფასაც მოითხოვს, არამედ სად იმყოფება ან სად მდებარეობს ეს მტკიცებულება;

ბ) მტკიცებულებათა გამოთხოვა საერთოდ და, მით უფრო, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება, ე.ი. გარემოება, რომელიც ასაბუთებს მოსარჩელის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს.

აქედან გამომდინარე, იმ გარემოებაზე მითითება, რომლის დადასტურებისთვისაც საჭიროა უზრუნველყოფა – წარმოადგენს განცხადების განხილვის წინაპირობას.

გ) მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესასრულებელი ღონისძიებების გასატარებლად არ კმარა მხოლოდ ის, რომ მტკიცებულებას აქვს მნიშვნელობა საქმისათვის. აუცილებელია აგრეთვე არსებობდეს რეალური საშიშროება, რომ ამ მტკიცებულების წარდგენა ან გამოყენება მოგვიანებით ძნელი ან შეუძლებელი გახდება. თუ ასეთი საშიშროება არ არსებობს, სასამართლომ უარი უნდა თქვას მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

დ) მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესასრულებელი საპროცესო მოქმედება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით (სსკ 13-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზოგჯერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესახებ სასამართლომ უნდა შეატყობინოს მხარეებს. სწორედ ამიტომაც, რომ განცხადებაში მითითებული იყოს მხარეები და მათი მისამართები, მაგრამ თუ უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე უნდა განხორციელდეს, მაშინ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მხარე და მისი მისამართი, რომლის წინააღმდეგაც მოსარჩელე აპირებს სარჩელის აღძვრას.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით სასამართლომ შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა მოქმედება, კერძოდ, დაკითხოს მოწმე, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულება, დანიშნოს ექსპერტი და სხვა. ყველა ეს საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს კანონით დადგენილი წესით, რომელიც არსებობს მოწმის დაკითხვისათვის, ადგილზე დათვალიერებისათვის, ექსპერტის დანიშვნისათვის და ა.შ.

მხარეებს უნდა ეცნობოთ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებას. გადაუდებელ შემთხვევებში მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეუტყობინებლადაც. გადაუდებელი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც უზრუნველყოფას მოითხოვს მალეფუჭადი ნივთიერი მტკიცებულება, მოწმის მძიმე დაავადებით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობა და სხვა.

3. ხარჯების ანაზღაურების წესი. როგორც წესი მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დაკავშირებულია ხარჯებთან. ხარჯების ოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს იმის მიხედვით თუ რა ხასიათის საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს. იგულისხმება მგზავრობის ხარჯები, ფოტო გადაღებებისა და ნახაზების შედგენის ხარჯები, სპეციალისტისათვის მისაცემი თანხები, თუ იგი მონაწილეობდა უზრუნველყოფაში და ა.შ.

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს სასამართლო, რომელიც შეიძლება არ აღმოჩნდეს ზუსტი. დაზუსტებული ხარჯები განისაზღვრება უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩატარების შემდეგ. საბოლოოდ, ამ ხარჯებისა და საერთოდ, სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის უნდა მოხდეს საქმის არსებითად გადაწყვეტისას (სსკ 53-ე მუხლი).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება სსკ 113-ე და 119-ე მუხლები), რომელიც არ გასაჩივრდება. რაც შეეხება განჩინებას მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარისთქმის შესახებ ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ნაკვეთი მეორე

სასარჩელო წარმოება

თავი X

სარჩელი

§1. სარჩელის ცნება

I. სარჩელი როგორც საპროცესო სამართლის ინსტიტუტი

რა არის სარჩელი?

სასამართლო არსებობს იმისათვის რომ დაიცვას პირის, ე.ი. ფიზიკური ან იურიდიული პირის დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი. უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია ყოველი პირისათვის, მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლომ გახსნას საქმის წარმოება და შეუდგეს საქმის განხილვას, საჭიროა, რომ პირმა მიმართოს სასამართლოს უფლების დაცვის შესახებ განცხადებით (თხოვნით, შუამდგომლობით).

ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წარმოებას, ვერ განახორციელებს ამა თუ იმ პირის უფლების დაცვას. საქმის წარმოებას სასამართლოში იწყებენ დაინტერესებული პირები, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და „თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ“ (სსკ მე-3 მუხლი). ასეთია დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების ერთ-ერთი პრაქტიკული და მთავარი შედეგი.

როგორც ვხედავთ, სასამართლოს საქმიანობის აღმერა, საქმის წარმოება სასამართლოში იწყება სარჩელის ან განცხადების შეტანით. როგორც წესი, სარჩელით მიმართავენ სასამართლოს, როდესაც არის დავა უფლების შესახებ, ხოლო განცხადებით სასამართლოს მიმართავენ, როდესაც არ არის დავა და არ არის მოდავე მხარეები, საჭიროა მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგენა, რის შესახებაც დაწერილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.

ამრიგად, იმ პირს, რომელსაც სურს მეორე პირისაგან რაიმეს (ნივთის, ფულადი თანხის) მიკუთვნება ან მისგან რაიმე მოქმედების შესრულება ან

ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თვის შეკავება, ან კიდევ, უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნა, მან უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით.

სარჩელი როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტი – ესაა უფლების დაცვის შესახებ პირის შუამდგომლობა სასამართლოსადმი, რათა მან განიხილოს ამ სარჩელში მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნა და გამოიტანოს ამის თაობაზე თავისი გადაწყვეტილება.⁴⁵

II. სარჩელის ელემენტები

1. სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლების, აგრეთვე ამავე კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 178-ე მუხლების ანალიზი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ), სრულ საფუძველს გვაძლევს

⁴⁵ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სარჩელი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით და სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ შეხედულების საპირისპიროდ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელი ერთიანი ცნებაა და მას მხოლოდ ორი მხარე აქვს - საპროცესო სამართლებრივი - ე.ი. სასამართლოსადმი მიმართვა შუამდგომლობით, რათა მან დაიცვას სადავო უფლება და მატერიალურ-სამართლებრივი - ანუ მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი (დაწვრილებით იხ. „Советский гражданский процесс“ МГУ, М., 1979, стр. 106).

ჩვენ ამ შეხედულებებს არ ვიზიარებთ (იხ. ჩვენი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ თბ. 1992 წ. გვ. 92). ჯერ ერთი, ზემოთ მოყვანილი შეხედულებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება: ერთსაც და მეორესაც სარჩელი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სარჩელის საპროცესო სამართლებრივი მხარე, ასევე სარჩელი მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით ანუ სარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მხარე – აბსოლუტურად ერთნაირად ესმით. მეორეც, ის, რასაც უწოდებენ სარჩელს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სარჩელის მატერიალურ სამართლებრივ მხარეს (სადავო სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი) მთლიანად ემთხვევა სარჩელის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება (იხ. ქვემოთ).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარჩელი, მართალია საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე.

გავაკეთოთ დასკვნა, რომ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება: ა) სარჩელის საგანი და სარჩელის საფუძველი.

სარჩელის თითოეულ ამ ელემენტს აქვს მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ა) ამ ელემენტების მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის ინდივიდუალიზაცია მსგავსად იმისა, თუ როგორ ხდება პიროვნების ინდივიდუალიზაცია მისი სახელისა და გვარის მიხედვით. სარჩელის ელემენტების სწორად გარკვევის საფუძველზე შესაძლებელი ერთი სარჩელის სხვა სარჩელებისაგან გამოიჯვანა, იმის განსაზღვრა ხომ არ არის აღძრული იგივე სარჩელი, რომელიც ადრე იყო განხილული. ცნობილია, რომ სსკ 186-ე მუხლის თანახმად სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი თუ იგივე სარჩელი ადრე იყო აღძრული და მის მიმართ გამოტანილია გადაწყვეტილება.

ბ) სასამართლო მოვალეა განიხილოს სარჩელი იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია სარჩელში და იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც საფუძვლად დაუდო თავის მოთხოვნას მოსარჩელემ. აღსანიშნავია, რომ სსკ 248-ე მუხლის თანახმად „სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა“.

გ) დასაშვებია მხოლოდ სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის – საგნის ან საფუძვლის შეცვლა. სარჩელის ამ ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა კი შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

დ) ბოლოს სარჩელის ელემენტებს მნიშვნელობა აქვს მოპასუხესათვის. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე მან უნდა იცოდეს რა მოთხოვნას უყენებენ და რის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოემზადება თავის დასაცავად.

2. სარჩელის საგანი

რა არის სარჩელის საგანი?

სარჩელის საგნის ცნების შინაარსის განსაზღვრისას შეიძლება ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სსკ 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს: „მოსარჩელის მოთხოვნა“. ამავე კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს „რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ“. ამავე მუხლის

მე-3 ნაწილის თანახმად „რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას“ სასამართლოს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოფის ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა.

ამ მუხლების ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს ვაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებით სარჩელებში სარჩელის საგანი – ესაა მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის მიმართ მან უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.⁸⁶

ამრიგად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა ამ მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან სესხად გადაცემული თანხის დაბრუნებას, ლიზინგის საგნის დაბრუნებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ნივთის დაბრუნებას მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან და ა.შ. სარჩელის საგანი იქნება არა ამ მოთხოვნათა მატერიალური ობიექტი, მაგალითად, ავტომანქანა, როიალი, სახლი, ფული და ა.შ. არამედ ვალის დაბრუნება, ნივთის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ალიმენტის გადახდევინება და ა.შ.

სარჩელის საგნის შესახებ ასეთი მოსაზრება მთლიანად ემყარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, რომლის თანახმად სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება (სსკ 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი). სარჩელის საგნის შეცვლად არ მიიჩნევა აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდება (სსკ 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა ასეთი გადიდების შემთხვევაში უნდა ეცნობოს მოპასუხეს.⁸⁷

⁸⁶ ზოგჯერ კანონი ხმარობს ტერმინს: „დავის საგანი“ (მაგალითად, სსკ მე-40-42 მუხლები, 381-ე მუხლი და სხვა); დავის საგანია ის, რაზეც დაობენ მხარეები და რის გამოც აღძრულია სარჩელი, ანუ სარჩელის საგანი. ეს იმას ნიშნავს, რომ დავის საგანი და სარჩელის საგანი იგივეობრივი (იდენტური) ცნებებია.

⁸⁷ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის საგანი ესაა სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, ან კიდევ, მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას და ა.შ. (იხ. А.А. Добровольский, С.А. Иванова. Основные проблемы исковой формы защиты права. Изд-ва МГУ, М. 1979. стр. 33-34).

ამ შეხედულებათა ლოგიკურ განვითარებას მიყვებართ სარჩელის საგნის ისეთ განსაზღვრამდე, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამიტომ, ჩვენ აქ ვერ ეხებათ რაიმე შეცდომას, მას მხარს არ უჭერთ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გამოყენება პრაქტიკას უქმნის გარკვეულ უხერხულობას და სირთულეებს.

რაც შეეხება აღიარებით და გარდაქმნით სარჩელებს, აქ სარჩელის საგანი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით.

სსკ 180-ე მუხლის თანახმად, (რომლის სახელწოდებაა „აღიარებითი სარჩელი“) „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ“.

აქ უკვე განსაზღვრულია აღიარებითი სარჩელის საგანი: მოსარჩელის უფლება (მაგალითად საკუთრების უფლება რაიმე ნივთზე), სამართლებრივი ურთიერთობა (მაგალითად, წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარება), დოკუმენტის ნამდვილობა ან სიყალბე (მაგალითად, დაბადების მოწმობის სიყალბის დადგენა).

რაც შეეხება გარდაქმნითი სარჩელების, აქ სარჩელის საგნად გვევლინება მოსარჩელის მოთხოვნა ერთი (უკვე არსებული) ურთიერთობის, მეორე სხვა ურთიერთობად გარდაქმნის შესახებ (მაგალითად, საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფა), რის შესახებაც დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.

ამრიგად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი სარჩელის სახესთან გვაქვს საქმე, სარჩელის საგანს ყოველთვის წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსი, რაც ხშირად დაკავშირებულია მოპასუხის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაზე (ნივთის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, აღიშენების გადახდევინება, სამუშაოზე აღდგენა და ა.შ), რაიმე უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარებასთან, ან კიდევ, ასეთი ურთიერთობის გარდაქმნასთან.

რას ნიშნავს მოსარჩელის „მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი“?

სასამართლო მოწოდებულია განიხილოს მხოლოდ ისეთი მოთხოვნები, რომლებიც მატერიალური (სამოქალაქო, შრომის, სამეწარმეო და ა.შ) სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან წარმოიშობიან. მაგალითად, მოთხოვნა მოპასუხის ბინიდან გამოსახლების შესახებ (ბინის განთავისუფლების შესახებ), ქონების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ, ან კიდევ, სამუშაოზე აღდგენის შესახებ და სხვა, იმიტომ იწოდება მატერიალურ სამართლებრივ მოთხოვნებად, რომ ისინი წარმოიშობიან მატერიალური სამოქალაქო ან შრომის სამართლით (და არა საპროცესო სამართლით) მოწესრიგებული ურთიერთობებიდან.

ხშირად, მატერიალურ სამართლებრივ მოთხოვნას მოიხსენიებენ წინსართით – „სადავო“ („სადავო მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა“). ეს აბსოლუტურად სწორია, მაგრამ არაა აუცილებელი, რადგან სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელით უკვე გულისხმობს დავას მხარეებს შორის, უკვე გულისხმობს იმას, რომ მოპასუხე ნებაყოფლობით არ ასრულებს რაიმე მოქმედებას მოსარჩელის სასარგებლოდ.

3. სარჩელის საფუძველი

სსკ 178-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს „გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

როგორც ვხედავთ, მოსარჩელეს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი მოთხოვნის ჩამოყალიბებით. მან უნდა მიუთითოს აგრეთვე იმ გარემოებებზე, რომლებსაც ეს მოთხოვნა ემყარება და, მაშასადამე, რომლებსაც შეუძლიათ ფაქტობრივად დაასაბუთონ (გაამართლონ) ეს მოთხოვნა.

როგორც აღვნიშნეთ, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ იურიდიული ხასიათის ფაქტებით (ფაქტიური გარემოებებით). იურიდიული ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც სამართლის ნორმა, (ამ შემთხვევაში კი მატერიალური სამართლის ნორმა) უკავშირებს გარკვეულ შედეგს, კერძოდ ისეთ შედეგს, რომლის დადგომაც სურს მოსარჩელეს. მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას რომელიც სესხად ჰქონდა მიცემული, მაშინ მან უნდა მიუთითოს სარჩელის საფუძველში, რომ მხარეებს შორის დადებული იყო სესხის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მოპასუხემ თავის დროზე მიიღო სესხად გარკვეული თანხა, რომელიც უნდა დაებრუნებინა უკან ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და რომ ეს ვადა უკვე დადგა, მაგრამ მოპასუხე არ აბრუნებს ვალს. სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 626-ე მუხლების თანახმად სესხის გადაცემა, მისი დაბრუნების ვადის დადგომა და ამ ვადაში მისი დაუბრუნებლობა – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ასაბუთებენ (ამართლებენ) მოსარჩელის მოთხოვნას გასესხებული თანხის დაბრუნების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაქტების მითითების (გადმოცემის) ტვირთი ეკისრებათ მხარეებს. მხარეებმა თვითონვე უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი

ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (სსკ მე-4 მუხლი). ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელე შეიძლება შეცდეს და ვერ ან არ მიუთითოს ყველა იმ ფაქტზე, რომელიც სინამდვილეში ასაბუთებენ მის მოთხოვნას. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სარჩელის საფუძველში მის მიერ მითითებულ ფაქტებს სინამდვილეში არ აქვს რაიმე მნიშვნელობა მისი მოთხოვნის დასაბუთება-გამართლებისათვის. დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ შეავსებს ამ ხარვეზს, ვერ გამოასწორებს ამ ნაკლოვანებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო ვერ დაუდებს საფუძველად თავის გადაწყვეტილებს ისეთ ფაქტებს, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ. ერთადერთი რაც შეუძლია გააკეთოს სასამართლომ ესაა ის, რომ გამოკითხოს მოსარჩელეს, მიიღოს მისგან ახსნა-განმარტება ფაქტიური გარემოებების შესახებ და ამ გზით დააზუსტოს სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტები. მოსარჩელეს ყოველთვის აქვს უფლება დააზუსტოს, შეავსოს, დააკონკრეტოს და საერთოდ შეცვალოს სარჩელის საფუძველი.

4. სარჩელის შეცვლა

სარჩელის განხილვის პროცესში შეიძლება წამოიჭრას სარჩელის შეცვლის აუცილებლობა.

როგორია სარჩელის შეცვლის ფარგლები?

სსკ 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი.

ამრიგად, მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი – ან საგანი, ან საფუძველი, მაგრამ არა ორივე ელემენტი ერთდროულად. რატომ?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება: სარჩელის საგნისაგან და სარჩელის საფუძველისაგან. აღვნიშნეთ ისიც, რომ სარჩელის ელემენტების მეშვეობით ხდება სარჩელის ინდივიდუალიზირება, მისი იგივეობრიობის დადგენა, მისი განსხვავება და გამოიჯენა სხვა სარჩელებისაგან, რასაც უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: თუ არ გვეცოდინება რა კრიტერიუმებით უნდა გავმიჯნოთ სარჩელები ერთიმეორისაგან, შეიძლება მოხდეს ერთი და იგივე სარჩელის ორჯერ და მეტად განხილვა და მათ მიმართ სხვადასხვა შინაარსის და ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამოტანა.

აქედან გამომდინარე, თუ სარჩელი ორი ელემენტისაგან შედგება, მაშინ ამ ორივე ელემენტის შეცვლა ფაქტიურად გამოიწვევს არა სარჩელის შეცვლას, არა მასში ცვლილებების შეტანას, არამედ სარჩელის „გამოცვლას“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავდაპირველ სარჩელზე უარისთქმას და ახალი სარჩელის შემოტანას (აღძერას).

მხარე არ არის შებოჭილი და მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით ახალი და ახალი სარჩელებით, მაგრამ მას არ შეუძლია სარჩელის შეცვლის ნიღბით წარმოადგინოს ახალი სარჩელი.

შესაძლებელია თუ არა სარჩელის საგნის შეცვლა ისე, რომ არ გახდეს საჭირო სარჩელის საფუძვლის შეცვლა? სავსებით შესაძლებელია.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი“. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, მაშინ მყიდველს წარმოეშება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მოთხოვნის უფლება გამყიდველის მიმართ, ხოლო გამყიდველს ამ უფლების შესაბამისი მოვალეობები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 491-ე, 492-ე, 494-ე მუხლების თანახმად მყიდველს შეუძლია აღძრას სარჩელი გამყიდველის მიმართ და მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის გამოსწორება, მისი შეცვლა უნაკლო ნივთით, ხელშეკრულების მოშლა, ფასის შემცირება და ა.შ. თუ ნივთის მყიდველი (მოსარჩელე) მოითხოვს ამ ნივთის გამყიდველისაგან (მოპასუხე) ვთქვათ, ნივთის ნაკლის გამოსწორებას იმ საფუძველით, რომ მას გამყიდველმა გადასცა ნივთობრივად ნაკლის მქონე ნივთი, მას შეუძლია შეცვალოს ეს მოთხოვნა ანუ სარჩელის საგანი, სხვა მოთხოვნით, ვთქვათ ნივთის ფასის შემცირების მოთხოვნით, ისე რომ არ შეცვალოს სარჩელის საფუძველი, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაცემული ნივთის ნაკლოვანება (მისი შეუსაბამობა შეთანხმებულ ხარისხთან ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის მისი გამოუსადეგობა).

მთელ რიგ შემთხვევებში საქმე გვაქვს საპირისპირო შემთხვევასთან: და ერთსა იმავე შედეგს კანონი უკავშირებს სხვადასხვა ფაქტს.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის თანახმად საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს (სამართლებრივი შედეგი) სხვადასხვა ფაქტიური გარემოებების საფუძველზე, ვთქვათ საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ გამქირავებელს ან ახლო ნათესავს, ან კიდევ, დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება დაარღვია და ა.შ.

ამის შესაბამისად, თუ გამჭირავებელი მოსარჩელე მოითხოვს ქირავნობის ხელშეკრულებებს შეწყვეტას (სარჩელის საგანი) იმ საფუძველით, რომ ბინა სჭირდება ახლო ნათესავისათვის (სარჩელის საფუძველი), მას შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი ისე რომ არ შეცვალოს თავდაპირველი მოთხოვნა (სარჩელის საგანი) და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ დამჭირავებელი (მოპასუხე) უარს ამბობს გადაიხადოს გაზრდილი ქირა, რაც ბაზარზე არსებულ ბინის ქირას შეესაბამება (სკ 562-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

როგორც ვხედავთ, სარჩელის საფუძვლის შეცვლა აქ მითითებული ფაქტიური გარემოებით, ან კიდევ სხვა ისეთი გარემოებებით, რომლებიც გათვალისწინებულია სკ 562-ე მუხლით, არ იწვევს სარჩელის საგნის შეცვლას და ამიტომ სავსებით დასაშვებია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის შეცვლის წესს, რომელიც ზუსტად უნდა დაიცვას სასამართლომ.

კერძოდ, სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა, მოსარჩელეს შეუძლია საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე – მის დამთავრებამდე. საქმის წინასწარი მომზადების სტადია მთავრდება სასამართლოს განჩინებით ამ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი). ამ განჩინების გამოტანის შემდეგ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმის მაუწყებელია, რომ დამთავრდა საქმის მომზადება, სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთი პირობით – თუ ამის თანახმა იქნება მოპასუხე. თუ მოპასუხე თანახმა არ იქნება სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელი თავდაპირველი მოთხოვნისა (საგნისა) და საფუძვლის მიმართ.

მოსარჩელემ შეიძლება არ შეცვალოს სარჩელის საგანი მაგრამ გაადიდოს (გაზარდოს) მოთხოვნის ფარგლები, მაგალითად მოითხოვდა 1000 ლარს და გაზარდა ეს მოთხოვნა 2000 ლარით, მოითხოვდა მხოლოდ როიალს და გაადიდა ეს მოთხოვნა წიგნების კარადით და ა.შ. ასევე, მოითხოვდა ავტომანქანას ახლა მოითხოვს მის ღირებულებას და ა.შ.

ყოველივე ეს (გარდა სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლისა), როგორცაა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება თუ შემცირება, ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება ან ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება, შეიძლება განხორციელდეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე – საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე და მოპასუხის თანხმობის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას სარჩელის საფუძველზე. სსკ 83-ე მუხლის მე-4

ნაწილის თანახმად სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელში თავდაპირველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ იცვლება, ისინი რჩება უცვლელად და მათ კვლავ ეკისრებათ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება-გამართლების ფუნქცია. დასაშვებია მხოლოდ მათი დაკონკრეტება. მაგალითად, მოსარჩელეს რომელიც მოითხოვს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ დაპქირავებელი უარს ამბობს ბინის ქირის გაზრდილი ოდენობით გადახდაზე, შეუძლია დააზუსტოს ეს გარემოება და მიუთითოს, რომ ამჟამად არსებულ პირობებში გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით გაიზარდა ბინის ქირის ოდენობა. მოსარჩელეს შეუძლია აგრეთვე დამატებით მიუთითოს ისეთ გარემოებაზე, რომელსაც კანონი უკავშირებს მისთვის სასურველ შედეგს.

§2. სარჩელის სახეები (სარჩელების საპროცესო სამართლებრივი კლასიფიკაცია)

სარჩელების კლასიფიკაცია, ანუ მათი დაყოფა სახეებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. მაგალითად, თუ სარჩელების დაყოფას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ვახდენთ, მაშინ ყოფნ ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით, როგორცაა სანივთო სარჩელები, მათ შორის ვინდიკაციური სარჩელები ანუ სარჩელები ნივთის გამოთხოვის შესახებ სხვისი უკანონო მფლობელობიდან, ნეგატორული სარჩელები, ანუ სარჩელები ნივთით სარგებლობის ხელისშეშლის აღკვეთის შესახებ, ვალდებულებითი სარჩელები, სარჩელები ზიანის ანაზღაურების შესახებ, საბინაო სარჩელები, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელები, საალიმენტო სარჩელები და ა.შ. სარჩელების დაყოფა წარმოებს აგრეთვე სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით, როგორცაა სამოქალაქო, შრომის, სამეწარმეო, ადმინისტრაციული და ა.შ. სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით დაყოფას აქვს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა ორი თვალსაზრისით: პირველი – საპროცესო სამართლებრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს თავისებურებებს, რომლებიც მათი განხილვა-გადაწყვეტისათვის შეიძლება იყოს საჭირო, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. მაგალითად, სსკ-სი ითვალისწინებს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს (სსკ 352-ე მუხლები). მეორე – სარჩელების მატერიალურ სამართლებრივი ნიშნით დაყოფას აქვს გარკვეული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიზნით, რათა უფრო

ზუსტად განისაზღვროს ცალკეული კატეგორიის საქმეთა მიხედვით პრაქტიკის მდგომარეობა, რომელი კატეგორიის საქმეები (საოჯახო, საბინაო, საავტორო, შრომის და სხვა) ჭარბობენ და რა არის ამის მიზეზი, რა ღონისძიებები შეიძლება დაისახოს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, თუ სამართალწარმოების შემდგომი სრულყოფის მიზნით და ა.შ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სარჩელების კლასიფიკაცია სამოქალაქო საპროცესო თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით სარჩელების დაყოფა სახეებად წარმოებს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე – რაიმეს მიკუთვნებას მოპასუხისაგან, რაიმეს ცნობას (აღიარებას), თუ მოპასუხესთან მისი ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას.

სარჩელების დაყოფა საპროცესო სამართლებრივი ნიშნის მიხედვით მოიცავს უფლების დაცვის ყველა სახეს და ასეთ დაყოფას აქვს მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მტკიცების საგნის ზუსტად და სრულად განსაზღვრისათვის, ისე სარჩელის ინდივიდუალიზაციისათვის – ერთი სარჩელის მეორისაგან გამიჯვნისათვის.

განვიხილოთ სამოქალაქო საპროცესო ნიშნით დაყოფილი სარჩელები ცალ-ცალკე.

I. მიკუთვნებითი სარჩელები

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებსაც ზოგჯერ აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ამ სახის სარჩელების გამოყენებას უფლების დასაცავად ყველაზე ხშირად მიმართავენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, მიკუთვნებითი სარჩელები – ეს ისეთი სარჩელებია, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან რაიმეს მიკუთვნებას, ან უფრო ზუსტად, რაიმე მოქმედების შესრულებას ან ამ მოქმედებისაგან თავის შეკავებას. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან ამა თუ იმ ნივთის დაბრუნებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ვალის დაბრუნებას, ლიზინგის საგნის დაბრუნებას, ბინის განთავისუფლებას, ალიმენტის გადახდას, სამუშაოზე აღდგენას და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთ სარჩელებს ზოგჯერ უწოდებენ აღსრულებით სარჩელებს. საქმე ისაა, რომ თუ ასეთი მიკუთვნებითი სარჩელები დაკმაყოფილდება და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელიც შეეა

კანონიერ ძალაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის გამოწერა. ამიტომ მიკუთვნებით სარჩელებს შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე აღსრულებითი სარჩელიც.

როგორც ვხედავთ, მიკუთვნებითი სარჩელების საგანია მოსარჩლის მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომ მან შეასრულოს მოსარჩლის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს ასეთი მოქმედების შესრულებისაგან. ეს არის მოსარჩლის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც იგი სასამართლოს მეშვეობით უყენებს მოპასუხეს. როგორც ამის შესახებ ზემოთაც მივუთითეთ, მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ მატერიალური სამართალი განსაზღვრავს თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება, ვთქვათ ვალის დაბრუნება, ნივთის გადაცემა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. იმისათვის, რომ დაევალოს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება მას უნდა წარმოემყვას, მატერიალური სამართლის ძალით, ასეთი მოვალეობა. მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვს გასესხებული თანხის დაბრუნებას, ამისათვის არ კმარა, რომ არსებობდეს სესხის ურთიერთობა, რომ მოსარჩელემ მართლა ასესხა გარკვეული თანხა მოპასუხეს. საჭიროა და აუცილებელია აგრეთვე ისიც, რომ უკვე დადგა ვალის დაბრუნების ვადა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და მოპასუხე არ აბრუნებს ამ ვალს, ე.ი. არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ან კიდევ, უკვე დადგა ქირავნობის საგნის დაბრუნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა და მოპასუხე არ აბრუნებს ამ საგანს, ან კიდევ, მოპასუხემ მიაყენა ზიანი მოსარჩელის ქონებას და არ ანაზღაურებს ამ ზიანს ნებაყოფლობით და ა.შ.

მაშასადამე, მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელების დაკმაყოფილებისათვის არ კმარა მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობის არსებობის დადასტურება, არამედ აუცილებელია აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევა. სწორედ რომ უფლების დარღვევა წარმოშობს ამ უფლების იძულებითი განხორციელებისა და უფლების დამრღვევის მოვალეობას შეასრულოს გარკვეული მოქმედება.⁸⁸

⁸⁸ ესაა უფლების ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ზოგიერთი პროცესუალისტი უწოდებს სარჩელის უფლებას მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ჩვენი აზრით, ესაა მიკუთვნებითი სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი – საგანი, რომელიც ასეთი სახის სარჩელებში მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის გამომხატველია

აქედან გამომდინარე, მიკუთვნებით სარჩელებში კიდევ რომ დადასტურდეს ურთიერთობის არსებობა, მაგალითად, სესხის, ქირაუნობის, ლიზინგის, ნასყიდობის ურთიერთობების წარმოშობა და არსებობა, მიკუთვნებითი სარჩელი მანც ვერ იქნება დაკმაყოფილებული, თუ არ დადასტურდა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოვალეობის შესრულებლობა. შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ რაიმე გამონაკლისი? ასეთი გამონაკლისი შესაძლებელია. მაგალითად ჩვენი სსკ 181-ე მუხლის თანახმად დასაშვებია სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა და, მაშასადამე, მოსარჩელის უფლება ჯერ არ დარღვეულა, რადგან მოპასუხე ჯერ არაა ვალდებული ასეთი მოთხოვნა შეასრულოს. მიუხედავად ამისა, მოპასუხეს მანც შეიძლება დაეკისროს რაიმე მოქმედების შესრულება ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით, თუ „ვითარების მიხედვით გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას“.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბ-ანისაგან ვალის დაბრუნება 100000 ლარის ოდენობით, თუმცა ჯერ არ დამდგარა მისი დაბრუნების ვადა. თავისი სასარჩელო მოთხოვნა ა-ნიმ იმით დაასაბუთა, რომ ბ-ანიმ დაიწყო თავისი ქონების გასხვისება, გახდა იგი გადახდისუნარო, ხოლო შეპირებული უზრუნველყოფა საერთოდ ვერ წარმოადგინა. (სკ 367-ე მუხლი).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელის უფლება ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს რეალური საშიშროება, რომ იგი მომავალში დაირღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიკუთვნებითი სარჩელების დაკმაყოფილება ასეთ პირობებში დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ამ პირობების ზუსტად და უტყუარად დადასტურებისას.

II. აღიარებითი სარჩელები

ზოგ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს მოპასუხის მხრივ არა რაიმე მოქმედების შესრულებაში ან ამ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში, არამედ იმაში, რომ სასამართლომ ცნოს, აღიაროს თავისი გადაწყვეტილებით ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა, ამა თუ იმ დოკუმენტის სიყალბე ან მისი ნამდვილობა. ასეთი

სარჩელები გამიჯნულია სხვა სარჩელებისაგან და მათ უწოდებენ აღიარებით სარჩელებს ან კიდევ, დადგენით სარჩელებს.

აღიარებითი სარჩელები შეიძლება იყოს დადებითი (პოზიტიური) და უარყოფითი (ნეგატიური). დადებითი აღიარებითი სარჩელი მიმართულია რაიმე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ან რაიმე უფლების არსებობის დადგენისაკენ, აგრეთვე რომელიმე დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებისაკენ. მაგალითად, სარჩელი ნივთით სარგებლობის უფლების აღიარების (დადგენის) შესახებ, მამობის დადგენის შესახებ, თანაავტორად ცნობის შესახებ და ა.შ. წარმოადგენენ დადებით (პოზიტიურ) აღიარებით სარჩელებს. მაგრამ სარჩელები ამა თუ იმ ურთიერთობის არარსებობის შესახებ, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, დოკუმენტის სიყალბის შესახებ და ა.შ. წარმოადგენენ უარყოფით (ნეგატიურ) აღიარებით სარჩელებს.

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება ნეგატიური აღიარებითი სარჩელები ამა თუ იმ გარიგების მათ შორის ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ, თუმცა ასეთი სარჩელების მიღების წინაპირობები ყოველთვის არ გვაქვს (იხ. ქვემოთ).

აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს. ამიტომ, ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამით იგი განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან (საერთოდ უდავო წარმოებისაგან), რომლის დროს გვყავს მხოლოდ ერთი მხარე – განმცხადებელი. მაგრამ, თუ უდავო წარმოების დროს წამოიჭრა დავა, მაშინ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის უდავო წესით წარმოება და ურჩიოს მხარეებს აღძრან სარჩელი.

აღიარებითი სარჩელის მიღებისათვის საჭიროა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი წინაპირობები, რომლებიც მითითებულია სსკ 186-ე მუხლში და რომლებიც ყველა სახის სარჩელებს ეხება. ამასთან ერთად, აღიარებით სარჩელებს წაეყენებათ კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა – იურიდიული ინტერესი. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ რომ არსებობდეს სარჩელის აღძვრის ანუ სარჩელის მიღების ყველა წინაპირობა, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე (დაშვებაზე) და განხილვაზე.

განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს

მასი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვილაც ედავება მას ამ უფლებაში.

აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას – საჭიროა:

1. არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, ე.ი. მოპასუხე უნდა ეცილებოდეს (ედავებოდეს) მოსარჩელეს უფლებაში (მაგალითად, საკუთრების უფლებაში, მოთხოვნის უფლებაში და ა.შ.);

2. ასეთი დავა უნდა ქმნიდეს ამ უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

3. აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა, დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; ის უნდა ქმნიდეს უფლების თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც დაირღვა მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გამო;

4. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიარას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი.

აღიარებითი სარჩელის საფუძველი მთლიანად განპირობებულია ასეთი სარჩელების საგნით ანუ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსით. აქედან გამომდინარე, თუ, მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს, რომ სასამართლომ დაადგინოს (აღიაროს) თავისი გადაწყვეტილებით ამა თუ იმ გარიგების არსებობა ან ამა თუ იმ დოკუმენტის ნამდვილობა, მაშინ ასეთი პოზიტიური აღიარებითი სარჩელის საფუძველი იქნება ფაქტები, რომლებსაც კანონი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, დოკუმენტის ნამდვილობას (უფლებაწარმოშობი ფაქტები). მაგრამ, თუ მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ აღიაროს თავისი გადაწყვეტილებით უფლების ან ურთიერთობის არარსებობა, მაშინ ასეთი აღიარებითი სარჩელის საფუძველი იქნება ფაქტები, რომლებიც აბრკოლებენ სამართლებრივი ურთიერთობის (უფლების) წარმოშობას, როგორცაა მაგალითად მოტყუება, ძალადობა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ქმედუნარობა და ა.შ. (უფლებადამატრკოლებელი ფაქტები).

როგორც ვხედავთ, უფლების დარღვევის ფაქტი არ შედის აღიარებითი სარჩელის საფუძველში, რადგან მოსარჩელე ასეთი სარჩელით არ მოითხოვს

მოპასუხისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას. მისი მიზანია მხოლოდ ის, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით აღიაროს ურთიერთობის (უფლების) არსებობა ან არარსებობა, დოკუმენტის ნამდვილობა ან სიყალბე.

აღიარებითი სარჩელების მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარკვეულობა და სიზუსტე შეაქვთ მხარეთა ურთიერთობებში, ამიტომ მათი მნიშვნელობა ამ ურთიერთობათა სწორად წარმართვაში ძალიან დიდია. ამასთან ერთად, აღიარებით სარჩელებს დიდი მნიშვნელობა აქვთ უფლების დარღვევის პროფილაქტიკისათვის.

III. გარდაქმნითი სარჩელები

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ეს კარგად ჩანს, გარდაქმნითი სარჩელები – ესაა სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებული ურთიერთობის გარდაქმნისაკენ. არსებული ურთიერთობის გარდაქმნა კი შესაძლებელია ამ ურთიერთობის შეცვლით ან შეწყვეტით. ისე როგორც ურთიერთობის წარმოშობა, ისე მისი შეცვლა ან შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს იურიდიული ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ეწოდებათ იურიდიული ფაქტები. მაგალითად, ნებისმიერი გარიგება, ვთქვათ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის ძალით ამ ურთიერთობის ერთი მხარე – მყიდველი, ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს – გამყიდველს გარკვეული თანხა, ხოლო ეს მეორე მხარე – გამყიდველი, ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი (ნასყიდობის ობიექტი). ისე როგორც ურთიერთობის წარმოშობა, ამ ურთიერთობის შეცვლა და შეწყვეტაც, როგორც წესი, პირთა ნების საფუძველზე ხდება. მაგალითად, ურთიერთობა შეწყდება ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებით (სკ 428-ე მუხლი). პირთა ნების გამოვლენით ხდება აგრეთვე ურთიერთობის შეცვლაც. მაგალითად, საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს ამ უფლების მონაწილეთა შეთანხმებით (სკ 961-ე მუხლი).

ზოგჯერ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ამ ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი პირის ცალმხრივი ნების გამოვლენითაც. მაგალითად, დავალების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ მისი შეწყვეტა დასაშვებია ცალმხრივადაც – ერთ-ერთი მხარის მიერ (სკ 720-ე მუხლი). იგივე წესს

ითვალისწინებს სსკ 99-ე მუხლი, რომლის თანახმად მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვეტის წარმომდგენლის უფლებამოსილება. იგივე უფლება ცალმხრივად შეწყვეტოს მინდობილობა და უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე (სსკ მე-100 მუხლი) აქვს წარმომადგენელსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული ურთიერთობის შეცვლა ან შეწყვეტა ცალმხრივად, ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის მიერ, დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც ძალზედ იშვიათად ხდება.

როგორც წესი, არსებული ურთიერთობის გარდაქმნა, მისი შეცვლა ან შეწყვეტა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დაინტერესებულ პირს (მხარეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მაგალითად, სკ 1124-ე მუხლის თანახმად მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში (მმრო) განქორწინება დაიშვება „იმ მეუღლეებს შორის ურთიერთთანხმობით, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ“. ამავე კოდექსის 1126-ე მუხლის თანახმად „თუ მეუღლეთა შორის არის დავა, ან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო“. ასეთ საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წესით (სკ 1127-ე მუხლი). ცხადია, რომ თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ, მხარეთა შორის ქორწინება შეწყდება ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მმრო-ში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (სკ 1132-ე მუხლი).

უფლება შეიძლება ერთობლივად ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს (სკ 953-ე მუხლი). თითოეულ მოწილეს ეუთვნის თანაბარი წილი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი (სკ 954-ე მუხლი). ამასთან ერთად, თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ასეთი გაუქმება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მოწილეები თანახმანი იქნებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც მოწილეები არ არიან თანახმა საზიარო უფლების გაუქმებაზე, მაშინ დაინტერესებულ პირს (მოწილეს) შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით წილის გამოყოფისა და საზიარო უფლების გაუქმების შესახებ, არსებული საზიარო ურთიერთობა და აქედან გამომდინარე საზიარო უფლება გარდაიქმნება ინდივიდუალურ უფლებად – საზიარო უფლების საგანზე ინდივიდუალურ საკუთრებად.

გარდაქმნითი სარჩელები განსხვავდებიან მიკუთვნებითი სარჩელებისაგან

იმით, რომ მოსარჩელები არ მოითხოვენ მოპასუხეებისაგან რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულებას ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებას. გარდაქმნითი სარჩელებით მოსარჩელებს სურთ მიაღწიონ არსებული ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას, რაც მან ვერ შეძლო მეორე მხარესთან შეთანხმებით, ე.ი. სასამართლოს გარეშე.

გარდაქმნითი სარჩელების აღძვრის აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ არსებული ურთიერთობის გარდაქმნა მისი შეცვლით ან შეწყვეტით, ზოგჯერ მხოლოდ სასამართლოს მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგალითად, სკ 1205-ე მუხლის თანახმად მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც უკიდურესი ღონისძიება „შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით“. ამავე კოდექსის 1209-ე მუხლის თანახმად „მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით“.

გარდაქმნითი სარჩელები განსხვავდებიან აგრეთვე აღიარებითი სარჩელებისაგან იმით, რომ აღიარებით სარჩელების მოთხოვნის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ ცნოს, დაადგინოს ესა თუ ის უფლება ან სამართლებრივი ურთიერთობა. გარდაქმნითი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას ან შეწყვეტას.

გარდაქმნითი სარჩელები, ანუ კონსტიტუციური სარჩელები, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ კანონი ითვალისწინებს ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს ან შეცვალოს ურთიერთობა, თუ დადასტურდება ფაქტები, რომლებსაც კანონი ასეთ შეცვლას (შეწყვეტას) უკავშირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, მშობლებს შეიძლება ჩამოერთვათ მშობლის უფლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დადასტურდება სსკ 1205-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტები, კერძოდ „თუ გამოირკვევა, რომ ისინი (ან ერთ-ერთი მათგანი) სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას, ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას — სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მაგნე გავლენას ახდენენ მათზე“ და ა.შ.⁸⁹

⁸⁹ გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალისტის მიერ, ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია. იხ. ა. კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2003, გვ. 292.

ასეთ მოსაზრებას ადრე ჩვენც ვიზიარებდით. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. თბ. 1992, გვ. 96.

§3. სარჩელის უფლება. სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები

1. სარჩელის უფლების ცნება. სარჩელი ჩვენი თვალსაზრისით არის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი (იხ. ზემოთ, გვ. 219). შესაბამისად სარჩელის უფლებაც წმინდა საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, რომლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების (ინტერესის) დასაცავად.

სასამართლოში მიმართვის უფლება გათვალისწინებულია უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მიხედვით ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (42-ე მუხლი). ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე (45-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის ამ დანაწესის შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა და რომ საქმის განხილვას სასამართლო შეუძლება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად (სსკ მე-2 მუხლი). ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანის გზით.

ამრიგად, სარჩელი წარმოადგენს უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას, ხოლო სარჩელით სასამართლოში მიმართვა შეუძლია ყოველ დაინტერესებულ პირს.

როგორც საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, სარჩელის უფლება – ესაა ყოველი დაინტერესებული პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად.⁹⁰

⁹⁰ ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად ერთმანეთისაგან განასხვავებენ სარჩელის უფლებას საპროცესო სამართლებრივი და მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. სარჩელის უფლება მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით – ესაა სარჩელის, უფრო ზუსტად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება.

სარჩელის უფლების, როგორც საპროცესო ინსტიტუტის, რეალიზაციისათვის და სარჩელის უფლების, როგორც მატერიალური სამართლის ინსტიტუტის – რეალიზა-

2. სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები. უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელით, აქვს ყოველ დანტერესებულ პირს. ამ თვალსაზრისით სარჩელის უფლება მთლიანად ემთხვევა საპროცესო უფლებაუნარიანობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოში წარდგენილი (აღძრული) ყოველი სარჩელი უნდა აუცილებლად მიიღოს სასამართლომ და განიხილოს იგი.

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი საჭიროა გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობები (წინამძღვრები), რომლებიც სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს (წინამძღვრებს) წარმოადგენს.⁹¹

სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აჯგუფებენ. მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის საქმეების მიმართ გამოიყენებიან, ერთმანეთისაგან განასხვავებენ საერთო და სპეციალურ პირობებს (წინამძღვრებს), იმის მიხედვით თუ როგორი ხასიათისაა თვითონ ეს წინაპირობები, ერთმანეთისაგან გამოყოფენ დაღებით და უარყოფით წინაპირობებს.⁹²

ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით სარჩელის წარმოებაში მიღების პირობები უნდა დაჯგუფდეს იმის მიხედვით, თუ ვის ან რას განეკუთვნება ეს პირობები.

ციისათვის სრულიად განსხვავებული პირობებია საჭირო, მაგრამ მთავარი და ძირითადი ისაა, რომ სარჩელის უფლება საპროცესო თვალსაზრისით არაა დამოკიდებული სარჩელის უფლებაზე მატერიალური თვალსაზრისით. სასამართლომ უნდა მიიღოს და განიხილოს სარჩელი, დამოუკიდებლად იმისა დასაბუთებულა თუ არა იგი ფაქტობრივად და იურიდიულად. რაც შეიძლება გაირკვეს მხოლოდ ამ სარჩელის არსებითად განხილვის შედეგად, პროცესის ბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

⁹¹ იურიდიულ ლიტერატურაში ამ პირობებს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ, როგორცაა მაგალითად „სარჩელის უფლების წინაპირობები“ (предпосылки права на иск), სარჩელის აღძვრის წინაპირობები“ (предпосылки права на “предъявление иска”) „პროცესის წინაპირობები“ (die Prozessvoraussetzungen) „სარჩელის დასაშვობის წინაპირობები“ (die Zulassigkeit der klage) და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, სარჩელის ულება აქვს ნებისმიერ საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურვილ პირს, მაგრამ სასამართლომ რომ მიიღოს დანტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სარჩელი წარმოებაში, ამისათვის საჭიროა გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობები. ამიტომ, ჩვენ მთ უწოდებთ სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს.

⁹² Гражданское процессуальное право. Под ред. М.С. Шакарян. И. 2004. стр. 294.

ა. კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2003. გვ. 294.

ამ ნიშნის მიხედვით პროცესის წინაპირობებს სამ ჯგუფად ყოფენ. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ წინაპირობებს, რომლებიც სასამართლოს განეკუთვნება (მაგალითად, უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა და ა.შ.) მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ პირობებს, რომლებიც მხარეებს განეკუთვნება (მაგალითად, ქმედუნარიანობა), ხოლო მესამე ჯგუფს მიაკუთვნებენ წინაპირობებს, რომლებიც დავის საგანს განეკუთვნება (მაგალითად, სარჩელის საგნის ღირებულება).⁹³

სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობების კლასიფიკაცია ზემოთ დასახელებული ნიშნის მიხედვით, სავსებით შესაძლებელია და დასაშვებია. საკითხი მხოლოდ მდგომარეობს იმაში, რომელი უფრო მიზანშეწონილია პრაქტიკული თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები ჩამოთვლილია სსკ 186-ე მუხლში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინაპირობები არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავად. სსკ-ის სხვა მუხლებში შევხვდებით ისეთ გარემოებებზე მითითებას, რომლებიც აბრკოლებენ სარჩელის წარმოებაში მიღებას, მაგალითად, მოსარჩელემ არ შეავსო სარჩელის ხარვეზი, რომელზეც მიუთითა სასამართლომ, ან კიდევ, არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. ასეთ შემთხვევაში სარჩელი უმოძრაოდ უნდა დატოვოს სასამართლომ (სსკ 185-ე მუხლი). ფაქტიურად ესაა სარჩელის მიღებაზე უარის თქმა. ამიტომ, ყველა ამ წინაპირობის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ისეთი საფუძვლით, რომელიც კანონით არაა გათვალისწინებული, უნდა დაკვალიფიციროდეს, როგორც მართლმსაჯულებაზე უარის თქმა, რაც პირის ერთ-ერთი ძირითადი უფლების უხეშად დარღვევა იქნება.

ამრიგად, ნებისმიერ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს უფლების დასაცავად, მაგრამ ასეთი მიმართვისათვის არსებობს კანონით დადგენილი წესი და პირობები, რომელთა სრული გათვალისწინებით უნდა მოხდეს უფლების დაცვა.

როგორია სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები?

1. სარჩელის სასამართლოებისადმი უწყებრივი ქვემდებარეობა

დაწვრილებით საკითხი უწყებრივი ქვემდებარეობისა (საქვეუწყებობისა) და მისი დარღვევის შედეგების შესახებ განხილული გვაქვს ამ წიგნის V თავის პირველ პარაგრაფში. აქ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ

⁹³ პროცესის წინაპირობათა ასეთი დაჯგუფება ფართოდაა აღიარებული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. Rosenberg, /Schwab/, Gottwald. დასახ. ნაშრომი, გვ. 536. O. Jauernig. დასახ. ნაშრომი, გვ. 115

სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს, თუ მისი განხილვა არ შედის საერთო სასამართლოების კომპეტენციაში (სსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარისთქმის შესახებ, ხოლო, თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო სარჩელი და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ იგი უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

2. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დაევი, ანუ დაევი, რომლებიც წარმოიშვა უცხოური ელემენტით დატვირთული ურთიერთობიდან, შეიძლება განიხილონ საქართველოს სასამართლოებმა თუ ასეთი დაევი განეკუთვნება მათ კომპეტენციას.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“. (სკს კანონის მე-8 მუხლი). საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის ეს ზოგადი დანაწესი დაკონკრეტებულია სკს კანონის მე-9-20 მუხლებში.⁹⁴

3. სარჩელის განსჯადობა ამ სასამართლოსადმი

დაწვრილებით საკითხი განსჯადობისა და მისი დარღვევის შედეგების შესახებ განხილულია ამ წიგნის V თავის მე-2-5 პარაგრაფში. აქ შეიძლება კვლავ მიუთითოთ იმის შესახებ, რომ სსკ III თავის მე-13-24 მუხლები ეძღვნება განსჯადობას. ცხადია, რომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს განსჯადობის საკითხის გარკვევისას ამ თავში ჩამოყალიბებული წესებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსჯადობის დარღვევით საქმის განხილვა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს. უფრო მეტიც, თუ მოპასუხეს პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას არ წამოუყენებია განსჯადობის საკითხი: როგორც ეს მითითებულია სსკ 377-ე მუხლის მე-5 პუნქტში, მოთხოვნა განსჯადობის შემოწმების შესახებ „დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული“.

⁹⁴ დაწვრილებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ იხ. თ.ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი. თბ. 2004, გვ. 125

4. სარჩელის შინაარსის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან

დაწერილებით სარჩელის შინაარსის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ (იხ. §4). აქ აღვნიშნავთ იმის შესახებ, რომ, თუ სარჩელი არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, ანუ არ შეიცავს ყველა იმ სავალდებულო რეკვიზიტს, რასაც ითვალისწინებს კანონი (სსკ 178-ე მუხლი), მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და ნიშნავს ვადას ამისათვის. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ (სსკ 185-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში სარჩელი უბრუნდება უკან მოსარჩელეს.

5. მოსარჩელის საპროცესო უფლებაუნარიანობა

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – ესაა პირის უნარი ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. რაც შეეხება იურიდიულ პირებს მათი საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან (სსკ მე-80 მუხლი). ვინაიდან ფიზიკურ პირთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვას ან ჩამორთმევას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პრაქტიკულად საკითხი ასეთ პირთა უფლებაუნარიანობის შემოწმების შესახებ არ დგება. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათი საპროცესო უფლებაუნარიანობისათვის საჭიროა რეგისტრაცია კანონით გათვალისწინებული წესით. ამიტომ, თუ მხარედ – მოსარჩელედ ან მოპასუხედ წარმოდგენილია იურიდიული პირი, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს რეგისტრაციის ფაქტი (უფლებაუნარიანობის შესახებ დაწერილებით იხ. თავი IV).

6. მხარეთა საპროცესო ქმედუნარიანობა

ქმედუნარიანობა – ესაა პირის უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (სსკ 81-ე მუხლი). ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, ე.ი. სრულწლოვნებიდან, ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – რეგისტრაციის მომენტიდან. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სრულწლოვან ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის და მათი ქმედუნაროდ გამოცხადების შესაძლებლობას. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის წარმოშობას 18 წლის ასაკის მიღწევამდე, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული პირობები.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საპროცესო ქმედუნარიანობა როგორც მხარეთა თხოვნით, ისე თავისი ინიციატივით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ მხარე არაა ქმედუნარიანი ან იმის გამო, რომ მას ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანებამდე, ან იმის გამო, რომ თუმცა სრულწლოვანია, მაგრამ აღიარებულია სასამართლო გადაწყვეტილებით ქმედუნაროდ, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათ უნდა დაადასტურონ რეგისტრაციის ფაქტი. (დაწვრილებით საპროცესო ქმედუნარიანობის შესახებ იხ. თავი IV).

7. სარჩელის აღძვრა სხვა პირთა უფლებების დასაცავად უფლებამოსილი პირის მიერ

სარჩელით, დაინტერესებულ პირთა უფლებების დასაცავად, სასამართლოს შეუძლიათ მიმართონ არა უშუალოდ ამ დაინტერესებულმა პირებმა, არამედ სხვა პირებმა, ორ შემთხვევაში.

ერთ შემთხვევაში ესენია მეურვეები, მზრუნველები და კანონიერი წარმომადგენლები (დაწვრილებით იხ. თავი VI). მეორე შემთხვევაში ესენია ნებაყოფლობითი წარმომადგენლები. როგორც ცნობილია მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ საქმე სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (დაწვრილებით იხ. თავი VI).

არაუფლებამოსილ პირად ითვლება ისეთი პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლებების დასაცავად, მაგრამ არ წარმოადგენს ამ სხვა პირის არც კანონიერ წარმომადგენელს და არც ნებაყოფლობით წარმომადგენელს ანუ წარმომადგენელს მინდობილობის საფუძველზე.

8. ამ ან სხვა სასამართლოში იგივე სარჩელის არარსებობა

სარჩელის იგივეობრიობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ელემენტების, ანუ მისი საგნისა და საფუძვლის იგივეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სარჩელის საგანი (მოთხოვნის შინაარსი) და სარჩელის საფუძველი (ფაქტები, რომლებიც საფუძველად უდევს ამ მოთხოვნას) ერთი და იგივეა და იგი აღძრულია იგივე მოსარჩელის მიერ იმავე მოპასუხის წინააღმდეგ – ეს იგივე სარჩელია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სხვა ასეთივე და უფრო ადრე აღძრული სარჩელისაგან.

ერთი და იგივე სარჩელის სხვადასხვა, ან იგივე სასამართლოში განხილვის შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს ერთსა და იმავე სარჩელის მიმართ სხვადასხვა შინაარსის ან ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილების არ-

სებობის დაშვებას, რაც ყოველად დაუშვებელია და გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას.

ამიტომ, თუ ორ ან მეტ სასამართლოში შეტანილია ერთი და იგივე სარჩელი, საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო ან რომელშიც ყველაზე ადრე მიღებულად ითვლება სარჩელი (სსკ 183-ე მუხლი).

თუ სასამართლომ ყოველივე ამის შესახებ შეიტყო არა სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, არამედ მისი მიღების შემდეგ მაშინ მან უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 275-ე მუხლის „ე“ პუნქტი).

9. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა

მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას დავის კერძო არბიტრაჟისათვის ანუ სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ აქვს იურიდიული ძალა როგორც თვითონ მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის. ამიტომ, ასეთი შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობისას სასამართლოს უფლება არ აქვს მიიღოს და განიხილოს სარჩელი, ხოლო თუ შეცდომით მიიღო – შეწყვიტოს საქმის წარმოება (სსკ 272-ე მუხლის „ვ“ პუნქტი).

10. იგივე სარჩელის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების არარსებობა

პირველ რიგში მხედველობაშია სასამართლო გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე, რაც ეფუძნება აკრძალვას, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში მხარეებს აღარ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სარჩელი (სსკ 266-ე მუხლი).

ასეთივე შედეგი უკავშირდება სასამართლო განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მოპასუხემ ცნო სარჩელი, ან კიდევ მხარეები მორიგდნენ.

თუ იგივე სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების ან განჩინების არსებობის შესახებ სასამართლო შეიტყობს სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ მან უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება (სსკ 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

11. უფლების დაცვის იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელებში

იურიდიული ინტერესი, როგორც სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა გათვალისწინებულია მხოლოდ აღიარებითი სარჩელების მიმართ (სსკ 180-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელეს არ აქვს იურიდიული ინტერესი, ე.ი. გადაწყვეტილებას ასეთ სარჩელზე არანაირი სარგებლობის

მოტანა არ შეუძლია მოსარჩელისათვის, ან, თუ აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა არაა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება და მხარეს შეუძლია აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი მის ნაცვლად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს და განიხილოს ასეთი სარჩელი (დაწვრილებით იხ. ამ თავის §2).

სარჩელის წარმოებაში მიღების აქ ჩამოთვლილი წინაპირობების გარდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე დამატებით წინაპირობებს შეგებებული სარჩელების წარმოებაში მიღებისათვის, რის შესახებაც დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ (იხ. თავი XI. §2).

ასეთია მოკლედ სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები. თუ რომელიმე წინაპირობა არ არსებობს, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს წარმოებაში, ხოლო თუ შეცდომით მიიღებს იმის გამო, რომ რომელიმე წინაპირობის არარსებობა გამოვლინდა სარჩელის მიღების შემდეგ, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს, იმის მიხედვით, თუ რომელი წინაპირობის არარსებობა გამოვლინდება (სსკ 272-ე და 275-ე მუხლები). სარჩელის განუხილველად დატოვების და საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინებით წარმოება ამ საქმეზე მთავრდება, რის შესახებაც დაწვრილებით იხილეთ XVI თავი.

§4. სარჩელის ფორმა და შინაარსი

I. სარჩელის ფორმა

სარჩელის როგორც ფორმა, ისე შინაარსი განისაზღვრება კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი შუამდგომლობით, რათა მან განიხილოს და გადაწყვიტოს დავა, რომელიც წამოიჭრა მასსა და მოპასუხეს შორის, მაგრამ ასეთი მიმართვა დასაშვებია კანონით განსაზღვრული ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სარჩელი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით (სსკ 177-ე მუხლი). ზეპირი ფორმით სარჩელის ან შეგებებული სარჩელის წარდგენისა და მისი გაფორმების წესებს ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მაშასადამე, ზეპირი ფორმით სარჩელის წარდგენა დაუშვებელია.⁹⁵

⁹⁵ აღსანიშნავია, რომ წერილობითი ფორმა არაა სარჩელის ერთადერთი ფორმა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს სარჩელის ზეპირი ფორმით სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობას. მაგალითად, გერმანიის საუბნო სასამართლოებში (ამტსგერიხტში)

II. სარჩელის შინაარსი

ფორმასთან ერთად, კანონით განსაზღვრულია სარჩელის შინაარსი, ანუ მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს წერილობითი ფორმით შედგენილი სარჩელი. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელის შინაარსის ჩამოყალიბება არაა დამოკიდებული მოსარჩელის მიხედვლებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსარჩელეს არამარტო შეუძლია, არამედ თვითონვე უნდა განსაზღვროს დავის საგანი და მისი საფუძვლები, მაგრამ კანონი ავალებს მას თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა ასახოს ყოველივე ეს სარჩელში.

კანონი ითვალისწინებს სარჩელის სავალდებულო და არასავალდებულო რეკვიზიტებს.

1. გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომლებიც საერთოა სასამართლოში მიმართვის ყოველი ფორმისათვის, სარჩელში სავალდებულოა მითითებული იყოს მოსარჩელის მოთხოვნა (სარჩელის საგანი). ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის მითითებაა. საქმე ისაა, რომ სასამართლო იხილავს სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ ამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რომლებსაც სასამართლო ვერც შეცვლის და ვერც გააფართოვებს. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის ან გაფართოვების უფლება მხოლოდ მოსარჩელეს აქვს.

აქედან გამომდინარე ცხადია, სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. თუ ეს მოთხოვნა არაა სრულყოფილად ჩამოყალიბებული – ეს არის ხარვეზი, რომელიც უნდა შეავსოს მოსარჩელემ. სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაუნიშნოს მას ვადა ამ ხარვეზის შესავსებად.

2. სარჩელში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ეს გარემოებები ერთობლიობაში შეადგენენ მტკიცების საგანს. სასამართლო აქაც შებოჭილია: შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად თავიანთ მოთხოვნებს თუ შესაგებელს (სსკ მე-4 მუხლი). სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისათვის, მისი იურიდიული გამართლებისათვის სარჩელში მითითებული ფაქტები, წარმოადგენენ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს. მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება და შეფასება სასამართლომ უნდა აწარმოოს სარჩელის

სარჩელი შეიძლება აღიძრას ზეპირი ფორმითაც, რაც აისახება ამ სასამართლოს ოქმში. W. Lüke. დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

საფუძველში მითითებული ფაქტიური გარემოებების მიმართ. სასამართლოს შეუძლია არ შეკრიბოს მტკიცებულებები ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებზეც მართალია მიუთითებს მოსარჩელე, მაგრამ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, სარჩელში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე აფუძნებს თავის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა მისცეს მოსარჩელეს ვადა ხარვეზის შესავსებად (სსკ 185-ე მუხლი).

3. სარჩელში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებებზე, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტები. მტკიცებულებებზე მითითებაც სავალდებულოა, თუ ასეთი მითითება არაა, მაშინ სასამართლომ უნდა მისცეს მოსარჩელეს ვადა ხარვეზის შესავსებად.

მოსარჩელეს არ ევალება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე არაა ვალდებული მიუთითოს სარჩელში კანონებზე და იურიდიულად დაასაბუთოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

ასეთია მოკლედ კანონის მითითების შესაბამისად შედგენილი და ჩამოყალიბებული სასარჩელო განცხადების შინაარსი.

სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნები სასამართლოსადმი (და არა მოპასუხისადმი) იმის შესახებ, რომ მან დაავალოს მოპასუხეს წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც მასთან ინახება, მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა წარუდგინონ სასამართლოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები, დროულად შეატყობინოს და გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და ა.შ.

სარჩელში ამ არასავალდებულო რეკვიზიტებზე მითითება ძალზე სასურველია და ხელს შეუწყობს საქმის დროულად განხილვა-გადაწყვეტას, რაც მთლიანად შეესაბამება მოსარჩელის ინტერესებს. მაგრამ მათზე მიუთითებლობა ვერ გახდება ხარვეზის შევსებისა, თუ სარჩელის უმოძრაოდ დატოვების საბაბი.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე, მაგრამ თუ სარჩელს ხელს აწერს მისი წარმომადგენელი (ადვოკატი), მაშინ მან უნდა დაურთოს სარჩელს მინდობილობა, ხოლო ადვოკატმა კიდევ დამატებით საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი).

III. სარჩელის ხარვეზის ცნება და შევსების წესი

სარჩელის ხარვეზი შეიძლება ორ ჯგუფად დაეყოთ: 1. ხარვეზი, რომელიც უშუალოდ სარჩელის შინაარსს შეეხება და 2. ხარვეზი, რომელიც მისი სასამართლოში წარდგენის წესიდან გამომდინარეობს.

1. სარჩელი ხარვეზიანად ითვლება, თუ იგი არ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგალითად არ არის დასახელებული მოპასუხე, ანუ პირი რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, ან კიდევ, მოპასუხე თუმცა დასახელებულია, მაგრამ არაა მითითებული მისი მისამართი თუ ადგილსამყოფელი, არაა ჩამოყალიბებული მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი, არაა მითითებული ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მოთხოვნას და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სარჩელი ხარვეზიანად ითვლება, როცა იგი არ შეიცავს ამა თუ იმ სავალდებულო რეკვიზიტს, ან იმდენად ბუნდოვანია, რომ გაუგებარია მისი აზრი და შინაარსი.

2. მეორე ჯგუფი სარჩელის ხარვეზიანობისა მოიცავს ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც უშუალოდ სარჩელის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ გამოწვეული არიან სარჩელის წარდგენის წესებიდან გადახვევით.

მაგალითად, სარჩელი და მასზე თანდართული საბუთი არაა წარდგენილი იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე (სსკ 179-ე მუხლი), სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი (სსკ 179-ე მუხლი).

მოსამართლე, სარჩელის მისთვის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში, ყურადღებით უნდა გაეცნოს სარჩელს იმ თვალსაზრისით, პასუხობს თუ არა იგი კანონის მოთხოვნებს და ხომ არ აქვს მას ხარვეზი (სსკ 185-ე მუხლი).

ხარვეზის არსებობა არ აძლევს მოსამართლეს უფლებას უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მან უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, რომელშიც ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რა ხარვეზი გააჩნია სარჩელს და რა ვადაში უნდა აღმოიფხვრას ეს ხარვეზი. ხარვეზის შევსებისათვის ვადას განსაზღვრავს სასამართლო იმის მიხედვით, თუ რა მოქმედება უნდა შეასრულოს მოსარჩელემ და რა ვადა იქნება ამისათვის საჭირო.

განჩინება ხარვეზის შესახებ შეიძლება ჩაბარდეს მოსარჩელეს უშუალოდ სასამართლოში, ან გადაეგზავნოს მას სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

IV. სარჩელის უმოდრაოდ დატოვება

საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში (სასამართლოსმიერი ვადა) სავალდებულოა ისე, როგორც ასეთი მოქმედების შესრულება კანონით განსაზღვრულ ვადაში (კანონისმიერი ვადა). ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა გამოასწოროს სასამართლოს განჩინებაში მითითებული ხარვეზი ამავე განჩინებაში მითითებულ ვადაში.

როგორც კი ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურება, თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იყო შევსებული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის უმოდრაოდ დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. ეს განჩინება, სარჩელი და მასზე თანდართული მასალები უნდა ჩაბარდეს და დაუბრუნდეს მოსარჩელეს ან უშუალოდ სასამართლოში, ან სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში. ვადის ათვლა იწყება: ა) თუ სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა მოსარჩელე – გამოცხადების მომენტიდან; ბ) ხოლო თუ არ ესწრებოდა, იმ დღიდან როცა მას ჩაბარდა განჩინება უშუალოდ სასამართლოში ან 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (სსკ 416-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც განჩინება სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ გაუქმდება, სასამართლო გამოიტანს განჩინებას „სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ“, მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე უცვლელად ტოვებს განჩინებას სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ, მოსარჩელეს უბრუნდება სარჩელიც, მასზე თანდართული დოკუმენტებიც და სახელმწიფო ბაჟიც (თუ იგი შეტანილი იყო).

§5. სარჩელის უზრუნველყოფა

I. ცნება

სარჩელის უზრუნველყოფა – ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს არამარტო მოსარჩელემ, არამედ მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნით,

აგრეთვე მოპასუხემ მხოლოდ იმ პირობით, თუ მან აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვს მის უზრუნველყოფას.

II. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი

სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს შეუძლია მიმართოს დაინტერესებულმა პირმა.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გარდა ყველა სახის განცხადებისათვის საჭირო რეკვიზიტებისა, უნდა შეიცავდეს:

1. მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას;

2. მითითებას მოწინააღმდეგე მხარის იმ ქონებაზე ან ფულად სახსრებზე (ანგარიშებზე ბანკში და სხვა), რომელთა მიმართ უნდა მოხდეს უზრუნველყოფა;

3. მითითებას უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიაჩნია მიზანშეწონილად და გამართლებულად.

III. უზრუნველყოფის ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცების ტვირთი

როგორც ვხედავთ, მოსარჩელეს ევალება მიუთითოს თავის განცხადებაში იმ კონკრეტულ გარემოებებზე (ფაქტებზე) რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

ცხადია, რომ ამ გარემოებებზე მხოლოდ მითითება არ კმარა. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს კიდევ ამ გარემოებების არსებობა, რადგან მას ეკისრება მათი დამტკიცების ტვირთი იმ ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ 102-ე მუხლი).

მაგალითად, იმ მიზნით, რათა თავიდან აიცილოს ვალის დაბრუნება, მოპასუხემ დაიწყო თავისი ქონების (ძვირფასი ნივთების, ბინის) ფიქციური გაჩუქება ან სხვა გზით გასხვისება, ფულადი სახსრების გამოტანა ბანკებიდან და გადაძალვა და ა.შ.

ასეთი და სხვა ამგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ქმნიან ვარაუდს, რომ მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება

გართულდეს ან შეუძლებელი გახდეს, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ ანუ იმ პირმა, ვინც უზრუნველყოფას მოითხოვს. მით უფრო, სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების დროისათვის მოპასუხეს უკვე გაჩუქებული, ან გაყიდული აქვს მთელი თავისი ქონება და აღმასრულებელი იძულებულია შეადგინოს უქონლობის აქტი. სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 35-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად სააღსრულებო საბუთი უბრუნდება კრედიტორს თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომლიდანაც შეიძლება მოხდეს გადახდევინება.

ასეთი საშიშროება მოიხსნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, თუ მოხდა სადავო საგნის გასხვისება (გაყიდვა) ან მოთხოვნის დათმობა პროცესის მსვლელობის დროს (სსკ 184-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

საქმე ისაა, რომ თუ არაა გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მხარეებს უფლება აქვთ გაყიდონ, გააჩუქონ დავის საგანი, ან დათმონ მოთხოვნა. მაგრამ სადავო საგნის გასხვისების პირობებშიც მხარედ რჩება ის პირი, ვინც გაასხვისა დავის საგანი, ანუ პირი, რომელიც იქნებოდა მხარედ პროცესში, მას რომ დავის საგნის გასხვისება არ მოეხდინა. სადავო საგნის შეძენს, ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, შეუძლია ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა, ოღონდ ერთი პირობით, თუ მოწინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე. ასეთი თანხმობის უქონლობის შემთხვევაში სადავო საგნის შეძენს შეუძლია ჩაებას პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელმაც ანდა დაეხმაროს მხარეს საქმის მის სასარგებლოდ გადაწყვეტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება დაევალოს დავის საგნის მოგებული მხარისათვის დაბრუნება.⁹⁶

⁹⁶ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები ვრცელდება მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებზე. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება მესამე პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ პროცესში, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. კერძოდ თუ დავის საგანი გაიყიდა ან გადაეცა მესამე პირს. იხ. *Вольфганг Голасовски. Окончательность судебных решений и их пересмотр по немецкому праву. „Законная сила судебных решений и их пересмотр“*. сб. 1-ой кавказской конференции судей. 2002. стр. 68-69.

IV. ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის აღძრამდე სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფა, ანუ ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის სიახლეა კანონმდებლობაში.

განცხადება ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ „გადაუდებელ შემთხვევაში“ (სსკ 192-ე მუხლი).

გადაუდებელი შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს გამოწვეული, როგორცაა მაგალითად, ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ხშირად ფიქციური გასხვისება, გადამალვა და ა.შ. მაგრამ, რა გარემოებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის გადაუდებლობა.

ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფისას მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა მან დანიშნოს ვადა, რომლის განმავლობაში, თუ განმცხადებელი არ აღძრავს სარჩელს, გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარემ შეძლოს ამ უფლების დროულად რეალიზაცია, მიზანშეწონილი იქნება ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი განხილულ იქნას მოწინააღმდეგე მხარის შეტყობინებით, ყველა შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს, როგორც კი შეიტყობს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომ მან დაუნიშნოს განმცხადებელს სარჩელის აღძვრის ვადა და, რომ, თუ ამ ვადაში იგი არ იქნება აღძრული სასამართლომ გააუქმოს მის მიერ დანიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება.

იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი არ აღძრავს სარჩელს დანიშნულ ვადაში, ან აღძრავს მაგრამ წააგებს პროცესს, მას დაეკისრება იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მიადგა მოწინააღმდეგე მხარეს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფით (სსკ 199-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

V. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

სარჩელის უზრუნველყოფის პროცესი – ესაა დაჩქარებული (სწრაფი) პროცესი. ეს იქიდან ჩანს, რომ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განიხილავს მისი შეტანის დღესვე და მოპასუხისათვის შეუტყობინებლად (სსკ 193-ე მუხლი). ასევე დაუყოვნებლივ ხდება უზრუნ-

ველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულებაც, რაც ხორციელდება იმ წესით, როგორც ხდება გადაწყვეტილების აღსრულება (სსკ 195-ე მუხლი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ უნდა გასცეს სააღსრულებო ფურცელი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე, რომელიც გადაეცემა მხარეს სააღსრულებო ბიუროში წარსადგენად. განჩინება ასევე დაუყოვნებლივ ეგზავნება აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც შეუძლია გაასაჩივროს ეს განჩინება.

გარდა საერთო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება უნდა შეიცავდეს: ა) უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება გაატარა სასამართლომ; ბ) იმ ქონების ადგილმდებარეობაზე მითითებას და მის ინდივიდუალურ ნიშნებს, რომელთა მიმართაც გატარდა ღონისძიება; გ) თითოეული ნივთის სრულ და ზუსტ სახელწოდებას, მათ წონას და სხვა პარამეტრებს და ა.შ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა წრეს განსაზღვრავს სსკ 198-ე მუხლი. საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წყვეტს სასამართლო. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ნივთის გამოთხოვის შესახებ, მაშინ სარჩელის უზრუნველსაყოფად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ყაღალა, რომელიც შეზღუდავს მოპასუხეს, მისი განკარგვის (გაყიდვის, გაჩუქების) უფლებამოსილებას. მაგრამ, თუ სარჩელი აღძრულია რაიმე ნაწარმოების ან გამოგონების თანაავტორად ცნობის შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ ნაწარმოების თუ გამოგონების გამოქვეყნების და დანერგვის აკრძალვა.

სარჩელის უზრუნველყოფის კანონში ჩამოთვლილი ღონისძიებები თუმცა ფართოა, მაგრამ არაა ამომწურავი (სსკ 198-ე მუხლი). სასამართლოს შეუძლია სხვა ღონისძიებების გამოყენებაც, ან ერთდროულად რამდენიმე ღონისძიების გამოყენება.

VI. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (მოპასუხის ინტერესების დაცვა)

ცხადია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებამ, მით უმეტეს, თუ ასეთი ღონისძიებით იზღუდება მოპასუხის უფლებამოსილება განკარგოს თავისი ქონება ან ფულადი სახსრები – შეიძლება გარკვეული ზიანი მიაყენოს მას.

კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპი ვლინდება ამ შემთხვევაშიც: კანონი ერთნაირად იცავს არამართო მოსარჩელის, არამედ მოპასუხის ანგარიშგასაწევ ინტერესებსაც. ამიტომ პარს. რომელიც სარჩელის უზრუნველყოფას მოითხოვს შეიძლება ვარკვეული. კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, დაეკისროს იმ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით.

სსკ 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ საშუალებას:

ერთი – ესაა მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით. ზარალის ანაზღაურება მოპასუხეს შეუძლია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას: 1. მოსარჩელეს უარი ეთქვა უზრუნველყოფილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ანუ მან წააგო პროცესი, ან კიდევ, უზრუნველყოფილი იყო ჯერ არ აღძრული სარჩელი (სსკ 192-ე მუხლი), მაგრამ შემდგომ მან არ აღძრა ეს სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, რის გამოც უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა; 2. სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხეს ნამდვილად მიადგა ზიანი, რომლის ოდენობა უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს სარჩელით უნდა მიმართოს მოპასუხემ.

მეორე – ესაა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა (სსკ 199-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზიანის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა. შეიძლება ასეთ ვითარებას ვუწოდოთ საპასუხო უზრუნველყოფა, რომელიც უნდა განხორციელდეს სსკ 57-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ მუხლის თანახმად საპასუხო უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს მოსარჩელის მიერ ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდის დადებით. ამასთან ერთად, სასამართლომ შეიძლება შეღავათიანი პირობებით დაუშვას სხვა საშუალებებიც, როგორცაა მაგალითად საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობა (სსკ 57-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, სარჩელის უზრუნველყოფით უზრუნველყოფილია მოსარჩელის ინტერესების დაცვა, ხოლო ზიანის ანაზღაურებით, რაც მიადგა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებით, უზრუნველყოფილია მოპასუხის ინტერესების დაცვა.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა პასუხობდეს სსკ 194-ე მუხლის მოთხოვნებს.

სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით მოსარჩელის მიერ ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შემოტანის შესახებ – სასამართლოს გამოაქვს აგრეთვე განჩინება.

თუ სასამართლომ დაადგინა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება (საპასუხო უზრუნველყოფა), მაგრამ მოსარჩელე არ ასრულებს ამ დადგენილებას (არ შემოაქვს თანხა ან ფასიანი ქაღალდები და ა.შ.), მაშინ მიზანშეწონილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდეს.

განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ან კიდევ განჩინება საპასუხო უზრუნველყოფის შესახებ, ყოველთვის უნდა გაუქმდეს, როცა აღარაა საფუძველი, რის გამოც ეს განჩინებები იყო მიღებული.

მოქალაქის სარჩელისაგან თავდაცვის
საშუალებები

§1. თავდაცვის საშუალებათა სახეები

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გაშუქების დროს (თავი III). აღვნიშნეთ, რომ მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით, კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით თავისი უფლების დასაცავად, ხოლო პირს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია დაიცვას თავი ამ სარჩელისაგან. მხარეთა ეს უფლებები მათი საპროცესო თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების კონკრეტული გამოვლინებაა. ამასთან ერთად, სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელისგან თავის დაცვა მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესითა და საშუალებების გამოყენებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქალაქის თავდაცვის საპროცესო საშუალებებს და ამასთან ერთად განსაზღვრავს ამ საშუალებათა გამოყენების საპროცესო ნორმებს (საპროცესო წესებს). ასეთი საშუალებებია: I. სარჩელის უარყოფა (არცნობა); II. საპროცესო შესაგებელი; III. მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი; განვიხილოთ ეს საშუალებები ცალ-ცალკე.

I. სარჩელის უარყოფა (არცნობა)

მოქალაქეს შეუძლია არ ცნოს სარჩელი მთლიანად ან ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ სარჩელს. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია თავი დაიცვას იმით, რომ უბრალოდ უარყოს სარჩელი, ან ის ფაქტები, რომლებსაც იგი ემყარება. ეს შეიძლება იყოს უმოტივო უარყოფა, რასაც ზოგჯერ უწოდებენ სარჩელის უარყოფას.

სარჩელის უარყოფა თავისთავად და დამოუკიდებლად არაფერს არ ადასტურებს, მაგრამ ასეთ უარყოფას აქვს სრულიად გარკვეული საპროცესო მნიშვნელობა. ასეთი უარყოფის გამო ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, იძენს სადავო ფაქტების თვისებას, რომლებსაც არ ცნობს მოქალაქე და ამიტომ ისინი შედიან მტკიცების საგანში და მოსარჩელეს ევალება დაამტკიცოს მათი არსებობა, თუ არარსებობა. რომ არა მოქალაქის მიერ ამ

ფაქტების უარყოფა, რაც, თავის მხრივ, გაუთანაბრებოდა მის მიერ ამ ფაქტების აღიარებას მოსარჩელე განთავისუფლებოდა ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთისაგან.

ამრიგად, იმ ფაქტიური გარემოებების უარყოფა, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, ანუ მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნას, არის თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება და იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაგებელი ფართო გაგებით, რომელიც ასეთ უარყოფასაც მოიცავს.

მაგრამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით შესაგებელი – ესაა სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთი საშუალება, რომელიც თავის მხრივ თვითონ ემყარება სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებს, ანუ ფაქტებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს სარჩელის განხილვაზე უარისთქმას, პროცესის შეწყვეტას, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარისთქმას და ა.შ.

ასეთი შესაგებელი იგულისხმება სსკ მე-4 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები, თუ მტკიცებულებები.

ასეთი შესაგებელი იგულისხმება სსკ 102-ე მუხლში, რომლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს.

იმის მიხედვით, თუ რა შედეგის მიღწევა სურს მოპასუხეს, ანუ, თუ რა შედეგი უკავშირდება მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებულ ფაქტებს – ერთმანეთისაგან განასხვავებენ პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს.

II. პროცესუალური შესაგებელი

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის, ანუ პროცესის წარმოშობისა და განვითარებისათვის, აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა.

ამ წინაპირობების არარსებობისას პროცესი შეიძლება შეწყდეს, სარჩელი განუხილველად დარჩეს ან საქმის წარმოება შეჩერდეს.

მაგალითად, პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ სარჩელი, რომელიც აღძრულია, უკვე განხილული იყო ადრე და არსებობს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. თუ მოსარჩელე დაადასტურებს ამ ფაქტს და სასამართლოს

წარუდგენს შესაბამისი გადაწყვეტილების ასლს – სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას (სსკ 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

ზოგჯერ ფაქტს, რომელსაც საპროცესო სამართლის ნორმა უკავშირებს მოპასუხისათვის ხელსაყრელ შედეგს, აქვს უპირობო ანუ აბსოლუტური მნიშვნელობა. მაგალითად, თუ მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს ისეთ ფაქტებზე, როგორცაა საქმის არასაქვეუწყებობა ანუ მითითებას იმის შესახებ, რომ საქმე არ ექვემდებარება საერთო სასამართლოებს და რომ ამ საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის – სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. ასეთი საქმის განხილვა და მის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს

არის აგრეთვე ისეთი საპროცესო შესაგებლები, რომლებსაც არ აქვთ აბსოლუტური ხასიათი. ასეთებს უწოდებენ პროცესის წარმოშობისა და განვითარების შეფარდებით პირობებს. ავიღოთ მაგალითად განსჯადობა. სსკ 21-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია განიხილოს მისი არაგანსჯადი საქმე, თუ მოპასუხე ამის წინააღმდეგი არ არის ან, თუ მას მიეცემა განმარტება იმის შესახებ, რომ უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ და მიუხედავად ამისა ასეთ შესაგებელს არ წამოაყენებს.

ნებისმიერი პირობა, რომელიც სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობადაა ცნობილი, შეიძლება გახდეს საპროცესო ხასიათის შესაგებლის ფაქტობრივი საფუძველი.

თავის მხრივ, მოპასუხის საპროცესო შესაგებელს, იმის მიხედვით, თუ რომელი ფაქტი უდევს მას საფუძვლად, შეიძლება სხვადასხვა საპროცესო შედეგი დაუკავშირდეს. მაგალითად, თუ მოპასუხე უთითებს თავის შესაგებელში, რომ მოსარჩელე ქმედუნაროა, ან კიდევ, სხვა სასამართლოს წარმოებაში იგივე საქმე და ყოველივე ეს დადასტურდება, სასამართლოს შეუძლია სარჩელი განუხილველად დატოვოს (სსკ 275-ე მუხლი), მაგრამ, თუ მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ეს საქმე ერთხელ უკვე გადაწყვეტილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას (272-ე მუხლი).

პროცესუალური შესაგებელი შეიძლება ისეთ ფაქტს ემყარებოდეს, რომელიც, თუ დადასტურდება იწვევს არა სარჩელის განუხილველად დატოვებას ან საქმის წარმოების შეწყვეტას, არამედ საქმის წარმოების შეჩერებას.

მაგალითად: მოპასუხე იურიდიული პირის შესაგებელი იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ან უკვე განხორციელდა ამ იურიდიული პირის

რეორგანიზაცია, ან კიდევ, შესაგებელი იმის შესახებ, რომ ამ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის წესით და სხვა, იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას (სსკ 279-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, პროცესუალური შესაგებელი არაა მიმართული უშუალოდ არც სასარჩელო მოთხოვნების და არც ამ მოთხოვნების საფუძველში მითითებული ფაქტების წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არაა მიმართული სარჩელის წინააღმდეგ არსებითად.

პროცესუალური შესაგებელი – ესაა მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები უკავშირებენ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმას, საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან კიდევ, საქმის წარმოების დროებით შეჩერებას.

როგორც წესი, სარჩელის წარმოებაში მიღების ყველა აბსოლუტური წინაპირობის შემოწმება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს მოპასუხეს, მას სრული უფლება და შესაძლებლობა აქვს წარადგინოს საპროცესო შესაგებელი და სასამართლოს ყურადღება მიაქციოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მიუთითებენ პროცესის წარმოშობის, განვითარებისა და გაგრძელების არამართლზომიერებაზე.

III. მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი

მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი – ესაა სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებსაც მატერიალური სამართალი უკავშირებს მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმას. ამრიგად, იგი მიმართულია სარჩელის წინააღმდეგ არსებითად.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას (ქირის გადახდას, სესხად აღებული თანხის დაბრუნებას, ნათხოვარი ნივთის დაბრუნებას და ა.შ.). მოპასუხეს შეუძლია თავის შესაგებელს საფუძვლად დაუდოს ისეთი ფაქტები, რომლებიც გამოიწვევენ სარჩელზე უარისთქმას, კერძოდ მას შეუძლია მიუთითოს, რომ ვალდებულება მან შეასრულა, ე.ი. ზიანი ანაზღაურა, ნივთი დააბრუნა, ვალი გადაიხადა და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ვალდებულება მართლაც არსებობდა, მაგრამ იგი შესრულებულია.

თუ მოპასუხე დაამტკიცებს ამ ფაქტს, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან ვალდებულება შეწყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (სკ 427-ე მუხლი).

მაგრამ შესაგებელი, რომელიც ემყარება შესრულებას ძალზედ იშვიათია ისე როგორც იშვიათია სარჩელები შესრულებული ვალდებულების მოთხოვნით. უფრო ხშირია შესაგებელი, რომელიც უშუალოდაა მიმართული სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ.

მაგალითად: *მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის ბინიდან გამოსახლებას და ბინის განთავისუფლებას იმ მოტივით, რომ ეს ბინა ანდერძით დაუტოვა მისმა ახლო ნათესავმა (ბებია), მოპასუხემ ამ სარჩელის წინააღმდეგ წარმოადგინა შესაგებელი, რომელსაც საფუძვლად დაუდო იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ იგი არის ანდერძის დამტოველის შვილი, დაიბადა და მუდმივად ცხოვრობს სადავო ბინაში, ე.ი. ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, ხოლო დედამისი (ანდერძის დამტოველები) ანდერძის დატოვების დროისათვის იყო სულით დაავადებული და არ შეეძლო სწორად აღექვა რეალური ვითარება, რის გამოც ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი (სკ 58-ე მუხლის მე-3 ნაწილი).*

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე არ უარყოფს სასარჩელო მოთხოვნის არსებობას ან მოსარჩელის უფლებას, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, მაგრამ თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ჯერ არ დამდგარა ამ მოთხოვნის, თუ უფლების იძულებით განხორციელების დრო.

მაგალითად: *მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან სესხად მიცემული ვალის დაბრუნება. მოპასუხე არ უარყოფს, რომ მან მართლაც ისესხა მოსარჩელისაგან ფული, მაგრამ თვის შესაგებელს საფუძვლად უდებს ფაქტს, იმის შესახებ, რომ სესხის ხელშეკრულებით დათქმული იყო ვალის დაბრუნების ვადა, რომელიც ჯერ არ დამდგარა (სკ 361-ე მუხლის მე-2 ნაწ. და 626-ე მუხლის მე-3 ნაწილი).*

პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოპასუხეთა შესაგებელი მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნის გაქარწყლებისაკენ.

მაგალითად: *მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას (ვალის დაბრუნებას, ნივთის გადაცემას, ზიანის ანაზღაურებას და ა.შ.) მოპასუხემ თავის შესაგებელს სასარჩელო*

მოთხოვნის წინააღმდეგ საფუძვლად დაუდო ხანდაზმულობის ვადის გასვლა (სკ 128-ე მუხლი).

მოპასუხე ზოგჯერ არ უარყოფს სარჩელის საფუძველში მითითებულ ფაქტებს, მაგრამ მიუთითებს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ათავისუფლებენ მას პასუხისმგებლობისაგან.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. მოპასუხე არ უარყოფს, რომ პროდუქციას აქვს ნაკლი, მაგრამ თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ნაკლი, რომელიც ამ პროდუქტს აქვს სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს (სკ 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი).

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია, როდესაც მოპასუხეები თავიანთი შესაგებლით მიუთითებენ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე.

მაგალითად: არასწორი მკურნალობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საწინააღმდეგოდ მოპასუხებ წარადგინა შესაგებელი იმის შესახებ, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში (სკ 1007-ე მუხლი).

ცხადია, რომ შესაგებლის წარდგენა მოპასუხის მიერ არ კმარა იმისათვის, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საჭიროა აგრეთვე, რომ შესაგებელში მითითებული ფაქტები, ანუ ფაქტები რომლებიც საფუძვლად უდევს შესაგებელს, დამტკიცდეს მტკიცებულებათა გამოყენებით და კანონით დადგენილი წესით.

იბადება კითხვა: უნდა მოეთხოვოს თუ არა მოპასუხეს მის მიერ შესაგებელში მითითებული ნებისმიერი ფაქტის დამტკიცება?

აქ მოქმედებს იგივე პრინციპი, რომელიც მოქმედებს სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტების მიმართ: დამტკიცებას საჭიროებენ შესაგებელში მითითებული მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც კანონი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმას. ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებსაც თუმცა ემყარება მოპასუხის შესაგებელი, მაგრამ მათ კანონი არ უკავშირებს ასეთ შედეგს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს, შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

მაგალითად: პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველი თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ ტვირთის დაზიანება გამოწვეული იყო გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო სა-

შუალეების ნაკლით (სკ ნბნ-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ეს ფაქტი, რადგან მას არ აქვს მნიშვნელობა გადაშზიდველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი: მოვალე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ იგი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ზიანის მიყენებისათვის, რადგან მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სასამართლომ არც ეს ფაქტი არ უნდა დაადგინოს, რადგან მას არ აქვს მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურებისაგან მოვალის განთავისუფლებისათვის (სკ 395-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: მტკიცების საგანში შედის და, მასმასადამე, უნდა დამტკიცდეს შესაგებელში მითითებული მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებსაც აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა ამ შესაგებლის დასაბუთებისათვის, მისი იურიდიული გამართლებისათვის.

განსხვავებით საპროცესო შესაგებლისა, მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი თვითონ მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს. მან უნდა მიუთითოს ფაქტებზე, რომლებიც აბრკოლებენ უფლების წარმოშობას, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, აქარწყლებენ ამ უფლებას, აჩერებენ უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას და და.შ.⁹⁷ თვითონ სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი ინიციატივით წამოაყენოს ფაქტები („აღძრას შესაგებელი“), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სარჩელზე უარისთქმა.⁹⁸

⁹⁷ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ მოპასუხის მატერიალურ სამართლებრივ შესაგებელს აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რა შედეგს იწვევს იგი. ამ შედეგების მიხედვით გამოყოფენ უფლებადამაბრკოლებელ, უფლებამამაქარწყლებელ და უფლებამშემწყვეტ შესაგებელს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ნათლად და გარკვევით დადგენას აქვს, თუ არა შესაგებელში მითითებულ ფაქტს სამართლებრივი მნიშვნელობა ამ შესაგებლის დასაბუთებისათვის. არიან თუ არა ეს ფაქტები უფლებადამაბრკოლებელი, უფლებამამაქარწყლებელი და ა.შ. ესაა შედეგი სამართლებრივი შეფასებისა და არა მიზეზი. ამიტომ, სამართლებრივი ნორმის მოშველიების გარეშე შესაგებლების ასეთი კატეგორიებად დაყოფა პრაქტიკულად ნაკლებად დაგვეხმარება.

⁹⁸ ამკარად არ შეესაბამება კანონის ფართოდ გაერცელებული პრაქტიკა, როდესაც საქართველოს სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე

გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენენ ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ გარიგება არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობას, დადებულია ქმედუნარო პირის მიერ.”⁹⁹ ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მისმა ინიციატივამ არ გამოიწვიოს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევა, მხარეთა უფლებების შელახვა.

სასამართლოს ინიციატივის ფარგლების განსაზღვრის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ერთი: კანონისმიერი აკრძალვების დარღვევა, გარიგებათა ბათილობა კანონის ძალით და შეცილების გარეშე.

IV. მოსარჩელის საპასუხო შესაგებელი

შესაგებელი ყოველთვის დაკავშირებულია მოპასუხესთან, ანუ როცა ვლადიმერ აბრამოვი შესაგებელზე, ვგულისხმობთ მოპასუხეს. ეს აბსოლუტურად ლოგიკურია: მოსარჩელე აღძრავს სარჩელს მოპასუხის წინააღმდეგ და, თუ მოპასუხეს სურს თავი დაიცვას ამ სარჩელისაგან, მას შეუძლია შეაგებოს მოსარჩელეს თვისი იარაღი, რომელსაც შესაგებელი ეწოდება.

მოსარჩელეს, თავის მხრივ, შეუძლია მოპასუხის შესაგებელს დაუპირისპიროს თავისი შესაგებელი. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 202-ე მუხლში, რომლის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე „წერილობით აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე“.

მოსარჩელეს, ისე როგორც მოპასუხეს, შეუძლია არ ცნოს და უარყოს მოპასუხის მიერ შესაგებელში მითითებული ფაქტები. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს ევალება დაამტკიცოს მის მიერ შესაგებლის საფუძველში მითითებული ფაქტები.

უარის თქმის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, მაშინ როდესაც არც მოპასუხეს და არც საქმეში მონაწილე სხვა პირს ასეთი შესაგებელი არ წამოუყენებია, დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჰ.პოლინგი, ლ.ჭანტურია. დასახ. ნაშრომი გვ. 170

⁹⁹ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მატერიალური შესაგებლები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) შესაგებელი, რომელიც შეუძლია წარმოადგინოს მოპასუხეს და ბ) შესაგებელი, რომელიც სასამართლოსაც შეუძლია წარმოადგინოს, როდესაც გარიგება არღვევს კანონისმიერ აკრძალვებს ან დადებულია ქმედუნარო მხარის მიერ. იხ. ჰ.პოლინგი, ლ. ჭანტურია დასახ. ნაშრომი, გვ. 170

მოპასუხის შესაგებლის გაქარწყლების მიზნით მოსარჩელემ შეიძლება თავის საპასუხო შესაგებელში მიუთითოს ფაქტებზე, რომლებსაც მატერიალურ სამართლებრივი ნორმა უკავშირებს მოპასუხის შესაგებლის მნიშვნელობის დაკარგვას (გაუქმებას).

მაგალითი 1: მოპასუხე თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ მან გაქვითა მოსარჩელის მოთხოვნა (სკ 443-ე მუხლი). მოპასუხის ამ შესაგებელს მოსარჩელემ დაუპირისპირა საპასუხო შესაგებელი იმის შესახებ, რომ მოთხოვნათა გაქვითვა წინასწარ შეთანხმებით იყო გამორიცხული (სკ 447-ე მუხლი).

მაგალითი 2: გამჭირავებელმა აღძრა სარჩელი და მოითხოვა დამჭირავებლისაგან დათქმული ქირის გადახდა. დამჭირავებელმა წარადგინა შესაგებელი, რომელსაც საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ დაჭირავებულ ნივთს აქვს ნაკლი, რის გამოც ქირა უნდა შემცირდეს.

მოსარჩელემ თავის საპასუხო შესაგებელში მიუთითა, რომ ხელშეკრულების დადებისას დამჭირავებლისათვის ცნობილი იყო ნივთის ნაკლი, რის გამოც მას არც განუცხადებია თავისი პრეტენზია. ამიტომ მას არ აქვს უფლება მოითხოვოს ქირის შემცირება (სკ 538-ე მუხლი).

ცხადია, რომ მოპასუხის ანალოგიურად მოსარჩელეს შეუძლია თავისი საპასუხო შესაგებელი წარმართოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების წინააღმდეგ, საეჭვო გახადოს ამ მტკიცებულებათა უტყუარობა, მიუთითოს, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ყალბია და ა.შ.

V. შესაგებლის ფორმა

საქმის განხილვისათვის წინასწარი მომზადების ეტაპზე, შესაგებლის ფორმა განისაზღვრება კანონით, რომლის მიხედვით იგი უნდა იყოს წერილობითი. სსკ 201-ე მუხლის თანახმად საქმის მომზადების მიზნით სასამართლო გადაუგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და მასზედ დართული დოკუმენტების ასლებს, დაუნიშნავს მას ვადას წერილობით შეადგინოს თავისი შესაგებელი. ამ შესაგებელში მოპასუხემ უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ეყარება მისი შესაგებელი, რომელი მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ ექნება აცილება და ა.შ.

მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე „მოპასუხის წერილობითი პასუხი და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს მოსარჩელეს“ (სსკ 202-ე მუხლი), რომელსაც უფლება აქვს წერილობით აცნობოს სასამართლოს თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობით შესაგებლის თაობაზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მოსარჩელეს, არღვევს მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპს, რაც კონკრეტულად იმით გამოიხატება, რომ მოპასუხემ იცის სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს მას კარგად მოემზადოს თავდაცვისათვის, ხოლო მოსარჩელემ არ იცის რას აპირებს მოპასუხე, რა ფაქტებს დაემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. ამიტომ ვერ მოემზადება წინასწარ და შეიძლება ვერც გააქარწყლოს ერთბაშად სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის მიერ ზეპირად ჩამოყალიბებული შესაგებელი.

როგორც ჩანს ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი როდესაც დაადგინა მხარეთა მოვალეობა „შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მსამართლის მითითებები. წერილობითი მისაღების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არსაპატიოდ ცნობს, ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს“ (სსკ 206-ე მუხლი).

როგორც ეხედავთ, თუ მოპასუხემ არ წარმოუდგინა სასამართლოს წერილობითი შესაგებელი სარჩელზე, მაშინ მას, მართალია არ ერთმევა უფლება ზეპირად ჩამოაყალიბოს მთავარ სხდომაზე თავისი შესაგებელი, მაგრამ სასამართლო გაითვალისწინებს ამ შესაგებელში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ არ იყო განცხადებული სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. (სსკ 219-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაეკეთოს დასკვნა: მოპასუხის შესაგებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. ზეპირი ფორმით მისი წარმოდგენა, რაც შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე მოპასუხის მიერ ახსნა-განმარტების მიცემის დროს, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით თუ სასამართლო ჩათვლის, რომ წერილობითი ფორმით შესაგებლის წარმოდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით და არ იყო გამოწვეული საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.

VI. შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

შესაგებელი – ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალება, რომლითაც მოპასუხეს შეუძლია დაიცვას თავი მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან მაგრამ, შესაგებლის წარდგენა, ისე როგორც სარჩელისაგან თავის დაცვა, არ წარმოადგენს მოპასუხის ვალდებულებას იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმოდგენლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება მის მიმართ სახელმწიფო იძულების ღონისძიება. ასეთი ღონისძიების გამოყენება გამორიცხულია. ამიტომ, ჩვენ აქ ვერ ვილაპარაკებთ მოპასუხის ვალდებულებაზე დაიცვას თავი.

საკითხი ეხება მხოლოდ აუცილებლობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ თუ მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს (ან არ აღძრავს შეგებებულ სარჩელს) ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მოპასუხე არ დაიცავს თავს – იგი წააგებს პროცესს, სასამართლო გამოიტანს მისთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებას. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ სარჩელისაგან თავის დაცვა (შესაგებლის თუ შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით), როგორც მოპასუხის მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობას შეიძლება მოყვეს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა.

§2. შეგებებული სარჩელი

I. შესაგებელი თუ შეგებებული სარჩელი: დაცვის საშუალებათა არჩევა

პრაქტიკული თვალსაზრისით დაცვის საშუალების არჩევა ანუ რომელი საშუალებით დაიცვას თავი მოპასუხემ – შესაგებელით თუ შეგებებული სარჩელით – ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ეკონომიკური თვალსაზრისით შეგებებული სარჩელი უფრო ძვირად ღირებული დაცვის საშუალებაა: შეგებებული სარჩელი უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მისი შინაარსი უნდა პასუხობდეს სსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებს. მოპასუხემ შეგებებული სარჩელისათვის უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, შეგებებული სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლის ოდენობით, რამდენიც მხარეა პროცესში, სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობების არსებობა, მიიღოს განჩინება მისი წარმოებაში მიღების ან არმიღების შესახებ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, შეგებებული სარჩელი არამარტო ფულადი სახსრების, არამედ დროის ზედმეტად ხარჯვასთანაცაა დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე კი ცხადია, თუ მოპასუხეს შეუძლია გვერდი აუაროს შეგებულ სარჩელს და დაიცვას თავი შესაგებლით, მან არ უნდა გამოიყენოს შეგებებული სარჩელი.

მაგრამ არჩევანი არ არის ყოველთვის და მთლიანად დამოკიდებული მოპასუხეზე. მთავარი და გადაწყვეტილია ის, თუ როგორია მოპასუხის მოთხოვნის შინაარსი და მიზანი.

თუ მოპასუხის მოთხოვნა ამოიწურება იმით, რომ სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოპასუხეს შეუძლია შემოიფარგლოს შესაგებლის წარდგენით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს თუ სამართლებრივად მნიშვნელოვან რომელ ფაქტს უდებს საფუძვლად თავის შესაგებელს. ეს შეიძლება იყოს ფაქტი იმის შესახებ, რომ მან უკვე შეასრულა თავისი ვალდებულება მოსარჩელის მიმართ, ან ასეთი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, ან მას არ ეკისრება რაიმე ვალდებულება მოსარჩელის მიმართ და ა.შ.

მოპასუხეს შეუძლია თავი დაიცვას შესაგებლით ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებიც მართალია არ უარყოფენ სასარჩელო მოთხოვნას, მაგრამ ამ მოთხოვნის დაფარვა მოხდა გაქვითვით, ან კიდევ, გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და სხვა.

მაგრამ, თუ მოპასუხის ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნის უარყოფით და პარალელურად იგი თავის დამოუკიდებელი უფლებების დაცვასაც მოითხოვს, მაშინ მან უნდა აღძრას შეგებებული სარჩელი.

მაგალითად: მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის ბინიდან გამოსახლებას, ვინაიდან იგი არ იხდის ბინის ქირას. მოპასუხემ აიძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სადავო ბინის თანამესაკუთრედ ცნობა. თუ მოპასუხე მართლაც იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ სადავო ბინის თანამესაკუთრედ, მაშინ სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელზე და ამავე გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს მოპასუხის შეგებებული სარჩელი და ცნოს იგი თანამესაკუთრედ.

II. შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები

შეგებებული სარჩელი – ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღიძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო, თუმცა, რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი შეიძლება აღძრულიყო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სარჩელი.

ამიტომ, შეგებებულ სარჩელს წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც ნებისმიერ სხვა სარჩელს. კერძოდ, მისი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 178-ე და 179-ე მუხლის მოთხოვნებს აგრეთვე უნდა პასუხობდეს 186-ე მუხლის მოთხოვნებს, გარდა ამ მუხლის „ე“ პუნქტში მითითებული პირობისა განსჯადობის შესახებ, რადგან შეგებებული სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ სასამართლოში, რომელიც იხილავს თავდაპირველ სარჩელს.

გარდა სარჩელის დასაშვებობისა და სარჩელის მიღების საერთო პირობებისა, რის შესახებაც საუბარი გვქონდა ზემოთ, შეგებებული სარჩელი უნდა პასუხობდეს სპეციალურ (დამატებით) პირობებსაც ჩვენ აქ მოკლედ შევხებით მხოლოდ ამ სპეციალურ პირობებს.

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად.

მაგალითად, აღძრულია სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ 1000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელისაგან 2000 ლარის გადახდევინება, რაც მას სესხის სახით ჰქონდა გაცემული მოსარჩელისათვის. ამასთან ერთად, მოპასუხემ სთხოვა სასამართლოს ჩაუთვალოს 1000 ლარი ზარალის ანაზღაურებაში, ხოლო დარჩენილი 1000 ლარის გადახდა დააკისროს მოსარჩელეს მის სასარგებლოდ.

ვალდებულების შეწყვეტა ჩათვლით გათვალისწინებულია კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლით.¹⁰⁰

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მაგალითად, აღძრულია სარჩელი ბინის დამქირაველის ბინიდან გამოსახლების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი უარს ამბობს გადაიხადოს ქირა. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი, რათა იგი ცნონ სადავო ბინის მესაკუთრედ (ან თანამესაკუთრედ). ცხადია, რომ თუ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდება და მოპასუხე ცნობილი ინება ბინის მესაკუთრედ, მაშინ გამორიცხება პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილება.

გ) შეგებებულ და პირვანდელ სარჩელებს შორის არის ურთიერთკავშირი. მაგალითად, ნივთის მიმბარებელმა აღძრა სარჩელი ამ ნივთის შემნახველის მიმართ შესანახად მიმბარებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. შემნახველმა თავის მხრივ აღძრა შეგებებული სარჩელი შენახვისათვის გაწეული ხარჯების 1000 ლარის ოდენობით ნივთის მიმბარებელზე დაკისრების შესახებ (სამოქ.

¹⁰⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, გვ. 544.

კოდექსის 776-ე მუხლი). აქ ურთიერთკავშირი პირვანდელ სარჩელსა და შეგებებული სარჩელს შორის აშკარაა.

სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები და თუ მას აღმოაჩნდება ხარვეზი, გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ (სსკ 185-ე მუხლი) ან, თუ იგი არ პასუხობს მოთხოვნას, რომლის გამოსწორება შეუძლებელია, ან კიდევ, არ არსებობს რომელიმე წინაპირობა – სასამართლო გამოიტანს განჩინებას შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ.

III. შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა

შეგებებული სარჩელების აღძვრისა და სასამართლოების მიერ მათი წარმოებაში მიღების პრაქტიკა სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთი სარჩელები ხშირად გამოყენებულია დაინტერესებული მხარის მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით, ხოლო სასამართლოები სათანადოდ არ იკვლევენ ასეთი სარჩელების მიღების წინაპირობებს.¹⁰¹

როგორც ჩანს, კანონმდებელი ვარაუდობდა საქმის გაჭიანურების მიზნით შეგებებული სარჩელის გამოყენების შესაძლებლობას და გაითვალისწინა მთელი რიგი წესებისა, რომელთა დაცვით სასამართლოს შეუძლია შეერძოლოს ასეთ მცდელობებს.

ერთ-ერთი ასეთი წესი მდგომარეობს შეგებებული სარჩელის აღძვრისათვის ვადის განსაზღვრაში. სსკ 188-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარებიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძვრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

ამრიგად, კანონი არ განსაზღვრავს შეგებებული სარჩელის აღძვრისათვის კალენდარულ თარიღს, მაგრამ განსაზღვრავს მისი აღძვრის ვადას გარკვეული ბოვლენის დადგომის მეშვეობით, კერძოდ საქმის „წინასწარი მომზადების დამთავრებამდე“. წინასწარი მომზადება კი დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშნის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი).

¹⁰¹ დაწერილობით შეგებებული სარჩელების წარმოებაში მიღების დროს დაშვებულ შეცდომებზე და საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით მათ გამოყენებაზე იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწ. I თბ. 2002. გვ. 34-45.

დასაშვებია თუ არა ამის შემდეგ შეგებებული სარჩელის აღძვრა?

სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძვრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე, თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას“.

ამრიგად, კანონით დადგენილი ვადის გაშვების შემდეგაც, ე.ი. საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგაც, მოპასუხეს შეუძლია აღძვრას შეგებებული სარჩელი, თუ დაამტკიცებს, რომ თავის დროზე იგი ვერ აღიძრა საპატიო მიზეზით. მიზეზის საპატიობა აქ გვევლინება დაგვიანებით აღძრული შეგებებული სარჩელის მიღების ერთ-ერთ წინაპირობად. არის თუ არა შეგებებული სარჩელის დროულად აღუძვრელობის მიზეზი საპატიო – გადაწყვეტს სასამართლო.

IV. შეგებებული სარჩელის მიღება და განხილვა

თუ არსებობს შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების ყველა ზოგადი თუ სპეციალური პირობა და იგი დროულად არის აღძრული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი წარმოებაში მიღებისა და პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმეში ზოგჯერ არის შეგებებული სარჩელი, მაგრამ საქმეში ზოგჯერ არ არის განჩინება მისი წარმოებაში მიღების შესახებ. პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ საქმეში არ არის სასამართლოს განჩინება ამ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ და ა.შ. არის შემთხვევები, როდესაც საქმეში არის შეგებებული სარჩელი, იგი მიღებულია წარმოებაში, მაგრამ გადაწყვეტილება ამ საქმეზე არ შეიცავს რაიმე პასუხს ამ შეგებებული სარჩელის მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის აზრის მიხედვით შეგებებული სარჩელი ითვლება მიღებულად, როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი წარმოებაში მიღების და თავდაპირველ სარჩელთან ერთად განხილვის შესახებ. შეგებებული სარჩელი არ ითვლება მიღებულად, თუ საქმეში არსებობს სასამართლოს განჩინება მისი წარმოებაში მიღებაზე უარის-თქმის შესახებ.

ეს იმას ნიშნავს რომ, თუ მოპასუხემ შემოიტანა შეგებებული სარჩელი სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება მისი წარმოებაში მიღების ან არმიღების შესახებ.

თუ სასამართლომ გამოიტანა განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, იგი ვალდებულია განიხილოს ეს სარჩელი და გამოიტანოს მის მიმართ, თავდაპირველ სარჩელთან ერთად, მოტივირებული გადაწყვეტილება.¹⁰²

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით კიდევ ერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის თხოვნით „როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.“ (სსკ 245-ე მუხლი, ნაწ. 2).

ამრიგად, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოსატანად, ანუ ამ შემთხვევაში, იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს არა ერთობლივი, არამედ გადაწყვეტილება ცალკე თავდაპირველი სარჩელის მიმართ და დატოვოს გადაწყვეტილების გარეშე შეგებებული სარჩელი (ან პირიქით), საჭიროა რამდენიმე პირობა: ერთი – ფაქტობრივი გარემოებები, რაც საჭიროა თავდაპირველ სარჩელზე გადაწყვეტილების მისაღებად, დადგენილია და უტყუარადაა დამტკიცებული, ხოლო შეგებებული სარჩელის მიმართ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება არაა დადგენილი; მეორე – შეგებებული სარჩელის თავდაპირველ სარჩელთან ერთად გადაწყვეტის გარეშე დატოვება არ გამოიწვევს მოპასუხის ან მოსარჩელის ინტერესების შელახვას; მესამე – არსებობს ერთი მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ და ამისათვის მართლაც არსებობს ყველა პირობა და ბოლოს მეოთხე – არ არის იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით გამოტანილი იქნება ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გამოაქვს არა ერთობლივი, არამედ ნაწილობრივი გადაწყვეტილება, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც

¹⁰² პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლომ არაერთჯერ მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ სარჩელების საფუძვლიანობის შესახებ და გამოიტანოს მათ მიმართ მოტივირებული გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება სსკ 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 6.VI. 2002, გვ. 564.

საპროცესო კანონმდებლობის დანაწესის დარღვევა, რომლის თანახმად პირ-
ვანდელი და შეგებებული სარჩელის მიმართ სასამართლოს გამოაქვს ერ-
თობლივი გადაწყვეტილება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი
შემთხვევებისა (სსკ 189-ე მუხლის მე-3 ნაწ.).¹⁰¹

ამრიგად, შეგებებული სარჩელი განხილული და გადაწყვეტილი უნდა
იქნეს თავდაპირველ სარჩელთან ერთად. ეს შეგებებული სარჩელის აღძვრის
ერთ-ერთი მიზანიცაა. მის მიმართ ცალკე გადაწყვეტილების გამოტანა დასა-
შვებია მხოლოდ ზემოთ მითითებული პირობების არსებობისას და თუ ამით
ხელი არ შეეშლება მოქასუსნის სარჩელისაგან თავდაცვის ინტერესებს.

¹⁰¹ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ
„სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი სარჩელის მიმართ და
არაფერი თქვა შეგებებულ სარჩელზე, რითაც დაარღვია სსკ 189-ე მუხლი“. სუსგ
სამოქალაქო საქმეებზე №10, 2000, გვ. 283.

**საქმის წინასწარი მომზადება ზეპირი
განხილვისათვის**

**§1. სამოქალაქო საქმის წინასწარი მომზადება როგორც საქმის
წარმოების პირველი ეტაპი და მისი მნიშვნელობა**

საქმის მომზადების მნიშვნელობა კანონითაა განსაზღვრული: საქმეს სასამართლო ამზადებს „რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა“ (სსკ მე-200 მუხლი).

სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში წარმოების პრაქტიკის ანალიზი უტყუარად და ცალსახად გვიდასტურებს ერთ უდავო ჭეშმარიტებას: თუ საქმე არ იყო სათანადოდ მომზადებული სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ეს გარდაუვლად იწვევს ამ სხდომების მრავალჯერ გადადებას ისეთი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, რომელიც მართალია აუცილებელია, მაგრამ შეიძლებოდა და უნდა შესრულებულიყო სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშნამდე და ჩატარებამდე.

როგორ ავიცილინოთ ყოველივე ეს თავიდან?

საქართველოს ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა დაამკვიდრა სამოქალაქო საქმის წარმოების ისეთი მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქმის არამართო სწორად, არამედ სწრაფად (დროულად) განხილვა და გადაწყვეტა.

ამ მოდელის შესახებ უფრო ნათელი და ზუსტი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მიზანშეწონილი იქნება საქმის წარმოება სასამართლოში დავეოთ ორ დიდ ეტაპად (სტადიად): პირველი ეტაპი – საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მხარეთა წერილობითი შეჯიბრება და მეორე ეტაპი – საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელსაც ასევე შეიძლება ვუწოდოთ მხარეთა ზეპირი შეჯიბრება.

საქმის წარმოების თითოეულ ამ ეტაპს აქვს თავისი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიზნები და ამოცანები. რომელთა გათვალისწინებით განსაზღვრულია საპროცესო მოქმედებათა წრე, რომელიც ამ ეტაპზე უნდა შესრულდეს.

საპროცესო მოქმედებათა შესრულების გადატანა ერთი ეტაპიდან მეორეზე დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებისა.

მაკლითაძე: საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დროს მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან დაიბაროს მოწმე და დაკითხოს იგი, ან კიდევ, გამოითხოვოს წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება ამა თუ იმ პირისგან და ა.შ.

ასეთი და სხვა ამგვარი შუამდგომლობები შეიძლება დააკმაყოფილოს სასამართლომ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საქმის „მომზადების სტადიაზე“ (სსკ 215-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, საპროცესო მოქმედებები, შუამდგომლობები, განცხადებები და სხვა, რომლებიც შეიძლებოდა და უნდა განხორციელებულიყო (აღძრულიყო) საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე აღარ შეიძლება შესრულდეს ან აღიძრას ამ საქმის არსებითად განხილვის დროს, თუ ამისათვის არ არსებობს საპატიო მიზეზი, რომლის დამტკიცების ტვირთი ეკისრება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს.

საქმის წინასწარი მომზადების თავისებურება შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ ამ ეტაპზე სასამართლოს არ აქვს უშუალო შემხებლობა მხარეებთან: სასამართლოს დაეალებები მხარეების მიმართ, მხარეთა შუამდგომლობები სასამართლოს მიმართ – ხორციელდება წერილობითი ფორმით (მიმოწერით). გამონაკლისია მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც იხ. ქვემოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესის ამ ეტაპზე უპირატესად მოქმედებს წერილობითი ფორმა.

მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს უკლებლივ ყველა საქმემ დამოუკიდებლად იმისა, მარტივია თუ რთული ეს საქმე (სსკ მე-200 მუხლი).

მომზადების ეტაპზე სასამართლომ საბოლოოდ უნდა დააზუსტოს და განსაზღვროს ფაქტების წრე, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებლს (მტკიცების საგანი), მტკიცებულებები, რომელთა საშუალებით მხარეებს სურთ ამ გარემოებების დამტკიცება, მატერიალურ სამართლებრივი ნორმა, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს დამტკიცებული და დადასტურებული გარემოებების იურიდიული შეფასება (კვალიფიკაცია) და, ბოლოს, ამ საქმეზე გადაწყვეტილების წინასწარი (არასაბოლოო) პროექტი.

ყოველივე ეს შეიძლება წარმატებით განხორციელდეს თუ სასამართლო განუხრელად იხელმძღვანელებს იმ ნორმების დანაწესით, რომლებიც საქმის მომზადებას აწესრიგებს.

§2. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის მომზადების მიზნით

I. მოპასუხისაგან წერილობითი შესაგებლის გამოთხოვა

სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღებისთანავე მოპასუხეს უნდა გადაეგზავნოს ამ სარჩელის (განცხადების) და მასზე დართული დოკუმენტის ასლები (სსკ 184-ე მუხლი).

საქმის მომზადება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, იგი უნდა დამთავრდეს გონივრულ ვადაში, ე.ი. ისეთ ვადაში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა კანონით განსაზღვრულ ვადაში. სწორედ ამ მოსაზრებითაა განპირობებული კანონის დანაწესი იმის შესახებ, რომ საქმის მომზადება იწყება სარჩელისა და მასზე დართული წერილობითი მასალების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნით, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

განჩინებაში სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის შესახებ მითითებული უნდა იყოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მოპასუხემ უნდა გასცეს პასუხი ყველა კითხვაზე, რომელიც მის წინაშეა დასმული სასამართლოს მიერ. კანონი განსაზღვრავს იმ საკითხების წრეს, რომლებიც მითითებული უნდა იყოს განჩინებაში და რომლებზეც პასუხი უნდა გასცეს მოპასუხემ. მოპასუხის წერილობით პასუხში კერძოდ, მითითებული უნდა იყოს: ა) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს; ბ) თუ არ ცნობს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; გ) რა ან რომელი მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები; დ) რომელი საპროცესო საშუალებებით აპირებს იგი სარჩელისაგან თავის დაცვას, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა.შ. ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად; ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე და ა.შ.

ცხადია, მოპასუხეს შეუძლია არ შემოიფარგლოს ამ საკითხებით და თავისი ინიციატივით დასვას და პასუხი გასცეს ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არ იყო სასამართლოს განჩინებაში დასმული.

მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში აცნობოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი შესაგებელი, მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და პასუხი ყველა იმ საკითხზე, რომელიც დასმულია მის წინაშე სასამართლოს განჩინებით (სსკ 201-ე

მუხლი). მოპასუხეს შეიძლება მიეცეს დამატებითი, მაგრამ შემოკლებული ვადა მის მიერ არასრულად შედგენილი წერილობითი შესაგებლის ხარვეზის შესაესებად.

სასამართლოს განჩინება შესაგებლის გამოთხოვის შესახებ უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში წარუდგენლობა ართმევს მას უფლებას შეასრულოს ეს მოქმედება დაგვიანებით – საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (სსკ 206-ე მუხლი). მოპასუხის წერილობითი შესაგებლის, მოსაზრებების, მტკიცებულებების, შუამდგომლობების ასლები უნდა გადაეგზავნოს მოსარჩელეს, რათა მასაც შეეძლოს დროულად მოემზადოს საპასუხო შესაგებლის სასამართლოში წარდგენისათვის (სსკ 202-ე მუხლი).

II. სარჩელისა და შესაგებლის საფუძველში მითითებული ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება. მტკიცების საგნის განსაზღვრა

ფაქტების მითითების ტვირთის პრობლემის გაშუქების დროს აღნიშნული იყო, რომ მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ფაქტების მითითების ტვირთი და ფაქტების დამტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრებათ.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი: ერთი – უნდა დამტკიცდეს თუ არა, ანუ, უნდა მიიღოს და შეაგროვოს თუ არა სასამართლომ მტკიცებულებები ყველა იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები და, მეორე – შეუძლია თუ არა სასამართლოს მხარეთა გამოკითხვით შეავსოს და დააზუსტოს ფაქტები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საუბარი გექონდა ამ წიგნის IX თავის მე-2 და მე-8 პარაგრაფებში. აქ მოკლედ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: სასამართლო არამართო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განსაზღვროს აქვთ თუ არა მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს მნიშვნელობა სასარჩელო მოთხოვნის, თუ შესაგებლის დასაბუთება-გამართლებისათვის. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად, თანაც, ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს სარჩელთან და შესაგებელთან მიმართებაში. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ

მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს არ შეუძლიათ დაასაბუთონ (გაამართლონ) მათი მოთხოვნები (შესაგებელი), სასამართლომ არც უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და, აქედან გამომდინარე, მან არ უნდა მიიღოს და დაურთოს საქმეს, შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომლებიც მიმართულია ისეთ ფაქტების დადგენისაკენ, რომლებსაც ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ.

მომზადების სტადიაზე უნდა განისაზღვროს აგრეთვე, იმ ფაქტების წრე, რომლებზეც არ დავობენ მხარეები. უდავო ფაქტები უნდა განისაზღვროს იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები. ცხადია, რომ უდავო ფაქტების მიმართაც არ უნდა იქნეს შეკრებილი მტკიცებულებები.

რაც შეეხება მეორე საკითხს იმის შესახებ შეუძლია თუ არა სასამართლოს თვითონ, თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა საქმისათვის, ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა, სასამართლოს ეს არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.¹⁰⁴

ამასთან ერთად, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეების გამოკითხვისა და ახსნა-განმარტების მიღების დროს, სასამართლოს შეუძლია ჯერ-ერთი, განუმარტოს მათ, რომ სარჩელის საფუძველში თუ შესაგებელში მითითებულ ფაქტებს სინამდვილეში არ აქვთ სამართლებრივი მნიშვნელობა ამ სარჩელის და შესაგებლის დასაბუთება – გამართლებისათვის და რომ საჭირო იქნება სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებზე მითითება, თუ, რათქმუნდა, ასეთი ფაქტები არსებობენ და მეორე სასამართლოს შეუძლია დააზუსტოს და დააკონკრეტოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, განუმარტოს მხარეებს

¹⁰⁴

სამებრო პრინციპზე აგებული საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალოზიდან ჩვენ ვაკეთებდით დასკვნას, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეიტანოს მტკიცების საგანში ისეთი ფაქტები, რომლებზეც მხარეები რატომღაც არ მოუთითებენ, მაგრამ ისინი, კანონის თანახმად, ასახულებენ მხარეთა მოთხოვნებს თუ შესაგებულს და, მაშასადამე, აქვთ მნიშვნელობა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის. თ. ლილუაშვილი. მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო პროცესში (რუსულ ენაზე). თბ. 1957, გვ. 12. აგრეთვე, თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. 1992, გვ. 119.

საქართველოს დღეს მოქმედი სსკ-ის მიხედვით, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, ეს დაუშვებელია.

რომ მათ შეუძლიათ საქმის მომზადების სტადიაზე შეავსონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნა – შესაგებლის დასაბუთება-გამართლების მიზნით.

ამრიგად, სამოქალაქო საქმის წარმოების იმ ეტაპზე, რომელსაც საქმის წინასწარი მომზადების ეტაპი ეწოდება, ზდება მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების დაზუსტება, დაკონკრეტება და შევსება, ამ ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ და მტკიცების საგნის განსაზღვრა.

III. მტკიცებულებათა შეგროვება

მტკიცებულებათა შეგროვება საქმის წინასწარი მომზადების ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამიტომ, სასამართლო მოვალეა გამოითხოვოს მხარეებისაგან ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მათ ხელთაა. სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ მტკიცებულებები სწორედ მომზადების სტადიაზე, და, თუ ასეთი მტკიცებულებები წარმოდგენილი იქნება მთავარ სხდომაზე, საქმის ზეპირი განხილვის დროს, სასამართლო არ მიიღებს ასეთ მტკიცებულებებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა მათი დროულად წარმოუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემოწმების კანონით დამკვიდრებული პრინციპების დაცვით, სასამართლოს შეუძლია დააეალოს მხარეებს წარმოადგინონ ყველა ის წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც მათ გააჩნიათ, გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასვა პირებისაგან, შეამოწმოს წარმოდგენილი მტკიცებულებანი, დანიშნოს ექსპერტიზა ან ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება, თუ ეს საჭიროა და ა.შ.

მომზადების სტადიაზე სასამართლო აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მაგრამ ასეთ შეფასებას, ცხადია, აქვს წინასწარი ხასიათი. მათი საბოლოო შეფასება ზდება გადაწყვეტილების გამოტანის დროს – სათათბირო ოთახში.

IV. საქმეში მონაწილე პირთა განსაზღვრა

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთავარი სხდომის გადადების მიზეზს ხშირად წარმოადგენს მხარეთა შუამდგომლობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვის შესახებ, პროცესში თანამონაწილეების ჩართვის შესახებ, არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვლის, სპეციალისტის მოწვევის შესახებ და ა.შ.

ყველა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება მართლაც გამოიწვევს სასამართლოს მთავარი სხდომის გადადებას, რადგან სასამართლოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მესამე პირი, თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), სპეციალისტი და ა.შ.

მაგრამ ყველა ეს საკითხი შეიძლებოდა და უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო ჯერ კიდევ საქმის მომზადების ეტაპზე, მანამ სანამ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (სსსკ 207-ე მუხლი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ზემოთ დასახელებული საკითხი უნდა გადაწყდეს თვითონ სასამართლოს ინიციატივით. მაგალითად, თანამონაწილეების საქმეში ჩაბმა, როცა იგი სავალდებულოა უნდა განხორციელდეს სასამართლოს ინიციატივით საქმის მომზადების სტადიაზე.

იგივე შეიძლება ითქვას არასათანადო მხარის შეცვლაზეც, მომზადების სტადიაზე სასამართლომ იცის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამ მოთხოვნას უდევს საფუძვლად, მოპასუხის შესაგებელი და ფაქტები, რომლებიც ამ შესაგებელს უდევს საფუძვლად. ყველა ეს მონაცემი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ გაირკვეს არის თუ არა მოსარჩელე ის პირი, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ე.ი. არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, ან აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ე.ი. სათანადო მოპასუხის წინააღმდეგ.

ამრიგად, მოსამზადებელ სტადიაზე სავსებით შესაძლებელია გაირკვეს და გადაწყდეს არასათანადო მხარის სათანადო მხარით შეცვლის საკითხი. ამ საკითხების გადატანა სასამართლოს მთავარ სხდომაზე უეჭველად გამოიწვევს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას, ხოლო საბოლოო ანგარიშში – საქმის განხილვის გაჭიანურებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, თუ არასათანადო მხარის შეცვლის საკითხი საპატიო მიზეზის გარეშე არ დაისვა მომზადების სტადიაზე, სასამართლომ არ უნდა გადადოს საქმის განხილვა, არ უნდა გადადოს მთავარი სხდომა, არამედ განიხილოს საქმე ამ არასათანადო მხარის მიმართ და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება სარჩლის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს არ აქვს აღძრული მოთხოვნის უფლება.

V. მოსამზადებელი სხდომა

მოსამზადებელი სხდომა არაა სასამართლოს მთავარი სხდომა, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმე მომზადებული იქნება. მოსამზადებელი სხდომა არაა აგრეთვე საქმის მომზადების სტადიის აუცილებელი ელემენტი: საქმე შეიძლება მომზადებულად ჩაითვალოს, ისე რომ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება არც მოიწვიოს და არც ჩაატაროს სასამართლომ.

მოსამზადებელი სხდომის დანიშნვისათვის რამდენიმე პირობაა საჭირო. მოსამზადებელ სხდომას მოსამართლე დანიშნავს: პირველი – თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები საფუძველს აძლევს მოსამართლეს ივარაუდოს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ, ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, ან კიდევ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი და მეორე – თუ საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვენ.

განვიხილოთ მოსამზადებელი სხდომის დანიშნვის ეს პირობები.

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის ვარაუდი გამართლდება და მხარეები მორიგდებიან, სასამართლო გამოიტანს ამ მოსამზადებელ სხდომაზე (ისე, რომ არც კი დანიშნავს მთავარ სხდომას), განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლი). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა საქმე მორიგებით დაამთავროს.

არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ წარმოდგენილი მასალების განხილვის ანალიზის შედეგად მოსარჩელემ უარი თქვას თავის სარჩელზე, ან კიდევ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი. ასეთ შემთხვევაშიც მოსამართლეს შეუძლია დაამთავროს საქმე ისე, რომ არ დანიშნოს მთავარი სხდომა, კერძოდ, თუ მოპასუხემ ცნო სარჩელი სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო, თუ მოსარჩელე უარს იტყვის თავის სარჩელზე – სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

2. როგორც აღვნიშნეთ, მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დაინიშნოს, როდესაც მხარეები რატომღაც არ აქტიურობენ, დროულად ან საერთოდ არ ასრულებენ შესაბამის საპროცესო მოქმედებებს, დროულად, ე.ი. დანიშნულ ვადაში არ წარუდგენენ სასამართლოს წერილობით პასუხს მის წინაშე დასმულ საკითხებზე და სხვ. სხვა სიტყვების რომ ვთქვათ, საქმე არაა მზად ზეპირი განხილვისათვის და ამიტომ, სასამართლო იძულებულია დანიშნოს

მოსამზადებელი სხდომა, გამოუძახოს მხარეებს და ზეპირი გამოკითხვით გაარკვიოს საქმის ვითარება.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხარე, რომელიც დაინტერესებულია საქმის განხილვის გაჭინურებით, არც ამ მოსამზადებელ სხდომაზე ცხადდება, სასამართლოს კი მიაჩნია, რომ მან უნდა გადადოს მოსამზადებელი სხდომა და კვლავ დაიბაროს მხარეები. ასეთი ვითარება უდავოდ მიუთითებს სასამართლოს არამართლზომიერ მცდელობაზე აიძულოს მხარე იაქტიუროს, შესრულოს ყველა ისეთი საპროცესო მოქმედება, რაც საჭიროა საქმის სათანადოდ მომზადებისათვის. სასამართლოს ასეთი მცდელობის არამართლზომიერება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეს პროცესში არ ეკისრება რაიმე ისეთი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა იწვევს მის მიმართ იძულების ღონისძიების გატარებას. მხარეს აქვს უფლებები, მაგრამ მას არ ეკისრება ვალდებულებები. ამ უფლებების გამოუყენებლობას შეიძლება მოჰყვეს მისთვის არახელსაყრელი შედეგები (პროცესის წაგება).

მეორეც, კანონი არ ითვალისწინებს და არ გულისხმობს მოსამზადებელი სხდომის გადადებას, განმეორებით დანიშვნას და მრავალჯერ ჩატარების შესაძლებლობას. უკიდურეს შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა შეიძლება მეორედ დაინიშნოს, თუ აუცილებელია (მაგალითად, მხარეებს მიეცათ მათივე შუამდგომლობით დრო მორიგებისათვის).

VI. სასამართლოს მთავარი სხდომის (საქმის ზეპირი განხილვის) დანიშვნა

სსკ 207-ე მუხლის თანახმად მოსამართლეს გამოაქვს განჩინება სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ „მას შემდეგ, რაც ცნობს საქმეს საკმაოდ მომზადებულად“.

როგორც ვხედავთ, საქმის მომზადებულობა წარმოადგენს მთავარი სხდომის (ზეპირი განხილვის) დანიშვნის პირობას.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქმის დროულად და სრულყოფილად მომზადების უზრუნველყოფა შესაძლებელია ორი გარემოების ერთდროულად არსებობისას:

პირველი – სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლემ სრულად და ზუსტად განსაზღვრა იმ საპროცესო მოქმედებათა წრე, რომელთა შესრულება აუცილებელია ამ საქმის ყოველმხრივი და დროული მომზადებისათვის.

ეს მთლიანად მოსამართლეზე, მის პროფესიულობაზე და უნარზეა დამოკიდებული.

მეორე – მხარეები სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ასრულებენ მოსამართლის მიერ მითითებულ საპროცესო მოქმედებებს, დროულად აღძრავენ სასამართლოს წინაშე მათთვის საჭირო და სასარგებლო შეამდგომლობებს (მაგალითად, მესამე პირების ჩაბმის შესახებ, მოწმის დაბარების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ, ექსპერტის დანიშვნის შესახებ და ა.შ.).

ეს მთლიანად მხარეთა აქტიურობაზე დამოკიდებული, მათ აქტიურობა კი უზრუნველყოფილია არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარით. საქმე ისაა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის ბატონობის პირობებში მხარეს მტკიცედ უნდა წამდეს, რომ მის უმოქმედობას შეიძლება მოყვეს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზოგჯერ საქმე მოუმზადებელია და ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მხარეები, უფრო ხშირად კი მოპასუხეები, არ აქტიურობენ, უფრო მეტიც შეგნებულად ცდილობენ საქმის განხილვის გაჭიანურებას.

იბადება კითხვა: დასაშვებია თუ არა სსკ 207-ე მუხლის მითითების მიუხედავად, მთავარი სხდომის დანიშვნა ისეთ პირობებში, როდესაც საქმე ობიექტურად არაა მომზადებული?

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია საქმის განხილვის ვადა, მაგრამ კიდევ რომ არ იყოს ასეთი ვადა, საქმე ყველა შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს გონივრულ ვადაში.¹⁰⁵

ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის წინასწარი მომზადება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს და იგი უნდა დამთავრდეს ისეთ ვადაში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა სწორედ გონივრულ, თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში.

აქედან გამომდინარე, უნდა გავაკეთოთ დასკვნა: თუ სასამართლომ მიიღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, მაგრამ მხარეები, (როგორც წესი მოპასუხე), არ ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ და სასამართლოს მიერ მითითებულ საპროცესო მოქმედებებს, სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს საქმე მომზადებულად და დანიშნოს მისი არსებითად განხილვისათვის მთავარი სხდომა. სასამართლოს არამართო არ შეუძლია, არამედ უფლება

¹⁰⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვისა.

არ აქვს დაუსრულებლად ელოდოს თუ როდის ინებებს მხარე შესასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სსკ 207-ე მუხლი). ამ განჩინებით მთავრდება საქმის წინასწარი მომზადების ეტაპი და იწყება ახალი ეტაპი – საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის ეტაპი. მთავარი სხდომა უნდა წარიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეგზავნებათ შეტყობინება სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

§3. შეტყობინება და დაბარება

სასამართლოს განჩინება საქმის მომზადების დამთავრებისა და ამ საქმის განხილვისათვის მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ გარემოებებზე მითითებით. ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე იმის შესახებ, პროცესში მონაწილე რომელი პირები უნდა იქნან მოწვეული სასამართლო სხდომაზე (მხარეები, მესამე პირები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები და ა.შ.) და რა შედეგები შეიძლება მოყვეს მათ გამოუცხადებლობას. აღსანიშნავია, რომ პროცესში მონაწილე პირთა შეტყობინება საეალდებულოა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სხვადასხვა არასასურველ, ხოლო ზოგჯერ მძიმე შედეგებს იწვევს. მაგალითად, სასამართლო სხდომის ჩატარება და საქმის განხილვა-გადაწყვეტა რომელიმე მხარის შეტყობინების გარეშე წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსკ 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სსკ 70-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად უწყება უნდა გაეგზავნოთ არამარტო მხარეებს, არამედ მათ წარმომადგენლებსაც. ამასთან ერთად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო ატყობინებს (აცნობებს) სასამართლო სხდომის დროსა და ადგილს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ვალდებული არიან გამოცხადდნენ ამ სხდომაზე. მათ შეუძლიათ არ გამოცხადდნენ და არ მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას და გადაწყვეტას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცხადდნენ სხდომაზე, მაგრამ მონაწილეობას არ იღებენ საქმის განხილვაში. სასამართლოს მაინც შეუძლია განიხილოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება (იხ. თავი XV დაუსრულებელი გადაწყვეტილება).

რაც შეეხება მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს – მათ სასამართლო უბრალოდ კი არ ატყობინებს, არამედ იბარებს სასამართლო სხდომაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებული არიან გამოცხადდნენ, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრებათ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (სსკ 145-ე მუხლი).

კანონი არ განსაზღვრავს დროის იმ ზუსტ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც უნდა ჩაბარდეთ უწყება გამოსამახებელ პირებს. ამ საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს იმ ზოგადი კრიტერიუმით, რომელიც ჩამოყალიბებულია სსკ 70-ე მუხლის მე-2 ნაწილში და რომლის თანახმად უწყება უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ საკმაო დრო ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოსაცხადებლად და საქმისათვის მოსამზადებლად.

გამონაკლისის სახით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უშვებს შეტყობინებას და გამოძახებას არა უწყებით, არამედ ტელეფონურადაც, დეპუტატთა ფაქსის აპარატით, რომლებიც თავისი შინაარსით უნდა პასუხობდნენ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენება უწყებას (სსკ 72-ე მუხლი). ამ გამონაკლისი წესით შეტყობინება-დაბარების დროს აუცილებელია იმ პირის დადასტურება, რომელსაც ასეთი შეტყობინება გაეგზავნა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში უნდა იყოს ჩაქერებული თუ რა შინაარსის ფაქსი გაიგზავნა და პასუხი იმ პირისა, ვისაც იგი გაეგზავნა. წინააღმდეგ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ვერ ჩაითვლება.

მოპასუხის დასახელება, აგრეთვე მისი მისამართის მითითება არის მოსარჩელის მოვალეობა. მხარეებს ევალებათ აგრეთვე მიუთითონ იმ პირთა მისამართები, რომელთა გამოძახებაზე შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე. ასეთი მისამართის მითითების გარეშე სასამართლო უმოდრაოდ დატოვებს სარჩელს (სსკ 185-ე მუხლი), ან კიდევ, არ დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას მოწმის თუ სხვა პირის გამოძახების შესახებ.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ დასაბარებელი პირი არ ცხოვრობს ფაქტობრივად მითითებულ მისამართზე. ასეთ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული გამოსავალი ერთია: უწყება შეიძლება გაიგზავნოს მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ამ სამუშაო ადგილის შესახებაც სასამართლოს უნდა აცნობოს მოსარჩელემ (მხარემ).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ისეთი ცნებებები, როგორცაა „ფაქტობრივად არცხოვრება“ და „საერთოდ არცხოვრება“. ფაქტობრივად არცხოვრებაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ გამოსამახებელი პირი ცხოვრობდა აქ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ფაქტობრივად აქ აღარ ცხოვრობს. მაგრამ თუ პირი არასდროს აქ არ ცხოვრობდა, ითვლება რომ არც ფაქტობ-

რივად და არც იურიდიულად იგი მხარის მიერ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და არც უცხოვრია. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ეს ეხება მოპასუხეს საკითხი შემდეგნაირად შეიძლება გადაწყდეს: სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს, რომ მოსარჩელემ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა მიუთითოს მოპასუხის მისამართი და, ამიტომ დატოვოს სარჩელი განუხილველად სსკ 275-ე მუხლის ანალოგიით. მოსარჩელეს არ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი, როცა დაადგენს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილს.

უფრო მარტივად გადაწყდება ეს საკითხი მოწმების, მხარის მიერ დასახელებული ექსპერტების, სპეციალისტების მიმართ. თუ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე ეს პირები არ ცხოვრობენ – ისინი ვერ იქნებიან გამოძახებული და დაკითხული, ხოლო საქმე გადაწყდება მოპოვებული და საქმეში არსებული მასალების მიხედვით.

პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ადრესატი, ე.ი. პირი, რომელსაც გაეგზავნა უწყება, უარს ამბობს ამ უწყების მიღებაზე. მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხარის და, მით უმეტეს, საქმეში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირის ნებასურვილზე, ამიტომ, თუ ადრესატი, მართალია იმყოფება ადგილზე, მაგრამ უარს ამბობს უწყების მიღებაზე, რაც უნდა აღინიშნოს ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე, უწყება ჩაბარებულად ითვლება, აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგით. ეს შედეგი კი სხვადასხვაა, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ადრესატი. მაგალითად, თუ უწყების მიღებაზე უარს ამბობს მოპასუხე, რომელიც არც მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა, მის მიმართ შეიძლება გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ უწყების მიღებაზე უარი თქვა მოწმემ და არც მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა, მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (სსკ 145-ე მუხლი). უწყება, რომლის შინაარსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს (სსკ 72-ე მუხლი), შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით, აგრეთვე ერთ-ერთი მხარის მეშვეობით, რომელიც თანახმა იქნება ჩააბაროს ადრესატს უწყება. უწყება ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე ხელს აწერს ადრესატი, აღნიშნულია მისი ჩაბარების დრო, დაბრუნდა სასამართლოში და ჩაქვრებულია საქმეში. უწყების მეორე ეგზემპლარზე შეიძლება ხელს აწერდეს სხვა პირიც, ოღონდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სსკ 74-ე მუხლი). თუ უწყება გაეგზავნა ორგანიზაციას, მაშინ მის მეორე ეგზემპლარზე ხელს უნდა აწერდეს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც აღჭურვილია უფლებამოსილებით მიიღოს კორექსორდენციები.

**საქმის არსებითად განხილვა სასამართლოს
მთავარ სხდომაზე**

§1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა და წესი

I. სასამართლოს მთავარი სხდომის ცნება და მნიშვნელობა

სასამართლოს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ისე მთლიანად საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით.

სასამართლოს სხდომას, რომელიც მოწვეულია საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით, ეწოდება მთავარი სხდომა, რადგან იგი თავისი მიზნებითა და ჩატარების წესით განსხვავდება სასამართლოს იმ სხდომებისაგან, რომლებიც მოწვეულია მხოლოდ ცალკეული საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად. ასეთ სხდომებს შეიძლება ვუწოდოთ წინასწარი, ან როგორც მას კანონი უწოდებს – მოსამზადებელი სხდომა, რადგან ასეთ სხდომებზე განიხილება და წყდება მხოლოდ ცალკეული საკითხები (აცილება, ექსპერტიზის დანიშვნა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.), რაც წინ უსწრებს მთავარ სხდომას და ემსახურება მის სწრაფად, დაუბრკოლებლად ჩატარების ინტერესებს.

სამოქალაქო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის აუცილებელი და სავალდებულო პირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეზე არ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება ამ საქმის მთავარ სხდომაზე წინასწარი განხილვის გარეშე. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხე ჯერ კიდევ მოსამზადებელ სხდომაზე ცნობს სარჩელს. ასეთ შემთხვევაში, საქმის არსებითად განხილვა საჭირო აღარ არის და სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სასამართლოს მთავარი სხდომის მნიშვნელობიდან გამომდინარე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საქმით სისრულით აწესრიგებს არამართო მისი მოწვევისა და დანიშვნის, არამედ წარმართვის (ჩატარების) წესებს. აღსანიშნავია, რომ მთავარი სხდომის ჩატარების კანონით დამკვიდრებული წესები შემუშავებულია იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა, მათი საპროცესო უფლებების

რეალიზაციის სრული შესაძლებლობა, პროცესის პრინციპების ამოქმედება, მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა, აგრეთვე ხელი შეუწყოს თვით სასამართლოსადმი მოქალაქეთა ნდობისა და მოსამართლეთა მიმართ პატივისცემის სულისკვეთების განწყობის ჩამოყალიბებას.

ცხადია, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა შეასრულებს ამ ამოცანას მხოლოდ ერთი პირობით, თუ იგი ჩატარდება კანონმდებლობით დადგენილი წესების ზუსტი დაცვით.

იმ ნორმების ანალიზი, რომლებიც არეგულირებენ მთავარი სხდომის ჩატარების წესებს, საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი და თანმიმდევრულად მიმდინარე სტადია:

1. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობების გარკვევა;
2. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. სასამართლოს მოხსენება საქმის არსის შესახებ;
3. მტკიცებულებათა გამოკვლევა;
4. მხარეთა პაექრობა;
5. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა.

მთავარი სხდომის თითოეული ამ სტადიის გამოყოფას ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა თუ დაცული იქნება ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის ლოგიკური თანმიმდევრულობა, თუ ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ხდება მას შემდეგ, როცა უკვე შესრულდა ყველა ის მოქმედება, რომელიც წინა სტადიაზე უნდა შესრულებულიყო. ხომ არ იქნება გამართლებული, რომ ჯერ მოსამართლემ გააკეთოს მოხსენება საქმის არსის შესახებ, წარმოადგინოს მხარეთა მოთხოვნებისა და შესაგებლის ხასიათი და შინაარსი და მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიოს ვინ გამოცხადდა ან არ გამოცხადდა სხდომაზე და არსებობს თუ არა მხარის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ სასამართლო სხდომის ცალკეული სტადიის შინაარსი.

II. მთავარი სხდომის გახსნა და მისი ჩატარების შესაძლებლობის გარკვევა

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო უწყებაში მთავარი სხდომის მოწვევის შესახებ, მითითებული უნდა იყოს გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ. უწყებით დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ვერ ხერხდება, მაშინ მოსამართლემ ან მისმა

თანამეცნიერებმა ზუსტად დანიშნულ დროს უნდა აცნობოს მხარეებს და სხდომაზე დასასწრებად მოსულ პირებს თუ რა მიზეზით არ იწყება სხდომა დანიშნულ დროს და რამდენი შეიძლება დააგვიანდეს მის გახსნას.

როდესაც სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში, იგი ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული ამ სხდომაზე.

დაბარებულ პირთა გამოცხადების შემოწმება. ჯერ კიდევ სხდომის დაწყების წინ (სანამ სასამართლო შემოვა სხდომის დარბაზში), სხდომის მდივანმა უნდა შეამოწმოს გამოსაძახებელ პირთაგან ვინ გამოცხადდა და არკვევს გამოუცხადებლობის მიზეზებს, კერძოდ ჩაბარდათ თუ არა მათ უწყება და არის თუ არა საქმეში ცნობა იმის შესახებ, ხომ არ არის წარმოდგენილი რაიმე ცნობა (მაგალითად, ავადმყოფობის შესახებ) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ და სხვა.

ყოველივე ამის შესახებ სხდომის მდივანმა უნდა მოახსენოს სასამართლოს.

გამოცხადებულ პირთა ვინაობის დადგენა. გამოცხადებულთა ვინაობას ადგენს უშუალოდ სასამართლო (მოსამართლე). მხარეთა და პროცესში მონაწილე სხვა პირთა (მოწმის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის) ვინაობის დადგენის მიზნით, თუ ეს აუცილებელია, მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მხარე ან პროცესში მონაწილე პირი არაა საქართველოს მოქალაქე, ან კიდევ მოქალაქეობის არმქონე პირია, მაშინ ასეთი პირის ვინაობა უნდა შემოწმდეს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტით ან სხვა ისეთი დოკუმენტით, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

თუ საქმეში მონაწილეობს წარმომადგენელი, მისი უფლებამოსილებისა და ამ უფლებამოსილებათა ფარგლების დადგენის მიზნით მოსამართლე უნდა გაეცნოს მინდობილობას და შეამოწმოს მისი გაცემის წესი. მხარეთა, მოწმეთა და სხვა დაბარებულ პირთა ვინაობის დადგენის შემდეგ, მოსამართლე, თუ ის შესაძლებლად თვლის სხდომის გაგრძელებას, წინადადებას აძლევს მოწმეებს დატოვონ დარბაზი და დაელოდონ გამოძახებას.

მხარეთა შუამდგომლობების აღძვრა და განხილვა. მთავარი სხდომის ამ პირველ სტადიაზე ხდება მხარეთა შუამდგომლობების აღძვრა და განხილვა.

ამასთან ერთად, მხედველობიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს შემდეგი გარემოება: სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუშვებელია რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენა, რაიმე შუამდგომლობების თუ განცხადებების აღძვრა, სარჩელის შეცვლა ან სასარჩელო მოთხოვნის გადიდება, მოწმის დასახელება და ა.შ.

მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, კერძოდ, როცა არსებობს ამისათვის საპატიო მიზეზი, ასეთი შუამდგომლობებით თუ განცხადებებით მიმართვა სასამართლოსათვის დასაშვებია მხოლოდ მთავარი სხდომის საწყის ეტაპზე, ანუ ამ სხდომის გახსნის ეტაპზე, როცა ხდება მისი ჩატარების შესაძლებლობის გარკვევა. სწორედ სხდომის ამ საწყის ეტაპზე უნდა გაარკვიოს სასამართლომ ხომ არ ექნებათ მხარეებს რაიმე შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე და ხომ არ არსებობს რაიმე დასაბუთებული თხოვნა, რომლის შესრულება სხდომის სხვა დროისათვის გადადებას საჭიროებს.

მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება, რომ ამ ეტაპზეც, ე.ი. მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზეც, რაიმე ახალი მტკიცებულებები, შუამდგომლობები, განცხადებები შეიძლება მიიღოს და განიხილოს სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი წარმოდგენილი და აღძრული არ იყო ამ საქმის მომზადების სტადიაზე საპატიო მიზეზით, რომლის დამტკიცების ტვირთი ეკისრება ახალი მტკიცებულების წარმდგენს, თუ შუამდგომლობების აღმძვრელ მხარეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ეს მხარე ვერ დაამტკიცებს საპატიო მიზეზის არსებობას, სასამართლო საერთოდ არ მიიღებს და არ განიხილავს მხარის შუამდგომლობებს. მაგალითად, მხარეს შეუძლია განაცხადოს აცილება მთავარი სხდომის გახსნის სტადიაზე „თუ ასეთი აცილება სასამართლოს მიერ საპატიოდ ცნობილი მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე“ (სსკ 214-ე მუხლი).

მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებამ შეიძლება საჭირო განაღოს სხდომის გადადება, რის შესახებაც საუბარი გვექნება ამ თავის მეორე პარაგრაფში.

III. საქმის არსებითად განხილვის დაწყება. მოსამართლის მოხსენება საქმის არსის შესახებ

მას შემდეგ, რაც განხილული იქნება მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ყველა შუამდგომლობა (განცხადება, მოსაზრება) და სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, დაიწყება მეორე სტადია (ეტაპი) – საქმის არსებითი განხილვა.

სსკ 217-ე მუხლის თანახმად „საქმის არსებითი განხილვა იწყება საქმის მოხსენებით მოსამართლის მიერ, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ მოკლედ, ნათლად და ყველასათვის გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს საქმის არსი, მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსი. ამისათვის მან თავის მოხსენებაში ზუსტად უნდა უჩვენოს:

ა) მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და ხასიათი სასარჩელო განცხადების მიხედვით;

ბ) გარემოებები (ფაქტები), რომლებზეც მოსარჩელე უთითებს თავის სასარჩელო განცხადებაში და მტკიცებულებები, რომლებიც რეალურად წარმოადგინა მან და არის საქმეში;

დ) მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებლის, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შინაარსი და ხასიათი.

ე) გარემოებები (ფაქტები), რომლებზეც მოპასუხე ამყარებს თავის შესაგებელს (შეგებებულ სარჩელს);

ვ) მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა მოპასუხემ ამ გარემოებების დასადასტურებლად.

მოსამართლის მოხსენება საქმის არსის შესახებ ამით არ შეიძლება ამოიწუროს. მან თავის მოხსენებაში უნდა მიუთითოს აგრეთვე, შეუძლიათ თუ არა მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებებს დაასაბუთონ ანუ იურიდიულად გამართლონ სასარჩელო მოთხოვნა და შესაგებელი (შეგებებული სარჩელი), ხოლო თუ რომელიმე გარემოება კიდევ რომ დადასტურდეს წარმოდგენილი მტკიცებულებით, ვერ დაასაბუთებს იურიდიულად ამ მოთხოვნას, თუ შესაგებულს, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს მოსამართლის მოხსენებაში. სასამართლოს სრული უფლება აქვს არ გამოითხოვოს, არ მიიღოს, ხოლო თუ შეეცდომით მიიღო საქმიდან ამოიღოს „მტკიცებულებები, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ“ (სსკ 104-ე მუხლი).

საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს ღრმა აზრი და ღიმილი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილებას საქმეზე იღებს სასამართლო. ამასთან, იგი შებოჭილია მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფარგლებით. აქედან გამომდინარე, მხარეთა მოთხოვნების აზრისა და შინაარსის სწორად გაგებას სასამართლოს მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა სადავო უფლების დაცვისათვის. მხარეებს, რომლებმაც მოისმინეს სასამართლოს მოხსენება, შეუძლიათ დააზუსტონ ან შესწორება შეიტანონ მოსამართლის მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც მათი მოთხოვნის (შესაგებლის) ხასიათს და ფარგლებს შეეხება, თუ რა თქმა უნდა მოსამართლემ რაიმე სწორად ვერ გაიგო.

მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ აგრეთვე თავიანთი მოსაზრებები ჩამოაყალიბონ მოსამართლის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა და მტკიცებულებათა განკუთვანადობის შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. შემთხვევითი არაა, ამიტომ,

რომ „მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა (სსკ 218-ე მუხლი).

საქართველოს სსკ-ის თანახმად მხარეთა ახსნა-განმარტება არის მტკიცებულების (მტკიცების საშუალების) ერთ-ერთი სახე. ამიტომ, იგი განხილულია ამ წიგნის იმ თავში რომელიც მტკიცებულებებს ეხება, ამიტომ ჩვენ აქ შევხებით მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მათ მოსაზრებას საქმის არსის შესახებ, მოსამართლის მიერ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ საკითხებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახსნა-განმარტების წინ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს, რომ მათ არ გაიმეორონ ის, რაც უკვე ითქვა მოსამართლის მიერ, არამედ აღნიშნონ თუ რაიმე აქვთ დასამატებელი ან დასაზუსტებელი და რამდენად სწორად იყო გაგებული და გადმოცემული მათი მოთხოვნისა და შესაგებლის (შეგებებული სარჩელის) შინაარსი. ცხადია, მათ შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ მოსამართლის მოხსენებაში, თუ რაიმე არასწორად იყო გაგებული მის მიერ.

მხარეებისათვის შეკითხვების მიცემის გზით შეიძლება კიდევ ერთხელ დაზუსტდეს, თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან რომელ გარემოებებზე არ დავობენ ისინი და რომელი ფაქტობრივი გარემოება ითვლება სადავოდ, აგრეთვე, საქმეში არსებული რომელი მტკიცებულება შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ და რომელი არა და ა.შ.

მხარეთა მორიგებაზე სასამართლო ზრუნავს ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე, მაგრამ თუ ამ სტადიაზე ეს ვერ მოხერხდა, სასამართლომ კვლავ უნდა მიიღოს ზომები მათი მორიგებისათვის და განუმარტოს მხარეებს იმ უპირატესობაზე, რომელიც აქვს მხარეთა მორიგებით საქმის დამთავრებას, გადაწყვეტილებით საქმის დამთავრებასთან შედარებით.

მხარეებს შეუძლიათ მთავარ სხდომაზე ახსნა-განმარტების მიცემის დროს წამოაყენონ ახალი მოსაზრებები და მიუთითონ ახალ გარემოებებზე. ახალი იქნება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები და მოსაზრებები, რომლებიც ადრე არ იყო გამოთქმული და წამოყენებული.

მაგალითად: ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით მოპასუხე ბ-ანი მიუთითებდა, რომ ეს ვალდებულება შეწყვეტილია გაჭიითით. მოსარჩელე ა-ნიმ მთავარ სხდომაზე მიუთითა ახალ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შეწყვეტა გაჭიითით წინასწარ იყო გამორიცხული (სკ 447-ე მუხლი).

ეს არის ახალი გარემოება, რომელიც არ იყო ცნობილი მანამდე, საქმის მომზადების სტადიაზე. ამიტომ, იმისათვის, რომ შეამოწმოს მისი ნამდვილობა სასამართლომ ჯერ უნდა გაარკვიოს, თუ რატომ არ იქნა წამოყენებული ეს გარემოება მომზადების სტადიაზე. საქმე ისაა, რომ სსკ 219-ე მუხლის თანახმად „სასამართლო გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით“.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზუსტად და განუზრებლად იქნეს დაცული შეკითხვების მიცემის რიგითობა და წესი. თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მეორე მხარეს (მის წარმომადგენელს) მხოლოდ სასამართლოს ნებართვით, მაგრამ სასამართლოს ნებართვით მხარის მიერ მიცემული შეკითხვა შეუძლია მოხსნას სასამართლომ თუ ეს შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამორკვევას. შეკითხვის მოხსნის საკითხი შეუძლია დააყენოს მხარემ, მაგრამ მოსამართლეს ეს შეუძლია თავისი ინიციატივითაც. ცხადია, რომ მოსამართლეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მხარეს ნებისმიერ დროს, ოღონდ მას შემდეგ, როცა მხარე დაამთავრებს თავისუფალი თხრობით თავისი ახსნა-განმარტების გადმოცემას.

IV. მტკიცებულებათა გამოკვლევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხარეთა ახსნა-განმარტება წარმოადგენს ჩვენი საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულებას, მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ საშუალებას.

აქედან გამომდინარე, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენით ფაქტიურად იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა.

საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შემოწმება მათი უტყუარობის თუ სარწმუნოების თვალსაზრისით სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შემოწმება არ მომხდარა ამ საქმის მომზადების სტადიაზე.

მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით სასამართლომ უშუალოდ უნდა მოუსმინოს მხარეებს, მესამე პირებს, თანამონაწილეებს, შეადაროს მათი ახსნა-განმარტებები ერთმანეთს; სასამართლომ უშუალოდ უნდა დაკითხოს და მოუსმინოს მოწმეებს კანონით დადგენილი წესით. დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები და მოახდინოს ადგილზე დათვალიერება, თუ ეს არ გაუკეთებია საქმის მომზადების სტადიაზე ობიექტური ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო. საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე შეიძლება წამოიჭრას ისეთი

გარემოების დადგენის აუცილებლობა, რომელიც საეკოლოგიურ ცოდნას მოითხოვს. ეს უკიდურესად არასასურველი შემთხვევაა, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს – სასამართლომ უნდა დანიშნოს ექსპერტიზა და, ცხადია, უნდა გადადოს საქმის განხილვა. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვის გადადება და ექსპერტიზის დანიშვნა გამართლებულია იმით, რომ ამ საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე არ იყო ცნობილი გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ და მხარემ საპატიო მიზეზით ვერ წამოაყენა ეს გარემოება ამ სტადიაზე.

მტკიცებულებათა გამოკვლევის (შემოწმების) მიზნით სასამართლომ უნდა მოახდინოს ყველა შეკრებილი მასალის, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შედარებითი გამოკვლევა. თუ ასეთი შედარების შედეგად აღმოჩნდება, რომ საქმეში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა აღმოფხვრას ეს წინააღმდეგობა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს მხარეებისაგან განმეორებით ახსნა-განმარტების მიღება, მოწმეთა განმეორებით დაკითხვა, ექსპერტიზის, მათ შორის განმეორებითი და დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.

მას შემდეგ, რაც გამოკვლეული იქნება ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, სასამართლო კვლავ უნდა შეეკითხოს მხარეებს და პროცესის სხვა მონაწილეებს (თანამონაწილეებს, მესამე პირებს), ზომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ მათ არაფერი აქვთ დასამატებელი სასამართლო გადადის მხარეთა პაექრობაზე.

V. მხარეთა პაექრობა. სასამართლოს ხელმძღვანელობა მხარეთა შეჯიბრებისადმი

მხარეთა პაექრობა მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილია.

პაექრობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხარეებს, თანამონაწილეებს, მესამე პირებს და წარმომადგენლებს: მოპაექრეები საქმეში არსებული და განხილული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს სასამართლო განხილვის ყველაზე მთავარ და ძირითად საკითხზე: სარჩელის (შესაგებლის) საფუძვლიანობის თუ უსაფუძვლობის, დასაბუთებულობისა თუ დაუსაბუთებლობის შესახებ. მოპაექრე თავის სიტყვაში უნდა შეეცადოს მიუთითოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება (ფაქტი) შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად, რომელი – ვერ დასტურდება და ვის ეკისრებოდა მისი დამტკიცების ტვირთი და ა.შ.

მოპაექრეს შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება ფაქტების იურიდიული შეფასების შესახებ და მიუთითოს კანონზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს.

სსკ 227-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს პაექრობაში მონაწილეთა რიგიობას. კერძოდ, პირველად გამოვლენ მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, შემდეგ მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. შემდეგ გამოდის მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით და მისი წარმომადგენელი. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ისინი გამოდიან იმ მხარის შემდეგ, რომლის მხარეზეც მონაწილეობს პროცესში.

მას შემდეგ, რაც პაექრობის ყველა მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. სსკ 228-ე მუხლის თანახმად ასეთ ხელმეორედ გამოსვლას რეპლიკა ეწოდება, რაც განპირობებულია პაექრობაში მონაწილე პირისათვის პასუხის გაცემის აუცილებლობით. რეპლიკის, ანუ საპასუხო გამოსვლის რიგიობა უნდა შეესაბამებოდეს პაექრობაში მონაწილეობის რიგიობას, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის აქვს მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. უნდა აღინიშნოს, რომ რეპლიკა – ესაა უფლება, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ, მაგრამ შეუძლიათ უარი თქვან მასზე.

მხარეთა შეჯიბრებას, ისე როგორც საქმის წარმოებას მთლიანად ხელმძღვანელობს სასამართლო. ასეთი ხელმძღვანელობისათვის სასამართლოს აქვს ერთი დიდი ორიენტირი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს საქმის წარმოების წესს და მათ შორის მხარეთა ზეპირ შეჯიბრებას.

სასამართლომ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ჯერ კიდევ პროცესის საწყის ეტაპზე – სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან, საქმის მომზადებას (წერილობით შეჯიბრებას), მის განხილვას (ზეპირ შეჯიბრებას) და გადაწყვეტას ხელმძღვანელობს სასამართლო და რომ იგი უფლებას ვერ მისცემს თავის თავს და მით უმეტეს მხარეს, დაარღვიოს კანონით განსაზღვრული საქმის წარმოების წესი.

მხარეთა ზეპირი შეჯიბრება საქმის წარმოების ყველაზე რთული ნაწილია. ამ დროს სჭირდება სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება და პრინციპულობა. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას მხარეთა მიერ მწვავე და ურთიერთმეურაცმეოფიელი გამოთქმები. მან უნდა შეაწყვეტინოს სიტყვა ყველას ვინც არ ემორჩილება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მიიღებს პროცესის მსვლელობის დროს, მაშინვე უნდა გამოცხადდეს.

პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყოველთვის, როცა საქმე კარგად იყო მომზადებული, საქმის წარმოება მიმდინარეობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქმის განხილვა ზედმეტად, უსარგებლოდ და უსაფუძვლოდ არ ჭიანჭურდება, სასამართლოს მთავარი სხდომა და საქმის გადაწყვეტა ძალიან სწრაფად, შესვენების გარეშე მთავრდება.

VI. სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა

პაექრობით მთავრდება მთავარი სხდომა და სასამართლო გადის გადაწყვეტილების გამოსატანად. სათათბირო ოთახში გასვლის წინ სასამართლომ ყოველთვის უნდა გამოაცხადოს, რომ სხდომა დამთავრებულია და იგი გადის გადაწყვეტილების მისაღებად.

ჯერ კიდევ სათათბირო ოთახში გასვლამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს უკვე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისი მოსაზრებები საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ. მათ შეფასებას სასამართლო იწყებს ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე და სასამართლო სხდომაზე, სადაც მხარეები ზეპირად აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს ამ მტკიცებულებათა შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლო სათათბირო ოთახში კიდევ ერთხელ და საბოლოოდ აფასებს მტკიცებულებებს ჯერ ერთი მათი სარწმუნოებისა თუ უტყუარობის თვალსაზრისით და მეორე – რა დასკვნების გაკეთება შეიძლება მათ საფუძველზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. სწორედ აქ – სათათბირო ოთახში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბების წინ, სასამართლომ საბოლოოდ უნდა გაარკვიოს: ა) საქმეში არსებული რომელი მტკიცებულება უნდა ჩაითვალოს სარწმუნოდ (უტყუარად) და რომელი არა; ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება (რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა და შესაგებელს) ითვლება დამტკიცებულად და რომელი არა; გ) რომელი გარემოებების შესახებ არ დავობენ მხარეები (უდავო ფაქტები); დ) რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. გადაწყვეტილების შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ ამ საკითხების გადაჭრით (249-ე მუხლი), მაგრამ ეს ის ფუნდამენტური საკითხებია, რომელთა გადაჭრის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

ამასთან ერთად სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით პასუხი უნდა გასცეს სარჩელში წამოყენებულ და განხილულ ყველა მოთხოვნას. როგორც სასარჩელო განცხადებიდან და საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა –

ნათქვამია საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, მოსარჩელე სასამართლოში აყენებდა ორ მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება, მაგრამ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ გადაწყვიტა ორივე მოთხოვნა, რითაც დაარღვია სსკ 244-ე მუხლის დანაწესი. „საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს კასატორის ორივე მოთხოვნაზე და კანონის შესაბამისად გადაწყვიტოს დაყენებული საკითხები“.¹⁰⁶

კანონი განსაზღვრავს აგრეთვე კოლეგიური სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წესს, რომლის თანახმად გადაწყვეტილება დადგენილი უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არცერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ, ხოლო მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის წერილობითი ჩამოყალიბების მოვალეობა არ არსებობს. განსხვავებული აზრის ქონა მოსამართლის უფლებაა და არა მოვალეობა. თუ განსხვავებული აზრი წერილობითაა ჩამოყალიბებული, იგი დაერთვის საქმეს და მისი გაცნობის უფლება აქვთ მხარეებს.

მოსამართლეებს უფლება არ აქვთ გაანხმდნენ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

გადაწყვეტილებას წერს მოსამართლე. თუ საქმეს იხილავს კოლეგიური სასამართლო, მაშინ გადაწყვეტილება შეიძლება დაწეროს ერთ-ერთმა მოსამართლემ, მათ შორის კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარემ. როგორც წესი გადაწყვეტილებას წერს მომხსენებელი მოსამართლე. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე, მათ შორის მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას და აქვს თავისი განსხვავებული აზრი.

კანონი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ფორმას. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი და გამოცხადებული. მხოლოდ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადაიდოს არაუმეტეს 14 დღით, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც ასევე წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე.

¹⁰⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 5. IV 2001, გვ. 565.

VII. სასამართლო დადგენილებათა სახეები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს რამდენიმე სახის დადგენილება, როგორცაა გადაწყვეტილება, განჩინება, გადახდის ბრძანება, ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება – ესაა საქართველოს სახელით გამოტანილი სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება (სსკ 243-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სასამართლოს განჩინება – ესაა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება (სსკ 284-ე მუხლის პირველი ნაწილი).

გადახდის ბრძანება – ესაა დავალიანების გადახდის შესახებ საქმის გამარტივებული წესით მიღებული სასამართლოს დადგენილება, რომელიც ავალებს მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს) გადაიხადოს ამ ბრძანებაში მითითებული თანხა (სსკ 303-ე მუხლი).

ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ – ესაა საქმის გამარტივებული წესით მიღებული სასამართლოს დადგენილება ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ (სსკ 389-ე მუხლი).

უფრო დაწვრილებით ამ დადგენილებების შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, როცა შევხებით თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.

§2. საქმის განხილვის გადაღება

I. ცნება და დასაშვებობა

საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადია არსებობს იმისათვის, რომ არ გახდეს საჭირო საქმის განხილვის ანუ სასამართლოს მთავარი სხდომის გადაღება და საქმე განხილული იქნეს ერთ სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე. მაგრამ, თუ ეს ვერ ხერხდება და საჭირო ხდება სხდომების გადაღება სხვა დროისათვის, თანაც ისეთი მიზეზით, რომელსაც არ ექნებოდა ადგილი საქმის კანონის შესაბამისად წარმოების შემთხვევაში, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე არ იყო სათანადოდ მომზადებული, ან კიდევ, მხარე ცდილობს გააჭიანუროს საქმის განხილვა, ხოლო სასამართლო ვერ იყენებს იმ საპროცესო მექანიზმს, რომლებიც გაჭიანურების წინააღმდეგ საბრძოლველად არის გამიზნული.¹⁰⁷

¹⁰⁷ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმის განხილვის გადაღების ყველაზე

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით და ვისი შუამდგომლობით ხდება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად და შეუცდომლად განვსაზღვროთ მომზადებული იყო თუ არა საქმე სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის, რომელი მხარე ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას და იღებს თუ არა სასამართლო კანონით გათვალისწინებულ ზომებს საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ.

საქმის განხილვის გადადება უნდა განვსახვათ საქმის განხილვის გაგრძელებისაგან მეორე ან მესამე დღეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი განხილვა ვერ მოესწრო იმავე დღეს. საქმის განხილვის გადადება – ესაა ამ საქმის განხილვისათვის ახალი სხდომის სხვა დროისათვის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, არასწორია ვუწოდოთ საქმის განხილვის გადადება ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვა ერთ დღეს (ერთ სხდომაზე) ვერ მთავრდება და ამიტომ გრძელდება მომდევნო ან სხვა დღეს. მაგრამ ეს იქნება არა გადადება, არამედ საქმის განხილვის გაგრძელება ან შესვენების გამოცხადება გარკვეულ დრომდე.

საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სსკ 216-ე მუხლი). მაგალითად, შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. ამის შემდეგ მისი აღძვრა შეიძლება, თუ ეს ვადა გაშვებული იყო საპატიო მიზეზით. თუ სასამართლო ცნობს რომ ასეთი საპატიო მიზეზი არსებობს, მაშინ ის მიიღებს დაგვიანებით აღძრულ შეგებებულ სარჩელს, მაგრამ დანტერესებული მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს იმ მოტივით, რომ საჭიროა შეგებებული სარჩელის განსახილველად მომზადება. საქმის განხილვის გადადებას ითვალისწინებს აგრეთვე სსკ 229-ე და 233-ე მუხლები. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის გადადებას კანონი პირდაპირ კი არა, არამედ არაპირდაპირ შეიძლება ითვალისწინებდეს. მაგალითად, თუ სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინება გამოიტანა არა მოსამზადებელ სტადიაზე, არამედ მას შემდეგ, რაც დაინიშნა მთავარი სხდომა, ან უშუალოდ მთავარ სხდომაზე,

გავრცელებული მიზეზია მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ, მოწმის გამოძახების შესახებ, სასამართლოს მიერ წერილობითი მასალების გამოთხოვის შესახებ, ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა, დაბოუყიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვა, საქმის გასაცნობად დროის მიცემა, თუმცა რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ამ საქმის წარმოება მიმდინარეობს და ა.შ.

იხ. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. გვ.67-76.

მაშინ სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და დაელოდოს ექსპერტის დასკვნის მიღებას. ასევე, თუ მოწმედ დაბარებული პირი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მისი იძულებითი მოყვანა. ცხადია, რომ სასამართლომ, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, უნდა გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის.

საქმის განხილვის გადადება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით. საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას საქმის განხილვის გადადება, თუ ამას მიზნად აქვს საქმის განხილვის გაჭიანურება.

II. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში

საქმის განხილვის გადადება ძალიან არასასურველი მოვლენაა და ამის აუცილებლობა რომ არ წარმოიშვას საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ყველა საჭირო მექანიზმებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული პირობების არსებობისას და კანონით პირდაპირ ან არაპირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება აუცილებელი გახდეს საქმის განხილვის გადადება. ამასთან ერთად კანონი მოითხოვს სასამართლოს მხრივ მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების შესრულებას იმ შემთხვევისათვის, თუ იგი დაადგენს საქმის განხილვის გადადებას. კერძოდ, საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლომ:

1. უნდა დანიშნოს დღე ახალი სხდომისათვის და ამის შესახებ უნდა აცნობოს სხდომაზე გამოცხადებულ პირებს, აფრთხილებს მათ ახლად დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. ყოველივე ამის შესახებ აღინიშნება სხდომის ოქმში, რაზედაც ხელს აწერენ ეს პირები.
ამ პირებისათვის დამატებით უწყების გაგზავნა საჭირო აღარ არის. ისინი ითვლებიან გამოძახებულებად (დაბარებულად) კანონით დადგენილი წესით. რაც შეეხება სხდომაზე გამოუცხადებელ პირებს, მათ უნდა გაეგზავნოთ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები).
2. უნდა დაკითხოს გამოცხადებული მოწმეები კანონით დადგენილი წესით (სსკ 140-153-ე მუხლები).

ახალ სასამართლო სხდომაზე ამ მოწმეთა ხელმოწერა დაბარება შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. არის თუ არა ასეთი აუცილებლობა – გადაწყვეტს სასამართლო.

3. უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ თუ მათ გააჩნიათ დამატებითი მტკიცებულებები, წარმოადგინონ ისინი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში – ახალი სხდომის ჩატარებამდე. ამ ვადას ნიშნავს სასამართლო და იგი არ შეიძლება დაემთხვეს ახლად დანიშნული სხდომის დღეს, რადგან მათ დროულად უნდა გაეცნოს მოწინააღმდეგე მხარე, რათა მას მიეცეს სრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ახლად დანიშნულ სასამართლო სხდომაზე.

დამატებითი მტკიცებულებების სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში წარუდგენლობა ართმევს მხარეს უფლებას წარმოადგინოს ისინი საქმის ზეპირი (სასამართლო სხდომაზე) განხილვის დროს

4. უნდა შეასრულოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც მისი აზრით აუცილებელია ახლად დანიშნულ სხდომაზე საქმის განხილვის დამთავრებისა და ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანად.

საქმის განხილვის გადადების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც შეიძლება შეტანილი იქნეს ოქმში (სსკ 284-ე მუხლი). განჩინებაში (ოქმში) მითითებული უნდა იყოს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, დღე ახალი სხდომის ჩატარებისა, დრო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისა, აგრეთვე იმ პირთა ხელმოწერები რომლებიც ესწრებიან სხდომას და მითითება მათი გაფრთხილების შესახებ ახლად დანიშნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

§3. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის წარმოების შეჩერება განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან: საქმის განხილვის გადადება – ესაა სხვა დროისთვის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის გადატანა, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება – ესაა საპროცესო მოქმედებათა შეწყვეტა საქმის განხილვის სტადიაზე, რაც გამოწვეულია ისეთი ობიექტური გარემოებით, რომელთა მიმართ შეუძლებელია იმის წინასწარ ზუსტად გარკვევა, თუ როდის შეწყვეტენ ისინი არსებობას. ამიტომ, საქმის განხილვის გადადება ყოველთვის უნდა მოხდეს გარკვეული ვადით, რაც პრაქტიკაში ყოველთვის არ სრულდება, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებული პირობების (მოვლენის) დადგომამდე.

საქმის წარმოების შეჩერება განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისითაც, ნორმა, რომელიც აწესრიგებს

საქმის განხილვის გადადებას, არის მითითებითი ნორმა (სსკ 216-ე მუხლი), რომელიც უთითებს სხვა ნორმებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ასეთი გადადების შემთხვევებს, ხოლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საქმის წარმოების შეჩერებას, არ წარმოადგენენ მითითებით ნორმებს. ისინი თვითონ შეიცავენ იმ საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც იწვევენ საქმის შეჩერებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოებს არ აქვთ უფლება გააფართოვონ ან შეკვეცონ ამ საფუძვლების წრე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო და ფაკულტატურ (არასავალდებულო) საფუძვლებს.

საქმის წარმოების სავალდებულო საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს სსკ 279-ე მუხლი. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ამ მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ გარემოებას – სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს წარმოება.

მაგალითად: სასამართლო განიხილავს დავას ზიანის ანაზღაურების შესახებ. საქმის სასამართლოში წარმოების პროცესში გარდაიცვალა მოსარჩელე (ფიზიკური პირი). სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, რისთვისაც გამოაქვს განჩინება.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირის გარდაცვალება მხოლოდ მაშინ იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას, როდესაც კანონი უშვებს უფლებამონაცვლებას.

მაგალითად: მოქალაქემ აღძრა მემკვიდრეობითი ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელი და გარდაიცვალა. სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, რადგან სკ 130ნ-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეობა შეიძლება გადავიდეს უფლებამონაცვლეზე.

მაგრამ, თუ კანონი არ უშვებს უფლებამონაცვლებას, მაშინ მხარის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლომ კი არ უნდა შეაჩეროს, არამედ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, მაგრამ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ იგი გარდაიცვალა. სასამართლომ საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს, რადგან კანონი არ უშვებს ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლებას; ა-ნის ნაცვლად სამუშაოზე ვერ „აღადგენენ“ მის უფლებამონაცვლეს (სსკ 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

სსკ 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეჩერება ხდება „იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას“. სინამდვილეში იურიდიული პირის არსებობის

შეწყვეტა ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს. მაგრამ, ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშობა (სკ 39-ე მუხლი, „შეწარმოთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი). აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას საქმის წარმოების შეჩერებას არავითარი აზრი არ აქვს. ამიტომ, იურიდიული პირის არსებობის „შეწყვეტაში“ უნდა ვივულისხმოთ ამ იურიდიული პირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა). საქმის წარმოება შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღგილი ჰქონდა იურიდიული პირის რეორგანიზაციას, რომლის შედეგად წარმოიშობა უფლებამონაცვლეობა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების სხვა საფუძვლებსაც, როგორცაა მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვა, მხარეთა ყოფნა არმიაში, საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა იმ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ამ საქმის გადაწყვეტისას (სსკ 279-ე მუხლი).

საქმის წარმოების შეჩერების არასავალდებულო საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს სსკ 280-ე მუხლი. ასეთი საფუძვლებია: ა) მხარის ყოფნა ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად; ბ) მხარის ყოფნა ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში; გ) მხარის ყოფნა სამკურნალო დაწესებულებაში ან არის ავად, რის გამოც არ აქვს სასამართლოში გამოცხადების საშუალება; დ) მოპასუხის ძებნის გამოცხადება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ე) ექსპერტიზის დანიშვნა სასამართლოს მიერ.

ამ მუხლში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას სასამართლო არაა ვალდებული შეაჩეროს საქმის წარმოება. სხვანაირად აქ ჩამოთვლილ გარემოებებს საქმის წარმოების შეჩერების ფაქულტატურ საფუძვლებს უწოდებენ.

შეაჩეროს საქმის წარმოება თუ გადადოს საქმის განხილვა, დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულებაზე.

მაგალითად: სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა. იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულის გამოკვლევაა ჩასატარებელი, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ვადა და კი არ შეაჩეროს საქმის წარმოება, არამედ გადადოს საქმის განხილვა.

– საქმის წარმოების შეჩერების არასავალდებულო საფუძვლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხარის ავადმყოფობა. პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მხარე ნამდვილად მძიმედაა დაავადებული და

არც ჩანს რაიმე პერსპექტივა მისი ახლო მომავალში გამოჯანმრთელებისა. არადა მოწინააღმდეგე მხარე საქმის განხილვის ვაჭიანურებით ნახულობს დიდ ზარალს. ავადმყოფი მხარე კი არავითარ განზრახვას, მიანდოს საქმის წარმოება ადვოკატს (წარმომადგენელს) არ ამჟღავნებს. თუ ასეთი პირი მოსარჩელეა, მიზანშეწონილი იქნება საქმის წარმოების შეჩერება მის გამოჯანმრთელებამდე, მაგრამ, თუ ასეთი პირი მოპასუხეა, სასამართლომ 82-ე მუხლის ანალოგიით მას უნდა დაუნიშნოს მისივე ოჯახის რომელიმე წევრი საპროცესო წარმომადგენლად, ხოლო თუ ოჯახის წევრებს შორის ასეთი პირი არ არსებობს, მაშინ სხვა ნებისმიერი პირი, რომელიც შეძლებს ავადმყოფი მოპასუხის ინტერესების დაცვას.

ასეთი პირისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, როდესაც სასამართლო შესთავაზებს მას დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე (თუ მას ამ ხარჯების ანაზღაურება არ შეუძლია), ხოლო ავადმყოფი მოპასუხე ამის კატეგორიული წინააღმდეგია (სსკ 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რაც შეეხება მოპასუხის ძებნის გამოცხადებას (სსკ 280-ე მუხლის „დ“ პუნქტი), ასეთი ძებნა შეიძლება გამოცხადდეს რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და ა.შ. მიმართ, როცა სასამართლო იხილავს საქმეს რეკეტული ქონების ჩამორთმევის თაობაზე გარდა ამისა, საღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციის მეშვეობით მოვალის ძებნის გამოცხადების შესაძლებლობას გარკვეული კატეგორიის საქმებზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით.

შეჩერებული საქმის წარმოება განახლება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს წარმოების შეჩერება. მაგალითად, თუ საქმის წარმოება შეჩერებული იყო იმის გამო, რომ მხარემ დაკარგა ქმედუნარიანობა ან გარდაიცვალა, მაშინ საქმის წარმოება განახლება, როდესაც ქმედუნარო მხარეს დაენიშნება წარმომადგენელი ან დადგინდება გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე (სსკ 281-ე მუხლი).

შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დღე. მხარეებს უნდა ეცნობოთ საქმის განახლების შესახებ, საქმის განხილვის დღისა და იმ შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოყვეს მის გამოუცხადებლობას (სსკ 72-ე მუხლი).

საქმის განხილვა გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც იგი შეჩერდა, ე.ი. შეჩერებული საქმის განხილვა თავიდან არ დაიწყება.

§4. საოჯახო საქმეების განხილვის თავისებურებანი

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან ერთად, სსკ-სი შეიცავს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის ზოგიერთ დამატებას, რომელიც განაპირობებს მათი განხილვის თავისებურებას.

1. ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საოჯახო საქმეების განხილვის დროს გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისას, გამოიყენება სამძებრო პრინციპი. რით შეიძლება აიხსნას ეს?

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. ამ მოსაზრებებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო – სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, კერძოდ: ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თვითონვე თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.

2. მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს ძლიერ შეზღუდულია სარჩელების გაერთიანება, მათი სხვა ხასიათის მოთხოვნებთან შეერთება და განხილვა.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების დროს სარჩელების გაერთიანება ან რამდენიმე მოთხოვნის შეერთება დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, თუ ეს მოთხოვნები საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდანაა წარმოშობილი.

მაგალითად, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ ქონების გაყოფა, რადგან ორივე ეს მოთხოვნა წესრიგდება საოჯახო სამართლით. სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნები, მაგრამ განქორწინების საქმესთან ერთად არ შეიძლება განხილული იქნეს, მაგალითად, სესხის ან ქირაუნობის ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნები,

რადგან ასეთი მოთხოვნები არ განეკუთვნება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნებს.

3. თუ სასამართლოში ქორწინების შეწყვეტის თაობაზე საქმის წარმოების დროს გარდაიცვალა ერთ-ერთი მეუღლე, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან აღარაა პროცესში მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო უფლებამონაცვლეობას ამ შემთხვევაში, კანონი არ უშეგებს (სსკ 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

4. საქმის განხილვის პროცესში, ჯერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღოს დროებითი განკარგულებები, რათა მოაწესრიგოს: ა) შეიღის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხი; ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის; დ) ბავშვის შენახვის ვალდებულება; ე) ბინით სარგებლობის საკითხი და სხვა (იხ. სსკ 255-ე მუხლი). ეს დროებითი განკარგულებები სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეუტყობინებლად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ თუ სასამართლოს მიაჩნია, მას შეუძლია ეს საკითხები მხარეთა მონაწილეობით განიხილოს. ამ განჩინებების გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ სასამართლოს, რომელმაც ეს განჩინება გამოიტანა, შეუძლია მხარეთა განცხადების საფუძველზე თვითონ გააუქმოს ან შეცვალოს თავისი განჩინება.

5. გარკვეული თავისებურებით ხასიათდება სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსიც. მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს: ა) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხი; ბ) ერთ-ერთი მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხი; დ) ბავშვის რჩენის საკითხი; ე) მეუღლეთა ურთიერთ რჩენის საკითხი (სსკ 356-ე მუხლი).

ეს ჩამონათვალი, რომელსაც შეიცავს სსკ 356-ე მუხლი, არაა ამომწურავი. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეთა განხილვისას, სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, როგორცაა მაგალითად, შვილების საცხოვრებელი ადგილი, ქონების გაყოფის საკითხი, ბათილად ცნობილი ქორწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და ა. შ. (სამოქ. კოდექსის 1128-ე, 1130-ე, 1147-ე მუხლები). ერთობლივად განხილული მოთხოვნების მიმართ სასამართლოს გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება, სასამართლოს უფლება აქვს ამ გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე გამოყოფს ესა თუ ის მოთხოვნა. თუ ეს ცალკე

გამოყოფილი მოთხოვნა შეეხება ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხს ან ერთ-ერთი მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხს, მაშინ ამ საკითხებზე სასამართლოს გამოაქვს განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ცალკე გამოყოფილ სხვა საკითხებზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

§5. რეკეტული ქონების ჩამორთმევის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვის თავისებურებანი

გარკვეულ თავისებურებებს ითვალისწინებს კანონმდებლობა იმ საქმეების განხილვისათვის, რომლებიც დაკავშირებულია რეკეტული ქონების ჩამორთმევასთან და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან. რეკეტი – ესაა შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახ დანაშაულის ჩადენასთან. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე რეკეტული ქონების ცნება: რეკეტული ქონება – ესაა რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შებენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, რომლის მართლზომიერად მიღების დამადასტურებელი საბუთი, ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა წარმოების წესები, გარდა ზოგიერთი გამონაკლისებისა. კერძოდ:

1. რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, რეკეტირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში (სსკ 356²-ე მუხლი).

ამრიგად, სარჩელის აღძვრა დასაშვებია, თუ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი რეკეტირის მიმართ.

გარდა ამისა, საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს პროკურორის მიერ სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადას: სარჩელი უნდა აღიძრას განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის განმავლობაში. თუ პროკურორი ამ ვადაში არ აღძრავს სარჩელს, სარჩელის აღძვრის უფლება გაქარწყლდება და სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს დაგვიანებით აღძრული, ანუ ხანდაზმული სარჩელი.

2. ფაქტების დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს ანუ პროკურორს, რომელსაც „აქვს სარჩელის აღძვრის უფლება“ (სსკ 356³-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე პროკურორს ევალება დაამტკიცოს, რომ სადავო ქონება (შემოსავლები) მართლაც რეკეტითაა მიღებული.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რეკეტირი ივარაუდება სადავო ქონების (შემოსავლების) მართლზომიერ შემძენად სანამ მოსარჩელე პროკურორი არ დაამტკიცებს, რომ ქონება სინამდვილეში რეკეტითაა მიღებული?

არა არ ნიშნავს!

საქმე ისაა, რომ სსკ 356³-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე, გაირკვევა, რომ ქონება მიღებულია რეკეტიდან ან არ არსებობს ქონების მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება“.

როგორც ვხედავთ, თუ მოსარჩელე პროკურორმა ვერ დაამტკიცა რომ ქონება რეკეტულია, მაშინ რეკეტირმა უნდა დაამტკიცოს რომ ქონება მართლზომიერადაა მის მიერ შეძენილი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა სსკ 356⁵-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად „თუ ქონების რეკეტულობა ნაწილობრივ დადასტურდება, სახელმწიფოს გადაეცემა მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის არარეკეტულობას მოპასუხე სასამართლოს წესით ვერ დაადასტურებს“.

როგორც ვხედავთ, მოსარჩელე პროკურორი მოვალეა დაამტკიცოს ქონების რეკეტულობა, მაგრამ თუ ვერ დაამტკიცებს, მაშინ რეკეტირზე (მოპასუხეზე) გადადის დამტკიცების ტვირთი და მან უნდა დაამტკიცოს სადავო ქონების არარეკეტულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი დაკმაყოფილდება და ქონება ჩამოერთმევა რეკეტირს.

3. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მიმართ შეიძლება გამოცხადდეს ძებნა. მაგრამ, ეს ხელს ვერ შეუშლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ასეთია რეკეტული ქონების ჩამორთმევის ზოგიერთი თავისებურება. სხვა მხრივ, ამ საქმეების განხილვისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

სასამართლო გადაწყვეტილება

§1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები

I. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და მნიშვნელობა

როგორც წესი, უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვთ სამართლის სუბიექტებს, ზორციელდება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ზოლო მოვალეობები, რომლებიც მათ ეკისრებათ – ნებაყოფლობით. მაგრამ ცხოვრებაში გვხვდება შემთხვევები და არც ისე იშვიათად, როდესაც მოვალეობა არ სრულდება და უფლება ირღვევა. ასეთ შემთხვევაში სამართლის სუბიექტებს შორის წამოიჭრება დავა, რომელიც თითქმის ყოველთვის ქმნის უფლების დროებით განუსაზღვრელობას. თავის მხრივ, ასეთი ვითარება იწვევს იმას, რომ სამართლით რეგულირებული ურთიერთობა ვეღარ ვითარდება სასურველი მიმართულებით, ირღვევა კანონით განსაზღვრული წესრიგი (მართლწესრიგი). წარმოიშობა დავა (კონფლიქტი) და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის სწორად და სწრაფად გადაწყვეტით დიდადა დაინტერესებული არა მარტო მოდავე მხარეები, არამედ თვით სახელმწიფოც, რომელიც არ შეიძლება არ ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი ქვეყნის პირებს შორის სუფევდეს მართლწესრიგი და კანონიერება. სწორედ ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა სასამართლო, რომელიც, როგორც სახელმწიფო ორგანო, იქმნება და არსებობს იმისათვის, რომ განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს და გადაწყვიტოს პირთა შორის წამოჭრილი დავა.

უფლების დასაცავად პირის სასამართლოსათვის მიმართვა, ანუ დროის და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით ამ ძვირად ღირებული პროცედურისათვის მიმართვა, უკვე თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თვითონ მხარეებმა ვერ შეძლეს მშვიდობიანად მოეგვარებინათ ერთმანეთს შორის წამოჭრილი დავა.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ აღარ უნდა ეცადოს გადაწყვიტოს მხარეთა დავა მშვიდობიანად, მორიგებით. მხარეთა შორის წამოჭრილი დავის მორიგებით დამთავრება ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება ამ დავის გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამიტომ ევალება სასამართლოს მიიღოს კანონით გათვალისწინებული

ყველა ზომა მხარეთა მორიგებისათვის, საქმის მშვიდობიანად დამთავრებისათვის (სსკ 205-ე და 218-ე მუხლის მე-3 ნაწ.). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამას ვერ მიაღწევს – მან უნდა განიხილოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება, რომელიც, მართალია, უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს, იყოს სწორი და სამართლიანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც არის მხარეებისათვის თუმცა მაღალავტორიტეტული ორგანოს – სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც სხვის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ამიტომ, სრულებითაც არაა გამორიცხული, რომ გადაწყვეტილებით, თუ ორივე მხარე არა ერთ-ერთი მაინც დარჩეს უკმაყოფილო, ზოლო დავა მათ შორის ფაქტობრივად კვლავ გაგრძელდეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ითვლება იურიდიულად ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად და მხარეებს, მიუხედავად იმისა ეთანხმებიან ისინი ამ გადაწყვეტილებას თუ არა, უფლება აღარ აქვთ კვლავ აღძრან სასამართლოში (და არამართო სასამართლოში), იგივე დავა.

რა არის სასამართლო გადაწყვეტილება?

სასამართლო, როგორც ცნობილია, არაა ერთადერთი ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, როგორც გარეგნულად გაფორმებული აქტი (დოკუმენტი), გამოაქვთ აგრეთვე სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ამ იურიდიული პირების ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. ისე, როგორც სასამართლოებს, ამ ორგანოებსაც გადაწყვეტილებები გამოაქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებები განსხვავდებიან სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებისაგან იმით, რომ ჯერ ერთი, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს საქმის (დავის) განხილვა იმ წესების ზუსტად და განუხრელად დაცვით, რომლებიც დამკვიდრებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და რომლებიც უზრუნველყოფენ მოდავე მხარეთა უფლებების დაცვას, მეორეც – სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს, უნდა იყოს დასაბუთებული ფაქტობრივად და იურიდიულად. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მიზანშეწონილობას. თუ არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია და მესამე – არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების მწყობრი სისტემა და დაინტერესებულ მხარეს შეუძლია თავისუფლად მიმართოს ამ სისტემას (აპელაციას, კასაციას).

სასამართლოს, როგორც აღენიშნეთ, გამოაქვს სხვადასხვა ფორმის დადგენილება (გადაწყვეტილება, განჩინება, გადახდის ბრძანება). პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით (სსკ 243-ე მუხლი).

ამრიგად, სასამართლო გადაწყვეტილება – ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომელიც პასუხობს კანონით წაყენებულ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე წყდება არსებითად.

გავრცელებული და სავსებით სწორი შეხედულების თანახმად გადაწყვეტილების დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ პირთა დარღვეული (სადავო) უფლების დაცვით. სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს უფრო ფართო ფუნქცია – იგი ხელს უწყობს მართლწესრიგის დამკვიდრებას, სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, პირთა აღზრდას კანონების განუხრელად შესრულებისა და თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

II. გადაწყვეტილების სახეები

გადაწყვეტილებათა სახეებად დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება.

თუ გადაწყვეტილებებს დაყოფთ სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის (ხასიათის) მიხედვით, მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს: 1. მიკუთვნებითი (ანუ აღსრულებითი) გადაწყვეტილება; 2. აღიარებითი (ანუ ცნობის შესახებ) გადაწყვეტილება და 3. გარდაქმნითი (ანუ უფლებაშემცვლელი) გადაწყვეტილება.

მაგალითი 1: ა-ნი მოითხოვს ბ-ნის ბინიდან გამოსახლებას. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ა-ნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და დაადგინა ბ-ანის სადავო ბინიდან გამოსახლება. ეს გადაწყვეტილება განეკუთვნება მიკუთვნებით (აღსრულებით) გადაწყვეტილებათა ჯგუფს.

მაგალითი 2: ა-ნი მოითხოვს იმ ნაწარმოების თანავეტორად ცნობას (აღიარებას), რომლის ავტორად მიჩნეულია ბ-ანი. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ა-ნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და ცნო იგი სადავო ნაწარმოების (გამოგონების) ავტორად. ეს გადაწყვეტილება მიეკუთვნება აღიარებით გადაწყვეტილებათა ჯგუფს.

*მაგალითი 3: ა-ნომ მიმართა სასამართლოს სარჩელით ბ-ნის წინააღმდეგ გან-
ქორწინების შესახებ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით
დააკმაყოფილა სარჩელი. ეს გადაწყვეტილება მიეკუთვნება გარ-
დაქმნით გადაწყვეტილებათა ჯგუფს, რადგან ამ გადაწყვეტილებით
შეწყდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა.*

იმის მიხედვით, თუ რა მოცულობით არის გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა, სსკ ამკვიდრებს სასამართლო გადაწყვეტილებათა რამდენიმე სახეს, როგორცაა: 1. საბოლოო გადაწყვეტილება; 2. ნაწილობრივი გადაწყვეტილება; 3. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება.

1. საბოლოო ანუ სრული გადაწყვეტილება (სსკ 243-ე მუხლი), ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს შესული კანონიერ ძალაში, და, მაშასადამე, დასაშვებია მისი გასაჩივრება, მაგრამ შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად და ამომწურავად.

ამრიგად, საბოლოო ამ გადაწყვეტილებებს იმიტომ კი არ ეწოდება, რომ ისინი შევიდნენ კანონიერ ძალაში და ვეღარ განსაჩივრდებიან, არამედ იმიტომ, რომ სასამართლომ დაამთავრა საქმის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება ყველა იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა წამოყენებული თავისი სარჩელით:

მაგალითად: ა-ნომ მოითხოვა ბ-ანისაგან სესხად მიცემული თანხის (ვალის) დაბრუნება ამ სესხისათვის გათვალისწინებულ პროცენტთან ერთად. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ყველა ამ მოთხოვნის მიმართ.

ეს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო (სრული) დამოუკიდებლად იმისა, მთლიანად დააკმაყოფილა სარჩელი თუ ნაწილობრივ, მთლიანად უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ნაწილობრივ უარი უთხრა მოთხოვნაზე. აქ მთავარი ისაა, რომ სასამართლომ მთლიანად გასცა პასუხი თავის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

2. ნაწილობრივი გადაწყვეტილება (სსკ 245-ე მუხლი) ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივად პასუხობს მოსარჩელის მოთხოვნას იმ პირობით, რომ სხვა მოთხოვნის ნაწილზე პასუხი გაცემული იქნება სხვა დროს და სხვა გადაწყვეტილებით.

ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია სარჩელების ობიექტური (სსკ 182-ე მუხლი), სუბიექტური (სსკ 85-ე მუხლი) გაერთიანების დროს და შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში (სსკ 188-ე მუხლი).

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ შესანახად მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. ბა-ნიმ (შეშნახველმა), თავის მხრივ, აღძრა შეგებებული სარჩელი შენახვისათვის გაწეული ხარჯების 200 ლარის ოდენობით ამ ნივთის მიმბარებელზე, ე.ი. მოსარჩელე ა-ნიზე დაკისრების შესახებ. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელის გადაწყვეტა გადაიტანა სხვა დროისათვის, ვინაიდან მის მიმართ ყველაფერი არაა გარკვეული.

როგორც წესი, ძირითად და შეგებებულ სარჩელზე გამოდის ერთიანი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ გარკვეულია და მზადაა გადასაწყვეტად ერთ-ერთი მათგანი (ძირითადი ან შეგებებული სარჩელი), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ ერთ-ერთი სარჩელის მიმართ.

3. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება (სსკ 246-ე მუხლი) – ესაა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოდის სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის კერძოდ, მისი საფუძვლის მიმართ. სარჩელის საფუძველში შედიან და მას ქმნიან ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება და რომლებიც ფაქტობრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მის მეორე ელემენტს – სარჩელის საგანს (სასარჩელო მოთხოვნას).

ასეთი წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი დადგენილია, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია დამატებითი მასალების შეგროვებასთან, მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, მოთხოვნილი საგნების ოდენობის და ხარისხის განსაზღვრასთან და ა.შ.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ 100000 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო შესანახად მიბარებული ნივთების განადგურებით და დაზიანებით. დადასტურდა, რომ ნივთები მართლაც იყო მიბარებული შესანახად და რომ ამ ნივთების ნაწილი განადგურდა ხანძრის შედეგად, რაც გამოწვეული იყო ბ-ნის უხეში გაუფრთხილებლობით, ხოლო ნაწილი მიბარებული ნივთებისა ძლიერ დაზიანდა. მაგრამ თვითონ მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, ნივთების მოცულობის, ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრასთან და ა.შ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება და დადგენილად ცნოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძველად უდევს

მოთხოვნას, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა სხვა დროისათვის გადადოს.

წინასწარი გადაწყვეტილება არის პრედიციული გადაწყვეტილება, რადგან ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები აღარ საჭიროებენ კვლავ დადგენას მეორე გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

გადაწყვეტილებებს ყოფენ აგრეთვე ალტერნატიულ და ფაქულტატურ გადაწყვეტილებებად.

ალტერნატიული გადაწყვეტილებები შეიძლება ეფუძნებოდნენ მხოლოდ ალტერნატიულ ვალდებულებებს, კერძოდ, სკ 374-ე მუხლის თანახმად თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, არჩევის უფლება აქვს მოვალეს. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ასეთ არჩევანს.

ფაქულტატურ გადაწყვეტილებად ითვლება გადაწყვეტილება ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ, თუ მასში მითითებული იქნება ამ ქონების ღირებულება, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მას ეს ქონება არ აღმოაჩნდება (სსკ 253-ე მუხლი).

მაგალითად: ა-ნომ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ როიალის დაბრუნების შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა ამ როიალის ღირებულებაზე, რაც განისაზღვრა 10000 ლარით, რომლის გადახდა დაეკისრა მოპასუხე ბ-ანის იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მასთან არ აღმოჩნდება როიალი (როგორც ამას ითვალისწინებს სსკ 253-ე მუხლი).

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში გადაწყვეტილებების დაყოფა სახეებად ხდება აგრეთვე სხვა ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია ორივე მხარის პროცესში მონაწილეობის შედეგად, ე.ი. შეჯიბრებითობის შედეგად, ასეთ გადაწყვეტილებებს უწოდებენ კონტრადიქტორულ (დავის შედეგად მიღებულ) გადაწყვეტილებებს. თუ გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით, ასეთ გადაწყვეტილებას უწოდებენ უდავო გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებათა სახეებს განეკუთვნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის საფუძველზე და გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარისთქმის საფუძველზე.¹⁰⁸

¹⁰⁸ W. Lüke. დასახელებული ნაშრომი, გვ. 352-358.

გადაწყვეტილებათა ასეთ სახეებად დაყოფა შეიძლება ჩვენს პროცესშიც იქნეს გაზიარებული, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ თუ მოსარჩელე ამბობს უარს სარჩელზე, სასამართლოს გამოაქვს არა გადაწყვეტილება, არამედ განიხილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

არსებობს აგრეთვე გადაწყვეტილებათა სახეებად დაყოფა სხვა ნიშნების მიხედვითაც, მაგრამ ძირითადად ყველაზე ფართოდაა აღიარებული გადაწყვეტილების ზემოთ აღნიშნულ სახეებად დაყოფა.

III. გადაწყვეტილების შინაარსი

გადაწყვეტილების შინაარსი უნდა პასუხობდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ, სსკ 249-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. გადაწყვეტილების თითოეულ ამ ნაწილს აქვს თავისი მნიშვნელობა და ისინი უნდა ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილებაში ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი და იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მუხლი გვთავაზობს.

გადაწყვეტილების შესავალი. გადაწყვეტილების ამ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, მისი გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებაში არაა მითითებული მისი გამოტანის ადგილი. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ მისი გამოტანის ადგილი არის სასამართლოს მისამართი. რაც შეეხება სასამართლოს დასახელებას იგი უნდა ემთხვეოდეს ოქმში მითებული სასამართლოს შემადგენლობას. მართალია იშვიათად, მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დასახელება გადაწყვეტილებაში არ ემთხვევა ოქმში მითითებულ სასამართლო შემადგენლობას. ასეთი გარემოება შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, იმ მოტივით, რომ ეს გადაწყვეტილება გამოტანილია არა იმ მოსამართლეების მიერ, რომლებმაც სხდომის ოქმის მიხედვით განიხილეს საქმე, არამედ სხვა მოსამართლეების (მოსამართლის) მიერ, ანუ არაკანონიერი სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ (სსკ 396-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

ასევე, გადაწყვეტილების მიღების თარიღი უნდა ემთხვეოდეს იმ დღეს, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. კანონი უფლებას აძლევს სასამართლოს გადადოს მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა 14 დღით (სსკ 257-ე მუხლი). ამიტომ მოტივირებული გადაწყვეტილების გამო-

ტანის დათარიღება იმ რიცხვით, რომლითაც თარიღდება სხდომის დამთავრებულად გამოცხადება და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, დაუშვებელია და არანაირი აუცილებლობა ამისათვის არ არსებობს.

აღწერილობითი ნაწილი. გადაწყვეტილების ამ ნაწილში მოკლედ მაგრამ ნათლად და გასაგებად უნდა აღინიშნოს: ა) სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი, ის თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ სასამართლოში საქმის წარმოების დროს შეცვალა თავისი სასარჩელო მოთხოვნა ანუ სარჩელის საგანი, მაშინ აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ასეთი ცვლილება; ბ) გარემოებები, რომლებსაც ემყარება სარჩელი, ანუ სარჩელის საფუძველი. არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს შორის არის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც იურიდიულად ვერ ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას. ასეთი ფაქტების მიმართ არც უნდა შეგროვდეს მტკიცებულებები. ისინი არც შედიან მტკიცების საგანში, მაგრამ სასამართლომ უნდა აღინიშნოს ამ ფაქტების შესახებ აღწერილობით ნაწილში და მიუთითოს, რომ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის; გ) მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა მოსარჩელემ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად. თუ სასამართლომ არ მიიღო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება იმის გამო, რომ იგი დაუშვებელია ან არ აქვს მნიშვნელობა საქმისათვის (სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 104-ე მუხლი), ამის შესახებაც უნდა აღინიშნოს აღწერილობით ნაწილში.

ამის შემდეგ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ასევე ნათლად და რაც შეიძლება გასაგებად უნდა აღინიშნოს: ა) მოპასუხის შესაგებლის მოკლე შინაარსი (როცა მოპასუხე არ ცნობს სარჩელს); ბ) გარემოებები (ფაქტები), რომლებსაც ემყარება შესაგებელი, ხოლო თუ ამ გარემოებებს შორის არის ისეთებიც, რომლებსაც არ შეუძლიათ იურიდიულად დაასაბუთონ შესაგებელი, ამის შესახებაც უნდა იყოს მითითებული აღწერილობით ნაწილში; გ) მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა მოპასუხემ თავის შესაგებლის დასადასტურებლად, მათი დასაშვებობისა და განკუთვნილობის შესახებ. იგივე უნდა ითქვას შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის შინაარსის გადმოცემაზე, თუ ისინი იყო აღძრული.

არ არის გამორიცხული, რომ მოპასუხე, რომელიც არ ცნობს სარჩელს, უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნას და მის მიერ მითითებულ ფაქტებს, შემოიფარგლება მხოლოდ უბრალო უარყოფით და თვითონ მას რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. აღწერილობით ნაწილში უნდა იყოს მითითებული ამის შესახებაც.

აღწერილობით ნაწილში უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც მოსარჩელის მიერ მითითებულ რომელ ფაქტებს არ უარყოფს მოპასუხე და, მაშასადამე, ცნობს მათ არსებობას (არარსებობას).

სამოტივაციო ნაწილი. სსკ 244-ე მუხლი შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან დანაწევს: გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელი გარემოებაა დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

მართლაც, ამ მუხლში მითითებული აზრობრივი საქმიანობის შესრულების გარეშე შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების გამოტანა. მაგრამ ეს მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისათვის წინასწარ ჩასატარებელ სამუშაოთა ხასიათს და არაფერს ამბობს იმის შესახებ უნდა აისახოს თუ არა ამ საქმიანობის შედეგები უშუალოდ გადაწყვეტილებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიას, მაგრამ არ მოითხოვს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება-გამართლებას.

მოთხოვნას მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება-გამართლების შესახებ შეიცავენ სსკ-ის სხვა მუხლები (სსკ 257-ე, 370-ე, 397-ე მუხლები) და მათ შორის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს არ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და შემოიფარგლოს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით: თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან მას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე.

იბადება კითხვა: რა ფაქტორებმა განსაზღვრეს გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა კანონმდებლის მხრივ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ მოითხოვს კანონმდებელი, რომ გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად მოტივირებული იყოს?

აქ შეიძლება რამდენიმე ძირითად (მთავარ) ფაქტორზე მიუთითოთ:

1. სახელმწიფო დაინტერესებულია არამართო მხარეთა შორის წამოჭრილი კონფლიქტის იურიდიული გადაწყვეტით, არამედ მათ შორის არსებული დაძაბულობისა და გამწვავებული ურთიერთობის ფაქტობრივი შეწყვეტითაც. ეს კი შეიძლება მიღწეულ იქნეს არამართო არსებითად სწორი, არამედ დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების გამოტანით.

დაუსაბუთებელმა და მაშასადამე, არაღამაჯერებელმა (თუმცა შეიძლება არსებითად სწორმა) გადაწყვეტილებამ ფაქტიურად შეიძლება კიდევ უფრო

დაძაბოს მხარეთა შორის მანამდე ისედაც გამწვავებული ურთიერთობა, წარმოშვას ახალი კონფლიქტები და ა.შ.

2. მხოლოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შეუძლია დაარწმუნოს მხარეები გამოყენებული კანონების სამართლიანობაში, იმაში რომ საქმის გარემოებები სასამართლომ შეაფასა არა თავისი შეხედულებით, არამედ კანონის საფუძველზე.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ მხარეები ვერ დარწმუნდნენ გადაწყვეტილების სამართლიანობაში და სისწორეში ისინი იწყებენ ბრძოლას კანონით დაშვებული ყველა საშუალებით ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. ეს კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების საჩივრებით გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზია.

3. მოთხოვნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არამარტო სწორი, არამედ ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებული იყოს, წარმოადგენს თვით მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას, რადგან ასეთი ვითარება მათ აკისრებს დამატებით მოვალეობას უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის ანალიზს და შესაბამისი იურიდიული ლიტერატურის შესწავლას, გადაწყვეტილებაში დასკვნების ნათლად, გასაგებად და ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას.¹⁰⁹

ბოლოს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ჰ. ბოელინგისა და ლ. ჭანტურიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დიდია საჯარო ინტერესი სამოქალაქო დავის ცალკეულ შემთხვევებში, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მისი სახელით და რა არის მათი საფუძველი. მხოლოდ აწონილ-დაწონილ და დამაჯერებლად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აქვს შანსი მიღებული იქნეს საზოგადოების მიერ და რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება არა ცალკეული მოსამართლის გამართლებას, არამედ ზოგადად ქმნის წარმოდგენას მართლმსაჯულებაზე.¹¹⁰

გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე ცხადია, რომ სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ

¹⁰⁹ დაწერილებით იხ. თ. ლილუაშვილი „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა“. კრებული „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“ თბ. 1977 წ. გვ. 3-30.

¹¹⁰ ჰინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. გ-ბა „ჯისიაი“, თბ. 2003, გვ. 70-77.

გადაწყვეტილების ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებულობას, მის მოტივირებას ფაქტებით და კანონით.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მთლიანად სასამართლოს შემოქმედებაა. აქ აისახება სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, რომელიც მიიღება თავისუფალი, ანუ სასამართლოს შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, აგრეთვე შეფასებითი მსჯელობა, ამ დადგენილი (აღიარებული) ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ყალბდება კანონის (სამართლებრივი ნორმის) საფუძველზე ამ ფაქტების სასამართლოს მიერ შეფასების შედეგად.

ამრიგად, სამოტივაციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს: ა) ფაქტები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისათვის და რომლებიც დადგენილად ცნო სასამართლომ ან იმის გამო, რომ არ დავობენ მხარეები, ან, რაც იგივეა, აღიარა მხარემ; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილად ცნო სასამართლომ მტკიცებულებების გამოყენებით; გ) მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლო და ამ მტკიცებულებათა მოკლე ანალიზი; დ) მტკიცებულებები, რომლებიც უარყო სასამართლომ მათი არასარწმუნობის გამო.

მას შემდეგ, რაც ზედმიწევნით ნათლად, გასაგებად და ამომწურავად იქნება მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად და დადასტურებულად, სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც შეაფასა ამ ნორმის გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.

სარეზოლუციო ნაწილი. სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი შეიცავს ზოგად მითითებას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილი „უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარისთქმის შესახებ...“ მართლაც, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო თვლის, რომ სარჩელზე უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს, მას შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იმაზე მითითებით, რომ უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს, მას უკვე არ შეუძლია შემოიფარგლოს სარეზოლუციო ნაწილში მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდეს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასეთნაირად ჩამოყალიბება იწვევს მისი აღსრულების შეუძლებლობას, ვინაიდან არ არის გარკვეული, თუ რას მოითხოვს კონკრე-

ტულად მოსარჩელე თავისი სარჩელით, რომელიც დააკმაყოფილა სასამართლომ. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება მიემართოთ თვით სარჩელს და გაეარკვიოთ სასარჩელო მოთხოვნის არსი. მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? სასამართლო აღმასრულებელს ამის უფლება არ აქვს: მან უნდა აღასრულოს გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი მთლიანად გადადის სააღსრულებო ფურცელში. რახან აღმასრულებელმა არ იცის კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს ეალდებულმა პირმა, ის ვერც შეძლებს აღასრულოს გადაწყვეტილება. მაშასადამე, ეს უნდა გააკეთოს გადაწყვეტილების გამოტანმა სასამართლომ. მაგრამ ამის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით. სსკ 261-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, თუ სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება, ან მოქმედება, რომელიც მხარემ უნდა შეასრულოს – სასამართლომ უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისათვის კი კანონი განსაზღვრავს წესს; ცხადია, რომ ყოველივე ეს ქმნის დამატებით სირთულეებს, დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან და საბოლოო ანგარიშში იწვევს საქმის დასრულების უზომოდ გაჭიანურებას.

ამიტომ, სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და ეცადოს იგი ჩამოაყალიბოს იმპერატიული ფორმით, მაქსიმალურად ნათლად და აბსოლუტურად ამომწურავად.¹¹¹

სასამართლო თავის გადაწყვეტილებას იღებს იმ სასარჩელო მოთხოვნების მიმართ, რომლებიც წარმოადგინა მოსარჩელემ. ზემოთ უკვე განვიხილეთ საკითხი სარჩელის სახეების შესახებ და აღვნიშნეთ, რომ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელების გვერდით არსებობენ აღიარებითი და გარდაქმნითი სარჩელები. გადაწყვეტილების შინაარსზე განსაკუთრებით კი მის სარეზოლუციო ნაწილის შინაარსზე უშუალო გავლენას ახდენს სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი, ის თუ რას მოითხოვს მოსარჩელე: რაიმეს მიკუთვნებას, უფლების (სამართლებრივი ურთიერთობის) არსებობა-არარსებობის დადგენას, თუ ასეთი ურთიერთობის გარდაქმნას.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, გამოაქვს სასამართლოს საბოლოო, ნაწილობრივი თუ წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება (სსკ 243-ე, 245-ე, 246-ე მუხლები).

¹¹¹ გადაწყვეტილების აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე და მეთოდებზე უარესად საჭირო რეკომენდაციებს ვეთავაზობს პ. ბოელინგისა და ლ. ჭანტურას ზემოდ დასახელებული წიგნი.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ წინასწარი გადაწყვეტილება. წინასწარი ანუ შუალედური ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოდის სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის – მისი საფუძვლის მიმართ ანუ იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც საფუძვლად უდევს მოსარჩელის მოთხოვნას. ასეთ გადაწყვეტილებას აქვს პრეიდიციული (წინასწარგადაწყვეტი) ძალა სასამართლოს მომდევნო მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს (სსკ 246-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, წინასწარი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა ზუსტად და ამომწურავად მიეთითოს, თუ ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტიური გარემოება ცნო სასამართლომ დადგენილად.

ბოლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ, კერძოდ, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული რომელი მხარისაგან და რა ოდენობით უნდა იქნეს გადახდევინებული ეს ხარჯები, აგრეთვე, რომელი მხარეა განთავისუფლებული ამ ხარჯებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს, თუ რა წესით შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება და რომელ სასამართლოში შეიძლება საჩივრის შეტანა.

IV. გადაწყვეტილების ნაკლი და მისი გასწორების წესი

გადაწყვეტილებას შეიძლება აღმოაჩნდეს ნაკლი, რომელიც ამ გადაწყვეტილების სხვადასხვა ნაწილს შეიძლება ახასიათებდეს. ნაკლი შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ გადაწყვეტილება არ ემყარება კანონს, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა მისი გამოტანის დროს, ან მასში არაა მითითებული ფაქტებზე, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება, ან კიდევ, არაა მითითებული იმ ქონებაზე, რომელიც მოპასუხემ უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს, არაა მითითებული იმ კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც უნდა შეასრულოს მოპასუხემ და ა.შ.

მთელი რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომლებიც გააჩნია გადაწყვეტილებას, შეიძლება გამოასწოროს მხოლოდ ზემდგომმა სასამართლომ ან უშუალოდ, ან გააუქმოს საჩივრის საფუძველზე ნაკლოვანებიანი გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

მაგრამ, არის მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც შეუძლია გამოასწოროს უშუალოდ ამ გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ. კანონი

მიუთითებს ასეთ ნაკლოვანებებზე და განსაზღვრავს მათი გამოსწორების წესს.

1. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება (სსკ 260-ე მუხლი)

აქ მხედველობაშია უსწორობისა და შეცდომების გასწორება გადაწყვეტილებაში, რომელიც უკვე გამოეცხადათ მხარეებს. თუ გადაწყვეტილებაში უსწორობა და შეცდომები გამოვლინდა მის გამოცხადებამდე, მაშინ მათი გასწორება ხდება სხვა წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსკ 247-ე მუხლი.

ამ მუხლის თანახმად, თუ უსწორობა და შეცდომა გამოვლინდა გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, მაშინ თვითონ გადაწყვეტილებაში შეიძლება გაკეთდეს ეს შესწორება (ჩასწორება).¹² მაგრამ, თუ ასეთი ნაკლოვანებანი გამოვლინდა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, მაშინ მისი გამოსწორებისათვის გამოტანილი უნდა იქნეს განჩინება. შესწორების შეტანა დასაშვებია როგორც მხარეთა ინიციატივით, ისე სასამართლოსა და აღმასრულებლის ინიციატივითაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ემყარება პრინციპულ დებულებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს უფლება არ აქვს შეცვალოს ან გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს. დასაშვებია მაგალითად გვარის, სახელის თუ სახელწოდების დაზუსტება, აგრეთვე არითმეტიკული უზუსტობის გასწორება, რომლებმაც გამოიწვიეს გადასახდევინებელი თანხის ოდენობის აშკარა შემცირება ან გაზიდება. მაგალითად, აკლია ციფრი „0“ ან სხვა რომელიმე ციფრი, რაც ისე ცვლის თანხის ოდენობას, რომ აშკარად არ შეესაბამება საქმის მასალებს და მოთხოვნის ოდენობას, რის შესახებაც იყო მსჯელობა სასამართლოს სხდომაზე.

გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანას აქვს აზრი ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე (მიკუთვნებით გადაწყვეტილებაში). რაც შეეხება აღიარებით გადაწყვეტილებებს, რომელთა აღსრულება არ ხდება, მათში შესწორების შეტანა არაა შემოფარგლული რაიმე ვადით.

¹² იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. სსკ-ის კომენტარი, თბ. 2004, გვ. 215.

2. დამატებითი გადაწყვეტილება (სსკ 261-ე მუხლი)

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი გადაწყვეტილება არაა სრულყოფილი და არ შეიცავს პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც განხილვის საგანი იყო სასამართლო პროცესში.

დამატებითი გადაწყვეტილებით ყველა იმ ნაკლოვანებების გამოსწორება, რომელიც გააჩნია ძირითად გადაწყვეტილებას ცხადია არ შეიძლება. ზოგჯერ ნაკლოვანებები ისეთია, რომ აუცილებელია მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ, ბუნებრივია იბადება კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება გადაწყვეტილების ნაკლოვანებების გამოსწორება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით, ისე რომ არ გაუქმდეს ძირითადი გადაწყვეტილება?

ამ კითხვაზე პასუხს ვეძიებ სსკ 261-ე მუხლი, რომელიც შეიცავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს და რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის.

პირველი პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მართალია იყო განხილვის საგანი, წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები ამ მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომღაც გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ. მაგალითად, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოპასუხეზე ვალის გადახდევინების დაკისრების შესახებ, მაგრამ არ მიიღო გადაწყვეტილება პროცენტების შესახებ, რომლის თაობაზე მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და ა.შ. ან კიდევ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება და მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრება. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება, მაგრამ არაფერი თქვა (გამორჩა) მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრების შესახებ საკითხის გადაწყვეტაზე.

მეორე პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლომ მართალია დაადგინა, რომ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ არ მიუთითა არც ამ მოთხოვნის ოდენობა და არც მისი სახეობა. მაგალითად, დაადგინა გადაუხადოს

მოპასუხემ თანხა, ან გადასცეს ნიეთი, მაგრამ არ მიუთითა რა ოდენობის თანხა გადაიხადოს ან რა სახის ქონება გადასცეს. ან კიდევ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ შეასრულოს მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედება, მაგრამ არ მიუთითა თუ კონკრეტულად რომელი მოქმედება (ამოაშენოს ტიხარი, მოანგრიოს კედელი, ამოქოლოს ფანჯარა და ა.შ.).

მესამე პირობა დაკავშირებულია სასამართლო ხარჯების განაწილებასთან. სსკ 249-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. თუ მოსამართლეს გამოჩნა ეს და გადაწყვეტილება შეიცავს ხარვეზს ამ თვალსაზრისით, მაშინ იგი შეიძლება შეივსოს დამატებითი გადაწყვეტილებით.

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც აღძრული იყო რამდენიმე მოთხოვნა, სასამართლომ განიხილა ყველა ეს მოთხოვნა, მაგრამ ერთ-ერთი მოთხოვნის მიმართ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას როგორც ძირითადი მოთხოვნის, ისე შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის მიმართაც.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ მუხლის დანაწესი ისე უნდა გავიგოთ, რომ ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები. მაგრამ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდნენ მხარეები, ან ერთ-ერთი მხარე, მაშინ 7 დღიანი ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა მოტივირებული გადაწყვეტილება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ 7 დღიანი ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, საიდანაც იწყება გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გასაჩივრების ვადის დენა.

ამ ვადის არც გაგრძელება და არც აღდგენა არ დაიშვება. თუ ეს ვადა გაშვებული იქნა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა დაიკარგა, მაშინ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ძირითადი გადაწყვეტილება, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა იმ მოტივით, რომლებიც მითითებულია სსკ 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი თვითონ ზემდგომ სასამართლოსაც შეუძლია ისე, რომ არ გააუქმოს გადაწყვეტილება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს სასამართლო წვეტს საქმეთა განხილვის საერთო წესის დაცვით, კერძოდ იგი ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბ-

რკოლებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, ვერ განდება დაუსწრებელი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

დამატებითი გადაწყვეტილების შესახებ საკითხის დასმა და განხილვა ვერ შეაჩერებს ძირითადი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და მისი ვადის დენის შეჩერებას. თვითონ დამატებითი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში იმ წესით და იმ ვადებში, როგორც ძირითადი გადაწყვეტილება (სსკ 264-ე მუხლი) და მისი გასაჩივრება შეიძლება იმავე წესით, რა წესითაც საჩივრდება ძირითადი გადაწყვეტილება (სსკ 369-ე მუხლი). დამატებითი გადაწყვეტილება არის ძირითადი გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი, მაგრამ თუ იგი არ გასაჩივრებულა ითვლება, რომ ამ ნაწილში ძირითადი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შედის კანონიერ ძალაში.

თუ სასამართლოს აზრით არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები, მას გამოაქვს განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 414-420-ე მუხლები).

3. გადაწყვეტილების განმარტება (სსკ 262-ე მუხლი)

როგორც ზემოთ აღინიშნა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და გასაგები ყველასათვის და განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც იგი უშუალოდ ეხება. ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არაა გასაგებად ჩამოყალიბებული, ზოგჯერ კი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მისი განმარტება იმის აუცილებლად გათვალისწინებით, რომ განმარტების სახით არ მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა.

გადაწყვეტილების განმარტება რომ განხორციელდეს აუცილებელია, ჯერ ერთი – მხარის შუამდგომლობა ამის შესახებ და მეორე – გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა, როცა საკითხი ეხება აღსრულებით და არა აღიარებით გადაწყვეტილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაუშვებელია იმ გადაწყვეტილების განმარტება, რომელიც აღსრულებულია.

კანონი არ განსაზღვრავს ვადას, თუ რამდენ დღეში შეიძლება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოში განცხადებით მიმართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი განცხადებით შეიძლება მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ დროს – მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანიდან მის

აღსრულებამდე. განმარტებას ახდენს ის სასამართლო (მოსამართლე), რომელმაც იგი გამოიტანა. თუ ის სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე) არ არის, მაშინ განმარტებას გააკეთებს ამ სასამართლოს სხვა შემადგენლობა (მოსამართლე).

განმარტების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არის გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი და ჩაეკერება საქმეში.

განმარტების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას არამართო გადაწყვეტილების, არამედ განჩინების მიმართაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განმარტოს განჩინება სსკ 262-ე მუხლის ანალოგიით.

დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტების ფორმით გადაწყვეტილების შეცვლა ან ახალი გადაწყვეტილების მიღება.

§2. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

I. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება.

ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება საქმის განხილვა სასამართლოში და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესი. უფრო მეტიც, სასამართლოს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა, უფლება არ აქვს შეცვალოს იგი, ხოლო მხარეებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტილებით შეილახა მათი ინტერესი, შეუძლიათ აგრეთვე უარი თქვან მის გასაჩივრებაზე და ნებაყოფლობით აღასრულონ გადაწყვეტილება.

ამასთან ერთად, არც გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენების შესაძლებლობა არ შეიძლება დაუსრულებლად გაიჭიმოს დროში და არც ამ გადაწყვეტილების აღსრულება არ შეიძლება მთლიანად დამოკიდებული იყოს მხარის ნებასურვილზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეულ ეტაპზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო თუ მხარეები მას არ ასრულებენ ნებაყოფლობით, იგი უნდა აღსრულდეს იძულებითი წესით, როცა საკითხი ეხება აღსრულებით გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება აღიარებით და გარდაქმნით გადაწყვეტილებებს, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებები თუ სამართლებრივი ურთიერთობები აღარ შეიძლება სადავო გახადონ მხარეებმა.

ეს კი შესაძლებელია მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, შეიძენს კანონის ძალას.

რას ნიშნავს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა?

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების საფუძველზე და რომლის ძალით ეს გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. სარჩელი, რომლის მიმართაც იგი გამოტანილია აღარ შეიძლება ხელმეორედ იქნეს განხილული, გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი აღარ შეიძლება სადავო გახადონ მხარეებმა და იგი შეიძლება იძულებით აღსრულდეს, თუ საკითხი აღსრულებით გადაწყვეტილებას ეხება.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გადაწყვეტილების ფორმალურ და მატერიალურ კანონიერ ძალას.

1. გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომლის ძალით იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ითვლება გადაჭრილად.

სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა გათვალისწინებულია სსკ 264-ე მუხლით, რომლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

ა. თუ დაუშვებელია მისი სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება; ასეთი გასაჩივრება დაუშვებელია ორ შემთხვევაში: ა) როდესაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ აღემატება 1000 ლარს, და ბ) როდესაც მხარეებმა უარი თქვეს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (სსკ 250-ე მუხლი). ცხადია, არაა გამორიცხული რომ მიუხედავად გასაჩივრებაზე უარისთქმისა, მხარემ მაინც გაასაჩივროს გადაწყვეტილება. ზემდგომმა სასამართლომ ასეთი საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს მისი დაუშვებლობის გამო, ხოლო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

ბ. თუ გასულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა და ამ ვადაში არ იყო შემოტანილი საჩივარი.

საქართველოს სსკ-ის არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის აღდგენას (გაგრძელებას). ამიტომ, საჩივარი შეტანილი ამ ვადის დარღვევით განუხილველად უნდა დარჩეს.

გ. თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად დატოვების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის:
ა. როდესაც დაუშვებელია მისი საკასაციო წესით გასაჩივრება (სსკ 391-ე მუხლი).

ბ. როდესაც დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება, მაგრამ იგი არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში (სსკ 397-ე მუხლი).

გასაჩივრების ვადის აღდგენას (გაგრძელებას) კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ დაგვიანებით შეტანილი საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

გ. როდესაც საკასაციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში, დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი (391-ე მუხლი). ან უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ისინი კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ და მათი გასაჩივრება არ დაიშვება.

2. გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა – ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომლის ძალით არც სასამართლოს და არც მხარეებს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ეხებათ, აღარ შეუძლიათ საეჭვო ან სადავო გახადონ სხვა პროცესში ეს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა დამკვიდრებულია საქართველოს სსკ 266-ე მუხლით, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი¹¹³.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული წესი,

¹¹³ დ.ი. პოლუმორდინოვის შეხედულებით გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რაც გამოიხატება მისი საბოლოობით იმ პროცესში, რომელშიც ივია გამოტანილი – არის გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რომლის ძალით იგი იძენს საბოლოო ხასიათს არამარტო იმ პროცესისათვის, რომლის შედეგად იქნა გამოტანილი, არამედ მის ფარგლებს გარეთაც – არის გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა.

იხ. ი. პოლუმორდინოვი. დასახ. ნაშრომი, გვ.38

იგივე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი გერმანელი იურისტი პროფ. პ. შაკი. მისი აზრით ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს დაეის დამთავრებას ამ სასამართლო განხილვისათვის, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა – იცავს მიღებულ შედეგს ხელყოფისაგან უფრო მოგვიანებით იხ. პ. შაკი. დასახ. ნაშრომი გვ. 445.

რომლის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, ან თუ შეცდომით მიიღებს შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გამოტანილ დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით (სსკ 186-ე და 272-ე მუხლის „პ“ პუნქტი).

II. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

ვრცელდება თუ არა გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მთლიანად გადაწყვეტილებაზე თუ მხოლოდ მის ერთ-ერთ ელემენტზე ანუ მის ნაწილზე?

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მთლიანად გადაწყვეტილებაზე, არამედ მხოლოდ მის იმ ნაწილზე, რომელსაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს უწოდებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი – ესაა საკუთრივ გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს პასუხს სასარჩელო მოთხოვნაზე: დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი, კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს მოპასუხემ, თუ სარჩელი დაკმაყოფილდა (გადასცეს მოსარჩელეს გარკვეული თანხა, დაუბრუნოს მას ნივთი და ა.შ.), რომელი უფლება თუ სამართლებრივი ურთიერთობა ცნო სასამართლომ დადგენილად ან როგორ შეიძლება გარდაიქმნას ურთიერთობა (აღიარებითი და გარდაქმნითი გადაწყვეტილებებით) და ა.შ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს და რომელშიც აისახება ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც სასამართლომ დადგენილად ცნო და რომლებიც სამართლებრივი შეფასების შედეგად საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, იგი არ წარმოადგენს კანონიერი ძალის ობიექტს, მასზე არ ვრცელდება კანონიერი ძალა.¹¹⁴

¹¹⁴ ასეთი შეხედულება, რომელიც ეყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, ფართოდაა გავრცელებული გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში.

იხ. Rosenberg, Schwab, Gottvald, Zivilprozessrecht. 1993, s. 926.

В. Голасовски. Окончателность судебных решений и их пересмотр по немецкому праву. Сборник 1-ой кавказской конференции судей 2002, стр. 65-77.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ შეხედულებას ანეითარებდა დ.ი. პოლუ-მორდინოვი. იხ. მისი „Мотивы судебных решений“ журнал „Соверское государство и право“. 1947 г. стр. 28-35.

შემდგომში მან შეცვალა თავისი შეხედულება და აღნიშნა, რომ რეზოლუციასთან

საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა და ამჟამად საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გაავერცელა არამართო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, არამედ მის სამოტივაციო ნაწილზეც. კერძოდ, სსკ 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე, აგრეთვე, „სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი“. ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ამრიგად, არ იწვევს ეჭვს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომლითაც დადგენილია ფაქტიური გარემოებები, რომლებიც საფუძველად უდევს სარეზოლუციო ნაწილს, შედის კანონიერ ძალაში.¹¹⁵

ერთად, გადაწყვეტილების მოტივი შედის კანონიერ ძალაში. მისი აზრით, გადაწყვეტილების მოტივირებისათვის სასამართლო: ა) ადგენს იმ ფაქტების არსებობას, რომლებზეც დამოკიდებულია მოდერე მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა; ბ) განსაზღვრავს კანონს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ამ დადგენილი ფაქტების მიმართ; გ) აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომლიდანაც გამომდინარეობს მისი სარეზოლუციო ნაწილი.

არც კანონზე მითითება, არც მისი ლოგიკური დასკვნები არ შეიძლება შევიდეს კანონიერ ძალაში. რაც შეეხება გადაწყვეტილების მოტივს, ფაქტებისა და მოდერე მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს – იგი შედის კანონიერ ძალაში. არ შეიძლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოეწყვიტოს იმ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც ამ რეზოლუციის უშუალო საფუძველს წარმოადგენენ.

იხ. დ.ი. პოლუმორდენიოვი, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. (რუსულ ენაზე). თბ. 1964. გვ. 171-172.

¹¹⁵ ამასთან დაკავშირებით ვ. ზრუსტალიმა გააკეთა მნიშვნელოვანი და არსებითად სწორი დათქმა: კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.

იხ. ვ. ზრუსტალი დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ამასთან დაკავშირებით იბადება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კითხვა: შეუძლია თუ არა მხარეს გაასაჩივროს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისაგან დამოუკიდებლად, ანუ ისე, რომ არ მოითხოვოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა („შეცვალეთ სამოტივაციო ნაწილი, მაგრამ არ შეცვალოთ სარეზოლუციო ნაწილი“).

მსჯელობის თანმიმდევრულად განვითარების ლოგიკა ჩვენ გვთავაზობს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას: რახან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობა დადგენილად ჩაითვლება სხვა საქმეზეც და სხვა პროცესში, მხარეს რომლისთვისაც ხელსაყრელია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ არაა ხელსაყრელი გადაწყვეტილების მოტივი ანუ ფაქტების ასეთნაირად დადგენა, უნდა შეეძლოს გაასაჩივროს მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი და მოითხოვოს მისი გაუქმება (შეცვლა), ისე რომ სარეზოლუციო ნაწილი უცვლელად დარჩეს.

ლოგიკურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ არსებითად ეს არ შეიძლება დაუსვათ შემდეგი მოსაზრებების გამო:

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ორგანულადაა დაკავშირებული მის სამოტივაციო ნაწილთან, რომელიც ემსახურება სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება-გამართლებას, წარმოადგენს მის საფუძველს (ფუნდამენტს).

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მის სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტის შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილი რჩება აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი ტოვებს თვითნებურ და ინტუიციურ შთაბეჭდილებას.

აქედან გამომდინარე, თუ საჩივრის საფუძველზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს, მან თვითონ, ან სასამართლომ, რომელმაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა, უნდა დაადგინოს სხვა ისეთი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებული სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება-გამართლებას ემსახურება. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა ან იმის გამო, რომ ეს სხვა ფაქტები ვერ დადასტურდა, ან კიდევ იმის გამო, რომ საჩივრის განმხილველი სასამართლო არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო (საკასაციო სასამართლო), მაშინ გადაწყვეტილება რჩება სამოტივაციო ნაწილის გარეშე, იგი აღარ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კარგავს სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას და აღარ შეიძლება აღსრულდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გადაკეთოთ დასკვნა:

1. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ვრცელდება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან მასზე უარისთქმის შესახებ, აგრეთვე სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობაზე და ფაქტებზე, რომლებიც საფუძველად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, ანუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე.

2. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ფაქტების არსებობა არარსებობის შესახებ, როგორც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება ამ სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს, რადგან მისი გაუქმებით საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილს, გამოიწვევს მის ფაქტიურ გაუქმებასაც.

3. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის კანონიერი ძალის შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს აქვთ პრეიდიკიული (წინასწარგადამწყვეტი) მნიშვნელობა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ.

III. გადაწყვეტილების დროითი ფარგლები

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. ფაქტები, რომლებიც წარმოიშენენ ამის შემდეგ წარმოადგენენ ახალ ფაქტებს, რომლებიც შეიძლება საფუძველად დაედოს ახალ სარჩელს ან მის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს. ცხადია, რომ ამ ახალ ფაქტებზე ანუ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოშობილ ფაქტებზე, ამ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვერ გავრცელდება.

მაგალითად: სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უთხრა მოსარჩელეს განქორწინებაზე იმ მოტივით, რომ მართალია მოპასუხე ზოგჯერ ზომაზე მეტ ალკოჰოლურ სასმელებს იღებს, მაგრამ ის არაა ჩვეული ალკოჰოლიკი და ჯერ კიდევ არსებობს ოჯახის შენარჩუნების შანსი. ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესულიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოსარჩელემ კვლავ მიმართა სასამართლოს იგივე სასარჩელო მოთხოვნით და იმ მოტივით, რომ

მოპასუხე კვლავ აგრძელებს უფრო მეტი ინტენსიურობით ალკოჰოლის მიღებას და უხეშად ექცევა ოჯახის წევრებს.

სასამართლომ უნდა მიიღოს ეს სარჩელი განსახილველად, რადგან ფაქტები, რომლებზეც მიუთითებს მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად, წარმოიშვა პირველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და ამიტომ, ისინი სხვა ფაქტებად უნდა მივიჩნიოთ.

IV. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები

1. მხარეები. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, რომლებზედაც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მოსარჩელეზე, მოპასუხეზე, მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. დ.ი. პოლუმორდვინოვმა თავის სადოქტორო დისერტაციაში დაასაბუთა მოსაზრება, რომ სასამართლო დავაში მონაწილეობა უნდა ვცნოთ ისეთ აუცილებელ პირობად, რომლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება და რომ საწინააღმდეგო მოსაზრება იქნებოდა დიდი უსამართლობა, რამდენადაც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გავრცელდებოდა ისეთ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროცესში, რომლებმაც შეიძლება არც კი იცოდნენ ამ გადაწყვეტილების არსებობის შესახებ.¹¹⁶

დ. ი. პოლუმორდვინოვის ამ მოსაზრებამ თავისი ასახვა ჰპოვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის თანახმად საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება „ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით“ წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსკ 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი). ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი „თუ ერთ-ერთი მხარე,

¹¹⁶ დ. ი. პოლუმორდვინოვი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139-140.

ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.“

ამრიგად, საქმის განხილვაში მონაწილეობა წარმოადგენს მხარეებზე და მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნით გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების გავრცელების სავალდებულო პირობას.

რას ნიშნავს „საქმის განხილვაში მონაწილეობა“?

ითვლება, რომ მხარე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, თუ მას გაეგზავნა შეტყობინება კანონით (სსკ 70-78-ე მუხლებით) დადგენილი წესით საქმის განხილვისა და მთავარი სხდომის დღის დანიშვნის შესახებ. აუცილებელი არაა, რომ იგი თვითონ გამოცხადდეს სხდომაზე და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. მას შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (სსკ 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ითვლება რომ მხარე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, მაშინაც, როდესაც თვითონ უშუალოდ არ გამოცხადებულა, მაგრამ გამოცხადდა მისი წარმომადგენელი.

დასკვნა: ითვლება, რომ მხარე (მესამე პირი) მონაწილეობდა საქმის განხილვაში: ა) თუ მას გაეგზავნა შეტყობინება მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები) დამოუკიდებლად იმისა, გამოცხადდა თუ არა სხდომაზე; ბ) თუ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შეტყობინება გაეგზავნა მხარის წარმომადგენელს დადგენილი წესით, დამოუკიდებლად იმისა, გამოცხადდა თუ არა იგი სხდომაზე. მხარის (წარმომადგენლის) მოუწვევლობას და მოწვეული მხარის (წარმომადგენლის) გამოუცხადებლობას სხვადასხვანაირი შედეგები უკავშირდება (სსკ 229-230-ე მუხლები და 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში მონაწილეობის საკითხის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მათზე ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხოლოდ ერთი პირობით, თუ ისინი ჩაბმული იყვნენ პროცესში (საქმის განხილვაში). ამის დასასაბუთებლად მიუთითეთ არამარტო იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველ პირს აქვს უფლება მოუსმინონ სასამართლოში, არამედ აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ მესამე პირი ჩაბმული იქნება პროცესში მაშინ მის მიმართ უკუმოთხოვნის წაყენებისას მას აღარ ექნება უფლება ამტკიცოს, რომ უკუმოთხოვნის წამყენებელს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის

ანაზღაურება. მაგრამ თუ იგი არ იყო ჩაბმული პროცესში (არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული პროცესის შესახებ), მაშინ მას უფლება აქვს ამტიციოს, რომ უკუმოთხოვნის აღმძვრელ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტების დადგენის ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ იგი ჩაბმული იყო საქმის განხილვაში. სწორედ ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, თუ მის მიმართ იქნება აღძრული რეგრესული სარჩელი, მას აღარ შეუძლია ამტიციოს, რომ მისი მონაწილეობით განხილულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს (ანუ მოითხოვოს ამ ფაქტების ხელმეორედ დადგენა). ამით ამოიწურება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიმართ. მესამე პირი არ არის მხარე და მას არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოქმედების შესრულება რომელიმე მხარის მიმართ და მას არ შეიძლება რაიმე მიეკუთვნოს რომელიმე მხარისაგან. მის წინააღმდეგ ან მის მიერ რომელიმე მხარის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის იგივეობრიობის საკითხი ადრე განხილულ და გადაწყვეტილ სარჩელთან არ შეიძლება დაისვას.

თავისებურებით ხასიათდება მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელიც გათვალისწინებულია სსკ 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად სადავო ნივთის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა ვერ მოახდენს ზეგავლენას პროცესის მსვლელობაზე და რომ „სადავო საგნის შემქმნს ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, უფლება არ აქვს მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა. მათ შეუძლიათ ჩაებას პროცესში მესამე პირებად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე“.

ამ მუხლს მხედველობაში აქვს ისეთი ვითარება, როდესაც სადავო საგნის გასხვისება ან უფლების დათმობა მოხდა პროცესის მსვლელობის დროს, საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფლებამონაცვლეობის კლასიკურ შემთხვევასთან (სსკ 92-ე მუხლი), როდესაც სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება საქმეში უფლებამონაცვლის ჩაბმის მიზნით (სსკ 279-ე მუხლი). მაგრამ სსკ 184-ე მუხლის მე-3 ნაწილი აკეთებს გამონაკლისს იმ თვალსაზრისით, რომ უფლებამონაცვლეს ანუ სადავო საგნის შემქმნს ან იმ პირს ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, უფლება არ აქვს დაიკაოს იმ მხარის ადგილი, ვინც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო

მოთხოვნა. მათ შეუძლიათ შეცვალონ მხარე პროცესში მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით. თუ ასეთი თანხმობა არის და მოხდა მხარეთა შეკვლა, მაშინ ყველაფერი შეიძლება მარტივად გადაწყდეს: გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გავრცელდება უფლებამონაცვლეზე, რომელმაც შეცვალა მხარე პროცესში. მაგრამ, თუ ასეთი შეკვლა არ განხორციელდა და უფლებამონაცვლე ჩაება პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ამ მესამე პირზე გავრცელდება იმის მიხედვით არის თუ არა იგი სადავო საგნის თუ უფლების კეთილსინდისიერი შემძენი.¹¹⁷

3. უფლებამონაცვლე. სსკ 92-ე მუხლის მიხედვით უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კერძოდ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. თუ უფლებამონაცვლეობის საფუძვლები (სსკ 92-ე მუხლი) წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანამდე – სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მაშინ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება სანამ დადგინდებოდეს უფლებამონაცვლეობა და ჩაებმბოდეს უფლებამონაცვლე საქმეში (სსკ 279-ე მუხლი).¹¹⁸ უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესრულებული ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა (სსკ 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზეც მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 266-ე მუხლში, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები.

¹¹⁷ იხ. В. Голасовский. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

¹¹⁸ გამონაკლისი წესია გათვალისწინებული სსკ 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად თუ უფლებამონაცვლეობის საფუძველია დავის საგნის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა, მაშინ უფლებამონაცვლეს შეუძლია ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა. თუ მოწინააღმდეგე მხარე ამის წინააღმდეგია, მაშინ მას შეუძლია ჩაებას პროცესში მხოლოდ მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

აქედან გამომდინარე, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ – აღსრულების სტადიაზე, მაშინ მის მიმართ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხები შეიძლება მოგვარდეს გადაწყვეტილების განმარტების წესით (სსკ 262-ე მუხლი).

V. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს უარესად მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია კანონით (სსკ 265-ე მუხლი).

სსკ-სი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელებას (აღდგენას). ამიტომ, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება შეწყდება საქმის წარმოების განახლებით (რესტიტუცია).

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (სსკ 421-ე მუხლი).

საქმის წარმოების განახლებას ეძღვნება ამ წიგნის სპეციალური თავი, ამიტომ ამ საკითხებზე აქ არ შეეჩერდებით.

2. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში დასაშვებია სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდული გადასახადების შეცვლა. მაგალითად, მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს „აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ (სკ 1221-ე მუხლი), ასევე „თუ შეიცვალა მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა – სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელით შეცვალოს ალიმენტის დადგენილი ოდენობა“ (სკ 1222-ე მუხლი).

ცხადია, რომ სარჩელი სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების თუ გადადების შესახებ შეიძლება ემყარებოდეს ისეთ ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც წარმოიშვნენ ამ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. კანონმდებელი მიუთითებს მხოლოდ ზოგად კრიტერიუმზე: თუ შეიცვალა მშობლების ან

შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა იმ თანხის ოდენობა, რომლებიც უნდა გადაიხადონ მშობლებმა თუ შვილებმა (სკ 1221, 1222, 1230, 1231-ე მუხლები).¹¹⁹

3. გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება უდავო წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტა. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის თავისებურებას ეძღვნება თავი XX. აქ მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს:

ა) ზოგიერთ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და საფუძვლით, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება უდავო წარმოების წესით, შეუძლია თვითონვე გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის შემთხვევაში, სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას (სსკ 321-ე, 326-ე მუხლები).

ბ) ზოგჯერ სასამართლო გადაწყვეტილებით განხორციელებული შედეგის გაუქმებისათვის საკმარისია არა გადაწყვეტილების, არამედ მხოლოდ მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედების თუ შედეგის გაუქმება (სსკ 348-ე მუხლი).

მაგალითად, სსკ 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლოს მეურვის თუ მეურვის ოჯახის წევრის განცხადებით და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუნარიანად აღიარებისა და მასზე მეურვეობის გაუქმების შესახებ, ისე რომ არ გააუქმოს ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება ამ პირის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ.

¹¹⁹ 2002 წლის თბილისში ჩატარებულ მოსამართლეთა კონფერენციაზე გერმანელმა მოსამართლემ ვ. გოლასოვსკიმ აღნიშნა, რომ გარდა ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული შემთხვევებისა გერმანიის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების შეწყვეტის შესაძლებლობას, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, როცა ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით და როცა გადაწყვეტილებას იყენებენ საყოველთაოდ აღიარებული მორალის ნორმების საწინააღმდეგოდ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლი).

იხ. В. Голасовский. Окончателъность судебных решений и их пересмотр по немецкому праву. Сборник I-ой кавказской конференции судей 2002, стр. 72-73. საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ანალოგიურ შემთხვევებს არ ითვალისწინებს.

§3. სასამართლო განჩინება

I. განჩინების მიღება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ნათლად და გარკვევით მიჯნავს ერთმანეთისაგან სასამართლო გადაწყვეტილებისა და სასამართლო განჩინების გამოყენების სფეროებს: საქმის არსებითად გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ცალკეული საკითხების გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სსკ 284-ე მუხლი).¹²⁰

საქმის განხილვის პროცესში კი წამოიჭრება უამრავი საკითხი, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნება საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. მაგალითად, სარჩელს (განცხადებას) აქვს ხარვეზი და იგი უნდა შეივსოს, მოპასუხეს უნდა გადაეგზავნოს სარჩელის და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, საჭიროა ჩატარდეს ადგილზე დათვალიერება, უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა, უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფა, საჭიროა საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადაღება, მხარის თხოვნით უნდა მოხდეს მტკიცებულებათა გამოთხოვა ან მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და ა.შ. ყველა ამგვარ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება განჩინების ფორმით. განჩინების ფორმით თავიანთი დადგენილებები გამოაქვთ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებსაც, მაგრამ მათ შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, როდესაც შევხებით აპელაციისა და კასაციის საკითხებს.

II. განჩინების მიღების წესი

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს, როგორც გადაწყვეტილებები, ისე განჩინებები გამოაქვს ერთპიროვნულად მოსამართლეს. სასამართლო სისტემის ყველა სხვა რგოლში, კერძოდ, სააპელაციო და საკასაციო

¹²⁰

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და შესაბამისად ორიდოულ ლიტერატურაში გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ერთმანეთისაგან გამოიჯნა ხდება იმის მიხედვით გამოაქვს სასამართლოს თავისი დადგენილება ზეპირი განხილვის შედეგად თუ ზეპირი განხილვის გარეშე: დადგენილებები, რომლებსაც სასამართლო იღებს ზეპირი განხილვის გარეშე, მიიღება განჩინების (der Beschluss) ფორმით, გარდა კანონით გათვალისწინებული იშვიათი გამონაკლისებისა, როდესაც განჩინება შეიძლება მიღებული იქნეს ზეპირი განხილვის შედეგადაც. იხ. Schellhammer. Zivilprozess, Gesetz, Praxis, Fälle 1996 s. 328.

სასამართლოებში, საქმეებს განიხილავენ კოლეგიურად. ამიტომ, თუ განჩინება გამოაქვს სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას, მას ხელს აწერს ამ შემადგენლობის ყველა მოსამართლე.

ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება დაევალოს კოლეგიური სასამართლოს რომელიმე მოსამართლეს. მაგალითად, სარჩელის მიღება (სსკ 187-ე მუხლი), საქმის მომზადება (სსკ მე-200 მუხლი), მტკიცებულებათა უზრუნველყოფა (სსკ 113-ე მუხლი), ადგილზე დათვალიერება (სსკ 122-ე მუხლი) და სხვა, შეიძლება დაევალოს კოლეგიური სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში, განჩინება გამოაქვს ერთპიროვნულად მოსამართლეს, რომელიც ასევე ერთპიროვნულად აწერს ხელს ამ განჩინებას.

ნებისმიერი განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით, ისე ოქმში შეტანით. სათათბირო ოთახში ოქმის შედგენა არ წარმოებს. ამიტომ, თუ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად, მაშინ ასეთი განჩინება ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით უნდა გამოვიდეს. სათათბირო ოთახში შეიძლება გავიდეს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლეც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს მოეთათბიროს, არამედ, თუ მის წინაშე მხარის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს.

ცხადია, რომ განჩინება, რომელიც შეტანილია სხდომის ოქმში, უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (285-ე მუხლი). მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ ოქმიდან განჩინების ამონაბეჭდი, შეიტანოს ამ განჩინებაზე კერძო საჩივარი, თუ კანონი ითვალისწინებს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას.

მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ყველა იმ განჩინების ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით ჩამოყალიბება, რომლებზეც დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლოს განჩინება, დამოუკიდებლად იმისა მიღებულია იგი ცალკე დოკუმენტის სახით თუ ოქმში შეტანით, მიღებისთანავე უნდა გამოცხადდეს.

სსკ 286-ე მუხლი შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან დანაწესს: მხარეებს, რომლებიც არ ესრუებიან განჩინების გამოცხადებას, ეგზავნებათ განჩინების ასლები საქმის წარმოების შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვებისა თუ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, მისი გამოტანიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

ამ მუხლის დანაწესი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს მხარეებს ეგზავნებათ მხოლოდ აქ მითითებული განჩინებები. სსკ 286-ე მუხლი განსა-

ზღვრავს მხოლოდ ვადას (5 დღეს), რომლის განმავლობაშიც მხარეს, რომელიც არ ესწრებოდა ზემოთ აღნიშნული განჩინებების გამოცხადებას, უნდა გადაეგზავნოს ისინი.

საერთოდ კი, ყველა განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, აუცილებლად უნდა გადაეგზავნოს იმ მხარეს რომელიც არ ესწრებოდა ასეთი განჩინების გამოცხადებას. აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ის გარემოება, რომ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება განჩინების გადაცემის მომენტიდან, როცა მის გამოცხადებას არ ესწრებოდა მხარე (სსკ 416-ე მუხლი); განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება მისი ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის გადაგზავნა კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები).

III. განჩინების შინაარსი და კანონიერი ძალა

სასამართლო გადაწყვეტილების ანალოგიურად, სასამართლო განჩინების შინაარსიც განისაზღვრება კანონით (სსკ 285-ე მუხლი). კერძოდ, გარდა იმ ჩვეულებრივ და ცნობილ რეკვიზიტებს შორის, რომლებიც უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ ნებისმიერ დოკუმენტში (მისი მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა, მხარეების დასახელება და ა.შ.), სასამართლო განჩინებაში უნდა აისახოს საკითხი რომელზეც მიღებული იქნა განჩინება, მოტივები და კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო, სასამართლოს დადგენილება (სარეზოლუციო ნაწილი) და განჩინების გასაჩივრების წესი.

განჩინების სამართლებრივი დასაბუთების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

მაგალითად: ანიმ, რომლის სარჩელიც მიღებული აქვს სასამართლოს წარმოებაში, მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სასამართლომ ამ განცხადების განხილვის შედეგად მიიღო განჩინება და სსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად ყადაღა დაადო მოპასუხის ქონებას.

განჩინების გამოტანის დროს სასამართლომ შეიძლება იხელმძღვანელოს მატერიალურ სამართლებრივი ნორმებითაც. მაგალითად, თუ მატერიალური

¹²¹

სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა სასამართლო განჩინებათა ნიმუშები (ფორმულარები). იხ. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა. თ. 2005 წ.

სამართალი არ უშვებს უფლებამონაცვლებას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითებს სსკ 272-ე მუხლის „ე“ პუნქტზე და შესაბამის მატერიალურ სამართლებრივ ნორმაზე.

მაგალითად: გამოძეგვლობა დ-ონიმ აღძრა სარჩელი მწერალ გ-ანის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ნაწარმოების გამოძეგვლობისათვის წარუდგენლობით. საქმის განხილვის პროცესში მწერალი გ-ანი გარდაიცვალა. სასამართლომ თავისი განჩინებით შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან სკ 453-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ „შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე“.

შედიან თუ არა განჩინებები კანონიერ ძალაში?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ეუპასუხოთ: სასამართლოს განჩინებები საგაყვანილობა შესასრულებლად და მათი შესრულებლობა იწვევს გარკვეულ არახელსაყრელ შედეგს იმ მხარისათვის, რომელმაც იგი არ შეასრულა.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სარჩელში არ იყო მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ ა-ნის სასარჩლო მოთხოვნას, აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტებს. სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის ხარვეზის შევსების შესახებ სსკ 185-ე მუხლის თანახმად და დაუნიშნა 10 დღიანი ვადა მოსარჩელეს ამ ხარვეზის შესავსებად.

თუ მოსარჩელე ა-ნი არ შეავსებს ხარვეზს ამ 10 დღიან ვადაში, მაშინ სასამართლომ სსკ 185-ე მუხლის თანახმად სარჩელი უმოძრაოდ უნდა დატოვოს და დაუბრუნოს მოსარჩელეს.

არსებობენ განჩინებები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ისინი კანონიერ ძალაში შედიან გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ იყვნენ გასაჩივრებული, ხოლო, თუ გასაჩივრებული იყვნენ – მას შემდეგ, როცა სასამართლო უარს ეტყვის მომჩივანს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

არსებობენ აგრეთვე განჩინებები, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება. ასეთი განჩინებები დაუყოვნებლივ შედიან კანონიერ ძალაში.¹²²

¹²²

დაწერილობით კერძო საჩივრის შესახებ იხ. თავი XXIII.

დაუსწრებელი წარმოება

§1. დაუსწრებელი წარმოების ცნება და მნიშვნელობა

სამოქალაქო პროცესში (სასარჩელო წარმოებაში) ყოველთვის გვყავს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი (ხელსაყრელი) გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა მოსარჩელისათვის სარჩელზე უარისთქმა სასამართლოს მიერ ანუ მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენებლობას შეიძლება მოყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა, მაგრამ მის მიმართ გამორიცხულია რაიმე სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება.

მაგალითად, მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დღის შესახებ სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად და გამოუძახებლად უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსკ 394-ე მუხლი).

ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად ავაშკმელოთ შეჯიბრებითობის პრინციპი, დავადგინოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

მაგრამ, როგორ შეიძლება მოვიქცეთ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე?

საქმის განხილვა და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ-ერთი მხარის, კერძოდ მოპასუხის ნებასურვილზე. ამიტომ, საქმე უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი.

მაგრამ როგორ?

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ამ საკითხს სხვადასხვანაირად წყვეტს. არის ქვეყნები, რომელთა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უშვებს ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას ოღონდ საქმის მასალების მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს გამოუცხადებელი მხარის სასარგებლოდაც, თუ საქმის მასალები ამის საფუძველს იძლევიან.¹²³

ზოგიერთი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობა უშვებს ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე (და არა საქმის მასალების მიხედვით).¹²⁴

საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მხარის საწინააღმდეგოდ და საქმის მასალების მიუხედავად.

ამრიგად, დაუსწრებელი წარმოება – ეს ისეთი წარმოებაა, რომლის დროს საქმის განხილვაში არ მონაწილეობს ერთ-ერთი მხარე – მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებიც გაურთხილებულები იყვნენ კანონით დადგენილი წესით.

საქმის დაუსწრებელი წარმოების მნიშვნელობა მთლიანად განპირობებულია საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისა და ამ საქმის განხილვის დამთავრების ინტერესებით.

ცხადია, რომ როცა სასამართლო პროცესზე ესწრება მხოლოდ ერთი მხარე, საქმის გარემოებების სრულად და სწორად დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვყავს მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეეძლო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გაექარწყლებინა მეორე მხარის მტკიცებულებები მოსაზრებები, წამოეყენებინა თავისი ფაქტები და მტკიცებულებები და ა.შ.

ამ თვალსაზრისით დაუსწრებელი გადაწყვეტილება შორსაა სრულყოფისაგან, მაგრამ უაღრესად საჭირო რამაა, რადგან ერთადერთი ისეთი ქმედითი ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბრძოლა არაკეთილსინდისიერ მხარესთან, რომელიც ყოველნაირად ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას. გარ-

¹²³ იხ. ГПК Российской Федерации 2003 г. пп. 22.

¹²⁴ ასეთი ქვეყნებია მაგალითად, გერმანია და ავსტრია.

კვეული თვალსაზრისით. იგი არის აგრეთვე სასჯელი არაკეთილსინდისიერებისათვის და წახალისება კეთილსინდისიერებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის და საქმის განახლებისათვის სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო პროტესტი (საჩივარი), და რომ ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს არამარტო გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დროულად (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სასამართლოსათვის ამ მიზეზების შესახებ.

§2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წინაპირობები

I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და საფუძველი

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, თუმცა უკვე იშვიათად, მაგრამ მაინც შევხვდებით ისეთ „დაუსწრებელ გადაწყვეტილებებს“, რომლებიც გამოტანილია საქმის მასალების მიხედვით და იმ მხარის საზიანოდ რომელიც გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში.

ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება მიეკუთვნოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კატეგორიას. მისი გასაჩივრების წესიც განსხვავებული იქნება დაუსწრებელი გასაჩივრების წესისაგან. ასეთი „დაუსწრებელი“ გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება — ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძველად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოუცხადებელი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა), ან აღიარებს (ცნობს) ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც საფუძველად უდევს სასარჩელო მოთხოვნას, (როცა არ ცხადდება მოპასუხე).

გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძველად უდევს ამ გადაწყვეტილებას და, მაშასადამე, მოითხოვოს მისი გაუქმება და საწინის განახლება თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წინაპირობები

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიმართ საერთოა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

განვიხილოთ ეს ზოგადი წინაპირობები:

ა) წინაპირობები, რომლებსაც ადგილი აქვთ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებამდე.

1. გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ (სსკ 233-ე მუხლის „ა“ პუნქტი).

მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მხარეთა შეუტყობინებას ამ წესების დაცვით ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა: სარჩელის განხილვა და გადაწყვეტა კანონით დადგენილი წესით მხარის შეუტყობინებლად, უნდა შეფასდეს როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსკ 394-ე მუხლი). დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება და უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლოს უწყებაში არაა მითითება გამოუცხადებლობის შედეგებზე, ანუ იმის შესახებ, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 72-ე მუხლის „ზ“ პუნქტი).

2. ადგილი არ აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის (სსკ 233-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

მხარის გამოცხადებისათვის ამ ხელისშემშლელი გარემოებების არსებობის შესახებ ცნობილი უნდა იყოს სასამართლოსათვის. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი წყაროებიდან მიიღო სასამართლომ ეს ცნობები უშუალო აღქმის გზით, (მაგალითად მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) თუ პრესისა, რადიოს თუ ტელევიზიის მეშვეობით. მთავარია, რომ სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია ამ მოვლენების შესახებ.

3. გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. (სსკ 233-ე მუხლის „გ“ პუნქტი). სსკ-სი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეებისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცნობების დროულად მიწოდებას. კერძოდ, სასამართლოს ევალება დროულად გადაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული საბუთების

ასლები, აგრეთვე ყველა სხვა მასალა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტიური გარემოებების შესახებ, რომლებიც წამოყენებულია მის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ, თავის მხრივ, სასამართლოს ევალება დროულად გადაუზღვეოს მოსარჩელეს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები (სსკ 203-ე მუხლი). „დროულად ეცნობოს“ იმას ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, ამ სტადიის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს მოემზადოს მთავარი სხდომისათვის.

4. არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სწორად (სსკ 233-ე მუხლის „დ“ პუნქტი). სარჩელის აღძვრის წინაპირობები ჩამოთვლილია სსკ 186-ე მუხლში. აღსანიშნავია, რომ თუ ეს წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად. მაგრამ თუ სარჩელი შეცდომით იქნა მიღებული სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება (სსკ 272-ე მუხლი), ან დატოვოს სარჩელი განუხილველად (სსკ 275-ე მუხლი), იმის მიხედვით, სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არ არსებობს.

ბ) წინაპირობები, რომლებიც წარმოიშვებიან საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს.

5. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში (სსკ 232-ე მუხლი). პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარე გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი განზრახვა იქედან ჩანს, რომ სხდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი მხარე ითვლება გამოუცხადებელ მხარედ (სსკ 232-ე მუხლი) და მის მიმართ შეიძლება გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

პრაქტიკაში უფრო ხშირად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამოცხადებული მხარე უარს არ ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, აცხადებს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ შუამდგომლობას, ხოლო როდესაც სასამართლო უარს ეუბნება ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იგი, პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა შეეძლოს გამოიტანოს მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთი აუცილებელი პირობის დაცვით: ყოველი საქმის განხილვის დაწყების წინ (სსკ 217-ე მუხლი) სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება

სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეული იქნება როგორც გამოუცხადებლობა და მათ მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

6. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ მის მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები ამართლებენ მოთხოვნას, იურიდიულად ასახუთებენ მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც უარს ეტყვის სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს იქნება არა დაუსწრებელი არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

ასეთია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არ არსებობს ერთ-ერთი წინაპირობა იგი გამოიტანს განჩინებას საქმის სხვა დროისათვის გადადების შესახებ.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ნის წინააღმდეგ ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი არ იხდის ბინის ქირას. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე. სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა სტიქიურ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მოსარჩელის გამოცხადებისათვის, რომელიც ამ სტიქიური მოვლენების ზონაში იყოფებოდა.

მიუხედავად სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხის შუამდგომლობისა, სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გადადო საქმის განხილვა სხვა დროისათვის.

არ არის გამორიცხული, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები ობიექტურად არსებობდა (მაგალითად, მხარეს შეემთხვა ავარია ან მძიმედ დაავადდა და სხვა), მაგრამ არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის და ამიტომ გამოიტანა კიდევ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით შეიძლება გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს.

III. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე და გამოცხადდა მოპასუხე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ორი პირობის ერთდროულად არსებობისას:

პირველი – სასამართლოზე გამოცხადებული მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე (ეს შუამდგომლობა უნდა აისახოს ოქმში ან დაერთოს საქმეს, თუ წერილობით იყო წარმოდგენილი), რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ, ე.ი. გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ.

მეორე – მოსარჩელეს გაგზავნილი და ჩაბარებული ჰქონდა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით (70-78-ე მუხლები), ანუ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ყველა წინაპირობა და სასამართლოს არ მიუღია მოსარჩელისაგან ცნობა გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ (სსკ 241-ე მუხლი).

თუ ეს პირობები არ არსებობს სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის (სსკ 216-ე მუხლი). მას შეუძლია აგრეთვე დატოვოს სარჩელი განუხილველად (სსკ 229-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 275-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

ამრიგად, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე წინააღმდეგია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, ან სარჩელის განუხილველად დატოვების, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და ვერც სარჩელს დატოვებს განუხილველად.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი: თუ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შემდეგ დანიშნულ სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა მოსარჩელე, ხოლო ამ სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე კვლავ არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას შეუძლია თუ არა სასამართლოს მიუხედავად ამისა მინც გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სსკ 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას“. ეს იმას

ნიშნავს, რომ მოპასუხის თანხმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საჭირო არაა. სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ხომ არ გამოიწვევს ეს მოპასუხის ინტერესების შელახვას?

დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყოველთვის არის გამოუცხადებელი მხარისათვის არახელსაყრელი და გამოცხადებული მხარისათვის მომგებიანი. ამიტომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით არასდროს არ შეიძლება შეილახოს სასამართლო პროცესზე დამსწრე მხარის ინტერესები.

IV. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გაეაკეთოთ დასკვნა, რომ უფრო ხშირად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია სამი პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში. ამ სამი პირობიდან ორი იგივეა, რაც მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კერძოდ: 1. გამოცხადებული მოსარჩელის თანხმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და 2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი პირობების არსებობა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი

ამასთან ერთად, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საჭიროა მესამე პირობა: მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო „არ იხედება არც კანონში და არც საქმეში“. მას გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მთლიანად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ.

მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი საკითხი სხვანაირად დგას. იმისათვის, რომ მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება წინასწარ უნდა შეასრულოს აზრობრივი პროცედურა: მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ითვლებიან, ამართლებენ თუ არა სამართლებრივად მის სასარჩელო მოთხოვნას.

ამრიგად, მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს

საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში“ რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება.

თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითი 1: ა-ნომ აღძრა სარჩელი ბ-ანის მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ. ამ მოთხოვნის საფუძველად ა-ნომ მიუთითა, რომ ბინა ეკუთვნის მას საკუთრების უფლებით, მასსა და მოპასუხე ბ-ანს შორის დადებულია ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხემ ყოველთვიურად უნდა გადაუხადოს 300 ლარი. მიუხედავად ამისა, მას არ გადაუხდია ქირა 5 თვის განმავლობაში, რითაც დაარღვია თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება.

მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო ფაქტები იმის შესახებ, რომ მოსარჩელე არის გაქირავებული ბინის მესაკუთრე, რომ მხარეებს შორის დადებულია ქირავნობის ხელშეკრულება, რომ ამ ხელშეკრულების ძალით მოპასუხემ ყოველთვიურად უნდა იხადოს ქირა 300 ლარის ოდენობით და რომ მას ეს ქირა არ გადაუხდია 5 თვის განმავლობაში – დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტისა და ამავე კოდექსის 558-ე მუხლის თანახმად აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

დაკმაყოფილდეს ა-ნის სასარჩელო მოთხოვნა. მოპასუხე ბ-ანი გამოსახლდეს სადავო ბინიდან და მის მიერ დაკავებული ოთახი გამოთავისუფლებული სახით ჩაბარდეს მოსარჩელეს.

სასამართლო ხარჯები 100 ლარის ოდენობით დაეკისროს მოპასუხე ბ-ანის.

მაგალითი 2: ა-ნომ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მთელი მისი უძრავი (ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც

თბილისში მდებარეობს და მიწის ნაკვეთი) და მოძრავი ქონების („კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა, საძინებელი ავეჯი, კარადები და ჭაღები) მიკუთვნება და მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლება.

თავისი სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მისი „ოპელ-ოპელას“ 1999 წლის გამოშვების ავტომანქანას, რომლის ღირებულება შეადგენს 6000 ლარს, დაყენებული იყო ქუჩის უკიდურესად მარჯვენა მხარეს, სადაც დასაშვებია მანქანების დაყენება, დაეჯახა მოპასუხის სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც თვით მოპასუხე მართავდა და დააზიანა იგი, რომ აუცილებელია ძვირად ღირებული რემონტის ჩატარება მის აღსადგენად.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლომ დაადგინა

სარეზოლუციო ნაწილი:

უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც იგი ემყარება თავისი მოთხოვნის დასაბუთებლად მართალია ითვლება დამტკიცებულად მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ კანონი არ უკავშირებს ამ ფაქტებს ზიანის მიმყენებლისაგან მთელი უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემას დაზარალებულისათვის (მოსარჩელისათვის) და, მაშასადამე ვერ ამართლებენ სამართლებრივად მის მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლი).

სასამართლო ხარჯები 100 ლარის ოდენობით დაეკისროს მოსარჩელეს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება. ამიტომ, ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადებული და პროცესში მონაწილე მოსარჩელის წინააღმდეგ – არაა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. იგი ჩვეულებრივი „დასწრებული“ გადაწყვეტილებაა.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ნაწილობრივ ამართლებენ მოთხოვნას, ხოლო ნაწილობრივ არ ამართლებენ.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა ვალის დაბრუნება 20 000 ლარის ოდენობით, რომელიც სესხად ქონდა

მას გადაეცემული, აგრეთვე მოპასუხის საცხოვრებელი სახლის აუქციონზე გაყიდვა, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული და ამ სახლიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრთა გამოსახლება.

თავის მოთხოვნა მოსარჩელემ იმით დაასაბუთა, რომ გადასაცა მოპასუხეს სესხად 20 000 ლარი და სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთა მოპასუხის საცხოვრებელი სახლი. უკვე დადგა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალის დაბრუნების ვადა, მაგრამ მოვალე არ აბრუნებს მას.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე.

სასამართლომ გამოიტანა „გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება“, რომლითაც მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც გამართლებულია იურიდიულად სკ 623-ე მუხლის თანახმად, კერძოდ მსესხებელმა დააბრუნოს ვალი, დაკმაყოფილდეს, ხოლო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც არაა გამართლებული იურიდიულად (მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლება) არ დაკმაყოფილდეს.

V. ორივე მხარის გამოუცხადებლობა

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ ცხადდება არცერთი მხარე და მათი წარმომადგენლები.

როგორ შეუძლია მოიქცეს სასამართლო ასეთ შემთხვევაში?

სსკ-სი მტკიცე და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხზე ასეთია:

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სსკ 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 231-ე მუხლი).

ამრიგად, ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვა კი არ უნდა გადადოს, არამედ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. მაგრამ ამისათვის მან წინასწარ უნდა შეამოწმოს არის თუ არა საქმეში ცნობა რომელიც ადასტურებს, რომ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ნამდვილად ჩაბარდათ უწყება სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა, რის შესახებაც იგი ატყობინებს მხარეებს.

სარჩელის განუხილველად დატოვების შედეგების შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ. აღინიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემდეგ მოსარჩელეს არ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი.

§3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ საჩივრის შინაარსი

საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრებისაგან.

მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზებს შორის შეიძლება დასახელებული იყოს ისეთი გარემოებები, როგორცაა მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური მოვლენები, რომლებმაც ხელი შეუშალეს მის სასამართლოში გამოცხადებას, შეტყობინების (უწყების) მიუღებლობა და ა.შ.

ამრიგად, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსებითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ, გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს გადაწყვეტილება ეფუძნება – გამოუცხადებლობა, კერძოდ გამოუცხადებლობის საპატიობა (სსკ 238-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამ მხრივ გამონაკლისია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საჩივრის შინაარსი, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა პასუხობდეს სსკ 238-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებსაც, მათ შორის საჩივრის შემტანი პირის თხოვნას თუ რა ფარგლებში უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილება. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება მთლი-

ანად გასაუქმებელი იყოს, რადგან მხარეს, რომლის წინააღმდეგაც იგია გამოტანილი, მართლაც ჰქონდა საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობისათვის. მიუხედავად ამისა, თუ იგი არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმებას, სასამართლომ, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა გააუქმოს ეს გადაწყვეტილება მთლიანად და დატოვოს იგი უცვლელად იმ ნაწილში რომლის გაუქმებასაც მხარე არ მოითხოვს.

მაგალითად: დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხე დონის დაეკისრა ვალის – 10 000 ლარის და პროცენტის – 600 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. იმ მოტივით, რომ სასამართლო სხდომაზე დასწრების მიზნით მგ ზავრობისას მას შეემთხვა ავარია, რასაც ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილი ცნობები, მან მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც პროცენტების გადახდას ეხება. სასამართლომ დაადგინა ამ ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება.

II. საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

პირველი მოქმედება, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლომ საჩივრის მიღების შემდეგ – ესაა ამ საჩივრის დასაშვებობის შემოწმება. ამისათვის მან უნდა გამოარკვიოს არსებობს თუ არა საჩივრის დასაშვებობის პირობები. ეს პირობებია:

1. დაცულია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ეს ვადა არის 10 დღე და მისი გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამ 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით. ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

2. შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა. სსკ 236-ე მუხლი განსაზღვრავს თუ ვის შეუძლია გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ სასამართლოში შეიძლება მისი გასაჩივრება (მხედველობაშია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება). ამ მუხლის თანახმად საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეუძლია შეიტანოს მხარემ, რომლის წინააღმდეგაც ის გამოტანილია, ხოლო მისი გასაჩივრება უნდა მოხდეს იმ სასამართლოში, რომელმაც ის გამოიტანა.

3. პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსკ 238-ე მუხლი). თუ საჩივარი ხარვეზიანია ანუ ის არ პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც მითითებულია კანონში (238-ე მუხლში), მაშინ მომჩივანს უნდა მიეცეს ვადა ამ ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივრის მიღებაზე უარი უნდა ეთქვას მისი დაუშვებლობის გამო (სსკ 239-ე მუხლის მე-3 ნაწ.)

მაგალითად: ანიმ შეიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომელიც იმით დაასაბუთა, რომ იგი არ შეესაბამება საქმის მასალებს, არ ემყარება ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც არსებითად უსწორო და უსამართლოა.

სასამართლომ გამოიტანა განჩინება და მომჩივანს დაუნიშნა ვადა ხარვეზის შესავსებად, რადგან სსკ 238-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ შეიძლება ეფუძნებოდეს „გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით“ და არა ამ გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დაუსაბუთებლობას.

4. გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი. ასეთია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე და საქმის განახლებაზე საჩივრის დასაშვებობის პირობები. თუ ამ პირობების შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საჩივარი არაა დასაშვები, ან ამ საჩივრის ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნა შევსებული სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო (სსკ 239-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თუ აღმოჩნდება, რომ დასაშვებობის ყველა პირობა არსებობს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საქმის ხელახლა განხილვის დღე, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს.

III. საჩივრის დასაბუთებულობის ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების შემოწმება

როგორც აღვნიშნეთ, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება წარმოებს მხარეთა შეუტყობინებლად და მათი მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებას, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების

საფუძვლების შემოწმებას, ასეთი შემოწმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარეთა სავალდებულო შეტყობინებით. ამ სხდომაზე სასამართლო არკვევს მართლა ჰქონდა ადგილი თუ არა საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომლებსაც კანონი უკავშირებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს საჩივარში მითითებული და კანონით გათვალისწინებული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის (საჩივარი უსაფუძვლოა), მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (სსკ 240-ე მუხლის მე-2 ნაწ.). ამ განჩინებაზე შეიძლება სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანა (სსკ 240-ე მუხლის მე-3 ნაწ.).

თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს გარემოება, რომელიც საფუძვლად უდევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ საჩივარს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ“.¹²⁵ ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

საჩივრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის განხილვა შეიძლება იმავე სხდომაზე გაგრძელდეს, თუ ერთერთი ან ორივე მხარე მოტვირებულ უარს არ აცხადებს ამის წინააღმდეგ და თუ არსებობს საქმის განხილვის ყველა პირობა, კერძოდ, თუ საჭირო არაა მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და ა.შ. მოწვევა და დაკითხვა.

იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა იმავე სხდომაზე არაა შესაძლებელი, სასამართლო ახლო მომავალში ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც იქვე აცნობებს მხარეებს და აფრთხილებს მათ გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, რასაც ოქმში ხელისმომწერით ადასტურებენ მხარეები. ამ სხდომაზე გამოუცხადებელ პირებს სასამართლო ატყობინებს ახალი სხდომის დღის შესახებ კანონით (სსკ 70-78-ე მუხლებით) დადგენილი წესით.

¹²⁵

სხვა მოსაზრებას ანეთარებს პროფ. ჰ. ჰაინრიხსი, რომელიც თვლის, რომ თუ საჩივარი დასაბუთებელია და გამოუცხადებლობის მიზეზი მართლაც საპატიოა, სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შეცვალოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან უცვლელად დატოვოს იგი, თუ აღმოჩნდება, რომ არსებითად სწორია. ჩვენ ვთვლით, რომ საქმის განახლება პროცესუალურად და ლოგიკურადაც შეუძლებელი იქნება, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არაა გაუქმებული და იგი კვლავ ძალაშია. ამიტომ, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაუქმებელია იგი ჯერ უნდა გაუქმდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქმის არსებითად განხილვა და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

არ არის გამორიცხული, რომ ამ სხდომაზე არ გამოცხადდეს მხარე, რომელმაც შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, ან მისი მოწინააღმდეგე მხარე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

IV. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების წესი

არ არის გამორიცხული, რომ მხარე, რომელმაც შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, კვლავ არ გამოცხადდეს დანიშნულ დროს სასამართლოს სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მის მიმართ მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

როგორია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები?

1. იმავე პირის მიმართ, რომელმაც შემოიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუქცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვიხუც ადრე იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება – არ იქნება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ეს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია თუ არა.

2. მიმდინარეობს სასამართლოს სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით, არამედ ამ საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, ან სხდომა, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად.

3. არსებობს ზოგადად დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა წინაპირობა, ანუ არ არსებობს მისი გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული ხელისშემშლელი გარემოებები (სსკ 233-ე მუხლი).

როგორია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შედეგები.

1. მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება უფლება არ აქვს იმავე სასამართლოში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, როგორც ეს ხდება პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ.

2. მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გაასაჩივროს იგი მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში

ანუ სააპელაციო (საკასაციო) წესით (სსკ 242-ე მუხლი).

3. მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს იმას, რომ არ არსებობდა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები (სსკ 339-ე მუხლის მე-2 ნაწ).

4. სასამართლო ხარჯები დაეკისრება მომჩივანს, მიუხედავად იმისა, მოიგო მან საქმე თუ არა.

თავი XVI

საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

§1. საქმის დამთავრების ფორმები

სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმის დამთავრების ტრადიციული და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა – ესაა საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით. გადაწყვეტილება – ესაა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად.

მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილება არაა საქმის დამთავრების ერთადერთი ფორმა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უშვებს საქმის წარმოების დამთავრებას სხვა ფორმითაც. კერძოდ სამოქალაქო საქმის წარმოება შეიძლება დამთავრდეს: 1. სასამართლოს განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და 2. სასამართლოს განჩინებით სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

გადაწყვეტილების გამოუტანლად საქმის წარმოების დამთავრების ეს ორი ფორმა განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლებით, ისე თავისი შედეგებით. ამიტომ მიზანშეწონილია განვიხილოთ ისინი ცალკე-ცალკე.

I. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და შედეგები

საქმის წარმოების შეწყვეტა სასამართლოს შეუძლია როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე თავისი ინიციატივითაც.

საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები ამომწურავადაა მითითებული სსკ 272-ე მუხლში. ეს საფუძვლები ასეთია:

1. საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად (საქმის არასაქვეწყებობა), მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

მაგალითად: აღძრულია სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის არაკონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც ჩუქების გაუქმებასა და გარუქებული ქონების უკან გამოთხოვას ითვალისწინებს. სასამართლომ არ უნდა მიიღოს ეს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო მან უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება და განჩინებაში ამის შესახებ მიუთითოს, რომ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხვაზე: ექვემდებარება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს უწყებრივად. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემდეგ წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს განსჯადობა. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საქმე ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად, მაგრამ არ არის იმ სასამართლოს განსჯადი, რომელშიც შეტანილია სარჩელი.

მაგალითად: სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეტანილია ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო შეტანილი დიდუბის რაიონულ სასამართლოში, რადგან მოპასუხე ამ საქმეზე ცხოვრობს ამ რაიონში.

ასეთ შემთხვევაში სასამართლომ საქმე უნდა გადააგზავნოს განსჯად სასამართლოში (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში), როგორც ამას ითვალისწინებს სსკ 23-ე მუხლი.

2. არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე სარჩელზე (სსკ 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი), ამრიგად, ამ საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია: ა) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის. თუ ერთ-ერთი ელემენტი სხვაა, მაგალითად, მოთხოვნა იგივეა, მაგრამ საფუძველი სხვაა, ან კიდევ, ყველაფერი და მათ შორის მოსარჩელე იგივეა, მაგრამ მოპასუხე სხვაა და ა.შ. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს: ბ) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძველით, რომ იგივე სარჩელის მიმართ მხარეები მორიგდნენ ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ნის წინააღმდეგ და მოითხოვა 1000 ლარის ოდენობით ვალის დაბრუნება იმ საფუძველით, რომ მან ასესხა ბ-ანის ეს თანხა და დადგა მისი დაბრუნების დრო. სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოსარჩელე ა-ნიმ უარი თქვა თავის მოთხოვნაზე, სასამართლომ სსკ 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოსარჩელემ კვლავ აღძრა იგივე სარჩელი იმავე მოპასუხის მიმართ. სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი, ხოლო თუ შეცდომით მიიღო, შეწყვეტოს

თავისი განჩინებით საქმის წარმოება, როცა გაირკვევა, რომ აღძრულია იგივე სარჩელი.

3. მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელეს უფლება აქვს განკარგოს თავისი უფლებები. სარჩელზე უარის თქმა არის უფლების განკარგვის აქტი. ამიტომ, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგან აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართ სასამართლომ უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

სარჩელზე უარისთქმა, როგორც მოსარჩელის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვა, უნდა განვასხვაოთ მოსარჩელის მიერ ამ ეტაპზე სარჩელის განხილვაზე უარისთქმისაგან, რომლის დროს იგი მოითხოვს მის მიერ შემოტანილი სარჩელის უკან დაბრუნებას (სარჩელის გამოხმობა). ასეთ შემთხვევაში საქმის შეწყვეტა დაუშვებელია, რადგან მოსარჩელე უარს კი არ ამბობს თავის სასარჩელო მოთხოვნაზე, არამედ უბრალოდ არ სურს ამ ეტაპზე მისი სარჩელის განხილვა. სარჩელის გამოხმობა ხელს არ უშლის იგივე სარჩელის ხელმეორედ აღძვრას.

4. მხარეთა მორიგება (სსკ 272-ე მუხლის „დ“ პუნქტი). მხარეთა მორიგება – ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მორიგებით საქმის დამთავრება, ისე როგორც სარჩელზე უარისთქმა, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა (სსკ მე-3 მუხლი). მხარეთა მორიგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ღებულებურად განსაზღვრავს მორიგების პირობებს. ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი შეიძლება იძულებით აღსრულდეს, თუ რომელიმე მხარე არღვევს ამ მორიგების პირობას.

5. უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობა (სსკ 272-ე მუხლის „ე“ პუნქტი). თუ მხარედ მყოფი ფიზიკური პირი გარდაიცვალა სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა უფლებამონაცვლის დადგენამდე (სსკ 279-ე მუხლი). მაგრამ, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

მაგალითად: ა-ნომ მიმართა სასამართლოს მისი მეუღლის ბ-ნის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან სარჩოს მიღება. საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელე გარდაიცვალა. სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე, რადგან, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი გარდაიცვალა და

მის ნაცვლად სხვა პირს სარჩოს მიღებაზე უფლება არ აქვს. რაც შეეხება იურიდიულ პირს, თუ მხარედ მყოფი იურიდიული პირის ლიკვიდაცია მოხდა, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლება-მონაცვლეობა არ წარმოიშება.

6. არსებობს მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება (სსკ 272-ე მუხლის „ვ“ პუნქტი). დავის კერძო არბიტრაჟის ან სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ მხარეთა შეთანხმებას აქვს იურიდიული ძალა, ამიტომ, თუ ამ შეთანხმების ერთ-ერთი მხარე მაინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, სასამართლომ არ უნდა მიიღოს ეს სარჩელი, ხოლო თუ შეცდომით მიიღებს, უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

ასეთია საქმის წარმოების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც შედის კანონიერ ძალაში აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგებით.

ამასთან ერთად, საქმის წარმოების შეწყვეტას უკავშირდება ძალიან სერიოზული შედეგი: საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება (სსკ 273-ე მუხლი).

II. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და შედეგები

სარჩელის განუხილველად დატოვება სასამართლოს შეუძლია როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა განცხადებით.

სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლებს განსაზღვრავს სსკ 275-ე მუხლი.

ეს საფუძვლები ასეთია:

1. სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუნარო პირმა (სსკ 275-ე მუხლის „ა“ პუნქტი). ქმედუნაროდ ითვლება არასრულწლოვანი (სსკ 81-ე მუხლის მე-2 ნაწ.), აგრეთვე, სრულწლოვანებას მიღწეული, მაგრამ სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირი. ასეთი პირისაგან სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო და მხოლოდ შემდეგ გამოიჩინა, რომ მოსარჩელე არის ქმედუნარო, რომელსაც არ ყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს შეუძლია ასეთ მოსარჩელეს დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი (სსკ 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ საპროცესო

წარმომადგენლის დანიშვნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

2. სარჩელის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ (სსკ 275-ე „ბ“ პუნქტი). არაუფლებამოსილი პირი – ეს ისეთი პირია, რომელიც მიმართავს სასამართლოს არა თავისი, არამედ სხვისი უფლების დასაცავად, მაგრამ ამისათვის მას არ გააჩნია ამ სხვა პირისაგან სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება. ცნობილია, რომ მხარეს შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (სსკ 96-ე მუხლი). ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ არაუფლებამოსილი პირი და არასათანადო მოსარჩელე. არასათანადო მოსარჩელე – ეს ის პირია, რომელიც მოითხოვს „თავისი“ ისეთი უფლების დაცვას, რომელიც სინამდვილეში მისი კი არა, სხვისი უფლებაა და, მაშასადამე, მას არ აქვს მოთხოვნის უფლება. არაუფლებამოსილი პირი თავისად არ ასალებს უფლებას, რომლის დაცვასაც ის მოითხოვს, მან იცის, რომ მიმართავს სასამართლოს სხვა პირის უფლების დასაცავად, მაგრამ არ აქვს ამისათვის სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება.

3. მოსარჩელის გამოუცხადებლობა (სსკ 275-ე, „გ“ პუნქტი). მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ოღონდ თუ ამის შესახებ შუამდგომლობს მოპასუხე. მაგრამ, თუ მოპასუხე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგია, მაშინ სასამართლოს შეუძლია დატოვოს სარჩელი განუხილველად, ოღონდ ამისათვის საჭიროა ისევ მოპასუხის თანხმობა. თუ ასეთი თანხმობა არ არის, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას.

4. ორივე მხარის გამოუცხადებლობა (სსკ 275-ე, „დ“ პუნქტი). თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არცერთი მხარე და მათი წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსკ 231-ე მუხლი). ცხადია, რომ სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და კვლავ გაუგზავნოს შეტყობინება მხარეებს. მაგრამ, ეს დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულებაზე.

5. იმავე ან სხვა სასამართლოში არის იგივე საქმე იმავე მხარეებს შორის (სსკ 275-ე, „ე“ პუნქტი). სარჩელის განუხილველად დატოვების ეს საფუძველი ემყარება პრინციპს, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ორმა (ან მეტმა) სასამართლომ განიხილოს. ამიტომ, თუ აღმოჩნდება, რომ

ერთი და იგივე სარჩელი აღძრულია იმავე ან სხვა სასამართლოში (ეს კი სავსებით მოსალოდნელია ალტერნატიული განსჯადობის დროს), ერთ-ერთმა სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს იმ სასამართლომ, რომელშიც უფრო გვიან შევიდა სარჩელი. ამის გარკვევა არ წარმოადგენს სირთულეს, თუ მიღებულია განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. თუ ასეთი განჩინება არ იყო მიღებული, მაშინ უნდა გაირკვეს, რომელ სასამართლოში უფრო ადრე გავიდა 5 დღე სარჩელის შემოსვლიდან, რომლის გასვლის შემდეგ სარჩელი წარმოებაში მიღებულად ითვლება (სსკ 183-ე მუხლი).

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც მთავრდება საქმის წარმოება. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, მოსარჩელეს შეუძლია კვლავ აღძრას იგივე სარჩელი საერთო წესის დაცვით.

ნაკვეთი მესამე ბამარტიკვებული წარმოება

თავი XVII

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩევების განხილვა

§1. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩევების განხილვის თავისებურებანი

I. განსჯალობა

თამასუქი — ესაა ფასიანი ქალაღი, ღოკუბენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.

ჩეკი — ესაა დადგენილი ფორმის ფასიანი ქალაღი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.¹²⁶

სსკ 301-ე მუხლის თანახმად ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესები. აქედან გამომდინარე, ყოველივე, რაც თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩევების განხილვასთან დაკავშირებით იქნება აღნიშნული მთლიანად განეკუთვნება ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩევების განხილვასაც.

სარჩელი თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ 294-ე მუხლი).

¹²⁶ თამასუქისა და ჩეკის ცნებათა ასეთი განმარტებები ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონებში „ჩეკის შესახებ“ და „თამასუქის შესახებ“. იხ. „ნორმატიული აქტების კრებული“ წიგნი III. თბ. 1996, გვ. 188 და 202

ამრიგად. თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების მიმართ დაშვებულია ალტერნატიული განსჯადობა, რომლის თანახმად არჩევანის გაკეთება შეუძლია თვითონ მოსარჩელეს.

II. თამასუქის შესახებ სარჩელების წარმოებაში მიღების წინაპირობები

თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელები ჩვეულებრივი სარჩელებია და ისინი უნდა პასუხობდნენ სარჩელის მიღების ყველა წინაპირობას. ამასთან ერთად სსკ-ს ითვალისწინებს გარკვეულ თავისებურებებს. ეს თავისებურებანი შემდეგში მდგომარეობს:

1. სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის თხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლომ ეს სარჩელი განიხილოს გამარტივებული წესით, როგორც ეს დადგენილია სსკ XXXIII თავით (სსკ 292-ე მუხლი).

2. სარჩელს თან უნდა დაერთოს თამასუქის ასლი. თუ ასეთი ასლი არ ერთვის სარჩელს, სასამართლო ვერ მიიღებს მას წარმოებაში გამარტივებული წესით განსახილველად. სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მოსარჩელეს ვადა ხარვეზის შესავსებად და თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, დატოვებს სარჩელს უმოძრაოდ (სსკ 185-ე მუხლი).

თამასუქის ასლის სარჩელთან ერთად წარდგენა არ ათავისუფლებს მოსარჩელეს მოვალეობისაგან წარმოადგინოს მთავარ სხდომაზე განხილვისას თამასუქის დედანი. ამ დედანის თამასუქის წარმოდგენლობას შეიძლება მოყვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა (სსკ 135-ე მუხლი).

3. ყველა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფაქტიურ გარემოებებს, რომლებიც საფუძველად უდევს სარჩელს, ასლების ან დედნის სახით უნდა დაერთოს სარჩელს.

მტკიცებულებებად დასაშვებია მხოლოდ წერილობითი დოკუმენტები და მხარეთა ახსნა-განმარტება.

4. მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი დოკუმენტები, რომლებითაც კანონის მოთხოვნათა მიხედვით შეიძლება დადასტურდეს ესა თუ ის ფაქტი. მაგალითად, თუ დასადგენია თამასუქის გადახდაზე უარი, ასეთი უარი შეიძლება დადასტურდეს „ოფიციალური ოქმით“ აქცეპტების ან გადახდაზე უარის პროტესტით.¹²⁷

¹²⁷ „თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი.

როგორც აღვნიშნეთ, გადაწყვეტილებას თამასუქის (ჩეკის) თაობაზე აღძრული სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ იღებს უშუალოდ მოსარჩელე. ამისათვის მას არ ჭირდება არც მოპასუხის და არც მოსამართლის თანხმობა. მთავარია მხოლოდ ის, რომ მან დაიცვას ამ წესით სარჩელის აღძვრისა და მისი წარმოების კანონით დადგენილი წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას მოსარჩელეს გამარტივებული წესით საქმის წარმოებაზე (როცა არ არსებობს ამ წესით საქმის წარმოების წინაპირობები).

მოსარჩელეს შეუძლია აგრეთვე უშუალოდ და ცალმხრივად, მოპასუხის თანხმობის გარეშე, უარი თქვას გამარტივებული წესით სარჩელის განხილვაზე ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე, ე.ი. გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუ მან განაცხადა ასეთი უარი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გამარტივებული წესით საქმის განხილვის შეწყვეტისა და ამ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესახებ.

ასეთი განჩინების მიღების შემთხვევაში სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმის განხილვა ისე როგორც ამას ითვალისწინებს სსკ მე-200-207-ე მუხლები, ხოლო მომზადების შემდეგ დანიშნოს სასამართლო სხდომა საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის მიზნით.

III. საქმის განხილვის გამარტივებული წესი

გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს ამ საქმის წინასწარი მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის არ ხდება. სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას და ატყობინებს ამის შესახებ მხარეებს, ე.ი. მოსარჩელეს და მოპასუხეს. კანონი განსაზღვრავს ვადას უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე. ეს ვადა სხვადასხვანაირია იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობენ მხარეები. თუ მხარეები ცხოვრობენ ან თუ მათი ადგილსამყოფელია იმ სასამართლოს ტერიტორია, რომელმაც უნდა განიხილოს სარჩელი გამარტივებული წესით, მაშინ უწყება მათ უნდა ჩაბარდეთ სასამართლოს სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე. მაგრამ, თუ უწყება უნდა ჩაბარდეს ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ეს ვადა განისაზღვრება მინიმუმ სამი დღით (სსკ 295-ე მუხლი).

როგორც ცნობილია კანონი ითვალისწინებს სარჩელების როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შეერთებას. მაგრამ კანონი კრძალავს თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების ან სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სხვა სარჩელებთან

შეერთებას (სსკ 298-ე მუხლი). კანონი კრძალავს აგრეთვე შეგებებული სარჩელების აღძვრას. ეს იმას ნიშნავს, რომ თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელებისაგან თავის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ შესაგებლით, მაგრამ არა შეგებებული სარჩელით.

მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება, თუ თვლის, რომ მისი უფლებები შეილახა ან ვერ განხორციელდა საქმის გამარტივებული წარმოების გამო. ასეთი მოთხოვნა მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს თავისი წერილობითი შესაგებლით, რომელიც წარმოადგენს საქმის დამატებითი წარმოების საფუძველს. საქმის დამატებითი წარმოების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოპასუხის წერილობითი შესაგებელი (პროტესტი) იმის მოთხოვნით, რომ ჩატარდეს საქმეზე დამატებითი წარმოება, ვერ შეაჩერებს ავტომატურად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების აღსრულება თავისი განჩინებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხემ მოითხოვა არა დამატებითი წარმოება, არამედ შემოიტანა სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება წარმოებს ისე, როგორც ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილებისა (სსკ 264-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს მოპასუხის თხოვნას საქმის დამატებითი წარმოების შესახებ, მაშინ სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმე და ჩაატაროს ასეთი დამატებითი საპროცესო მოქმედებები. დამატებითი წარმოების შედეგად შეიძლება გამოირკვეს რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველზე მიღებული და მოპასუხის მიერ გაპროტესტებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია. მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

მაგრამ, თუ დამატებითი წარმოების დროს გამოირკვევა, რომ გადაწყვეტილება არასწორია, რადგან ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო მოთხოვნა, მაშინ გამარტივებული წესით მიღებულ გადაწყვეტილებას აუქმებს მისი გამომტანი სასამართლო და თავისი გადაწყვეტილებით უარს ეუბნება მოსარჩელეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირდება შემდეგი შედეგები:

ა) სასამართლო ხარჯები დაეკისრება მოსარჩელეს (სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ბ) მოხდება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება, თუ იგი აღსრულებული იყო;

გ) მოსარჩელეს დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულებით;

დ) მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საქმის დამატებითი წარმოების პროცესში.

თავი XVIII

დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი (გადახდის ბრძანების მიღება)

§1. დავალიანების გადახდევინების გამარტივებული წესით განხილვის მიზანი და საფუძვლები

I. მიზანი

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების გარდა, გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს დავალიანების გადახდევინების თაობაზე აღძრული საქმეებიც. გამარტივებულად საქმის განხილვას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: მცირდება საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები და მეორე, ფიზიკური თუ იურიდიული პირი სწრაფად აღწევს თავისი უფლების დაცვას (აღდგენას). საქმე ისაა, რომ გამარტივებული წარმოების დროს არ გამოიყენება სასამართლო წარმოების რთული პროცედურა, საქმე განიხილება სწრაფად და ოპერატიულად. ამასთან ერთად, ცხადია ისიც, რომ საერთოდ გამარტივებული წარმოების დროს და, კერძოდ, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა გამარტივებული წარმოების დროს, შეიძლება დაშვებულ იქნეს შეცდომები და განმცხადებელს სასამართლომ შეიძლება მიაკუთვნოს მოპასუხისაგან ის, რისი მიკუთვნების უფლებაც მას სინამდვილეში არ ჰქონდა.

ასეთი შეცდომების დაშვების შესაძლებლობას ითვალისწინებს კანონმდებელი და უფლებას ანიჭებს მოპასუხეს მოითხოვოს საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა და გადაწყვეტა, თუ, ცხადია, იგი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ გამოტანილ გადახდის ბრძანებას.

II. დასაშვებობა

დავალიანების ამოღების შესახებ საქმის გამარტივებული წესით წარმოების პირველი ეტაპი იწყება განცხადების დასაშვებობის შემოწმებით. ასეთი შემოწმების მიზნით სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა ასეთი წარმოებისათვის დასაშვებობის პირობები.

ეს პირობებია:

1) მოითხოვს თუ არა განმცხადებელი ფულადი თანხის გადახდევინებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ განმცხადებელი მოითხოვს არა ფულადი თანხის გადახდევინებას, არამედ მოპასუხისაგან რაიმე ნივთის გადაცემას, რაიმე სამუშაოს შესრულებას და ა. შ. მაშინ გამარტივებული წარმოება ამ თავით გათვალისწინებული წესებით არ დაიშვება. ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისია ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე აღძრულ საქმეთა განხილვა გამარტივებული წესით, რის შესახებაც იხ. მომდევნო თავი XIX.

2) ხომ არ არის მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დავალიანების გადახდევინების ვალდებულება მოპასუხის მიმართ წარმოიშობა მას შემდეგ, როცა განმცხადებელი შეასრულებს თავის ვალდებულებას მის მიმართ. საილუსტრაციოდ შეიძლება მიუთითოთ სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის თანახმად პირი, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე „საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე“.¹²⁸

3) ხომ არ არის იმის აუცილებლობა, რომ გადახდის ბრძანება ეცნობოს მოპასუხეს საჯარო გამოცხადების გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადახდის ბრძანება ვერ აღსრულდება, თუ არ არის ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი ან თუ იგი იმყოფება ხანგრძლივ და შორეულ მივლინებაში.

4) პასუხობს თუ არა განცხადება გადახდის ბრძანების მიღების შესახებ კანონის მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ 303-ე მუხლით. თუ არ არსებობს გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების (გადახდის ბრძანების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსკ 305-ე მუხლი).

III. გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების შინაარსი

გადახდის ბრძანება სასამართლოს შეუძლია მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის თხოვნით და ეს თხოვნა ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული განცხადებაში. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 303-ე მუხლში, რომლის თანახმად დავალიანების გადახდის ვალდებულების

¹²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001 წ., გვ. 298.

შესახებ განცხადება მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღებას (გადახდის ბრძანება).

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლოს არ შეუძლია საერთო სასარჩელო წესით აღძრული მოთხოვნა მოპასუხეზე ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ გადაზარდოს გამარტივებულ წარმოებაში და გადაწყვეტილების ნაცვლად გამოიტანოს გადახდის ბრძანება.

გარდა იმ საერთო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ყოველგვარი განცხადება, (სასამართლოს დასახელება, მხარეთა დასახელება და მათი მისამართი და ა.შ.) გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სხვა მონაცემებსაც.

ასეთი მონაცემებია:

1) რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებს ემყარება განმცხადებლის ძირითადი მოთხოვნა დავალიანების გადახდევინების შესახებ, აგრეთვე, თუ წამოყენებულია დამატებითი მოთხოვნები ძირითადთან ერთად, მაშინ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს რომელ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძველს ემყარება ეს დამატებითი მოთხოვნა.

მაგალითად: პროცენტი, რომელიც კანონის ან ხელშეკრულების ძალით უნდა გადაიხადოს მოვალემ (სამოქ. კოდექსის 384-ე მუხლი), იქნება დამატებითი მოთხოვნა.

2) რა მტკიცებულებებს ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა, რომლებიც დამოწმებული სახით აუცილებლად უნდა ერთვოდეს განცხადებას გადახდის ბრძანების მიღების შესახებ. დასაშვებია მხოლოდ სათანადოდ გაფორმებული წერილობითი დოკუმენტები.

მაგალითად: თუ ძირითადი ვალდებულება ემყარება სესხის ხელშეკრულებას, განცხადებას უნდა ერთვოდეს ეს ხელშეკრულება, ასევე, თუ დამატებითი ვალდებულება (მაგალითად, პროცენტების სახით) ემყარება მხარეთა შორის შეთანხმებას, ეს შეთანხმება წერილობითი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

3) მითითება იმის შესახებ, რომ მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულება უკვე შესრულებულია.

მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის

დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების უფლებას, აქედან გამომდინარე, თუ მოვალე ინარჩუნებს კრედიტორისაგან საპასუხო შესრულების მიღების უფლებას, ამ კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს გადახდის ბრძანების მიღება.

განცხადების მიღებაზე უარისთქმა. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების კანონის შესაბამისად ჩამოყვალბებლობას უკავშირდება სერიოზული უარყოფითი შედეგები: სასამართლომ არ უნდა მიიღოს ასეთი განცხადება განსახილველად, რის შესახებაც მას გამოაქვს განჩინება „დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების (გადახდის ბრძანების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ“.

ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს საფუძველი, რის გამოც უარი ეთქვა განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, რადგან იგი არ შეიცავს „მონაცემებს იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარეობენ განმცხადებლის მოთხოვნები“ (303-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

აღსანიშნავია ისიც, რომ განცხადებაში მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველზე მითითება არ კმარა. ეს საფუძველი, ჯერ ერთი – იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას, ე. ი. კანონი ამ ფაქტობრივ გარემოებებს უნდა უკავშირებდეს იმ შედეგს, რისი დადგომაც სურს განმცხადებელს და მეორე – განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტური მტკიცებულებები.

განჩინებაში, რომლითაც უარი ეთქვა განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, ზემოთ აღნიშნული მოტივით, მითითებული უნდა იყოს ამის შესახებ.

კანონის კატეგორიული მოთხოვნის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, თუ წინასწარ არ მოუსმინა განმცხადებელს (სსკ 303-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

– განცხადების მიღებაზე უარისთქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

განსჯადობა. გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებაზე ვრცელდება განსჯადობის საერთო წესები და იგი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

¹²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001 წ., გვ. 446

§2. გადახდის ბრძანება

I. გადახდის ბრძანების შინაარსი

გადახდის ბრძანება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მისი შინაარსი უნდა პასუხობდეს სსკ 306-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გადახდის ბრძანება უნდა შეიცავდეს:

- სასამართლოს დასახელებას, რომელმაც ეს ბრძანება მიიღო;
- მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებას;
- მითითებას იმის შესახებ თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან წამოყენებული მოთხოვნები დააკმაყოფილა სასამართლომ;
- რომელ წერილობით მასალებს დაემყარა სასამართლო დაკმაყოფილებული მოთხოვნის დასაბუთების მიზნით;
- მითითებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ შეუძლოა აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება;
- მითითებას იმის შესახებ, რომ გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის მანძილზე მოვალემ (მოპასუხემ) გადაიხადოს ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად, თუ იგი პრეტენზიას დასაბუთებულად მიიჩნევს, ანდა შემოიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი (პროტესტი);
- მითითებას იმის შესახებ, რომ გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულებისათვის გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, თუ მოპასუხე არ შემოიტანს შესაგებელს.

ასეთია ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გადახდის ბრძანება.

როგორც აღვნიშნეთ გადახდის ბრძანების მიღება წარმოებს მოპასუხის შეტყობინების გარეშე. ამიტომ, იმ წერილობითი მასალების შემოწმება, რომელიც თან უნდა ერთვოდეს განცხადებას, მათი უტყუარობის თვალსაზრისით შეუძლებელია.

სამაგიეროდ მოპასუხეს ეძლევა სრული შესაძლებლობა შეიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი, თუ იგი არ ცნობს განმცხადებლის მოთხოვნას, მიიჩნევს ამ მოთხოვნას უმართებულოდ და დაუსაბუთებლად.

II. გადახდის ბრძანების გადაცემა მოპასუხისათვის

საქმის წარმოება გამარტივებული წესით დავალიანების ამოღების შესახებ მიმდინარეობს მოპასუხის გარეშე. ამიტომ, ეს წესი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის სრულ შესაძლებლობას. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ჩააბაროს მოვალეს (მოპასუხეს) გადახდის ბრძანება (სსკ 306-ე მუხლის მე-2 ნაწ.). მაგრამ, თუ მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების ჩაბარება შეუძლებელია ამა თუ იმ მიზეზის გამო (ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინება, არაა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი და ა.შ.), სასამართლომ საერთოდ არ უნდა გამოიტანოს გადახდის ბრძანება, ხოლო თუ გამოიტანს, მისი აღსრულება ვერ განხორციელდება. ამით, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით წარმოება განსხვავდება საერთო სასარჩელო წესით საქმის განხილვისაგან, რომლის დროს თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, უწყება შეიძლება ჩაბარდეს მისი ოჯახის წევრს, თვითმმართველობის ორგანოს, მისი უკანასკნელი საშუალო ადგილის ადმინისტრაციას და ა.შ. უწყება ითვლება ჩაბარებულად ასეთ შემთხვევაში და სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

სასამართლო თავისი ინიციატივით ატყობინებს აგრეთვე განმცხადებელს გადახდის ბრძანების მოპასუხისათვის გადაცემის შესახებ. ასეთი წესი საშუალებას აძლევს განმცხადებელს მოითხოვოს გადახდის ბრძანების აღსრულება, თუ მოპასუხე ცნობს გადახდის ბრძანებას, მაგრამ თუ იგი არ ცნობს გადახდის ბრძანებას და შემოიტანს შესაგებელს განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს საქმის სასარჩელო წესით განხილვა.

III. გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის განხილვა საერთო სასარჩელო წესით

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გვაკეთოთ დასკვნა: მოვალის (მოპასუხის) ინტერესების დაცვა საქმის გამარტივებული წესით განხილვისას ძირითადად ორი საპროცესო საშუალებით ხდება: თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია და მას გადახდის ბრძანება ვერ ჩაბარდება უშუალოდ — სასამართლომ არ უნდა გამოიტანოს გადახდის ბრძანება ან, თუ გამოიტანა — მისი აღსრულება დაუშვებელია და, მეორე — მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს გადახდის ბრძანება მთლიანად ან ნაწილობრივ და შემოიტანოს მის წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი). ასეთი შესაგებლის შეტანა მას

შეუძლია 10 დღის ვადაში. ამ ვადის ათვლა კი უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როცა მოპასუხეს გადაეცა გადახდის ბრძანება. მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების ჩაბარების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა იყოს საქმეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხემ გაუშვა შესაგებლის შეტანის 10 დღიანი ვადა, ეს ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ (სსკ 65-ე მუხლი), ოღონდ მოპასუხემ უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ ვადის გაშვება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

შესაგებლის დროულად შეტანას შეიძლება მოყვეს გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

„გამარტივებული წარმოების წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილული და გადაწყვეტილი იქნეს საერთო სასარჩელო წესით“.

სასარჩელო წესით საქმის განხილვისათვის საჭირო არაა, ნაცვლად განცხადებისა გადახდის ბრძანების მიღების შესახებ, განმცხადებელმა შემოიტანოს სარჩელი. სასამართლო საერთო სასარჩელო წესით განიხილავს დავალიანების გადახდევინების განცხადებით აღძრულ მოთხოვნას, რისთვისაც ამზადებს მას სსკ მე-200-209-ე მუხლების განსაზღვრული წესით.

ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია საქმის ზეპირ განხილვამდე დაევალოს მხარეებს შეასრულონ გარკვეული საპროცესო მოქმედებები, კერძოდ წარმოადგინოს განმცხადებელმა დამატებითი დასაბუთება თავისი მოთხოვნისათვის, წარმოადგინოს მოპასუხემ წერილობითი შესაგებელი, მიუთითონ და წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები და ა.შ.

ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი გადახდის ბრძანების მიღებისათვის გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე სარჩელისათვის (სსკ 39-ე მუხლი), განმცხადებელმა ბაჟი დამატებით უნდა შეიტანოს, რაც შეიძლება განისაზღვროს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებითაც, რათა არ დაბრკოლდეს საქმის განხილვა.

**ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე
საქმის განხილვის გამარტივებულ წესს**

**§1. განცხადება ლიზინგის საგნის მისი გამცემისათვის
დაბრუნების თაობაზე**

გამარტივებული წესით შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ ლიზინგის ხელშეკრულებით გადაცემული საგნის (ქონების) მისი გამცემისათვის დაბრუნების საკითხი. გამარტივებული წესით განცხადება შეიძლება განიხილოს სასამართლომ მხოლოდ იმ პირობით, თუ განმცხადებელი ამას მოითხოვს სასამართლოსაგან (სსკ 309²-ე მუხლი).

კანონი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს, მის სავალდებულო რეკვიზიტებს. ეს განცხადება, გარდა ყველა სხვა მონაცემებისა, რაც საერთოა სასამართლოში წარდგენილი განცხადებებისათვის უნდა შეიცავდეს: ა) იმ საგნის დასახელებას (აღწერას), რომელიც იმყოფება ლიზინგის მიმღების მფლობელობაში და რომლის დაბრუნებასაც განმცხადებელი მოითხოვს; ბ) მითითებას, თუ რომელი ვალდებულებით (ხელშეკრულებით) გადაეცა ლიზინგის მიმღებს საგანი, რომლის დაბრუნებასაც ლიზინგის გამცემი მოითხოვს; გ) მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მოთხოვნას. ცხადია, რომ ამ მტკიცებულებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიზინგის ხელშეკრულებას, რომელიც სამოქ. კოდექსის 577-ე მუხლის თანახმად წერილობითი ფორმით იდება.

სსკ 309²-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად განცხადებაში „აღნიშნული უნდა იყოს“ წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე სადავო საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღება. ამიტომ, ეს მტკიცებულებები, სინამდვილეში, უნდა ერთვოდეს განცხადებას, მით უმეტეს, რომ ბრძანების მიღების საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს უმოკლეს ვადაში. ამ მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს განცხადების განხილვის ვადას. ეს ვადა არის 3 დღე და მისი ათვლა იწყება არა განცხადების შემოტანის დღიდან, არამედ მისი წარმოებაში მიღების დღიდან (სსკ 309⁴-ე მუხლი).

განსჯადობა. სსკ 309¹-ე მუხლის თანახმად განცხადება ლიზინგის საგნის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე შეიტანება სასამართლოში სსკ-ით დადგენილი წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. მაგრამ, თუ ხელშეკრულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებითი ურთიერთობის არსით. თუ შესრულების ადგილი არც თვითონ ხელშეკრულებიდან და არც მისი შესრულების არსიდან არ გამოდინარეობს, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ადგილი ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იქნება ის ადგილი, სადაც ეს საგანი იმყოფებოდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – ადგილი, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ხოლო თუ ასეთიც არ არის მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი).¹³⁰

განცხადების უმოძრაოდ დატოვება. ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადების ფორმისა და შინაარსის კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩამოყალიბებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუ ეს განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, ხოლო, თუ ამ განჩინებით დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული სასამართლო გამოიტანს მეორე განჩინებას ამ განცხადების უმოძრაოდ დატოვების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს სსკ 309⁴-ე მუხლი.

§2. სასამართლოს ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ

სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ ერთი სახის ბრძანება – განმცხადებლისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ. ასეთი ბრძანება მას გამოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადების განმხილველი სასამართლოს

¹³⁰ ზ. ახვლედიანი. ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ. 1999 გვ. 46-47

რწმენით მტკიცებულებები, რომლებიც თან ერთვის განცხადებას ადასტურებენ მოთხოვნას. ეს ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

სასამართლოს ბრძანებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას. ცხადია, რომ საჩივრის განმხილველ სასამართლოს შეუძლია, თუ მას ეს მიზანშეწონილად მიაჩნია, დროებით შეაჩეროს ბრძანების აღსრულება (სსკ 418-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ სასამართლო ბრძანებაზე შეტანილი კერძო საჩივარი განიხილება 414-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.¹³¹

¹³¹

უნდა აღინიშნოს, რომ XXXIV¹ თავი, რომელიც დაემატა სსკ-ს 2002 წლის 7 მაისის კანონით, არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ შეიცავს რაიმე მითითებას გამარტივებული წესით განცხადების განხილვაში მოპასუხის მონაწილეობის შესახებ. ეს თავი არ შეიცავს აგრეთვე მითითებებს იმ გარანტიების შესახებ, რომლებიც მინიჭებული აქვს მოვალეებს (მოპასუხეებს) დაევალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების გამარტივებული წარმოების დროს, მაგრამ, რაზან ასეთი გარანტიები არ არსებობს უნდა ვიფიქროთ, რომ ლიზინგის საგნის თაობაზე განცხადების განხილვაში მონაწილეობისათვის შეტყობინება უნდა გაეგზავნოს განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეს (მოპასუხეს). რათა მან შეძლოს დაიცვას თავისი უფლებები.

ნაკვეთი მეოთხე

უღავო წარმოება

თავი XX

უღავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები

§1. უღავო წარმოების ცნება

უღავო წარმოება არის სასამართლო წარმოების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახე, რომელიც განსხვავდება როგორც სასარჩელო წარმოებისაგან, ისე გამარტივებული წარმოებისაგან. ეს განსხვავება, თავის მხრივ, განაპირობებს თავისებურებას, რომელიც უღავო წარმოებას ახასიათებს და რომელიც მდგომარეობს შემდეგში;

1. ამ კატეგორიის საქმეზე არაა დავა მხარეთა შორის უფლების შესახებ. ამიტომ, სასამართლოს ამოცანაა არა მხარეთა შორის დავის განხილვა გადაწყვეტა, არამედ ამა თუ იმ ფაქტის დადგენა-დადასტურება.

2. უღავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის დროს არის მხოლოდ განმცხადებელი და არ არიან მოდავე მხარეები, კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, თანამონაწილეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უღავო წარმოება არის ერთმხარიანი (ერთპირიანი) წარმოება. ამიტომ, აქ არ გამოიყენება საქმეთა განხილვის ის წესები, რომლებიც განპირობებულია პროცესში მოდავე მხარეთა, მესამე პირთა, თანამონაწილეთა მონაწილეობით. აქ არ გამოიყენება აგრეთვე პროცესის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სარჩელზე უარისთქმა, სარჩელის ცნობა, მხარეთა მორიგება და ა.შ.

3. უღავო წარმოების საქმეთა აღძვრა ხდება არა სარჩელით, არამედ განცხადებით, რომლის შინაარსი და მიზანი არსებითად განსხვავდება სასარჩელო განცხადებისაგან, აგრეთვე განცხადებისაგან სასამართლო ბრძანების მიღების შესახებ.

4. თუ საქმის უღავო წარმოების დროს აღძვრის დავა, სასამართლომ თავისი განჩინებით განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება და ურჩიოს განმცხადებელს აღძრას სარჩელი საერთო წესის დაცვით;

5. უღავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას გამოიყენება სსკ-ით

დადგენილი საქმეთა განხილვის საერთო წესები, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვისაა დადგენილი (სსკ VI კარი).

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს სსკ 310-ე მუხლი, რომლის თანახმად ამ წესით სასამართლოები განიხილავენ საქმეებს: ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ; ბ) მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; გ) მოქალაქის ქმედუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ; დ) დაკარგულ ფასიან ქალღმერთსა და საორდერო ფასიან ქალღმერთს უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება); ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ; ე) შეილად აყვანის შესახებ.

ამრიგად, უდავო წარმოება – ესაა სასამართლო წარმოების დამოუკიდებელი სახე, რომელიც განპირობებულია ამ წესით განსახილველ საქმეთა თავისებურებით, რომელიც გამოიხატება დავისა და მოღვაწე მხარეთა არარსებობით.

§2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

იურიდიული ფაქტები, ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც კანონი უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. აქედან გამომდინარე, თუ ფაქტს, რომლის დადგენაც სურს განმცხადებელს, არ უკავშირდება რაიმე იურიდიული შედეგი, სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად.

– ფაქტს შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე იურიდიული შედეგი და ამიტომ ასეთი ფაქტი იურიდიული ფაქტია, მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს განცხადება ამ ფაქტის დადგენის მიზნით ეს არაა საკმარისი. ამისათვის საჭიროა, რომ დასადგენ ფაქტს უკავშირდებოდეს სწორედ ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს განმცხადებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად.

სსკ 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს იმ იურიდიული ფაქტების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც შეუძლია დაადგინოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით. ეს ფაქტებია:

ა) პირთა ნათესაური კავშირი. ნათესაურ კავშირს, მაგალითად, შეილობის, შეილიშვილობის, მშობლობის და ა. შ. ფაქტს აქვს იურიდიული მნიშვნელობა, რადგან უკავშირდება იურიდიული შედეგი, კერძოდ, მემკვიდრეობა, რჩენის მოვალეობა და სხვა. განმცხადებელმა უნდა მიუთითოს განცხადებაში იური-

დიული ფაქტის დადგენის შესახებ, თუ რა მიზნისათვის სჭირდება მას ამ ფაქტის დადგენა. თუ აღმოჩნდება, რომ განმცხადებელს უნდა ნათესაური კავშირის დადგენა ისეთი მიზნისათვის, რომლისთვისაც ამ ფაქტს არ აქვს რაიმე მნიშვნელობა (მაგალითად, ბინების გადაცვლისათვის, თანამდებობის დაკავებისათვის, სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისათვის და ა. შ.), მაშინ სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად (315-ე მუხლი).

ბ) კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი. ეს ფაქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაადგინოს სასამართლომ, როდესაც ამ ფაქტს კანონი უკავშირებს განმცხადებლისათვის სასურველ შედეგს. მაგალითად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირს, რომლის რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა (სამოქ. კოდექსის 1006-ე მუხლი).

გ) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ და მხოლოდ დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტი, ე. ი. ფაქტი იმის შესახებ, რომ დაბადება იყო რეგისტრირებული, შვილად აყვანა იყო რეგისტრირებული, ქორწინება იყო რეგისტრირებული და ა. შ. მაგრამ არქივი (ჩანაწერები რეგისტრაციის შესახებ) განადგურდა ომბანობის გამო, ხანძრისა თუ რაიმე სტიქიური უბედურების გამო.

განცხადება ამ ფაქტების დადასტურების შესახებ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ერთვის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებიდან (მროს) ცნობა იმის შესახებ, რომ მათ არ შეუძლიათ გასცენ შესაბამისი დოკუმენტის დუბლიკატი არქივის განადგურების გამო.

დ) უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენა. პირები ფართოდ სარგებლობენ ამა თუ იმ დოკუმენტით, როგორცაა მაგალითად, შრომის წიგნაკი, ცნობა მუშაობის შესახებ, განათლების თუ სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა. შ. რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. ზოგჯერ ამ დოკუმენტებში მითითებული სახელი, მამის სახელი, გვარი, არ ემთხვევა პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია სახელის შემოკლებით აღნიშვნა (მაგალითად, გოგა გიორგის ნაცვლად, ლექსო ალექსანდრეს ნაცვლად და ა. შ.). ზოგჯერ მოქალაქეები იცვლიან თავიანთ გვარს, მაგრამ არ ცვლიან დოკუმენტს და ა. შ.

არასწორია პრაქტიკა, როდესაც სასამართლოები თავიანთი გადაწყვეტილებით ადგენენ არა დოკუმენტის პირისაღმი კუთვნილების ფაქტს, როგორც ეს მითითებულია ამ პუნქტში, არამედ იმ პირთა იგივეობის ფაქტს, რომლებიც სხვადასხვანაირად არიან მოხსენიებული გადაწყვეტილებაში. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „შრომის წიგნაკში მითითებული გოგი ნიჟარაძე და პასპორტში მითითებული გიორგი ნიჟარაძე – ერთი და იგივე პირია“, ან კიდევ „ნ. ბ. ქარაზანაშვილი და ნ. ბ. ქარაზანაშვილი – ერთი და იგივე პირია“. კანონის შესაბამისი იქნება ასეთი ფორმულირება გადაწყვეტილებაში: „შრომის წიგნაკი გაცემული 2000 წლის 15 იანვარს გოგი ნიჟარაძის სახელზე ეკუთვნის გიორგი ნიჟარაძეს“, ან კიდევ „თსუ-ს მიერ ა. ნ. შენგელიას სახელზე 1955 წელს გაცემული №5 დიპლომი ეკუთვნის ა. ნ. შენგელიას“.

ე) საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არა ნივთის ფლობის ფაქტი (ფაქტობივი მფლობელობა), არამედ „საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტი“. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი ფლობს ნივთს ფაქტიურად და ამას არ სჭირდება დადგენა, განმცხადებელს უნდა დაუდგინდეს მხოლოდ ის, რომ ნივთს, რომელსაც ის ფლობს, ფლობს მას საკუთრების უფლებით.

– ამასთან ერთად, უდავო წარმოების წესით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არა ნივთებზე პირის უშუალოდ საკუთრების უფლება, არამედ ის, რომ განმცხადებელს გააჩნდა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც დაიკარგა, ხოლო ჩანაწერები მარეგისტრირებელ ორგანოში გარკვეული მიზეზების გამო (ხანძარი, სტიქიური მოვლენები, საომარი მდგომარეობა და ა. შ.) განადგურდა.¹³²

სასამართლო არ ანიჭებს პირს საკუთრების უფლებას ნივთზე. სასამართლო მხოლოდ ადგენს პირის საკუთრების უფლებას ნივთზე, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ, მაგრამ აღარ შეუძლიათ დაადასტურონ ეს, ვინაიდან შესაბამისი ჩანაწერები განადგურებულია.

– განცხადება საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განსახილველად მხოლოდ 313-ე მუხლით დადგენილი წესით.

¹³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი 2001-2002. ობ. 2003, გვ. 74

ვ) უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენა. მხედველობაშია წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა, რომლის შესახებ შესაბამის აქტს ადგენს შრომის ტექნიკური ინსპექციები, რაც გათვალისწინებულია „დებულებით წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამოძიებისა და აღრიცხვის შესახებ“.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტი მხოლოდ მაშინ, როცა ამ ფაქტის დადგენა სხვა წესით გამორიცხულია ან იმის გამო, რომ თავის დროზე ეს არ განხორციელდა, ხოლო ახლა უკვე დაგვიანებულია, ან თავის დროზე უბედური შემთხვევის შესახებ შესაბამისი აქტი შედგა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო იგი დაიკარგა (განადგურდა).

განცხადებას უბედური შემთხვევის ფაქტების დადგენის შესახებ აუცილებლად უნდა დაერთოს საწარმოს ადმინისტრაციის ცნობა, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა, იმის შესახებ, რომ ამ ფაქტის დადგენა არასასამართლო წესით ამ ეტაპზე უკვე შეუძლებელია.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ უბედური შემთხვევის ფაქტი, რასაც შედეგად მოყვა საწარმოო ტრავმა. რაც შეეხება შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზს და ხარისხს, ინვალიდობის მიზეზსა და ინვალიდობის ჯგუფს – უდავო წარმოების წესით სასამართლო არ ადგენს. ამ ფაქტებს ადგენს საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიები.

ზ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენა, როცა მრო-მ უარი თქვა რეგისტრაციაზე. განცხადებას პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თან უნდა ერთვოდეს მმრო-ს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი უარს ამბობს ამ ფაქტის რეგისტრაციაზე, აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით, თუ სანოტარო ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს მემკვიდრეობის მიღების უფლების მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ განმცხადებელს არ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტს, როგორცაა, მაგალითად, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის

ქეთორები, საბინაო კომპუნალური მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ქეთორები, მეზობლების წვრილობითი ახსნა-განმარტებები და ა. შ. თუ ასეთი ღოკუმენტები წარუდგინა განმცხადებელმა ნოტარიუსს, მაგრამ მან ისინი არასაკმარისად ჩათვალა, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საჩივრით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

იურიდიული ფაქტების ამ მუხლში მოცემული ჩამონათვალი არაა ამომწურავი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ფაქტი შეიძლება დაადგინოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, უდავო წარმოების წესით არ შეიძლება დადგინდეს შრომის სტაუი, შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზი და ხარისხი, ინვალიდობის ჯგუფი, შეიარაღებულ ნაწილებში ნამდვილი სამსახურის გავლა, ფრონტზე ყოფნა ან საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, ჭრილობის მიღება საომარ მოქმედებაში მონაწილეობის დროს, მოქალაქეთა ასაკი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება და სხვა.

იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების მიღება განსახილველად დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა გზით ამ ფაქტის დადგენა ნამდვილად შეუძლებელია იმის გამო, რომ შესაბამისი ჩანაწერები განადგურებულია, ხოლო მათი აღდგენა შეუძლებელია.

I. იურიდიული ფაქტის დადგენის წინაპირობები

სსკ 313-ე მუხლის თანახმად სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს დაადგენს მხოლოდ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ამავე კოდექსის 315-ე მუხლის თანახმად განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ უნდა შეიცავდეს იმ მიზანზე ნათლად და გასაგებად მითითებას, რისთვისაც ჭირდება განმცხადებელს იურიდიული ფაქტის დადგენა. ეს კანონის უმნიშვნელოვანესი დანაწესია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტი მართლა შეიძლება იყოს იურიდიული იმ თვალსაზრისით, რომ მას კანონი უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს, მაგრამ რა მიზნისათვისაც განმცხადებელი მოითხოვს ფაქტის დადგენას, ამ ფაქტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ან ფაქტს, რომლის დადგენას მოითხოვს განმცხადებელი, არ უკავშირდება ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს განმცხადებელს.¹³¹

¹³¹ ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა,

მაგალითად: *ანიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით, რათა მან დაადგინოს, რომ აწვარდაცვლილი დ-ონი არის მისი ლეიძლი ძმა. ამ ფაქტის დადგენა მას სურს, იმისათვის, რომ იყიდოს ავტომანქანა, რომელიც მის ძმას ეკუთვნოდა, შემკვიდრებისაგან. სასამართლომ არ მიიღო განცხადება, რადგან ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის ნათესაობას რაიმე მნიშვნელობა არ აქვს.*

იურიდიული ფაქტის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ სათანადო საბუთის მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას. ამასთან ერთად ეს მტკიცებულებები წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოში განცხადებასთან ერთად.

– თუ განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

1) მასში არაა მითითებული მიზანზე, რისთვისაც სჭირდება განმცხადებელს იურიდიული ფაქტის დადგენა;

ბ) მასში არაა მითითებული მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას;

გ) განცხადებას არ ერთვის (არაა წარმოდგენილი განცხადებასთან ერთად) ეს მტკიცებულებები, – მაშინ სასამართლომ უნდა მისცეს ვადა განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლო განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს (სსკ 185-ე მუხლი).

თუ განცხადების ხარვეზი გამოვლინდა მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიით.

II. სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ

– გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ უნდა პასუხობდეს ყველა მოთხოვნას, რასაც სასამართლო გადაწყვეტილება საერთოდ, მათ შორის, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებებზე.

რომ განცხადებაში იმ მიზანზე მითითება, რისთვისაც განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდება, წარმოადგენს განცხადების მიღების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2001-2002, გვ. 73.

რომელთა საფუძველზე სასამართლომ გააკეთა დასკვნა ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ, აგრეთვე ფაქტზე, რომელიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად.

– თუ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ისეთი ფაქტის შესახებ, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ამა თუ იმ ორგანოში, მაშინ გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს ასეთი რეგისტრაციისათვის და გაფორმებისათვის. მაგალითად, თუ გადაწყვეტილებით დადგენილია ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების და ა. შ. რეგისტრაციის ფაქტი, მშრომ რეგისტრაცია უნდა გაუკეთოს ამ ფაქტს, რადგან უშუალოდ გადაწყვეტილება ვერ შეცვლის გასაცემ დოკუმენტს.

– რასან იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება განდეს საფუძველი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტის რეგისტრაციისათვის და გაფორმებისათვის, სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას, რადგან ფაქტის რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება სწორედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით უნდა მოხდეს.

– სსკ-ის XXXVI თავი, რომელიც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას ეძღვნება, არ ითვალისწინებს ამ ფაქტების დადგენის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება.

უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს სსკ-ით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ამ თავით (სსკ 311-ე მუხლის პირველი ნაწ.).

აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში.

– კანონის მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით, ვერ გავრცელდება უდავო წარმოების წესით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, რადგან ასეთი წარმოების დროს არის მხოლოდ განმცხადებელი და არ არიან მხარეები მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თანამონაწილეები (თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები).

აქედან გამომდინარე, იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით შეილახა მათი უფლება.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ თავის განჩინებაში საკასაციო სასამართლომ მიუთითა:

– თუ იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულმა პირებმა გაიგეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, მოითხოვონ მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, თუ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ.¹³⁴

§3. მოქალაქის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება

1. სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადებით ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. კიდევ უფრო შეკვეცილი ვადებია, როცა პირი უზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ პირობებში.

განცხადება პირის უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეუძლიათ შეიტანონ დაინტერესებულმა პირებმა, მაგრამ თუ ვინ ითვლება დაინტერესებულ პირებად კანონში მითითებული არაა.

სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებას უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ

¹³⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ. 13 ივნისი, საქმე №3კ/681-02.

მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. პირის გარდაცვლილად აღიარების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით (მემკვიდრეებს). ამ პირებს, ე. ი. მემკვიდრეებს შეუძლიათ შეიტანონ განცხადება როგორც პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის, ისე მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

არ არის გამორიცხული, რომ არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არსებობენ, ასეთ შემთხვევაში ქონება (უმკვიდრო ქონება) გადადის ზაზინაზე, აქედან გამომდინარე, პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადება შეიძლება შეიტანოს სასამართლოში ზაზინამ.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მიზანზე, რისთვისაც განმცხადებელს ჭირდება მოქალაქის დაკარგულად აღიარება ან მისი გარდაცვლილად გამოცხადება.

მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს, როგორცაა; ქონების მინდობილი საკუთრებით მართვა, განქორწინება, ქონების მემკვიდრეობით მიღება (მემკვიდრეობის გახსნა), მარჩენალის სიკვდილის გამო პენსიის მიღება და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქის გამოცხადება გარდაცვლილად იწვევს იგივე იურიდიულ შედეგს, რასაც მოქალაქის გარდაცვალება (სამოქ. კოდექსის 1122-ე და 1319-ე მუხლები). მაგრამ უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად გამოცხადებას არ შეიძლება მიზნად ჰქონდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დევნის შეწყვეტა.

განცხადებაში გარდა მიზნისა, მითითებული უნდა იყოს ისეთ გარემოებაზე, რომლებიც ადასტურებენ უგზო-უკვლოდ დაკარგვას ან გარდაცვალებას. მაგალითად, სამისამართო ბიუროების უარყოფითი პასუხები, ასეთივე უარყოფითი ცნობები მისი ადგილსამყოფლის შესახებ სამუშაო თუ ბოლო ან სავარაუდო ადგილებიდან და ა. შ. თუ განცხადება მოითხოვს მოქალაქის გარდაცვლილად აღიარებას, მაშინ მითითებული უნდა იყოს გარემოებებზე, რომლებიც სიკვდილით ემუქრებოდა მოქალაქეს, მაგალითად, საავიაციო თუ ავტოკატასტროფები, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა. შ. (სამოქ. კოდექსის 22-ე მუხლი).

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს მეტად სერიოზულ სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ, სასამართლოს ვარაუდი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ქმნიან მაღალი ზარისხის ვარაუდს ამ ფაქტების შესახებ.

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას უკავშირდება მხოლოდ ერთი შედეგი: დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცემა სამართავად მის კანონიერ მემკვიდრეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, ის, ვისაც გადაეცა დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით, ვალდებულია დაიცვას სამოქალაქო კოდექსის 725-729-ე მუხლების მოთხოვნა. გამონაკლისია მხოლოდ ის, რომ ასეთ პირთან მინდობის ხელშეკრულების დადება აღარაა საჭირო, რადგან საკუთრების მიმნდობის როლში გვევლინება სასამართლო თავისი გადაწყვეტილების ძალით.

ცხადია, რომ გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ რა ქონება და ვის გადაეცა იგი სამართავად. გადაწყვეტილების აღსრულება, ე. ი. ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქონების გადაცემა მინდობილ მესაკუთრეზე, უნდა მოახდინოს აღმსრულებელმა.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში ამ პირის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის შეტანისათვის.

ამის შემდეგ, ამ ფაქტს უკავშირდება ყველა ის შედეგი, რაც პირის გარდაცვალებას საერთოდ.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგები. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება ყოველთვის ეფუძნება პრეზუმფციას (ვარაუდს). ამიტომ, ეს მუხლი უშვებს ამ ვარაუდის გაქარწყლების შესაძლებლობას. გაქარწყლება კი შეიძლება დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებულის გამოჩენით ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენით. ეს უნდა დადასტურდეს უტყუარად სასამართლოს წინაშე თვითონ ამ პირის გამოცხადებით, ან ოფიციალური ცნობით მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს იმ პირმა, ვისი განცხადებითაც პირი გამოცხადდა დაკარგულად ან გარდაცვლილად, სხვა დაინტერესებულმა პირმა (317-ე მუხლი) და ცხადია, თვითონ იმ პირმა, რომელიც გამოცხადებული იყო დაკარგულად ან გარდაცვლილად.

განცხადების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება (და არა განჩინება), რომლითაც აუქმებს ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას. ეს ახალი გადაწყვეტილება გადაეცემა მმროს, რომელიც მის საფუძველზე აუქმებს რეგისტრაციის წიგნში ამ პირის გარდაცვალების

შესახებ ჩანაწერს, რაც თავის მხრივ, იწვევს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, უქმდება ამ პირის ქონების მინდობილი საკუთრების უფლებით სხვა პირზე სამართავად გადაცემა (სამოქ. კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი).

§4. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება

I. საფუძველი

1. შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება არასრულწლოვანი შვიდიდან თერამეტ წლამდე, მაგრამ შეზღუდული ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი, რომელიც სასამართლომ აღიარა ასეთად.

შეზღუდულ ქმედუნარიანად პირის აღიარების შესახებ სასამართლოს შეიძლება მიმართონ ამ პირის ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. ეს ჩამონათვალი არის ამომწურავი და მისი გაფართოება დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს. ამიტომ, პირველ რიგში, მისი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი ამ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, შეიძლება მიმართონ სასამართლოს განცხადებით ორ შემთხვევაში: როდესაც ასეთ პირს არ ჰყავს ოჯახში სრულწლოვანი წევრი ან მათ მიმართავენ თხოვნით ოჯახის წევრები, შეუტანონ სასამართლოში განცხადება პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ.

2. ყოველი სრულწლოვანი პირი ითვლება ქმედუნარიანად, სანამ მისი ქმედუნარობა არაა აღიარებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სამოქ. კოდექსის მე-12 მუხლი).

გარდა ოჯახის წევრებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისა, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართონ ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში განცხადება შეაქვს არა ოჯახის წევრს, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ან ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებას, საქმის განხილვაში ჩაბმული უნდა იქნეს ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება პირის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ შეაქვს არაუფლებამოსილ პირს (ორგანოს), სასამართლომ არ უნდა მიიღოს ასეთი განცხადება, ხოლო თუ შეცდომით მიიღო, დატოვოს იგი განუხილველად (სსკ 275-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია დადასტურდეს არა მარტო ის, რომ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, არამედ ისიც, რომ ამის გამო იგი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს (სსკ 323-ე მუხლის პირველი ნაწ.).

ამიტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არა მარტო ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს, არამედ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებებიც ამ გარემოებათა დასადასტურებლად (ცნობები სამედიცინო დაწესებულებებიდან, საექიმო დასკვნები, მკურნალობის შესახებ ცნობები და ა. შ.). თუ განცხადება არ შეიცავს მითითებას ამ გარემოებებზე ან თუ მას არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა დაუნიშნოს განმცხადებელს ვადა ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, იგი გამოიტანს განჩინებას განცხადების უმოძრაოდ დატოვების შესახებ (სსკ 185-ე მუხლი).

განცხადება მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ ფსიქიკურ მოშლილობას, რის გამოც მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განავოს იგი. განცხადებას უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ პირის ფსიქიკურ მოშლილობას (ამონაწერი მისი ავადმყოფობის ისტორიიდან, ცნობები მის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის შესახებ, მოწმეთა ჩვენებები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ პირის ისეთი საქციელი, რომელიც არ ახასიათებს ჯანსაღ ადამიანს და ა. შ.). თუ განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, ან მას თან არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, სასამართლო დაუნიშნავს ვადას განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში დატოვებს ამ განცხადებას უმოძრაოდ (სსკ 185-ე მუხლი).

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო იხილავს განცხადებას პირის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების დროს, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა, თუ ეს მას მიაჩნია მიზანშეწონილად. ექსპერტიზის დანიშვნის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს

სსკ 162-176-ე მუხლებით, აგრეთვე სსკ 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ პუნქტით.

ექსპერტიზის წინაშე შეიძლება დაისვას ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, კერძოდ, არის თუ არა პირი ფსიქიკურად დაავადებული. მაგრამ ამ საკითხის გარკვევა არ კმარა. ფსიქიკური მოშლილობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პირს არ შესწევს უნარი სწორად იმოქმედოს და ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას. ამიტომ, ექსპერტის წინაშე უნდა დაისვას აგრეთვე საკითხი: ა) აქვს თუ არა პირს უნარი შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა (ინტელექტუალური ნიშანი); ბ) იხელმძღვანელოს (განაგოს) მითი (ნებელობითი ნიშანი).

ამ მონაცემების საფუძველზე დასკვნას პირის ქმედუნარობის, როგორც იურიდიული ცნების, შესახებ აკეთებს სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში.

ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე პირის იძულებითი გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირი თავს არიდებს ნებაყოფლობით შემოწმებას. განჩინება ამის შესახებ სასამართლოს გამოაქვს ფსიქიატრისა და პოლიციის თანამშრომელთა მონაწილეობით.

II. საქმის განხილვაში მონაწილე პირები

1. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებას წინ უნდა უსწრებდეს საქმის მომზადება. ამ მიზნით, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს უნდა გაეგზავნოს განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები, გამოთხოვილ იქნეს მისგან წერილობითი მოსაზრებები, გაეგზავნოს შეტყობინება კანონით დადგენილი წესით საქმის მთავარ სხდომაზე მისი შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვისა და მისი სავალდებულო მონაწილეობის შესახებ.

თუ ეს პირი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით (და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება). პოლიციის მეშვეობით ამ პირის გამოცხადების უზრუნველყოფა დაუშვებელია.

საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიზანშეწონილია მოწვეულ იქნეს (სასამართლოს ინიციატივით) შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს ენიშნება მზრუნველი (სსკ 326-ე მუხლი). ამიტომ, მათი მონაწილეობა საქმის განხილვაში სავალდებულოა, რის შესახებაც უნდა ეცნობოს ამ ორგანოებს კანონით დადგენილი წესით.

თუ, მიუხედავად ამისა, ამ ორგანოს წარმომადგენელი არ გამოცხადდება დანიშნულ დღეს სხდომაზე, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და განმეორებით შეატყობინოს მას და მის ზემდგომ ორგანოს, რომ მათი მონაწილეობა სავალდებულოა.

2. ქმედუნაროდ აღიარებულ მოქალაქეს ენიშნება მეურვე. ამიტომ, ამ საქმის განხილვისას ასევე სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა, რის შესახებაც დროულად უნდა ეცნობოს ამ ორგანოს. თუ, მიუხედავად ამისა, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება აღნიშნული ორგანოს წარმომადგენელი, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და შეატყობინოს ამის შესახებ ამ ორგანოს და მის ზემდგომ ორგანოს, რომლის ზემოქმედებითაც უნდა მოხდეს აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლის საქმის განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა. განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე. პოლიციის მეშვეობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა მიზანშეუწონელია.

პირი, რომელმაც შეიტანა განცხადება (განმცხადებელი) პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, განთავისუფლებულია როგორც სახელმწიფო ბაჟის, ისე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისაგან.

III. მეურვისა და მზრუნველის დანიშვნა

1. სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც პირი აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად, მითითებული უნდა იყოს, რომ ამ პირს დაენიშნოს მზრუნველი. მზრუნველს ნიშნავს არა უშუალოდ სასამართლო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის პირველი ნაწილი). კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლი).

2. ქმედუნაროდ სასამართლოს მიერ აღიარებულ პირს ენიშნება მეურვე. გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლო ვალდებულია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი დღისა აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საჭიროებს მეურვეს.

მეურვის დანიშვნის შესახებ მითითებული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში, მაგრამ მეურვეს ნიშნავს არა უშუალოდ სასამართლო,

არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლი).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებად გვევლინება, სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირისათვის – ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლი).

IV. შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმება და მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს, თვით მოქალაქის, მისი მზრუნველის, ოჯახის წევრის განცხადებით, გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების გაუქმების შესახებ.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა.

განცხადებას შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმების შესახებ თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოქალაქე, რომელიც აღიარებული იყო შეზღუდულ ქმედუნარიანად, უკვე განიკურნა. მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებული იყოს ცნობები შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებებიდან, მოწმეთა ჩვენებები, ოჯახის წევრთა ახსნა-განმარტებები და სხვა.

პირის ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა.

– ორივე შემთხვევაში, ე.ი. როცა სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების გაუქმების შესახებ, ან მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, არ ხდება ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ ხდება საქმის განახლება. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს, რომ უქმდება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება და მასზე მზრუნველობა, ან უქმდება მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარება და მასზე მეურვეობის დაწესება.

§5. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)

1. განცხადების შეტანა. სამოქალაქო კოდექსის 918-ე მუხლი ითვალისწინებს ფასიანი ქალაქის გამოცხადებას ძალადაკარგულად. ამის შესაბამისად, ეს მუხლი განსაზღვრავს საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის (სამოქ. კოდექსის 911-ე მუხლი) და საორდერო ფასიანი ქალაქის (სამოქ. კოდექსის 926-ე მუხლი) დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მათი ბათილად ცნობას, ძალადაკარგულად გამოცხადებას და მათზე უფლების აღდგენას,¹³⁵ რაც განიხილება უდავო წარმოების წესით (სსკ 311-ე მუხლი).

ფასიანი ქალაქის გამომშვები (ემიტენტი) ვალდებულია განმცხადებელს მიაწოდოს ცნობები, რომლებიც აუცილებელია სასამართლოსათვის ამ განცხადების განხილვასთან დაკავშირებით (სამოქ. კოდექსის 918-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქალაქის გამომშვები (ემიტენტი) არ ასრულებს ამ მოვალეობას და არ აწოდებს საჭირო ცნობებს განმცხადებელს, მაშინ მას შეუძლია სსკ 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოითხოვოს ეს ცნობები.

ფასიანი ქალაქები სხვადასხვა სახისაა. სასამართლოს წესით უფლების აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქალაქზე. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი ისეთი დოკუმენტია, რომელშიც არაა მითითებული ის კონკრეტული პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება. ამიტომ, ასეთი უფლება წარმოეშობა ნებისმიერ პირს, ვინც წარმოადგენს ფასიან ქალაქს. რაც შეეხება საორდერო ფასიან ქალაქს, იგი გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, მაგრამ იმის მითითებით, რომ ქალაქში გამოხატული მოთხოვნის უფლება აქვს არა მარტო მის პირველ მფლობელს, არამედ გარკვეული პირობების დაცვით, ნებისმიერ სხვა პირს.¹³⁶ რაც შეეხება ფასიანი ქალაქების ისეთ სახეობას, როგორიცაა პირადი ფასიანი ქალაქი, იგი განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტია და მხოლოდ ამ პირს აქვს მოთხოვნის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისთვის ასეთი

¹³⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბ., 2001, გვ. 250-270.

¹³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბ., 2001, გვ. 252.

უფლების გადაცემა, ან ქალაქში გამოხატული მოთხოვნის მიღება პრაქტიკულად გამორიცხულია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქ. კოდექსის 928-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს, რომ თუ პირადი ფასიანი ქალაქი „დაკარგული ან განადგურებულია, მაშინ იგი განსაკუთრებული (უდავო) წარმოების გზით ძალადაკარგულად გამოცხადდება, თუ კი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს წესი არ მოქმედებს მცირე ღირებულების მქონე დოკუმენტებს დაკარგვისას“.

სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIX თავი საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მაგრამ სანამ ასეთი დაზუსტება მოხდებოდა, სასამართლოებმა უნდა მიიღონ განსახილველად უდავო წარმოების წესით პირადი ფასიანი ქალაქის ძალადაკარგულად გამოცხადების (ბათილად ცნობის) შესახებ განცხადება.

გარდა ყველა იმ საეაღდებულო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოში წარსადგენი განცხადება, ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: ა) დაკარგული (განადგურებული) საბუთის განმასხვავებელი ნიშნები (საბუთის ნომერი, მისი გაცემის თარიღი, თანხის ოდენობა და ა. შ.); ბ) საბუთის გამკეში დაწესებულების ზუსტი სახელწოდება და მისამართი; გ) გარემოებები, რომელთა გამო, ან რომელთა არსებობის პირობებში მოხდა საბუთის დაკარგვა თუ განადგურება; დ) განმცხადებლის მოთხოვნა საბუთის ძალადაკარგულად (ბათილად) გამოცხადების და მასზე უფლების აღდგენის, აგრეთვე ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის აკრძალვის შესახებ.

განმცხადებელმა არ იცის ვის ხელშია დაკარგული ფასიანი ქალაქი. ეს რომ იცოდეს, მას შეეძლო შემოეტანა არა განცხადება, არამედ სარჩელი. ამიტომ, მას არ მოეთხოვება მიუთითოს დაკარგული საბუთის ხელთქონის მისამართი.

განმცხადებელმა უნდა დაურთოს თავის განცხადებას შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო ფასიანი ქალაქის გამკეში, თავის მხრივ, ვალდებულია მიაწოდოს მას ყველა ის საბუთი, რაც საჭირო იქნება სასამართლოსათვის (სამოქალაქო კოდექსის 918-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ხშირად, ფასიანი ქალაქის გამკეში დაწესებულებები არ იძლევიან ასეთ ცნობებს სასამართლოს მიმართვის გარეშე. ეს უნდა გაითვალისწინონ სასამართლოებმა განცხადების მიღების დროს.

ამასთან ერთად, თუ განცხადებას აქვს ისეთი ხარვეზი, რომლის შევსებაც განმცხადებელს შეუძლია, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება და დანიშნოს ვადა ამ ხარვეზის შესავსებად. თუ განმცხადებელი არ შეავსებს

ხარვეზს ამ ვადაში, სასამართლო მას უმოძრაოდ დატოვებს (სსკ 185-ე მუხლი).

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო ამზადებს საქმეს განსახილველად, რისთვისაც ის ასრულებს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედებას. პირველი, რაც უნდა გააკეთოს სასამართლომ განცხადების მიღებისთანავე – ესაა განჩინების მიღება საბუთის გამცემი პირისათვის ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ. ამ განჩინების ასე სწრაფად მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავიდან იქნას აცილებული გადახდისა და გაცემის არამართლზომიერად წარმოების შესაძლებლობა.

სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას განმცხადებელს გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვაზე, მაგრამ განმცხადებელს შეუძლია ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა (სსკ 414-420-ე მუხლები).

2. პუბლიკაციის განხორციელება. პუბლიკაცია სავალდებულოა და უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული. კერძოდ, პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;

ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;

გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;

დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ (სსკ 331-ე მუხლი).

პუბლიკაციის სავალდებულობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო ვერ განიხილავს განცხადებას და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, სანამ არ გავა სამი თვე პუბლიკაციიდან. ამ სამი თვის განმავლობაში, საბუთის ხელთქონემ უნდა განაცხადოს პუბლიკაციაში მითითებულ საბუთზე თავისი უფლების შესახებ. თუ ამ ვადაში ასეთი განცხადება შემოვა, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს საერთო სასარჩელო წესით (სსკ 333-ე მუხლი).

3. საქმის დანიშვნა განსახილველად. საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

სამთვიანი ვადის გამოთვლა იწყება არა იმ დღიდან, როცა სასამართლომ

გამოიტანა განჩინება პუბლიკაციის შესახებ, არამედ პუბლიკაციის დღიდან. პუბლიკაციის დღედ ითვლება იმ გაზეთის გამოშვების დღე (რიცხვი), რომელშიაც ეს პუბლიკაციაა მოთავსებული.

პუბლიკაციიდან სამთვიანი ვადის გასვლა არის განცხადების განხილვის დასაშვებობის პირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საბუთის ხელთმქონის მიერ განცხადება შემოვიდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ დანიშნა საქმის განხილვა, ან ამ საქმის განხილვამდე და გადაწყვეტამდე, სასამართლომ, მიუხედავად ამისა, მაინც განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება და ურჩიოს განმცხადებელს აღძრას სარჩელი საერთო წესით (სსკ 333-ე მუხლი).

პუბლიკაციის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ საბუთის ხელთმქონისაგან განცხადების შემოუტანლობა წარმოშობს ვარაუდს (პრეზუმფციას), რომ დაკარგული საბუთი მართლაც ეკუთვნის განმცხადებელს. ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად სასამართლომ მიზანშეწონილია გამოუძახოს სასამართლო სხდომაზე და მოუსმინოს საბუთის გამცემი დაწესებულების წარმომადგენელს, რაც შეიძლება გულმოდგინედ შეამოწმოს საქმეში არსებული მასალები, თვითონ განმცხადებლის ახსნა-განმარტება.

– იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს განცხადებას, ე. ი. გამოაცხადებს საბუთს ძალადაკარგულად (ბათილად), იგი გამოიტანს ამის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოადგენს ახალი საბუთის (ახალი საწარმდგენლო, საორდერო თუ პირადი ფასიანი ქაღალდის) გაცემის საფუძველს.

წმ. ქონების უპატრონოდ ცნობა

1. განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმ პირს, რომელიც დაუფულა ქონებას ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით (სსკ 337-ე მუხლი).

მხედველობაშია მხოლოდ მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობა, რადგან მიტოვებულ („უპატრონო“) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს მხოლოდ სახელმწიფო.

განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ შეიძლება შეიტანოს იმ პირმა, რომელიც დაუფულა ქონებას, ანუ რომელიც ფაქტიურად ფლობს უპატრონო ქონებას. ქონებას შეიძლება დაუფლოს და, შესაბამისად, განცხადებით შეიძლება მიმართოს სასამართლოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

განცხადების შინაარსი ბევრადაა განპირობებული სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის დანაწესით. ამ მუხლის თანახმად, თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ნივთზე, თუ მისი მითვისება არაა აკრძალული კანონით (მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერება, იარაღი და ა. შ.). მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუ უწინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს.

აქედან გამომდინარე, განცხადებაში სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს: ა) ქონების განმასხვავებელი ნიშნები; ბ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას, ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქუჩაში ან მინდვრად მიტოვება); გ) მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ ქონების (ნივთის) მითვისება არაა აკრძალული კანონით (სსკ 338-ე მუხლი).

მტკიცებულებები, რომლებზეც მითითებულია განცხადებაში, თან უნდა ერთვოდეს ამ განცხადებას.

თუ განცხადებას აქვს ხარვეზი, სასამართლომ უნდა მისცეს განმცხადებელს ვადა მისი შევსებისათვის. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლომ განცხადება უმოძრაოდ უნდა დატოვოს (185-ე მუხლი).

განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს;

დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

პუბლიკაცია სავალდებულოა, განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია მხოლოდ პუბლიკაციიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. სამთვიანი ვადის გამოთვლა იწყება პუბლიკაციის გაზეთში გამოქვეყნების

დღიდან. პუბლიკაცია შეიძლება ადგილობრივ გაზეთში – გამოქვეყნდეს.

პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლების შესახებ სამი თვის ვადაში დღიდან პუბლიკაციისა.

ორი მთავარი და ძირითადი გარემოება უნდა დაადგინოს სასამართლომ იმისათვის, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება: ერთი – ქონებას არ ყავს მესაკუთრე, ე. ი. ვერ დადგინდა, ვინაა მესაკუთრე; მეორე – ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, ე. ი. უწინდელმა მესაკუთრემ მიატოვა ნივთზე მფლობელობა საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით.¹³⁷ (სსკ 341-ე მუხლი).

ერთ-ერთი გარემოების დადასტურების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი განმცხადებლის (ე. ი. იმ პირის, რომელიც დაუფულა ქონებას) საკუთრებაში გადაცემის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი ზემოთ მითითებული გარემოება არ დადასტურდება, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ანუ ქონების უპატრონოდ ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

§7. შვილად აყვანა

1. ადმინისტრაციული წესით შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტილას დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა განაპირობეს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის სასამართლო წესით გადაწყვეტის აუცილებლობა. სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან შვილად აყვანის საკითხს განიხილავს სასამართლო, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა როგორც შვილად ასაყვანის, ისე მშვილებლის ინტერესების დაცვის გარანტიები.

სსკ 349-ე მუხლი განსაზღვრავს ალტერნატიულ განსჯადობას: განცხადება შეიძლება შეიტანილ იქნეს სასამართლოში როგორც მშვილებლის, ისე შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არჩევანის უფლება აქვს განმცხადებელს.

განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიძლება სასამართლოში შეიტანოს ნებისმიერმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, გარდა იმ პირებისა:

¹³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ. 125.

ა) რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება; ბ) ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაკეროვნად შესრულების გამო; გ) რომელსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები (სამოქ. კოდექსის 1245-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი შვილად აყავს არა ორივე, არამედ ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

2. განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები შვილად ასაყვანისა და მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აყავს ერთ-ერთ მეუღლეს;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა;

გ) მეურვის (მზრუნველის) თანხმობა იმ ბავშვის შვილად აყვანაზე, რომელიც მეურვეობაშია, თუ მას მშობლები არა ჰყავს;

სასამართლოს, განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, აგრეთვე განიხილოს საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე. (სსკ 350-ე მუხლი).

შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესებს და მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც მშობელსა და ნაშვილებს შორის.¹³⁸

აქედან გამომდინარე, სსკ 350-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ განცხადებაში მითითებული იყოს მშვილებლისა და შვილად ასაყვანის შესახებ მონაცემები, კერძოდ, მშვილებლის (მშვილებლების) დახასიათება მისი სამუშაო ადგილიდან, აგრეთვე მასთან ერთ სახლში მცხოვრები პირებისაგან, რომლებიც შეიცავენ ცნობებს შვილად ამყვანის მორალურ-ზნეობრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოსაზრება მის შესახებ, რაც ამ ორგანოების დასკვნაში იქნება ჩამოყალიბებული და ა.შ.

¹³⁸ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000, გვ. 247.

განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იმ საბუთების წარმოდგენაა სასამართლოში, რომლებიც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული თან უნდა ერთვოდეს განცხადებას.

სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანოს სასამართლომ მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მიღების შემდეგ. ეს დასკვნა შეიძლება შეიცავდეს მშვილებლის დახასიათებასაც, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის ინტერესებისათვის. ამავე დასკვნაში უნდა იყოს ამ ორგანოების თანხმობა გაშვილებაზე, რაც საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასაშვილებელი მეურვეობაშია და მას არ ყავს მშობლები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მშობლებს შეუძლიათ გაშვილებაზე თანხმობა განაცხადონ მშვილებლის (კონკრეტული პირის) მიუთითებლად. მშვილებლის შერჩევა მათ შეუძლიათ მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სამოქ. კოდექსის 1251-ე მუხლი).

უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას ძლიერ შეზღუდულია შეკვიპრებითობის პრინციპის მოქმედება, რადგან აქ არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული, მოდავე მხარეები. ამიტომ, აქ არ გვაქვს ჭეშმარიტების დადგენის ის გარანტიები, რომლებიც არის სასარჩელო წარმოების დროს.

ამ ხარვეზის შევსება ხდება სასამართლოს აქტიური როლით, რომელსაც შეუძლია არა მარტო განმცხადებლის თხოვნით, არამედ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, გამოიტანოს განჩინება საქმის დასურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, თუ ეს მისი აზრით უფრო მიზანშეწონილია.

3. გარდა სამოქალაქო საპროცესო და სამოქალაქო მატერიალური კოდექსებისა, შვილად აყვანის ცალკეულ საკითხებს აწესრიგებენ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (მუხლები 14, 52-53-ე), აგრეთვე კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“ (1997 წლის 17 ოტომბერი). ამ კანონის მე-10 მუხლის თანახმად „თუ საქართველოში არ მოიძებნება მშვილებელი, ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილების საკითხი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება. საქართველოში მცხოვრები ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება მხოლოდ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე აყვანიდან ექვსი თვის შემდეგ და, თუ არსებობს საქართველოს მოქალაქეების მიერ მისი შვილად აყვანის შეუძლებლობის დამადასტურებელი საკმარისი დოკუმენტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ საქართველოში მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში დასკვნას ამზადებს საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელიც უნდა წარუდგინოს სასამართლოს. დასკვნის მომზადებაში უნდა მონაწილეობდნენ პედაგოგი, პედიატრი, ბავშვთა ფსიქიატრი, ფსიქოლოგი და იურისტი.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის თანახმად „შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი შვილად აყვანის დროს“.

როგორც ეხედავთ, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ამკვიდრებს მნიშვნელოვან საკოლიზიო პრინციპს, რომელიც მთლიანად შეესაბამება შვილად აყვანის თაობაზე არსებულ საერთაშორისო კონვენციებს.

ნაკვეთი მხსუთე

სასამართლო გადაწყვეტილება ბასაჩივრება

თავი XXI

ა პ ე ლ ა ც ი ა

**§1. აპელაციის არსისა და მნიშვნელობის შესახებ.
სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი**

სააპელაციო სასამართლოს სასარგებლოდ და მის დადებით მხარეებზე გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომელთა შორის ყველაზე არსებითია შემდეგი:

1. სააპელაციო სასამართლოების არსებობით ძლიერდება პირველი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა, რადგან მათი გადაწყვეტილებები შეიძლება შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიული თვალსაზრისით;

2. აპელაცია გაცილებით უფრო მიუკერძოებელია ვიდრე პირველი ინსტანცია, რადგან იგი ნაკლებად განიცდის ადგილობრივი ხელისუფლების ზეგავლენას;

3. სააპელაციო სასამართლო დაკომპლექტებულია უფრო მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით, რომლებიც იხილავენ საქმეს არანაკლებ სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით;

4. სააპელაციო სასამართლოს არსებობა ქმნის რწმენას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ნამდვილად გამოსწორებული იქნება და მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება.

მართლაც, რაც არ უნდა კარგად იყვნენ მომზადებული პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები, რა კეთილსინდისიერებითა და ყურადღებით არ უნდა მოეკიდონ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაინც არ არსებობს იმის სრული გარანტია, რომ თავიდან იქნება აცილებული შეცდომები, როგორც საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ისე ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების დროსაც. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ით-

ვალისწინებს რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.

აპელაცია, როგორც სასამართლო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი, როგორც მეორე ინსტანციის სასამართლო, თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ ბევრი აქვთ საერთო მაგრამ მათ შორის არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ამ განსხვავებებმა განაპირობეს აპელაციის ორ ჯგუფად, ორ სახედ დაყოფის მიზანშეწონილობა როგორცაა სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია.

სრული ან შეუზღუდავი აპელაცია – ეს ისეთი აპელაციაა, რომლის მიხედვით შეიძლება შემოწმდეს არამარტო საქმეში არსებული მასალები, ფაქტები, მტკიცებულებები, არამარტო გადაწყვეტილების კანონიერება და საქმის წარმოების შესაბამისობა იმ სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალწარმოების წესებს, არამედ მხარეთა მიერ ახლად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც საერთოდ არ იყო წარმოდგენილი პირველ ინსტანციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმეორედ იხილავს საქმეს და, როგორც წესი, არასდროს არ აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. მას თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, თუ, ცხადია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად ან იურიდიულად დაუსაბუთებელია და გასაუქმებელია.

სხვა შინაარსისაა მეორე სახის აპელაცია, რომელსაც არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას უწოდებენ.

არასრული აპელაციის დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება ხდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომლებიც შემოწმდა და შეფასდა ამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. რაც შეეხება ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, ისინი შეიძლება წარდგენილ იქნან სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

აპელაციის თითოეულ სახეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, სრული (შეუზღუდავი) აპელაციის დროს მხარეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ სააპელაციო სასამართლოზე. ამიტომ, ხშირად, გარკვეული ტაქტიკური, თუ სხვა მოსაზრებებით არ მიუთითებენ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, არ წარუდგენენ პირველი ინსტანციის

სასამართლოს ყველა მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს და ა.შ. ყველა ამ ფაქტისა თუ მტკიცებულების წარდგენა სარისკოცაა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეიძლება უარყოს პირველი ინსტანციის სასამართლომ როგორც არასარწმუნო ან როგორც სამართლებრივად უმნიშვნელო და სხვ. ამიტომ, უმჯობესია, გაცილებით უფრო ნაკლებ სარისკოა და უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მათი შემონახვა და შემდგომ წარდგენა მეორე ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაცია უარყოფით ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოზეც, რომელმაც არ იცის რას მოიძიქმედებენ მხარეები აპელაციაში, რომელ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს წარუდგენენ ისინი ამ სასამართლოს და რა ბედი ეწევა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სრული აპელაცია მართალია უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას აპელაციაში – სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ამას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს.

ასეთ ვითარებას, საბოლოო ანგარიშში, მიყვევართ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციისა და პრესტიჟის შესუსტებამდე, ისე საქმის საბოლოოდ გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრული (შეუზღუდავი) აპელაცია – ესაა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორება და არა გაგრძელება.

რაც შეეხება არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას, ეს ისეთი აპელაციაა, რომლის დროს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სამართალწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას (მაგალითად, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მათი წარდგენა პირველ ინსტანციაში ვერ განხორციელდა). არასრულ აპელაციას აქვს მთელი რიგი უპირატესობებისა, რომელთა შესახებ დაწერილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.

აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აპელაციის სხვადასხვა მოდელების (სახეების) შესწავლისა და განხილვის შედეგად უპირატესობა მივანიჭეთ არასრულ აპელაციას, რაც ნათლად და საკმაო სისრულით აისახა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

ისეთ პირობებში, როდესაც საქართველოში, არც ადრე და არც ახლა, ყველა არ იწონებდა და არც ახლა იწონებს ამჟამად უკვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებულ არასრულ აპელაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვეროპის მოსამართლეთა საკონ-

სულტაციო საბჭოს ახლახან შემუშავებული დასკვნის 99-ე პუნქტი, რომლის თანახმად:

„ზოგიერთი ქვეყნის წესები და კულტურა, რომელთა საფუძველზეც რეგულირდება სასამართლო პროცესის წარმოება, უფლებას აძლევს მხარეებს შეიტანონ შესწორებები და დამატებები საქმეში ან სამხილში თითქმის შეუზღუდავად – აპელაციის სტადიაზეც კი. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს აზრით, ასეთი მეთოდი არ არის მისაღები და მოვიდა დრო, როცა ამგვარი წესები უნდა გადაფასდეს და შეიცვალოს. მხარეები უფლებამოსილი არიან მათი პრეტენზიისა თუ დაცვის „სამართლიან სასამართლო მოსმენაზე, რომელიც უნდა დასრულდეს მისაღებ ვადაში“ და არა განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე, წარმოადგინონ შემდგომი ან სხვა საქმეები, ეს განსაკუთრებით ეხება მეორე ინსტანციის მიერ აპელაციის მოსმენას“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ამ დასკვნის 136-ე პარაგრაფი:

„თუმცა პატივისცემის გრძნობით ეპყრობა ზოგიერთი ქვეყნის ტრადიციას, რომელიც გულისხმობს შეუზღუდავ უფლებას მეორე ინსტანციაში განმეორებით პროცესის ჩატარებაზე აპელაციასთან დაკავშირებით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო გამოთქვამს საკუთარ შეზღუდვებს იმის თაობაზე, რომ იგი პრინციპში არ იწონებს ასეთ მიდგომას; უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები ყოველი მხარისათვის წარმოადგინოს ახალი მტკიცებულება ან სამართლის ახალი საკითხები, აპელაცია არ უნდა იყოს და არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველ ინსტანციაში. ეს აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვის არამიზანშეწონილობის დღის წესრიგში დაყენება“.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს რამდენიმე შემთხვევა სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკიდან, რომლებიც ნათლად ადასტურებენ ამ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად საქმეების წარმოების წესებიდან გადახვევას და ამის აღმოფხვრის მიზნით ეფექტიანი ღონისძიებების სასწრაფოდ შემუშავების აუცილებლობას.

§2. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

I. სააპელაციო საჩივრის ობიექტი, ანუ სასამართლოს რომელ დადგენილებებზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან კანონიერ ძალაში (სსკ 364-ე მუხლი).

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს აგრეთვე ზემოთ დასახელებული სასამართლოების განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმისა და ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (სსკ 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თავისთავად ცხადია რომ თუ რაიონული სასამართლო აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, მაშინ ეს ახალი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად ესმით „მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების“ ცნება. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმ მხარის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მაგალითი 1: მოსარჩელე ა-ნი არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ანუ საქმის ზეპირ განხილვაზე. სასამართლომ მოპასუხის შუამდგომლობით გამოიტანა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ა-ნიმ გაასაჩივრა მის წინააღმდეგ გამოტანილი ეს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმავე სასამართლოში იმ მოტივით, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. სასამართლომ თავისი განჩინებით დასაშვებად ცნო ეს საჩივარი და ამავე განჩინებით დანიშნა საქმის ხელახლა განხილვის დღე (სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწ). ამ დღეს კვლავ არ გამოცხადდა მოსარჩელე ა-ნი, სასამართლომ გამოიტანა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამ შემთხვევაში საქმეში აღმოჩნდება ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამოტანილი ერთი და იგივე მხარის (მოსარჩელის) წინააღმდეგ, ამ მეორე

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სააპელაციო წესით (სსკ 366-ე მუხლის მე-2 ნაწ).

მაგალითი 2: მოსარჩელე ა-ნი, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომლის საჩივრის საფუძველზე სასამართლომ დანიშნა სხდომა, გამოცხადდა ამ სხდომაზე. სასამართლომ მისი გამოუცხადებლობა პირველ სასამართლო სხდომაზე საპატიოდ ცნო და გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მხარეთა შუამდგომლობით სასამართლომ საქმის არსებითად განხილვა სხვა დროისათვის დანიშნა. ამ სხვა დროისათვის დანიშნულ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ა-ნი, სასამართლომ კვლავ გამოიტანა მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ასეთ შემთხვევაში საქმეში აღმოჩნდება ერთი და იმავე მხარის მიმართ გამოტანილი ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელთაგან ერთი (პირველი) უკვე გაუქმებულია.

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ა-ნის მიმართ გამოტანილია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც პირველი დაუსწრებელი მის მიმართ გაუქმებულია, თუ ეს მაინც იქნება მის მიმართ გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება?

იმის მიხედვით თუ როგორი იქნება პასუხი ამ კითხვაზე, დამოკიდებულია პასუხი მეორე კითხვაზე: სად შეიძლება გასაჩივრდეს ეს განმეორებით გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს განმეორებით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამოტანილი ერთი და იმავე პირის წინააღმდეგ, იქნება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად იმისა, გაუქმებულია თუ არა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამიტომ, იგი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს;

1. რაიონული სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები;
2. ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებები;
3. ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შემოტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოები განიხილავენ და საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებენ რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოების განჩინებებზე შემოტანილ კერძო საჩივრებზე, მაგრამ ეს საჩივრები განიხილება არა სააპელაციო წესით, არამედ კერძო საჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

II. სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტები ანუ ვის შეუძლია სააპელაციო საჩივრის შეტანა

სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია მხარეები, ე.ი. მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით (სსკ 364-ე მუხლი).

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტებია აგრეთვე თანამონაწილეები (თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები), რომლებიც სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს (სსკ 87-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის „ა“ პუნქტი), ე.ი. სარჩელის საგანია საერთო უფლება, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე ნებისმიერ ფარგლებში, იგივე შეუძლია ერთ-ერთ მოპასუხეს (თანამოპასუხეს), როცა ვალდებულება სოლიდარულია. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ერთ სარჩელში გაერთიანებულია სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა სხვადასხვა ან ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს (თანამოსარჩელეს) შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ერთ სარჩელში გაერთიანებულ მის მოთხოვნას ეხება. იგივე წესი უნდა გავრცელდეს თანამოპასუხეებზეც, როდესაც მათ მიმართ აღძრულია არა ერთიანი, არამედ სხვადასხვა (განცალკევებული) მოთხოვნები.

თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს (87-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გასაჩივრების უფლებამოსილებით, მაშინ მას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ისეთი პირის უფლებები და მოვალეობები, რომელიც არ ფიგურირებდა საქმეში არც მხარედ, არც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, არც თანამონაწილედ, არც უფლებამონაცვლედ და აქედან გამომდინარე არც საქმეში ყოფილა ჩაბმული და არც დაბარებული (მოწვეული), ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან დარღვეულია, მისი

ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში იმ საქმის განხილვაში, რომელიც მის უფლებას შეეხება.

ნებისმიერ პირს, რომელიც არაა მოხსენიებული გადაწყვეტილებაში, მაგრამ რომელსაც მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით დაირღვა ან შეილახა მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით ამ უფლების დასაცავად და არა საჩივრით ამ გადაწყვეტილებაზე.

რაც შეეხება უფლებამონაცვლებს (სსკ 92-ე მუხლი), მათ შეუძლიათ შეასრულონ ყველა ის საპროცესო მოქმედება (მათ შორის გაასაჩივრონ გადაწყვეტილება), რომლის შესრულების უფლება ექნებოდა მის წინამორბედს, რომ არ გასულიყო საქმიდან.

ამრიგად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ:

1. მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს);
2. მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;
3. უფლებამონაცვლებს;
4. თანამონაწილეებს (თანამოსარჩელებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში;
5. პირებს, რომლებიც მართალია არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

აქ ჩამოთვლილ პირთა წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული მის სახელზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (98-ე მუხლი).

III. სააპელაციო საჩივრის დასაბუთება

სსკ 368-ე მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სააპელაციო საჩივრის შინაარსს.

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით (სსკ 377-ე მუხლი).

ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რას მოითხოვს აპელანტი, როგორია მისი მოთხოვნის შინაარსი (სსკ 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი). იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტი ასაჩივრებს გადაწყვეტილებას არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, მაშინ მან თავის საჩივარში ზედმიწევნით

ზუსტად და არაორაზროვნად უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების რა ნაწილს ასაჩივრებს.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მხარე, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა. ამასთან ერთად, რაზან სააპელაციო სასამართლო შებოჭილია საჩივრის ფარგლებით ანუ აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით, მას შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა მხოლოდ სააპელაციო მოთხოვნასთან მიმართებაში.

ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სააპელაციო საჩივარში იმის ნათლად ჩამოყალიბება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა და რით საბუთდება აპელანტის მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუ აპელანტის თვალსაზრისით, გადაწყვეტილება არაა დასაბუთებული ფაქტობრივად, მაშინ აპელანტი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება ან რაში ელინდება კონკრეტულად ფაქტობრივი დაუსაბუთებლობა.

მაგალითად, თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ამ საქმეზე მტკიცების საგანი, მაშინ მან უნდა მიუთითოს, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტი არ ჩათვალა სასამართლომ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონეთ და ამიტომ არ მიიღო და არ შეაფასა ამ ფაქტის მიმართ მტკიცებულებები (შეცდომა ფაქტის სამართლებრივ შეფასებაში).

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ დადგენილად (დამტკიცებულად) ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი, თუმცა საქმეში არაა მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება, მაშინ მან უნდა მიუთითოს რომელი ფაქტია ეს და უჩვენოს, რომ საქმეში ნამდვილად არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულება.

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ არასწორადაა განაწილებული მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთი, მაშინ მან უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი ფაქტია ეს და რომელ მხარეს დაეკისრა მისი დამტკიცების ტვირთი და რომელ მხარეს უნდა დაეკისრებოდა ეს ტვირთი.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ ნიეთის გამოთხოვის შესახებ (ვინდოკაციური სარჩელი), იმ მოტივით, რომ ამ ნიეთის შესაკუთრე არის თვითონ ა-ნი, ხოლო ეს ნიეთი იმყოფება ბ-ანის უკანონო მფლობელობაში. სასამართლომ ბ-ანის დააკისრა იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთი, რომ იგი არის სადავო ნიეთის შესაკუთრე.

ბ-ანიმ წაავო პროცესი, რადგან ვერ დაამტკიცა. რომ არის ამ ნივთის მესაკუთრე.

ბ-ანიმ თავისი სააპელაციო საჩივარი დაასაბუთა იმით, რომ სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იგი, როგორც ნივთის მფლობელი, ივარაუდება ამ ნივთის მესაკუთრედ. ამიტომ, არა მას, არამედ მოსარჩელე ა-ნის უნდა დაკისრებოდა იმის დამტკიცების ტვირთი, რომ იგი არის მესაკუთრე ნივთისა.

თუ აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად უთხრა მას უარი ამა თუ იმ მტკიცებულების (წერილობითი, ნივთიერი თუ სხვა მტკიცებულების) მიღებაზე ან გამოთხოვაზე იმ მოტივით, რომ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის, მაშინ მან უნდა მიუთითოს თავის სააპელაციო საჩივარში რომელი კონკრეტული მტკიცებულება აქვს მხედველობაში და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტი შეიძლება დადგენილიყო ამ მტკიცებულებით და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება არაა დასაბუთებული იურიდიულად, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში ვლინდება კონკრეტულად გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა, კერძოდ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა.

კანონის დარღვევის ფორმები (სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად გაიგო კანონის აზრი და სხვა) ჩამოყალიბებულია სსკ 393-ე მუხლში.

სააპელაციო საჩივარში ფაქტობრივ და სამართლებრივ უსწორობაზე (დაუსაბუთებლობაზე) მითითება ცხადია არ კმარა. საჩივარში აუცილებლად უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ (ადასტურებენ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ უსწორობას.

IV. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები

პირველი საპროცესო მოქმედება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ – ესაა ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში. აქედან გა-

მომდინარე სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ეს წინაპირობები, კერძოდ:

ა) ღაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა (სსკ 369-ე მუხლი). ეს ვადა განისაზღვრება 14 დღით და მისი დენა იწყება მხარისათვის მოტივირებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ხოლო, თუ ამ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მხარე – მაშინ მისი გამოცხადების მომენტიდან.

გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა მივიჩნიოთ მხარისათვის ხელზე გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მიცემა უშუალოდ სასამართლოში, რაც მან უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით გადაწყვეტილების დედანზე, ან მისი მხარისათვის გადაგზავნის დრო. გადაგზავნის დროდ მიჩნეული უნდა იქნეს დრო, როდესაც გადაწყვეტილების ასლი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა ფოსტას ან კურიერს, რაც აღინიშნება კონვერტზე, რომელშიც გადაწყვეტილების ასლია ჩადებული. საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წესით გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს.

ბ) პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსკ 308-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სააპელაციო საჩივრის შინაარსს მთლიანად და კერძოდ მის იმ ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს, თუ რაში მდგომარეობს აპელანტის აზრით, გადაწყვეტილების უსწორობა, რას მოითხოვს იგი, გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაავალოს აპელანტს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება და სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

გ) შეესაბამება თუ არა სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით გათვალისწინებულ ოდენობას (სსკ 365-ე მუხლი). სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. მხედველობაშია მხოლოდ ქონებრივ სამართლებრივი დავეები, რაც შეეხება არაქონებრივ დავეებს, ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, მიუხედავად იმისა, რა ოდენობით იყო განსაზღვრული არაქონებრივი დავის საგნის ღირებულება. იგივე უნდა ითქვას უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს მხარეს საჩივარი.

მაგალითად: ბ-ანიმ. რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება და რომლითაც მას დაეკისრა 2000 ლარის გადახდა, გასაჩივრა გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას დაეკისრა 700 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ფასი შეადგენს 700 ლარს (და არა 2000 ლარს). სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც ამ 700 ლარიდან უნდა იქნეს გაანგარიშებული.

ღ) არის თუ არა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 366-ე მუხლი). როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მის გამომტან სასამართლოში. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც გამოტანილია იმ მხარის დაუსწრებლობის გამო, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ე) აქვს თუ არა საჩივრის შემომტან წარმომადგენელს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება (სსკ 368-ე მუხლის მე-4 ნაწილი). სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი, მაგრამ ეს არ კმარა. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის მას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება და ამის შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

ვ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი (სსკ 368-ე მუხლის მე-5 პუნქტი). სახელმწიფო ბაჟი მხარეს შეაქვს წინასწარ, ამიტომ, თუ ბაჟი არაა გადახდილი აპელანტის მიერ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც უნიშნავს ვადას აპელანტს შეავსოს ხარვეზი, კერძოდ, ამ შემთხვევაში, გადაიხადოს ბაჟი. თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული, ე.ი. არ იქნება ბაჟი გადახდილი, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო.

ზ) უარი ხომ არ აქვს ნათქვამი აპელანტს სააპელაციო გასაჩივრებაზე კანონით დადგენილი წესით. (სსკ 370-ე მუხლი). სააპელაციო გასაჩივრებაზე უარისთქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება გარ-

კველი იურიდიული შედეგი, კერძოდ მხარე, რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, არგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარისთქმა უნდა განვასხვაოთ სააპელაციო საჩივარზე უარისთქმისაგან (სსკ 378-ე მუხლი). სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ნიშნავს იმას, რომ აპელანტი უარს ამბობს მის მიერ უკვე შემოტანილ სააპელაციო საჩივარზე, რასაც უკავშირდება სხვა შედეგი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს ასეთ შემთხვევაში გამოაქვს „განჩინება სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“.

ასეთია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები.

თუ დასაშვებობის ამ წინაპირობების შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ არ არსებობს რომელიმე მათგანი, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, თუ ეს ხარვეზი თავისი ხასიათით და შინაარსით ისეთია, რომ მისი შევსება შესაძლებელია და დაუნიშნავს აპელანტს ვადას ხარვეზის შესავსებად.

მაგალითად: ა-ნომ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ იგი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ არ არის მასში მითითებული თუ რას მოითხოვს აპელანტი, აგრეთვე არ არის გადახდილი სახელმწიფო დაფი, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა „განჩინება სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ“.

თუ ამ განჩინებით დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დასაშვებობის ისეთი პირობა, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით არაა გამოსწორებადი და ვადის დანიშვნა ხარვეზის გამოსწორებისათვის სრულიად გაუპართლებელია, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითად: ა-ნომ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლის დასაშვებობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ იგი შემოტანილია სასამართლო გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის დარღვევით, ან კიდევ, გასაჩივრებულია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ამ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, რადგან გასაჩივრების ვადის გაგრძელებას კანონი არ ითვალისწინებს, სა-

აპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს „განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“.

V. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შედეგები

იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ ყველა ეს წინაპირობა არსებობს, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს „განჩინებას სააპელაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ“ (სსკ 375-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ასეთი განჩინების მიღებას უკავშირდება გარკვეული შედეგები:

პირველი – შეჩერდება (ავტომატურად) გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. ამასთან, თუ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც იგი იყო გასაჩივრებული. განჩინებაში იმის ჩაწერა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდეს, არაა აუცილებელი, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ან მისი ნაწილის) კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება არა სასამართლოს განჩინების ძალით, არამედ კანონის ძალით (სსკ 264-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

მეორე – თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართ გამოტანილია განჩინება კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყონებლივ აღსრულების შესახებ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს, აქელანტის შუამდგომლობით, შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ასეთი განჩინების მიღება სააპელაციო სასამართლოს მიერ აუცილებელია, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს დაუყონებლივ აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) მოქმედებას.

მესამე – სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს და იწყებს სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადებას (სსკ 376-ე მუხლი).

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადება სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო

საჩივრისა და დამატებით შემოსული ყველა წერილობითი მასალის ასლებს, სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს (სსკ 201-ე და 373-ე მუხლები), დაუნიშნავს მას ვადას წერილობით შეადგინოს პასუხი სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე, კერძოდ ეთანხმება თუ არა საჩივრის მოთხოვნებს, ხოლო თუ არ ეთანხმება, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება, ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენას და ა.შ. საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა ზომები, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დროულად.

§3. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

I. შეგებებული სააპელაციო საჩივრის ცნება და სახეები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება, შეუძლია სააპელაციო წესით გაასაჩივროს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ. აქედან გამომდინარე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შემოტანილია მოსარჩელის საჩივარი, იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი და მოპასუხის საჩივარი, გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი.

ეს ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრებია და ისინი უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი აპელანტის მიერ თავის სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ან მისი უკან გამოთხოვა გავლენას ვერ მოახდენს მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და გადაწყვეტაზე, ან კიდევ, ერთი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა გავლენას ვერ მოახდენს მეორე სააპელაციო საჩივრის ბელზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სააპელაციო საჩივრების ერთმანეთისადმი ნამდვილ დამოუკიდებლობასთან საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით.

რას წარმოადგენს შეგებებული სააპელაციო საჩივარი?

შეგებებული სააპელაციო საჩივარი – ესაა ძირითადი სააპელაციო საჩივრის

გამო და მის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომლის მიზანია ამ ძირითადი სააპელაციო საჩივრის პარალიზება და გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა.

ამრიგად, შეგებებული საჩივრით მხარე ცდილობს ორ მიზანს მიაღწიოს: ერთი – გაუქმდეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა და მეორე – უცვლელად დარჩეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა აპელანტს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე.

მაკალითად: ა-ნომ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან 5000 ლარი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ და დააკისრა მოპასუხე ბ-ანის 3000 ლარის გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 2 000 ლარის გადახდევინებაზე უარი უთხრა.

ა-ნომ შეიტანა სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა 2 000 ლარის გადახდევინებაზე.

ბ-ანიმ იმის გამო, რომ ა-ნომ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, თავის მხრივ, შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა 3 000 ლარზე და მოითხოვა გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება ორივე ამ ძირითად და შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე.

იმის მიხედვით, თუ რომელ სააპელაციო საჩივარს (ძირითადს თუ შეგებებულს) ცნობს დასაბუთებულად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება (განჩინება) იმის შესახებ, რომ: ა) უარი ეთქვას მხარეებს როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე, ხოლო გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, ან ბ) დაკმაყოფილდეს ძირითადი სააპელაციო საჩივარი, ხოლო შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას, ან პირიქით, დაკმაყოფილდეს შეგებებული საჩივარი, ხოლო ძირითად სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას.

ნაკლებ სავარაუდოა ორივე საჩივრის ერთდროულად დაკმაყოფილება, მართლაც ძნელი წარმოსადგენია გამოვაცხადოთ გადაწყვეტილება უსწოროდ იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს სარჩელზე და იმ ნაწილშიც, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი.

II. შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

შეგებებული სააპელაციო საჩივარი არის სააპელაციო საჩივარი და ბუნებრივია, მისი წარმოებაში მიღებისათვის საჭიროა დასაშვებობის წინაპირობების არსებობა, რაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საჭიროა სააპელაციო საჩივრისათვის საერთოდ, რომელთა შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი.

ეს გამონაკლისები შემდეგში მდგომარეობს:

ა) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება აღემატებოდეს 1000 ლარს. იგი შეიძლება 1000 ლარზე ნაკლებიც იყოს;

ბ) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს 14 დღეში (სსკ 369-ე მუხლი). იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს სააპელაციო საჩივრის მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში (სსკ 379-ე მუხ).

გ) შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ აპელანტი უარს იტყვის თავის სააპელაციო საჩივარზე (სსკ 378-ე მუხლი), მაშინ შეგებებული სააპელაციო საჩივარიც კარგავს თავის დანიშნულებას და ისიც უარყოფილ უნდა იქნეს. იგივე შედეგი უნდა დადგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აპელანტს უკან გააქვს თავისი სააპელაციო საჩივარი (სააპელაციო საჩივრის გამოხმობა).

ზოგადი პრინციპი შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო, ამა თუ იმ მიზეზის გამო სააპელაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს ან წყვეტს სააპელაციო წარმოებას, მან განუხილველად უნდა დატოვოს შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

III. შეგებებული სააპელაციო საჩივრის სახეები

იმის მიხედვით, პასუხობს თუ არა შეგებებული სააპელაციო საჩივარი ყველა მოთხოვნას, რაც წაეყენება საერთოდ სააპელაციო საჩივარს, შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს ყოფენ ორ სახედ: დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი და დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ა) დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი – ეს ისეთი საჩივარია, რომელიც მართალია წარდგენილია იმასთან დაკავშირებით, რომ შეტანილია სააპელაციო საჩივარი, მაგრამ იგი შეტანილია სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით გათვალისწინებულ ვადაში, მისი

ღირებულება შეესაბამება სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ ფასს და პასუხობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობებს.

ბ) დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი – ეს ისეთი საჩივარია, რომელიც წარდგენილია ძირითად სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, მაგრამ სააპელაციო საჩივრისათვის კანონით დადგენილი ვადის გადაცილებით ან კიდევ, მისი ღირებულება (ფასი), არ შეესაბამება სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ ფასს.

შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს, იმის მიხედვით, თუ რომელ სახეს განეკუთვნებიან ისინი, უკავშირდება სხვადასხვა შედეგები.

კერძოდ, დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივარი უნდა განიხილოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, უარი თქვა აპელანტმა თავის ძირითად სააპელაციო საჩივარზე, უკან გაითხოვა ეს საჩივარი, თუ საერთოდ, განუხილველად დატოვა სააპელაციო სასამართლომ ეს ძირითად სააპელაციო საჩივარი.

დამოკიდებული სააპელაციო საჩივარი აღარ შეიძლება განიხილოს სააპელაციო სასამართლომ, თუ იგი, ამა თუ იმ მიზეზის გამო განუხილველად ტოვებს აპელანტის ძირითად სააპელაციო საჩივარს ან წყვეტს სააპელაციო წარმოებას.

ასეთია სხვადასხვა სახის შეგებებული სააპელაციო საჩივრების განხილვის თავისებურებანი.

§4. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

I. საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის

სსკ 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, იმ გამონაკლისებით, რაც გათვალისწინებულია კანონით, კერძოდ სსკ 372-383-ე მუხლებით.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისა და მისი განსახილველად მიღების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გამოაქვს „განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ“ (სსკ 374-ე მუხლი). ამავე განჩინებით სააპელაციო სასამართლო ნიშნავს სააპელაციო განხილვის დღესაც (სსკ 376-ე მუხლი). სააპელაციო საჩივრის ანუ საქმის ზეპირი განხილვის დღეს სასამართლო ნიშნავს იმ ვარაუდით,

რომ, გამომდინარე სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან და მასზე დართული მასალებიდან, მოესწროს საქმის მომზადება ზეპირი განხილვისათვის.

რა საპროცესო მოქმედებები უნდა შეასრულოს სასამართლომ საქმის მომზადების მიზნით?

თავისუფლად შეიძლება ამ კითხვაზე ერთი წინადადებით პასუხის გაცემა: საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლომ უნდა შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა მომზადებისათვის.

აქედან გამომდინარე, ყველაფერი რაც უნდა გაკეთდეს საქმის მომზადების მიზნით თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც. გამონაკლისია მხოლოდ ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც განპირობებულია საქმეთა განხილვის თავისებურებებით სააპელაციო სასამართლოში.

კერძოდ, სააპელაციო სასამართლო:

ა) სააპელაციო საჩივრისა და მასზე დართული მასალების ასლებს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს.

ბ) დაუნიშნავს მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ სააპელაციო მოპასუხეს, ვადას წერილობით შეადგინოს და სააპელაციო სასამართლოს გადმოუგზავნოს პასუხი (შესაგებელი) სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე.

გ) ამ წერილობით შესაგებელში გასცეს პასუხი სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე, კერძოდ ეთანხმება თუ არა საჩივრის მოთხოვნებს, თუ არ ეთანხმება რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება და რომელი მტკიცებულებებით დასტურდება ეს გარემოებები, ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, თუ ასეთი შეგებებული საჩივრის შემოტანისთვის არსებობს პირობები. რა შუამდგომლობები ექნება საჩივრის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს მიმართ, ხომ არ აპირებს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას სააპელაციო სასამართლოში და, თუ აპირებს, რა მიზეზით არ იქნენ ისინი წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ საქმის განხილვის დროს და ა.შ.

ამავე განჩინებით სააპელაციო სასამართლო აფრთხილებს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედებათა დანიშნულ დროში შეუსრულებლობა არასაპატიო მიზეზით ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის ზეპირი განხილვის დროს (სსკ 206-ე მუხლი).

საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომაც იმ წესების დაცვით, რომელთა შესახებ მითითებულია სსკ 205-ე მუხლში.

სააპელაციო სასამართლოში საქმეებს იხილავს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა საქმე მოამზადოს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობიდან ერთ-ერთმა წევრმა, აგრეთვე მისმა თანაშემწემ?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: ზეპირი განხილვისათვის საქმის მომზადება შეიძლება მიენდოს სააპელაციო პალატის ერთ-ერთ მოსამართლეს, ხოლო ამ მოსამართლის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით მის თანაშემწეს.

II. საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე

1. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის წესი

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის (210-228-ე მუხლები), იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებზეც მითითებულია სსკ მე-8 კარში.

ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოშიც საქმის ზეპირი განხილვა იწყება ერთ-ერთი წევრის მოხსენებით.

საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: საქმის განხილვაში მონაწილე აპელანტს და სხვა პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაარკვიონ თუ რამდენად სწორად გაიგო სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნა და მისი შინაარსი, მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი და მისი შინაარსი. ასეთი წესი საშუალებას აძლევს მხარეებს დააზუსტონ და შესწორება შეიტანონ მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლაში, თუ ამ გამოსვლაში რაიმე უზუსტობა, გაუგებრობა ან შეცდომა იყო დაშვებული.

სსკ 383-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ ძირითადი საკითხების წრეს, რომლებსაც უნდა შეეხოს სააპელაციო მოსამართლე თავის მოხსენებაში.

ეს საკითხებია:

ა) საქმის გარემოებები, ე.ი. ვინ აღძრა სარჩელი, ვის წინააღმდეგ, როგორია მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხის შესაგებელი, რომელ გარემოებებს

ემყარებიან მხარეები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად, რა და რომელი მტკიცებულებები წარადგინეს მათ პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ გარემოებების დასადასტურებლად.

ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლები, ე.ი. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დადასტურებულად და დადგენილად ჩათვალა და საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას პირველმა ინსტანციამ (გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები,) კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით (გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები).

გ) სააპელაციო საჩივრის შინაარსი და დასაბუთებულობა, ე.ი. როგორია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ანუ რას მოითხოვს აპელანტი გადაწყვეტილების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაუქმებას, შეცვლას თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას (სააპელაციო საჩივრის განაცხადი), რა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება აპელანტი, რომელი კანონია მისი აზრით დარღვეული და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა სსკ 393-ე და 394-ე მუხლები).

მომხსენებელი მოსამართლის შემდეგ სიტყვა ეძლევა მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. მათ უფლება აქვთ დააზუსტონ და დააკონკრეტონ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის შინაარსი თუ მომხსენებელმა მოსამართლემ რაიმე შეცდომა ან უზუსტობა დაუშვა, მაგრამ მათ არ უნდა გაიმეორონ ის, რაც უკვე ითქვა მომხსენებელი მოსამართლის მიერ.

პირველი გამოდის აპელანტი, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს ნებართვით მხარეებმა შეიძლება შეკითხვა მისცენ ერთმანეთს. ამის შემდეგ სასამართლო იწყებს მტკიცებულებათა გამოკვლევას.

2. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის პირობები სააპელაციო სასამართლოში

ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენას სააპელაციო სასამართლოში ორი მიზანი შეიძლება ჰქონდეს: ერთი – გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად ან იურიდიულად, ან კიდევ, არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად არაა დასაბუთებული და მეორე – აპელანტის მოთხოვნა დასაბუთებული და გამართლებულია.

დასაშვებია თუ არა ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში?

ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობისას სააპელაციო სასამართლოში მხარეებს (და არამარტო აპელანტს) შეუძლია წარადგინოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები.

ეს პირობები შემდეგია:

1. სააპელაციო სასამართლოში შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები (სსკ 380-ე მუხლის პირველი ნაწილი).
2. ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა მხარეს არ შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოში.
3. ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღება და განხილვა ხელს არ შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას.
4. მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს (სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ამრიგად, ფაქტებისა და მტკიცებულებების სააპელაციო სასამართლოში წარდგენის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ძირითადი პირობა – ესაა მათი სიახლე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები ახალია, საჭირო გახდება ზემოთ დასახელებული სხვა პირობების შემოწმება, აქედან გამომდინარე კი იბადება სავსებით ბუნებრივი კითხვა:

რა იგულისხმება ახალ ფაქტებსა და ახალ მტკიცებულებებში?

1. სსკ 380-ე მუხლის აზრისა და შინაარსის გათვალისწინებით ახალ ფაქტებში და მტკიცებულებებში უნდა ვიგულისხმოთ ფაქტები, რომლებიც არ ყოფილა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში. მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღოს და განიხილოს ეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. აუცილებელია აგრეთვე იმის გარკვევა, რომ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა მხარეს (აპელანტს ან მის მოწინააღმდეგე მხარეს) შეეძლო ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომ მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს.

კანონის ამ დანაწესის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტები და მტკიცებულებები, რომელთა შესახებ ცნობილია მხარეებისათვის, უნდა წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

2. ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოიშენენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ. თუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი ან მტკიცებულება წარმოიშვა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა მიიღოს და განიხილოს ისინი.
3. ახალია ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც თუმცა არსებობდნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, მაგრამ მხარეებმა არ წარადგინეს იქ ან იმის გამო, რომ არ იცოდნენ მათ შესახებ, ან კიდევ იმის გამო, რომ ეს ფაქტები მხარეებმა უმნიშვნელოდ ჩათვალეს და მხოლოდ შემდეგ გააკვირეს, რომ მათ ჰქონიათ მნიშვნელობა საქმისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს ახალი ფაქტებისა და ახლი მტკიცებულებების მიღებისა და გამოკვლევის დასაშვებობის პირობები, სააპელაციო სასამართლომ არაერთარ შემხთვევაში არ უნდა დაუშვას ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების განხილვა, თუ ცხადია, რომ რაღაც ტაქტიკური მოსაზრებებით შემოინახა ისინი მხარემ სააპელაციო სასამართლოსათვის და რაღაც მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული ეფექტის მიღების სურვილი ამოძრავებდა მას.¹³⁹

რაც შეეხება ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც იყო მხარეთა მიერ წამოყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ შეუძლიათ კვლავ წამოაყენონ აპელაციაში იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომით არ ჩათვალა ეს ფაქტები საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ და არ შეამოწმა და არ დაადგინა, ან მართალია დაადგინა, მაგრამ საპროცესო ნორმების დარღვევით.

თუ ახალი და ხელმეორედ დასახელებული ფაქტები დასაშვებად ცნო აპელაციამ, მან უნდა განუსაზღვროს მხარეებს დრო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოსადგენად, თუ ისინი არ იყო წარმოდგენილი მათ მიერ.

¹³⁹ საინტერესოა ამ საკითხზე ცნობილი გერმანელი იურისტის ვოლფგანგ გრუნსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადრე პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული მეთოდი „გაქცევა აპელაციაში“, რასაც მხარეები მიმართავდნენ იმისათვის, რომ პირველ ინსტანციას არ უარყო და შემოენახა ისინი სააპელაციო სასამართლოსათვის – წარმატებას აღარ გუპირდება, რადგან, თუ ფაქტები პირველი ინსტანციის სასამართლოში განზრახ არ იქნა წარმოდგენილი, მაშინ სავალდებულოა მათი უარყოფა (შეადარე ჩვენი სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი – თ.ლ.).

W. Grunsky. Zivilprozessrecht. 2003. s. 195.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

1. სააპელაციო სასამართლო არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, მაგრამ ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა ამ სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში და კანონით განსაზღვრულ პირობებში.
2. იმ ფაქტებისა და მტკიცებულებათა კატეგორიას, რომელთა წარდგენა სასამართლოში დასაშვებია განეკუთვნება:
 - ა) ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოიშენენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ;
 - ბ) ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც თუმცა არსებობდნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, მაგრამ მხარეებმა არ წარადგინეს იქ იმის გამო, რომ არ იცოდნენ ამ ფაქტების შესახებ, ან თუმცა იცოდნენ, მაგრამ არ ჩათვალეს მაშინ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონედ;
 - გ) ფაქტები, რომლებიც მხარეებმა წარადგინეს პირველ ინსტანციაში, მაგრამ სასამართლომ არ ჩათვალა ისინი საქმისათვის მნიშვნელოვნად, თუმცა ასეთი მნიშვნელობა მათ აქვთ (შეცდომა სამართლებრივ შეფასებაში);
 - დ) მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებმა წარადგინეს პირველ ინსტანციაში, მაგრამ არ მიიღო სასამართლომ იმის გამო, რომ საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა (სსკ 104-ე მუხლის I პუნქტი), თუმცა სინამდვილეში მათ ასეთი მნიშვნელობა აქვთ (შეცდომა მტკიცებულებათა განკუთვანადობის შეფასებაში);
 - ე) ფაქტები, რომლებიც პირველმა ინსტანციამ დადგენილად ჩათვალა, მაგრამ არაა მითითებული რომელი მტკიცებულების საფუძველზე;
 - ვ) ფაქტები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ჩათვალა კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულების საფუძველზე.
3. სააპელაციო სასამართლომ არ უნდა დაუშვას და არ უნდა მიიღოს ისეთი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარეებს შეეძლოთ წარედგინათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარადგინეს იქ (სსკ 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).
4. იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს წინაშე წამოიჭრება მეორე,

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხი – უზრუნველყოს მათი დროულად წარმოდგენა.

5. ამისათვის, საქმის წინასწარი მომზადების წესით, სააპელაციო სასამართლომ მხარეებს უნდა დაუნიშნოს დრო ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენისათვის.
6. თუ ფაქტები და მტკიცებულებები დროულად (სასამართლოს მიერ და-ნიშნულ ვადაში) არ იქნება წარმოდგენილი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ისინი, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, რის გამოც ხელი შეეშლება სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას (სსკ 206-ე და 380-ე მუხლის მე-2 პუნქტი).
7. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მთლიანად გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შემოწმებისა და შე-ფასების შედეგები, მაგრამ, თუ არ იზიარებს – ეს მან კარგად უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

III. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები და სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება

1. სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მო-თხოვნასთან მიმართებაში (სსკ 377-ე მუხლი).

საუარესოდ შებრუნება, ე.ი. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც აპელანტს არ უთხოვია, ან ისეთნაირად, როგორც მას არ წამოუყენებია – დაუშვებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შე-მოწმების დროს სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ორ გარემოებას: ა) რომელ ფაქტობრივ გარემოებას თვლის სასამართლო დადგენილად და ამყარებს თავის გადაწყვეტილებას გასაჩივრებულ ნაწილში და ბ) დასტურდება თუ არა ეს გარემოებები საქმეში არსებული ან ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

2. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს, სწორად გამოიყენა თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ კანონი, ე.ი.

იურიდიულად სწორად შეაფასა თუ არა სასამართლომ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მან დადგენილად ჩათვალა.

– სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებისას სასამართლოსათვის მთავარი ორიენტირია სსკ 39 3-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება კანონი დარღვეულად და სსკ 39 4-ე მუხლი, რომელიც შეიცავს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებს, ანუ გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძვლების ჩამონათვალს, რომელიც მთლიანად ვრცელდება სააპელაციო სასამართლოზეც.

– გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების დროს სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ე.ი. შეუძლია შეამოწმოს ისეთი დარღვევები, დაშვებული მტკიცებულებისა და ფაქტიური გარემოებების დადგენის დროს, აგრეთვე კანონის ისეთი დარღვევები, რომლებზეც არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს აგრეთვე განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

გასაჩივრების დასაშვებობის თვალსაზრისით განჩინებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ განჩინებების გასაჩივრება დასაშვებია ცალკე გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და ბ) განჩინებები, რომელთა ცალკე გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ დასაშვებია მათი უარყოფა და მათ წინააღმდეგ მოსაზრებათა ჩამოყალიბება გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ სააპელაციო საჩივარში.

ის განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ იყო თავის დროზე გასაჩივრებული მხარის მიერ ან იმის გამო, რომ მხარემ გაუშვა მისი გასაჩივრების ვადა, ან იმის გამო, რომ არ მოისურვა მაშინ მისი ცალკე გასაჩივრება. ასეთი თუმცა გასაჩივრებადი, მაგრამ თავის დროზე გაუსაჩივრებელი განჩინებები უთანაბრდებიან და იზიარებენ იმ განჩინებების „ბედს“, რომლებზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მათი უარყოფა გადაწყვეტილებასთან ერთად.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაზე ცალკე უნდა დაიწეროს სააპელაციო საჩივარი, ხოლო ზემოხსენებულ განჩინებებზე ცალკე საჩივარი (იგივე კერძო საჩივარი). რა თქმა უნდა არა! ამ განჩინებების უსწორობაზე შეიძლება მითითებული იყოს მხოლოდ სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო საჩივარში ამ განჩინებების დაუსაბუთებლობაზე მითითებას ის მნიშვნელობა

შეიძლება ჰქონდეს, რომ სწორედ მათი მიღების წყალობით იქნა გამოტანილი დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

მაგალითად, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება ვერ დადასტურდა, რადგან სასამართლომ თავის არასწორი და დაუსაბუთებელი განჩინებით უარი უთხრა მას შესაბამისი მტკიცებულებების მიღებაზე, მოწმის გამოძახებასა და დაკითხვაზე, ექსპერტიზის დანიშვნაზე და ა.შ. ან კიდევ, სასამართლომ თავისი განჩინებით, რომელიც კანონის დარღვევითაა მიღებული, უარი უთხრა მას შუამდგომლობაზე აცილების შესახებ და ა.შ.

სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ განჩინებაზე სააპელაციო სასამართლოს არ გამოაქვს ცალკე განჩინება. სააპელაციო საჩივრის ობიექტია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ მას გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება. თუ იმ განჩინებებს, რომლებიც წინ უსწრებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მართლაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინათ მის ფაქტობრივ თუ იურიდიულ დასაბუთებულობაზე. მას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება) სწორედ ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების და არა მანამდე მიღებული განჩინებების მიმართ.

სსკ 377-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარებას (მე-11 მუხლი) (საქვეუწყებლობას) სააპელაციო სასამართლო ამოწმებს თავის ინიციატივით. თავისი ინიციატივით ამოწმებს იგი აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო კომპეტენციას, რისთვისაც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

განსჯადობის შემოწმება სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა კი მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს მხოლოდ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

IV. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა (non reformatio in pejus) პირდაპირ გამომდინარეობს კანონის დანაწესიდან, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას მხოლოდ საჩივრის ფარგლებში და, რომ სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (სსკ 384-ე მუხლი).

ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება აშკარად არასწორია იმ ნაწილშიც, რომელიც არაა გასაჩივრებული და რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას ამ ნაწილში.

მაგალითად: სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილა ა-ნის სარჩელი მოპასუზე ბ-ანიზე 10000 ლარის დაკისრების შესახებ, მაგრამ უარი უთხრა მას ამავე მოპასუზეზე 20000 ლარის დაკისრების შესახებ. ა-ნიმ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა 20000 ლარის მოპასუზეზე დაკისრების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არამართო 20000 ლარი, არამედ იურიდიულად და ფაქტობრივად არასწორია აპელანტ ა-ნის სასარგებლოდ ბ-ანიზე 10000 ლარის დაკისრება. მიუხედავად ამისა; სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი, ანუ ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას ა-ნის (აპელანტის) სასარგებლოდ ბ-ანიზე 10000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპის გამართლების მიზნით მოყავთ მრავალი არგუმენტი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ერთი ის, რომ ეს პრინციპი ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად სასამართლომ თავისი მსჯელობა უნდა იქონიოს მხარის მოთხოვნის ფარგლებში და მეორე ის, რომ წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რადგან განუმტკიცებს რწმენას აპელანტს (კასატორს), რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი არ შეიცვლება მის საზიანოდ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშვებს შეგებებული სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. თუ აპელანტის წინააღმდეგ მხარემ შემოიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია, მაშინ სააპელაციო სასამართლო არამართო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა ამის მიხედვით შეამოწმოს გადაწყვეტილება. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომელიც

ამ შეგებებული სააპელაციო საჩივრითაა გასაჩივრებული, იგი უნდა გაუქმდეს, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი.

მაგალითად: ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ა-ნიმ, რომელმაც გასაჩივრა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც მის წინააღმდეგ იყო გამოტანილი, კერძოდ, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელზე მოპასუხე ბ-ანიზე 20000 ლარის მის სასარგებლოდ გადახდვინებაზე, საპასუხოდ ანუ შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხე ბ-ანიმ, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მას დაეკისრა ამ მოსარჩელის სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად ცნო შეგებებული სააპელაციო საჩივარი და გააუქმა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ა-ნის სასარგებლოდ მოპასუხე ბ-ნის დაეკისრა 10000 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელე ა-ნის უარი უთხრა ძირითადი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მას მოპასუხე ბ-ანიზე 20000 ლარის მის სასარგებლოდ დაკისრებაზე, დატოვა უცვლელად.

აქ იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს „საუარესოდ შებრუნების აკრძალვის“ პრინციპზე უარისთქმას?

ამ კითხვაზე მთელი კატეგორიულობით უნდა ვუპასუხოთ უარყოფითად, სააპელაციო (საკასაციო) გასაჩივრების უფლება აქვს არამარტო იმ მხარეს, რომელმაც მთლიანად წააგო პროცესი, არამედ იმ მხარეს, რომელმაც ნაწილობრივ მოიგო, მაგრამ ნაწილობრივ წააგო პროცესი. საჩივარი დასაშვებია მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც აპელანტის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც გადაწყვეტილება ნაწილობრივ მოსარჩელის, ხოლო ნაწილობრივ მოპასუხის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი, ცხადია ორივე მხარეს აქვს ერთნაირი უფლება გაასაჩივრონ გადაწყვეტილება მათთვის არახელსაყრელ ნაწილში. ეს, ვფიქრობ, იმდენად ცხადია, რომ არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებს.

მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების ორივე ნაწილი საჩივრდება მხარეების მიერ, სულ ერთია დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრებით, თუ დამოუკიდებელი და შეგებებული (დამოკიდებული) სააპელაციო (საკასაციო) საჩივრით, საუარესოდ შებრუნების აკრძალვის (non reformatio in pejus) პრინციპი აღარ მოქმედებს.¹⁴⁰

¹⁴⁰ დაწერილებით იხ. ვ. ზრუსტალი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 22.

V. დაუსწრებელი წარმოება აპელაციაში

დაუსწრებელი წარმოების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც. კანონი უშვებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი წარმოების შესაძლებლობას იმავე საფუძვლით, რაც პირველ ინსტანციაში – მხარის, კერძოდ აპელანტის ან მისი მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო. ამასთან ერთად, მნიშვნელობა არ აქვს განიხილება სააპელაციო საჩივარი მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, თუ სასამართლოს ჩვეულებრივ (საბოლოო) გადაწყვეტილებაზე.

აპელაციაში დაუსწრებელი წარმოების დროს მოქმედებენ იგივე წესები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში (სსკ 387-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამიტომ, ყველაფერი, რაც ეხება დაუსწრებელ წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მთლიანად ეხება დაუსწრებელ წარმოებას სააპელაციო სასამართლოში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აპელანტის ან მისი მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობა, ან კიდევ, ორივე მხარის გამოუცხადებლობა, ერთდროულად იწვევს პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის ანალოგიურ, ანუ ერთგვაროვან შედეგებს. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლე დასკვნების სახით ჩამოვაყალიბოთ აპელაციაში დაუსწრებელი წარმოების ზოგიერთი ასპექტი:

1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი (სააპელაციო მოსარჩელე), რომელსაც უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას, მაშინ სააპელაციო სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის, რის შესახებაც აცნობებს გამოუცხადებელ მხარეს (აპელანტს), ზოლო გამოცხადებულ მოწინააღმდეგე მხარეს, აგრეთვე საქმეში მონაწილე სხვა პირებს აფრთხილებს გადადებული სხდომის დღის შესახებ და მათი გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, რაც შეიტანება ოქმში და რაზეც ხელს აწერენ ეს პირები.

თუ აპელანტი კვლავ არ გამოცხადდება, მაშინ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუ სხდომაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), მაშინ სასამართლო, აპელანტის თხოვნით, გამოიტანს დაუსწრებულ

გადაწყვეტილებას, ან თუ ასეთი თხოვნა არ არის და იგი მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას, მაშინ სააპელაციო სასამართლო გადადებს საქმის განხილვას, რის შესახებაც აფრთხილებს გამოცხადებულ მხარეს და დადგენილი წესით აცნობებს გამოუცხადებელ პირებს. თუ მოწინააღმდეგე მხარე კვლავ არ გამოცხადდება, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ აპელანტის მოთხოვნას.

საქმე ისაა, რომ აპელანტის (სააპელაციო მოსარჩელის) მიერ მითითებული ფაქტები ითვლება დადასტურებულად, მაგრამ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას აპელანტის სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს სააპელაციო სასამართლო, თუ ეს დადასტურებულად (დამტკიცებულად) ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო თუ არ ამართლებენ, მაშინ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეუძლია სსკ 229-ე მუხლის პირობების დაცვით გამოიტანოს არა მარტო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ დატოვოს სააპელაციო საჩივარი განუხილველად (სსკ 229-ე მუხლის მე-2 ნაწ). სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს სააპელაციო საჩივარს როცა სხდომაზე არ ცხადდება არცერთი მხარე (სსკ 231-ე მუხლი).

§5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება

I. გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს თუ რომელი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება და რომელი საფუძვლების არსებობისას განჩინება: სსკ 243-ე მუხლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. ამავე კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით.

გადაწყვეტილებისა და განჩინების გამოტანის ეს წესი ვრცელდება არამარტო პირველი ინსტანციის სასამართლოებზე, არამედ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებზეც.

აქ შეიძლება სადავო გამხდარიყო მხოლოდ ერთი საკითხი: რა ითვლება „საქმის არსებითად გადაწყვეტად“ და რა ასეთად არ ითვლება“

ამ კითხვაზე პასუხს კანონმდებლობა არ შეიცავს. ამიტომ უნდა მივმართოთ პრაქტიკას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად კი საქმის არსებითად გადაწყვეტად ითვლება სასამართლოს ისეთი მსჯელობა, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის (განცხადების) ბედს ანუ მსჯელობა იმის შესახებ დაკმაყოფილდეს სარჩელი, თუ უარი ეთქვას მოსარჩელეს (განმცხადებელს) მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობებს სარჩელის (განცხადების) დასაშვებობის ანუ მისი წარმოებაში მიღების წინაპირობების შესახებ, სარჩელის განუხილველად დატოვების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა (მაგალითად, ადგილზე დათვალიერება, სასამართლო დავალებების მიცემა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ.) შესრულების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ და ა.შ. აისახება სასამართლოს განჩინებებში, რადგან ასეთი მსჯელობები არ განსაზღვრავენ საქმის ბედს, უფრო ზუსტად არ განსაზღვრავენ მხარის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებულობას, თუ დაუსაბუთებლობას.

იგივე პრინციპით განვითარდა სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიმართაც: თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს მის ნაცვლად ახალი გადაწყვეტილება, ისე რომ საქმეს არ აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად, მაშინ მას გამოაქვს გადაწყვეტილება. მაგრამ, თუ იგი უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ან აუქმებს მას და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მაშინ მას გამოაქვს განჩინება. განჩინება მას გამოაქვს ყოველთვის, როცა საჭიროდ თვლის რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულებას.

II. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოაქვს თავისი დადგენილება გადაწყვეტილების ფორმით: როდესაც აუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ,

საქმეს არ აბრუნებს ხელახლა განსახილველად უკან იმავე ან სხვა სასამართლოში და თვითონ იღებს გაუქმებული გადაწყვეტილების თუ მისი ნაწილის სანაცვლოდ ახალ გადაწყვეტილებას. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 338-ე მუხლში, რომლის თანახმად თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებს საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე“.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი უნდა პასუხობდეს კანონით გათვალისწინებულ (სსკ 249-ე მუხლი) მოთხოვნებს, ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი ბევრადაა განპირობებული სააპელაციო საჩივრის ხასიათითა და შინაარსით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი

ასეთი შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილიდან, ისე სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილიდან. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა მიუთითოს რა შინაარსისაა მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ რომელი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნის თუ შესაგებლის დასასაბუთებლად, ჩათვალა მან დადგენილად, საქმეში არსებულ რომელ მტკიცებულებას დაემყარა სასამართლო და რომელი კანონით იხელმძღვანელა მან დავის გადაწყვეტისას.

ბ) როგორია აპელანტის მოთხოვნა

აპელანტის მოთხოვნის ზუსტად და ამომწურავად მითითება – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს მნიშვნელობა ნათლად ჩანს ჯერ ერთი იქიდან, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით და ვერ გაცდება ამ ფარგლებს და მეორე, ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო სასამართლოც შებოჭილია აპელანტის სააპელაციო მოთხოვნის ფარგლებით და უფლება არ აქვს გაცდეს ამ ფარგლებს. მაგრამ, რომ არ გაცდილდეს ამ ფარგლებს და გადაწყვეტილება მიიღოს სწორედ აპელანტის სააპელაციო მოთხოვნის მიმართ და მის ფარგლებში, ზუსტად უნდა განსაზღვროს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ჩამოაყალიბოს იგი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

გ) როგორ ასაბუთებს აპელანტი თავის სააპელაციო მოთხოვნას ანუ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი

გადაწყვეტილების ამ ნაწილში, რომელიც ემყარება აპელანტის სააპელაციო საჩივარს, მოკლედ მაგრამ ნათლად და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რომელ ფაქტობრივ ან იურიდიულ საფუძვლებს ამყარებს აპელანტი თავის სააპელაციო მოთხოვნას, აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებიც აპელანტის აზრით ადასტურებენ მისი სააპელაციო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს. აქვე უნდა მიეთითოს აპელანტის მოსაზრებებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მის მოთხოვნას, თუ, რათქმაუნდა, იგი თავის მოთხოვნას აფუძნებს არამართო ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ სამართლებრივ მოსაზრებებზე.

აქვე უნდა მიეთითოს იმის შესახებ, თუ რომელ ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს ემყარება აპელანტი, რომლებიც არ იყო წამოყენებული მის მიერ პირველ ინსტანციაში და მიზეზები, რის გამოც ისინი ვერ იქნება წამოყენებული.

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი თითქმის არ განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილისაგან.

ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც მოტივირებულად უნდა აღინიშნოს ასაბუთებენ თუ არა აპელანტის მიერ მითითებული ფაქტები და სამართლებრივი შეფასებები მის მოთხოვნას, რამდენად დასაშვებია სსკ 380-ე და 382-ე მუხლების მიხედვით ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ემყარება, რომელი ფაქტების მიმართ არ დავობენ (აღიარებენ) მხარეები და რომელი დადგენილად ითვლება მტკიცებულებების გამოყენებით, რომელი კანონით იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლომ როდესაც სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა (შეცვალა), ან, როდესაც უარი უთხრა აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.¹⁴¹

¹⁴¹ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 543-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გადაწყვეტილებაში საქმის გარემოებების მითითებაზე, აგრეთვე ამ გადაწყვეტილების საფუძვლების ჩამოყალიბებაზე, თუ იგი, აღიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლებს. (ძირითადად იგულისხმება ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა გასაჩივრება საკასაციო წესით არ დაიშვება – თ.ლ.) იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ პრაქტიკაში

ე) სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ანუ, როგორც ზოგჯერ მას უწოდებენ – საკუთრივ გადაწყვეტილება, ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ემსახურება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება – გამართლებას.

ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაყენება სარეზოლუციო ნაწილს მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნდა შეიცავდეს ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებულ პასუხს აპელანტის სააპელაციო მოთხოვნაზე.

მაგალითად: ბინის დამქირავებელმა ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ნის წინააღმდეგ და მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის (ბინის) ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა იმ საფუძველით, რომ ეს ბინა საფრთხეს უქმნის მას და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას (სამოქ. კოდ. 542-ე მუხლი). ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ თავისი 2005 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ა-ნიმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და თვითონ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი ასე ჩამოყალიბდა:

„დაკმაყოფილდეს ა-ნის სააპელაციო საჩივარი. გაუქმდეს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა აპელანტს სარჩელზე ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ. დაკმაყო-

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები ჯერ კიდევ საკმაოდ იშვიათად იყენებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 543-ე მუხლით გათვალისწინებულ გაიოლებებს. ფართოდ და გულმოდგინედ ასახული სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი კვლავ რჩება მოსამართლისათვის თვითკონტროლის საშუალებად. ზოლო სრულყოფილი სამოტივაციო ნაწილით მოსამართლე თავის გადაწყვეტილებას უფრო განამტკიცებს და დამაჯერებლობას მატებს. ასეთ სამოტივაციო ნაწილს მტკიცებულების ძალა გააჩნია, რის გამოც გამოირიცხულია, რომ ზემდგომი ინსტანციის მოსამართლემ საქმის მასალებიდან სულ სხვა სამოტივაციო ნაწილი ამოიკითხოს, რომელიც ევლად დაედება საფუძველად სასამართლო გადაწყვეტილებას.

Schumann. Die Berufung in zivilsachen. 5. Auflage 1997, s. 250-251.

ფილდეს ა-ნის სარჩელი: ქირავენობის ხელშეკრულება ბინაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ზესტაფონში, ჩხეიძის ქ. №5 და რომელიც დადებული იყო 2003 წლის 10 მაისს 5 წლის ვადით – ჩაითვალოს ვადაძლე მოშლილად“.

(სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს სასამართლო ხარჯებზე და გასაჩივრების წესზე).

სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც იგი უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ან აუქმებს მას და უკან უბრუნებს სასამართლოს ხელახლა განსახილველად, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით. ასეთი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

მაგალითი 1: აპელანტ ა-ნის უარი ეთქვას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება რომლითაც დაკმაყოფილდა დ-ონის სარჩელი მოპასუხე ა-ნიზე 2000 ლარის გადახდევინების დაკისრების შესახებ – დარჩა უცვლელად. (აქვე მითითება ხარჯებზე და გასაჩივრების წესზე).

იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად, მაშინ სააპელაციო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

მაგალითი 2: დაკმაყოფილდეს აპელანტ ა-ნის სააპელაციო საჩივარი. გაუქმდეს ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ-ონის სარჩელი მოპასუხე (აპელანტ) ა-ნიზე 2000 ლარის გადახდევინების დაკისრების შესახებ.

საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ლაგოდების რაიონული სასამართლოს იმავე მოსამართლეს.

§1. კასაციის იურიდიული ბუნება და მიზანი. კასაციის ქართული მოდელი

I. კასაციის იურიდიული ბუნება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საკასაციო სასამართლო არის მესამე ინსტანციის სასამართლო, რომელიც ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. საკასაციო სასამართლოს ასეთი დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ არაა საკმარისი, რადგან არ შეიცავს პასუხს მთელ რიგ საკითხზე, რომლის გარეშე არ შეიძლება გვექონდეს სრული წარმოდგენა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სასამართლო ინსტანციის შესახებ, მით უმეტეს სხვადასხვა ქვეყნებში არსებობენ მეტნაკლებად განსხვავებული მოდელები¹⁴².

¹⁴² მაგალითად, რუსეთის 2002 წლის სსკ-ის 347-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და კანონიერებას ანუ არამართო სამართლებრივ, არამედ ფაქტობრივ მხარეს. იგი არაა შეროჭილი საკასაციო საჩივრით და ამოწმებს გადაწყვეტილებას სრული მოცულობით. საკასაციო სასამართლოს შეუძლია დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად, მაგრამ მას შეუძლია თვითონ შეკრიბოს და შეაფასოს მტკიცებულებები და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება (რუსეთის სსკ 361-ე მუხლი).

იტალიის თანამდროვე სსკ 363-ე მუხლის თანახმად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ გადაწყვეტილება, გენერალურ პროკურორს შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი „კანონის ინტერესებიდან გამომდინარე“. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში „მხარეებს არ შეუძლია ისარგებლონ სასამართლო გადაწყვეტილების კასირებით (გაუქმებით - თლ).“

ასეთ კასაციას ზოგჯერ „პლატონურ კასაციასაც“ უწოდებენ.

გარდა ამისა, იტალიის სსკ 384-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლოს, თუ იგი აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, თვითონ ვერ გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, არამედ აბრუნებს საქმეს უკან ხელახლა განსახილველად.

სომხეთის რესპუბლიკის 1999 წლის სსკ 222-ე მუხლის თანახმად საკასაციო წესით შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოებისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამავე კოდექსის 235-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლოს პალატა გადასინჯავს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას „საკასაციო პროტესტში მითითებული საფუძვლების ფარგლებში“. საკასაციო სასამართლოს შეუძლია დატოვოს გადაწყვეტილება უცვლელად. ან გააუქმოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად, თვითონ საკასაციო სასამართლო ახალ გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს. გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ზოგიერთი სხვა ქვეყნის საკასაციო სასამართლოების საქმიანობა.

იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა შეგვექმნეს საქართველოს კასაციის თაობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი:

1. კასაცია არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით;
2. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა გასაჩივრება კანონითაა გათვალისწინებული;
3. საკასაციო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებზეც ვრცელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.
4. საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერებას, მის იურიდიულ მხარეს;
5. საკასაციო სასამართლო არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო, ამიტომ, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო სასამართლოში პრინციპულად დაუშვებელია. ერთადერთ გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ საპროცესო ნორმების დარღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო საჩივარი ეფუძნება საპროცესო დარღვევებს, კასატორს შეუძლია ასეთი დარღვევის დასადასტურებლად წარუდგინოს საკასაციო სასამართლოს მტკიცებულება;
6. საკასაციო საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს დასაშვებობის წინაპირობაზე, აგრეთვე კანონის დარღვევაზე და იმაზე, თუ რა ფორმით გამოიხატა ეს დარღვევა (გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი);
7. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის საკითხს განიხილავს თვითონ საკასაციო სასამართლო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი საკასაციო საჩივარი ნებისმიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს საკასაციო სასამართლოს საქმესთან ერთად;
8. საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი პირობით: თუ ამ საქმეზე ფაქტიური გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად და საჭირო არაა დამატებითი ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოკვლევა.
თუ ეს პირობა არ არსებობს, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად;
9. ხელახლა განსახილველად საქმე შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა პალატას;

10. საკასაციო სასამართლო შებოჭილია საკასაციო საჩივრის ფარგლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელიც არ იყო გასაჩივრებული. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კასატორისათვის საუარესოდ შებრუნება (non Reformatio in pejus) დაუშვებელია;
11. საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის ფარგლებით და შეუძლია შეამოწმოს კანონის სხვა დარღვევებიც რომლებზეც კასატორი არ მითითებდა, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული მხარე სრული მოცულობით.
12. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად.
ასეთია საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელი მისი რაობა. ამ მოდელის ცალკეული ასპექტის დაწვრილებით განხილვას ეძღვნება ეს თავი.

II. კასაციის მიზანი

საკასაციო სასამართლოს საქმიანობა შეიძლება აღიძრას მხოლოდ და მხოლოდ საკასაციო საჩივრის საფუძველზე. საკასაციო საჩივრის შეტანა კი შეუძლია მხარეს, რომელსაც აქვს ამის იურიდიული ინტერესი. ასეთი ინტერესი კი შეიძლება ჰქონდეს მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება (რომელმაც წააგო პროცესი).

ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო არსებობს იმისათვის, რომ განიხილოს საკასაციო საჩივარი და პასუხი გასცეს ამ საჩივრით წამოყენებულ კასატორის მოთხოვნას. ამრიგად, რომ არა წაგებული მხარის საკასაციო საჩივარი, საკასაციო წარმოება ვერ აღიძვრებოდა, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ვერ განხორციელდებოდა.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო საკითხი: იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლომ განიხილოს საკასაციო საჩივარი, კასატორმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

თუ ყოველივე ამას დაუმატებ იმასაც, რომ საკასაციო სასამართლო ვერ გასცილდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს, რომ იგი შებოჭილია ამ ფარგლებით, არ შეიძლება არ გვაგაკეთოთ ერთადერთი ლოგიკურად და იურიდიულად გამართული დასკვნა: საკასაციო წარმოების შემკვეთად გვევლინება პირი,

რომლის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა არახელსაყრელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს თავის მხრივ ევალუება, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის ყველა წინაპირობა, განიხილოს საკასაციო საჩივარი არსებითად და მიიღოს მის მიმართ შესაბამისი გადაწყვეტილება, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება განხილვის შედეგები, დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას კასატორს საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე.

მეორეს მხრივ, გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა და თვით საკასაციო სასამართლოს არსებობა, წარმოადგენს რეალურ სამართლებრივ საშუალებას კიდევ ერთხელ შემოწმდეს გადაწყვეტილების სისწორე, მისი სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რაც იძლევა იმის იმედს, რომ, თუ შეცდომა სამართლებრივ დასაბუთებულობაში მართლაც დაშვებულია – გასწორდეს ეს შეცდომა, გასწორდეს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულით, ვფიქრობთ, ნათლად გამოიკვეთა კასაციის ერთი მიზანი: მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, რომელსაც სხვანაირად ინდივიდუალური ინტერესების დაცვას უწოდებენ.

ამასთან ერთად, არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოში კასაციის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო კანონების ერთგვაროვნად გაგება და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ასეთი მიზანი დასახულია თითქმის ყველა ქვეყნის საკასაციო სასამართლოების წინაშე, რომელსაც სხვანაირად საჯარო ინტერესების დაცვას უწოდებენ.

ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა და ფართოდ განიხილება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მიზანია კასაციისათვის პრიორიტეტული – ინდივიდუალური, თუ საჯარო ინტერესის დაცვა.

ჩვენ ვთვლიდით, რომ კანონების ერთგვაროვნად გაგება და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა (საჯარო მიზანი), შეიძლება განვიხილოთ როგორც მხარეთა უფლებების დაცვის (ინდივიდუალური ინტერესის) თანმდევი (თანმსლები) შედეგი. სხვა სიტყვებით, მთავარი და ძირითადი კასაციის საქმიანობაში არის ინდივიდუალური (მხარეთა) ინტერესების დაცვა¹⁴³.

ამასთან ერთად, არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ კასაციის მიზნებს შორის უპირატესია საჯარო ინტერესების დაცვა¹⁴⁴.

¹⁴³ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. თბილისი 2004, გვ. 302-303.

¹⁴⁴ Artur May. Die Revision in den zivil- und Verwaltungsrechtlichen Verfahren. 1997, s. 20.

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე ამჟამად ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად კასაციის მიზნების დაყოფა ან გამოიჯენა იმის მიხედვით, თუ რომელია ძირითადი და რომელი მეორადი, ან კიდევ, მათი დაყოფა ხარისხებად და რანგებად, არ იქნება სწორი: კასაციის საქმიანობაში როგორც ინდივიდუალური, ისე საჯარო ინტერესების დაცვა ერთნაირად მნიშვნელოვანია¹⁴⁵.

§2. საკასაციო საჩივარი

I. საკასაციო საჩივრის ობიექტები და სუბიექტები

1. საკასაციო საჩივრის ობიექტი არის ყოველივე ის, რაც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის ობიექტი უპასუხებს კითხვაზე: შეიძლება, თუ არა საკასაციო წესით გასაჩივრდეს ის, რასაც მხარე ასაჩივრებს, რასაც მხარე მოითხოვს საკასაციო სასამართლოსაგან.

აქედან გამომდინარე ცხადია, საკასაციო საჩივრის ობიექტის ზუსტად განსაზღვრას აქვს უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული მნიშვნელობა: თუ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სცილდება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას, თუ კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს ისეთ საპროცესო დოკუმენტს, რომლის საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ითვალისწინებს კანონმდებლობა – საკასაციო სასამართლო არ დაუშვებს ასეთ საკასაციო საჩივარს.

მაგალითად: სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება სააპელაციო წარმოების შეჩერების შესახებ. ა-ნომ ჩათვალა რომ სააპელაციო სასამართლოს ეს განჩინება არ ეფუძნება კანონს ანუ კანონი არ ითვალისწინებს განჩინებაში მითითებულ საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერებას. ა-ნომ შეიტანა საკასაციო საჩივარი ამ განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა იგი, რადგან საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს არა საკასაციო წესით, არამედ კერძო საჩივრით.

კასაციის ინდივიდუალურ და საჯარო ინტერესების დაცვის მიზანზე ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ფართოდაა განხილული ვ. ზრუსტალის დისერტაციაში „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ (იხ. ამ დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 9-10).

¹⁴⁵ იქვე, გვ. 10.

საკასაციო საჩივარი არსებითად განსხვავდება კერძო საჩივრისაგან როგორც თავისი შინაარსით, ისე გასაჩივრების ობიექტით, დასაშვებობის წინაპირობებითა და განხილვის წესით, რის შესახებაც საუბარი გვექნება ან ნაშრომის XXIII თავში.

საკასაციო საჩივრის ობიექტების შესახებ მითითებულია სსკ 391-ე მუხლის პირველ ნაწილში. რომლის თანახმად „სააპელაციო სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

როგორც ვხედავთ, საკასაციო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება გადაწყვეტილება.

მაგრამ, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში შეიძლება გამოიტანოს ისეთი საპროცესო დოკუმენტები, რომლებსაც ეწოდება განჩინებები. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, განჩინება დამატებითი მტკიცებულებების მიღებაზე უარისთქმის შესახებ, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ა.შ.

საკასაციო საჩივრის შეტანა შეიძლება არა ყველა განჩინებაზე, არამედ მხოლოდ ისეთ განჩინებაზე, რომელიც შეიცავს პასუხს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში (უცვლელად) დატოვების, თუ მისი გაუქმების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მისი განჩინებები სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა თუ მასზე უარისთქმის შესახებ, ანუ განჩინებები სააპელაციო წესით გასაჩივრებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თუ მისი ძალაში (უცვლელად) დატოვების შესახებ.

2. საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტების საკითხის გარკვევა პასუხს გვაძლევს კითხვაზე: ვის, ანუ პროცესის რომელ მონაწილეს, შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი.

ამ საკითხის გარკვევას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა: თუ საკასაციო საჩივარი შეიტანა ისეთმა პირმა, რომელსაც არ აქვს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, ასეთ პირს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე.

საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტები პირველ რიგში არიან მხარეები, ანუ ის პირები, რომლებზეც ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილება –

მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (სსკ 391-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია კანონიერი წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ კანონიერი წარმომადგენლობა სპეციალური უფლებამოსილების გარეშე ანიჭებს მათ უფლებას ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე, დამთავრონ საქმე მორიგებით გაასაჩივრონ გადაწყვეტილება და ა.შ. ამასთან ერთად, კანონი შეიცავს შეზღუდვებსაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის თანახმად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არ აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას და ა.შ. მთელი რიგ შეზღუდვებს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 1296-ე და 1297-ე მუხლები, მაგრამ კანონი არ ზღუდავს კანონიერ წარმომადგენელს გაასაჩივროს მისი წარმომადგენლისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია აგრეთვე უფლებამონაცვლები. უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლამდე. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, უფლებამონაცვლეს აღარ შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია იურიდიულ პირთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ანუ პირები, რომლებიც კანონით ან წესდებით აღჭურვილი არიან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და, მაშასადამე, წარმოადგენენ თავიანთ ორგანიზაციებს სასამართლოში. ასეთ პირებად გვევლინება დირექტორები, ხოლო ზოგჯერ პარტნიორი.

საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია აგრეთვე ნებაყოფლობითი წარმომადგენლები, ანუ პირები, რომლებსაც მხარეებმა და ზემოთ დასახელებულმა სხვა პირებმა მიანდეს საქმის წარმოება სასამართლოში (მაგალითად, ადვოკატები) და რომლებიც აღჭურვილნი არიან სპეციალური უფლებამოსილებით გაასაჩივრონ გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება მიეცეს პირს, რომელიც არ ფიგურირებს საქმეში არც მხარედ და არც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, მაგრამ ეს პირი მოხსენიებულია სასამართლო გადაწყვეტილებაში და განსაზღვრულია მისი უფლებები და მოვალეობები

ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართ. ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება საკასაციო (სააპელაციო) წესით, რადგან თვითონ ამ გადაწყვეტილებამ აქცია იგი ერთ-ერთ მხარედ პროცესში. თუ ასეთი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მაშინ მას უნდა მიეცეს უფლება მიმართოს სასამართლოს განცხადებით საქმის განახლების შესახებ, კერძოდ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ სსკ 422-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

II. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წინაპირობები

1. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2005 წლის 23 ივნისს შეტანილი ცვლილებებით მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები.

განვიხილოთ ეს წინაპირობები ცალ-ცალკე.

საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღეში, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობების არსებობა. ეს წინაპირობები მთლიანად განისაზღვრება სსკ 396-ე მუხლით, რომელიც საკასაციო საჩივრის შინაარსს ეხება. გარდა ყველა იმ აუცილებელი რეკვიზიტებისა, რომელსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი წარდგენილი ნებისმიერი განცხადება, თუ შუამდგომლობა, საკასაციო საჩივარს წაეყენება სხვა მოთხოვნებიც, კერძოდ:

1) საკასაციო საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ. ზემოთ ჩვენ ამომწურავად მიუუთითეთ საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებზე, ანუ იმ პირებზე, რომლებსაც შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი. მხოლოდ ამ პირებს აქვთ საკასაციო საჩივრის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, თუ საკასაციო საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება არ აქვს, საკასაციო სასამართლო ვერ დაუშვებს ასეთ საჩივარს.

მაგრამ, საკასაციო საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს საჩივარი უნდა მიიღოს და განიხილოს საკასაციო სასამართლომ. არსებობენ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების სხვა პირობებიც, რომელთა არარსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღება არ შეიძლება.

2) საკასაციო საჩივრის შინაარსის შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან. სსკ 396-ე მუხლი განსაზღვრავს იმ მონაცემებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს საკასაციო საჩივარი. ამ მონაცემების ერთობლიობა ქმნის საკასაციო საჩივრის შინაარსს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უწინარეს ყოვლისა, უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად პასუხობს თვითონ საკასაციო საჩივარი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შეუძლებელია, მაგალითად, საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღება, თუ მასში არაა მითითებული გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი, ან კიდევ, რა მოცულობით და რა საფუძველით საჩივრდება გადაწყვეტილება (კასაციის მიზეზი), რას მოითხოვს კასატორი: გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი) და ა. შ.

თუ წერილობითი ფორმით შედგენილი საკასაციო საჩივარი არ პასუხობს სსკ 396-ე მუხლის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და ნიშნავს ვადას ამისათვის. თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

3) საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე და ამ ვადის აღდგენა (გაგრძელება) არ შეიძლება. ვადის ღენა იწყება გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის გადაგზავნის კანონით დადგენილი წესით (სსკ 397-ე მუხლის პირველი ნაწილი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები ან მათი წარმომადგენლები, რომლებსაც ჰქონდათ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება, მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

ამრიგად, გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ღენა იწყება: ა) მოტივირებული გადაწყვეტილების ასლის უშუალოდ სასამართლოში ჩაბარების დღიდან, როცა ეს მხარე არ ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას; ბ) მოტივირებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაგზავნის დღიდან, თუ საქმეში არის ცნობა, რომ მხარეს ჩაბარდა გადაწყვეტილება; გ) მოტივირებული გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან, თუ ასეთ გამოცხადებას ესწრებოდა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

4) სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდას. ეს იმას

ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რომლითაც ამ საჩივრის განმხილველი საკასაციო სასამართლო იგებს, რომ ბაჟი გადახდილია. თუ ბაჟის გადახდის ასეთი დამადასტურებელი დოკუმენტი არ ერთვის საჩივარს, საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და დაავალოს კასატორს დანიშნულ ვადაში გადაიხადოს ბაჟი. თუ ხარვეზი ამ ვადაში შევსებული არ იქნება საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

5) საკასაციო გასაჩივრებაზე წერილობითი უარის არარსებობა. სსკ 370-ე მუხლი ამკვიდრებს დებულებას, რომლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე წერილობითი ფორმით განაცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. იგივე წესი მოქმედებს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე უარის-თქმისას, რადგან სსკ 399-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის.

ამრიგად, უარისთქმას საკასაციო გასაჩივრებაზე უკავშირდება სერიოზული სამართლებრივი შედეგი: თუ მიუხედავად ამისა, მხარე მაინც გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით, ამ საჩივარს საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მისი დაუშვებლობის გამო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოიხსნას ასეთი შედეგი: თუ მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც არ განუცხადებია უარი საკასაციო გასაჩივრებაზე, გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში მხარეს რომელმაც უარი თქვა საკასაციო გასაჩივრებაზე შეუძლია შეიტანოს შეგებებული საკასაციო საჩივარი.

მაგალითად: სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირელი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანა საქმეზე ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა-ნის მოთხოვნა, ხოლო ნაწილობრივ უარი უთხრა მას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ა-ნიმ განუცხადა სასამართლოს და მოწინააღმდეგე მხარეს ბ-ანის, რომ ის უარს ამბობს ამ გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. ეს განცხადება შეტანილ იქნა ოქმში, რაზეც ხელი მოაწერა ა-ნიმ.

ბ-ანიმ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა-ნის სარჩელი. შეიტყო რა ამის შესახებ ა-ნიმ, რომელსაც უარი ჰქონდა ნათქვამი საკასაციო გასაჩივრებაზე, შეიტანა შეგე-

ბებული საკასაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლომ მიიღო ეს საჩივარი განსახილველად.

საკასაციო სასამართლო სწორად მოიქცა, რადგან სსკ 405-ე მუხლის თანახმად თუ მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია შეიტანოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად საკასაციო საჩივრის შეტანაზე უარის თქმისა.

6) საკასაციო საჩივრის დაფუძნება კანონის დარღვევაზე. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც კასატორი ასაჩივრებს, კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა (სსკ 393-ე მუხლი).

საკასაციო საჩივარი, რომელიც ემყარება არა კანონის დარღვევას, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილების ფაქტობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, არაა საკასაციო საჩივარი, ამიტომ, იგი დაუშვებელია. მაგრამ, კანონი ასეთ საჩივარს განიხილავს როგორც საკასაციო საჩივარს, რომელსაც აქვს ხარვეზი. საკასაციო სასამართლომ უნდა დაევალოს კასატორს შეავსოს ეს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ეს ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.¹⁴⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეტანილია, თუ არა საკასაციო საჩივარი სსკ 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და, მამსადაძმე, არსებობს, თუ არა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა. თუ ეს წინაპირობები არსებობენ საკასაციო სასამართლო მიიღებს საკასაციო საჩივარს მისი დასაშვებობის შესამოწმებლად, ან თუ ასეთი წინაპირობები არ არსებობენ – საკასაციო სასამართლო უარს ეტყვის კასატორს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

აქ მითითებული განჩინებების მიღებამდე შეიძლება მიღებულ იქნეს შუალედური განჩინება საკასაციო ხარვეზის შევსების შესახებ (სსკ 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

¹⁴⁶

თურთიულ ლიტერატურაში არსებობს ჩვენი აზრით სავსებით სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული საკასაციო მოთხოვნის დასაბუთებულობა მთლიანად განპირობებულია კასაციის მიზნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემყარებოდეს კანონის დარღვევას, მასში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა. ვ. ზრუსტალი – დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

მაგალითად: ა-ნის წარმომადგენელმა დ-ონმა შეიტანა საკასაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მართალია დ-ონი გამოდიოდა ამ საქმეზე ა-ნის წარმომადგენლად, მაგრამ საკასაციო გასაჩივრებაზე სპეციალური უფლებამოსილება მას არ ჰქონდა, რასაც მოითხოვს კანონი (სსკ 98-ე მუხლი). საკასაციო სასამართლომ მიიღო განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და დანიშნა ამისათვის ვადა. ამ ვადაში წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა მარწმუნებლის მიერ გაცემული სპეციალური მინდობილობა. საკასაციო სასამართლომ მიიღო განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ.

2. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები

როგორც ეს პირდაპირაა მითითებული სსკ 401-ე მუხლის ახალი რედაქციით „სასამართლო იღებს წარმოებაში საკასაციო საჩივარს ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.“

როგორია სსკ 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები?

1) საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება

დასაშვებობის ეს წინაპირობა ეხება უშუალოდ საკასაციო საჩივარს. ქონებრივ სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება აღემატება 50 000 ლარს. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბ-ანი-საგან ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 55000 ლარის ოდენობით. რაიონულმა სასამართლომ უარი უთხრა ა-ნის სარჩელის, დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა გადაწყვეტილება და თვითონ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ, კერძოდ 25000 ლარის ოდენობით დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა. ა-ნიმ შეიტანა საკასაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება ამ შემთხვევაში განისაზღვრება არა 55000 ლარით, არამედ 25000 ლარით, რადგან

კასატორი მოთხოვნის სააქლაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას სწორედ ამ ნაწილში.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება გართულდეს როდესაც მხარის მოთხოვნა ეხება ქონებას ან ქონების ნაწილს, ამასთან დაკავშირებით სსკ 391-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს პრაქტიკულ მითითებას, რომლის თანახმად, თუ ღირებულების მოცულობა ეჭვს იწვევს, მაშინ კასატორმა ეს ღირებულება უნდა დაადასტუროს. ამდენად, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამტკიცების ტვირთი ეკისრება კასატორს. საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად დამაჯერებლად დამტკიცა კასატორმა ეს ღირებულება და შეიძლება თუ არა მის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და მოსაზრებებს დაეყრდნოს.

რაც შეეხება არაქონებრივ დავებს, ასეთ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა: ქონებრივ დავებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 50000 ლარს და ისეთ არაქონებრივ დავებზე, როგორცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავები, — ვრცელდება ე.წ. თავისუფალი კასაცია: შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავების მიმართ, მათზე არ ვრცელდება.

დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი სხვა ისეთ ქონებრივ დავებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50000 ლარს და ისეთ არაქონებრივ დავებზე, რომლებიც არ განეკუთვნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებს?

ეს დავები არ განეკუთვნება „თავისუფალ“ კასაციათა კატეგორიას. ასეთი დავების მიმართ კასაცია დასაშვებია თუ არსებობენ გარკვეული წინაპირობები. ასეთი წინაპირობებია:

2) საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის (სსკ 391-ე მუხლის მე-5 პუნ. „ა“ ქვეპუნქტი)

ნებისმიერ საქმეს, რომელიც სასამართლოში განიხილება, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგალითად, საქმეს აქვს მნიშვნელობა კასატორისათვის ან საერთოდ მხარეებისათვის მათი მოთხოვნის (დავის საგნის) გადაწყვეტის შედეგის თვალსაზრისით. საქმის განხილვასა და გადაწყვეტას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ეკონომიკური, ზნეობრივი, მორალურ-პოლიტიკური, ისტორიული თუ სხვა რაიმე მოსაზრებითაც.

თუ რისთვის ან რა თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს საქმეს მნიშვნელობა რათა დაშვებულ იქნეს ამ საქმეზე კასაცია, ამას განსაზღვრავს თვითონ კანონმდებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ ძირითად სფეროებს (მიმართულებებს) რომლებსთვისაც საქმეს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რათა დაშვებულ იქნეს კასაცია ამ საქმეზე. როგორც აღვნიშნეთ ეს სფეროებია (მიმართულებებია): სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. თუ საქმეს აქვს მნიშვნელობა ან სამართლის განვითარებისათვის, ან ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის – კასაცია დაშვებული უნდა იქნეს.¹⁴⁷

ამასთან ერთად, საქმის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოსაყენებელ ნორმას (კანონს), რომელიც აწესრიგებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ჩამოვყალიბოთ რამდენიმე რეკომენდაცია:

კასაციის დასაშვებობის წინაპირობების არსებობის შემოწმებისას მხედველობაში შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ ის, რომ სამართლებრივი ნორმა ან ამ ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივი შეფასება უშუალოდ უკავშირდებოდეს განსახილველ საქმეს, ემსახურებოდეს განსახილველი საქმის გადაწყვეტას, საფუძვლად ედოს ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო მოწოდებულია შეაშინოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების იურიდიული მხარე და არა იმისათვის, რომ პასუხი გასცეს აბსტრაქტულ სამართლებრივ საკითხებზე, ან განმარტოს ისეთი სამართლებრივი ნორმების აზრი და შინაარსი, რომლებსაც მოცემულ კონკრეტულ სამართლებრივ დავასთან კავშირი არ აქვს და, მაშასადამე, ამ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასაცია სსკ 391-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დასაშვებია:

¹⁴⁷

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა სწორი მოსაზრება იმის შესახებ, რომ 391-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კასაცია დასაშვებია, თუ მას აქვს მნიშვნელობა არამარტო სამართლის განვითარებისათვის, არამედ იმავედროულად ერთგვაროვანი პრაქტიკისათვის, თუმცა საესებით სწორად მოუთითებენ, რომ თუ საქმეს აქვს მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის, მას არ შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვისაც. იხ. ცენო რაიჰენგებერი და შალვა პაპუაშვილი, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საუქმელების განმარტებისათვის. უკრნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (6), 2005, გვ. 72.

1. თუ დასაბუთებულ ეჭვს იწვევს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის ან სამართლის ანალოგიის გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა, ან კიდევ შესავსებია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი, რომელზეც საკასაციო სასამართლოს ადრე არ ჰქონია მიღებული რაიმე გადაწყვეტილება.¹⁴⁸

2. თუ სამართლებრივი ნორმა შედარებით ახალია, ან პირველად იქნა გამოყენებული და მისი შინაარსის გაგება იწვევს სერიოზულ ეჭვებს, რაც ქმნის იმის აუცილებლობას, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნეს განმარტებული და პასუხი გაეცეს ამ ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივ საკითხებს.

3. თუ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ადრე დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. მხედველობაშია იმავე ან სხვა სააპელაციო სასამართლოების, აგრეთვე, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.¹⁴⁹ რაც შეეხება წინააღმდეგობის არსებობას საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან – ეს ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი სსკ-ში, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

3) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (სსკ 191-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამ წინაპირობის შინაარსის სწორად გაგებისათვის ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გაემიჯნოთ ორი პრობლემა: ერთი – საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულობა სააპელაციო სასამართლოსათვის, რომელიც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას და მეორე – საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების, უფრო ზუსტად, ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების „სავალდებულობა“ სხვა სასამართლოებისათვის.

¹⁴⁸ ცნო რაიკენბეკერი, შალვა პაპუაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

¹⁴⁹ ამ კრიტერიუმთან დაკავშირებით პრინციპულია ის გარემოება, რომ გადამწყვეტია არა ცალკეული სამართლებრივი დავის ბუდი არამედ მისი მნიშვნელობა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენად პრინციპულია კონკრეტული სამართლებრივი შეცდომა მთლიანად სასამართლო პრაქტიკისათვის როგორც მისი განმეორების შესაძლებლობის. ისე მართლმსაჯულების მიმართ ნდობის შერყევის კუთხით.

იხ. ცნო რაიკენბეკერი, შალვა პაპუაშვილი. დასახ. ნაშრომი.

ა) საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძველად უდევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის უკან დაბრუნებას, სავალდებულოა გასათვალისწინებლად იმ სააპელაციო სასამართლოსათვის, რომელსაც ეს საქმე განსახილველად უბრუნდება.

არც საპროცესო სამართლის თეორიაში და არც პრაქტიკაში ეს არ იწვევს რაიმე დავას და ამით არ ირღვევა მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების ფუნდამენტური პრინციპი.

იმ მრავალ მოსაზრებას შორის, რომლებიც მიმართულია საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულობის გამართლებისაკენ აქ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი მოსაზრების მოყვანით: რომ არა ასეთი სავალდებულობა შეუძლებელი იქნებოდა საკასაციო სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში და პირიქით, ანუ საქმის დაუსრულებელი მოძრაობის თავიდან აცილება, ხოლო, სამართლის განვითარებასა და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია გერმანულ და ავსტრიულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში, არანაირ დავას არ იწვევს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეხედულება სავალდებულოა აგრეთვე იმ საკასაციო პალატისათვის, რომელმაც ასეთი შეხედულება ჩამოაყალიბა („თვითშეზღუდვის პრინციპი“). ამ საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა წარმოშობდა გადაულახავ ლოგიკურ წინააღმდეგობას, რომლის მიხედვით გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება“ სავალდებულოა ქვემდგომი სასამართლოსათვის, მაგრამ არაა სავალდებულო თვითონ შემფასებლისათვის. ასეთი მდგომარეობის ლოგიკური გამართლება შეუძლებელია, მაგრამ ასეთი მდგომარეობა საფუძველს აცლის ერთიანი მართლმსაჯულებისა და სამართლის უნიფიკაციის ინტერესებს.

რაც შეეხება სხვა საკასაციო პალატებს ან ამ პალატების სხვა შემადგენლობებს (კოლეგებს), სამართლებრივი შეფასებები სხვა საქმეებზე და სხვა პალატების (შემადგენლობების) მიერ ჩამოყალიბებული, ასევე სავალდებულოა და მათ უფლება არ აქვთ გადაუხვიონ ამ შეფასებებს. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, როცა არ ეთანხმებიან ადრე მიღებულ სამართლებრივ შეფასებებს – ესაა მიმართონ დიდ პალატას და გადასცენ მას საქმე განსახილველად, რომლის მიერ ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება სავალდებულო იქნება ყველა საკასაციო პალატისთვის (შემადგენლობისათვის). მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლის

ნორმების შინაარსის ერთგვაროვნად გაგება და საერთოდ კასაციის მიზნების სრული რეალიზაცია.

ამასთან ერთად, არ აქვს არანაირი მნიშვნელობა სამართლის დარგს, რომელსაც განეკუთვნება საქმე და ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება. სსკ 391-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გამოყენებულ სიტყვებში: „განსხვავებული გადაწყვეტილება“, „განსხვავებული პრაქტიკა“, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკა“ – უნდა ვიგულისხმოთ სამართლის ნორმის (კანონის) განსხვავებულად განმარტება, რომელსაც ამ სხვადასხვა საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები ემყარებიან¹⁵⁰. მთავარია, რომ ერთიდაიგივე ან იდენტურ სამართლებრივ საკითხზე ახლანდელი გადაწყვეტილება შეიცავდეს საკასაციო სასამართლოს ადრინდელ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ პასუხისაგან განსხვავებულ პასუხს.

ბ) საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულობა სხვა სასამართლოებისათვის. სხვა სასამართლოებისათვის, კერძოდ სხვა სააპელაციო თუ პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ მოსაზრებას სავალდებულო ძალა არ აქვს. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გამოყენება ამ „სხვა სასამართლოებში“ უზრუნველყოფილია არა სავალდებულობის ძალით, არამედ მათი დასაბუთებულობისა და დამაჯერებლობის ძალით. მათ მიმართ მთელი ძალით მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ორი ინტერესის კოლიზია: ერთის მხრივ, მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ იგი უფლებამოსილი და ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საკუთარი სამართლებრივი შეხედულების საფუძველზე და მეორეს მხრივ, სამართლისა და მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის უზრუნველყოფის ინტერესი (ამოცანა).

კოლიზია ამ ორ ინტერესს შორის ნამდვილად არის, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა გეთავაზობს მისი გადაჭრის შემდეგნაირ გზას:

¹⁵⁰ სსკ 391-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოითხოვნილი სიტყვები „ამ კატეგორიის საქმეებზე...“ არ უნდა გაიგოთ ისე, თითქოს სხვა კატეგორიის საქმეებზე შეიძლება ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია. იგივე ანუ იდენტურ სამართლებრივ საკითხზე განსხვავებული პასუხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის ნორმის განსხვავებულად ინტერპრეტაციის, თუ სამართლებრივ საკითხზე განსხვავებული პასუხის კონსტატირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა არც „საქმეთა კატეგორიას“ და უფრო მეტიც, არც სამართლის დარგს.

თუ სასამართლოს ახლანდელი გადაწყვეტილება ემყარება იგივე ან იდენტური სამართლის ნორმის სხვანაირ ინტერპრეტაციას, იგივე ან იდენტურ სამართლებრივ საკითხზე სხვანაირ პასუხს, ანუ სხვანაირ სამართლებრივ შეფასებას, ვიდრე ეს მოცემულია საკასაციო სასამართლოს ადრინდელ გადაწყვეტილებაში – სააპელაციო სასამართლომ უნდა მიუთითოს ამის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში, ხოლო საკასაციო სასამართლომ უნდა დაუშვას ასეთ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი.¹⁵¹

4) საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში მიერ მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე (სსკ 191-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს საპროცესო დარღვევების ისეთ ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გაუქმდეს (სსკ 394-ე მუხლი). ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა საპროცესო დარღვევების შემთხვევაში გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ნებისმიერი ისეთი საპროცესო დარღვევების შემთხვევაში, როდესაც ასეთ დარღვევას შეეძლო გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების სისწორეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს არამარტო ისეთ საპროცესო დარღვევებს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი (სსკ 394-ე მუხლი), არამედ ისეთ საპროცესო დარღვევებსაც, რომლებსაც კანონი არ ითვალისწინებს მაგრამ რომლებსაც შეეძლოთ არსებითად ემოქმედათ საქმის შედეგზე. შეეძლოთ, თუ არა ასეთ დარღვევებს (რომლებზეც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საკასაციო საჩივარში) ემოქმედათ საქმის შედეგზე (გადაწყვეტილების სისწორეზე), წყვეტს თვითონ საკასაციო სასამართლო.

5) სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გასაჩივრება (სსკ 391-ე მუხლის მე-5 პუნქტი „დ“ ქვეპუნქტი)

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მისი განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

თუ რას ნიშნავს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამის შესახებ საუბარი გვექონდა ამ წიგნის XV თავში. ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ

¹⁵¹

ჯერჯერობით საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვით ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის დაშვების შესახებ, რაც საეაღდებულია საკასაციო სასამართლოსათვის.

შეეჩერდებით. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ რაზან მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (და განჩინება) განხილულია საკასაციო საჩივრების დასაშვებობის ერთ სიბრტყეზე, მასზე აღარ შეიძლება გავავრცელოთ დასაშვებობის სხვა წინაპირობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (განჩინება) განეკუთვნება „თავისუფალ კასაციით“ კატეგორიას: საკმარისია გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება იყოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ – საკასაციო სასამართლომ უნდა დაუშვას და განიხილოს იგი.

ასეთია მოკლედ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები, თუ ეს წინაპირობები არსებობს საკასაციო სასამართლო გამოიტანს „განჩინებას საკასაციო საჩივრის დასაშვებობისა და მისი განხილვის დღის დანიშვნის შესახებ“, თუ ასეთი წინაპირობები არ არსებობს მას გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის მიღებაზე უარის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის წინაპირობები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ არის ახალი და ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის სრულიად უპრეცედენტო მოვლენა. მას ყავდა წინამორბედი საქართველოს სენატის, ანუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს „საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს“ სახით, რომელიც შეიქმნა 1919 წლის „დებულებით საქართველოს სენატის შესახებ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ წარმოადგენს სხვა საკასაციო პალატებზე ზემდგომ საკასაციო სასამართლოს. იგი არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც სხვა საკასაციო პალატებმა შეიძლება გადასცენ საქმე განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. დიდი პალატა საქმეებს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

დიდ პალატას ვერ მიმართავენ უშუალოდ კასატორები. დიდი პალატა განიხილავს საქმეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართავს რომელიმე საკასაციო პალატა. ცხადია, საკასაციო პალატის განჩინება საქმის დიდ პალატაზე გადაცემის შესახებ მოტივირებული უნდა იყოს იმ გარემოებებით,

რომლებიც მითითებულია „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში.

ეს გარემოებებია:

1) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

2) საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;

3) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

უნდა ვაღიაროთ, რომ დიდ პალატაზე საქმის გადაცემის ეს წინაპირობები, თავისი შინაარსით იგივეა, რაც საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი. ასეთ შემთხვევაში მათი კანონმდებლობაში შენარჩუნება აბსოლუტურად გაუმართლებელი იქნება.

დიდ პალატაში საქმეთა გადაცემის პირობები უნდა დაზუსტდეს, დიდ პალატას შეიძლება გადაეცეს საქმე განსახილველად: ა) თუ საკასაციო პალატა არ იზარებს დიდი პალატის მიერ ნორმის განმარტებას (სამართლებრივ შეფასებას); ბ) თუ საკასაციო პალატებს შორის არ არის ერთსულოვნება სამართლის ნორმის აზრისა და შინაარსის გაგებაში და გ) თუ თვითონ დიდ პალატას საჭიროდ მიაჩნია შეცვალოს თავისი ადრე მიცემული განმარტებები და შეფასებები.¹⁵²

III. შეგებებული საკასაციო საჩივარი

ის, რაც ითქვა შეგებებული სააპელაციო საჩივრის მიმართ (იხ. თავი XXI) მთლიანად განეკუთვნება შეგებებულ საკასაციო საჩივარსაც. ამიტომ, აქ შემოვიფარგლებით რამდენიმე პრინციპული დებულების ჩამოყალიბებით:

1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებას (შეპასუხებას, შესაგებელს) საკასაციო საჩივარზე და შეგებებულ საკასაციო საჩივარს (სსკ მე-400 და 405-ე მუხლები).

განსხვავება საკასაციო მოპასუხის შეპასუხება-შესაგებელსა და მის შეგებებულ საკასაციო საჩივარს შორის არსებითია:

საკასაციო საჩივარზე მოწინააღმდეგე მხარის (საკასაციო მოპასუხის) შეპასუხება (შესაგებელი) მიმართულია უშუალოდ საკასაციო საჩივრის წი-

¹⁵² ვ. ზრუსტალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32

ნააღმდეგ, ანუ იმის დასაბუთებისაკენ, რომ საკასაციო საჩივარი არაა იურიდიულად მოტივირებული, იურიდიულად გაუმართლებელია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორი და სამართლიანია.

რაც შეეხება შეგებებულ საკასაციო საჩივარს, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმის დასაბუთებით, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არაა იურიდიულად გამართლებული, არამედ მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომელიც კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი.

მაგალითად: სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ-ანის დააკისრა ა-ნის სასარგებლოდ 40000 ლარის გადახდევინება, ხოლო 60000 ლარის გადახდევინებაზე უარი უთხრა. ა-ნიმ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა მას 60000 ლარის გადახდევინებაზე.

ბ-ანიმ შეიტანა შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც არამართო უარყო საკასაციო საჩივარი და მიუთითა ვარემოებებზე, რომლებიც აქარწყლებენ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობას, არამედ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილშიც, რომელიც კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი და რომლითაც მას დაეკისრა 40 000 ლარის გადახდევინება.

2. თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომლითაც მთლიანად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ან მთლიანად ეთქვა უარი მის მოთხოვნას, ან კიდევ, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მთლიანად დაკმაყოფილდა ან მთლიანად ეთქვა უარი მოსარჩელის მოთხოვნას – შეგებებული საკასაციო საჩივრის აღძვრა გამორიცხულია, რადგან საკასაციო საჩივრით მთლიანად იფარება გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება). ასეთ შემთხვევაში კასატორის მოწინააღმდეგე მხარის (საკასაციო მოპასუხის) იურიდიული ინტერესი მთლიანად ამოიწურება იმ მოტივების გაქარწყლებით, რომლებიც საფუძვლად უდევს საკასაციო საჩივარს. ამისთვის არსებობს შესაგებელი საკასაციო საჩივარზე.

3. საკასაციო მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს შეგებებული საჩივარი მისთვის საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში.

4. შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომელიც შემოტანილია საკასაციო გასაჩივრების ვადის დაცვით (ერთი თვე) და მისი ღირებულება შეესაბამება საკასაციო საჩივრისათვის კანონით გათვალისწინებულ ფასს – არის ძირითადი საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი დამოუკიდებელი შეგებებული საკასაციო საჩივარი უნდა განიხილოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, უარი ეთქვა კასატორს ძირითად საკასაციო საჩივრის მიღებაზე, დაშვებაზე, უკან გაითხოვა, თუ არა კასატორმა თავისი საკასაციო საჩივარი და ა.შ.

5. შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომელიც შემოტანილია საკასაციო გასაჩივრების ვადის დარღვევით, ანუ ერთი თვის შემდეგ (სსკ 397-ე მუხლი), ან არ პასუხობს საკასაციო საჩივრისათვის კანონით გათვალისწინებულ ფასს – არის ძირითად საკასაციო საჩივარზე დამოკიდებული საკასაციო საჩივარი და მისი მიღება წარმოებაში და დაშვება მთლიანად დამოკიდებულია ძირითადი საკასაციო საჩივრის მიღებაზე და დაშვებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ არ იქნება მიღებული და დაშვებული ძირითადი საკასაციო საჩივარი, მაშინ არ იქნება მიღებული და დაშვებული შეგებებული საკასაციო საჩივარიც.

6. წარმოებაში მიღებული და დაშვებული ძირითადი და შეგებებული საკასაციო საჩივრების არსებითად გადაწყვეტის ბედი არაა დამოკიდებული ერთმანეთზე: სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს შეგებებული საკასაციო საჩივარი და უარი უთხრას კასატორს ძირითადი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და პირიქით.

7. საჩივარი, რომელსაც შეგებებული საკასაციო (სააპელაციო) საჩივარი უწოდეს, მაგრამ მიმართულია მხოლოდ ძირითადი საკასაციო საჩივრის გაქარწყლებისაკენ, სინამდვილეში არის ჩვეულებრივი შესაგებელი (შეპასუხება) საკასაციო საჩივარზე.

შეგებებული საკასაციო საჩივარი არ შეიძლება უწოდოთ აგრეთვე ისეთ საჩივრებს, რომლებიც ისეთ ახალ მოთხოვნებს აყენებს, რომლებიც არ იყო წამოყენებული და განხილული წინა ინსტანციის სასამართლოს მიერ. ახალი მოთხოვნების წამოყენება (რასაც პრაქტიკაში ზოგჯერ აქვს ადგილი) შეგებებული საკასაციო (სააპელაციო) საჩივრით დაუშვებელია.

§3. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში

I. საკასაციო საჩივრის შემოტანის შედეგი

1. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და დაუყონებლივ აღსრულების შეჩერება. გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანის ფაქტს უკვე უკავშირდება გარკვეული იურიდიული შედეგი: იგი ვერ შევა კანონიერ ძალაში, მანამ სანამ საკასაციო სასამართლო არ განიხილავს ამ საჩივარს და არ მიიღებს თავის გადაწყვეტილებას მისი წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის, დაუშვებლობის ან გასაჩივრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

ამრიგად, საკასაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

ამის შემდეგ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე რანაირ გადაწყვეტილებას მიიღებს საკასაციო სასამართლო. თუ არ არსებობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის წინაპირობები, საკასაციო სასამართლო შესაბამისად გამოიტანს „განჩინებას საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ“ ან „განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“. ერთ-ერთი ამ განჩინების გამოტანის შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში და იგი შეიძლება იძულებით აღსრულდეს.

თუ არსებობს წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა და საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში საკასაციო სასამართლომ, მაშინ მან თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდეს ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო, თუ ნაწილობრივ იყო გასაჩივრებული, მაშინ განჩინებაში უნდა მიუთითოს, რომელ ნაწილში შეჩერდეს მისი კანონიერ ძალაში შესვლა. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც შემოტანილი იქნება შეგებებული საკასაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უშვებს გადაწყვეტილების დაუყონებლივ (კანონიერ ძალაში შესვლამდე) იძულებითი აღსრულების შესაძლებლობას (სსკ 268-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო საჩივარი შეტანილია ასეთ გადაწყვეტილებაზე, „საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები“ (სსკ 402-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამის შესახებ საკასაციო

სასამართლოს შეუძლია მიუთითოს განჩინებაში საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ, ან გამოიტანოს სპეციალური განჩინება, რის შესახებაც უნდა ეცნობოს აღმასრულებელს.¹⁵³

2. საქმის განხილვის დანიშვნა და მომზადება. საკასაციო საჩივრის დასაშვებობას უკავშირდება კიდევ ერთი შედეგი: საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს „განჩინება საკასაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ“. ამ განჩინებით მან უნდა განსაზღვროს საქმის განხილვის დღე და დაადგინოს მისი მომზადება განსახილველად. საქმის განხილვის დღე უნდა განისაზღვროს იმ ვარაუდით, რომ მოუსწროს ამ საქმის მომზადება.

საქმის მომზადებისათვის საკასაციო სასამართლოს საქმიანობის ზასიათი და შინაარსი განისაზღვრება იმ მიზნებითა და ამოცანებით, რომლებიც დგას საკასაციო სასამართლოს წინაშე: გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება.

პირველ რიგში, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის და მასზე დართული წერილობითი მასალების ასლები თავის განჩინებასთან ერთად უნდა გადაუგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს. განჩინებაში მითითებული უნდა იყოს თუ რა საკითხებზე უნდა გასცეს პასუხი მოწინააღმდეგე მხარემ, კერძოდ ცნობს თუ არა საკასაციო საჩივარს, თუ არა, რა კონკრეტულ მოსაზრებებს ემყარება, ხომ არ აპირებს შეგვებებული საკასაციო საჩივრის შემოტანას და აცნობებს მას ასეთი საჩივრის შემოტანის კანონისმიერ ვადას და აფრთხილებს, რომ თუ ამ ვადაში შეგვებებული საკასაციო საჩივარი არ იქნება შემოტანილი, იგი არ იქნება მიღებული და განხილული. ამავე განჩინებით საკასაციო სასამართლო განუსაზღვრავს მოწინააღმდეგე მხარეს ვადას საკასაციო საჩივარზე წერილობითი შესაგებლის (შეპასუხების) წარმოდგენისათვის და სხვა (სსკ მე-40 მუხლი).

საკასაციო სასამართლო თვითონ ემზადება საქმის განხილვისათვის, კერძოდ სწავლობს საქმის მასალებს, არკვევს რომელი ფაქტობრივი გარემოებები ჩათვალა დამტკიცებულად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა

¹⁵³

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საკასაციო სასამართლომ დეტალურად უნდა გაანალიზოს საქმის გარემოებები და კარგად განჭვრიტოს, თუ რა ზიანი შეუძლია მოუტანოს აღსრულების შერჩევამ გადამხდლებელს და რა სახისა და ფორმის გარანტიებით უზრუნველყოს მოსალოდნელი ზიანი, რაც გათვალისწინებულია სსკ 57-ე მუხლით.

სასამართლომ და რომელი ფაქტების შესახებ არ დავობენ მხარეები, რამდენად სწორადაა შეფასებული ეს გარემოებები სამართლებრივად და ა.შ.

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ საჭიროა თუ არა საქმის წინასწარი მომზადება, როდესაც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ საქმეზე ზეპირი განხილვის დანიშვნა საჭირო არაა (სსკ 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკასაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ არა ამ საქმის განხილვის გარეშე. ამიტომ, საქმე უნდა იქნეს მომზადებული განხილვისათვის და არა მხოლოდ ზეპირი განხილვისათვის.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად საქმის საკასაციო განხილვისათვის მომზადებას აწარმოებს ერთპიროვნულად საკასაციო მოსამართლე, კერძოდ მომხსენებელი მოსამართლე. ეს მოსაზრება ეფუძნება სსკ მე-200 მუხლს, რომლის თანახმად, თუ საქმე კოლეგიურმა სასამართლომ უნდა განიხილოს, მაშინ საქმეს ამ სასამართლოს ერთ-ერთი წევრი ამზადებს. უფრო მეტიც, საქმის მომზადება შეიძლება დაევალოს თანამშემწესაც, ცხადია საკასაციო მოსამართლის ხელმძღვანელობით.

3. გადაწყვეტილების მიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რასაც შეიცავს სსკ-ის თავი, რომელიც საკასაციო წარმოებას აწესრიგებს. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია საკასაციო საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სსკ 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

ასეთი წესის არსებობა განპირობებულია კასაციის მიზნებით, რომელიც მოწოდებულია შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და არა მისი ფაქტობრივი დასაბუთებულობა და რომელიც არ იკვლევს მტკიცებულებებს და არ ადგენს ფაქტებს.

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გააკეთოთ დასკვნა, რომ საკასაციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი განხილვის გარეშე ისეთ შემთხვევებში, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღება კანონის დარღვევით ან მის გარეშე არანაირ ეჭვს

არ იწვევს და, მასასადამე, მხარეთა მონაწილეობით ამ საკითხის განხილვა საჭირო არაა.¹⁵⁴

გადაწყვეტილების მიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე ცხადია არ ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას საქმის განხილვის გარეშე. საკასაციო სასამართლოს სხდომა უნდა შედგეს დანიშნულ დღეს და იგი უნდა ჩატარდეს კანონით დადგენილი წესის დაცვით, კერძოდ, მომხსენებელი მოსამართლე, რომელმაც მოამზადა საქმე განხილვისათვის და შეადგინა გადაწყვეტილების პროექტი, ჩვეულებრივ, ისე როგორც ეს ხდება მხარეთა მონაწილეობის დროს, გადმოცემს საქმის ვითარებას, აგრეთვე რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს ემყარება სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო შეზოგილია საჩივრის ფარგლებით, ამიტომ საკასაციო სასამართლოს უნდა მოხსენდეს გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი და როგორია მისი მოთხოვნა, აგრეთვე რომელ კანონს თელის იგი დარღვეულად და კონკრეტულად რაში გამოიხატა, მისი აზრით ეს დარღვევა. ცხადია, მომხსენებელი მოსამართლე უნდა შეეხოს მოწინააღმდეგე მხარის წერილობით შესაგებელს თუ ასეთი იყო წარმოდგენილი. ბოლოს, მომხსენებელი მოსამართლე ახსენებს სასამართლოს თავის წინასწარ დასკვნას (გადაწყვეტილების პროექტს), რომელიც უნდა იქნეს განხილული ამ სხდომაზე და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ზეპირი განხილვის გარეშე მხოლოდ ერთი რამით განსხვავდება ზეპირი განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისაგან: საქმის განხილვაში არ მონაწილეობენ მხარეები.

¹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სსკ 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმების შესახებ მისი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე და 42-ე მუხლებთან შეუსაბამობის გამო და ჩათვალა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/6/205,232. 3 ივლისი, 2003 წ.

II. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

1. საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უკმადავს პირველი ინსტანციის სასამართლოს გასცილდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მიაკუთვნოს მხარეს იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა ან ის, რაც მას არ უთხოვია (სსკ 248-ე მუხლი). იგივე პრინციპს ემყარება წესი, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (სსკ 377-ე მუხლი). ბოლოს, დისპოზიციურობის პრინციპს ემყარება წესი, რომლის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას „საკასაციო საჩივრის ფარგლებში“.

ამრიგად, ვერც პირველი ინსტანციის სასამართლო, ვერც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები ვერ გასცილდება მოსარჩელის, აპელანტისა თუ კასატორის მოთხოვნის ფარგლებს. სწორედ ამ მოთხოვნის ფარგლებში და მიმართებით უნდა შემოწმდეს სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობა (საფუძვლიანობა), სააპელაციო საჩივრის ასევე ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო კიდევ, რომ დარწმუნდეს, რომ კასატორს შეეძლო უფრო მეტი მოთხოვნის წამოყენება, ვიდრე ეს საკასაციო საჩივრითაა წამოყენებული, იგი მაინც ვერ გასცილდება მოთხოვნის ფარგლებს.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 100000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა ა-ნის სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად, ა-ნიმ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ და მოითხოვა არა 100000 არამედ 55000 ლარის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება და, მაშასადამე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება.

გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასატორს სამართლებრივად ჰქონდა უფლება მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება თავდაპირველად განცხადებული მოთხოვნის 100000 ლარის ფარგლებში და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გასცილდება კასატორის მო-

თხოვნის ფარგლებს და ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად. მან უნდა დატოვოს იგი უცვლელად იმ ნაწილში, რომელშიც არ იყო გასაჩივრებული.

იგივე პრინციპი მოქმედებს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად მიღის იმ დასკვნამდე, რომ ეს გადაწყვეტილება არაა იურიდიულად გამართლებული არამართ იმ ნაწილში, რომელშიც გასაჩივრებულია და რომლითაც უარი ეთქვა კასატორს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე, არამედ იმ ნაწილშიც, რომლითაც დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნის ნაწილი.

მაგალითად: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანმა სასამართლომ მიაკუთვნა მხარეს მხოლოდ ნაწილი იმ ქონებისა, რასაც იგი მოპასუხისაგან მოითხოვდა, ხოლო სხვა ნაწილზე უარი უთხრა. საკასაციო საჩივრით კასატორმა მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა ქონების ნაწილის მიკუთვნებაზე. ამ გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და გადაწყვეტილება იურიდიულად სწორია იმ ნაწილში, რომელშიც გასაჩივრებულია, მაგრამ იგი არასწორია იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელიც კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი, რადგან მისი გაუქმება ამ ნაწილში არავის არ მოუთხოვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საკასაციო სასამართლო ისე ვერ შეცვლის გადაწყვეტილებას, ან კიდევ, ვერ გამოიტანს ისეთ ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც გააუარესებს კასატორის მდგომარეობას, რომელსაც მან მიაღწია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

ეს წესი მთლიანად ემყარება პრინციპს, რომლის თანახმად „საუარესოდ შებრუნება“ დაუშვებელია (non reformatio in pejus), რის შესახებაც დაწვრილებით არის საუბარი ამ ნაშრომის XXI თავში.

სხვა საკითხია, როდესაც შემოტანილია მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივარი. ამ შეგებებული საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ცხადია, გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს იმ ნაწილში, რომელიც გამოტანილია კასატორის, ანუ დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრის ავტორის სასარგებლოდ, მაგრამ ეს უკვე იქნება არა „საუარესოდ შებრუნების აკრძალვის“

პრინციპიდან გადახვევა, არამედ შეგებებული საკასაციო საჩივრის დასაბუთებულად ცნობის შედეგი.

2. სამართლის ნორმების დარღვევის შემოწმების ფარგლები

საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს, თუ რას მოითხოვს კასატორი, როგორია მისი მოთხოვნის შინაარსი. ამასთან ერთად, საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს თუ რომელი კანონი დაირღვა და კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დარღვევა.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: მსგავსად საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებისა, შებოჭილია თუ არა საკასაციო სასამართლო კანონის დარღვევის იმ ფარგლებით, რომლებიც მითითებულია საკასაციო საჩივარში?

ეს საკითხი განსხვავებულად უნდა გადაწყდეს მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევის მიმართ.

საკასაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს ამ დარღვევის არსებობა არარსებობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება ამით არ შეიძლება ამოიწუროს. საკასაციო სასამართლოს არამართო შეუძლია, არამედ ვალდებულიცაა შეამოწმოს გადაწყვეტილების სხვა მატერიალურ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობა და თუ აღმოჩნდება, რომ დარღვეულია მატერიალურ სამართლებრივი ნორმა, რომელზეც მართალია კასატორი არ უთითებს, მაგრამ რომელმაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მატერიალურ სამართლებრივი ნორმების დარღვევების ფარგლებით და შეუძლია და უნდა შეამოწმოს კიდევ საკასაციო მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივი დასაბუთებულობა სხვა ნორმებთან მიმართებაში, ვიდრე ამას მოითხოვს კასატორი.

არამართო მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ რაც შეიძლება ნათლად და გასაგებად დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა და რა ფორმით გამოვლინდა ეს დარღვევა. კანონის დარღვევის ცალკეული სახეები (ფორმები) მოცემულია სსკ 393-ე მუხლში, რომლის თანახმად

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება: ა) თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და გ) არასწორად განმარტა კანონი.

3. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევას, საკასაციო სასამართლო გარკვეული ზომით შეზღუდულია საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევების ფარგლებით, მაგრამ შეუძლია გასცდეს მას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს ფარგლები მითითებულია სსკ 404-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად „საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა“. ეს ისეთი ფაქტები და მტკიცებულებებია, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ საკასაციო საჩივარში მითითებული საპროცესო დარღვევები.

სსკ 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს ექვემდებარება თუ არა საქმე უწყებრივად სასამართლოს და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

4. პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ იწვევს თუ არა საპროცესო დარღვევა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას. ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა უშუალოდ უკავშირდება და გამომდინარეობს სსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით განმტკიცებული დანაწესიდან, რომლის თანახმად „საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევა არ შეიძლება საფუძველად დაედოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას. გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო დარღვევამ გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.¹⁵⁵

¹⁵⁵

თურღიულ ლიტერატურაში არსებობს, ჩვენი აზრით, საკვებით დასაბუთებული და გასაზიარებელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ საპროცესო დარღვევას უნდა მოყვებოდა გადაწყვეტილების გაუქმება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთი შეხედულება გასაზიარებელია საპროცესო ეკონომიის პრინციპის თვალსაზრისითაც: თუ დადასტურდება ისეთი საპროცესო დარღვევა რომელსაც შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა (მაგალითად, სასამართლომ არ მიიღო აცლდება, თუმცა მხარის განცხადება აცლდებაზე იყო საკვებით დასაბუთებული, სასამართლომ არ მიიღო მტკიცებულება,

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა გადაწყვეტილების გაუქმების ის საპროცესო დარღვევები, რომლებიც საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლების სახელწოდებითაა ცნობილი. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ ან გადაწყვეტილება გამოტანილია მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ ან კიდევ, საქმეში არაა სასამართლოს სხდომის ოქმი და სხვა (სსკ 394-ე მუხლი), გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გაუქმდეს და მნიშვნელობა არ აქვს გადაწყვეტილების სისწორის შემოწმებას და, მაშასადამე, საკასაციო სასამართლომ აღარც უნდა გააგრძელოს ამის შემოწმება: გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გაუქმდეს თუ გვაქვს სსკ 394-ე მუხლში მითითებული საფუძვლები.

III. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგები

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გადამოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს შეუძლია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სამი შესაძლებლობიდან გამოიყენოს ერთ-ერთი:

1. დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად (ძალაში);
2. გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება;
3. გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

რომელი შესაძლებლობა და რა შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს საკასაციო სასამართლომ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო შემოწმების შედეგები: თუ საკასაციო საჩივარი არაა დასაბუთებული, თუ მასში მითითებულ კანონის დარღვევას არ ჰქონია ადგილი, ან ასეთ დარღვევას მართალია ჰქონდა ადგილი (საპროცესო სამართლებრივი დარღვევაა მხედველობაში),

რომელსაც ჰქონდა გამაწყვეტი მნიშვნელობა და ა.შ.), სასამართლომ აღარ უნდა გააგრძელოს შემოწმება, ანუ აღარ უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილების სისწორე და გააუქმოს იგი, როგორც ეს ხდება საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლის არსებობისას.

იხ. ვ.ხრუსტალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

მაგრამ მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების სისწორეზე, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად (ძალაში) უნდა დატოვოს. თუ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და მასში მითითებულ კანონის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რასაც მოყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, მაშინ საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს წინაშე წმობიჭრება კიდევ ერთი საკითხი: თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, თუ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

ამ საკითხზე პასუხის გაცემა მთლიანადაა დამოკიდებული იმ კონკრეტულ შეცდომებზე, რომლებმაც განაპირობეს სამართლებრივად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

2. საკასაციო სასამართლოს შემხებლობა ფაქტებთან. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმებისათვის

სსკ 411-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე თუ საქმის ფაქტიური გარემოებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ჩათვლილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ 407-ე მუხლი), ცხადია, თუ ისინი არაა დადგენილი საპროცესო ნორმების დარღვევით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს დადგენილ ფაქტებში და მან უნდა მიიღოს ეს ფაქტები ისე, როგორც ისინია დადგენილი გადაწყვეტილებით, თუ, ვიმეორებთ, ადგილი არ ჰქონდა საპროცესო დარღვევებს, რომლებიც ფაქტების დადგენის წესებს განსაზღვრავენ.

ამრიგად, გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების ფარგლები განისაზღვრება ამ ფაქტების დადგენისათვის არსებული საპროცესო წესების დაცვის შემოწმებით. მაგრამ, ეს ფარგლები ამით არ ამოიწურება.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს განხორციელდა თუ არა ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმებით განსაზღვრული წესების დაცვით,

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მითითებულია საკასაციო საჩივარში.¹⁵⁶ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 404-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსკ 396-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. ამ „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს „მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება“. ამ დანაწესის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საკასაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს საპროცესო დარღვევებს, თუ მათ შესახებ არაა მითითებული საკასაციო საჩივარში, მაგრამ თუ საკასაციო საჩივარში მითითებულია ამ დარღვევებზე, საკასაციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს.

საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებსაც გადაწყვეტილება ემყარება, იმ თვალსაზრისით ხომ არ იყო დარღვეული ამ ფაქტების დადგენისათვის საპროცესო ნორმებით განსაზღვრული წესები და იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარში მითითებული იყო ამ წესების დარღვევაზე.¹⁵⁷

¹⁵⁶ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში არსებობს გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფაქტები მაშინაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როცა არ განზორციელებულა საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა მათ დასადასტურებლად ან თუ მტკიცებულებათა შეფასება შეცდომით ხასიათს ატარებს. ასეთ შემთხვევებში ამ ფაქტების სავალდებულობა საკასაციო სასამართლოსათვის არ არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ფაქტების დადგენის დროს დაშვებული შეცდომები დასაშვები და დასაბუთებული პროცესუალური საჩივრით გასაჩივრდა. თუ არ არსებობს ამგვარი საჩივარი, მაშინ საკასაციო სასამართლო ფაქტს მიიღებს ისე, როგორც ისაა დადგენილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორადაა (შეცდომითაა) დადგენილი. A. May – დასახ. ნაშრომი გვ. 456

¹⁵⁷ აქ მხედველობაშია მხოლოდ საპროცესო დარღვევები საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის დროს. სხვა შემთხვევებში საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს თავისი ინიციატივით, მაგალითად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები.

მაგალითი: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბ-ანისაგან სესხის სახით მიცემული ვალის დაბრუნება 80000 ლარის ოდენობით. სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და თვითონ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სარჩელი სრული მოცულობით. მოპასუხემ (ბ-ანიმ) გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება და თავის საკასაციო საჩივარში მიუთითა საპროცესო დარღვევებზე, კერძოდ, დაირღვა სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა დადასტურებულად ჩათვალა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად ეს დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად, რადგან მას არ შეუძლია თვითონ დაადგინოს ეს ფაქტი, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები ამ მიზნით.

ყოველთვის, როდესაც საპროცესო დარღვევის გამო საჭირო ხდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბ-ანისაგან შესრულებული სამუშაოსათვის საზღაური 100000 ლარის ოდენობით. ბ-ანიმ იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული ოდენობით საზღაური დაუბრუნა მოსარჩელეს, დაასახელა მოწმედ დ-ონი, რომელიც ესწრებოდა თანხის გადაცემას და რომელიც ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. მოგვიანებით ბ-ანიმ სასამართლოს წარუდგინა მოწმის დ-ონის წერილობითი ჩვენება, რომელიც სასამართლომ მიიღო და საფუძველად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად.

ა-ნიმ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და თავის საკასაციო საჩივარში იმით დაასაბუთა, რომ დარღვეულია მოწმის დაკითხვის კანონით დადგენილი საპროცესო წესები (სსკ

140-153-ე მუხლები), აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად, სასამართლო დაჯილდოების წესით, მოწმე შეიძლება დაკითხოს იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც იმყოფება ეს მოწმე. თავის მხრივ, ამ საპროცესო დარღვევებმა წაართვეს კასატორს შესაძლებლობა მოწმისათვის შეკითხვების მიცემის გზით დაიცვას თავისი ინტერესები.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

არ არის გამორიცხული, რომ საკასაციო სასამართლომ გააუქმოს გადაწყვეტილება საპროცესო დარღვევის გამო და საქმე არ დააბრუნოს ხელახლა განსახილველად. მაგალითად, თუ საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, მას შეუძლია გააუქმოს ეს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს თავისი განჩინებით საქმის წარმოება. მაგრამ ყოველთვის, როდესაც გადაწყვეტილების გაუქმება საპროცესო დარღვევის გამო დაკავშირებულია ფაქტების დადგენასთან, საკასაციო სასამართლომ, რაზან მას არ შეუძლია ფაქტების დადგენა, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნოს სასამართლოს.

ექვსის გარეშეა, რომ თუ საპროცესო დარღვევა საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებს ეხება, ანუ, თუ სახეზეა საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები (სსკ 394-ე მუხლი), საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე უნდა დააბრუნოს ხელახლა განსახილველად. ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში არის უწყებრივი ქვემდებარეობის დარღვევა (სსკ 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), რომლის დროს საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და წყვეტს საქმის წარმოებას. საქმის უკან დაბრუნება ამ შემთხვევაში მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ აზრს, რადგან სასამართლოს ვერცერთი ინსტანცია ვერ განიხილავს საქმეს, რომელიც საერთო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, ანუ უწყებრივად მას არ ექვემდებარება.

რამდენადმე განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც საკითხი ეხება ისეთი ფაქტების შემოწმებას, რომლებსაც უკავშირდება არა საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას არა ფაქტობრივი არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საკასაციო სასამართლოს არ აქვს შემხებლობა მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტებთან, რომლებიც აფუძნებენ გადაწყვეტილებას, რომლებსაც ემყარება ეს გადაწყვეტილება?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძალიან მოკლედ მიუთითოთ იმაზე, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით საუბარი გეკონდა ამ ნაშრომის IX თავში.

კერძოდ:

1. სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მან არ დადგინა წინასწარ ამ გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები. ფაქტების დადგენა წარმოებს მტკიცებულებების მეშვეობით, რომლებსაც სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაითვალოს თუ არა ფაქტები დადგენილად – მთლიანად განეკუთვნება სასამართლოს შინაგანი რწმენის სფეროს.

2. რაც შეეხება ამ დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, ასეთი შეფასება მთლიანად განეკუთვნება სამართლის სფეროს. სასამართლოს შინაგანი რწმენით, მისი საკუთარი შეხედულებებითა და მოსაზრებებით ამ ფაქტების შეფასება დაუშვებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტებს სასამართლო აფასებს შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, რასაც სხვანაირად იურიდიულ კვალიფიკაციას უწოდებენ. მატერიალურ სამართლებრივი ნორმის გვერდის ავლით მათი შეფასება დაუშვებელია; იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არის ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონის ან სამართლის ანალოგიით.¹⁵⁸

როგორც ვხედავთ, სამართლებრივი შეფასების ობიექტი არის არა სამართლებრივი ნორმის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტები, არამედ სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია და მან უნდა შეამოწმოს სწორედ სამართლებრივი შეფასების სისწორე, მისი შესაბამისობა სამართლის ნორმის შემადგენლობის აბსტრაქტულ ნიშნებთან, ნორმის აზრსა და შინაარსთან.

¹⁵⁸

ფაქტების დადგენა – ესაა შექცენების (გნოსეოლოგიის) სფერო, ხოლო ამ დადგენილი ფაქტების შეფასება – ესაა აქსიოლოგიის სფერო. ფაქტების შეფასება შეიძლება პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად და ა.შ. შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული სახესხვაობაა სამართლებრივი შეფასება. სასამართლო აფასებს ფაქტებს სამართლებრივად, თუმცა არა გამორიცხული ამ ფაქტების ზნეობრივი შეფასებაც, როცა ამას კანონი ითვალისწინებს. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თ. ლილუაშვილი. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა. „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“. თბ. 1977, გვ. 3-29.

ამრიგად, გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისათვის აუცილებელია საკასაციო სასამართლომ ჯერ გაარკვიოს რა შეაფასა სასამართლომ სამართლებრივად, ანუ როგორია სამართლებრივი შეფასების საგანი (ობიექტი) და შემდეგ გაარკვიოს, თუ რამდენად სწორად არის შეფასებული იურიდიულად ეს ობიექტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკასაციო სასამართლო ვერ აცდება ფაქტებს, რადგან გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება შეუძლებელია იმის გარკვევის გარეშე, თუ რა შეფასდა ან რომელი იურიდიული ფაქტები შეფასდა იურიდიულად.

ასეთმა შემოწმებამ შეიძლება სხვადასხვაგვარ ნაკლოვანებათა გამოვლენამდე მიიყვანოს საკასაციო სასამართლო. კერძოდ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ ჩანს თუ რომელი ფაქტები ჩათვალა სასამართლომ დადგენილად და, მაშასადამე რომელი ფაქტები შეაფასა მან იურიდიულად.

ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

2. ფაქტიური გარემოებები, რომლებიც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა და შეაფასა იურიდიულად, არაა საკმარისი ასეთი შეფასებისათვის. სამართლის ნორმა, რომელიც გამოიყენა სასამართლომ, სამართლებრივ შედეგს უკავშირებს ფაქტების ერთობლიობას, რომელთა ნაწილი სასამართლომ დამტკიცებისა და დადგენის გარეშე და შესაბამისად, შეფასების გარეშე დატოვა.

3. სასამართლომ იურიდიული მნიშვნელობა მიანიჭა და დაადგინა ფაქტი, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს ასეთი მნიშვნელობა და, მაშასადამე, არც უნდა გამხდარიყო ასეთი შეფასების ობიექტი.

4. სასამართლომ არ მიანიჭა ფაქტს იურიდიული მნიშვნელობა და არ დაუშვა მტკიცებულება მის დასადასტურებლად, თუმცა ამ ფაქტს აქვს მნიშვნელობა ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

4. სასამართლომ დამტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების გამო, არასწორად შეაფასა ფაქტიური გარემოებები და აქედან გამომდინარე, არასწორად დააკისრა ფაქტის დაუდგენლობის არახელსაყრელი შედეგები იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა არ ეკისრებოდა.

5. სასამართლომ სრულად და სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტიური გარემოებები, მაგრამ მისცა ამ ფაქტებს არასწორი სამართლებრივი შეფასება.

ჩვენი აზრით, ყოველთვის, როდესაც სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საქმეზე მტკიცების საგანი, ე.ი. არ შეიტანა მასში ფაქტი, რომელსაც აქვს

მნიშვნელობა გადაწყვეტილებისათვის ან მტკიცების საგანში შეიტანა ისეთი ფაქტი, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, საქმე გვაქვს საპროცესო სამართლებრივ დარღვევასთან, რომელიც მოითხოვს სარჩელისა და შესაგებლის დამასაბუთებელი ფაქტების სრულყოფილად განსაზღვრას და დადგენას (სსკ 102-ე და 106-ე მუხლები) მაგრამ, როდესაც სასამართლო საქმეზე არასრულად დადგენილ ფაქტებს აფასებს სამართლებრივად და იურიდიულ შედეგს უკავშირებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც არაა საკმარისი ასეთი შეფასებისათვის ან რომლებსაც ასეთი შედეგი არ უკავშირდება, მაშინ საქმე გვაქვს მატერიალურ სამართლებრივ დარღვევასთან.¹⁵⁹

როგორც ვხედავთ მართალია ფაქტების დადგენა არ წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას და მხოლოდ სამართალშეფარდება ექვემდებარება გადასინჯვას, მაგრამ თვით სამართალშეფარდების გადამოწმება შეუძლებელია იმ ფაქტიური გარემოებების გარეშე, რომლებიც სამართლებრივი შეფასების ობიექტს წარმოადგენს.

ამ მოსაზრებით შეიძლებოდა ეხელმძღვანელა კანონმდებელს, როდესაც სსკ 412-ე მუხლის მეორე ნაწილით დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად თუ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის თავის განჩინებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და სხვა რა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ.

თუ ფაქტობრივ სფეროში ყველაფერი რიგზეა, ე.ი. თუ საქმისათვის მნიშვნელობის ყველა სადავო ფაქტი დადგენილია შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით, მაგრამ ამ დადგენილ ფაქტებს სასამართლომ მისცა არასწორი იურიდიული (სამართლებრივი) შეფასება – საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა შეაფასოს ეს ფაქტები და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე, რომ არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

საქმის უკან დაბრუნება განსახილველად მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ფაქტობრივი თვალსაზრისით მზადაა გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ

¹⁵⁹

უფიქრობ შეიძლება დავეთანხმოთ ცნობილ გერმანულ პროცესუალისტს ა. მეის, რომლის მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამართლის ნორმა ისე რომ მას არ დაუდგენია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, მაშინ საქმე ეხება არა პროცესუალურ ნაკლს, არამედ გადაწყვეტილების შინაარსობრივ ნაკლს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამართლის ნორმა, თუმცა მხედველობიდან გაუშვა (შეუმჩნეველი დარჩა), რომ სახეზე არაა საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება. A. May. დასახ. ნაშრომი, გვ.ნ.

საჭიროა ამ ფაქტების სწორი სამართლებრივი შეფასება – საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია. შეცდომის გასწორება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაში – საკასაციო სასამართლოს პრეროგატივაა.

აქედან გამომდინარე, როდესაც საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, აუცილებლობით იგულისხმება, რომ საქმის ფაქტობრივ სფეროში ყველაფერი რიგზე არაა, რომლის გამოსწორება არ განეკუთვნება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციის სფეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დააბრუნებდა საქმეს ხელახლა განსახილველად საოლქო სასამართლოში.

ცხადია, რომ, თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, მან ამ თავის ახალ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს რომელი ფაქტობრივი გარემოებებია საქმეზე სწორად და სრულად დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ, კონკრეტულად რაში გამოიხატება ამ სწორად დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების მცდარობა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და როგორი უნდა შეფასებულიყო და შეფასდა კიდევ ეს ფაქტები საკასაციო სასამართლოს მიერ.

ცხადია, აგრეთვე ისიც, რომ თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად მან თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც ამყარებენ მხარეები თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, არ იქნა დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ (შეცდომა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში), ან ფაქტის დადგენის (მტკიცებულებათა მოპოვების) რომელი საპროცესო წესები იქნა დარღვეული, ან კიდევ რაში გამოიხატება კონკრეტულად საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევა, რომელმაც ზეგავლენა იქონია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე და სამართლიანობაზე.

საკასაციო სასამართლომ არასდროს არ უნდა გაუშვას მხედველობიდან რომ მისი გადაწყვეტილებები (განჩინებები), რომლებშიც ნათლად და გარკვევით არაა მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივ საფუძვლებზე, ვერ შეასრულებენ საკასაციო სასამართლოს ვერც ინდივიდუალური და ვერც საჯარო ინტერესების დაცვის ფუნქციას.

კ ე რ ძ ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

§1. კერძო საჩივრის ცნება, ობიექტი და სუბიექტები

I. ცნება

სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში საჭირო ხდება მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დადგენილების მიღება, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების უზრუნველყოფისაკენ და, მაშასადამე, ემსახურება საქმეზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, ან ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. ასეთი დადგენილებები სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით (სსკ 284-ე მუხლი). მაგალითად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღებისა, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსკ 183-187-ე მუხლები), სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ (სსკ 185-ე მუხლი), საქმის ზეპირი განხილვის დანიშნვის შესახებ (სსკ 207-ე მუხლი), ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ (სსკ 163-ე მუხლი) და ა.შ.¹⁶⁰

როგორც ვხედავთ, განჩინების ფორმით სასამართლო, არც ისე იშვიათად, იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებზეც დამოკიდებულია არა მარტო საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი, საქმის წარმოების გაგრძელება თუ შეწყვეტა, არამედ ამ საქმის არსებითად გადაწყვეტის მიზნით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერება, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც დაუშვა ზოგიერთი ასეთი განჩინების გასაჩივრებისა და, მაშასადამე, მისი სისწორის გადამოწმების შესაძლებლობა მანამ, სანამ საქმეზე მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

საქართველოს სსკ-სი ასეთ საჩივარს უწოდებს კერძო საჩივარს. რადგან, ჯერ-ერთი საჩივრდება არა საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე კერძო საკითხზე

¹⁶⁰ დაწერილებით სასამართლო განჩინებათა ფორმისა, სახეებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. იხ. მურმან წიქვაძე. განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი. თბ. 2004.

განჩინების ფორმით გამოტანილი გადაწყვეტილება და მეორე – საჩივრდება განჩინება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან განცალკევებით და მისგან დამოუკიდებლად.

II. კერძო საჩივრის ობიექტი, სუბიექტი და დასაშვებობის წინაპირობები

კერძო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს სასამართლოს განჩინება. ეს არის სწორი, მაგრამ არა აბსოლუტურად ზუსტი, რადგან სასამართლოს ყველა იმ საპროცესო დოკუმენტზე, რომელსაც განჩინება ეწოდება, არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამიტომ იბადება კითხვა, რომელ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და რომელზე არ შეიძლება?

ეს საკითხი ძალიან მარტივად გადასაწყვეტია, რადგან მის გადაწყვეტაზე იზრუნა თითონ კანონმდებელმა: კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ ისეთ განჩინებაზე, რომელსაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სსკ-სი არ ითვალისწინებს ამა თუ იმ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, მაშასადამე, ასეთ განჩინებაზე არც შეიძლება მისი შეტანა. მაგალითად, თუ მოსამართლეს განუცხადეს აცილება და სასამართლომ თავისი განჩინებით არ მიიღო ეს აცილება, ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (სსკ 36-ე მუხლი). ასევე, სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის ხარვეზის შევსების შესახებ კერძო საჩივრის შეტანას კანონი არ ითვალისწინებს (სსკ 185-ე მუხლი), მაგრამ სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის უმოდრაოდ დატოვების შესახებ კერძო საჩივრის შეტანას კანონი ითვალისწინებს (სსკ 185-ე მუხლი).

სსკ-ის იმ მუხლების ანალიზი, რომლებიც ითვალისწინებენ ამა თუ იმ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ კერძო საჩივრის შეტანა დაიშვება ისეთ განჩინებებზე, რომლებითაც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედების შესრულების საკითხი ან რომლითაც ბრკოლდება ან საერთოდ წყდება საქმის წარმოების მსვლელობა.

ამრიგად, სსკ-სი განსაზღვრავს, თუ რომელ განჩინებებზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და რომელ განჩინებებზე ასეთი საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

ნიშნავს, თუ არა ეს იმას, რომ სასამართლოს განჩინებებზე, რომელთა გასაჩივრებას კანონი არ ითვალისწინებს, მხარეს არ შეუძლია გამოთქვას თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, თავისი პროტესტი?

არა, არ ნიშნავს!

სსკ 377-ე და 404-ე მუხლების თანახმად სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების განხილვის საგანი, როცა ისინი განიხილავენ შესაბამისად სააპელაციო ან საკასაციო საჩივარს, შეიძლება იყოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს, რომელიც სააპელაციო (საკასაციო) წესით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, შეუძლია თავისი უარყოფითი აზრი გამოთქვას იმ განჩინების მიმართ, რომელიც წინ უსწრებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანას და რომელიც არ იყო, ან ვერ იქნებოდა გასაჩივრებული კერძო საჩივრით, რადგან კანონი არ ითვალისწინებს მის ასეთი წესით გასაჩივრებას.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააპელაციო (საკასაციო) საჩივართან ერთად ცალკე უნდა დაიწეროს საჩივარი განჩინებაზე, ხოლო სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ ასევე ცალკე განჩინებით უნდა გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა არა! სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს წინარე განჩინებები, რომლებიც არ იყო ან ვერ იქნებოდნენ გასაჩივრებული კერძო საჩივრით, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, ხომ არ მოხდა ამ განჩინებებით კანონის ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე.

მაგალითად: ა-ნომ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ერთ-ერთ მოტივად მიუთითა სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც უარი ეთქვა მას მოსამართლის აცილებაზე, მაშინ როდესაც ეს მოსამართლე არის მოპასუხის დისშვილი და პირადად არის დაინტერესებული საქმის შედეგით; სწორედ ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას ის, რომ მან უარი უთხრა მომჩივანს ისეთი ფაქტების დამტკიცებაზე და მათ მიმართ ისეთი მტკიცებულებების წარდგენაზე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა ამ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

თუ სააპელაციო (საკასაციო) სასამართლო ჩათვლის, რომ წინარე განჩინებით დაირღვა კანონი, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების სისწორეზე, მაშინ იგი აუქმებს ამ გადაწყვეტილებას. უშუალოდ ამ განჩინების მიმართ რაიმე დამოუკიდებელი განჩინება მას არ გამოაქვს.

რაც შეეხება იმ პირთა წრეს (სუბიექტებს), რომლებსაც შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა, ეს პირებია: მხარეები, ანუ მოსარჩელე, მოპასუხე, თანამონაწილეები, მათი უფლებამონაცვლეები, კანონიერი წარმომადგენლები, მესამე

პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, აგრეთვე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ განჩინება გამოტანილია მათ წინააღმდეგ, რაც განაპირობებს გასაჩივრების იურიდიულ ინტერესს.

სსკ 414-ე მუხლის მე-2 პუნქტი, გარდა მხარეებისა, კერძო საჩივრის შეტანის უფლებას აძლევს, იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. ასეთ პირთა კატეგორიას მიეკუთვნება მაგალითად პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს თხოვნით ჩააბას იგი პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და რომელსაც სასამართლომ უარი უთხრა ასეთ თხოვნაზე. ამ პირს უნდა მიეცეს უფლება შეიტანოს კერძო საჩივარი, რადგან, იგი თუმცა არაა არც მხარე და არც პროცესში რაიმე სტატუსით მონაწილე პირი, მაგრამ მას „უშუალოდ ეხება ეს განჩინება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კერძო საჩივარი შემოიტანა ისეთმა პირმა, რომელსაც არც პირდაპირ, არც უშუალოდ არ ეხება გასაჩივრებული განჩინება, ცხადია, სასამართლომ არ უნდა მიიღოს კერძო საჩივარი ასეთი პირისაგან.

საბოლოოდ კერძო საჩივრის დასაშვებობის პირობები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

ა) კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია განჩინებაზე, თუ ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი;

ბ) კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, მესამე პირებს, მათ წარმომადგენლებს, თანამონაწილეებს, კანონიერ წარმომადგენლებს, უფლებამონაცვლეებს, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ გასაჩივრებული განჩინება;

გ) კერძო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით;

დ) კერძო საჩივარი ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებული უნდა იყოს და პასუხობდეს ყველა სხვა მოთხოვნებს, რაც წაეყენება სასამართლოს მიმართ აღძრულ განცხადებებს;

ე) კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებულ ვადებში. კერძო საჩივრის შეტანის საერთო ვადა არის 12 დღე (სსკ 416-ე მუხლი).

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს კერძო საჩივრის შეტანის უფრო მოკლე ვადას (მაგალითად, 194-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განჩინებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება 5 დღეში). ყველა შემთხვევაში, რა ვადაც არ უნდა იყოს დადგენილი, ამ ვადის დენა იწყება განჩინების გადაცემის მომენტიდან ან ამ განჩინების გამოცხადების მომენტიდან, თუ მის გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის

შეტანის უფლების მქონე პირი. აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება (აღდგენა) დაუშვებელია (სსკ 416-ე მუხლის პირველი პუნქტი).

§2. კერძო საჩივრის განხილვის თავისებურებანი

1. კერძო საჩივრის განხილვა გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს მიერ

კერძო საჩივრის განხილვის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირველ რიგში განხილული უნდა იქნეს იმ სასამართლოს მიერ რომელმაც გასაჩივრებული განჩინება გამოიტანა. ამიტომ, კერძო საჩივრის შეტანა უშუალოდ ზემდგომ სასამართლოში დაუშვებელია, თუმცა კერძო საჩივრის ადრესატი არის სწორედ ზემდგომი სასამართლო.

როგორია გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს უფლება-მოსილება?

გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლო კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში გადაამოწმებს მის მიერვე გამოტანილ განჩინებას და, თუ ჩათვლის, რომ იგი დასაშვები და დასაბუთებულია დააკმაყოფილებს საჩივარს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სხვა უფლებამოსილება მას არ გააჩნია. მაგრამ, თუ კერძო საჩივარი არაა დასაშვები, ან დასაშვები არის, მაგრამ არაა დასაბუთებული, გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლო გამოიტანს „განჩინებას კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ“, რომელშიც აღინიშნება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) განიხილა კერძო საჩივარი და არ დააკმაყოფილა იგი ან იმის გამო, რომ არაა დასაშვები ან იმის გამო, რომ არაა დასაბუთებული. ამრიგად, ეს განჩინება საკმარის ინფორმაციას აწვდის ზემდგომ სასამართლოს იმის შესახებ, რომ კერძო საჩივარი განიხილა ქვემდგომმა სასამართლომ. ცხადია, რომ ზემდგომ სასამართლოს, რომელსაც გადაეგზავნა კერძო საჩივარი საქმესთან ერთად, შეუძლია მიიღოს ნებისმიერი განჩინება მისი დასაშვებობა-დასაბუთებულობის თაობაზე, რომელიც იქნება საბოლოო ამ საჩივრის მიმართ.

ამრიგად, კერძო საჩივრის განმხილველ სასამართლოდ გვევლინება გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს ზემდგომი სასამართლო, კერძოდ, თუ კერძო საჩივარი შეტანილია პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე, მაშინ ამ კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლო იქნება სააპელაციო სასამართლო, რომელსაც ამ საჩივრის თაობაზე გამოაქვს საბოლოო

განჩინება, ხოლო თუ კერძო საჩივარი შეტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებაზე, მაშინ კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლო იქნება საკასაციო სასამართლო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივარზე აღარ შეიძლება გასაჩივრდეს და იგი საბოლოოა. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილი სააპელაციო საჩივრის გამო საქმის განხილვასთან დაკავშირებით, შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო სასამართლოში.

II. კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომი სასამართლოს მიერ. კერძო საჩივრის შეტანის შედეგები

კერძო საჩივრის მომწესრიგებელი ნორმების (სსკ 414-420-ე მუხლები) ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს აქვს ერთადერთი უფლება: დააკმაყოფილოს კერძო საჩივარი თუ ჩათვლის, რომ იგი დასაშვები და დასაბუთებულია, ხოლო განჩინების გამომტანისას მან დაუშვა შეცდომა (კანონის დარღვევა). ცხადია, ასეთ შემთხვევაში იგი აღარ გადააგზავნის კერძო საჩივარს საქმესთან ერთად ზემდგომ სასამართლოში.

მაგრამ, თუ მოხდა პირიქით და გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს აზრით კერძო საჩივარი არაა დასაშვები ან დასაბუთებული, მაშინ იგი კერძო საჩივარს საქმესთან ერთად (ისე როგორც სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შემოტანის დროს) გადააგზავნის 5 დღის განმავლობაში ზემდგომ სასამართლოში, რადგან ზემდგომი სასამართლო არის კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლო (სსკ 417-ე მუხლი).

კერძო საჩივრის საქმესთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადააგზავნის ფაქტი გულისხმობს, რომ გასაჩივრებული განჩინების გამომტანმა სასამართლომ არ ცნო კერძო საჩივარი დასაშვებად ან დასაბუთებულად, რის გამოც არ დააკმაყოფილა იგი. ასეთი „გულისხმობა“ (ვარაუდი) სავსებით საკმარისია და რაიმე სპეციალური განჩინების გამოტანა ამის თაობაზე არც საჭირო არაა და არც კანონი მოითხოვს ამას (სსკ 417-ე და 419-ე მუხლის პირველი პუნქტი).

მიუხედავად ამისა, პრაქტიკა წავიდა სხვა გზით: იგი საჭიროდ თვლის კერძო საჩივარს საქმესთან ერთად, რომელიც გადაიგზავნება ზემდგომ სასამართლოში, თან ახლდეს გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს

განჩინება იმის შესახებ, რომ მან განიხილა კერძო საჩივარი, არ დააკმაყოფილა იგი, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დატოვა უცვლელად. უფრო მეტიც, ზოგჯერ ზემდგომი სასამართლოები უკან უბრუნებენ კერძო საჩივარს საქმესთან ერთად ქვემდგომ სასამართლოებს, რათა მათ ვერ თვითონ განიხილონ საჩივარი, მიიღონ შესაბამისი განჩინება და მხოლოდ ამის შემდგომ გადმოაგზავნონ იგი ზემდგომ სასამართლოში. რახან ქვემდგომ სასამართლოებს გამოპქონდათ განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და განჩინების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ, ზემდგომ სასამართლოებს, რომლებსაც ასეთი შინაარსის განჩინება ეგზავნებოდათ, თავის მხრივ გამოპქონდათ განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების, აგრეთვე იმ განჩინების გაუქმების შესახებ, რომლითაც უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.¹⁶¹

კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს ამ სასამართლოში საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კერძო საჩივარს იხილავს სააპელაციო სასამართლო, იგი ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის წესებით, ხოლო, თუ კერძო საჩივარს განიხილავს საკასაციო სასამართლო იგი ხელმძღვანელობს ამ სასამართლოში საქმეთა განხილვის წესებით. მცირე გამოწვევები ამ მხრივ გათვალისწინებულია სსკ 414-420 მუხლებით.

მაგალითად, სსკ 419-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება“.

¹⁶¹

კერძო საჩივრების კანონის მოთხოვნათა დაცვით განხილვისა და მამსადამე, გამარტოების მიზნით ჩვენ შევთავაზეთ პრაქტიკას, რათა გასაჩივრებული განჩინების გამოშტან სასამართლოს ნაცვლად განჩინებისა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და განჩინების ძალაში დატოვების შესახებ გამოშტანა „განჩინება კერძო საჩივარი საქმესთან ერთად ზემდგომ (სააპელაციო, საკასაციო) სასამართლოში გადაგზავნის შესახებ“.

ამ განჩინებით, რომელიც შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, დასტურდება (და არა მხოლოდ იგულისხმება), რომ ქვემდგომმა სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, არ დააკმაყოფილა იგი და ამიტომ გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში. თუ ზემდგომი სასამართლო ჩათვლის, რომ კერძო საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია, იგი აუქმებს მხოლოდ ამ კერძო საჩივრით გასაჩივრებულ განჩინებას. რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოს განჩინებას „კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ“ – მისი გაუქმების არანაირი საჭიროება არ არსებობს.

იხ. თ. ლილუშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. თბ. 2000 წ. გვ. 346

ამ მუხლის დანაწესი უდავოდ მიგვანიშნებს ერთ რამეზე: გადაწყვეტა საკითხისა კერძო საჩივრის დასაშვებობა-დასაბუთებულობის შესახებ წარმოადგენს არა გასაჩივრებელი განჩინების გამომტანი სასამართლოს, არამედ მისი ზემდგომი სასამართლოს პრეროგატივას. რაც შეეხება ზემდგომი სასამართლოს განჩინებას, რომლითაც გადაწყდა ეს საკითხი კერძო საჩივრის დასაშვებობა-დასაბუთებულობის შესახებ, იგი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.¹⁶²

კერძო საჩივრის განხილვის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაშიც, რომ ზემდგომი სასამართლო კერძო საჩივარზე განჩინებას იღებს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, თუმცა მან უნდა გამოუძახოს და მოუსმინოს მოწინააღმდეგე მხარეს. პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ისე როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც, როცა სასამართლოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაშიც მას ნება ეძლევა კერძო საჩივარზე გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენითაც და მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშეც, როცა სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივარზე უარი უნდა ეთქვას დაუშვებლობის ან უსაფუძვლობის გამო (სსკ 419-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

კერძო საჩივრის შეტანის შედეგი. კერძო საჩივრის შეტანა, თავისთავად, არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რისთვისაც იგი იყო მიღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს.

მაგალითად: სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც მოქალაქე ღონის აუკრძალა ავტომანქანით სარგებლობა. ღონიმ

¹⁶²

ამით ჩვენი სსკ-ი განსხვავდება სხვა ქვეყნების შესაბამისი კოდექსებისაგან. მაგალითად გერმანიის სსკ 568-ე მუხლი, რომელსაც ეწოდება „შემდგომი საჩივარი (weitere Beschwerde) ამკიდრებს წესს, რომლის თანახმად „კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლოს (Beschwerdegericht) განჩინებაზე შეიძლება შემდგომი საჩივრის შეტანა, თუ ეს საგანგებოდაა გათვალისწინებული კანონით“.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს აგრეთვე დაუყოვნებლივ შემდგომ საჩივარს (Sofortige Beschwerde), რომლის მიხედვით უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე კერძო საჩივარს, რომლის შეტანა განპირობებულია გარკვეული დროით, შეიძლება შემდგომი საჩივრის შეტანა, რამდენადაც ასეთი შინაარსის გადაწყვეტილებაზე შესაძლებელი იქნებოდა საკასაციო საჩივრის შეტანა.

Baur/Grunsky. Zivilprozessrecht 1997. S. 223-223.

Thomas, Putzo. ZPO. (Kommentar.) 18. auglage 1993, S. 882.

*შეიტანა კერძო საჩივარი ამ განჩინებაზე და მოითხოვა უზრუნ-
ველყოფის ღონისძიების შეჩერება სანამ კერძო საჩივრის ბედი
გადაწყდებოდეს.*

ამ კერძო საჩივრის შეტანით არ შეჩერდება ავტომატურად გასაჩივრებული განჩინების მოქმედება. ამიტომ, სასამართლომ თვითონ უნდა მიიღოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე. ან დააკმაყოფილოს მოპასუხე დ-ონის თხოვნა ან უარი უთხრას მას. თუ კერძო საჩივარი შეტანილი იყო გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოში, მაშინ შეჩერების საკითხი უნდა განიხილოს ამ სასამართლომ, თუ საჩივარი უკვე გადაიგზავნა ზემდგომ სასამართლოში, მაშინ გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული მოქმედების შეჩერების საკითხი ამ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. საპროცესო მოქმედების შეჩერების თუ შეჩერებაზე უარისთქმის შესახებ სასამართლო გამოიტანს განჩინებას (სსკ 194-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საქმის წარმოების განახლება

§1. საქმის წარმოების განახლების ობიექტი და სახეები

I. განახლების ობიექტი

საქმის წარმოების განახლების (რესტიტუციის) ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქმე, რომლის წარმოება სასამართლოში დამთავრებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან კანონიერ ძალაში შესული განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. იგივე უნდა ითქვას სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით და განჩინებებით დამთავრებული საქმეების მიმართ. მხედველობაშია სააპელაციო საკასაციო ინსტანციის სასამართლოების ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და გამოტანილი იქნა ახალი გადაწყვეტილება, აგრეთვე ისეთი განჩინებები, რომლებითაც გაუქმდა გადაწყვეტილება და შეწყდა საქმის წარმოება და არა სააპელაციო (საკასაციო) წარმოება. მაგალითად, თუ სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში საჩივრის განხილვისას აღმოჩნდება, რომ საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად, სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ უნდა შეწყვიტოს არა სააპელაციო (საკასაციო) წარმოება, არამედ საქმის წარმოება საერთოდ, მაგრამ თუ აპელანტმა (კასატორმა) უარი თქვა თავის საჩივარზე ან უკან გაითხოვა იგი, სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სააპელაციო (საკასაციო) წარმოება და არა მთლიანად საქმე.

ამრიგად, განახლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმე. მაშასადამე, განახლების ობიექტი, სსკ 421-432-ე მუხლებით დადგენილი წესით, არ შეიძლება იყოს ცალკეული საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულების შესახებ მიღებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებები.

იბადება პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კითხვა: შეიძლება თუ არა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართვა ისეთი საქმის განახლების შესახებ, რომლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ შესულა კანონიერ ძალაში?

ამ კითხვაზე ცალსახად უნდა ვუპასუხოთ – არა, არ შეიძლება! რატომ? ერთი უბრალო მიზეზის გამო: თუ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება

ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში, მაშასადამე არსებობს ამ გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) გასაჩივრებისა და მისი ამ წესით გადასინჯვის სრული შესაძლებლობა. საქმის წარმოების განახლების ნებისმიერი საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია კანონით (სსკ 422-ე და 423-ე მუხლები), შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გაუქმების საფუძველი. არც პროცესუალური ეკონომიის პრინციპის, არც სასამართლო ინსტანციების არსებობის მიზნებით, არც ლოგიკის და, საერთოდ, არც სხვა რაიმე გონივრული მოსაზრებებით არ შეიძლება მიემართოს საქმის განახლების რთულ პროცედურას, მაშინ როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში ჯერ კიდევ შეუსვლელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ტრადიციული და ჩვეულებრივი საშუალებები, როგორცაა აპელაცია და კასაცია.

უფრო მეტიც, განცხადება განახლების შესახებ არ უნდა დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ განმცხადებელს შეეძლო ამ განცხადებაში მოყვანილი საფუძველი წამოეყენებინა ჯერ კიდევ სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მაგალითი: ბ-ანიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით საქმის წარმოების განახლების შესახებ. თავის განცხადებას ბ-ანიმ საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ იგი არ იყო მოწვეული ამ საქმის განხილვაში, თუმცა იგი დასახელებული იყო მოსარჩელის მიერ მოპასუხედ და სასამართლო გადაწყვეტილებით მას დაეკისრა ამ მოსარჩელის სასარგებლოდ 10000 ლარის გადახდევინება. ამ განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას გამოირკვა, რომ ბ-ანიმ ყოველივე ამის შესახებ შეიტყო მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო გასული ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა. მიუხედავად ამისა, ბ-ნიმ არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი და დაელოდა მის კანონიერ ძალაში შესვლას, რათა შემდეგ, მისი აზრით უფრო დიდი ეფექტის მოხდენისა და საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით, შეეტანა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სასამართლომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით (სსკ 422-ე მუხლის მე-2 პუნქტი) უარი უთხრა ბ-ანის საქმის განახლებაზე.

II. საქმის წარმოების განახლების სახეები და საფუძველები

სსკ-სი ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების ორ სახეს: 1. გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას და 2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას.

საქმის წარმოების განახლების ეს ორი სახე განსხვავდება ერთმანეთისაგან იმ საფუძვლებით, რომლებსაც ისინი ემყარებიან.

გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი:

1. თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში (სსკ 422-ე მუხლის 3.1. ქვეპუნქტი „ა“).

მაგალითი: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. მან თავის განცხადებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე ვ-ინი, რომელიც ადრე მონაწილეობდა პირველ ინსტანციაში ამ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში (სსკ 29-ე მუხლის პირველი პუნქტი).

მხარეს შეუძლია თავისი განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დააფუძნოს სხვა ისეთ გარემოებებს, რომლებიც დაადასტურებენ რომ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიიღო სასამართლომ, ან კიდევ, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დადებული ფიცი, ან დროებით გადაყენებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და სხვა.

2. თუ ერთ-ერთი მხარე ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

მაგალითი: დ-ონიმ მიმართა სასამართლო განცხადებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ ამ გადაწყვეტილებით მას დაეკისრა მის მფლობელობაში არსებული ვარკვეული სახის ქონების, კერძოდ საძინებელი გარნიტურისა და „ბეკერის“ ფირმის ანტიკვარული როიალის ვადაცემა მოსარჩელისათვის, მაშინ, როდესაც ის საერთოდ არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში. ამ გარემოების დასადასტურებლად დ-ონიმ მიუთითა საქმეში არსებულ მასალებზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას არც სარჩელის ასლი და მასზე დართული მასალები არ გაეზავნია, არც მისგან წერილობით შედგენილი შესაგებელი არ მოუთხოვიათ და როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდანაც ჩანს, მას არც უწყება არ გაეზავნია, ხოლო გადაწყვეტილების შესახებ მან შეიტყო აღმასრულებლისგან (სსკ 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

სსკ 422-ე მუხლის I პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულია აგრეთვე მხარის წარმომადგენლის მოწვევაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ სსკ 70-ე მუხლის თანახმად სასამართლო სხდომის შესახებ უნდა ეცნობოს არამართო უშუალოდ მხარეს, არამედ მის წარმომადგენელსაც.

გაცილებით უფრო ფართოა იმ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა წრე, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის წარმოების განახლებას. ზოგიერთი ამ გარემოებათაგან ადასტურებენ იმ მტკიცებულებათა სიყალბეს და არასარწმუნობას, რომლებსაც ემყარება გასანახლებელ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება (მაგალითად, წერილობითი მტკიცებულება, მოწმის ჩვენება ექსპერტის დასკვნა) და რომელთა სიყალბე და არასარწმუნობა დამტკიცებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (სსკ 423-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები).

ზოგიერთი გარემოება ადასტურებს მხარეების, მათი წარმომადგენლების ან მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებას, როგორცაა, მაგალითად, ერთი მხარის მიერ მეორე მხარეზე ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზემოქმედება უარი თქვას თავის მოთხოვნაზე ან აღიაროს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი, მოსამართლის მიერ ქრთამის აღება და სხვა. ცხადია, რომ ეს გარემოებებიც დადასტურებული უნდა იქნეს განაჩენით ან საგამოძიებო ორგანოების დადგენილებით, როცა სისხლის სამართლის საქმე შეწყდა არა მტკიცებულებათა უკმარისობის გამო, არამედ ამნისტიის, ეჭვმიტანილი პირის გარდაცვალების, ხანდაზმულობისა თუ სხვა ამგვარი მიზეზის გამო (სსკ 423-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ზოგიერთი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ იგივე სარჩელი, რომელზეც მიღებული იყო გასანახლებელ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უკვე განხილული და გადაწყვეტილი იყო ადრე (სსკ 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი).

საქმის განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს იმ სასამართლო ან სხვა ორგანოთა დადგენილებების გაუქმება, რომლებსაც ემყარება გასანახლებელ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება (სსკ 423-ე მუხლის „დ“ პუნქტი).

ბოლოს, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების ან მტკიცებულების შესახებ, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას (სსკ 423-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ მოტივით, რომ აღმოჩნდა მაკვიდრებლის მიერ შედგენილი წერილობითი ანდერძი განმცხადებლის სასარგებლოდ, რომლის შესახებ ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი სასამართლო არ გამოიტანდა გადაწყვეტილებას შემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების განაწილების შესახებ.

ა-ნიმ უტყუარად დაადასტურა, რომ ამ ანდერძის შესახებ მან რამდენიმე დღის უკან გაიგო.

სასამართლომ განიხილა ეს განცხადება და მიიღო განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი გარემოება ან მტკიცებულება, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს განახლების საფუძველი, თუ გარემოება (მტკიცებულება) არსებობდა გადაწყვეტილების მიღებამდე და მხარემ არ იცოდა ამ გარემოების (მტკიცებულების) არსებობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, თუ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ა-ნი ვერ დაადასტურებს, რომ მან ადრე, ე.ი. საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, რის გამოც მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (სსკ 423-ე მუხლის მე-3 პუნქტი), სასამართლო უარს ეტყვის საქმის წარმოების განახლებაზე.

III. განსჯადობა

სსკ 424-ე მუხლი ამკვიდრებს განსჯადობის ზოგად წესს, რომლის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ განცხადება განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო ამ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ.

ზემდგომი სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება არ ცვლის განსჯადობის ზოგად პრინციპს.

მაგალითად: რაიონულმა (საქლაქო) სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა ა-ნის სარჩელი ბ-ანის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბ-ანის სააპელაციო სარჩელი ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ

და უარი უთხრა აპელანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სააპელაციო სასამართლოს ეს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ-ანიმ. საკასაციო სასამართლომ თავისი განჩინებით უარი უთხრა კასატორს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ძალაში იქნა დატოვებული. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ამის შემდეგ, ბ-ანიმ თავისი განცხადებით მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გაუქმება და საქმის განახლება. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას მან საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ექსპერტის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას აღმოჩნდა ყალბი, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინებით.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, გასანახლებელ საქმეზე არსებობს სამი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი აქტი: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს (2) განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საკასაციო სასამართლოს (3) განჩინება სააპელაციო სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვების შესახებ.

საჭიროა თუ არა მართლმსაჯულების სამივე აქტის გაუქმება და რომელი სასამართლოს განსჯადია ბ-ანის განცხადება.

პრაქტიკა წავიდა გამარტივებული გზით: დაინტერესებულ მხარეს ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის განახლება, ისე რომ არ შეეხოს ამ გადაწყვეტილების (და არა საქმის) მიმართ გამოტანილ განჩინებებს, რომლებიც იმ დროისათვის, როცა ისინი იყო გამოტანილი სავსებით კანონიერი და დასაბუთებული იყო.

ჩვენი აზრით, სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ასეთი წესი და მისი საკანონმდებლო წესით დამკვიდრება, რაც უკვე განხორციელდა (სსკ 423-ე მუხლი), სავსებით გამართლებულია არამართო პროცესუალური ეკონომიის, არამედ ყველა სხვა თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბ-ანის შეუძლია ახლად აღმოჩენილ გარემოების გამო მოითხოვოს მხოლოდ საქალაქო სასამართლოს გადაწყვე-

ტილების გაუქმება და ამ საქმის განახლება. ამიტომ, განცხადება მან უნდა შეიტანოს უშუალოდ იმ საქალაქო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება გასანახლებელ საქმეზე. მისი განცხადება სწორედ ამ სასამართლოს განსჯადია.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას საქმის განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მაგალითად: სააპელაციო (საკასაციო) სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება საქმეზე. განცხადება ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა თუ მისი გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ იქნება სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს განსჯადი.

არ არის გამორიცხული, რომ ზემდგომმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმოს გადაწყვეტილება და გაუქმებულის ნაცვლად თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში განცხადება საქმის განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმებას (ბათილად ცნობას) და ამ ნაწილში საქმის განახლებას მოითხოვს განმცხადებელი.

ამრიგად, ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმად განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებას მოითხოვენ – ყოველთვის ურყევად და მტკიცედ მოქმედებს.

ერთად-ერთი გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც განცხადება მოითხოვს ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გაუქმებას.

მაგალითად: სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო ნაწილობრივ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. თუ განმცხადებელი მოითხოვს ორივე ნაწილის ბათილად ცნობას (გაუქმებას) და საქმის წარმოების განახლებას მთლიანად, მაშინ ეს განცხადება უნდა განიხილოს ზემდგომმა ანუ სააპელაციო სასამართლომ (სსკ 424-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

§2. განცხადების დასაშვებობა

I. განცხადების შინაარსი

საქმე სასამართლო წარმოების განახლების შესახებ აღიძვრის განცხადებით.¹⁶³

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს მონაცემებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებლობა განცხადების შინაარსს აკისრებს სრულიად გარკვეული პრაქტიკული ამოცანის შესრულებას. შემთხვევითი არაა ამიტომ ის, რომ თუ განცხადება არ შეიცავს კანონით განსაზღვრულ მონაცემებს „სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეეცნოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, განცხადება აღარ დაიშვება“.

როგორია ეს მონაცემები?

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არის სასამართლოსადმი მიმართული განცხადება და, ცხადია, იგი უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომელსაც სასამართლოსადმი მიმართული ნებისმიერი განცხადება. ჩვენ აქ მოკლედ შევხებით მხოლოდ ზოგიერთ ისეთ მონაცემს, რომელიც ამ განცხადების შინაარსისთვის არის განმსაზღვრელი.

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს:

(1) იმ საფუძველზე მითითებას, რომელსაც უკავშირდება საქმის წარმოების განახლება.

მაგალითად: თუ განმცხადებელი მოითხოვს საქმის განახლებას იმის გამო, რომ გადაწყვეტილება ამ საქმეზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, მაშინ მან უნდა მიუთითოს, ერთ-ერთი გარემოება, რომელსაც სსკ 422-ე მუხლი უკავშირებს გადაწყვეტილების ბათილობას. მაგრამ თუ

¹⁶³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 578-580-ე მუხლების თანახმად საქმის წარმოების განახლება შეიძლება სარჩელით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა ან სარჩელით სასამართლო წარმოების განახლების შესახებ. იხ. Thomas-Putzo. დასახ. ნაშრომი გვ. 898.

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 593-ე-603-ე მუხლების თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს სარევიზიო საჩივრით (le Recours En Revision). ამ საჩივრის დასაშვებობისა და საფუძველანობის პირობები ძირითადად იგივეა, რაც ჩვენი სსკ-ით გათვალისწინებული განცხადებისა საქმის წარმოების განახლების შესახებ.

იხ. Nouveau Code de procedure civile. Dalloz. 1997.

განმცხადებელი მოითხოვს საქმის განახლებას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, მაშინ მან უნდა მიუთითოს თავის განცხადებაში კონკრეტულად ერთ-ერთ იმ გარემოებაზე, რომელსაც სსკ 423-ე მუხლი უკავშირებს საქმის წარმოების განახლებას.

(2) მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და მითითებას მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. სსკ 426-ე მუხლი განსაზღვრავს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას და მისი ათვლის წესს. ვადა არის ერთი თვე, ხოლო ვადის ათელა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის განახლების საფუძვლის არსებობა. ამიტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როდღიდან გახდა ცნობილი განმცხადებლისათვის ამ საფუძვლის შესახებ და რა მტკიცებულებებით შეუძლია მხარეს ამ გარემოებების დადასტურება.

მაგალითად: განმცხადებელმა წარუდგინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე (სსკ 423-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ეს არის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მაგრამ სასამართლომ უარი უთხრა განმცხადებელს საქმის წარმოების განახლებაზე, რადგან მან ვერ დაამტკიცა, რომ ამის შესახებ არ იცოდა ადრე და მხოლოდ განცხადების შემოტანამდე ერთი თვით ადრე შეიტყო.

(3) მითითებას განსჯადობის წესების დაცვაზე. განცხადებაში საჭიროა მიეთითოს რომელი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განახლებას მოითხოვს განმცხადებელი. ამ მითითების შესაბამისად განისაზღვრება განსჯადობაც. მართალია, განსჯადობას თავისი ინიციატივით ამოწმებს სასამართლო, მაგრამ განცხადებაში შესაბამისი მითითებების ჩამოყალიბება დაეხმარება მას სწორად განსაზღვროს განსჯადობა.

(4) მითითებას, თუ რა ზომით (ფარგლებში) მოითხოვს განმცხადებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. აღსანიშნავია, რომ კიდევ რომ არსებობდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ გაუქმების საფუძველი, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ გაუქმება.

ასეთია ძირითადი და მთავარი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განმცხადებელს შეიძლება მიეცეს ვადა განცხადების ხარვეზის შევსებისათვის, მაგრამ თუ ეს ხარვეზი არ იქნება შევსებული, განცხადება განუხილველი დარჩება დაუშვებლობის გამო.

II. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის შემოწმება

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობას სასამართლო აწარმოებს თავისი ინიციატივით. ამ განცხადების დასაშვებობის შემოწმების მიზნით სასამართლომ უნდა გაარკვიოს არსებობს თუ არა ყველა ის წინაპირობა, რომლებიც დასაშვებობას განსაზღვრავენ. სასამართლომ კერძოდ უნდა შეამოწმოს:

(1) შემოტანილია თუ არა განცხადება უფლებამოსილი პირის მიერ. უფლებამოსილ პირებად მიჩნეულ უნდა იქნენ მხარეები, თანამონაწილეები, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, უფლებამონაცვლეები, პირები, რომლებიც არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარე, მაგრამ რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრა ამ გადაწყვეტილებით.

(2) დაცულია თუ არა ასეთი განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა განახლების საფუძვლის არსებობის შესახებ (სსკ 426-ე მუხლი);

(3) ხომ არ არის გასული 5 წელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (სსკ 426-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გავიდა 5 წელი კიდევ რომ არსებობდეს ყველა სხვა დანარჩენი წინაპირობა, სასამართლო მაინც ვერ მიიღებს და განიხილავს განცხადებას განახლების შესახებ.¹⁶⁴

(4) შეეძლო თუ არა განმცხადებელს გადაწყვეტილების ბათილობის პირობების წამოყენება პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (სსკ 422-ე მუხლი);

(5) შემოტანილია თუ არა განცხადება განსჯადობის წესების დაცვით (სსკ 424-ე მუხლი);

(6) პასუხობს თუ არა განცხადება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუ დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს დასაშვებობის ესა თუ ის წინაპირობა და, მაშასადამე, განცხადება არაა

¹⁶⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სსკ 426-ე მუხლის მე-4 პუნქტით დამკვიდრებული ამ დანაწესის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №13/161.

დასაშვები, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება დასაშვებია, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ.

ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

III. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება წარმოებს სასამართლოს სხდომაზე მხარეთა შეტყობინებით. უწყება სასამართლო სხდომისა და საქმის ზეპირი განხილვის შესახებ მხარეებს ეგზავნებათ კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები).

სასამართლო სხდომა მთლიანად ეძღვნება ერთი ძირითადი საკითხის გარკვევას: არსებობს თუ არა საქმის წარმოების განახლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და უნდა იქნეს თუ არა მიღებული განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს იმ საფუძვლის (გარემოების) დადგენა, რომელზეც უთითებს განმცხადებელი თავის განცხადებაში საქმის განახლების მიზნით. კერძოდ, თუ განმცხადებელი საქმის განახლების საფუძვლად უთითებს გადაწყვეტილების ბათილობას სსკ 422-ე მუხლში მითითებულ ერთ-ერთი გარემოების გამო, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება. მაგრამ, თუ განმცხადებელი განახლების საფუძვლად უთითებს ერთ-ერთ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე სსკ 423-ე მუხლის მიხედვით, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება.

მაგალითად: ა-ნიმ მიმართა სასამართლოს განცხადებით საქმის წარმოების განახლების თაობაზე იმ საფუძველით, რომ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ბათილია, რადგან მის მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. ეს განცხადება სასამართლომ დასაშვებად ცნო და მიიღო „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ“.

განმცხადებელმა ა-ნიმ ამ სასამართლო სხდომაზე უნდა დაამტკიცოს, რომ მოსამართლეს, რომელიც მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღებაში უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მის გამოტანაში.

იგივე უნდა ითქვას, როდესაც განახლების შესახებ განცხადება ემყარება ახლად აღმოჩენილ გარემოებას, მაგალითად ექსპერტის დასკვნის სიყალბეს. ასეთ შემთხვევაშიც განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს განახლების შესახებ განცხადებაში მითითებული გარემოება (მტკიცებულებათა დასაშვებობა). მაგალითად, სსკ 423-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადება განახლების შესახებ შეიძლება დაემყაროს ექსპერტის დასკვნის სიყალბეს, მოწმის შეგნებულად მიცემულ ცრუ ჩვენებას, დოკუმენტის სიყალბეს და ა.შ. მაგრამ ეს გარემოებები შეიძლება დადასტურდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ან მომკვლევნი და საგამოძიებო ორგანოების შესაბამისი დადგენილებით, ოღონდ იმ პირობით, თუ სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის გაგრძელება და ჩატარება ვერ ხერხდება არა მტკიცებულებათა უკმარისობის, არამედ სხვა მიზეზით, მაგალითად დანაშაულის მცირე მნიშვნელობის ან ამნისტიის გამო საქმის წარმოების შეწყვეტით.

მაგალითად: *ა-ნიმ მოითხოვა საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება ემყარება მოწმის შეგნებულად მიცემულ ცრუ ჩვენებას. სასამართლომ დაუშვა ეს განცხადება, მიიღო იგი წარმოებაში და დანიშნა სხდომა მისი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით. იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოწმემ მისცა შეგნებულად (განზრახ) ცრუ ჩვენება. განმცხადებელმა სასამართლოს წარმოუდგინა სხვა მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, აგრეთვე წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც უარყოფენ იმ ფაქტის არსებობას, რომლის შესახებ ცრუ ჩვენება მისცა მოწმემ. სასამართლომ არ მიიღო ამ მოწმეთა ჩვენებები და სხვა წერილობითი მასალები, რადგან მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენების დადასტურებისათვის დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან საგამოძიებო ორგანოების დადგენილებები (სსკ 423-ე მუხლის მე-2 პუნქტი).*

თუ განახლების საფუძვლის დასადასტურებლად კანონი არ ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული მტკიცებულების დასაშვებობას, მაშინ განმცხადებელს შეუძლია წარმოუდგინოს სასამართლოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომელსაც კანონით დადგენილი წესით შეამოწმებს და შეაფასებს სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაეკეთოს შემდეგი პრაქტიკული დასკვნები:

1. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობას სასამართლო ამოწმებს თავისი ინიციატივით და მხარეთა მონაწილეობის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დასაშვებობის საკითხი განიხილოს მხარეთა მონაწილეობითაც;

2. თუ განცხადება არაა დასაშვები, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“.

თუ განცხადება დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და მისი განხილვის დანიშვნის შესახებ“ (სსკ 430-ე მუხლის I პუნქტი).

3. განცხადების განხილვა მისი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით შეიძლება მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მხარეთა კანონით დადგენილი წესით შეტყობინებით.

4. თუ განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ“. მაგრამ, თუ გამოირკვევა, რომ განცხადება საფუძვლიანია ანუ არსებობს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მაშინ სასამართლო გამოიტანს „განჩინებას გადაწყვეტილების გაუქმებისა (ბათილად ცნობისა) და საქმის წარმოების განახლების შესახებ“ (სსკ 430-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

ამ განჩინების მიღების შემდეგ, რომლის გასაჩივრება არ შეიძლება, განახლებული საქმე ხელმეორედ უნდა იქნეს განხილული ისე, თითქოს ადრე იგი არც ყოფილა განხილული – საქმეთა განხილვის საერთო წესის დაცვით, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების სრული დაცვით.